

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები
Modern Business: Tendencies and Chalangies

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის
80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business,
dedicated to the 80th anniversary of the Chair of Accounting and Auditing**

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

შ რ ო მ ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი
Proceedings

თბილისი
2014

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-13-377-0

საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **ელენა ხარაბაძე** – საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
2. **თეიმურაზ ბერიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი;
3. **ლავრენტი ჭუმბურიძე** – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი;
4. **ნადეჟდა კვატაშიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ნანა სრესელი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
6. **მარინა მაისურაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
7. **იზოლდა ჭილაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
8. **მერაბ ჯიქია** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
9. **ლევან საბაური** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
10. **თეა მუნჯიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
11. **მარიამ ვარდიანიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი;
12. **ნინო ლომიძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი;
13. **ნიკოლოზ ქოიავა** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი;
14. **ხათუნა ზარბაქაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ეკა ჩოხელი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.

Organizing Committee

1. **Elena Kharabadze** – Chairman of the Organizing Committee, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
2. **Teimuraz Beridze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Dean of the Faculty of Economics and Business, Associate Professor;
3. **Lavrenti Chumburidze** – Georgian Federation of Professional Accountants and Auditors (GFPAA), Executive Director;
4. **Nadezhda Kvatashidze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
5. **Nana Sreseli** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
6. **Marina Maisuradze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
7. **Izolda Chiladze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
8. **Merab Jikia** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
9. **Levan Sabauri** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
10. **Tea Munjishvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
11. **Mariam Vardiashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor;

12. **Nino Lomidze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor;
13. **Nikoloz Koiava** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor;
14. **Khatuna Barbakadze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
15. **Eka Chokheli** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor.

სარედაქციო კოლეგია:

1. **ელენა ხარაბაძე** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
2. **კოვზანაძე ირაკლი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
3. **მეჭვანიშვილი ელგუჯა** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
4. **ნოდარ ხადური** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
5. **დავით ნარმანია** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
6. **რევაზ გველესიანი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
7. **ეთერ ხარაიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
8. **მარინა ჩავლეშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
9. **მირიან ტუხაშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
10. **იური ანანიშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
11. **ნუგზარ თოდუა** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
12. **სიმონ გელაშვილი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი,

Editorial Collegium

1. **Elena Kharabadze** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
2. **Kovzanadze Irakli** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
3. **Mekvabishvili Elguja** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
4. **Nodar Khaduri** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor, Ministry of Finance of Georgia;
5. **David Narmania** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
6. **Revaz Gvelesiani** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
7. **Eter Kharashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
8. **Marina Chavleshvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor;
9. **Mirian Tukhashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
10. **Iuri Ananiashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
11. **Nugzar Todua** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor;
12. **Simon Gelashvili** – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Full Professor.

სარჩევი Contents

ნანა ასლამაზიშვილი

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური მოდელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის	11
Nana Aslamazishvili Innovative Statistical Business Process Model for National Bank of Georgia	18

ჭიჭიკო ადეიშვილი

სამეწარმეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის და ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანი და მეთოდი	19
Chichiko Adeishvili Essence and Methods of Economic Analysis of Entrepreneurial Activity Accounting	30

ჭიჭიკო ადეიშვილი, დილავარდისა დავითულიანი, კარლო კახაძე

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების საფეხურები (ეტაპები) და საქართველოში მისი გაუმჯობესების პერსპექტივები	31
Chichiko Adeishvili, Dilavardisa Davituliani, Karlo Kakhadze Steps of Development of Accounting and Perspectives of its Improvement in Georgia	36

ნიკოლოზ ბაკაშვილი

საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციის პრობლემები	37
Nikoloz Bakashvili The problems of liberalization of tax load	44

ხათუნა ბარბაკაძე

კაპიტალის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები	45
Khatuna Barbakadze Factors affecting cost of Capital	48

Tsiala Benashvili

Activity-Based Costing (ABC)	49
------------------------------------	----

მაია გელაშვილი, ხათუნა ბერიშვილი

მმართველობითი აუდიტის ასპექტები საბანკო ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში	55
Maia Gelashvili, Khatuna Berishvili Management administrative audit aspects in terms of ensuring financial security of commercial banking	61

ლალი ბოჭორიშვილი, ნინო გოზალიშვილი

რეაქტიული ენერჯის, როგორც თანმდევი პროდუქტის (პროცესის) აღრიცხვა/ანგარიშგების რეგულირება	62
Lali Bochorishvili, Nino Gozalishvili Metering/billing regulation of Reactive Power as the accompanying product (process)	68

ზეინაბ გოგრიჭიანი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავების

აღრიცხვის საკითხები 69

Zeinab Gogrichiani

The methods of valuation in agricultural accounting 73

Виорел Цуркану, Ирина Голочалова

Проблемы обеспечения достоверности информации в контексте МСФО 74

Viorel Tsukranu, Irina Golochalova

The problems of supply of authenticity information in accordance IFRS 86

მარიამ ვარდიაშვილი

საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის

პრობლემური საკითხები 87

Mariam Vardiashvili

Financial reporting issues of budgetary organizations 95

ნატო კაკაშვილი

სადაზღვევო ოპერაციათა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების ფორმირებისა და სადაზღვევო ოპერაციების

გადასახადებით დაბეგვრის თავისებურებები 96

Nato Kakashvili

Accounting of insurance operations, reporting forms and characteristics of taxation of insurance operations 99

იამზე ბერიშვილი

ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგია და მისი როლი ეროვნული

მეურნეობის განვითარებაში 100

Iamze Berishvili

Methods of Economic Analysis and its role in the national economy development 102

თამარ კბილაძე

დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე

გადასვლის მიზანშეწონილობა საქართველოში 103

Tamar Kbiladze

Appropriateness of transition from proportional taxation system to progressive taxation system in Georgia 112

ნადეჟდა კვატაშიძე

კლიენტების ლოიალობის პროგრამები და შემოსავლების

შეფასების საკითხები 113

Nadezhda Kvatashidze

Customer loyalty programs and evaluation of Revenue 117

ლია კოზმანაშვილი

გადამხდელთა ინტერესები და საგადასახადო სისტემაში არსებული ზოგიერთი

პრობლემა 118

Lia Kozmanashvili

Taxpayers' interests and some of the problems with the current tax system 122

ელგუჯა კონჯარია ბუღალტრული აღრიცხვის ფორმების განვითარების ისტორია.....	123
Elguja Konjaria History of accounting's shapes development	129
Кузина Р. В. ОСОБЕННОСТИ ВНЕДРЕНИЯ МЕЖДУНАРОДНЫХ СТАНДАРТОВ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ В УКРАИНЕ: ЧЕЛОВЕЧЕСКИЙ ФАКТОР	130
Kuzina R.V. FEATURES OF IMPLEMENTATION OF INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARTS IN UKRAINE: HUMAN RESOURCES DEVELOPMENT CHALLENGES	135
ნინო ლომიძე ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი თეორიული ასპექტები	136
Nino Lomidze The Core Theoretical Aspects of Financial Statement Analysis	146
მარინა მაისურაძე საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვის საკითხები	147
Marina Maisuradze Issues of Recording and Reporting the Pension Provision Schemes	150
დარეჯან მესხიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი საგადასახადო კოდექსის მიხედვით ადმინისტრირების მექანიზმების ანალიზი	151
Darejan Meskhishvili, Leila Kadagishvili The analyze of tax code administration mechanism	154
თეა მუნჯიშვილი ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების სრულყოფის გზები.....	156
Tea Munjishvili The skills improve in the study of accounting	160
მურად ნარსია ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს კონსტიტუციური მანდატისა და ამ ორგანოს საქმიანობის დაგეგმვის ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტის შესახებ	161
Murad Narsia About some aspect of the constitutional mandate of the Country's supreme audit body and interconnection of the planning of affairs	168
დავით ნიჟარაძე მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები მრავალეროვნულ კომპანიებში.....	169
David Nizharadze Managerial Decision-Making Characteristics In Multinational Companies	175
Ольга Романенко Проблеммы аудита эффективности слияния и поглощения компаний	176

Olga Romanenko Problems of audit efficiency of merging and absorption of companies	183
ლევან საბაური, ნინო მამარდაშვილი აუდიტის ჩატარებისას დაშვებული შეცდომების პრაქტიკაში გავრცელებული ფორმების ზოგადი მიმოხილვა	184
Levan Sabauri, Nino Mamardashvili General review of the mistakes made during the audit that are common in practice.....	191
Сомова Валентина ПРИМЕНЕНИЕ ИНСТРУМЕНТОВ НАЛОГОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ В МЕХАНИЗМЕ РАСПРЕДЕЛЕНИЯ ДОХОДОВ ФИЗИЧЕСКИХ ЛИЦ.....	196
Somova Valentina THE INSTRUMENTS OF TAX REGULATION IN THE MECHANISM OF PERSONAL INCOME DISTRIBUTION	196
რუსუდან სრესელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდოლოგიის აქტუალური საკითხები	197
Rusudan Sreseli Current issues of methodology analyze of consolidated financial statement	204
ნანა სრესელი ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღრიცხვის თავისებურებები	205
Nana Sreseli Accounting aspects of fixed asset impairment	215
Sebastian A. Tideman, Jochen Zimmermann The Development of the German Accounting System from the Perspective of Different Accounting Models	216
მალხაზ ფარცვანია რენტაბელობის ანალიზის ზოგიერთი საკითხი	223
Malkhaz Partsvania Some Issues of Profitability Analysis.....	226
მუხრან ქამადაძე არამატერიალური აქტივის – ინტელექტუალური კაპიტალის შეფასების სახეები	227
Mukhran Qamadadze Intangible assets -Types of Intellectual Capital Assessment.....	233
აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, თინათინ ჯოლბორდი მმართველობითი აღრიცხვის მენეჯერული ასპექტები	234
Aida Qitashvili-Kvachantiradze, Tinatin Jolbordi The Managerial Aspect of Management Accounting	241
თეიმურაზ შენგელია ბიზნესის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში	242

Teimuraz Shengelia Social-psychological nature and disability causes of Business in Georgia	260
გიორგი შიხაშვილი ბიზნესტრენინგების ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტები	251
Giorgi Shikhashvili Organizational and Methodical Aspects of Business Trainings	260
ნინო ჩავლეშვილი კაპიტალის ღირებულების ზრდის მახასიათებელი მაჩვენებლები	261
Nino Chavleishvili Analysis of Value of the Company's Capital.....	265
ანა ჩეჩელაშვილი საწარმოთა ფინანსური პრობლემების გამომწვევი ფაქტორების კლასიფიკაციის საკითხისათვის	266
Ana Chechelashvili The Issues of classification of factors resulting a company's financial problems	270
მიხეილ ჩიკვილაძე ბიუჯეტი, გადასახდები, პრობლემები.....	271
Mikheil Chikviladze Budget, Taxation, Problems.....	273
ეკა ჩოხელი მენეჯერული კონტროლის თანამედროვე ასპექტები	275
Eka Chokheli Modern Aspects of Managerial Control	281
В.Т. Чая Проблемы развития аудиторской деятельности: задачи и некоторые решения	282
V.T. Chaya Problems of development of audit activities: problems and some solutions	288
იზოლდა ჭილაძე ბასს 12 – მოგების გადასახადი – სადისკუსიო ასპექტები	289
Izolda Chiladze ISA 12 – Profit taxes – Discussion Aspects	295
ელენა ხარაბაძე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის საკითხები საქართველოს საჯარო სექტორში	296
Elena Kharabadze Improvement of Accounting and reporting issues in public sector of Georgia	302
ანჟელი ხორავა ფინანსური ინფორმაციის არსებითობის დონის განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.....	303

AnJeli Khorava	
The Theoretical and practical aspects for determining the materiality level of financial information	308
მარინე ხუბუა	
ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სრულყოფის საკითხები კომერციულ ბანკებში	309
Marine Khubua	
Issues of Improvement of Analysis of the Commercial Banks' Financial Status	318
ნანა ხინჩლაშვილი	
საინვესტიციო-სამშენებლო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები	320
Nana Khinchlashvili	
Current issues of quality assurance of Investment and Construction companies' financial statements	323
მერაბ ჯიქია	
კომპანიის კაპიტალის ღირებულების ანალიზი	324
Merab Jikia	
Indicators Characterizing Increase of Value of the Capital	331

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური მოდელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის

ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული ნაკადების თავბრუდამხვევი ზრდა თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. გარდა იმისა, რომ ინფორმაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის ფენომენია საზოგადოებისათვის, იგი საკმაოდ ძვირი ფუფუნებაცაა.

როგორ გავხადოთ ინფორმაცია იაფი და ხელმისაწვდომი?

ეს კითხვა ყოველდღიურად სულ უფრო აქტუალური ხდება და მასზე პასუხის გასაცემად პროფესიონალი სპეციალისტები მთელ მსოფლიოში ძალისხმევას არ ზოგავენ. როგორია ქართველი სპეციალისტების როლი ამ „ორომტრიალში“? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ეძღვნება ჩვენი სტატია.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის სტატისტიკური აქტივობის წარმოჩენის საქმეში საერთაშორისო მასშტაბით, მონაწილეობს რა არაერთ საერთაშორისო ინიციატივაში მონაცემთა გავრცელების კონტექსტში. ამდენად, უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანია ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მეცნიერულად დასაბუთებული, მოქნილი და სტატისტიკის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი მოდელის დანერგვა და გამოყენება.

წინამდებარე სტატიის მიზანია აღწეროთ იმ ინოვაციური ხედვის ფორმირების წინაპირობებისა და დანერგვის პროცესის განხორციელების მიმდინარეობა ეროვნულ ბანკში, რაც ამ უწყებაში, და არა მარტო, ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმიზაციის, სტანდარტიზაციისა და ცენტრალიზაციის ამოცანების გადაჭრას ემსახურება.

სტატია შემდეგნაირადაა ორგანიზებული: პირველ თავში აღწერილია წინაპირობები, რომლებმაც ობიექტურად წარმოშვა საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის შეცვლის აუცილებლობა.

მეორე თავში საუბარია სებსტატზე, როგორც ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალ ინოვაციურ მოდელზე, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკური საქმიანობის სტანდარტიზაციას, ოპტიმიზაციასა და ცენტრალიზაციას ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით.

მესამე თავი ეძღვნება სებსტატის კონცეფციის აღწერას და იმ მიდგომებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა მისი დანერგვის პროცესში.

ბოლოს, მოცემულია დასკვნები და უპირატესობები, რაც გააჩნია სებსტატს.

1. სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ინოვაციური გადაწყვეტის აუცილებლობა

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ორგანიზების ამოცანა თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე სტატისტიკის სფეროში არსებულ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი აქტუალურია საკითხია არაერთ ქვეყანაში. საკითხის სირთულე უკავშირდება, ერთი მხრივ, საერთა-

შორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის შინაარსის სწორად განსაზღვრას, ხოლო მეორე მხრივ, მისი წარმოების ბიზნეს-პროცესის ოპტიმალური მოდელის შერჩევას.

ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის რეფორმირების აუცილებლობა ორმა მთავარმა წინაპირობამ განსაზღვრა: არსებული ბიზნეს-პროცესის ნაკლოვანებებმა და თანამედროვე ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტებისა და მოთხოვნების დანერგვის აუცილებლობამ.

რაში მდგომარეობს ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ნაკლოვანებები ეროვნულ ბანკში?

ძირითადი ნაკლოვანებებია:

- დეცენტრალიზებული სტატისტიკური ბიზნეს-პროცესი და მონაცემთა მოთხოვნის დუბლირება, რაც ამძიმებს რესპონდენტთათვის საანგარიშგებო ტვირთს;
- ექსელზე დაფუძნებული სტატისტიკური კითხვარები;
- მონაცემების არასაკმარისი მოცვა ფინანსური ინსტიტუტების საბალანსო ანგარიშებში რეზიდენტობის, სექტორების და სხვა პარამეტრების მიხედვით;
- ერთიანი მონაცემთა ბაზის არარსებობა.

როცა ნაკლოვანებები იდენტიფიცირებულია, სტატისტიკის წარმოების ბიზნეს-პროცესის შეცვლის აუცილებლობის დასაბუთება მოითხოვს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების სიღრმისეულ ანალიზს და სასურველი საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების მკაფიოდ განსაზღვრას.

თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური პრაქტიკა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის ნაწილში ეფუძნება სექტორული ბალანსების მონაცემთა სტრუქტურას, რომლის არსიც მდგომარეობს ფინანსური/არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დეტალურ დისაგრეგაციას:

- ვალუტების (ეროვნული/უცხოური),
- რეზიდენტობის (რეზიდენტი/არარეზიდენტი), და
- სექტორების (არაფინანსური კორპორაციები, ფინანსური კორპორაციები, სამთავრობო სექტორი, შინამეურნეობები, შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი) მიხედვით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ფინანსური ინფორმაციისადმი თანამედროვე მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული თარიღისათვის მათი ნაშთების აღრიცხვით. აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება მათი ნაკადების შესახებაც, რაც გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ ინსტრუმენტის ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორებიცაა:

- ოპერაციები
- გადაფასება, გამოწვეული:
 - ფასების ცვლილებით
 - გაცვლითი კურსის ცვლილებით
- აქტივების სხვა ცვლილებები.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა და თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების ნათლად იდენტიფიცირების ფონზე ჩვენ განვსაზღვრეთ ეროვნული ბანკის კომპეტენციაში არსებული სტატისტიკის ჩარჩოები, ანუ იმ მიზნობრივ მონაცემთა მოცულობა და სტრუქტურა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა შეძლოს თანამედროვე საერთაშორისო სტატისტიკური მოთხოვნების შესაბამისი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის წარმოება და თავისი ძირითადი ფუნქციის – მონე-

ტარული პოლიტიკის სრულყოფილად წარმართვა. თუმცა, აღნიშნულმა დღის წესრიგში შემდეგი და უაღრესად სერიოზული ამოცანა დააყენა – შესაბამისი ბიზნეს-პროცესის მოდელის შექმნის აუცილებლობა.

ამდენად, ამგვარი ლოგიკური მიდგომით განხორციელდა ეროვნულ ბანკის სტატისტიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობის დასაბუთება და მკაფიოდ განისაზღვრა სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალი მოდელის მიზნობრივი ორიენტირები.

2. სეზტატი: ჩვენი არჩევანი სტატისტიკის შემდგომი განვითარებისათვის

რაში მდგომარეობს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ახალი მოდელის არსი და მისი კონცეპტუალური არქიტექტურის ინოვაციური გადაწყვეტა?

როგორც წესი, მონაცემთა შეგროვების მკაცრად განსაზღვრული უნიფიცირებული წესი არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანა, თუ სტატისტიკური ორგანო ამ საკითხს წყვეტს ინდივიდუალურად, დამკვიდრებული სტატისტიკური პრაქტიკის, არსებული რესურსების რაოდენობისა და კვალიფიკაციის, და ა.შ. ბაზაზე.

იმისათვის, რომ მიგვეღწია დასახული მიზნებისთვის, ე.ი. მოგვეხდინა, თავისი შინაარსითა და ფორმით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის სტანდარტიზაცია, ოპტიმიზაცია და ცენტრალიზაცია და, შესაბამისად, როგორც სტატისტიკის მომწოდებლების, ისე სტატისტიკის მწარმოებელთა საანგარიშგებო ტვირთის შემსუბუქება, ჩვენ შევქმენით ეროვნული ბანკის ფინანსური, სტატისტიკური და მკეროეკონომიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ინფორმაციული სისტემა – სეზტატი.

სეზტატი ამავე დროს წარმოადგენს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელს, რომლის ფუნქციონირების მექანიზმი ეფუძნება მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის ჩვენ მიერ შექმნილ სპეციფიკურ სქემას, რომელსაც ძალუძს უზრუნველყოს ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების პროცესების ცენტრალიზაცია და ავტომატიზაცია ზედმიწევნით უნიფიცირებული ფორმით. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას სეზტატი ინფორმაციის მისაღებად არა მარტო ბანკებიდან, არამედ სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდანც. და მეტიც: სეზტატის კონცეპტუალური არქიტექტურა აბსოლუტურად მისაღებია გამოსაყენებლად სტატისტიკის სხვა მიმართულებებშიც, რამდენადაც იგი ძალზედ მოხერხებულია გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების თვალსაზრისით.

3. მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა: როგორ აღვწეროთ სტატისტიკური მოთხოვნები სტანდარტიზებული გზით?

მონაცემებს ვხვდებით ყველგან. თუმცა, იმისათვის, რომ გავიგოთ მათი შინაარსი, ჩვეულებრივ, ისინი აღწერას (განმარტებას) საჭიროებენ.

ტრადიციულად, ჩვენ შევეჩვიეთ მონაცემთა ვიზუალურ წარმოდგენას, მაგალითად ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1). თუმცა, ამ მონაცემების ერთობლიობა, ან თითოეული მათგანი ცალ-ცალკე, აღწერის (განმარტებების) გარეშე, ყოველგვარ აზრს მოკლებულია (იხ. ცხრილი 2).

დღეისათვის ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოცულობამ ისეთ გლობალურ მასშტაბებს მიაღწია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე მისი მოპოვება, დამუშავება და გავრცელება უბრალოდ წარმოუდგენელია. ამდენად, ამ თვალსაზრი-

სით, მხოლოდ ადამიანის თვალისა და გონებისათვის აღსაქმელი მონაცემები, არა თუ არასაკმარისი, არამედ თითქმის გამოუსადეგარია.

ცხრილი 1			
ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი და ეროვნული ვალუტით გაცემული სამომხმარებლო სესხის შესახებ			
	ლარი		
		მათ შორის:	
წლიური საპროცენტო განაკვეთი, %	სესხები	რეზიდენტ იურიდიულ პირებზე	რეზიდენტ შინამეურნეობებზე
სულ	9,852,349	5,410,323	4,442,026
%	18.20%	18.10%	18.40%
16.00%	4,127,935	2,137,237	1,990,698
17.00%	432,433	281,656	150,778
17.50%	158,503	-	158,503
18.00%	2,153,075	1,329,062	824,012
19.00%	787,369	534,792	252,577

ცხრილი 2			
	9,852,349	5,410,323	4,442,026
	18.20%	18.10%	18.40%
16.00%	4,127,935	2,137,237	1,990,698
17.00%	432,433	281,656	150,778
17.50%	158,503	-	158,503
18.00%	2,153,075	1,329,062	824,012
19.00%	787,369	534,792	252,577

როგორ გავხადოთ ინფორმაცია გასაგები კომპიუტერული ტექნოლოგიისთვის? როგორ მოვახდინოთ მონაცემთა შეგროვების პროცესის სტანდარტიზაცია, შესაბამისი პროცესების ავტომატიზაციის მისაღწევად?

ამისათვის საჭიროა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა და ამ გზით მათი საიდენტიფიკაციო ინსტრუმენტის ფორმირება.

მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა გულისხმობს მონაცემთა ორგანიზებას გარკვეული წესის მიხედვით, რაც ემსახურება კონკრეტულ მიზნებს და აუცილებელია მათი შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების სტანდარტიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, კონკრეტული ალგორითმის შესაბამისად.

ჩვენ მიერ მონაცემთა სტრუქტურის აღწერა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

პირველ ეტაპზე მოვახდინეთ ეროვნულ ბანკში არსებული ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების ერთგვაროვან ჯგუფებში გაერთიანება და ე.წ. მონაცემთა ოჯახების შექმნა. მონაცემთა ოჯახების ფორმირებას საფუძვლად დაედო მათი სტრუქტურის აღწერის ერთგვაროვნების პრინციპი.

მონაცემთა ოჯახების ფორმირება



FIM – ყოველთვიური ფინანსურ მარჯვენებულები


FID – ყოველდღიური ფინანსურ ანგარიშგება

FEX – უცხოური ვალუტის ყიდვ-გაყიდვის ოპერაციები სტატისტიკა

MTR – ფულადი გზავნილების სტატისტიკა

BPC – საბანკო ბარათების სტატისტიკა

მეორე ეტაპზე განხორციელდა ექსელის კითხვარებში არსებული მონაცემების სტრუქტურის აღწერა, იმ მიზნით, რათა დაგვედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა არსებული მონაცემები, თავისი შინაარსის მიხედვით, მიზნობრივ მონაცემებს, გამოგვევლინა „გამოტოვებები“, რომელთა შევსება აუცილებელი იყო სრულყოფილი მონაცემების მისაღებად, და შეგვეშუავებინა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის სტანდარტიზებული წესი. ამდენად, ამ ეტაპს საფუძვლად დაედო **მემკვიდრეობითობის პრინციპი**.



აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრისას ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მთავარი კითხვით, რაც უკავშირდება ფონდების ნაკადების სიღრმისეულ ანალიზს და მონაცემთა შინაარსის დეტალურად და სწორად განსაზღვრის ამოცანას: „ვინ რას საქმიანობს, ვისთან ერთად, რის სანაცვლოდ, რა საშუალებით, რა მიზნით, რა ცვლილებების მისაღებად ფონდებში?“¹ როგორც მოცემულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოშია აღნიშნული, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველა ეკონომიკური ნაკადისა და ფონდისთვის, ყველა ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში იძლევა უაღრესად დიდი მოცულობის ინფორმაციას ეკონომიკური ურთიერთკავშირების შესახებ².

მესამე ეტაპი გულისხმობდა წინა ეტაპზე აღმოჩენილი „გამოტოვებების“ აღმოფხვრას, ანუ მონაცემების სტრუქტურაში საჭირო ახალი პარამეტრების დამატებას, ასევე ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ზემოაღნიშნული კითხვიდან გამომდინარე.

მეოთხე ეტაპზე მოხდა თითოეული ოჯახის მონაცემთა სტრუქტურის ყველა ელემენტისათვის კლასიფიკატორების შემუშავება.

¹ “Who does what, with whom, in exchange for what, by what means, for what purpose, with what changes in stocks?”; System of National Accounts 2008. Commission of the European Union, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. P.16;

² იქვე, გვ. 16.

ამდენად, აღნიშნული გზით შემუშავდა კონკრეტული ინსტრუმენტი საანგარიშგებო მოთხოვნების ჩამოსაყალიბებლად ბანკებისათვის, ნაცვლად მანამდე არსებული ტრადიციული ექსელზე დაფუძნებული კითხვარებისა.

რას წარმოადგენს ეროვნული ბანკის საანგარიშგებო მოთხოვნა ბანკების მიმართ? ეს არის კონკრეტული მონაცემის მაიდენტიფიცირებელი უნიკალური კოდი, ე.წ. გასაღები, რომელიც მოიცავს ამ მონაცემის დამახასიათებელ ყველა პარამეტრს (მონაცემთა ოჯახი, მომწოდებელი ფინანსური ინსტიტუტი, პერიოდულობა, ინსტრუმენტის ტიპი, დენომინირების ვალუტა და ა.შ.). მოთხოვნათა ერთობლიობა მოიცავს შესაბამის მონაცემთა გასაღებების სიას.

სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელის არსი გულისხმობს იმას, რომ ბანკები ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმირებას ახდენენ მონაცემთა გასაღების მიხედვით და ასეთი გასაღებების ერთობლიობას ტვირთავენ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ვებ-პორტალზე, სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი რამდენიმე საფეხურიანი კონტროლის გავლის შემდეგ. ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების პროცესის ამგვარი ორგანიზება მნიშვნელოვნად ამარტივებს სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მსოფლიოში დღემდე ცნობილ მოდელს (სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის შედგენა, კითხვარებისა და ინსტრუქციების შედგენა, ინსტრუმენტარის ტესტირება და ა.შ.), მნიშვნელოვნად ზოგავს ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯებს და ათავისუფლებს მეტ დროს სტატისტიკური ანალიზისა და დასკვნების გასაკეთებლად.

4. დასკვნები

ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სებსტატი უდაოდ ინოვაციური მოდელია საქართველოს სტატისტიკურ პრაქტიკაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ:

- მან შეცვალა სტატისტიკური ანგარიშგების ტრადიციული კითხვარები საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების შესაბამისად სტრუქტურირებულ მონაცემთა უნიკალური ელექტრონული გასაღებების სისტემით;
- მისი კონცეპტუალური და ტექნოლოგიური არქიტექტურა ემყარება მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ალგორითმს, რაც გულისხმობს:
 - ჯერ ერთი, ერთგვაროვანი მონაცემების ჯგუფებად წარმოდგენას და მონაცემთა ოჯახების ფორმირებას;
 - მეორე, მონაცემთა თითოეული ოჯახის შიგნით სასურველ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირებას;
 - მესამე, კლასიფიკატორების სისტემის შემუშავებას თითოეულ ოჯახში შემავალ მაჩვენებელთა სისტემის ელემენტების სტრუქტურის დეტალური აღწერისათვის საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების შესაბამისად;
 - მეოთხე, მის თავსებადობას და გამოყენებადობას ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის ანგარიშგებაში, ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯის გარეშე.
- იგი მნიშვნელოვნად ამარტივებს ცნობილ ზოგადი სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის მოდელს (Generic Statistical Business Model), რაც ნიშნავს სტატისტიკის წარმოების ხარჯების სერიოზულ ოპტიმიზაციას;

- მისი ადაპტირება ადვილად შეიძლება ნებისმიერი სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებისათვის.

სებსტატის უპირატესობები ისაა, რომ:

- ეფუძნება რა მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრის კონცეფციას, იგი უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სტანდარტიზაციას და სრულ ავტომატიზაციას;
- მნიშვნელოვნად ამცირებს მონაცემთა ხარისხის კონტროლის, დამუშავებისა და გავრცელებისათვის საჭირო დროს;
- უზრუნველყოფს ეროვნული ბანკის კომპეტენციაში არსებული სტატისტიკური პროდუქტების (სექტორული ბალანსები, მონეტარული მიმოხილვები და სხვ.) კომპიუტერულ დამუშავებას;
- უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის ერთმნიშვნელოვან გაგებას მონაცემთა მომწოდებლებისა და მწარმოებლებისათვის და შედეგად – მონაცემთა მაღალ ხარისხსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- განკუთვნილია ინფორმაციის მოპოვებისათვის ყველა ტიპის ფინანსური ინსტიტუტიდან;
- მოხერხებულია გამოცდილების გაზიარებისა და ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით;
- შესაძლებლობას ქმნის ეფექტიანი სტატისტიკური თანამშრომლობის აღნიშნულ სფეროში როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სებსტატის როგორც კონცეპტუალური, ისე ტექნოლოგიური ასპექტები გათვლილია იმგვარად, რომ ფინანსური სფეროს განვითარების კვალობაზე სტატისტიკური ინფორმაციის გაფართოების ამოცანა გადაიჭრას მინიმალური ძალისხმევით, ან საერთოდ ყოველგვარი დანახარჯის გარეშე.

სებსტატის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების შინაარსი და მასშტაბები, მისი შედეგები და ეროვნულ ბანკში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის წარმოების დანერგვისა და ფუნქციონირების პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ძალიან სერიოზული განზრახვები სტატისტიკის განვითარების სფეროში, რაც მისდამი მომხმარებელთა ნდობის ამაღლების სერიოზული წინაპირობაა. გარდა ამისა, სებსტატი მომთხოვნია ამ სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევებისადმი, რაც მათი უწყვეტი განათლებისა და განვითარების მნიშვნელოვანი მოტივაციაა.

ლიტერატურა:

1. Aslamazishvili N., (2012). New Conceptual and IT Frameworks for Statistics in the National Bank of Georgia. UNECE. Seminar on New Frontiers for Statistical Data Collection. Viewed December 2013 <<http://www.unece.org/stats/documents/2012.10.coll.html>>
2. Aslamazishvili N., (2013). Data Collection Strategy in the New Informational Environment. UNECE. Seminar on Statistical Data Collection. Viewed December 2013, <<http://www.unece.org/stats/documents/2013.09.coll.html>>
3. Harmonised structural metadata (code lists) progress report. (2012). Eurostat.
4. Monetary and Financial Statistics Manual. (2000). International Monetary Fund. Washington D.C. IMF.
5. System of National Accounts (2008 SNA). (2008). European Commission, International Monetary Fund, Organization for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank. New-York. 2009.

Nana Aslamazishvili

PhD

Head of Monetary Statistics Division

Macroeconomic and Statistics Department

National Bank of Georgia

Innovative Statistical Business Process Model for National Bank of Georgia

We all are witnesses of the terrific speed with which the world economy and society as a whole are being changed. Correspondingly, an interest in statistics, which is designed to reflect these changes, their progress and outcomes, is growing at the exponential rates. Moreover, it is obvious, that traditional survey-based data collection becomes more and more obsolete nowadays. All this calls for strengthening a statistical capacity and directing it towards a production of more reliable and timely information. In this context, Central Banks, like many NSOs, need to rethink own traditional data production framework and design a new statistical business process strategy.

The purpose of this paper is to discuss recent ideas and approaches how to new way of thinking and innovations, using new methods and technologies help to build a basis for re-engineering central bank statistics whole system and streamlining statistical business process.

სამეწარმეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის და ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანი და მეთოდი

1. ბუღალტრული აღრიცხვის არსი, საგანი და მეთოდი

თანამედროვე თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში, საწარმოთა ეფექტიანი მართვისა და სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მიზნებისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს საიმედო საფინანსო-ეკონომიკურ ინფორმაციას, რომლის უდიდეს ნაწილს, ბუღალტრული აღრიცხვა ამზადებს. შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ბუღალტრული აღრიცხვის, როლი.

საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ფილოსოფიიდან თანდათან გამოიყო კერძო მეცნიერებების სხვადასხვა დარგი. რეალური სინამდვილის შემეცნების მიზნები და ამოცანები იმდენად გადანაწილდა ცალკეულ მეცნიერებათა შორის, რომ მათი კვლევის ობიექტისა და საგნის მკვეთრი გამოიჯვნა გამჩელდა და სადაო საკითხად იქცა. ყველაზე მეტად ეს ჩანს ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში, სადაც ყოველი ახალი მეცნიერების წარმოქმნა ართულებს მისი ობიექტისა და საგნის განსაზღვრების ფარგლებს და ახალ ამოცანებს აყენებს მის წინაშე. ეს პროცესი შედარებით უფრო ადვილია ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკურ მეცნიერებებში, ვინაიდან ისინი უპირატესად ცდისეულ შემოწმება-დასაბუთებას ექვემდებარება.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში კი ეს შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს. ამით არის სწორედ ის მდგომარეობა განპირობებული, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებში შესასწავლი ობიექტისა და საგნის განმსაზღვრის (განმარტების) რაოდენობა თითქმის მკვლევართა რაოდენობის პირდაპირ პროპორციულია. საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შედის ეკონომიკური მეცნიერებებიც, რომელთა კვლევის საერთო ობიექტია საწარმოთა წარმოებითი ურთიერთობა, მაგრამ თითოეული მეცნიერული დისციპლინა განსხვავებული კუთხით და თვალსაზრისით შეისწავლის მრავალწახნაგოვან ეკონომიკას. წარმოებითი ურთიერთობების კვლევის მიმართულებებს შორის განსხვავება რომ არ არსებობდეს, მაშინ არც მეცნიერული დარგების დიფერენციაციას ექნებოდა ადგილი.

ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკაში არსებული წარმოებითი ურთიერთობების შემსწავლელ ეკონომიკურ მეცნიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება. როგორც წესი, ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია მოამზადოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შესახებ. აქედან გამომდინარე, **ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, არის საწარმოს სამეურნეო საშუალებების, მათი წარმოქმნის წყაროების, განხორციელებული სამეურნეო პროცესების და ფინანსური მდგომარეობის ცვალებადობის ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში ფულადი ღირებულებით ასახვა, და რომელსაც, არც ერთი სხვა ეკონომიკური მეცნიერება არ შეისწავლის.**

ეკონომიკური მოვლენებისა და მატერიალური საგნების საერთო ჩამონათვალის დასახასიათებლად, რომლებიც ექვემდებარებიან ბუღალტრულ აღრიცხვას, გამოიყენება ცნება „აღრიცხვის ობიექტი“. ობიექტი აღნიშნავს მატერიალურ ნივთს. ფილოსოფიური გაგებით ობიექტი გამოხატავს იმას, რაც სუბიექტის პირისპირ დგას მის პრაქტიკულ და შემეცნებით საქმიანობაში.

ბუღალტრული აღრიცხვა ასახავს რა უკუკავშირს მართვის სისტემაში, ერთის მხრივ, ვარაუდობს მართვის სუბიექტს, ე. ი. იმ ორგანოს, რომელიც მიზანმიმართულად იყენებს სააღრიცხვო ინფორმაციას; მეორე მხრივ, მოიცავს იმ ობიექტებს, რომელთა გარეშე რეალური სამეურნეო საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია და რომლებიც შეისწავლება და შეიცნობა მართვის სუბიექტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით. ეს ობიექტები არსებობენ, როგორც სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებელი ელემენტები, მაგრამ ყველა ისინი არ აღირიცხებიან ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით. ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვის საგანია მხოლოდ ის ობიექტები, რომელთა ფულად საზომ ერთეულში გამოხატვა შესაძლებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ნატურალურ საზომ ერთეულებს არ იყენებს.

ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებს მიეკუთვნება ეროვნული მეურნეობის ყველა რგოლის მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივები და მათი ცვალებადობა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ე. ი. სამეურნეო საშუალებები, მათი წარმოქმნის წყაროები და მათში მომხდარი ცვლილებები.

ბუღალტრული აღრიცხვა სწავლობს მატერიალური დოვლათის წარმოება-განაწილების პროცესში საწარმოს საშუალებების, მათი შექმნის წყაროების მოძრაობის ფორმას და მომხდარ ცვლილებებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად კვლევის ობიექტი და საგანი გაიგივებულია ერთიმეორესთან, რაც სწორი არ არის. ობიექტი ეს არის რეალურად არსებული ნივთები, რომლებიც აღრიცხვას ექვემდებარებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მეცნიერული დისციპლინის საგანია. მეცნიერების საგანი ეს არის ყოველმხრივ შესასწავლი, გამოსაკვლევი ურთიერთობა ეკონომიკურ მოვლენებს შორის.

ყველა ეკონომიკური მეცნიერება, რომელთა რიცხვში შედის ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერება, შეისწავლიან საწარმოო ურთიერთობას, რომლებიც არის მათი საერთო შესწავლის ობიექტი და დაკონკრეტება ხდება თითოეული ეკონომიკური მეცნიერების კვლევის საგანში. ბუღალტრული აღრიცხვის საგანია განუწყვეტელი კვლავწარმოების პროცესი, რამდენადაც იგი (ბუღალტრული აღრიცხვა) არის მისი შემადგენელი ნაწილი, მისი საგანი მოიცავს კვლავწარმოების პროცესის განსაზღვრულ ნაწილს.

ჩვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვა ზოგადად აკვირდება და შეისწავლის საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებას, რომელიც თავისთავში მოიცავს მის წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და ნაწილობრივ მოხმარებას. ბუღალტრული აღრიცხვისათვის დამახასიათებელია ინფორმაციის განზოგადება ღირებულებით მაჩვენებლებში, რაც ეყრდნობა ნატურალურ და შრომით საზომ ერთეულებში გამოხატულ დეტალურ ანალიზურ მაჩვენებლებს.

ბუღალტრული აღრიცხვა იკვლევს საწარმოების სამეურნეო საშუალებების, მათი წარმოქმნის წყაროების, განხორციელებული სამეურნეო პროცესების და მათი შედეგების მოძრაობას ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში.

ჩვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვის, როგორც მეცნიერების, კვლევის საგანია კვლავწარმოების პროცესში წარმოქმნილი ურთიერთკავშირები საწარმოს აქტივებს, მათი დაფინანსების წყაროებს, შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზანია განმაზოგადებელ ფულად საზომ ერთეულში ასახული, საწარმოთა სამეურნეო საშუალებების, მათი დაფინანსების წყაროების, და მათში მომხდარი ცვლილებების შედეგად დამდგარი ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება.

ბუღალტრული აღრიცხვის საგნის ობიექტებია სამეურნეო საშუალებები, მათი შექმნის წყაროები და მათში მომხდარი ცვლილებები ანუ სამეურნეო პროცესები. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

სამეურნეო საშუალებები არის „აქტივები“, რომლის ქვეშაც იგულისხმება რესურსები, მარაგი და ფულადი საშუალებები.

სამეურნეო საშუალებები კვლავწარმოების პროცესში თავისი ფუნქციური როლის მიხედვით იყოფა: წარმოების სფეროს და არასაწარმოო სფეროს საშუალებებად. წარმოების სფეროს საშუალებები თავისთავად იყოფა: წარმოების საშუალებად და მიმოქცევის (რეალიზაციის) საშუალებებად. ხოლო, წარმოების საშუალებები იყოფა: 1. შრომის საშუალებებად; 2. არამატერიალურ აქტივებად და 3. შრომის საგნებად.

საბუღალტრო აღრიცხვის კვლევის საგანი ფართოა და მას მიეკუთვნება აგრეთვე ზემოთ აღნიშნული სამეურნეო საშუალებების ის ობიექტები, რომლებიც დაყოფილია სხვადასხვა კუთხით და ნიშნის მიხედვით რამდენიმე კლასად. სამეურნეო საშუალებების კლასიფიკაციის დაწვრილებით განხილვა ამ სტატიაში აუცილებლობად არ მიგვაჩნია.

ყველა მეცნიერებას აქვს თავისი კვლევის საგნის შემსწავლელი მეთოდები. **კვლევის მეთოდები** არის საგნის შესწავლისადმი მიდგომის წესი, ხერხი. საგანი მრავალწახნაგაა და მრავალი მხრიდან მოითხოვს შესწავლას, გამოკვლევას. ამდენად, არ შეიძლება მისი შესწავლა ერთი რომელიმე მეთოდით, რაც არ უნდა უნივერსალური იყოს იგი.

ბუღალტრულ აღრიცხვას, როგორც მეცნიერებას აქვს თავისი კვლევის საგნის შესწავლის მეთოდები.

მეთოდი (ცნება, ტერმინი) ბერძნულია და აღნიშნავს (განმარტავს) ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის ხერხების სისტემას. მეთოდი გულისხმობს მიზნის მიღწევის გზას, წესს, შემეცნების საშუალებას, შესასწავლი საგნის აღქმის ხერხს. მეთოდი არის ობიექტური და სწორი, თუ ის შეესაბამება შესასწავლ ობიექტს. შემეცნების ყველა მეთოდს საფუძვლად უდევს სინამდვილის ობიექტური კანონები.

დღეს კვლევის საგნის შემსწავლელი **მეცნიერული მეთოდების კლასიფიკაცია შემდეგნაირად ხდება: საყოველთაო მეთოდი; საერთო მეთოდები და სპეციალური ანუ კერძო მეთოდები.**

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ყველა მეცნიერებისათვის საყოველთაო და ერთადერთი დიალექტიკური მეთოდი.

დიალექტიკური მეთოდის ობიექტურ საფუძველს შეადგენს მატერიალური სამყაროს განვითარების ზოგადი კანონები. ეს მეთოდი არ ცვლის სხვა მეცნიერებების მეთოდებს, არამედ წარმოადგენს მათ საერთო ფილოსოფიურ საფუძველს და გამოდის ყველა დარგში შემეცნების იარაღად. დიალექტიკა ერთდროულად არის სამყაროს გარდაქმნის მეთოდიც.

ყველა მეცნიერების ერთადერთი და საყოველთაო მეთოდი არის დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ყველა მეთოდის საფუძველია. დიალექტიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „დიალოგ“, რაც ნიშნავს საუბრის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნებას – მიაღწიო ჭეშმარიტებას მოწინააღმდეგეთა მსჯელობაში.

დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, ადამიანის საზოგადოების და აზროვნების ცვალებადობის, მოძრაობისა და განვითარების ზოგადი კანონების შესახებ. იგი ბუნებისა და საზოგადოების მარად მოძრავ და ცვალებად მოვლენათა შემეცნების მეცნიერული მეთოდია.

ყველა მეცნიერების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ფილოზოფია ანუ დიალექტიკა, რომელიც მეცნიერებებს აიარაღებს თეორიული აზროვნების პრინციპებით, ხერხებით და ამით ხდის მათ ეფექტურს და აჩვენებს შეგნებულ მუშაობას.

აზროვნების მეთოდებს, რომლებსაც ყველა მეცნიერება იყენებს თავისი საგნის შესწავლის დროს, მიეკუთვნებიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დაწყვილებული მეთოდები, რომლებიც ურთიერთკავშირშია და ურთიერთს განაპირობებენ. ასეთ მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი წყვილი მეთოდები: ანალიზი და სინთეზი; დედუქციის და ინდუქციის; აბსტრაქცია და განზოგადება და სხვ.

ანალიზი და სინთეზი არის ნაწილების მთელთან და მთელის ნაწილებთან შეხამება. ანალიზი და სინთეზი ობიექტური სინამდვილის შეცნობის ერთიანი პროცესის განუყოფელი მხარეებია. ეკონომიკური პროცესების და მოვლენების შესწავლისას გამოიყენება ანალიზი – მოვლენის დანაწილება, დაყოფა ცალკეულ ელემენტებად და თითოეული ამ ელემენტის, როგორც მთელის აუცილებელი ნაწილის, შესწავლა.

სინთეზი არის ობიექტის შესწავლის მეთოდი მისი ნაწილების ურთიერთკავშირში და მთლიანობაში (ერთიანობაში). სინთეზი დაკავშირებულია ანალიზთან, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა ანალიზის პროცესში დანაწევრებული ობიექტების შეერთების, მათ შორის, კავშირის დადგენის და საგნის შეცნობის როგორც ერთიანი მთლიანის.

ანალიზი და სინთეზი გარკვეული მიმართებით საპირისპირონი არიან, ანალიზი არის აზრის მოძრაობა მთელიდან ნაწილისაკენ, ხოლო სინთეზი კი არის აზრის მოძრაობა ამის საპირისპიროდ მიმართული – ნაწილებიდან, კომპონენტებიდან მთელისაკენ.

დედუქცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს – გამოყვანას, ბჭობას. იგი დასკვნის გაკეთების ერთ-ერთი ძირითადი წესი და კვლევის მეთოდია. დედუქციის ცნებაში ფართო აზრით იგულისხმება ყოველგვარი დასკვნა საერთოდ. ხოლო, სპეციფიკური და საყოველთაოდ მიღებული აზრით – დასაბუთება, ანუ მტკიცების გამოყვანა ერთი ან რამდენიმე სხვა მტკიცებიდან ლოგიკის კანონების საფუძველზე, რომლებსაც სარწმუნო ხასიათი აქვთ.

დედუქციური მეთოდი არის მეცნიერული ცოდნის აგების ერთ-ერთი შესაძლებელი მეთოდი. იგი არის შესწავლის მეთოდი საკვლევი ობიექტის ზოგზადი მდგომარეობის შესწავლით. ხოლო შემდეგ ხდება მისი შემადგენელი ელემენტების შესწავლა. ე.ი. კვლევა მიმდინარეობს საერთოდან კერძოსკენ. პრაქტიკულად კვლევა იწყება სინთეზური აღრიცხვის მონაცემებით და დაიყვანება ანალიზური აღრიცხვის მაჩვენებლამდე.

დედუქციური მეთოდით გაკეთებული დასკვნები გამოიყენება ემპირიული მონაცემების, დაგროვილი ფაქტების შესასწავლად, ხოლო ფაქტებზე დაყრდნობა თეორიული დასკვნების წინა პირობაა.

ინდუქცია როგორც კვლევის მეთოდი, მიჩნეულია მოვლენათა ცდისეული კვლევის გზად, რომლის პროცესშიც ცალკეული ფაქტებიდან ხდება გადასვლა ზოგად დებულებებზე.

სამეწარმეო საქმიანობის შესწავლის პროცესში ერთმანეთს ერწყმის კვლევის დედუქციური და ინდუქციური მეთოდები.

კვლევის დედუქციური და ინდუქციური მეთოდები არიან ურთიერთშემავსებელი და ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არ გამოიყენება. დიალექტიკური მეთოდი დედუქციურ და ინდუქციურ მეთოდად განიხილავს არა როგორც უნივერსალურ თვითკმარ მეთოდებს, არამედ, როგორც სინამდვილის დიალექტიკური შემეცნების განუყოფლად დაკავშირებულ ურთიერთგანმსაზღვრელ მომენტებს. რეალურ შემეცნებაში ინდუქცია ყოველთვის გამოდის დედუქციასთან ერთიანობაში.

საერთო მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე: აბსტრაქციის და განზოგადების მეთოდი. **აბსტრაქცია** ლათინური სიტყვაა და ნიშნავს – მოცილებას, მოშორებას, განყენებას, საგნის ან მოვლენის არარსებითი ნიშნის უგულვებელყოფას და არსებითი ნიშნის გამოყოფას აზროვნებაში.

ეკონომიკური მოვლენების და პროცესების მეცნიერული ანალიზი და შესწავლა შემუშავებულია ლოგიკური აბსტრაქციის გარეშე, ვინაიდან ისინი უსასრულოდ რთულია და უამრავ კავშირურთიერთობაში იმყოფებიან.

მეცნიერული აბსტრაქცია ეკონომიკაში გულისხმობს ანალიზის და სინთეზის გამოყენებას. აბსტრაქტიზების პირველ საფეხურზე იწყება მოვლენის, საგნის ანალიზური დანაწილება. ზედაპირული მხარეების შესწავლის შემდეგ კი იკვლევს სიღრმისეულ მხარეებს და არსს.

სინთეზი გულისხმობს მოძრაობას გრძნობადი კონკრეტულიდან აბსტრაქტიულისაკენ, **ანალიზი** – აბსტრაქტიულიდან კონკრეტულისაკენ, რითაც მთავრდება არსის გახსნა.

აბსტრაქტული და კონკრეტული ერთიანობაში, დიალექტიკურ ურთიერთკავშირში არიან. აბსტრაქტული რაღაც კონკრეტულის გარეთ კი არ არსებობს, არამედ თვითონ მას-შია, იგი კონკრეტულიდან გამომდინარეობს, გამოიყვანება.

ამდენად, ყოველ სამეცნიერო ძიების მეთოდებს წარმოადგენს – აბსტრაქცია და განზოგადება.

მეცნიერული კვლევის სპეციალური მეთოდების ჯგუფს მიეკუთვნება მეცნიერების რომელიმე დარგის მიერ გამოყენებული, საკუთარი კვლევის საგნის თავისებურებების ამსახველი კერძო სპეციალური მეთოდები.

დასახელებულ ჯგუფში განიხილება ისეთი მეცნიერებების მეთოდები, რომლებიც არიან: მონათესავე, მომიჯნავე არიან. ვიდრე ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერების საკუთარ მეთოდს განვიხილავდეთ, მანამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი მეცნიერებების და სხვა მომიჯნავე მეცნიერებების მეთოდებიც გავაშუქოთ, რომლებსაც ბუღალტრული აღრიცხვა იყენებს თავის კვლევის საქმეში. ესენია:

დაკვირვების მეთოდი. იგი სტატისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის საგნის შესწავლის დროს. ეს მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური მონაცემების შეგროვებას, რომელიც მოიცავს სამ ეტაპს: ა) მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას; ბ) მონაცემების უშუალოდ შეგროვებას; გ) შეკრებილ მონაცემთა სისწორის შემოწმებასა და კონტროლს.

სამეწარმეო საქმიანობის მიმდინარეობაზე სტატისტიკური დაკვირვება ხორციელდება შემდეგი ხერხებით: 1. უშუალო დაკვირვებით; 2. დოკუმენტური დაკვირვებით და 3. გამოკითხვით.

დაკვირვების ერთ-ერთი ხერხია გამოკითხვა, რომლის დახმარებითაც კლიენტიდან მიიღება წერილობითი ან ზეპირი ინფორმაცია. განასხვავებენ შერჩევით (არასრულს) და მთლიან (სრულ) დაკვირვებას. შერჩევითი დაკვირვება არის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ხერხი.

სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი. ცნება „სტრუქტურა“ ნიშნავს წყობას, აგებულებას, ურთიერთკავშირს, შემადგენელი ნაწილების ურთიერთგანპირებულობას. მისი არსებითი ნიშანია მყარი წესრიგი, შინაგანი ორგანიზაცია. იგი ამ ელემენტების ურთიერთკავშირების არსის გამოვლენაა.

გამოყოფენ სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდის შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1. შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციას, 2. ინტეგრაციისა და დიფერენციაციას; 3. მართვადი და მართული ქვესისტემების იერარქიას და 4. უკუკავშირის პრინციპი, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ელემენტთა ურთიერთზემოქმედება.

ეს მეთოდი გულისხმობს საგნის ან მოვლენის ცალკეულ ნაწილთა, როგორც სტრუქტურული აღნაგობის ისე ფუნქციურ კავშირურთიერთობის დადგენას. იგი მხოლოდ უკავშირდება სისტემურობის პრინციპს. ამიტომ, აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს სისტემური ანალიზის გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. განსახილველი მეთოდი გულისხმობს შემდეგს:

1. რთული ობიექტის დანაწილებას შემადგენელ ელემენტებად, მათი კავშირებისა და მიმართებების შესწავლას.

2. ყველა ამ შემადგენელ ნაწილთა ადგილისა და როლის განსაზღვრა ობიექტის ფუნქციონირებაში.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები. ეს მეთოდები გამოიყენება საფინანსო-სამეწარმეო საქმიანობის კონტროლში, სხვადასხვა ფაქტორის გავლენის განსაზღვრისას, სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე მათი ოპტიმიზაციის მიზნით დაგეგმვისა და დაპროექტ-

ბის სტადიაზე. ეს მეთოდები დაწვრილებით გამოიყენება პროდუქციის თვითღირებულე-ბის კორელაციური ანალიზის დროს.

ბუღალტრულ აღრიცხვას მჭიდრო კავშირი აქვს მათემატიკასთან, თავის მუშაობაში ბუღალტერს კავშირი აქვს მათემატიკურ მოქმედებებთან, დაწყებული მარტივი და რთუ-ლი პროცენტის გამოანგარიშებიდან, დამთავრებული უფრო რთული მოქმედებების შეს-რულებით.

გამოჩენილი მათემატიკოსებიდან მრავალი, უწინარეს ყოვლისა ორმაგი (ორადი) ბუ-ღალტერიის პირველი ტრაქტატის ავტორი ლუკა პაჩიოლი – ბუღალტრულ აღრიცხვას გა-ნიხილავდნენ, როგორც გამოყენებითი მათემატიკის კერძო შემთხვევას. ამჟამად ბუღალ-ტერს მათემატიკა უნდა არა მარტო არითმეტიკული მოქმედებების შესასრულებლად, არა-მედ ამა თუ იმ წმინდა ბუღალტრული მოდელის ასაგებად, სხვადასხვა სააღრიცხვო პრო-ცედურის აღწერისათვის.

მათემატიკა საჭიროა სააღრიცხვო პროცესების ალგორითმიზაციისათვის. ეს ვარაუ-დობს სააღრიცხვო ამოცანის აღწერას (ალგორითმის აგება) და კომპიუტერზე პროგრამის შედგენას და მის რეალიზაციას.

საკუთრივ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებია: დოკუმენტაცია და ინვენტარიზა-ცია; ანგარიშები და ორმაგი აღრიცხვა; შეფასება და კალკულაცია; ბალანსი და ანგარიშგება.

ბუღალტრული აღრიცხვის ბალანსური მეთოდი წარმოადგენს განუწყვეტლივ ცვა-ლებადი მოვლენის ან პროცესის გამაწონასწორებელი ელემენტების რაოდენობრივი გამო-ხატულების შეფასებას ფულად საზომ ერთეულში. ინფორმაციის საბალანსო განზოგადება ფართოდ გამოიყენება ბიზნესში, სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვაში, ბუღალტრულ აღ-რიცხვაში, ეკონომიკურ ანალიზში და ა. შ.

საბალანსო მეთოდისათვის დამახასიათებელია მაჩვენებლების თანაბრობა. ბალანსის მაჩვენებლების ორი ერთობლიობა ტოლი (თანაბარი) უნდა იყოს.

ცნება ბალანსი ლათინურია და ნიშნავს ორთეფშოვანს, იგულისხმება სასწორის ორი თეფშის თანასწორობა. ცნება ბალანსი ფრანგულადაც სასწორს, წონასწორობას ნიშნავს.

ტერმინი ბალანსი პირველად გამოჩნდა (გვხვდება) XIV საუკუნის ბოლოს საბანკო და საფინანსო ანგარიშგებებში. კომერსანტების მიერ ბალანსის გამოყენების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, ამიტომ დასახელებულია მიახლოებითი თარიღები: 1399 წ., 1427 წ. და 1495 წ.

ბალანსი საწარმოს გარკვეულ მაჩვენებელთა შორის წონასწორობაა. ისტორიულად, ეკონომიკური წონასწორობის პირველი ცდა ბუღალტრული ბალანსი იყო. ბუღალტრული ბალანსის აგების საფუძველია ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების ორობითი დაჯგუ-ფება – სამეწარმეო საქმიანობის პროცესში მათი ფუნქციური როლისა და წარმოქმნის წყა-როების მიხედვით. ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტები ბუღალტრულ ბალანსში ღებუ-ლობენ ორობით დაჯგუფებას, ხოლო ინფორმაცია მათ შესახებ – მოწესრიგებულ ასახვას ერთიან ფულად საზომ ერთეულში.

ბუღალტრული ბალანსი არის საწარმოს სამეურნეო საშუალებების ორმხრივი ასახვა მათი შედგენილობის და განლაგების მიხედვით ერთი მხრივ, და მათი ფორმირების წყა-როების მიხედვით, მეორე მხრივ, ფულად საზომ ერთეულებში, დროის განსაზღვრული მომენტისათვის.

ბუღალტრული ბალანსის მნიშვნელოვანი თავისებურებებია ის, რომ საწარმოს სამე-ურნეო საშუალებებს და მათი წარმოქმნის წყაროებს ასახავს ორ ჯგუფში ვერტიკალურად დანაწილებულს, ერთის მხრივ, აქტივში, ხოლო მეორეს მხრივ, პასივში. აქტივის ჯამი ყო-ველთვის ტოლი უნდა იყოს პასივის ჯამის. ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს აღრიცხვის ერთ ობიექტთან, მეურნეობის საშუალებებთან, რომლებსაც ორი მიდგომით განვიხილავთ: ერ-თის მხრივ, რა არის და მეორეს მხრივ, საიდან არის მიღებული.

ბუღალტრული აღრიცხვა საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების ანუ სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვისათვის იყენებს ორადი (ორმაგი) ჩაწერის მეთოდს.

დასაწყისშივე უნდა შევნიშნოთ, რომ ცნება „ორმაგი ჩაწერა“ არასწორად დამკვიდრდა ქართულ ენაში, სხვა ენიდან არაზუსტი თარგმანის მიზეზით. ჩვენი აზრით, ქართულად ორმაგი ჩაწერის („ორმაგი აღრიცხვის“) ნაცვლად უნდა ვიხმაროთ გამოთქმა „ორადი ჩაწერა“. ვინაიდან ერთი და იგივე თანხა ბუღალტრული აღრიცხვაში იწერება ორ ან მეტ ანგარიშებში და არაა გაორმაგებული. მაგალითად, ერთი და იგივე თანხა იწერება ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში, ან ერთი ანგარიშის დებეტში და რამდენიმე ანგარიშის კრედიტში, ან პირიქით, რამდენიმე ანგარიშის დებეტში და ერთი ანგარიშის კრედიტში.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერ-ავტორების აზრს, რომლებიც მართებულად თვლიან (მიიჩნევენ), რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა ვიყენებდეთ გამოთქმას „ორადი ჩაწერის“ მეთოდს და არა „ორმაგი ჩაწერის“ მეთოდს.

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის ორადი (ორმაგი) ჩანაწერის წესს და ბალანსის სტრუქტურას როცა გაეცნო, დიდი მწერალი და მოაზროვნე ი. ვ. გოეთე განცვიფრდა და რომანში „ვიჰელ მესტროს განსწავლის წლები“ ამის შესახებ ჩაწერა შემდეგი გენიალური გონებამახვილური აზრი: „ორმაგი (ორადი) ბუღალტერია ეს არის ადამიანის გონების ერთ-ერთი უმშვენიერესი აღმოჩენა“. იგი ყოველმა კარგმა მეპატრონემ უნდა გამოიყენოს თავის მეურნეობაში. ი. ვ. გოეთეს ეს მახვილსიტყვაობა ბუღალტერიაზე აღნიშნავს იმას, რომ ორადი ბუღალტერია უნდა გამოიყენონ ყველა მეურნეობაში და ოჯახში.

ამრიგად, სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ასახვა ხდება ურთიერთკავშირში ორადი ჩაწერის წესით. ორადი ასახვის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი და იგივე ოპერაციის თანხა აუცილებლად უნდა ჩაიწეროს ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში, ან ერთი ანგარიშის დებეტში და რამდენიმე ანგარიშის კრედიტში, ანდა პირიქით, მაგრამ ყველა შემთხვევაში, სადებეტო ჩანაწერების ჯამი საკრედიტო ჩანაწერების ჯამის ტოილ უნდა იყოს.

პრაქტიკულად ორადი ასახვის მეთოდის გამოყენება ხდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებზე ან სპეციალურ ბლანკზე იმის მითითებით, დოკუმენტში აღნიშნული ოპერაციის თანხა რომელი ანგარიშის დებეტში და რომელი ანგარიშის კრედიტში უნდა ჩაიწეროს. ორადი ჩაწერა გახდა რა ბუღალტრული აღრიცხვის განუყოფელი ნაწილი, მთელი აღრიცხვა გადააქცია მწყობრ სისტემად. ორადი ჩაწერის ბუნების ახსნაში ასახვას პოულობს ბუღალტრული აღრიცხვის მთელი გააზრება.

2. ეკონომიკური ანალიზის ობიექტი, საგანი და მეთოდები

საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველი ინფორმაცია, რომელსაც ბუღალტრული აღრიცხვა ამზადებს, მენეჯმენტს სჭირდება შეაფასოს, რამდენად ეფექტიანადაა გამოიყენებული მასზე მინდობილი რესურსები. ხელმძღვანელობას აინტერესებს, რა გზებით შეიძლება გაუმჯობესდეს საწარმოს გადახდისუნარიანობა, გაიზარდოს მომგებიანობა, შემცირდეს რისკები და ა.შ. ამგვარი ღონისძიებების შემუშავება შესაძლებელია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ჩატარებით.

სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი (ბიზნესის ანალიზი) არის მეცნიერება საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რომელიც შეისწავლის სამეურნეო პროცესების შედეგების დამახასიათებელ მაჩვენებლებს ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში.

ეკონომიკური ანალიზი შეისწავლის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, როგორც ობიექტურად მომხდარ მოვლენას, რომელიც წარმოიქმნება წარმოებითი ურთიერთობის პროცესში. ეკონომიკური ანალიზის არსი ობიექტური სინამდვილის შესწავლაში მდგომარეობს. ობიექტური სინამდვილის შეფასების კრიტერიუმების არასწორი შერჩევა ან არასწორი ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის გაკეთება მცდარ შედეგს იძლევა და თავის მიზანს ვერ აღწევს.

ცოდნის თითოეული დარგი მოიცავს თავის, საკმარისად ზუსტი საკითხების წრეს, რომლის გამოსაკვლევადაც მოწოდებულია იგი. ამ საკითხების წრე ქმნის ობიექტს, ანუ საგანს მოცემული ცოდნისას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესასწავლი მატერიალური საგნების წრე შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე დარგის მეცნიერების გამოკვლევის საგანი. მაშინ, მათ შორის განსხვავება განიხილება თითოეული კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე განსაკუთრებული პოზიციებიდან, რაც დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული ცოდნისათვის.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია ეკონომიკური ცოდნის დამოუკიდებელი (თავისთავადი) დარგების (დისციპლინები) წარმოქმნა, რომლებიც სწავლობენ ეკონომიკური სისტემის ცალკეულ მხარეს ან ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგის ეკონომიკას, ხოლო თითოეული ნაწილი შეისწავლება სპეციალური სამეცნიერო დისციპლინით.

სპეციალურ ეკონომიკურ მეცნიერებებს თავის საგნად აქვთ არა ეკონომიკური სისტემა მთლიანად, არამედ მისი ცალკეული მხარე ანუ არსებითი ნიშანი. ისინი შეისწავლიან ეკონომიკური კანონების კონკრეტული მოქმედების მექანიზმს და ფორმებს.

დარგობრივი ეკონომიკები შეისწავლიან ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში საწარმოო ურთიერთობის სპეციფიკას საწარმოო ძალებთან ურთიერთმოქმედებაში. ისინი იკვლევენ ტექნიკურ-ეკონომიკურ კავშირებს და ურთიერთობას.

ეკონომიკური ანალიზის შესწავლის საგანია მატერიალური დოვლათის კვლავწარმოება იმ სახით, როგორც ის ხორციელდება საწარმოს ფარგლებში და ასახულია აღრიცხვის ციფრებში. ანალიზის საგანი თავისი შინაარსით ბუღალტრული აღრიცხვის საგნის იგივეობაა.

ეკონომიკურ ანალიზს მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიკის პრინციპებთან, სტატისტიკასთან და უწინარეს ყოვლისა ეკონომიკურ სტატისტიკასთან. ეკონომიკურ სტატისტიკაში შემუშავებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ანალიზის ჩატარების დროს.

ეკონომიკური ანალიზი დაკავშირებულია ტექნიკურ მეცნიერებებთანაც. ეს განპირობებულია ტექნიკისა და ეკონომიკის, მწარმოებლური ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ურთიერთდამოკიდებულებით.

ყოველ მეცნიერებას აქვს კვლევის საკუთარი საგანი და მისი ყოველმხრივი შესწავლისთვის მრავალი მეთოდი. სინამდვილის, საგნებისა და მოვლენების შემეცნების მეთოდი თვით საგნებისა და მოვლენების თავისებურებაზეა დამოკიდებული. იგი (მეთოდი) დამოკიდებულია ამ საგანთა და მოვლენათა მოძრაობისა და განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებაზე.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი ეს საგნის შესწავლისადმი საერთო მიდგომაა და მეცნიერული აზროვნების საფუძველია, რომელიც დიალექტიკურ კანონებს ემყარება.

ყოველი მეცნიერება წლითი-წლობით ვითარდება და იხვეწება მისი კვლევის მეთოდებიც. მეთოდები გამოიყენება კვლისათვის. მეთოდი მოვლენების შესწავლისადმი გარკვეული მიდგომაა.

ეკონომიკური ანალიზის მეცნიერება კვლევა-ძიებაში მეთოდთა მთელ სისტემას ემყარება. ეკონომიკური ანალიზი, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა მეცნიერებანი, პირველ რიგში მიმართავს შესასწავლი მოვლენის დაკვირვებას.

ეს მეთოდი მოითხოვს ეკონომიკური მოვლენების და პროცესების განხილვას მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ასეთი კავშირები იმანენტურად გულისხმობს მოძრაობას, ამიტომ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები უნდა გავაშუქოთ დინამიკურობაში, გავარკვიოთ მათი რაოდენობრივი და თვისობრივი განსაზღვრულობანი, დავადგინოთ მთელი ამ პროცესის შინაგანი იმპულსი, წყარო.

მთელი თავისი ობიექტურობითა და კონკრეტულობით, ობიექტის გააზრება ნიშნავს ამ ობიექტის წვდომას განვითარებაში. ამიტომ შემეცნების წესთა მრავალფეროვნებაში გამოყოფენ ორ მეთოდს: ისტორიულსა და ლოგიკურს.

ისტორიული მეთოდი დაკავშირებულია ობიექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპის გაშუქებასთან. მათ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში, ისტორიული გამოვლენის კონკრეტულ ფორმაში.

ლოგიკური მეთოდი თავის მიზნად ისახავს მოახდინოს ისტორიული პროცესის არსების, მთავარი შინაარსის რეპროდუქცია (წარმოსახვა) თეორიულ ფორმაში, აბსტრაქციათა სისტემაში.

ეკონომიკურ მოვლენათა დიალექტიკური შემეცნების პროცესში აუცილებელია ისტორიული და ლოგიკური მეთოდების თანამიმდევრული გამოყენება, მათ თანაფარდობაში ლოგიკური მეთოდის, როგორც კვლევა-ძიებისა და დასაბუთების წესების ერთიანობის წინა პლანზე წამოწევა.

ისტორიული და ლოგიკური გამოკვლევა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ისტორიული მეთოდი ლოგიკურის გარეშე ბრმაა, ხოლო ლოგიკური რეალური ისტორიის შესწავლის გარეშე, უსაგნოა.

ეკონომიკურ კვლევაში განსაკუთრებით გაძლიერდა ფსიქოლოგიური მეთოდის როლი. თანამედროვე პირობებში ფსიქოლოგიურმა მეთოდმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამრიგად, დასავლეთის ეკონომიკური თეორიები არსებითად ფსიქოლოგიურ რელსებზე მოძრაობენ და დიდ წარმატებასაც აღწევენ.

ფსიქოლოგიური შემეცნების როლი ეკონომიკურ კვლევაში კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ დიალექტიკა ყოველთვის იქნება ერთ-ერთი მთავარი მეთოდი. ფსიქოლოგიური ფაქტორი აქტიურად ჩადგა შრომის ნაყოფიერების ამაღლების სამსახურში. მანქანები და მოწყობილობები უნდა იყოს არა მარტო ტექნიკურად ეფექტური, არამედ ესთეტიკურიც, ადამიანის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თვისებებთან შეხამებული.

მეცნიერული კვლევა იწყება პრობლემის დასმით. პრობლემის ცნება, როგორც წესი უკავშირდება იმას, რაც ჯერ არ არის შემეცნებული და ამიტომ პრობლემის არსი წინასწარ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ის, რაც არ არის შემეცნებული ადამიანის მიერ და რაც უნდა შემეცნებული იქნას.

პრობლემები, ახალი ცოდნისაკენ მისწრაფების სახით, ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის მოთხოვნილებებიდან აღმოცენდებიან. მეცნიერებამ განვითარების გარკვეულ საფეხურს უნდა მიაღწიოს, რათა მას ჰქონდეს აუცილებელი და საკმაო საფუძველი გარკვეული პრობლემის დასმისათვის.

პრობლემის დასმა აუცილებლად შეიცავს მისი გადაწყვეტის გზების წინასწარ, თუნდაც არასრულყოფილ ცოდნას. როგორც პრობლემის დასმისათვის, ასევე მისი გადაწყვეტისათვის საჭიროა ფაქტები.

ფაქტი ის არის, რომ დასაბუთებულია, როგორც ობიექტურად ჭეშმარიტი და თავის ამ შინაარსში ამგვარივე რჩება. ფაქტების დაგროვება მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან-

ნი ნაწილია, მაგრამ ის თავისთავად არ წყვეტს პრობლემას. აუცილებელია დაგროვილი ფაქტების სათანადო მეთოდებით დამუშავება და შესწავლა.

ეკონომიკური ანალიზი თავისი საგნის კვლევის დროს იყენებს შემდეგ სპეციალურ მეთოდებს:

შედარების მეთოდი. შედარება არის ყურადღების მიმართვა ორ საგანზე ერთდროულად, ან რაც იგივეა, საგანსა და მის თვისებებზე. თუ ყურადღება ექცევა ერთდროულად ორ საგანს, მაშინ გამოჩნდება მათ შორის მსგავსება და განსხვავება და მათი ურთიერთმიმართება. შედარებისას უკეთ ჩანს საგანთა და მოვლენათა არსი.

შედარება, ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი პირველი მეთოდია. შესადარებელი მაჩვენებლების ურთიერთდაპირისპირებაში ვლინდება დადებითი და უარყოფითი მხარეები სამეწარმეო საქმიანობაში.

შედარება ყველაზე ადრეული და გავრცელებული წესია. ეკონომიკურ ანალიზში შედარების წესი ითვლება ერთ-ერთ წამყვან მეთოდად. შედარებით იწყება ეკონომიკური ანალიზი. შედარების მეთოდის გამოყენების დროს შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ შესადარებელი მაჩვენებელი. ამისათვის საჭიროა ფასების ერთგვაროვნება, საანგარიშგებო პერიოდების შესაბამისობა და ა. შ.

შედარება იწყება მოვლენათა შედარებით, რომლის საშუალებითაც გაანალიზდება შესადარებელი მოვლენები, გამოიყოფა მათგან საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. ანალიზის შედეგად გამოვლენილი საერთო შტრიხები, თავის მხრივ ერთიანდებიან, სინთეზირდება და მოვლენის განზოგადება ხდება.

შედარება – ეს კონკრეტული ფორმაა სინთეზისა და ანალიზის ურთიერთკავშირის, განხორციელებული ემპირიული განზოგადებით და მოვლენათა კლასიფიკაციით. შედარება, როგორც შემეცნების წესი ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში.

დეტალიზაციის (დანაწილების) მეთოდი ანუ მთელის დანაწილება მის შემადგენელ ელემენტებად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. ამ მეთოდის მიზანია სინთეზური მაჩვენებლების დაშლა მარტივ შემადგენელ ელემენტებად და მათი უფრო დეტალურად და ღრმად შესწავლა. მოვლენის არსში ჩაწვდომა, რომლის საფუძველზეც სწორი დასკვნები გაკეთდება.

დაჯგუფების მეთოდი. დანაწევრების მეთოდის გამოყენებით მიღებული მაჩვენებლები უნდა დაჯგუფდეს ერთგვაროვანი ნიშნის მიხედვით. დაჯგუფების მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკური მოვლენების და პროცესების ზოგადი ნიშან-თვისებების გამოკვლევას.

დაჯგუფება ყველა სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევის განუყოფელი ნაწილია. ის საშუალებას იძლევა, ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა შეასწავლილ იქნას მათ ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობაში. გამოვლინდეს შესასწავლ მაჩვენებლებზე ყველაზე არსებითი, განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენა, აღმოვაჩინოთ ესა თუ ის კანონზომიერება და ტენდენცია, რაც ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესებისადმი დამახასიათებელი. ეკონომიკური მოვლენების მეცნიერული კლასიფიკაცია, მათი გაერთიანება ერთგვაროვან ჯგუფებში და ქვეჯგუფებში შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენის გულდასმითი შესწავლის საფუძველზე. არ შეიძლება მოვლენების დაჯგუფება შემთხვევითი ნიშნების მიხედვით, არამედ საჭიროა მათი ეკონომიკური ბუნების გახსნა.

ელიმინირების მეთოდი. ტერმინი „ელიმინირება“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სიმრავლის წევრების გავლენის სიდიდის თანდათანობით გამოთიშვას, გამორიცხვას. ამ მეთოდის მთავრი ნიშან-თვისება ისაა, რომ შესადარებელი მაჩვენებლების მნიშვნელობები არის განსხვავებული, ხოლო საბაზისო მაჩვენებლის სიდიდე უცვლელი მოცემულობაა. ამიტომ,

ეკონომიკური გაანგარიშებების დროს ეკონომიკურ მოვლენაზე მოქმედებს მხოლოდ განსხვავებული მაჩვენებლების გავლენის სიდიდე.

საბალანსო მეთოდი ფართოდ გამოიყენება ანალიზის დროს. მაგალითად, სამუშაო დროის გამოყენებისას, ჩარხების პარკის გამოყენებისას, ნედლეულის მოძრაობისას, ფინანსური მდგომარეობის, ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ანალიზის დროს, თვით ბუღალტრული ბალანსის ანალიზის დროს.

გრაფიკული მეთოდი. ეკონომიკურ ანალიზში გრაფიკული (ბერძნ. ხაზვითი, დახაზული, ნახაზი) მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მაჩვენებლებს შორის ფუნქციური დამოკიდებულების გამოხატვა სიბრტყეზე გეომეტრიული ხაზების მეშვეობით.

არსებობს ეკონომიკური ანალიზის მეთოდების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. წამყვანი საკლასიფიკაციო ნიშანია მათი დაყოფა: ხარისხობრივ (არაფორმალიზებული) და რაოდენობრივ (ფორმალიზებულ) მეთოდებად.

ხარისხობრივი მეთოდები ემყარება აღწერილობით მიზეზებს და პირობებს სამეწარმეო საქმიანობის ლოგიკურ დონეზე. ისინი გამოიყენება მაშინ, როცა ობიექტი შეისწავლება ან ძალიან მარტივად ან ძალიან რთულად. არაფორმალიზებული მეთოდები ძირითადად გამოიყენება ობიექტის მდგომარეობის განუსაზღვრელი პირობების პროგნოზირებისას.

ანალიზის მეთოდების გამოყენება განისაზღვრება: ა) შესასწავლი მოვლენის მოცვის სიერციტ; ბ) ცნობილი მონაცემების ანალიზური განზოგადების დონით; გ) მოვლენების და პროცესების განვითარების პერსპექტივის აღრიცხვის ხარისხით.

ეკონომიკური ანალიზის ხარისხობრივ მეთოდებს მიეკუთვნება: შედარების მეთოდი; საექსპერტო მეთოდი; პროგნოზირების დონის მეთოდი; გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრობის მეთოდი და სხვ.

რაოდენობრივი მეთოდები – ეს ისეთი მეთოდებია, რომელთაც საფუძვლად უდევს საკმაოდ მკაცრად ფორმულირებული დამოკიდებულება ფაქტორ-მაჩვენებლების შორის და რომელიც წარმოდგენილია ფაქტორეთა კავშირის ფორმულების სახით. ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება: მათემატიკური მოდელირების მეთოდი; ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი; ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი; საინდექსო მეთოდი, ინტეგრალური მეთოდი და სხვ.

კორელაციური ანალიზის მეთოდი, კორელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას. ეს მეთოდი გამოიყენება ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს დროს მაშინ, როცა მათ შორის ფუნქციური დამოკიდებულება არ არის.

მოვლენათა განხილვა და მათი კვლევა ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამის მაგალითია პროდუქციის გამომშვების კავშირი დახარჯული შრომის რაოდენობასა და მწარმოებლურობასთან, რომელთა სიდიდე თავის მხრივ, დამოკიდებულია სამუშაო დროის გამოყენების სიდიდეზე.

სისტემური ანალიზის მეთოდი. სისტემური ანალიზი არის სისტემის შემქმნელი ობიექტის გამოკვლევის მეთოდი. სისტემური ანალიზი სამეწარმეო საქმიანობის შესწავლისას ითვალისწინებს საკვლევი ობიექტის შეფასებას მასზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. ეს მეთოდი ფართო გამოყენებას პოულობს სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზში. სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოთა სამეწარმეო-საფინანსო საქმიანობის ეფექტიანობა ეროვნული მეურნეობის ყველა რგოლში.

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში, ჩვენი თვალთახედვით, მოკლედ მიმოვიხილეთ ბუღალტრული აღრიცხვისა და საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგნის განსაზღვრისა და მათი ძირითადი მეთოდების თავისებურებები.

Chichiko Adeishvili

Professor

Essence and Methods of Economic Analysis of Entrepreneurial Activity Accounting

The work focuses on a rather urgent topic of the problematic disputable issues of the essence and methods of accounting and economic analysis as of science on a current level. The article highlights differences and similarities between the content and the essence; original interpretation of the essence. The work displays study methods of the accounting research as of the related sciences along with its own respective method (binary or digraph method). The scientific work reveals the content of economic analysis, essence and methods implementing the same approach. The abovementioned is offered by the references of the author particularly concentrating on the method of elimination.

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების საფეხურები (ეტაპები) და საქართველოში მისი გაუმჯობესების პერსპექტივები

აღრიცხვის დასაბამი (საწყისი, სათავე), მისი აღმოცენების პირველი ყლორტები სამეცნიერო წრეებისათვის სამუდამოდ დაფარულია (უცნობია). აღრიცხვა აღმოცენდა (წარმოიშვა) ძალიან ძველ წარსულში. აღმოცენდა პრაქტიკულად საჭიროებისაგან.

სამეურნეო აღრიცხვის ისტორია თითქმის ექვსი ათას (6000) წელს ითვლის. ის წარმოშვა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ხელმძღვანელობისა და კონტროლის საჭიროებამ.

არქეოლოგების და ისტორიკოსების მიერ დადგენილია წერილობითი აღრიცხვა არსებობდა XIII საუკუნეში ჩვენს ერამდე ეგვიპტეში, V-III სს. ჩვენს ერამდე ფინიკიაში და პერსიაში (სპარსეთ-ირანი). განსაკუთრებით განვითარებული იყო ის იმ პერიოდისათვის ძველ სახელმწიფოში.

მეურნეს ესაჭიროებოდა ცოდნა იმისა, თუ რამდენი და როგორი ქონება ირიცხებოდა (ითვლებოდა) მეურნეობაში, სხვას რამდენი ემართა მისი და მას რამდენი ემართა სხვისი, რამდენად ეფექტიანი მეურნეობის გაძლოა (მართვა), აღრიცხვამ მძლავრი ზიმი მისცა დამწერლობის და მათემატიკის განვითარებას.

აღრიცხვა წარმოიშვა (ჩაისახა) არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, იყო პერიოდი, როცა არ იყო აღრიცხვა საჭირო, ვინაიდან ყველა ინფორმაციას სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ერთი ადამიანის გონებაში თავდებოდა. ეს პერიოდი აღრიცხვის განვითარების ისტორიაში ცნობილია პირველ საფეხურად, როცა აღრიცხვა წარმოებს საკუთარ თავში ანუ მეხსიერებაში. აღრიცხვის განვითარების მეორე საფეხურად ითვლება პირობითი ნიშნების ანუ იეროგლიფებით აღრიცხვის პერიოდი.

აღრიცხვის განვითარების მესამე საფეხურად ითვლება დამწერლობითი პერიოდი, როდესაც თვით მწარმოებელი არის, თავისი საქმიანობის აღმრიცხველი.

წარმოების გაფართოებამ განსაზღვრულ საფეხურზე გამოიწვია სამეურნეო ფუნქციებიდან აღრიცხვის სპეციალისტების ცალკე აპარატად გამოყოფა. აღრიცხვის განვითარების ეს პერიოდი არის მეოთხე საფეხური, როდესაც სამეურნეო აღრიცხვას ატარებს (აკეთებს) სპეციალურად დაქირავებული პირები (პროფესიონალები).

სამეურნეო აღრიცხვის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიეცა XVII საუკუნის ბოლოდან. აღრიცხვა უფრო სრულყოფილი გახდა. აღრიცხვაში ფართოდ დაიწყეს გამომთვლელი აპარატის (ტექნიკის) გამოყენება. ცივილიზაციის ეპოქაში აღრიცხვის წარმოების ფორმა გამრავალფეროვნდა, მისი ტექნიკური შესაძლებლობანი უაღრესად გაფართოვდა.

ეს პერიოდი არის სამეურნეო აღრიცხვაში მეხუთე საფეხური, როდესაც ხელით შრომა შეიცვალა მანქანური შრომით (ავტომატიზაციით).

სამეურნეო აღრიცხვა, როგორც განსაზღვრული სისტემის შექმნა თავდაპირველი ფორმით შემოიფარგლება XIII-XIV საუკუნეებით.

ტერმინი „ბუღალტერი“ პირველად შემოდის ხმარებაში გერმანიაში XV საუკუნეში (1498 წ.). მ. დელა პორტმა ფრანგულ ენაში 1673 წელს შემოიტანა ცნება Comptabiete – მონაგარიშეობა.

პირველი ლიტერატურული აღწერა ორადი ბუღალტრული ჩაწერა მოგვცა იტალიელმა ბენედეტო კოტრულმა (1458 წ.). ბუღალტრული აღრიცხვის ორადი წესის გაცნობამ დიდი მწერალი და მოაზროვნე ი. ვ. გოეთეს ათქმევინა: „ორადი ბუღალტერია ეს არის ადამიანის გონების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა“.

ბუღალტრული აღრიცხვა ფართოდ განვითარდა საფრანგეთში XVII საუკუნეში, როცა შეიქმნა ანგარიშსწორების ფრანგული ფორმა.

ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ცნება აღრიცხვა საერთოდ და სამეურნეო აღრიცხვა. შესასწავლი საგანი სწორედ სამეურნეო აღრიცხვაა.

აღრიცხვა ტერმინი ნიშნავს გაცნობას, დამახსოვრებას, შესწავლას, გამოყენებას, ანალიზისა და კონტროლის მიზნით ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობაზე, აგრეთვე ბუნების ნაირსახოვან მოვლენებზე დაკვირვებისა და გაზომვის შედეგად მიღებული მონაცემების რიცხოვრივ და თვისოვრივ ასახვას, ჩაწერის, რეგისტრაციის, ფიქსაციის და ა. შ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვხმარობთ ტერმინს „აღრიცხვას“. საერთოდ, საჭიროა ყოველგვარ სამეურნეო ვითარებაში და დამახასიათებელია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა ფაზისათვის.

ტერმინი „აღრიცხვა“ შინაარსი, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდება. აღრიცხვის კონკრეტული ობიექტები არ არის და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების განვითარება ცვალებადობასთან ერთად, გარე სამყაროს შეცნობის შესაბამისად იცვლება. აღრიცხვის ცნების არეალი საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში განუზომლად დიდია.

აღრიცხვა კლასობრივი და ისტორიული მეცნიერებაა და მუდამ იცვლიდა თავის მეთოდებს, ფორმებს და შინაარსს საზოგადოების კლასებად დაყოფისას და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა არის მთლიანი, განუწყვეტელი, მკაცრად დოკუმენტური და ფულადი აღრიცხვა. იგი ემსახურება წარმოების მართვას, სამეურნეო საქმიანობის შედეგების გამოვლენას და მათზე კონტროლის განხორციელებას.

ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო საქმიანობას ასახავს ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის დახმარებით, რომლებიც განზოგადებულია მონაცემები განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვა მოიცავს საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და საწარმოო მოხმარებას, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ურთიერთობას, ძირითად საბრუნავ და სპეციალურ ფონდებს. ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც სისტემა, ასახავს ყოველგვარ საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგების დამახასიათებელ მაჩვენებლებს ღირებულებით გამოხატულობაში.

აღრიცხვა ბუღალტრული არის მეცნიერული დისციპლინა, რომელსაც აქვს თავისი კვლევის ობიექტი, საგანი, მეთოდები და დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. მისი შემცველი ცნებებია ანგარიშსწორება და ანგარიშმცოდნეობა.

აღრიცხვა ბუღალტრული წარმოადგენს ისეთ მეცნიერებას, რომლითაც სამეურნეო საშუალებები, პროცესები და მათი წარმოქმნის წყაროები აისახება ურთიერთკავშირში, მიიღება სამეურნეო ბიზნეს-გეგმის შესრულების მონაცემები და ვლინდება საწარმოთა (ფირმების) საქმიანობის სამეწარმეო-საფინანსო შედეგები.

ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერებად ჩამოყალიბება (ფორმირება) ხდებოდა (იქმნებოდა) XVII საუკუნეში, მაგრამ ვერ მოხერხდა, ხოლო XIX ს-ის მეორე ნახევარში და XX

ს-ის დასაწყისში შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის ანუ ანგარიშმცოდნეობის ნამდვილი (ჭეშმარიტი) მეცნიერება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია და გერმანია.

ბუღალტრული აღრიცხვა შეისწავლის მატერიალური დოვლათის კვლავწარმოების პროცესში მომხდარი კანონზომიერი ცვლილებების აღრიცხვის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს ურთიერთკავშირში, აზრობრივად განაზოგადება მათ და დასახავს შემდგომი სრულყოფის მიმართულებებს.

ბუღალტრული აღრიცხვა, როგორც მეცნიერება და პრაქტიკა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან ი. ფ. შერმა: როცა ბუღალტრულ აღრიცხვას განიხილავს, როგორც მეცნიერებას, მაშინ იყენებს ტერმინს Buchhaltung, ხოლო როცა პრაქტიკას მაშინ – Buchhaltung.

საფრანგეთში ბუღალტრული აღრიცხვა XVII საუკუნეში აღიარეს, როგორც მეცნიერება და მართვის ფუნქცია. აღრიცხვა – ეს ყოველი საწარმოს მართვის შესახებ მეცნიერების შემადგენელი ნაწილია.

აღრიცხვის მართვა (მენეჯმენტი) თავისთავად საქმიანობის განცალკევებული სახეა წარმოქმნილი საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის დანაწევრების შედეგად.

მართვა მრავალწახნაგოვანია და მრავალი ფუნქცია აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი არის აღრიცხვა. ეკონომიკურ აღრიცხვას, როგორც მართვის ფუნქციას და მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში, ჯერ კიდევ XVII საუკუნეში. მისი ფუძემდებელია ფრანგი მეცნიერი ჟაკ სავარი. საფრანგეთშივე გაჩნდა (წარმოიშვა, შეიქმნა, აღმოცენდა) აფორიზმი „აღრიცხვა – მართვის ფუნქციაა“. ამრიგად, აღრიცხვა სამეწარმეო საქმიანობის მართვის ფუნქციაა, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოებს ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი სახელმძღვანელო (მართვის) გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოში უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუღალტრულ აღრიცხვას დიდი ხნის ისტორია აქვს. სამეურნეო აღრიცხვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიოს მნიშვნელობის ქალაქების (ფაზისის, ვანის, ნოქალაქევის და სხვ.), ციხე-კოშკების, ეკლესიამონასტრების, აკადემიების მშენებლობა, ასევე უძველესი კულტურის სახელმწიფოებათა ურთიერთობა (სავაჭრო, სამხედრო და სხვ.).

საქართველოში შუა საუკუნეების საკანონმდებლო საერო და საეკლესიო ძეგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ტერმინები – ცნებები („აღრიცხვაი“, „აღწერა“, „დავთარი“ და სხვ.).

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომ სრულყოფას, დაიწყო პრესაში სამეურნეო აღრიცხვის შესახებ ცნობების გამოქვეყნება.

აღრიცხვის და ეკონომიკური ანალიზის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფ. გოგიჩაიშვილმა, რომლის რედაქციით 1903 წ. გამოვიდა „საქართველოს კალენდარი“, (მასში მოცემული იყო ცნობები სახალხო მეურნეობის აღრიცხვის შესახებ). 1914 წ. დაიბეჭდა კ. კანდელაკის „ანგარიშთა და საქმეთა წარმოების“ პირველი ქართული წიგნი. ქართულ ენაზე პირველი წიგნი ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში დაიბეჭდა 1918 წ. „ბუღალტერიის“ (დავთარწარმოების) სახელწოდებით, რომლის ავტორი იყო ს. ტარუაშვილი. იმავე წელს გამოიცა ალ. კახელაძის წიგნი „ანგარიშწარმოების მოკლე სახელმძღვანელო სამომხმარებლო კოოპერატივებში“.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გამოსცა პროფ. ა. ინწკირველმა 1924 წ. ბუღალტერიის ზოგადი კურსის სახელწოდებით. ბუღალტრულ აღრიცხვაში და ეკონომიკურ ანალიზში ორიგინალური და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებაში სათანადო ყურადღება ექცევა 30-იან წლებში. ამ პერიოდში მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოები და დამხმარე კურსები, ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანალიზში შემდეგი ავტორების მიერ (ა. ინწკირველი, ზ. ინწკირველი,

კ. გიგინეიშვილი, ლ. ასათიანი, გ. ყუფარაძე, ა. ლანდია, ნ. ლაჭყევიანი, ლ. მამისაშვილი, ნ. დგებუაძე, გ. გურგენიძე, შ. გოგებაშვილი და სხვ.). საბუღალტრო აღრიცხვასა და ეკონომიკურ ანალიზში ინტენსიური კვლევა-ძიება კი 40-50-იან წლებიდან იწყება.

ბუღალტრული აღრიცხვის პოპულარიზაციას და ამ დარგში კადრების მომზადებას დიდად შეუწყო ხელი 1899 წ. ფოთში კ. გიგინეიშვილის მიერ დაარსებულმა საბუღალტრო კურსებმა. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით 50-იან წლებამდე კადრებს ამზადებდა ტექნიკუმები, ხოლო უმაღლესი განათლებით კადრებს ამზადებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1954-1985 წლებში და მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტის ფაკულტეტი 1965-1985 წლებში. ამჟამად ისევ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1993 წლიდან მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები. აგრეთვე, მის ფილიალებში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1981 წლიდან, საქართველოს აგრალურ უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. აგრეთვე ეკონომიკური პროფილის კომერციულ (ფასიანი) უმაღლეს სასწავლებლებში. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები მზადდება ეკონომიკურ კოლეჯებში.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმა ბუღალტერიისაგან მოითხოვს პროფესიულ ღრმა ცოდნას არამარტო ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, არამედ მომიჯნავე დარგების (მეცნიერების), კერძოდ: საბაზრო ეკონომიკის, ფინანსების, სტატისტიკის, ფირმის (საწარმოს) მართვის (მენეჯმენტის), ორგანიზაციის საკითხების და სხვა. ეს საშუალებას იძლევა ბუღალტერის მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრებით დაკომპლექტებას.

ბუღალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წანამდგარია უფრო მარტივი, გასაგები და ეფექტიანი ფორმის შემუშავება-შერჩევა, ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესება უწინარეს ყოვლისა ეს არის მისი ფორმის სრულყოფა.

საზოგადოებრივ წარმოების განვითარების თანამედროვე დონე და ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობის რელსებზე გადაყვანა მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის განსაკუთრებული სიმწვავით შემდგომ გაუმჯობესება-სრულყოფას.

ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები ჯერ კიდევ მოუგვარებელია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუღალტრული აღრიცხვის სიზუსტეს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინერგოს კომპიუტერული სისტემა.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველთა საფუძველს, მამოძრავებელ ღერძსა და ფუნდამენტს ადამიანთა საზოგადოების დასაბამიდან დღემდე მუდამ იყო, და იქნება აღრიცხვიანობა (ბუღალტრული ანგარიშიანობა), რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა თანამედროვე პირობებში.

ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური სამსახურების საქმიანობის (მუშაობის) ქვაკუთხედაა.

ბიზნესის სწორად წარმართვისათვის მეტად მნიშვნელოვანი ბერკეტია ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება.

ბუღალტრულ აღრიცხვას „ბიზნესის ენასაც“ უწოდებენ. ბუღალტრული აღრიცხვის როლის შესახებ ეკონომიკაში უნდა გავისიგრობეგანოთ, ცნობილი შვეიცარიელი სწავლული მეცნიერის – ეკონომისტის და ანგარიშმცოდნის, ლაიფციგის და კემბრიჯის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის ბატონ ი. შერის შემდეგი გამონათქვამი „საბუღალტრო აღრიცხვა არის თითოეული საწარმოს წარსულის შეუცდომელი მსაჯული, აწმყოს აუცილებელი ხელმძღვანელი და მომავლის საიმედო მრჩეველი“.

კარგმა ხელმძღვანელმა ყოველმხრივ უნდა გააანალიზოს წარსული და აწმყო, გონების თვალთ გაჩქვრიტოს მომავალი, გულდასმით გამოიკვლიოს საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობა.

ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება უმთავრესი ბერკეტია: კორუფციის, კონტრაბანდის, მიტაცება-დატაცების, გაფლანგვა-განიავების, ბუნდოვანი (ჩრდილოვანი) ეკონომიკის, გადასახადების დამალვის (დაფარვის) სახელმწიფოსათვის და სხვათა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში.

მოგებაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის ისეთ სისტემას, რომელიც გასაგები იქნება როგორც ქართველისათვის, ასევე უცხოელისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის როლის უფულველყოფამ დაკნინებამდე, ხოლო საგადასახადო აღრიცხვის და ფინანსური აღრიცხვის წინა პლანზე წამოწევამ გამოიწვია ის, რომ მოიშალა სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის რეალური მდგომარეობის ამსახველი ერთიანი ბერკეტი – ბუღალტრული აღრიცხვა.

დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მწყობრი და გამართული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის არარსებობა.

ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და ანალიზი, შეიძლება ხატოვნად რომ ვთქვათ, ეს არის ეკონომიკური საქმიანობის „სისხლ-ძარღვოვანი“ სისტემა და „ეკონომიკური ტვინი“.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-ანაგრიშების გაუმჯობესების მიზანია ცივილიზებული ქვეყნების ანალოგიურად უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი და პასუხისმგებელი იქნება ეკონომიკის ყველა სფეროში ბუღალტრული აღრიცხვა-ანაგრიშების თანამედროვე დონეზე მოწესრიგებისათვის.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი დამატებითი ღონისძიებანი:

- საქართველოში ცენტრალიზებული (სახელმწიფო დონეზე) წესით, მინისტრთა კაბინეტში (პრემიერ-მინისტრთან), უნდა შეიქმნეს ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლის, აუდიტის და ანალიზის წარმოების ხელმძღვანელობის ერთიანი ორგანო (სამინისტროს დონეზე უფლება-მოვალეობით), რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში ბუღალტრულ-აღრიცხვა-ანაგრიშების საკითხებს და პასუხისმგებელი იქნება საქართველოში, მის სრულყოფა-გაუმჯობესებაზე. აქვე უნდა შეიქმნეს სპეციალური ჯგუფი (კომისია) მეცნიერ-პრაქტიკოსებისაგან: ბუღალტრების, ფინანსისტების, სტატისტიკოსების, ეკონომისტების, ბანკირების, ინფორმატიკოსების, მათემატიკოსების, მეწარმეების, ბიზნესმენების და სხვა თეორეტიკოსი სპეციალისტები.
- საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის, რევიზია-კონტროლის, აუდიტის და ანალიზის შესახებ უნდა შემუშავდეს თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი ყოვლისმომცველი კანონი.
- საქართველოში ეკონომიკური საკუთრების ცალკეულ ფორმას უნდა ჰქონდეს ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი ორგანო ცენტრალიზებული წესით, რომელიც მოარეგულირებს მას და გაზრდის ეფექტიანობას.
- საქართველოში უნდა შემუშავდეს ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული დოკუმენტაცია პირველადი აღრიცხვის ბლანკებიდან დაწყებული ანაგრიშების ფორმების ჩათვლით.
- საქართველოში უნდა შემუშავდეს დებულებები, ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული მასალები ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების შესახებ.
- საჭიროა მთავარი ბუღალტრის უფლება-მოვალეობის შესახებ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით დებულების შემუშავება, სადაც იქნება გათვალისწინებული მისი პასუხისმგებლობა. დანიშვნა-განთავისუფლების საკითხები და ურთიერთდამოკიდებულება ხელმძღვანელთან.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან ამოღებული უნდა იქნას ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონის, დებულების, ინსტრუქციის მასალები. ვინაიდან ის არ არის სათანადო დონეზე მოცემული და არც შეიძლება იყოს. ამით მახინჯდება საგადასახადო კოდექსიც და ბუღალტრული აღრიცხვაც.
- ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელი ორგანოებისათვის უნდა იყოს საიმედო, ზუსტი, სწორი, თავისდროული და ოპერატიული. ამისათვის საჭიროა ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობის კომპიუტერიზაცია.
- ფულადი საშუალებების სწორად გამოყენების მიზნით უნდა გაიზარდოს ბანკების როლი საწარმოებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების ხვედრითი წილი.
- ბუღალტრულმა აღრიცხვამ, რომ შეასრულოს თავისი ფუნქციები, უნდა აღსდგეს უფრო ოპერატიულობა. ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშგების შედგენა-წარდგენის წესი ზემდგომ ორგანოებში, ანალოგიურად წარმოების ეფექტიანობის დამახასიათებელი მაჩვენებლების, აგრეთვე მკაცრი აღრიცხვის ბლანკების შენახვა-გამოყენების წესი.

Prof. Chichiko Adeishvili

Prof. Dilavardisa Davituliani

Prof. Karlo Kakhadze

Steps of Development of Accounting and Perspectives of its Improvement in Georgia

The work discusses five steps of accounting starting from its origin; its essence and concept. It states accounting as science and the function of management (administration). The article offers the issues of teaching the accounting as a discipline in high education institutions in Georgia and in TSU (Tbilisi State University) in particular. It also presents the ways of improving accounting in Georgia.

საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციის პრობლემები

სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მისი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძველი არის გადასახადები.

გადასახადების დაწესების, მათი აკრეფის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე საზოგადოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ყალიბდებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული საგადასახადო თეორიები, რომლებიც გულისხმობს საგადასახადო სისტემების აგების განსხვავებულ პრინციპებს, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს მათ სტრუქტურას, როლსა და ფუნქციებს ეკონომიკაში.

საგადასახადო სისტემა და ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია შეფასდეს შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით: 1. საგადასახადო ტვირთი (წნეხი); 2. სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წონა; 3. თვით საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის დამოკიდებულება; 4. თანაფარდობა ქვეყნის შიგა დაბეგვრიდან და საგარეო ვაჭრობიდან ამოღებულ არაპირდაპირ გადასახადებს შორის; 5. საგადასახადო სისტემის ელასტიურობის კოეფიციენტი.

ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

1. საგადასახადო განაკვეთების შემცირება სრულებითაც არ ნიშნავს საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციას;
2. საგადასახადო ადმინისტრირების გაადვილების არც ერთი მაგალითი არ არსებობს, გარდა ამერიკაში 30-40-იან წლებში ეკონომიკური კრიზისის კულმინაციის პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული წარმოუდგენელად თამამი ნაბიჯებისა, როდესაც საგადამხდელო ჯამური ტვირთის 10%-მდე შემცირებასთან და საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობასთან ერთად, ყველა რეჟულის მაკონტროლებელ შემმოწმებელდამთავალიერებლებს აეკრძალათ საქმის მკეთებელთათვის თუნდაც მისაღება, არამც თუ კონტროლის რაიმე ფორმით მათ საქმიანობაში ჩარევა.
3. გარდა იმისა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციებით გაგების უსაზღვრო შესაძლებლობას, მათი უეცარი შეცვლადშესწორება სრულად გაუგებარს ხდის და გაუთვითცნობიერებელს გადასახადის გადამხდელისათვის შემდგომი ეკონომიკური თამაშის წესების დაგეგმვას.
4. სანამ სახელმწიფო მოხელე ჩინოვნიკები და სოციალური პროგრამის ფარგლებში ჩართულნი არ გაითავისებენ, რომ ისინი თავიანთი მოდგმადმონაშენით საზრდოობენ გადასახადის გადამხდელის კისერზე ჯდომით და სახელმწიფოებრიობა იქმნება საქმის მკეთებელი ხალხის გარჯითა და მათ მიერ განხორციელებული შენატანებით და ყოველივე ამის პოპულარიზაცია არ მოხდება, მანამ საგადამხდელო კულტურა ყოველთვის დევალვირებულ მდგომარეობაში იქნება.
5. რადგან ბიბლიური მოსეს სჯულიდან მოყოლებული ნობელის პრემიის ლაურეატის გამონათქვამებითა და მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრებით განმტკიცებული აზრი ერთსა და იმავეს ადასტურებს, უდევციტო შემოსავლები ბიუჯეტის ხარჯების დასაფარად მაშინ იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ბიუჯეტი არ გაღარიბდება გაზრდილი საგადასახადო განაკვეთების გამო.

სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მისი ფუნქციონირების ეკონომიკური საფუძველი არის გადასახადები. გადასახადების მეშვეობით სახელმწიფო თავს უყრის მატერიალურ და ფინანსურ სახსრებს და მიმართავს მას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

საფინანსოდასაგადასახადო თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიურ ღვთისმეტყველებასა და ისტორიაში. საზოგადოებრივ და საგადამხდელო მოვალეობათა საფუძვლები ასახულია სინას მთის კანონმდებლობაში, რომელიც ღმერთმა თავისი სასწაულებრივი გამოცხადების დროს დაუდგინა მორწმუნე სალხს.

ბიბლიური კანონმდებლობის, ანუ მოსეს სჯულის მიხედვით, საგადასახადო მოვალეობა ატარებდა საყოველთაო ხასიათს და ვრცელდებოდა არა მხოლოდ ადამიანთა რომელიმე ცალკეულ ფენაზე, არამედ სახელმწიფოს ყველა წევრზე.

გადასახადების წარმოშობისა და განვითარების, საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პერიოდი სამ ეტაპადაა წარმოდგენილი. **პირველი ეტაპი** მოიცავს უძველესი დროიდან შუა საუკუნეების დასაწყისამდე პერიოდს, როდესაც მიმდინარეობდა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი, არ არსებობდა გადასახადების დამდგენი და ამკრეფი კვალიფიცირებული საფინანსო სისტემა; **მეორე ეტაპი** მოიცავს მე-16 საუკუნის დასასრულიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა საფინანსოდასაგადასახადო დაწესებულებების ქსელი, სახელმწიფომ საგადასახადო ადმინისტრაციული და მეთოდური საკითხების გადაწყვეტა თავად იკისრა. **მესამე ეტაპი** სათავეს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს და დღემდე გრძელდება. ამ ეტაპზე უშუალოდ სახელმწიფო ადგენს გადასახადებს და ითვისებს აკრეფის ფუნქციას, ქმნის საკანონმდებლო ბაზას და უზრუნველყოფს მის შესრულებაზე კონტროლს.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა გადასახადით დაბეგვრის თავისებურებანი საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა განვიხილოთ დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდგომ საქართველოში გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის განვითარების უახლოესი ისტორიის **ოთხი ეტაპი**: **პირველი** (1991-1992 წლები) იყო გადასახადით დაბეგვრის საწყისი პერიოდი, **მეორე** (1993-1995 წლები) განიხილება, როგორც გარდაქმნის პერიოდი, **მესამე** (1996-1998 წლები) – გადასახადებზე ზოგიერთი კანონის რეფორმირების პერიოდი, ხოლო **მეოთხე** (1999-2002 წლები) – გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერების მიზნით, საგადასახადო კოდექსის მიღებისა და სრულყოფის, საგადასახადო რეფორმების გაგრძელების პერიოდი. აქედან, ბოლო ორი პერიოდი განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს და გამოირჩევა საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობათა კოდიფიცირებასა და სრულყოფაზე საერთო ძალისხმევის მიმართვით.

გადასახადების დაწესების, მათი აკრეფის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე საზოგადოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ყალიბდებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული საგადასახადო თეორიები, რომლებიც გულისხმობს საგადასახადო სისტემების აგების განსხვავებულ პრინციპებს, სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს მათ სტუქტურას, როლსა და ფუნქციებს ეკონომიკაში.

გადასახადების აკრეფის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჟან კოლბერის ცნობილი გამონათქვამი: „გადასახადების აკრეფა – ეს არის ხელოვნება, ისე გაბრდღვნა ბატი, რომ მიიღო ბუმბულის მაქსიმუმი მინიმალური წრიპინით.“

გადასახადების თეორიული ასპექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მერკანტილიზმის პერიოდიდან. დ. ლოკის, თ. გობსის, ა. სმიტის, უ. პეტის, ჯ. მილის და სხვების ნაშრომებში საფუძვლიანად გაანალიზებულია მათი შეხედულებები გადასახადების არსისა და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ.

მოგვიანებით, გაჩნდა ახალი მეცნიერულად დასაბუთებული თეორიები, როგორც სახელმწიფოს ადგილისა და როლის შესახებ ეკონომიკურ პროცესებში, ისე დაბეგვრის მნიშვნელობის შესახებ. იმ დროისათვის გამოჩენილი მეცნიერული თეორიები კი იყოფა ორ ძირითად მიმართულებად – **კეინსური** და **ნეოკლასიკური**.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა ჯონ მენარდ კეინსმა წამოაყენა რა „ეფექტური მოთხოვნის თეორია, დაასაბუთა, რომ **გადასახადები, ეკონომიკურთად ერთად, არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების მძლავრი ინტრუმენტი** და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მაკრო-ეკონომიკური წონასწორობის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა. კეინსს ეკუთვნის ფრიად საყურადღებო შემდეგი დებულება: **რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით უფრო მეტი გადასახადი უნდა იქნას აკრეფილი და პირიქით**. გარდა ამისა, კეინსმა, მის მიერ შემუშავებული ე.წ. „ჩასმული სტაბილიზატორის“ თეორიის თანახმად, დაასაბუთა, რომ **რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილური და მერყევია საგადასახადო ბაზა**. მანვე დაამტკიცა, რომ **გადასახადების შემცირება ასტიმულირებს შემოსავლების ზრდას, შესაბამისად მატულობს მოხმარება და საბოლოო ჯამში იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ფაქტორს წარმოადგენს**.

მოგვიანებით კი წარმოშობით რუსი, ცნობილი ამერიკელი ნობელიანტის, ეკონომისტის, პროფესორ ლეონტიევის ცნობილი გამონათქვამი იგივე აზრს ადასტურებს – „ბიუჯეტის გადატაკების იმაზე საუკეთესო გზა არ არსებობს, ვიდრე გაზრდილი საგადასახადო განაკვეთებით“.

კეინსურისგან პრინციპულად განსხვავებულ შეხედულებებს ავითარებდნენ **ნეოკლასიკური** თეორიის მიმდევრები. მათ შორის განსხვავებას განაპირობებს არაერთგვაროვანი მიდგომა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რეგულირების მეთოდებთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ კეინსური მიდგომის წარმომადგენლები თვლიდნენ, დინამიური განვითარება შეუძლებელია და ამიტომ არსებობს სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, ნეოკლასიკური მიმართულება ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხიდან მარეგულირებელი ზემოქმედება მიმართული უნდა იყოს იმ დაბრკოლების აღმოფხვრისკენ, რომლებიც ხელს უშლიან თავისუფალ კონკურენციის კანონებს, მაგრამ არ უნდა შეზღუდონ ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირებადი კანონები. ამასთან, საგულისხმოა, რომ ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ერთნაირი შეხედულება სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ეკონომიკური პროცესების რეგულირების საკითხებში. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ სახელმწიფო რეგულირება და მაღალი გადასახადები აფერხებს ეკონომიკის ზრდას, ამიტომ აუცილებელია გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების შემცირება. მეორე ნაწილს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს როლი უნდა შეზღუდულიყო მხოლოდ იმ საქმიანობით, რომელსაც მის გარდა (ფულის მასის რეგულირება მიმოქცევაში, ბანკების საპროცენტო განაკვეთების რეგულირება, საგადასახადო რეგულირება) ვერაფერს ვერ განახორციელებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: **მონეტარიზმის თეორია** და **მიწოდების ეკონომიკური თეორია**.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოდგენილია, როგორც გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ტარდება წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად. საგადასახადო პოლიტიკის შინაარსს და მიზნებს განაპირობებენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობა და ხელისუფლებაში მყოფი სოციალური ფაქტორების ინტერესები.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ საგადასახადო პოლიტიკა და დაბეგვრის დონე შეესაბამება იმ ფაზას, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება. კერძოდ, წარმოების

აღმავლობის პირობებში საჭიროა გადასახადების განაკვეთების გაზრდა, რაც არ გამოირიცხავს პრიორიტეტული დაბეგვრისათვის მათი კლების ალბათობას, კრიზისის შემთხვევაში – კი გადასახადების განაკვეთების შემცირებასა და მეწარმე სუბიექტისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას, რიგ შემთხვევაში კი რეგრესული განაკვეთის დადგენას გადასახადებზე.

ვიზიარებთ რა ცნობილი მეცნიერის ლ. ოკუნოვის მოსაზრებებს, რაციონალურია გამოვყოთ საგადასახადო პოლიტიკის სამი ტიპი. აქედან:

პირველი ტიპი – მაქსიმალური გადასახადების პოლიტიკა, რომლის დროსაც გადასახადების ზრდა სახელმწიფო შემოსავლების მატებით არ ხასიათდება. განაკვეთის ზღვრული საზღვრები დადგენილია და ყოველი კონკრეტული შემთხვევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული (ზღვრულ განაკვეთად მიჩნეულია 50%).

მეორე ტიპი – გონივრული საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც მეწარმეობის განვითარებას უზრუნველყოფს ხელშემწყობი და ხელსაყრელი საგადასახადო კლიმატით. მეწარმე გადასახადებით დაბეგვრიდან მაქსიმალურად თავისუფლდება, მაგრამ ამ შემთხვევაში სოციალური პროგრამების უზრუნველყოფა იზღუდება, რადგანაც სახელმწიფო შემოსავლები მცირდება.

მესამე ტიპი – საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც დაბეგვრის საკმაოდ მაღალ დონეს ითვალისწინებს, ოღონდ მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის პირობებში. ამასთან, საგადასახადო შემოსავლებს მიმართავენ სხვადასხვა სოციალური ფონდის გაზრდაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს „ეკონომიკური სამკუთხედის“ – სახელმწიფო, მეწარმე, მომხმარებელი – ინტერესების გათვალისწინებით სამი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულებაზე: 1. ფისკალური ფუნქცია (საგადასახადო შემოსავლების მობილიზება საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსებისათვის); 2. მასტიმულირებელი ფუნქცია (ხელშემწყობა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, საექსპორტო პოტენციალის ზრდაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, პრიორიტეტული სექტორებისა და სფეროების წახალისებაზე და სხვა); 3. განმანაწილებლობითი ფუნქცია (მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ერთი დარგიდან მეორე დარგში, ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში, მაღალშემოსავლიანი ფენებიდან დაბალშემოსავლიან ფენებში გადანაწილება). მართალია, უკანასკნელი ფუნქცია სრულდება უშუალოდ საბიუჯეტო მექანიზმის მიერ, მაგრამ საგადასახადო მექანიზმის გარეშე მას არ შეუძლია ამ ფუნქციის სრულფასოვნად შესრულება. ამდენად, აღნიშნული ფუნქციები შეესაბამება ეკონომიკის ჩვენს მიერ ზემოთ დახასიათებული სამივე სუბიექტის ინტერესებს, კერძოდ: ფისკალური ფუნქცია – უპირატესად, სახელმწიფოს ინტერესებს, მასტიმულირებელი ფუნქცია – მეწარმეების ინტერესებს, განმანაწილებლობითი ფუნქცია კი – მომხმარებლების ინტერესებს. აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ზემოხსენებული ფუნქციები ერთმანეთისაგან მოწყვეტით ან თავისთავად ხორციელდება – პირიქით, დასახული ეკონომიკური მიზნების შესრულებიდან გამომდინარე, გადასახადების ფუნქციათა დაბალანსებული შესრულება აისახება და ვლინდება კონკრეტული სახელმწიფო კონკრეტულ საგადასახადო პოლიტიკაში. ასეთი ფუნქციების შესრულებაზე ორიენტირებულმა საგადასახადო სისტემამ, ჩვენი აზრით, სტიმული უნდა მისცეს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას და უზრუნველყოს იმავდროულად ბიუჯეტი საგადასახადო შემოსავლებით.

საგადასახადო სისტემა და ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია შეფასდეს შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით: 1. საგადასახადო ტვირთი (წნეხი); 2. სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წონა; 3. თვით საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის დამოკიდებულება; 4. თანაფარდობა ქვეყნის

შიგა დაბეგვრიდან და საგარეო ვაჭრობიდან ამოღებულ არაპირდაპირ გადასახადებს შორის; 5. საგადასახადო სისტემის ელასტიურობის კოეფიციენტი.

ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება გატარებული საგადასახადო სისტემა, გადასახადების როლი ბიუჯეტის შემოსავლებში და, ზოგადად, სახელმწიფოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, არის საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი. საგადასახადო ტვირთი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. მიკროეკონომიკური გაგებით, საგადასახადო ტვირთი წარმოადგენს კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტისათვის მისი ეკონომიკური რესურსების განაწილების სიმძიმეს, რომელსაც ეწევა გადასახადის გადამხდელი ეკონომიკურ სუბიექტი თავისი სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის. საგადასახადო სისტემის შეფასების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის მაკროეკონომიკური გაგება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით დაბეგვრით გამოწვეულ ერთობლივ სიმძიმეს, რომელიც აწვება ეკონომიკის ლეგალურ კერძო სექტორს საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისათვის ქვეყანაში შექმნილი ღირებულების ნაწილის გადასახადებით ამოღების შედეგად. აქედან გამომდინარე, საგადასახადო ტვირთი ზოგადად განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების შეფარდება ერთობლივ შიგა პროდუქტთან და გვიჩვენებს, საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქტის რა ნაწილი გადანაწილდება საგადასახადო-საბიუჯეტო მექანიზმით. აღნიშნული მექანიზმი იცვლება ქვეყნებისა და დროის პერიოდის მიხედვით და, შესაბამისად, საგადასახადო სიმძიმის მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში მერყეობს 25 პროცენტიდან (შვედეთი) 30 პროცენტამდე (აშშ). ქვეყნების დიდი ჯგუფისათვის იგი შეადგენს 40-45 პროცენტს. ამასთან, შეიმჩნევა მისი ზრდის ტენდენცია. საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვანი ზრდა ზოგიერთ ქვეყანაში აიხსნება ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებით, მათ შორის, საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაციისა და გამოთანაბრების გამო.

გადასახადი არის გამოსაღები, რომელსაც სახელმწიფო იღებს მეურნე სუბიექტებისა და მოქალაქეებისაგან. გადასახადი წარმოადგენს ეკონომიკური კავშირების აუცილებელ რგოლს საზოგადოებაში სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან, რომლის განვითარებასთან სდევს საგადასახადო ურთიერთობების (სისტემების) გარდაქმნა, სრულყოფა.

წარმოადგენს რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილების ინსტრუმენტს, გადასახადები უზრუნველყოფენ:

- სახელმწიფოს მიერ მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის შესრულებას.

საგადასახადო მექანიზმი (პოლიტიკა) ბიუჯეტის ფინანსური უზრუნველყოფის პარალელურად სახელმწიფოს მიერ გამოიყენება ეკონომიკური სისტემის განვითარებისათვის, წარმოებისა და მოთხოვნის რეგულირებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ეროვნულ მეურნეობაში დანერგვისათვის და ა.შ.

- ყველა გადასახადს აქვს თავისი ფუნქციონალური დანიშნულება და განსხვავდება შინაგანი ელემენტის, გამოანგარიშებისა და ამოღების მეთოდების ფორმებით. ყოველი გადასახადი შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: სუბიექტი, ობიექტი, წყარო, დაბეგვრის ერთეული, გადასახადის განაკვეთი, საგადასახადო შეღავათები. გადასახადის სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელია ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს შორის კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმა. აღნიშნული მდგომარეობა განაპირობებს გადასახადების კლასიფიკაციის საჭიროებას. კლასიფიკაციის ნიშნები წარმოადგენს კრიტერიუმებს გადასახადების განსხვავებისათვის, განპირობებული თვით გადასახადების ეკონომიკური ბუნებით, შინაარსით. ისინი არ არიან დამოკიდებული, ან განსაზღვრული სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ნება-სურვილით და როგორც წესი ფორმირდება საგადასახადო სისტემების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

გადასახადები პირობითად იყოფა სამ ჯგუფად:

- გადასახადები მოხმარებაზე;
- გადასახადები ფლობაზე, შემოსავალზე, კაპიტალზე;
- გადასახადები ბრუნვაზე.

საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის პერსონიფიკაციის მიხედვით მიღებულია გადასახადების ორ ჯგუფად დაყოფა: პირდაპირი და არაპირდაპირი.

პირდაპირი გადასახადებია ისინი, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საქმურნეო საქმიანობის შედეგებთან, კაპიტალთან, ქონების ღირებულებასთან.

პირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის დროს დაბეგვრის ობიექტი საკმაოდ პენსონიფიცირებულია, დაბეგვრის სუბიექტი და გადასახადის მატარებელი (გადამხდელი) ემთხვევა ერთმანეთს. იგი წესდება უშუალოდ ქონებაზე ან შემოსავალზე. პირდაპირი გადასახადები ამცირებენ თანხას, რომელიც რჩება გადამხდელის განკარგულებაში.

არაპირდაპირი გადასახადებია ისინი, რომლებიც წარმოადგენენ დანამატს ფასზე ან განისაზღვრებიან დამატებული ღირებულების მოცულობიდან, გამომდინარე საქონლის, მომსახურების ბრუნვიდან და რომელიც იანგარიშება მიუხედავად სამეურნეო ოპერაციის შედეგისა.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია წარმოადგენს ძირითადს და გამომდინარეობს თვით გადასახადის ბუნებიდან. ფისკალური ფუნქციის მეშვეობით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება სახელმწიფოს სოციალური, თავდაცვითი, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური პროგრამების განხორციელებისათვის. ფისკალური ფუნქციის მნიშვნელობა იზრდება საბაზრო ეკონომიკის, ურთიერთობების განვითარების კვალობაზე. მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაიზარდა ეროვნულ შემოსავალში გადასახადების წილი. თუ ომის წინა პერიოდში ეს წილი 20-25 %-ს შეადგენდა, გასული საუკუნის 70-იან წლებში მაგალითად იაპონიაში 34 %-მდე გაიზარდა, ხოლო საფრანგეთში 47%-ს გადაამეტა.

ამასთან მნიშვნელოვანია საგადასახადო დაბეგვრის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება, რომლებიც პირველად ჩამოყალიბებული იქნა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი კლასიკოსის ადამ სმიტის მიერ, კერძოდ:

1. სახელმწიფოს ქვეშევრდომებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფოს ხარჯების დაფარვაში ყოველმა მისი შესაძლებლობის მიხედვით. გადასახადი გადამხდელებს შორის განაწილებული უნდა იყოს თანაბრად, რაც გულისხმობს, რომ ყოველი გადამხდელისაგან გადასახადის ამოღების სიდიდე უნდა შეესაბამებოდეს მის შემოსავალს.
2. გადასახადი, რომელიც უნდა გადაიხადოს ყოველმა, გარკვეულად, მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ჩამოყალიბებული. გადასახადის სიდიდე, დრო და მისი გადახდის ფორმა ცხადი, მარტივი უნდა იყოს და ცნობილი, როგორც თვითონ გადამხდელისთვის, ისე ყველა დანარჩენისათვის.
3. ყოველი გადასახადი უნდა ამოიღებოდეს იმ დროს და იმ ფორმით, რომელიც ყველაზე მოხერხებულია გადამხდელისათვის, ანუ გადასახადის აკრება უნდა ხდებოდეს ხელსაყრელ პირობებში.
4. ყოველი გადასახადის ამოღება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მას გადამხდელის ჯიბიდან ამოჰკონდეს რაც შეიძლება ნაკლები იმის ზევით, რაც სახელმწიფო ხაზინაში შედის, ანუ გადასახადების ამოღების სიიარე.
5. გადასახადების აკრების საერთო წესი. კერძოდ, გადასახადი გადახდილი უნდა იყოს ყველა გადამხდელიდან ერთნაირი პირობებით: ან სუფთა შემოსავლებიდან, ან მთლიანი შემოსავლებიდან.

ორი საუკუნის უკან ჩამოყალიბებული აღნიშნული პრინციპები დღესაც აქტუალურია. მეწარმეებიც, საგადასახადო შემოსავლების სამსახურებიც და პროფესიონალი ეკონომი-

მისტებიც მუდმივად აღნიშნავენ საგადასახადო კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილების უარყოფით გავლენაზე, რომლებიც ქმნიან „ეკონომიკური თამაშის წესების“ გაურკვეველობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორს ნორმალური ეკონომიკური განვითარებისათვის.

ამდენად, საფინანსო-საგადასახადო სისტემა და საგადასახადო კანონმდებლობა წარმოადგენს განშტოებულ და მოქნილ ინსტრუმენტს სახელმწიფო ბიუჯეტისა (შემოსავლებისა და გასავლების) და ეკონომიკის რეგულირების ამოცანათა შესასრულებლად.

იქიდან გამომდინარე, საზოგადოება აცნობიერებს რა საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობას, რასაც 1781 წელს ბენჯამინ ფრანკლინმა ფრთიანი სიტყვაც კი შეაწია – „ამ მქვეყანაზე სიკვდილი და გადასახადებია გარდაუვალი“. ბიბლიური მოსეს სჯულიდან მოყოლებული საგადასახადო კულტურა განიცდიდა ევოლუციას, მეცნიერ-ეკონომისტები სწავლობდნენ და აანალიზებდნენ სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის შუქრდილებს, მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნების პირობებში ყოველთვის იდგა და დღესაც დგას დილემა:

- როგორ მოვახდინოთ საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაცია?
- როგორ განვახორციელოთ საგადასახადო ადმინისტრირების გაადვილება?
- როგორ გავხადოთ საგადასახადო რეჟიმები მარტივი და ყველასთვის, უპირველესად კი გადაახადის გადამდელისთვის მასალები?
- როგორ ავამაღლოთ საგადამხდელო კულტურა?
- როგორ მივიღოთ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დასაფინანსებლად უდეფიციტო შემოსავლები? და ა.შ.

ხემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

1. საგადასახადო განაკვეთების შემცირება სრულებითაც არ ნიშნავს საგადასახადო ტვირთის ლიბერალიზაციას;
2. საგადასახადო ადმინისტრირების გაადვილების არც ერთი მაგალითი არ არსებობს, გარდა ამერიკაში 30-40-იან წლებში ეკონომიკური კრიზისის კულმინაციის პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული წარმოუდგენელად თამამი ნაბიჯებისა, როდესაც საგადამხდელო ჯამური ტვირთის 10%-მდე შემცირებასთან და საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობასთან ერთად, ყველა რჯულის მაკონტროლებელ შემმოწმებელ-დამთვალეირებლებს აეკრძალათ საქმის მკეთებელთათვის თუნდაც მისალმება, არამც თუ კონტროლის რაიმე ფორმით მათ საქმიანობაში ჩარევა.
3. გარდა იმისა, რომ საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციებით გაგების უსაზღვრო შესაძლებლობას, მათი უეცარი შეცვლად შესწორება სრულად გაუგებარს ხდის და გაუთვითცნობიერებელს გადასახადის გადამხდელისათვის შემდგომი ეკონომიკური თამაშის წესების დაგეგმვას.
4. სანამ სახელმწიფო მოხელე ჩინოვნიკები და სოციალური პროგრამის ფარგლებში ჩართულნი არ გაითავისებენ, რომ ისინი თავიანთი მოდგმადმონაშენით საზრდოობენ გადასახადის გადამხდელის კისერზე ჯდომით და სახელმწიფოებრიობა იქმნება საქმის მკეთებელი ხალხის გარჯითა და მათ მიერ განხორციელებული შენატანებით და ყოველივე ამის პოპულარიზაცია არ მოხდება, მანამ საგადამხდელო კულტურა ყოველთვის დევალვირებულ მდგომარეობაში იქნება.
5. რადგან ბიბლიური მოსეს სჯულიდან მოყოლებული ნობელის პრემიის ლაურეატის გამონათქვამებითა და მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრებით განმტკიცებული აზრი ერთსა და იმავეს ადასტურებს, უდეფიციტო შემოსავლები ბიუჯეტის ხარჯების დასაფარად მაშინ იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა ბიუჯეტი არ გაღარიბდება გაზრდილი საგადასახადო განაკვეთების გამო.

Nikoloz Bakashvili

Doctor of Economic Sciences, Professor,

Director of Audit Firm Ltd. Bakashvili & Company

The problems of liberalization of tax load

Taxes are the main part of existence and the economical basis of functionality of country. According to the mankind society development, there were founding forms of establishing and collecting taxes that differed. It means different tax system and different principles, which are defined in the economics in a various way.

Tax system and tax politics held in country, in our opinion should be estimated in the following way: 1. tax load (press); 2. the quota of tax income in the whole state budget income; 3. dependence of primary and non-primary taxes in tax income; 4. correlation between taxes held in state internal taxation and in foreign trade non-primary tax; 5. the coefficient of tax system elasticity.

On the basis of analysis, we can say, that:

1. Decreasing tax rates doesn't mean the liberalization of tax load
2. There is no clue with making easy the tax administration. The exception was the US in 1930-1940's, when the country has taken courageous steps, which was expressed in the total tax load decrease till 10% and in promoting investment climate. Every person, who was controlling or inspecting the business, was banned to even greet to the businessman, not to intervene in their business.
3. Besides that tax legislation gives the chance that it can be understood by both sides, making sudden changes in it makes the tax legislation obscure. So the taxpayer can't plan the next steps in doing business, he can't understand the brand new rules in future economic „games“.
4. Until government officials and people engaged in social programs won't understand, that they exist because the taxpayer pays to the government and the state is created by the business people, by their works and until this issues won't be popularized, the taxation culture will be always in oppressed position.
5. The income without deficit will be only in one possibility – when budget won't be made pored because of the increasement of tax rates. This opinion is shared through time and life beginning from old promise – from mosses, continuing with nobel award laureates and ending with modern society.

კაპიტალის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები

კაპიტალის ღირებულებაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან ზოგიერთი კომპანიის მიერაა კონტროლირებადი, ზოგიერთი კი კონტროლს არ ექვემდებარება. ინვესტორთა მოთხოვნილი უკუგება და რისკების დონე – კაპიტალის ღირებულების დათვლისას სწორედ ამ ორი მაჩვენებლის შეფასება და მათი მიზანმიმართული გამოყენება იძლევა მაქსიმალურად ზუსტ შედეგს დღევანდელი სიტუაციის ან მომავალი პერსპექტივების ანალიზისას.

კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მოთხოვნილი სარგებელი კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებსა და აქციებზე, ასევე ეს ღირებულება განსაზღვრავს კომპანიის საკუთრებაში მყოფი აქტივების რისკიანობას. შესაბამისად, ახალი ინვესტიციები იგივე რისკიანობის მატარებელი იქნება, როგორც იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მსგავსი ტიპის აქტივებს დაფინანსებას მოახდენს. მაგრამ, თუ კომპანია შედის სრულიად ახალ სექტორზე მაშინ აუცილებელია განისაზღვროს პროექტის რისკის დონე, შესაბამისად, ძალიან ბევრია დამოკიდებული კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკაზე.

პროექტების დაფინანსებისას შესაძლებელია დაფინანსების სხვადასხვა მექანიზმების შერჩევა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია პროექტის დაფინანსება მთლიანად კაპიტალის ხარჯზე, რა დროსაც კომპანიამ ანალიზის დროს უნდა აიღოს მოთხოვნილი სარგებელი კაპიტალზე და შეადაროს ის უკუგებას კაპიტალზე (ROE). თუმცა, როგორც წესი, კომპანიები პროექტის დაფინანსებისას იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორცაა: სესხები, პრივილეგირებული აქციები და ჩვეულებრივი აქციები. ამ დროს, კი აუცილებელი ხდება სხვადასხვა განაკვეთების ერთ მაჩვენებელში მოქცევა. ამდენად უკეთესი იქნება თუ გათვალისწინებული იქნება დაფინანსების სხვადასხვა საშუალებების ხარჯი და ანალიზის დროს, მოხდება საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) გამოყენება, იმის მიუხედავად, თუ რა სიდიდის პროექტის დაფინანსებაა გათვალისწინებული.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) კარგად გაგება აუცილებელია, რადგან სწორედ მასზეა დაფუძნებული კომპანიის მომავალი კეთილდღეობა. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) დათვლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ინვესტორთა მოთხოვნილი უკუგება და რისკების დონე. სწორედ ამ ორი მაჩვენებლის შეფასება და მათი მიზანმიმართული გამოყენება კაპიტალის ღირებულების დათვლისას იძლევა მაქსიმალურად ზუსტ შედეგს დღევანდელი სიტუაციის ან მომავალი პერსპექტივების ანალიზისას.

კაპიტალის ღირებულებაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან ზოგიერთი კომპანიის მიერაა კონტროლირებადი, ზოგიერთი კი კონტროლს არ ექვემდებარება.

ფაქტორები, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. *საპროცენტო განაკვეთი და გადასახადის განაკვეთი* – ეს ორი ძირითადი ფაქტორია, რომლის გაკონტროლების პირდაპირი მექანიზმი კომპანიებს არ გააჩნიათ. თუ *საპროცენტო განაკვეთი* მატულობს, ეს იწვევს ვალის ღირებულების გაზრდას, რადგან კომპანიებს უხდებათ დანახარჯების გაზრდა, რადგან მოახერხონ ვალის აღების გზით დამატებითი სახსრების მოზიდვა. როგორც წესი, სხვადასხვა *გადასახადების დონე* სერიოზულ გავლენას ახდენს კომპანიის კაპიტალის ღირებულებაზე. მისი გაკონტროლება კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია

იმ კუთხით, რომ ის მონაწილეობას იღებს გადასახადით კორექტირებული ვალის ღირებულების დათვლისას. ამასთან ერთად კაპიტალურ შემოსავლებზე პროცენტის დაწევა ჩვეულებრივ ვალთან შედარებით აქციებს უფრო მიმზიდველს ხდის.

ფაქტორები, რომლებიც კომპანიის კონტროლს ექვემდებარება. კომპანიის კაპიტალის ღირებულებაზე პირდაპირი გავლენის მოხდენა შეიძლება, როგორც კაპიტალის სტრუქტურით, ასევე საინვესტიციო და სადივიდენდო პოლიტიკით.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით, ფიქსირებულ კაპიტალის სტრუქტურას რისთვისაც ვითვლიდით კაპიტალის ღირებულებას, თუმცა სწორი სტრუქტურის შემუშავებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. დავუშვათ გადასახადის შემდეგ ვალის ღირებულება უფრო მეტია ვიდრე კაპიტალის ღირებულება, მაშინ უფრო სწორი იქნება, თუ დამატებითი სახსრების მოძიება მოხდება ვალის აღების გზით, თუმცა ამ ყველაფერმა შეიძლება გაზარდოს მთლიანად კომპანიის რისკები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორედ შერჩეული ლევერიჯი.

კაპიტალის ზრდა შეიძლება ან გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე ან ჩვეულებრივი აქციების მეშვეობით. მაგრამ, როგორც წესი, Flotation Cost-ის გათვალისწინებით ახალი აქციების გამოშვება შედარებით ძვირი ჯდება, ამიტომაც კომპანიები ცდილობენ ახალი აქციები მანამ არ გამოუშვან სანამ არ მოახდენენ მათ ხელთ არსებული გაუნაწილებელი მოგების სრულ ინვესტირებას. იმის გამო, რომ გაუნაწილებელი მოგება ის თანხაა, რასაც კომპანიები არ გასცემენ დივიდენდის სახით, სადივიდენდო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული კაპიტალის ღირებულებასთან.

კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მოთხოვნილი სარგებელი კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებსა და აქციებზე, ასევე ეს ღირებულება განსაზღვრავს კომპანიის საკუთრებაში მყოფი აქტივების რისკიანობას. შესაბამისად, ახალი ინვესტიციები იგივე რისკიანობის მატარებელი იქნება, როგორც იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მსგავსი ტიპის აქტივებს დაფინანსებას მოახდენს. მაგრამ, თუ კომპანია შედის სრულიად ახალ სექტორში მაშინ აუცილებელია განისაზღვროს პროექტის რისკის დონე, შესაბამისად, ძალიან ბევრია დამოკიდებული კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკაზე.

როგორც წესი, უამრავი პროექტის განხილვა უხდება კომპანიას, თითოეულ მათგანს კი სხვადასხვა რისკის დონე შეესაბამება, აქედან გამომდინარე, თითოეული პროექტისთვის რისკის ზუსტად განსაზღვრა და მათი მეშვეობით კაპიტალის ღირებულების კორექტირება ძალიან რთულია. წინასწარ უნდა მოხდეს შესაბამისი სტრუქტურის შერჩევა, რათა კაპიტალის ღირებულება იყოს მინიმალური, ეს კი, მარტივი საქმე არაა. კომპანიებს უხდებათ სხვადასხვა სტრუქტურის შემოწმება და გამოთვლების ისე ჩატარება ისე, რომ ლევერიჯი (თანაფარდობა ვალსა და საკუთარ კაპიტალს შორის) იყოს ნორმალური. ამასთანავე, არსებული სტრუქტურის ცვლილება ხდება გარემოს ცვლილებასთან ერთად, იქნება ეს საპროცენტო და საგადასახადო განაკვეთების ცვლილება, თუ რაიმე სხვა მოვლენა.

როგორც წესი, კაპიტალის ღირებულება რისკიანი პროექტებისთვის უფრო მეტია, თუმცა, რისკის სწორედ შეფასება ძალიან რთულია. პირველ რიგში, განვიხილოთ რა რისკის ტიპები არსებობს.

Stand-alone რისკი რომელიც განისაზღვრება, როცა კომპანიას მხოლოდ ერთი ტიპის აქტივი აქვს ან როცა ტიპიური ინვესტორის პორტფელში მხოლოდ ეს ერთი აქციაა. ეს რისკი ფასდება პროექტის უკუგების მიხედვით.

კორპორატიული რისკი ესა პროექტის რისკი კომპანიისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროექტი მხოლოდ ერთი ნაწილია კომპანიის ხელთ არსებულ პორტფელში და შესაბამისად ხდება რისკის დივერსიფიცირება. კორპორატიული რისკის შეფასება ხდება პროექტის გავლენის მიხედვით კომპანიის მომავალ სავარაუდო მოგებაზე.

ბაზრის ანუ ბეტა რისკი, ესაა კარგად დივერსიფიცირებული პორტფელის მფლობელის თვალთ დანახული, კომპანიის რომელიმე პროექტის რისკი, როცა ის კარგად აცნო-

ბიერებს, რომ ეს რისკი მხოლოდ ნაწილია პორტფელში შემავალი აქციების რისკებიდან. ეს რისკი, როგორც წესი, მეტია პორტფელის ჯამურ რისკთან შედარებით, რაც ლოგიკურია რადგან პორტფელის შექმნის მიზანიც სწორედ ესაა, რომ მოხდეს რისკის შემცირება.

კორპორატიული და Stand-alone რისკების მაღალი დონე არ ნიშნავს, რომ კომპანიის ბეტაც მაღალი იქნება, თუმცა სხვა შემთხვევაა, თუ კომპანიის შემოსავალი არის მიზმიული ბაზრის მდგომარეობასთან და თუ შემოსავლებსა და კომპანიის ხელთ არსებულ აქტივებს შორის არის მაღალი კორელაციის დონე.

ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად შესაფასებელი მაინც ბაზრის რისკია. ის პირდაპირ აისახება აქციების ფასზე. თუმცა კომპანიები ითვალისწინებენ სამივე სახის რისკის დონეს და შემდეგ ახდენენ WACC-ის კორექტირებას რათა მიიღონ რისკის შემცველი კაპიტალის ღირებულება (Risk-adjusted cost of capital). როგორც წესი, გამოყოფენ ხოლმე რისკის სამ დონეს - დაბალი, საშუალო და მაღალი. თუ კომპანიის WACC არის 10.0% მაშინ მათ შეიძლება თქვან, რომ ნაკლებ რისკიანი პროექტებისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება იქნება 8.0% საშუალოსთვის 10.0% ხოლო მაღალ რისკიანისთვის 12.0%. მიუხედავად იმისა, რომ რისკის გათვალისწინების მოცემული მეთოდი ჯობია რისკის საერთოდ უგულვლელოფას, ის მაინც დასახვეწია და ამკარად საჭიროებს სხვა მეთოდის შერჩევას, თუმცა ბევრი კომპანია მაინც იყენებს ამ მეთოდს.

ზემოთ განხილული მეთოდისგან განსხვავებით CAPM მეთოდი ადვილად გამოსაყენებელია ცალკეული პროექტებისთვის. ფორმულა, $K_s = K_{RF} + (K_M - K_{RF})b_i$, შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპანიისთვის, რომელსაც გააჩნია ერთი პროექტი შემდეგი მაჩვენებლებით: $b = 1.1$; $K_{RF} = 8.0\%$; $K_M = 12.0\%$. ასევე ვიცით, რომ კომპანია კაპიტალს იყენებს მხოლოდ მოცემული პროექტის დასაფინანსებლად, მაშინ:

$$K_s = WACC = 8.0\% + (12.0\% - 8.0\%)1.1 = 12.4\%$$

ამდენად, თუ პროექტზე მოგება იქნება 12.4%-ზე მეტი, მაშინ ეს კომპანია მზად იქნება დათანხმდეს მოცემულ პროექტს და შესაბამისად, ინვესტორებიც მზად უნდა იყვნენ 12.4%-იანი სარგებლის შემთხვევაში საკუთარ თავზე აიღონ ამ პროექტის რისკები.

დავუშვათ, გამოჩნდა მეორე პროექტიც, რომლის ბეტაც იქნება 1.5% მაშინ კომპანიისთვის ახალი ბეტა უნდა დავთვალოთ. თუ ამ ახალ პროექტს კომპანიაში არსებული სახსრების მხოლოდ 20% უნდა მოხმარდეს, ხოლო დანარჩენი 80% ისევ ძველს მაშინ, ახალი ბეტა = $0.8(1.1) + 0.2(1.5) = 1.18$, ხოლო ახალი WACC იქნება: $K_s = 8.0\% + 4\%1.18 = 12.72\%$

როგორც ვხედავთ, კომპანიის კაპიტალის ღირებულება გაიზარდა 0.32%-ით. შესაბამისად, კომპანიამ უკვე დიდი უკუგების პროექტი უნდა მოძებნოს, რადგან კრედიტორები არ დარჩნენ იმედგაცრუებულები და ეს ყველაფერი უარყოფითად არ აისახოს აქციების ფასზე. ხოლო, ახალი უკუგება რომელიც უნდა ქონდეს ახალ პროექტს უნდა იყო:

$$0.18(12.4\%) + 0.2X = 12.72$$

$$0.2X = 2.8\%$$

$$X = 14\%$$

იმავს დავინახავთ, თუ დაითვლით მხოლოდ ამ ბოლო პროექტის კაპიტალის ღირებულებას, $K_{new} = 8.0\% + (12.0\% - 8.0\%)1.5 = 14\%$.

ამისგან განსხვავებით, თუ გვექნება ახალი პროექტი რომლის ბეტა იქნება 0.5 მაშინ საკმარისი იქნება ისეთი პროექტის მოძებნა, რომლის უკუგება იქნება 10%.

$$K' = 8.0\% + (4.0\%)0.5 = 10.0\%$$

პროექტის ბეტის განსაზღვრა არც თუ ისე მარტივია, რადგან პროექტის მომავალი წინასწარ მკვეთრად განსაზღვრული არაა, თუმცა არსებობს ბეტას შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული მეთოდი.

„**The Pure Play Method**“ – ეს მეთოდი გულისხმობს ბაზარზე მსგავსი პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების პოვნას, მათი ბეტის აღებას და ამ ბეტების საშუალოს გამოყენებას საკუთარი პროექტებისთვის. ეს მეთოდი საკმაოდ რთულია, რადგან ის ძირითადად გამოიყენება მნიშვნელოვანი აქტივებისთვის. ამ შემთხვევებშიც კი, საჭირო კომპანიების პოვნა საკმაოდ რთულია.

„**The Accounting Beta Method**“ – როგორც უკვე ავლინებთ, ხანდახან საჭირო კომპანიების პოვნა ძალიან რთულია. ეს მეთოდი კი გულისხმობს საბუღალტრო და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებას, ანუ ეს მეთოდი რომ გამოვიყენოთ აუცილებელია პროექტი დამტკიცდეს და როცა პროექტი დაიწყებს ფულის და ფინანსური ინფორმაციის შემოტანას მოხდეს ბეტის დათვლა. თუმცა, რეალურად ამის გაკეთება ძალიან რთულია. ბეტა მანამ გვჭირდება სანამ პროექტს დავამტკიცებთ, რადგან ის საჭიროა საწყის ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისას. ამის გამო, შეიძლება კომპანიაში მოხდეს ამ პროექტის შედარება სხვა უკვე განხორციელებულ პროექტებზე და თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ძველ პროექტს აქვს იგივე რისკის დონე მოხდეს ძველი ბეტის გამოყენება საწყის ეტაპზე შემდეგ კი მოხდეს მისი კორექტირება.

აღნიშნული მეთოდების დანერგვა და გამოყენება კომპანიებში აუცილებელია არა ერთჯერადად, არამედ პერმანენტულად, რადგან, საჭიროა პერსონალი გაიწაფოს და მოხდეს აღნიშნული მეთოდების იმდენად გათავისება, რომ კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყოს მისი მოდიფიკაცია. ამდენად, მართალია არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ მეთოდებზე, რომელთა კონტროლი კომპანიას არ შეუძლია, მაგრამ ამ მეთოდების ხშირი გამოყენება მენეჯმენტს მისცემს იმის გამოცდილებას, რომ საწყის ეტაპზე შეამჩნიოს მიმდინარე ცვლილებები და დროულად მიიღონ ადეკვატური ზომები.

ლიტერატურა:

1. Corporate Valuation: A guide for managers and investors – P. Daves, m. Ehrhardt and R. Shrieves - 2012;
2. Financial Management - Theory and Practice - E. F. Brigham and M. C. Ehrhardt – 11-th edition, - 2010;
3. Recent Developments in Corporate Governance – S.I. Gillan – Journal of Corporate Finance – June 2006.

Khatuna Barbakadze

*TSU, Faculty of Economics and Business
Associate Professor*

Factors affecting cost of Capital

Several factors have influence on the cost of capital, some of which are controlled by the company, but some of them are out of control. Investors' required return and risks level – in calculation of capital cost, evaluation of these two parameters give exact results of analyzing the current situation and future prospects.

Required yield on bonds and shares issued by companies is very important in determination of the cost of capital. Consequently, this cost determines risks of assets which are owned by company. Accordingly, new investments will have the same risk as in the case if company will finance the same kind of assets. But if company enters totally new segment it is necessary to determine the risk level of the project, therefore too much depends on investment policy.

Activity-Based Costing (ABC)

In the 21st Century's highly-competitive, global business world, finance and accounting professionals are increasingly being pressured to move beyond the tasks of reporting their company's results and protecting its assets and assuming the roles of trusted business advisor and enabler of their company's strategies and plans. They are, in effect, being asked to expand their horizon from the science of counting beans to the craft of growing them.

Management accounting is, however, much more than just costing, budgeting, scheduling, forecasting, or performance measurement practices. It is a process that requires partnering in management decision making, devising planning and performance management systems, and providing expertise in financial reporting and control to assist management in the formulation and implementation of an organization's strategy

An activity based costing (ABC) system recognizes the relationship between costs, activities and products, and through this relationship assigns indirect costs to products less arbitrarily than traditional methods.

Activity-based costing (ABC) is a method of assigning costs to products or services based on the resources that they consume. Its aim, *The Economist* once wrote, is "to change the way in which costs are counted"

ABC is an alternative to traditional accounting in which a business's overheads (indirect costs such as lighting, heating and marketing) are allocated in proportion to an activity's direct costs. This is unsatisfactory because two activities that absorb the same direct costs can use very different amounts of overhead. A mass-produced industrial robot, for instance, can use the same amount of labor and materials as a customized robot. But the customized robot uses far more of the company engineers' time (an overhead) than does the mass-produced one.

This difference would not be reflected in traditional costing systems. Hence a company that makes more and more customized products (and bases its pricing on historic costing) can soon find itself making large losses. As new technologies make it easier for firms to customize products, the importance of allocating indirect costs accurately increases.

The concept of ABC was first defined in the late 1980s by Robert Kaplan and William Burns. Initially ABC focused on manufacturing industry where technological developments and productivity improvements had reduced the proportion of direct labor and material costs, but increased the proportion of indirect or overhead costs. The traditional method of costing relied on the arbitrary addition of a proportion of overhead costs on to direct costs to attain a total product cost. The traditional approach to cost allocation relies on three basic steps.

1. Accumulate costs within a production or non-production department.
2. Allocate non-production costs to production departments.
3. Allocate the resulting production department costs to various products, services or customers.

This type of costing system usually allocates costs based on a single volume measure, such as direct labor hours or machine hours. While using such a simplistic volume measure to allocate overheads as an overall cost driver, this approach seldom meets the cause-and-effect criteria desired in accurate cost allocation.

This method of costing has become increasingly inaccurate as the relative proportion of overhead costs has risen. This distortion of costs can result in inappropriate decision making.

ABC is therefore an alternative approach to the traditional method or arbitrary allocation of overheads to product, services and customers.

As part of its ABC program, for example, ABB, a Swiss-Swedish power company, divided its purchasing activity into things like negotiating with suppliers, updating the database, issuing purchase orders and handling complaints.

Large firms should try a pilot scheme before implementing the system throughout their organization. Introducing activity-based costing is not a simple task – it is by no means as easy as ABC. For a start, all business activities must be broken down into their discrete components organization. The information essential for ABC may not be readily available and may have to be calculated specially for the purpose. This involves making many new measurements. Larger companies often hire consultants who are specialists in the area to help them get a system up and running.

The easy approach is to use ABC software in conjunction with a company's existing accounting system. The traditional system continues to be used as before, with the ABC structure an extra to be called upon when specific cost information is required to help make a particular decision. The development of business accounting software programs has made the introduction of activity-based costing more feasible.

Setting up an activity-based costing system is a prerequisite for improving business processes and for any re-engineering program. Many firms also use ABC data for the measures required for a balanced scorecard.

In 2007 Kaplan brought out a new book that tried to make activity-based costing easier. Called TDABC (time-driven activity-based costing), it attempted to relate the measurement of cost to time. As Kaplan put it, only two questions need to be answered in TDABC:

- How much does it cost per time unit to supply resources for each business process?
- How much time is required to perform the work needed for a company's products, transactions and customers?

Nevertheless, ABC has many satisfied customers. Chrysler, an American car manufacturer, claims that it saved hundreds of millions of dollars through a program that it introduced in the early 1990s. ABC showed that the true cost of certain parts that Chrysler made was 30 times what had originally been estimated, a discovery that persuaded the company to outsource the manufacture of many of those parts.

The successful implementation of ABC usually requires participation by managers from non-accounting functions, such as production and marketing. Because ABC focuses on activities, and activities often cut across departments and functional areas, implementing ABC can improve lines of communication and cooperation within the company. On the other hand, more accurate cost allocation does not, by itself, reduce costs. The initial move from a traditional costing system to ABC usually shifts overhead costs from some products to other products, with some managers “winning” and some “losing.” Some companies have found that hiring an outside consulting firm to assist with the ABC adoption facilitates obtaining “buy-in” by managers and employees throughout the company. Perhaps partly for this reason, ABC implementation has become an important consulting product for accounting firms and for many consulting firms.

Although ABC should provide the company more accurate information, it is not a panacea; some companies that invested time and money implementing ABC did not realize the benefits they expected. Some of these companies have reverted to simpler, more traditional costing systems.

ABC is as important to companies in the merchandising and service sectors as to manufacturing companies. In fact, although the origination of ABC is generally ascribed to manufacturing companies in the 1980s, by then hospitals were already allocating overhead costs to departments and then to patient services using methods similar to ABC. Hospitals were required to implement relatively sophisticated allocation processes in order to comply with Medicare reimbursement rules. After its inception in the 1960s, Medicare established detailed rules regarding how overhead costs should be grouped into cost pools, and the choice of appropriate allocation bases for allocating overhead costs to departments and then to patients. Within these rules, hospitals were able to maximize revenues by shifting costs from areas such as pediatrics, labor and delivery, and maternity (which have low rates of Medicare utilization) to the intensive care unit, the critical care unit, and surgery (which have higher rates of Medicare utilization). Other non-manufacturing industries that have benefited from ABC include financial services firms and retailers.

Activity-based costing (ABC) is a better, more accurate way of allocating overhead.

Recall the steps to product costing:

Identify the **cost object**;

1. Identify the **direct costs** associated with the cost object;

2. Identify **overhead costs**;
3. Select the **cost allocation base** for assigning overhead costs to the cost object;
4. Develop the **overhead rate** per unit for allocating overhead to the cost object.

Activity-based costing refines steps #3 and #4 by dividing large heterogeneous cost pools into multiple smaller, homogeneous cost pools. ABC then attempts to select, as the cost allocation base for each overhead cost pool, a cost driver that best captures the *cause and effect relationship* between the cost object and the incurrence of overhead costs. Often, the best cost driver is a nonfinancial variable.

ABC can become quite elaborate. For example, it is often beneficial to employ a two-stage allocation process whereby overhead costs are allocated to intermediate cost pools in the first stage, and then allocated from these intermediate cost pools to products in the second stage. Why is this intermediate step useful? Because it allows the introduction of *multiple cost drivers* for a single overhead cost item. This two-stage allocation process is illustrated in the example of the apparel factory below.

ABC focuses on activities. A key assumption in activity-based costing is that overhead costs are caused by a variety of activities, and that different products utilize these activities in a non-homogeneous fashion. Usually, costing the activity is an intermediate step in the allocation of overhead costs to products, in order to obtain more accurate product cost information. Sometimes, however, the activity itself is the cost object of interest. For example, managers at Levi Strauss & Co. might want to know how much the company spends to acquire denim fabric, as input in a sourcing decision. The “activity” of acquiring fabric incurs costs associated with negotiating prices with suppliers, issuing purchase orders, receiving fabric, inspecting fabric, and processing payments and returns.

Assume that an apparel factory uses forklifts in only two departments:

The first department is Receiving, where large rolls of fabric are unloaded from semi-trailers and moved into storage, and later moved from storage to the cutting room.

The second department is Shipping, where cartons of finished pants are staged and then loaded onto semi-trailers for shipment to the warehouse.

Costs associated with operating these forklifts consist of the following:

<u>Forklift costs:</u>	
Operator salaries	\$ 80,000
Maintenance	8,000
Depreciation expense	7,500
Other	<u>2,500</u>
Total forklift costs	\$ 98,000
All other overhead	<u>1,400,000</u>
Total overhead for the factory	<u>\$1,498,000</u>

The factory operates two production lines. One line is for jeans, which are made from denim fabric. The other production line is for casual slacks, which are made from a cotton-twill fabric. Operational data for the month is as follows:

	<u>Jeans</u>	<u>Casual Slacks</u>	<u>Total</u>
Units produced	420,000	200,000	620,000
Direct labor hours	70,000	40,000	110,000
Rolls of fabric	1,750	640	2,390
Cartons shipped	52,500	20,000	72,500

The factory ships product to the company’s warehouse, not directly to customers. Hence, to facilitate stocking at the warehouse, each carton is packed with jeans or casual slacks, but not both. An examination of the information in the above table reveals that a carton holds more slacks than jeans, and that fewer pants are cut from a roll of denim fabric than from a roll of cotton-twill. These

operational statistics are driven by the fact that denim is a heavier-weight fabric than cotton-twill, and hence, it is bulkier. The data also indicate that more direct labor minutes are required for a pair of slacks than for a pair of jeans, which reflects greater automation on the jeans production line.

Traditional costing

Under a traditional costing system, forklift costs are pooled with all other overhead costs for the factory (electricity, property taxes, front office salaries, etc.), and then allocated to product based on direct labor hours (sewing operator time) for each product.

Overhead rate under traditional costing:

Total overhead costs	\$ 1,498,000
Quantity of allocation base (direct labor hours)	<u>÷ 110,000</u>
Overhead rate per direct labor hour	<u>\$ 13.62</u>

of which the following is due to forklift costs:

Forklift overhead	\$ 98,000
Quantity of allocation base (direct labor hours)	<u>÷ 110,000</u>
Overhead rate for forklift costs per direct labor hour	<u>\$ 0.8909</u>

Forklift overhead applied to product using traditional costing:

	<u>Jeans</u>	<u>Slacks</u>
Overhead rate	\$ 0.8909	\$ 0.8909
Quantity of allocation base (direct labor hours)	<u>x 70,000</u>	<u>x 40,000</u>
Forklift costs allocated	\$ 62,363	\$ 35,636
Units produced	<u>420,000</u>	<u>200,000</u>
Approximate cost per unit	<u>\$0.15</u>	<u>\$0.18</u>

Note that all forklift overhead is allocated: $\$62,363 + \$35,636 = \$97,999$ (the difference due to rounding of the overhead rate).

If the casual slacks product manager asks why her product incurs more forklift costs on a per-unit basis than jeans, even though casual slacks use a lighter-weight fabric, the answer is that her product uses more direct labor per unit, which perhaps is not a very satisfying explanation from her perspective.

Activity-based costing

An ABC system might first allocate forklift costs into two cost pools: one for the Receiving Department and one for the Shipping Department. Then costs from each of these two departments would be allocated to the two product lines.

ABC first-stage allocation

The first-stage allocation might use an estimate of the amount of time the forklifts spend in each department. A one-time study indicates that forklifts spend approximately 70% of their time in the Shipping Department and 30% of their time in the Receiving Department. An additional benefit of ABC is that if this information were collected periodically, the managers of these two departments might be more willing to share the forklifts with each other, since the reported costs of each department would then depend on the time the forklifts spend in that department. In any case, the 70/30 allocation results in the following first-stage allocation:

30% of \$98,000 = \$29,400 is allocated to the Receiving Department
 70% of \$98,000 = \$68,600 is allocated to the Shipping Department

ABC second-stage allocation

	<u>Receiving</u>	<u>Shipping</u>
Total costs	\$29,400	\$68,600
Quantity of allocation base	<u>÷ 2,390 rolls</u>	<u>÷ 72,500 cartons</u>
Overhead rate	<u>\$12.30 per roll</u>	<u>\$0.946 per carton</u>

Allocation to Jeans

Overhead rate	\$12.30 per roll	\$0.946 per carton
Quantity of allocation base	<u>x 1,750 rolls</u>	<u>x 52,500 cartons</u>
	<u>\$21,525</u>	<u>\$49,665</u>

Allocation to Slacks

Overhead rate	\$12.30 per roll	\$0.946 per carton
Quantity of allocation base	<u>x 640 rolls</u>	<u>x 20,000 cartons</u>
	<u>\$7,872</u>	<u>\$18,920</u>

Total forklift costs allocated to each product:

	<u>Jeans</u>	<u>Slacks</u>	<u>Total</u>
From Receiving	\$21,525	\$ 7,872	\$29,397
From Shipping	<u>49,665</u>	<u>18,920</u>	<u>68,585</u>
Total	\$71,190	\$26,792	<u>\$97,982</u>
Units Produced	<u>420,000</u>	<u>200,000</u>	
Approximate Cost per unit	<u>\$0.17</u>	<u>\$0.13</u>	

The \$18 difference between total costs allocated of \$97,982 and the original costs of \$98,000 is due to rounding.

The first-stage allocation allows the second-stage to allocate forklift costs to product using rolls of fabric as the allocation base in Receiving, and cartons of pants as the allocation base in Shipping. Since there are no rolls of fabric in the shipping department, and no cartons in the Receiving Department, without the first stage allocation, there would be no obvious choice of an allocation base that would capture the cause-and-effect relationship between the costs of operating the forklifts, and the utilization of forklift resources by each product in the two departments.

Conclusion

The traditional costing method allocates more forklift costs to slacks than to jeans on a per-unit basis because casual slacks require more sewing effort. ABC allocates more forklift costs to jeans than to casual slacks, on a per-unit basis, which is intuitive because denim is a heavier-weight fabric than cotton twill.

ABC activities have been around for nearly 20 years and many companies in a variety of sectors have implemented activity based thinking. ABC and ABM have brought about radical changes in cost management systems. The principles and philosophies of activity based thinking apply equally to service companies, government agencies, process and manufacturing industries.

Management practices and methods have changed over the last decade and will continue to change. Organisations have moved from managing vertically to managing horizontally. There has also been a move from a function orientation to a process orientation.

However, management information systems to track and provide information about the horizontal aspects of business have lagged significantly behind managers' needs. ABC and ABM fill this information gap by providing cost and operation information that mirrors a horizontal view.

ABC focuses on accurate information about the true cost of products, services, processes, activities and customers. Using ABC, organisations gain a thorough understanding of their business processes and cost behaviour during ABC analysis. Management then applies this insight to improve decision making at operating and strategic levels. This is then known as ABM. Simply, ABM is ABC in action.

Literature:

1. Barrett, R. *Getting a better view of business with activity based costing*. CIMA Insight, February 2005.
2. Allott, A. *Activity Based Management can work for your company* CIMA Insight, January 2004.
3. Johnson, B. and Glad, E. *Spring chicken or dead lunch?* *Chartered Accountants Journal*, March 2006, Volume 85, Issue 2, pp 35-36
4. Kaplan, R.S. and Anderson, S.R. *Time-driven activity-based costing*. *Harvard Business Review*, November 2004, Volume 82, Issue 11, p. 131
5. Larson, P. and Kerr, S. *Integration of process management tools to support TQM implementation: ISO 9000 and activity-based costing*. *Total Quality Management & Business Excellence*, January-March 2007, Volume 18, Issue 1-2, pp 201-207
6. Meelah, R. and Ibrahim, D.N. *Factors influencing activity based costing (ABC) adoption in manufacturing industry*. *Investment Management & Financial Innovations*, 2007, Volume 4, Issue 2, pp. 113-124
7. Friedman, A. and Lyne, S. *Success and failure of activity-based techniques: a long-term perspective*. London: CIMA Publishing. (CIMA Research Series)
8. Hansen, D. and Mowen, M. (2006). *Cost management: accounting and control*. Mason, OH: London: Thomson/South-Western
9. Kaplan, R. and Anderson, S. (2007). *Time-driven activity-based costing: a simpler and more powerful path to higher profits*. Boston, MA: Harvard Business School
10. Turney, P. (2005). *Common cents: how to succeed with activity-based costing and activity-based management*. New York: London: McGraw-Hill

Websites

11. University of Pittsburgh: Introduction to ABC An online presentation on ABC, by Narycz Roztocki of Pittsburgh University. Includes links to further sources of information on ABC. Available from: <http://digbig.com/4xtmc> [Accessed 4 November 2008]
12. The Activity Based Costing Portal Global community portal explaining all aspects of Activity Based Costing. Available from: www.offtech.com.au/abc/Home.asp [Accessed 23 March 2009]
13. The Value Creation Group – Activity Based Costing Gateway site on Activity Based Costing. Available from: [Accessed 4 November 2008] <http://digbig.com/4xtmg>
14. *Where are you on the ABC learning curve?* An article by Tad Leahy in Business Finance Magazine. Business Finance Magazine and ALG Software recently surveyed more than 250 finance executives from companies of all sizes and types about the scope and current status of their organisation's ABC efforts. Available from: www.businessfinancemag.com [Accessed 4 November 2008]

Resume:

In this article we attempt to analyze an activity based costing (ABC) system, its advantages and disadvantages.

An activity based costing (ABC) system recognizes the relationship between costs, activities and products, and through this relationship assigns indirect costs to products less arbitrarily than traditional methods.

Activity-based costing (ABC) is a method of assigning costs to products or services based on the resources that they consume.

ABC is an alternative to traditional accounting in which a business's overheads (indirect costs such as lighting, heating and marketing) are allocated in proportion to an activity's direct costs. This is unsatisfactory because two activities that absorb the same direct costs can use very different amounts of overhead. A mass-produced industrial robot, for instance, can use the same amount of labor and materials as a customized robot. But the customized robot uses far more of the company engineers' time (an overhead) than does the mass-produced one.

ABC activities have been around for nearly 20 years and many companies in a variety of sectors have implemented activity based thinking. ABC and ABM have brought about radical changes in cost management systems. The principles and philosophies of activity based thinking apply equally to service companies, government agencies, process and manufacturing industries.

მაია გელაშვილი

*ეკონომიკის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

ხათუნა ბერიშვილი

*ეკონომიკის დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი*

მმართველობითი აუდიტის ასპექტები საბანკო ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

საფინანსო მომსახურების ბაზრის აქტიური განვითარების პირობებში, რომელიც შეინიშნება მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლების განმავლობაში, ტრანსნაციონალურ მასშტაბებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მმართველობითი აუდიტის ასპექტები საბანკო ბიზნესის ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, საბიუჯეტო თუ არასაბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ ფინანსური ინფორმაციის მიღების, მისი უტყუარობისა და ხარისხის შეფასებისათვის საჭირო გახდა აუდიტორული სამსახურის შემოღება. აუდიტის საფუძველზე მომხმარებელს მიეწოდება არგუმენტირებული დასკვნა, რომელიც უტარდება კონკრეტულ ობიექტს, რომლის მიზანია ისეთი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის საქმიანობას.

ცნობილია, რომ საბანკო სისტემა, საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო წნეხიგან ოპტიმალურად გამოთავისუფლდა და იგი ეკონომიკის ფინანსური კონტროლის მართვაში აქტიურ ინსტრუმენტად გარდაიქმნა, მაგრამ კვლავ აქტუალურია ბანკის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის შედარება მათი ფუნქციონირების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. საბანკო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხდება რესურსების ყველაზე უფრო ეფექტური გამოყენება. ბანკების ფინანსური უსაფრთხოების და მათი სტაბილური ფუნქციონირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია საბანკო ბიზნესის არა მარტო წარმატებული მართვა, არამედ მისი პერსპექტიული განვითარებაც არაპროგნოზირებადი კონიუნქტურის პირობებში. შესაბამისად, უსაფრთხოების მართვა წარმოადგენს შიდა საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, რომელიც უნდა განხორციელდეს მთლიანი მმართველობითი სისტემის ფარგლებში. ბანკში ფინანსური მენეჯმენტი უნდა იყოს არა უბრალოდ ფინანსური მართვის ელემენტი, არამედ იგი უნდა წარმოადგენდეს მართვის პროცესების საფუძველს, რადგან საფინანსო საქმიანობა უმთავრესია საბანკო საქმიანობაში.

თანამედროვე საზოგადოება ხასიათდება ფინანსური ბაზრის აქტიური განვითარებით. ეს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ბანკებს მათ საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ბანკების მუშაობა უნდა ხასიათდებოდეს მაღალი ეფექტიანობით, რისთვისაც აქტუალური ხდება ბანკის საფინანსო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი მიდგომა ეფექტიანობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეფექტიანობა გაიზომება ბანკის აქციების ფასის ან ბიზნესის ფასის ზრდით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში, ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელია ისეთი მაჩვენებლების საშუალებით, როგორც არის მოგებიანობა და რენტაბელურობა. ბანკების საქმიანობა დღეისათვის ხასი-

ათდება მომატებული კონკურენციისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისების ფონზე. ამ შემთხვევაში ეფექტიანობის შეფასება გამოიხატება ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასებაში. თავის მხრივ ბანკების მდგრადობა და საიმედოობა ძლიერ არის დამოკიდებული კაპიტალის სტრუქტურაზე და მის საკმარისობაზე რისკების დასაფარავად, ბალანსის ლიკვიდურობის დონეზე, აქტივების სტრუქტურაზე და ხარისხზე, რისკების მართვის პოლიტიკაზე, რისკ-მენეჯმენტის ორგანიზების ხარისხის კონტროლზე. თანამედროვე ბანკის საქმიანობა აგებულია ბიზნეს-ტექნოლოგიებზე და თანამედროვე პირობებში ზუსტად ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენენ საბანკო ბიზნესის ფუნდამენტს. ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა საბანკო ბიზნესზე იმდენად გაიზარდა, რომ ავტომატიზაცია, ისევე როგორც საფინანსო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის საბოლოო შედეგს. იმისათვის, რომ ბანკები გადარჩნენ მომატებული კონკურენციის პირობებში, უწყვეტ ახალი მომსახურებების შეთავაზება საერთაშორისო სტანდარტების თანახმად. პირველ პლანზე საფინანსო სტაბილურობასთან და საიმედოობასთან ერთად გამოდის ბანკის სერვისული თვისებები - პროფესიონალში, მომსახურების სიჩქარე, მომსახურების ფართო ასორტიმენტი, ბაზრის მასშტაბები, სადაც ბანკს შეუძლია მუშაობა. დღეისათვის ბანკისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მწარმოებლურობა, არამედ მოქნილობა. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობენ ამ მოქნილობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საბანკო ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარისხი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს პრობლემას თითოეული ბანკისათვის, განსაკუთრებულად განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ხარისხიანი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება გავლენას ახდენს შეცდომების რაოდენობის შემცირებაზე, მუშაობის უკეთეს შედეგებზე, კლიენტების დამატებით სარგებელზე, მუშაობის მიმართულებაში ცვლილებებსა და ა.შ.

მმართველობითი აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს შექმნას შიდა კონტროლის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორების, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვას ბანკის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, კონტროლის დაწესების, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარების და საიმედოობის ისეთი დონით უზრუნველყოფას, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების შინაარსისა და საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაციას, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც ბანკის სისტემა მეანაბრეთა ინტერესების დაცვისათვის, ბანკის საქმიანობაში კონკრეტული შედეგების მიღწევისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ბანკებში შიდა კონტროლის (აუდიტის) ორგანიზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმატიული აქტები – დებულებები და მითითებები განსაზღვრავს.

ბანკში შიდა აუდიტის სისტემის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს შემოწმების შემდეგი მიმართულებით წარმართვა: მოქმედი კანონმდებლობის დაცვა; საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობა მისი განვითარების გეგმასთან; ფინანსური და სამმართველო ინფორმაციის სარწმუნოობა, ოპერატიულობა და კონტროლი; ბანკის ლიკვიდურობის, რენტაბელობისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის გატარებულ ღონისძიებათა რაციონალურობა. შიდა საბანკო აუდიტის (კონტროლის) მოქმედი სისტემა მოიცავს მიმდინარე და მომდევნო კონტროლს ბანკებში და შიდა კონტროლის ორგანიზებას, რომელთა ეფექტიანი სისტემის (სპეციალური ქვედანაყოფის) უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო რისკების გამოვლენისა და შეფასების სისტემის შექმნა ბანკში. ასევე, მნიშვნელოვანია ხარისხიანი შიდა კონტროლის ჩასატარებლად სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა, როგორც საკუთრივ ბანკში, ისე კონკურენტ ბანკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რისკების კონტროლის დროს რეკომენდირებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური კონტროლის ჩატარება, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის წესებით სამ ძირითად

დონეზე: ინდივიდუალურ, (თანამშრომლის დონე), მიკრო და მაკრო დონეზე. ინდივიდუალურ დონეზე განხორციელებული წინასწარი კონტროლი მოიცავს კადრების შერჩევასა და განწყობას. მიკროდონეზე გამოყოფენ იმ რისკებს, რომლებსაც განაპირობებს ბანკის საქმიანობის მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობები. მაკრო დონეზე წინასწარი კონტროლის ეტაპზე მმართველობითი აუდიტის სპეციალური ქვედანაყოფის სამსახური ამოწმებს მონაცემთა საწყისი ბაზის შემადგენლობას, სისრულესა და განახლების თავისდროულობას.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტა. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისული სიტუაცია და საბანკო სტრუქტურებზე ხისტი ზემოქმედების მეთოდების გამოყენება, რაც კიდევ უფრო ამწვავებს საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების დაცვის პრობლემას. საბანკო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მთავარი მიზანია საბანკო ბიზნესის მაქსიმალურად სტაბილური ფუნქციონირების მიღწევა, მისი სამომავლო განვითარების პრიორიტეტების ფორმირება მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური რისკ-ფაქტორებისა. შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი პრინციპია ეკონომიკური სისტემის შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლი და ბალანსირება.

საბანკო სისტემის ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები. შიდა ფაქტორებში იგულისხმება: სააღრიცხვო და საფინანსო-ეკონომიკური პერსონალის კვალიფიკაცია; ბანკის უმაღლესი მმართველობის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები; ბანკის კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების იურიდიული უზრუნველყოფა და ექსპერტიზა; შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობა; საკასო, საგადასახადო და საანგარიშსწორებო დისციპლინა; ბანკის გაყიდვების და მარკეტინგული სტრატეგია, ხოლო გარე ფაქტორებში საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა; დებიტორების გადახდისუნარიანობა; სახელმწიფო მართვის ორგანოების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობა; კრედიტორების აქტიუობა ვალების მოთხოვნის კუთხით; ეფექტური საქმიანი ურთიერთობები საფინანსო-საბანკო სისტემასთან; პარტნიორებისა და კონტრაგენტების საიმედოობა.

მთავარი გარე საფრთხეები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ბანკის ფინანსურ უსაფრთხოებაზე, არის:

- არასასურველი პარტნიორების მიერ ბანკის აქციების და ვალების შესყიდვა;
- ბანკის მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებების არსებობა;
- კაპიტალის ბაზრისა და მისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- ინვესტორების უფლებების დაცვის არასათანადო სამართლებრივი ბაზა და კანონების არასათანადო შესრულება;
- ფულადი და საფინანსო-საკრედიტო სისტემის კრიზისები;
- ეკონომიკის არასტაბილურობა;
- სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მექანიზმების არასრულყოფილება.

ბუნებრივია, რომ ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა ეყრდნობოდეს არსებულ კანონმდებლობას, ანუ გააჩნდეს სამართლებრივი ბაზა. დღეისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზა არასაკმარისადაა შემუშავებული, ხოლო მრავალი ნორმატიული აქტი, მაგალითად, საგადასახადო ბაზა, ძალზედ სწრაფად იცვლება და არსებით გავლენას ახდენს საბანკო საქმიანობის შედეგიანობაზე და ნეგატიურ გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე.

ფინანსური რესურსების დაბალანსებულობა მათი წარმოქმნის წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების თვალსაზრისით აუცილებელი პირობაა საბაზრო ეკონომიკის

ერთ-ერთ საკვანძო პრობლემის ბანკის გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. ზოგადად, გადახდისუნარიანობა წარმოადგენს ბანკის უნარს დროულად და აუცილებელი მოცულობით დააკმაყოფილოს თავისი საგადასამხდელი ვალდებულებები. შესაბამისად, ბანკებში ფინანსური უსაფრთხოების ძირითად ამოცანას მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირება და მუდმივი ფინანსური წონასწორობის შენარჩუნებაა მნიშვნელოვანი. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების დაცვის მექანიზმების შექმნა და გამოყენება კომერციული ბანკების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

საბანკო ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგია წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნებისა და მმართველობითი მიდგომების ერთობლიობას, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციის დაცვას საფრთხისაგან, ასევე მისთვის ქონებრივი ან არაქონებრივი ნებისმიერი სხვა ზარალის მიყენებისაგან. როგორც წესი, საბანკო მართვის ამოცანების რეალიზაციისათვის შემუშავდება სპეციალური დოკუმენტი – ბანკის სტრატეგია, რომელიც გენერალური პროგრამის როლს თამაშობს და აყალიბებს იმ ღონისძიებების, საშუალებებისა და მეთოდების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს მითითებული მიზნების მიღწევას, და აგრეთვე, მოიცავს ბანკის და მისი ქვეგანყოფილებების საქმიანობის მიზნობრივი ორიენტირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ გამოსახულებებს. სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც მოიცავს არა მარტო სტრატეგიულ გეგმებს, არამედ მათი შესრულების კონტროლს, პასუხს აგებენ პირველ რიგში უმაღლესი დონის მენეჯერები. ბაზელის კომიტეტის მიერ გამოცემული დოკუმენტები ბანკების საიმედო პრაქტიკასთან დაკავშირებით ხაზს უსვავენ ბანკების მიერ სტრატეგიის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის ანგარიშგების შემოღების აუცილებლობას. შესაბამისად, ბანკის ძირითადი ფუნქციების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია კონტროლის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა ბანკებში, რომელიც ბანკისათვის ძირითადი ფინანსური ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისადმი დადგენილი სავალდებულო და სარეკომენდაციო ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვას, ასევე ლიცენზიებისა და საიდუმლოებების დაცვის, საბანკო საქმეში გამოყენებადი ავტომატიზირებული სისტემის გაფართოებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმების სრულყოფას უზრუნველყოფს. ბანკებში ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს შიდა რესურსების დაცვას. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის მკაცრი მონიტორინგი და აუდიტი. აქ შეგვიძლია ავლნიშნოთ ისეთი პროდუქტები, როგორც არის Check Point Eventia Analyzer ან CISCO Systems MARS. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესის წარმოების უწყვეტობისა და კატასტროფის შემდგომ აღდგენის, და აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების ასპექტებს. ასეთი ტიპის სამუშაოების ჩატარების დროს ბანკები ზოგ შემთხვევაში მიმართავენ გარე კონსულტანტების დახმარებას. აქ ხშირად წარმოიშვება შემდეგი საკითხი: როგორ უნდა იყოს შერჩეული საიმედო პარტნიორი, რომელსაც შეიძლება ენდოს ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული სფერო. პირველ რიგში, კონსულტანტი კომპანია უნდა ფლობდეს კარგ რეპუტაციას ბაზარზე. მეორე, ბანკი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თავად კომპანიასა და პროექტში მონაწილე თანამშრომლებს გააჩნიათ მუშაობის ფართო გამოცდილება ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში. მესამე, შემსრულებელს უნდა გააჩნდეს პროგრამულ-აპარატურული საშუალებები ტესტური სტენდების ასაგებად, სამუშაოების ჩასატარებლად ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის, პროექტებისა და მოდელირების საკითხში. საბანკო სისტემის სტაბილურობით მთელი საზოგადოება დაინტერესებული და ამ სექტორს ზედამხედველობის მკაცრი წესები აქვს. ყველა ქვეყანაში ბანკები ცენტრალურ ბანკსა და სხვა შესაბამისი ოფიციალური სტრუქტურების ზედამხედველობას ექვემდებარებიან. ბანკებში

იყრის თავს საზოგადოების დანაზოგები, რომელთა მეშვეობითაც საქონლისა და მომსახურებისათვის ანგარიშსწორება, აგრეთვე მეწარმეობისა და ვაჭრობის განვითარების დაფინანსება ხდება. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას გარე აუდიტორებიც ამოწმებენ. გარე აუდიტის, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და ზოგადად საზედამხედველო ორგანოს ამოცანა არის სხვადასხვა. საზედამხედველო ორგანო პასუხისმგებელია საბანკო სექტორის სტაბილურ მუშაობაზე და აქედან გამომდინარე დაინტერესებულია, რომ თითოეულმა საბანკო დაწესებულებამ გამართულად იმუშაოს, რადგან ერთში შექმნილმა პრობლემამ შესაძლოა მთელი საბანკო სისტემა შეარყიოს. ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტის ამოცანები კი ისაა, რომ კონკრეტულ საბანკო დაწესებულებას დაუსვას დიაგნოზი ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის თვალსაზრისით, წარმოადგინოს თავისი ანგარიში მენეჯმენტის საქმიანობისა თუ შიგა კონტროლის სისტემის შესახებ და წარმოაჩინოს ის სუსტი მხარეები, რომელმაც შესაძლოა მომავლისთვის ბანკში პრობლემების გაჩენა და ბანკის ლიკვიდობის გაუარესებამდე მიყვანა გამოიწვიოს.

ეროვნული ბანკი გარკვეული პერიოდულობით ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს გამოსცემდა და ბანკებს ახსენებდა, რომ მათ გარე აუდიტი უნდა ჩაეტარებინათ და კვლავ მიუთითებდა (სურვილის კონტექსტში) საერთაშორისო აუდიტურ კომპანიებზე, თუმცა იქვე დასძენდა, რომ თუ ბანკებს არ ჰქონდათ ფინანსური შესაძლებლობა, შეეძლოთ ქართული აუდიტური კომპანიებისთვის მიემართათ. საბოლოო ჯამში, საბანკო სექტორში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ წამყვანი ქართული ბანკების დიდ უმრავლესობას გარე აუდიტის ნაწილში ურთიერთობა საერთაშორისო აუდიტურ კომპანიებთან უნდა ჰქონოდა და მათ მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი ამ ბანკებისთვის ყოველწლიური გარე აუდიტორული დასკვნა, თუმცა ამ პერიოდში ქართული ბანკები მეტ-ნაკლებად გაიზარდნენ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ტრანშების მოზიდვა და საკრედიტო ხაზების ათვისება დაიწყეს. უმეტეს შემთხვევაში ქართულ ბანკებში აქციონერები, ქართველებთან ერთად გახდნენ უცხოური საერთაშორისო ინსტიტუტები თუ სხვა არარეზიდენტები, რომლებიც ითხოვდნენ საერთაშორისო აუდიტური კომპანიების ჯერ „დიდი ექვსეულის“, შემდეგ „დიდი ხუთეულის“ და მერე „დიდი ოთხეულის“ ან, უკიდურეს შემთხვევაში, საერთაშორისო ქსელში ჩართული წამყვანი აუდიტური კომპანიების აუდიტორულ დასკვნებს. ბანკებს საკმარისი კომპეტენცია აქვთ იმისთვის, რომ განსაზღვრონ მათი ოპერაციებიდან, ზომიდან და მიზნებიდან გამომდინარე, რა ტიპის აუდიტორული კომპანიის შერჩევა ურჩევნიათ. რა თქმა უნდა, რაც უფრო დიდი გამოცდილება და საერთაშორისო ექსპერტიზა აქვს აუდიტორულ კომპანიას, მით უფრო რთული და დიდი ორგანიზაციების აუდიტი შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, აუდიტორის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებენ აქციონერები და არა მენეჯერები. აქციონერები კი გამომდინარეობენ არა მხოლოდ ეროვნული ბანკის, არამედ საკუთარი ინტერესებიდან და ფინანსური ანგარიშგების სხვა მომხმარებლების ინტერესებიდან. შესაბამისად, აქციონერებზე უკეთესად ვერავინ განსაზღვრავს, რა ტიპის აუდიტორული მომსახურება სჭირდება ბანკს, რომ ბანკებმა რეალურად უნდა შეაფასონ თავიანთი ოპერაციების სირთულე, რაოდენობრივი მახასიათებლები და აუდიტორი ამის შესაბამისად შეარჩიონ. აუდიტორებთან თანამშრომლობა, მსოფლიო მასშტაბით ჩამოყალიბებული ტენდენციაა. მიზეზი ის გახლავთ, რომ საბანკო სექტორი თავისი შინაარსით უზრუნველყოფს თავისუფალი კაპიტალის საერთაშორისო დონეზე მიმოქცევას. შიგა აუდიტი დამოუკიდებლობის მეტ ხარისხს საჭიროებს. გარე აუდიტორს და საზედამხედველო ორგანოს უპირველესად აინტერესებს ბანკის სტაბილურობა და ბანკის უსაფრთხოების დაცვა, ვინაიდან მასზე მიბმული არიან მენაბრეები და მსესხებლები. საზედამხედველო ორგანო ბანკის მიმდინარე და მომავალ სიცოცხლისუნარიანობას აკონტროლებს. გარე აუდიტორს კი პირველ რიგში აინტერესებს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის შედგენა, რომელსაც ჩვეულებრივ დირექტორატი და აქციო-

ნერები იყენებენ. გარკვეულ ნაწილში საზედამხედველო ორგანოსა და გარე აუდიტორის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ არსებობს განსხვავებაც. მათ ინტერესებში ერთ-ერთი განსხვავება არის ის, რომ ზედამხედველი პირველ რიგში შიგა კონტროლის სისტემის სიძლიერითაა დაინტერესებული, ანუ ბანკებში უნდა იყოს შიგა კონტროლის ეფექტიანი სისტემა, რომელიც არ დაუშვებს ისეთ უზუსტობას, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა ბანკის გადახდისუუნარობა და, შესაბამისად, საბანკო კრიზისის ინიცირება გამოიწვიოს. თავის მხრივ, კონტროლის სიძლიერე დამოკიდებულია შიგა აუდიტსა და იგივე აუდიტის კომიტეტზე, რომელიც შიგა აუდიტს ზედამხედველობს და იმავდროულად ევალუა გარე აუდიტთან კოორდინირებული საქმიანობა გარე აუდიტორის მიერ აუდიტის ჩატარებისას. რაც შეეხება შიგა კონტროლის სისტემასთან მიმართებაში გარე აუდიტორის დაინტერესებას, მისთვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს იმავე შიგა კონტროლის სისტემის შეფასებას იმდენად, რამდენადაც ის ვალდებულია განსაზღვროს შესაბამისი სამუშაოს მოცულობა. მან უნდა დაადგინოს, რა ზომითაა შესაძლებელი შიგა კონტროლის სისტემაზე დაყრდნობა იმისათვის, რომ შერჩევის გზითა და შესაბამისი ტესტირების საფუძველზე იყოს გამოვლენილი ის სუსტი მხარეები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის გადახდისუუნარობა. აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნებოდა:

- ბანკებისთვის აუდიტის ჩატარება და გარე აუდიტორებისა და ზედამხედველების კოორდინირებული მუშაობა, რათა აღმოჩენილი იყოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც შესაძლოა ბანკის მუშაობაში არსებობდეს და შესაბამისად მთელი საზოგადოებაც დაზღვეული იყოს საბანკო რყევებისგან, რაც საბოლოო ჯამში არა მარტო საბანკო, არამედ მთლიანად ეკონომიკის კრიზისს იწვევს;

- მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორის დასკვნა ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის დამკვიდრებას, აუდიტორის დასკვნა არ უნდა იყოს მიჩნეული ბანკის მომავალი სიცოცხლისუნარიანობის გარანტიად. ის აუცილებლად მუდმივად განვითარების, დახვეწის პროცესში უნდა იყოს. მით უმეტეს, საქართველოს საბანკო სექტორი ვითარდება და შესაძლოა სულ ახლო მომავალში საკმაოდ დახვეწილი მოგვევლინოს, რადგან საბანკო აუდიტის სექტორში ფინანსური რეგულირება არ არის ის რაც მივიღეთ და სამუდამოდ უნდა გვქონდეს. თუმცა, ზოგი მათგანი კომერციულ ბანკებს უწევს გარკვეულ მომსახურებას, რაც ძირითადად საგადასახადო საკითხებში გაწეულ კონსულტაციებში გამოიხატება.

შესაბამისად, საბანკო ზედამხედველობის ორგანოები მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საბანკო კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგს, ვინაიდან საბანკო საფინანსო სისტემაში პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს კანონმდებლობის სრულყოფას, კრედიტორთა უფლებების დაცვას, საბანკო სექტორის შემდგომ კონსოლიდაციას, საბანკო მმართველობის ახალი ფორმების დანერგვას და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რომელიც მიმართულია აღნიშნული მონიტორინგის ფუნქციების საზოგადოებაზე გადატანისკენ. მთლიანობაში, ამ ეტაპზე ეროვნული ბანკი ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ადეკვატურია.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ. ფინანსური კონტროლი. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ.159.
2. ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი მ. მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი. ახალციხე, 2011 წ., გვ. 276.
3. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ბერიშვილი ხ., ჯღარკავა ნ. კორპორაციული ფინანსები. თბ. 2013 გამომც. „უნივერსალი“.

4. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, 2010წ., 26 მარტი, თბილისი.
5. А.Куншарев. “Журнал” Аудит, №2-3, 2011 г.
6. www.oecd.org/daf/ca/corporategovernanceprinciples.

Maia Gelashvili

Academic Doctor of Economy

Associate Professor

Samtskhe-Javakheti State Teaching University

Khatuna Berishvili

Academic Doctor of Economy,

Associate Professor

Iv.Javakhishvili Tbilisi State University;

Management administrative audit aspects in terms of ensuring financial security of commercial banking

Along with the prompt development of the financial services market, the management administrative audit aspects are becoming of more importance in terms of ensuring financial security of the commercial banking. Banking and Financial Institutions Supervisory authorities and agencies should pay more attention to monitoring of the adherence to the banking legislation, as far as resolution of problems in the banking and financial system requires refining of legislation, protection of the rights of creditors, further consolidation of the banking sector, adoption of new forms of bank management, etc. Furthermore, publicity of information should be strictly considered that means diversion of monitoring functions to the civil society.

ლალი ბოჭორიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი

ნინო გოზალიშვილი

სსე წამყვანი სპეციალისტი

რეაქტიული ენერჯის, როგორც თანმდევი პროდუქტის (პროცესის) აღრიცხვა/ანგარიშგების რეგულირება

სტატიაში განხილულია, ელექტროქსელში რეაქტიული სიმძლავრის გავლენა ელექტროენერჯის ხარისხზე, ამ სიმძლავრით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების შემცირების ოპტიმალური გზები და მისი ეფექტური გამოყენება.

აღნიშნულია, რომ დღეისათვის გამანაწილებელ ქსელში ელექტროტექნიკის უდიდესი ნაწილი, მოიხმარს აქტიურ სიმძლავრესთან ერთად რეაქტიულ სიმძლავრეს.

განალიზირებულია სტატისტიკური, ბეჭვდითი, ელექტრონული მონაცემები და ლიტერატურის წყაროები, რის შედეგადაც ჩამოყალიბებულია ის ნეგატიური მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია ელექტროქსელში რეაქტიული სიმძლავრით.

დასაბუთებულია, რომ ამ ნეგატიური მოვლენების კომპენსირების თვალსაზრისით მოხმარებულ რეაქტიულ ენერჯიაზე, როგორც თანმდევ პროდუქტზე, უნდა მოხდეს გადაცემის არსებულ ტარიფზე დიფერენცირებული მაკორექტირებელი კოეფიციენტის შემოღება, რომელიც მიყენებული იქნება სიმძლავრის კოეფიციენტის ფაქტიური სიდიდის ზღვრული ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში.

მოხმარებულ რეაქტიულ ენერჯიაზე, როგორც თანმდევ პროდუქტზე, აღრიცხვა/ანგარიშსწორების მოწესრიგება არ მოითხოვს განსაკუთრებულ დამატებით ხარჯებს. თუმცა, ამ ანგარიშსწორების სისტემის შემოღებით იქმნება იმის წინაპირობა, რომ ქსელში განხორციელდება რეაქტიული სიმძლავრის, როგორც თანმდევი პროდუქტის (პროცესის) რეგულირება და მისი ანაზღაურება.

ნებისმიერი ელექტროენერგეტიკული საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგები ეფუძნება ორ ეკონომიკურ კატეგორიას, როგორცაა შემოსავლები და ხარჯები.

შემოსავალი არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური სარგებლის ზრდა, რომელიც დაკავშირებულია აქტივების ზრდასთან ან ვალდებულებების შემცირებასთან, რაც საბოლოოდ გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა შენატანებთან. შემოსავლის ცნება მოიცავს ამონაგებს და შემოსულობას.

ამონაგების ცნება დაკავშირებულია საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან და ელექტროენერგეტიკული საწარმოსათვის შეიძლება იყოს:

- ელექტროენერჯის წარმოებით, გადაცემით, განაწილებით და დისპეტჩერიზაციით მიღებული სარგებელი;
- მომსახურების გაწევით მიღებული სარგებელი;

ხარჯები, არის ნებისმიერი საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან, მაგალითად, დივიდენდების გაცემა.

ხარჯებს ხშირად „ბიზნესის განხორციელების ღირებულებას“ უწოდებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ შემოსავლის მიღებისათვის გაწეული ნებისმიერი ქმედება ან მოღვაწეობა მოითხოვს გარკვეული სახის მატერიალური საგნების და მომსახურებების გამოყენებას, რასაც შესაბამისი ღირებულება გააჩნია.

საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ისეთი ხარჯები როგორცაა: მომუშავეთა ხელფასი, ნედლეული, მასალა, სათბობ-საპოხი მასალების და ელექტროენერჯის ღირებულება, რეკლამა, იჯარა კომუნალური მომსახურების ხარჯები, შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, ავეჯის, ცვეთის ხარჯები და სხვა.

ელექტროენერგეტიკული საწარმოს საქმიანობაში გასათვალისწინებელია, ისეთი განსაკუთრებული ხარჯი როგორცაა ელექტროენერჯის დანაკარგის ღირებულება.

ნებისმიერი საწარმოს მთავარი ამოცანაა მიაღწიოს ეკონომიკური მაჩვენებლების მაღალ დონეს, რაც ძირითადად დამოკიდებულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე, ამიტომ ცდილობენ სწორად და სრულად გაზარდონ შემოსავლები და შეამცირონ დანახარჯები. დანახარჯები შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს მოხმარებული შრომითი და მატერიალური რესურსების ხარჯზე, ტექნიკური დონის ამაღლებით, წარმოების ორგანიზაციისა და სხვა ფაქტორების ოპტიმიზაციის შედეგად.

ნედლეული და მზა პროდუქცია პირობითი ცნებაა და განისაზღვრება კონკრეტულ საწარმოსთან მიმართებაში. ტრადიციული სამრეწველო საწარმო ყიდულობს ნედლეულს და გარდაქმნის მას მზა პროდუქტად.

მაგალითად, ელექტრომოწყობილობის ქარხნისათვის ნედლეულს წარმოადგენს ალუმინის, რკინის, პლასტმასის და სხვა მასალების დეტალები, ელექტროსადენები, ელექტროძრავა და სხვა მოწყობილობები. აღნიშნულ ნედლეულს კომპანია გარდაქმნის მზა პროდუქტად – ელექტრომოწყობილობად.

ძრავა, რომელიც ელექტრომოწყობილობის კომპანიისათვის მაკომპლექტებელი ნაწილია, ძრავების მშენებლისათვის მზა პროდუქტს წარმოადგენს.

ელექტრომოწყობილობის კომპანიის მიერ წარმოებაში მოხმარებული ელექტროენერჯია წარმოადგენს ხარჯს, როდესაც ელექტროენერგეტიკული საწარმოსათვის – მზა პროდუქტია.

განვიხილოთ ელექტროენერგეტიკული საწარმოსათვის პროდუქტის თავისებურებები.

ელექტროენერგეტიკული პროდუქტის თავისებურებები განპირობებულია დარგის ტექნოლოგიური თავისებურებებით. შესაძლებელია გამოვყოთ ის რამოდენიმე მომენტი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ენერგეტიკული საწარმოების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას:

1. ელექტროენერგეტიკული პროდუქტის წარმოებას ახორციელებენ ენერგეტიკული საწარმოები (ელექტროსადგურები), მათ შეუძლიათ გადასცენ თავისი პროდუქტი მხოლოდ ელექტროგადამცემი ხაზების მეშვეობით. ეს ვითარება, ერთის მხრივ, მკაფიოდ განსაზღვრავს საქონლის ბაზრის ტერიტორიას და მოხმარებლებს, მეორეს მხრივ, საწარმო შეზღუდულია პროდუქტის მომწოდებლის არჩევანში;
2. ენერგეტიკაში განსაკუთრებულ პროდუქტს წარმოადგენს, როგორც ელექტროენერჯია ასევე სიმძლავრე.
3. ენერგეტიკული საწარმო, როგორც წესი, არ წარმოადგენს ბაზრის დამოუკიდებელ სუბიექტს. ეს ვითარება განაპირობებს მაღალ მოთხოვნებს ენერჯის ხარისხსა და ენერგოიმედიანობის მიმართ.
4. ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და მოხმარება დროში უწყვეტია, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ოდენობით, შეუძლებელია მისი დასაწყობება, იმ მიდგომით, რომ შეიცვლება კონიუნკტურა ან ელექტროენერჯიაზე გაიზრდება ტარიფები. ელექტრომომარაგების შეუფერხებლობის მიზნით ეს დარგი განსაკუთრებულად მოითხოვს კოორდინაციას და რეგულირებას.

5. ელექტროენერჯის ხარისხის სტანდარტებიდან გადახრა დაუშვებელია სხვა დარგების პროდუქტებიდან განსხვავებით.

ენერგეტიკული საწარმოები, წარმოადგენენ დანახარჯთა დაგეგმვისა და კალკულაციის მიხედვით მარტივ პროცესს. ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშების მიზნით უპირველეს ყოვლისა საწარმომ უნდა იცოდეს ინფორმაცია შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ, რათა განსაზღვროს საკუთარი საქმიანობის შედეგი-მოგება.

ელექტროენერგეტიკული წარმოება უწყვეტი პროცესია, სადაც სტანდარტული პროდუქტის გამოშვება თანამიმდევრულად ხდება, განმეორებადი და უწყვეტი ოპერაციების შედეგად, ამ შემთხვევაში ყველა ოპერაციის თვითღირებულება შეიძლება გამოითვლოს პროცესის საერთო დანახარჯების გაყოფით გამოშვებულ ერთეულზე. ეს მეთოდი ცნობილია როგორც: *პროცესის თვითღირებულების კალკულაცია*.

ამავდროულად, ელექტროენერგეტიკული წარმოება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მრავალპროდუქტიანი პროცესები. სადაც პროცესის შედეგად რამდენიმე (ელექტროენერჯია და თბოენერჯია) ტიპის პროდუქტი იწარმოება. პროცესის მიხედვით თვითღირებულების დადგენა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას. პროცესის შედეგად გვევლინება დამატებითი პროდუქტი. ეს დამატებითი პროდუქტი შეიძლება განისაზღვროს, ან როგორც *ერთობლივად წარმოებული*, ან/და როგორც *თანმდევი პროდუქტი*. მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია და ამიტომ საჭიროა მკაფიოდ გავმიჯნოთ ისინი. როგორც წესი, ერთობლივად წარმოებული პროდუქტები ძირითადი პროდუქტებია, თანაპროდუქტები კი ძირითადი პროდუქტის მიმართ მეორეული პროდუქტია.

ერთობლივად წარმოებული პროდუქტები - ასე ეწოდება ორ ან მეტ პროდუქტს, რომლებიც წარმოების პროცესში გაყოფილია და თითოეულს აქვს საკმაოდ მაღალი გასაყიდი ფასი, რათა აღიარებული იქნეს როგორც ძირითადი პროდუქტი.

თანმდევი პროდუქტი (თანაპროდუქტი) - პროდუქციაა, რომელსაც აქვს რაიმე ღირებულება და წარმოადგენს ძირითადი პროდუქტების წარმოების შედეგს.

ეს განმარტებები ნაწილობრივ სუბიექტურია, მაგრამ მათზე დაყრდნობით მაინც აღიქმება მათ შორის არსებული განსხვავებები. მენეჯერული თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანია. ვინაიდან, ერთობლივად წარმოებული და თანაპროდუქტების აღრიცხვა, ამის შედეგად მიღებული შემოსავლის გაანგარიშების თანამიმდევრობა განსხვავებულია.

ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მიზნით მნიშვნელოვანია ერთობლივად წარმოებული და თანმდევი პროდუქტების შეფასება.

თანმდევი პროდუქტები შეიძლება შევავსოთ ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდით:

- ა) თანაპროდუქტების გაყიდვით მიღებული შემოსავალი შეიძლება ვაღიაროთ როგორც წმინდა მოგება/შემოსავალი;
- ბ) გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლს გამოვაკლოთ თანმდევი პროდუქტის სავაჭრო და სატრანსპორტო დანახარჯები ან ამავე ხარჯებით შეიძლება შევამციროთ ძირითადი პროდუქტების თვითღირებულება;

თუ თანმდევი პროდუქტი, მისი სასაქონლო სახის მისაღებად, საჭიროებს დამატებით დამუშავებას, მაშინ ამ დანახარჯებით უნდა შემცირდეს წმინდა შემოსავალი.

რეაქტიული სიმძლავრის ნაკადების მოწესრიგება და მართვა იმ საწარმოების ერთობლივი ინტერესია, რომლებიც წარმოადგენენ: ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს ან ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მესაკუთრეს. შესაბამისად, სახეზეა TSO (გადამცემი კომპანია-ოპერატორი) და DSO (გამანაწილებელი კომპანია-ოპერატორი) შორის ურთიერთობების რეგულირება, ზოგადად, მომსახურების ანაზღაურების კუთხით. რეაქტიული სიმძლავრის ნაკადების აღრიცხვა საშუალებას მოგვცემს რეალუ-

რად შევაფასოდ, ელექტროენერჯის გადაცემით წარმოქმნილ, თანმდევი პროდუქტის ღირებულება.

საქართველოში, როგორც ცნობილია, გადაცემის ქსელის მფლობელი სამი საწარმოა. არსებული კანონმდებლობით DSO ყოველთვიურად, ყოველ გადაცემის ქსელით გადაცემულ კვტ.სთ-ზე, იხდის გადაცემის მომსახურებისთვის შემდეგი ტარიფით: 6-10 კვ. - 1.109 თეთრი/კვტ.სთ; 110-35 კვ. – 0.5 თეთრი/კვტ.სთ; მაღალი ძაბვის მომსახურება 0.18 თეთრი/კვტ.სთ და 0.27 თეთრი/კვტ.სთ.

ანალიზის ჩასატარებლად და ზოგადი წარმოდგენის მისაღებად, განვიხილეთ მაქსიმალური ტარიფის შემთხვევა, ანუ როცა ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების საფასური 1.109თეთრი/კვტ.სთ. 2012 წლის ნაწილობრივი (სეზონური თვეების) მონაცემების მიხედვით გადაცემის ქსელით გადაცემულია 62 353 425 კვტ.სთ ელექტროენერჯია (გამანაწილებელ ქსელის 6-10 კვ-ით), შესაბამისად შემოსავალი გადაცემის მომსახურებიდან სავარაუდო შემოსავალის გაანგარიშება არსებული ტარიფით, თანმდევი პროდუქტის გადაცემის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის გათვალისწინების გარეშე – შეადგენს 691 499 ლარს. (ცხრილი #1).

ჩვენ ვიხილავთ მაკორექტირებელი კოეფიციენტის აუცილებლობას, მისი მნიშვნელობას. განვსაზღვრეთ გადაცემის საწარმოს შემოსავალი არსებული გადაცემის ტარიფის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე კი ვახდენთ შედარებას მაკორექტირებელი კოეფიციენტის გავლენით მიღებულ გადაცემის ახალ ტარიფსა (T_{ax}) და არსებულ გადაცემის ტარიფს (T_{ars}) შორის საშუალო ტარიფის (T_{saS}) ანგარიშით.

გადაცემის ახალი ტარიფი მიღებული გვაქვს იმ წერტილებზე, რომელიც ქსელის კრიტიკულ წერტილს წარმოადგენს, სადაც რეაქტიული სიმძლავრის კოეფიციენტი ზღვარს გადაცილებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია თანმდევი რეაქტიული ენერჯის გადაცემის მომსახურება. აღნიშნულ წერტილებზე ახალი ტარიფის მისაღებად ($T_{ax \text{ lari/kvt.sT}}$), მაკორექტირებელი კოეფიციენტი გავამრავლეთ არსებულ ტარიფზე (T_{ars} ლარი/კვტ.სთ):

$$T_{ax} = K_{\text{მაკორექტ.}} \times T_{ars} \cdot = 1 + \Pi_{\text{დ.}} = 0,6 \text{ (tg}\phi_{\text{ფ.}} - \text{tg}\phi_{\text{ფ.}}) \cdot x_{\text{დ.}}$$

ხოლო დანარჩენი წერტილებიდან აქტიური ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების ანაზღაურება მოვახდინეთ არსებული გადაცემის ტარიფით.


საშუალო ტარიფის გამოსათვლელად გამოვიყენეთ შემდეგი ფორმულა:

$$T_{saS} = \left(\sum_{n=1}^{n_{\text{ფ.}}} W_n \cdot T_{ax} + \sum_{n=1}^{n_{\text{არს.}}} W_n \cdot T_{ars} \right) / \sum_{n=1}^{n_{\text{ფ.}}} W_n \text{ ლარი/კვტ.სთ}$$

ანუ, საანგარიშო პერიოდში, კრიტიკული წერტილებიდან მიღებულ შემოსავალს (გადაცემის ახალი ტარიფის გათვალისწინებით), მივუმატეთ სხვა დანარჩენი წერტილებიდან მიღებული შემოსავალი და მიღებული ჯამი გავყავით სულ გადაცემულ აქტიურ ელექტროენერჯიაზე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში (#1 და #2) კი მოცემულია შეჯამებული ინფორმაცია – როგორც 2012 წლისთვის, ასევე 2013-2014 წლის შესაბამისად, გადაცემის საწარმოს მიერ მიღებული შემოსავალი, როგორც გადაცემის არსებული ტარიფით, ასევე დამატებითი შემოსავალი, გამოწვეული თანმდევი რეაქტიული ენერჯის (პროდუქტის) გათვალისწინებით.

გათვალისწინებულია ახალი „ქსელის წესების“ დამტკიცებით მიღებული სიმძლავრის კოეფიციენტის დასაშვები მნიშვნელობა ($\cos\alpha_{\text{nu}} 58.0 = \varphi \text{ (tg}\phi_{\text{ფ.}}=0.61)$). ამ პერიოდში გადაცემის საწარმოს შემოსავლების წლიური მატების მაჩვენებელი საშუალოდ 7.8%-ია.



დიაგრამა #1-ში მოცემულია საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ელექტროენერგიის სტატისტიკა 2008 წლიდან 2013 წლამდე. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ წლების მანძილზე იზრდება მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე. შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ მომავალში გაიზრდება როგორც აქტიური ელექტრული ენერჯის მოხმარება, ასევე მისი თანმდევი რეაქტიული ენერჯის მოხმარებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეაქტიული სიმძლავრე წარმოადგენს აქტიური სიმძლავრის თანმდევ პროდუქტს. შესაბამისად, თუ გაიზრდება აქტიური სიმძლავრის გადაცემა, გაიზრდება რეაქტიული სიმძლავრის გადაცემაც. გადაცემული თანმდევი პროდუქტიდან მიღებული შემოსავალი კი, თანმდევი პროდუქტის შეფასების მიდგომიდან გამომდინარე, გადაცემის საწარმოსთვის აღიარებული იქნება როგორც წმინდა მოგება/შემოსავალი.

2012 წელს გადაცემის კომპანიის (TSO) შემოსავლის ეკონომიკური შეფასება
 $t_{ფი} = 0.61$ (2012 წ)

ცხრილი №1

№	დასახელება	t _{ფი}	t _{ფიგ}	აქტიური ენერჯია კვტ.სთ (W _a)	TSO-ს შემოსავლის მაჩვენებელი თანმდევი პროდუქტის გათვალისწინებამდე		TSO-ს შემოსავლის მაჩვენებელი თანმდევი პროდუქტის გათვალისწინების შემდეგ		სავარაუდო დამატებითი შემოსავალი	
					ტარიფი, ლარი/კვტ.სთ (T _{არს})	შემოსავალი, ლარი	საშუალო ტარიფი, ლარი/კვტ.სთ	შემოსავალი, ლარი	ლარი	%%
0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	იანვარი	0.61	0.54	16 779 300	0.01109	186 082	0.01164	195 245	9 163	4.92%
2	აპრილი	0.61	0.71	13 292 664	0.01109	147 416	0.01198	159 218	11 803	8.01%
3	ივლისი	0.61	0.78	16 768 367	0.01109	185 961	0.01216	203 821	17 860	9.60%
4	ოქტომბერი	0.61	0.74	15 513 094	0.01109	172 040	0.01206	187 136	15 096	8.77%
				62 353 425		691 499		745 420	53 921	7.80%

გადაცემის კომპანიის (TSO) შემოსავლის ეკონომიკური შეფასება
 $t_{გფ,ი} = 0.61$ (2013-2014 წწ)

ცხრილი №2

№	დასახელება	ტფ _ი	ტფ _ფ	აქტიური ენერჯა კვტ.სთ (W _ა)	TSO-ს შემოსავლის მაჩვენებელი თანმდევი პროდუქტის გათვალისწინებამდე		TSO-ს შემოსავლის მაჩვენებელი თანმდევი პროდუქტის გათვალისწინების შემდეგ		საგარეულო დამატებითი შემოსავალი		
					ტარიფი, ლარი/კვტ.სთ (T _{არს.})	საშუალო ტარიფი, ლარი/კვტ.სთ	ტარიფი, ლარი/კვტ.სთ	საშუალო ტარიფი, ლარი/კვტ.სთ	ლარი	%	
0	1	2	3	4	5	6	7=6*5	8	9=8*5	10=9-7	11=10/7%
	სულ ნოემბერი 2013წ.		0.61	0.73	558 981 290	0.01109	6 199 102.5	0.0117	6 565 418.6	366 316.1	5.9%
1	კახეთის რეგიონი		0.61	0.66	24 625 280	0.01109	273 094.4	0.01114	280 565.4	7 471.1	2.7%
	საქართველოს დანარჩენ ნაწილში		0.61	0.74	534 356 009	0.01109	5 926 008.1	0.01118	6 284 853.2	358 845.1	6.1%
	სულ დეკემბერი 2013წ.		0.61	0.75	546 058 941	0.01109	6 055 793.7	0.0118	6 459 951.8	404 158.1	6.7%
2	კახეთის რეგიონი		0.61	0.62	24 345 323	0.01109	269 989.6	0.01111	270 728.7	739.1	0.3%
	საქართველოს დანარჩენ ნაწილში		0.61	0.76	521 713 618	0.01109	5 785 804.0	0.01119	6 189 223.1	403 419.0	7.0%
	სულ იანვარი 2014წ.		0.61	0.63	627 468 420	0.01109	6 958 624.8	0.0112	7 032 432.2	73 807.4	1.1%
3	კახეთის რეგიონი		0.61	0.57	25 987 488	0.01109	288 201.2	0.01109	288 201.2	0.0	0.0%
	საქართველოს დანარჩენ ნაწილში		0.61	0.63	601 480 932	0.01109	6 670 423.5	0.01112	6 744 230.9	73 807.4	1.1%

ლიტერატურა:

1. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება '77, 2006 წლის 30 აგვისო, ქ.თბილისი - „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“;
2. www.gnerc.org/uploads/tarifebis%20metodologia.pdf
3. www.esco.com.ge;
4. <https://www.entsoe.eu/publications/key-documents/>;
5. Л.В.Жаркина "Иновационное развитие систем управления затратами предприятия" – Академия 2010 г.;
6. А.Мазаев "Система управления затратами в электроэнергетике", "Ваш партнер-консультант", №22 (9132);
7. А.Шеремет "Управленческий учет Учебное пособие-М.: ФБК-Пресс, 2004;
8. Ю. С. Железко - „Потери Электроэнергии” – Академия 2008 г.

Lali Bochorishvili

Georgian Technical University

Full Professor

Nino Gozalishvili

GSE Leader Specialist

Mettering/billing regulation of Reactive Power as the accompanying product (process)

The article consider, the influence of the reactive power in electricity grid on the electricity quality; the maximum ways of decreasing negative factors caused by this power and its effective options of usage.

It is noted that at present in distribution network the most of the electrical equipment are used, together with the consumption of active power and reactive power.

Statistically, the print, electronic data and literature review is analyzed. As a result are in the formation the negative effects caused by reactive power in the grid.

There are reasons these negative effects in terms of compensation, reactive energy consumed as an accompanying product, the transmission tariff should be differentiated introduced by corrective factor, which is used when the power factor exceeds the limited standard.

Consumed reactive energy as an accompanying product, mettering/billing settlement no special costs are required. However, this payment system has created the pre-conditions that the regulation and compensation of reactive power as accompanying product (process) will be implemented in the network.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვის საკითხები

სტატიაში განხილულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავების აღიარების საკითხები. განხილულია ამ აქტივების ბუნება და დანიშნულება. დაასაბუთებულია, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების აღიარების (და არა ბიოლოგიური აქტივების) კრიტერიუმებს და შესაბამისად არის ცვეთადი აქტივი.

მწვანე გარემოს როლი და მნიშვნელობა მრავალფეროვანია. მწვანე ნარგავები დადებითად მოქმედებენ ადამიანების ჯანმრთელობაზე, განწყობაზე, ფსიქიკაზე, არეგულირებენ ჰაერის ტემპერატურას და სხვა. სავაჭრო, საწარმოო და მომსახურების საწარმოების ტერიტორიაზე გამწვანება ამაღლებს ამ საწარმოების იმიჯს, მოვლილი და გამწვანებული დასასვენებელი ზონები ამაღლებს მუშაკთა შრომის ნაყოფიერებას, იზიდავს პოტენციურ მყიდველებს, ზრდის გაყიდვებს და მაშასადამე, მოგებას. ამდენად, ეკონომიკური სარგებლის გაზრდის მიზნით, ბიზნესის წარმომადგენლები ცდილობენ გაამწვანონ და კეთილმოაწყონ თავიანთი საწარმოების და ოფისების მიმდებარე ტერიტორია.

მწვანე ნარგავები ასრულებენ ეკოლოგიურ, ესთეტიკურ, კულტურულ, არქიტექტურულ-დეკორატიულ და სხვა არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციებს.

მწვანე ნარგავებს მიეკუთვნება ხის, ბუჩქოვანი, ყვავილოვანი, ბალახოვანი ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის მცენარეულობა. აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ მწვანე ნარგავების კლასიფიკაცია. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ: ექსპლუატაციის ხანგრძლივობის და მიზნობრივ-ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია მწვანე ნარგავების კავშირის განხილვა საწარმოების სამეწარმეო საქმიანობასთან.

ექსპლუატაციის ხანგრძლივობის მიხედვით მწვანე ნარგავები იყოფა ერთწლიან და მრავალწლიან ნარგავებად. ერთწლიანია მწვანე ნარგავები, რომლებიც გამოიყვანება სათბურებში დასარგავი მასალის სახით ან არ მიუღწევიათ საექსპლუატაციო ასაკისათვის. მრავალწლიანია ნარგავები, რომლებმაც მიაღწიეს საექსპლუატაციო ასაკს და გათვალისწინებულია გამოსაყენებლად ერთ წელზე მეტი ხნის ვადით. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც იძლევიან ნაყოფს (პროდუქციას) ბიოლოგიური აქტივების სახითაა ცნობილი.

მიზნობრივ-ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ნარგავები შეიძლება დავეყოთ საერთო სარგებლობის, შეზღუდული, სპეციალური დანიშნულების და დანარჩენ ნარგავებად.

საერთო სარგებლობის ნარგავები გამოიყენება მოსახლეობის მასობრივი დასასვენებელი ადგილების მოსაწყობად. მათ მიეკუთვნება: პარკები, სკვერები, ბოტანიკური ბაღები, ტყე-პარკები და სხვა.

შეზღუდული დანიშნულების ნარგავებს მიეკუთვნება ცალკეული საწარმოების, მაგალითად, მარკეტების, კაფეების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა საწარმოების ტერიტორიის ნარგავები; გამწვანებული ტერიტორიები საცხოვრებელ სახლებ-

თან, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა დაწესებულებთან.

სპეციალური დანიშნულების ნარგავები განკუთვნილია საინჟინრო-ტექნიკური, სანიტრულ-ჰიგიენური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ფუნქციების შესასრულებლად. მათ მიეკუთვნება: ხმაურდამცავი, ქარსაცავი, ნაპირსამაგრი ზოლები, დეკორატიული სათბურები და ნარგავები, საწარმოების გარშემო არსებული სანიტარული ზონები, ცოცხალი ღობეები. დეკორატიული ნარგავები მიეკუთვნება არქიტექტურულ ნაგებობებს, რომლებიც გათვალისწინებულია გზების ესთეტიკური სახის უზრუნველსაყოფად და წარმოადგენს საავტომობილო გზების შემადგენელ ნაწილს.

დანარჩენ ნარგავებს შეიძლება მიეკუთვნოს ნარგავები დასახლებული პუნქტების ქუჩებზე და სხვა ნარგავები. ამ უკნასკნელში იგულისხმება კეთილმოწყობელი ტყის მასივები, ხეხილის ბაღები, რომლებმაც დაკარგეს თავისი საწარმოო მნიშვნელობა და ნაყოფს აღარ იძლევიან, ასევე დროებით გამწვანებული ტერიტორიები, რომელთა ბაზაზე იქმნება ზემოთ აღნიშნული ჯგუფებიდან ერთ-ერთი.

აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, მწვანე ნარგავების კლასიფიკაციის გარდა, მნიშვნელოვანია მათი კავშირის დადგენა საწარმოების სამეწარმეო საქმიანობასთან. ზოგიერთი საწარმო სამეწარმეო საქმიანობაში უშუალოდ იყენებს ტერიტორიას, რომელიც ექვემდებარება გამწვანებას (საზაფხულო კაფეები, რესტორნები, სავაჭრო ობიექტები); ზოგიერთი საწარმოსათვის ტერიტორიის გამწვანება აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად (მაგალითად, ცემენტის, ნავთობპროდუქტების მწარმოებელი და სხვა მსგავსი საწარმოებისათვის), რაც გათვალისწინებულია დარგობრივი დებულებებით, საწარმოს წესდებით, სანიტარული წესებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ჩვენი განხილვის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებული შეზღუდული დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც ასრულებენ დეკორატიულ-ესთეტიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა არასასოფლო-სამეურნეო და არა ბიოლოგიური აქტივების ფუნქციებს.

მწვანე ნარგავების აღიარებისა და აღრიცხვაში ასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საწარმო როგორ კვალიფიკაციას ანიჭებს ნარგავებს: მიიჩნევს მათ დეკორატიულ-გამწვანებითი ხასიათის მრავალწლიან ნარგავებად თუ გარე კეთილმოწყობის ობიექტის შემადგენელ ნაწილად.

გამწვანება ღონისძიებების კომპლექსია, რომელიც გულისხმობს ნარგავების შემენას (შექმნას), მოვლა-შენახვას და რეკონსტრუქციას. გამწვანებასთან დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. კერძოდ, იგი დამოკიდებულია ნარგავების სახეებზე, მათ ღირებულებაზე, მიზნობრივ დანიშნულებაზე, მომსახურების სავარაუდო ვადასა და სხვა.

საწარმომ დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს რას აღიარებს და ჩათვლის სააღრიცხვო ერთეულად: მწვანე ნარგავის თითოეულ ერთეულს (ხე, გაზონი, ბუჩქი, ყვავილი), განცალკევებულ ნაკვეთს, მრავალწლიანი ნარგავის ერთ ობიექტს თუ მათ კომპლექსს. აღრიცხვაში მათ აღიარება-ასახვაზე არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი. ზოგიერთი ქვეყნის (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია) კანონმდებლობით მრავალწლიანი ნარგავები სრულად პასუხობენ ძირითადი საშუალებების განსაზღვრებას და შემენილ მრავალწლიან ნარგავებს ბალანსში ასახავენ თვითღირებულებით. დანახარჯებს, მრავალწლიანი ნარგავების დარგვიდან დაწყებული სამუშაოების მთელი კომპლექსის (დარგვის ადგილამდე გადაზიდვის, ადგილის მომზადების, დარგვის და სხვა დანახარჯების) ჩათვლით, მიაკუთვნებენ ნარგავებს და მას ჩართავენ ძირითად საშუალებათა შემადგენლობაში. ასეთი ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადას საწარმო-

ები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და ცვეთას არჩეული მეთოდის მიხედვით არიცხავენ. შესაბამისად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ნარგავები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

მეორე თვალსაზრისის შესაბამისად, მრავალწლიანი ნარგავებით ტერიტორიის გამწვანება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ახალი მშენებლობების დროს, შევიდეს მის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში და აღირიცხოს კაპიტალური ინვესტიციების ანგარიშზე, ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადაიტანება ძირითადი საშუალებების ანგარიშზე. აქვე აღნიშნულია, რომ იმის მიხედვით თუ როგორი წესით აღირიცხება აშენებული ობიექტები – გამწვანებული ტერიტორია ჩაითვლება ცალკე ობიექტად თუ შენობის შემადგენელ ნაწილად, დანახარჯებს გამწვანებაზე ასახავენ ან „მრავალწლიანი ნარგავების“, ან „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშზე. მაგრამ თუ შენობის და მწვანე ნარგავების გამოყენების ვადა განსხვავებულია, ავტორის აზრით, უმჯობესია უშუალოდ „მრავალწლიანი ნარგავების“ ანგარიშის გამოყენება.

მრავალწლიანი მწვანე ნარგავების აღრიცხვაში ასახვისათვის დასავლეთის პრაქტიკა აღიარებს შემდეგ მიდგომებს:

- თუ მრავალწლიანი მწვანე ნარგავები (ხეები, ბუჩქნარები და ა. შ.) განლაგებულია ოფისების შენობებთან ახლოს, ისე რომ შენობის დაზიანებისას შესაძლებელია ნარგავებიც დაზიანდეს და მოსაჭრელი გახდეს, მაშინ მათი ღირებულება მიეკუთვნოს შენობის ღირებულებას და მასთან ერთად ამორტიზდება ანუ არ აღიარდება ცალკე აქტივად და მიიჩნევა შენობის კომპონენტად.
- თუ მრავალწლიანი მწვანე ნარგავები დარგულია ოფისების შენობებიდან საკმაოდ დიდ მანძილზე, რომლებსაც არ შეეხება შენობის რეკონსტრუქცია, არ დაზიანდება მისი კაპიტალური რემონტის ან დანგრევის დროს, მაშინ დანახარჯებს ასეთი ნარგავების შექმნაზე მიაკუთვნებენ მიწის ნაკვეთის ღირებულებას ანუ არ აღიარდება ამორტიზებად აქტივად.

პირველი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ბასს 16 (პ. 43-44) „ძირითადი საშუალებების“ მოთხოვნებს.

მეორე შემთხვევაში მრავალწლიანი ნარგავები შეიძლება განვიხილოთ როგორც მიწის შემადგენელი ნაწილი და მისი შეფასების ობიექტი, რომელიც გაზრდის მიწის ღირებულებას და რომელიც საწარმოს მომავალში მოუტანს მეტ ეკონომიკურ სარგებელს, თუ მიწა გაიყიდება.

მრავალწლიანი ნარგავები გამოიყენება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და არ იგეგმება მისი გაყიდვა, რადგან მისი დანიშნულებაა სანიტარულ-ჰიგიენური, ესთეტიკური, კულტურული და სხვა ფუნქციების შესრულება. მაგრამ ისმება კითხვა: ოფისების ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები უნდა აღიარდეს თუ არა ბიოლოგიურ აქტივად? ძირითად საშუალებად?

ბასს 41 (პ. 5, 7) „სოფლის მეურნეობა“ ბიოლოგიურ აქტივად აღიარებს ცხოველს ან მცენარეს, რომელიც ნაყოფს იძლევა ანუ ბიოლოგიური ტრანსფორმაციით ხდება: ა) ცხოველის ან მცენარის რაოდენობის ან ხარისხის ზრდა, ან მათი რაოდენობის შემცირება, ან გამრავლება/რეპროდუქციის შედეგად; ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მაგალითად, ჩაის ფოთოლი, მატყლი, რძე და სხვა. ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს ოფისების ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები. ამდენად, ისინი ვერ აღიარდება ბიოლოგიურ აქტივად.

ბასს 16 ძირითად საშუალებად თვლის ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომლებიც: ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის და ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ამასთან ერთად, ბასს ძირითად საშუალებად აღიარებს აქტივებს, როდესაც ისი-

ნი აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივების გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) საწარმო-სათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედო შეფასება.

მრავალწლიანი ნარგავები აკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებს, რადგან:

- ისინი იმყოფებიან საწარმოს მფლობელობაში;
- ათვალისწინებულია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როგორც წესი, ერთ წელზე მეტი ვადით, გამოსაყენებლად;
- შეძენისას მათი ღირებულება საიმედოდაა შეფასებული;
- მისი გამოყენებით შესაძლებელია მომავალში მეტი სარგებლის მიღება, რადგან გამწვანებული და კეთილმოწყობილი ტერიტორია აამაღლებს საწარმოების იმიჯს, მიიზიდავს მეტ მომხმარებელს, რაც გაზრდის მათ შემოსავალს.

ამდენად, მრავალწლიანი ნარგავების ექსპლუატაციაში შესვლაზე გაწეული ხარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და რადგან გამოყენების დროს მოიტანს ეკონომიკურ სარგებელს შეიძლება დაერიცხოს ცვეთა არჩეული მეთოდის შესაბამისად.

ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა ასევე ბასს 16 (პ. 11), სადაც აღნიშნულია, რომ „ძირითადი საშუალებები შეიძლება შეძენილ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან გარემოს დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტივების შეძენა პირდაპირ არ უკავშირდება საწარმოს მიერ ამ აქტივების გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ეს აქტივები შეიძლება აუცილებელი იყოს საწარმოს მიერ სხვა აქტივებით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ძირითადი საშუალებების ამგვარი ერთეულების აღიარება აქტივების სახით იმის გამო ხდება, რომ ეს აქტივები საშუალებას იძლევა, საწარმომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე“.

მრავალწლიანი ნარგავების თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანია მათ მოვლა-შენახვასა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების აღიარება-ასახვის განხილვა. გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან. ასეთი ხარჯები ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, გარდა შეზღუდული სარგებლობის ტერიტორიის გამწვანებისა. იგი ფინანსდება იმ ობიექტების ხარჯზე, რომელთანაც შეიქმნა.

უნდა აღინიშნოს რომ ტერმინები „გამწვანება“ და „კეთილმოწყობა“ ბევრ შრომაში ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა ვფიქრობთ რომ იგი სხვადასხვა ცნებებია. გამწვანება მოიცავს მრავალწლიანი ნარგავების შეძენას, მოვლა-შენახვასა და რეკონსტრუქციას. კეთილმოწყობა ღონისძიებების კომპლექსია, რომელიც აუცილებელია საწარმოს სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად.

მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-შენახვის ანუ „სამუშაო მდგომარეობის შენარჩუნებასთან“ დაკავშირებული სამუშაოებია: ნარგავების შეღებვა, მორწყვა, შხამქიმიკატებით დამუშავება, კრონის (ვარჯის) ჩამოჭრა, ზამთარში დათბუნვა, ბუჩქების გაკრეჭვა, გაზონების გათიბვა, სარეველების მოცილება და სხვა. კეთილმოწყობის სამუშაოებს მიეკუთვნება ტერიტორიის დასუფთავებისა და ნაგვის გატანის, ავტოსადგომების მოწყობის, შენობების ფასადებისა და ღობეების შეღებვის, შადრევნების დადგმის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებით საწარმოების ტერიტორია უნდა გახდეს გამოსაყენებლად მოსახერხებელი და ესთეტიკურად მიმზიდველი, რაც აამაღლებს მათ იმიჯს.

არსებობს მოსაზრება, რადგან შეზღუდული გამოყენების მრავალწლიანი ნარგავები განკუთვნილია მუშაკთა დასვენებისა და მათ დასაცავად წარმოების არასასურველი გავლენისაგან, ამდენად, მათი მოვლის ხარჯები შეიძლება განხილულ იქნეს სხვა

დანახარჯების ელემენტად. ეს ხარჯები მიმართულია რა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნილებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო ორგანიზაციებში სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე შეიძლება მიეკუთვნოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებას. სხვა შემთხვევებში, როცა მრავალწლიან ნარგავებს განიხილავენ ძირითადი საშუალებების ობიექტად, რომელიც არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობაში, მათ მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები არ უნდა მიეკუთვნოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ღირებულებას, მაგალითად, დიდების ხეივანი.

მრავალწლიანი ნარგავების „სამუშაო მდგომარეობის შენარჩუნებასთან“ დაკავშირებული ხარჯების ეკონომიკური მიზანშეწონილობის დადასტურება არც თუ ისე ადვილია, მაგრამ რადგან ნარგავების „გამოყენების“ შედეგად პრაქტიკულად მიიღება ეკონომიკური სარგებელი და ამდენად, მის მოვლა-შენახვაზე გაწეული ხარჯები უნდა აღიარდეს პერიოდის ხარჯად. მეორე, კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეული ხარჯები – საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურება (ტერიტორიის დასუფთავების, ნაგვის გატანის, ბორდიურების შეღებისათვის), სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალების (საღებავების) ღირებულების გადახდა, სხვა ორგანიზაციების მომსახურების გადახდა და სხვა მსგავსი ხარჯები, შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე პერიოდის ხარჯებს.

ამდენად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავები წარმოადგენენ დეკორატიულ-გამწვანებითი ხასიათის ნარგავებს, რომლებიც შეიძლება ვაღიაროთ ძირითად საშუალებად, რომელსაც დაერიცხება ცვეთა. რაც შეეხება მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-შენახვისა და კეთილმოწყობის სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს, ისინი არ კაპიტალიზდება და აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

ლიტერატურა:

1. ზასს 16, ძირითადი საშუალებები, თბილისი, 2009.
2. ზასს 41, სოფლის მეურნეობა, თბილისი, 2009.
3. Анищенко В. Особенности учета многолетних насаждений и затрат по озеленению (благоустройству). Главный бухгалтер № 35, сентябрь 2011. WWW.gb.by/--/onishenko-v-osobennosti-uheta-mn.
4. Белова Н. Озеленение территории предприятия: как учесть расходы, изд.дома „Фактор“ НиБУ №46/ 2013. WWW.nky.com.ua/Nalog kod/kod3/cons/c 130613-7.htm.
5. Бондарева Е. Раз ромашка, два ромашка...(учет расходов на озеленение территорий). Бухгалтерия № 16, 2006. WWW.buhgalteria.com.ua/Hit.html.
6. Гладышева Ю. Непростые рассуждения о зеленых насаждениях, „Справочник экономиста“, №8 2004. WWW. Profiz. Ru/se/8- 2004/920.
7. Учет расходов предприятия на озеленение и благоустройство близлежащих территорий офиса, маазина, бара,склада. „Все о бухгалтерском учете“, №38, 2012. Consultant. Parus.ua/_d.asp.

Zeinab Gogrichiani

Lecturer of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The methods of valuation in agricultural accounting

Paper includes issues related to recognition of non-agricultural perennial plants, description of the nature and purpose of these assets. It is proved that non-agricultural perennial plants met criteria's for recognition as a fixed asset (Not as a biological asset) and consequently represents a depreciated asset.

Виорел Цуркану

профессор, д.э.н.

Ирина Голочалова

доцент, к.э.н.

Молдавская Экономическая Академия, г. Кишинев

Проблемы обеспечения достоверности информации в контексте МСФО

Для обеспечения устойчивого развития экономики в условиях конкуренции участники экономических отношений должны располагать достоверной информацией, полученной на базе финансовой отчетности. Современные изменения экономики выдвигают новые требования к содержанию финансовой отчетности, существенно меняя ее информационную значимость в процессе принятия решений. Сама же информация, формируемая системой бухгалтерского учета, анализируется пользователем с точки зрения возможности полагаться на нее для принятия того или иного экономического решения. Следовательно, бухгалтерский учет и как наука экономического характера, и как сфера деятельности должен отвечать потребностям общества в информационном обеспечении в зависимости от происходящих изменений в экономике.

Первой проблемой связанной с обеспечением достоверности информации в системе учета является проблема методологии. В течение ряда десятилетий прошлого столетия учеными предпринимались попытки сформировать методологию бухгалтерского учета, то есть его теоретические аспекты, основной упор, делая на определение цели и содержания финансовой отчетности. При этом центральное место занимали концепции баланса, которые предопределяют методологию бухгалтерского учета. Поэтому вначале рассмотрим этап формирования требований к содержанию информации, включенной в финансовую отчетность через призму балансовых концепций.

Исследование развития концепций баланса показывает, что оно было направлено на то, чтобы дать ответ на запросы пользователей финансовой информации с целью принятия ими верных экономических решений. В экономической литературе рассматриваются две концепции баланса – статическая и динамическая, которые отличаются, в первую очередь, содержанием отчетности, связанного с требованиями пользователей по формированию ее данных. Это оказывает влияние на методологию учета и формирование данных отчетности на практике.

Концепция статического баланса, как пишет французский ученый Ришар Ж., развивалась постепенно на протяжении нескольких веков (с XIII века по XIX век, включительно). Это творение юристов, основой которого была культура римского права. Одна из основных идей этого права состоит в том, что “предприятие может использовать прибыль только после его ликвидации” [3, 91]. *Концепция статического баланса* базируется на периодической оценке имущества и проверке достаточности или недостаточности средств для погашения своих обязательств при реализации активов хозяйствующего субъекта. Прибыль рассчитывалась как разница между чистыми активами на начало и конец периода, причем чистые активы представляли собой разницу между активами оцененными по ликвидационной стоимости и кредиторской задолженностью. Поэтому представление информации в отчетности осуществляется по *принципу ликвидности*. При этом основной задачей статического баланса является защита интересов кредиторов путем выяснения уровня покрытия кредиторской задолженности активами собственника (расчет коэффициентов ликвидности).

Согласно концепции динамического баланса активы представляют собой капитализированные расходы. Исчисление прибыли осуществляется путем сравнения указанных расходов, подлежащих распределению по отчетным периодам, с полученными доходами от реализации активов. В основу этого расчета положены *принципы*:

- *реализации*, при котором доходы признаются, только тогда когда они фактически получены;

- *соотнесения*¹, когда прибыль определяется путем сопоставления дохода с расходами, осуществленными для получения этого дохода [1, 32].

Основой концепции динамического баланса выступает оценка капитала на определенную дату и анализ его кругооборота на предмет определения финансового результата. В этом случае, определяющее воздействие на степень информированности собственника оказывает принцип двойной записи, так как именно применение двойной записи приводит к сопоставлению фактических затрат (себестоимости) и доходов от продажи (цены при реализации). Кроме этого, при исчислении финансового результата принимается во внимание *допущение о непрерывности деятельности* организации в обозримом будущем. Основной задачей динамического баланса является защита интересов собственников путем выявления уровня рентабельности и эффективности использования ресурсов.

Однако, следует отметить, что ни одна из балансовых концепций, являющихся основой методологии бухгалтерского учета, в “чистом” виде на практике не применялась. Ученые всегда пытались их объединить, создавая при этом смешанную, так называемую статико-динамическую концепцию, но все равно доминирующей остается концепция динамического баланса.

Следующей проблемой оказывающей влияние на информативность отчетности – это определение объекта бухгалтерского учета. В классической теории объектом бухгалтерского учета является каждый отдельно взятый факт хозяйственной жизни, его регистрация, классификация и обработка. По мнению российского ученого Соколова Я. “факт хозяйственной жизни есть элементарный момент хозяйственного процесса, изменяющий или подтверждающий состав средств или их источников” [4, 85]. При этом он постоянно придерживается мнения о главенствующей роли в бухгалтерском учете факта хозяйственной жизни.

Однако для того, чтобы отразить в отчетности воздействие факта хозяйственной жизни необходимо провести его оценку. Это **третья проблема**, связанная с достоверностью представления информации. В бухгалтерском учёте всегда проявлялся интерес к вопросу оценки объектов учета, как к бухгалтерскому приему, в наибольшей степени оказывающему воздействие на содержание финансовой отчётности. Вне зависимости от балансовой концепции (статической или динамической) ключевым моментом применения каждой из них является *принцип оценки имущественного состояния* хозяйствующего субъекта.

В условиях экономического развития конца XIX и начала XX столетия (состояние финансового рынка и рынка труда, промышленности) оценка как процедура, и в теории, и на практике представляла собой присвоение учетному объекту денежного измерителя.

На указанном этапе на становление бухгалтерского учета как науки, в том числе, в части стоимостной оценки, оказали влияние такие ученые как Н.А. Блатов, Р. Вейцман, Г. Никлиш, Э. Шмаленбах, А. Рудановский и другие.

საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა ეკონომიკური მოვლენის ფინანსური შედეგი, რომლებიც დაჯგუფებულია ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით ასახულია ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშში (ფორმა N2). ფორმა მრავალსვეტიანია, შემოსავლები და ხარჯები აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, საბიუჯეტო დაფინანსებითა და საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების ჭრილში. ანგარიშის შედგენისას მონაცემები შემოსავლებსა და ხარჯებზე აისახება დარიცხვის მეთოდით, ხოლო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება – საკასო მეთოდით. შესადარისობის მიზნით ყველა მაჩვენებელი აგრეთვე აისახება საანგარიშგებო წლის წინა წლის მონაცემების მიხედვით. მონაცემები აიღება ფინანსური ანგარიშებიდან.

საქართველოში მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით ორგანიზაცია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს ადგენს **არაპირდაპირი მეთოდით**, რომელიც სსბას-2-ით – „ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება“, ალტერნატიულ მეთოდად არის მიჩნეული.

ანგარიშში ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო, **საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან** წარმოდგენილია სუბიექტის დაფინანსების წყაროების მიხედვით, კერძოდ, ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, საკუთარი ფულადი სახსრებითა და მესამე პირის გადახდებით წარმოქმნილი ფულადი სახსრებით.

მესამე პირის გადახდები გულისხმობს უცხოური კრედიტებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების ფარგლებში დონორების მიერ ხაზინის ანგარიშების გაუვლელად პროექტის განმახორციელებლებზე თანხების გადარიცხვას.

სსბასს 2-ით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები ერთეულმა უნდა წარმოადგინოს:

- პირდაპირი მეთოდით, რომელშიც მოცემულია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები;
- არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული და მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

სტანდარტებით ერთეულებს ეძლევათ რეკომენდაცია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოადგინონ პირდაპირი მეთოდის გამოყენებით. ვფიქრობთ, არაპირდაპირი მეთოდი, ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილ ინფორმაციას ბიუჯეტი შესრულების შესახებ, რადგანაც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა მუხლობრივად არ აისახება.

სახელმწიფო ერთეულის **კაპიტალის ცვლილებებზე** გავლენას ახდენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება, ბიუჯეტის შესახებ კანონით გაწეული გადასახდელები, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები და ამ შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯები, გარეთვე ფლობით მიღებული მოგება/ზარალი და ერთი დონის სახელმწიფო

ერთეულებს შორის განხორციელებული აქტივების (ვალდებულებების) უსასყიდლო მიღება/გადაცემა.

ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტებთან ერთად, ერთეულმა უნდა წარადგინოს წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების ანგარიში, რომელშიც აისახება:

- ფლობით მიღებული მოგება/ზარალი;
- საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი.

ფლობით მიღებული მოგება/ზარალი წარმოდგენილია ქვეჯგუფური ჯამური თანხებით, რადგან ამგვარი წარდგენით უკეთ აღიქმება ერთეულის აქტივების ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შედეგები.

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშში აქტივების წმინდა ღირებულება და საკუთარი სახსრებით წარმოქმნილი კაპიტალი განცალკევებით არის წარმოდგენილი. მასში ასახული მონაცემები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს წმინდა აქტივების/კაპიტალის ღირებულების შესახებ, კაპიტალში მომხდარი ცვლილების შეფასების საშუალებას იძლევა.

ფინანსური ანგარიშგებით გათვალისწინებულია **ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმისა და ფაქტობრივი თანხების შედარება, რომელიც** ცალკე ფორმა N 5-ის სახით უნდა იქნეს წარდგენილი.

ინფორმაციის სისრულისათვის ანგარიშის შესადგენად გამოყენებულია მრავალსვეტიანი ფორმატი, სადაც ცალკე-ცალკე გამოყოფილ სვეტებში აისახება წლიური ბიუჯეტის დამტკიცებული და საანგარიშგებო პერიოდში დაზუსტებული გეგმური მაჩვენებლები, ამ მაჩვენებლების ფაქტობრივი შესრულება, ასევე, ფაქტობრივი შესრულების გადახრები დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი ადგენს განმარტებით ბარათს იმის თაობაზე, რომ ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ამასთან, თუ შესრულების ფაქტობრივი მაჩვენებლები აღემატება გეგმურს (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ასევე, თუ დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს, ან და დაზუსტებულ ასიგნებებსა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის არის შეუსაბამობა, ამის მიზეზებზე ინფორმაცია ასახული უნდა იყოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

დანართი N2 და N3 ფინანსური ანგარიშგების თანდართული ფორმებია, რომლებიც ანალიზურ სახით იძლევა დამატებით ინფორმაციას საანგარიშგებო მაჩვენებლების სწორი და სრული ფორმირებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტის აღიარების, შეფასების ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის თანდართვის დროს შეიძლება დაშვებულ იქნეს **შეცდომები**. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის აღმოჩენილი შეცდომის გასწორება წარმოებს მიმდინარე პერიოდის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში დამატებითი ბუღალტრული ჩანაწერების მეშვეობით, შესაბამისი ბუღალტრული ცნობის შედგენით, სადაც მითითებული უნდა იყოს ბუღალტრული ჩანაწერის საფუძველი და სხვა საჭირო ინფორმაცია.

შეცდომები უნდა გასწორდეს მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

ინსტრუქციის განმარტებით თუ ადგილი აქვს ანგარიშგების თარიღის შემდგომ მოვლენებს ერთეულმა ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები უნდა შეიტანოს ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში:

- სასამართლო გადაწყვეტილება ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემდეგ;
- ინფორმაცია შესაძლო დანაკარგის ან გაკოტრებისა და მარაგების გაყიდვის შესახებ;
- აქტივის შესახებ დამატებითი ინფორმაცია;
- შეცდომების აღმოჩენა ფინანსურ ანგარიშგებებში.

ყოველ არაკორექტირებად მოვლენებზე ორგანიზაციამ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია ნებისმიერ მსგავს შემთხვევაზე და გამოიანგარიშოს მისი ფინანსური ეფექტი (ან იმის მტკიცებულება რომ ამის გაანგარიშება შეუძლებელია).

ორგანიზაციების მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგების სხვა დანარჩენ კოპონენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს **განმარტებითი შენიშვნები**, რომელშიც გაშუქებული იქნება ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებზე, დასახული პრიორიტეტების და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების შედეგების, ასევე, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულები წარადგენენ ბუღალტრულ ანგარიშგებას (ბრძანება '364) და ფინანსურ ანგარიშგებას მოდიფიცირებული საკასო მეთოდით. ანგარიშგების ორივე ფორმისათვის მონაცემების ბაზა ერთია, საიდანაც თითქმის ერთნაირი მაჩვენებლები ყალიბდება. ეს მაჩვენებლები ანგარიშგების ორივე ფორმაში აისახება, მაგალითად მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ბალანსის მუხლები აისახება აგრეგირებული სახით მაგ. ფულადი სახსრები, ხოლო ბუღალტრული ანგარიშგების ბალანსის ფორმაში ფულადი სახსრები წარმოდგენილია შემადგენელი ელემენტების მიხედვით, როგორცაა ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში, მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში და სხვა.

პარალელები ყალიბდება სხვა მაჩვენებლებშიც. ვფიქრობთ, ორმაგი ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ და მხოლოდ ართულებს შესაბამისი სამსახურების საქმიანობას.

დასკვნა. რეკომენდირებულია:

- ფინანსური ანგარიშგების ისეთი მოდელის შემუშავება, სადაც ინტეგრირებული იქნება ბუღალტრული ანგარიშგებისა და ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები. ეს გამორიცხავს ფინანსური ანგარიშგებისადმი ორმაგი მიდგომას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის შედგენა პირდაპირი მეთოდით;
- მომზადებული და გამოცემული იქნეს ფინანსური ანგარიშგების შედგენის მეთოდური მითითებები;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისას გათვალისწინებული იქნეს ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რათ თავიდან იქნეს აცილებული ის მუდმივი ცვლილებები და განმარტებები, რომლებიც შედის ნორმატიულ დოკუმენტებში.
- შემუშავებულ იქნეს დასაქმებული სპეციალისტების გადამზადების პროგრამის და უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს მიერ, არა მხოლოდ საპილოტე ორგანიზაციებში არამედ ქვეყნის მასშტაბით.

ლიტერატურა:

1. საბიუჯეტო კოდექსი.
2. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.
3. სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.
4. სსბასს 2 - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.
5. ინსტრუქცია ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ.
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება '364 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ოპორტივების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.
7. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი.

Mariam Vardiashvili

Ivane Javakishvili State University

Assistant Professor

Financial reporting issues of budgetary organizations

The article discusses the problematic issues regarding the preparation of financial reporting with the cash-basis modified payment method by state-funded organizations. By introducing the cash-basis modified payment the bookkeeping and financial accounting was updated, more precisely the principals of bookkeeping and qualitative characteristics reflected in financial accounting, the components and elements for evaluating a unit's financial statement and results, regulations for preparation and presentation of each component and etc.

The regulations of the above mentioned accounting is based on the International Public Sector Accounting Standards (IPSAS). Introduction of these regulations is an important stage in the bookkeeping of the budget-funded organizations and implementation of IPSAS in the accounting.

სადაზღვევო ოპერაციათა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების ფორმირებისა და სადაზღვევო ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თავისებურებები

ბუღალტრული აღრიცხვის და მართვის ანგარიშების ფორმირებისა და გადასახადებით დაბეგვრის თავისებურებები განპირობებულია სადაზღვევო ოპერაციის სპეციფიკით. ანგარიშების გეგმის სტრუქტურა სადაზღვევო კომპანიებისათვის არის ანგარიშების ზოგადი გეგმის სტრუქტურის ანალოგიური. ანგარიშები განლაგებულია თანმიმდევრობით, რომელიც შეესაბამება ბუღალტრულ ბალანსს და ანგარიშს მოგებისა და ზარალის შესახებ. სადაზღვევო კომპანიების ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოიყენება ძირითად საშუალებათა, არამატერიალური აქტივების, მასალების, მათი ჩამოწერისა და რეალიზაციის, კაპიტალდაბანდებათა აღრიცხვის, საიჯარო ვალდებულებების, ფულად საშუალებათა, სახელფასო ანგარიშების აღრიცხვის, ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებისა და პერსონალთან სხვა ანგარიშების, ანგარიშების ბიუჯეტთან, სხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების, დამფუძნებელთა მიერ საწესდებო კაპიტალში ანგარიშსწორების, სესხად აღებული საშუალებების აღრიცხვის ზოგადად მიღებული წესები, დებულებები და მეთოდები. სადაზღვევო კომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმაში გათვალისწინებულია სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვის განსაკუთრებული წესი. ამასთან, ანგარიშების გეგმაში გათვალისწინებულია სადაზღვევო პრემიის დარიცხვის სხვადასხვა წესი სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე

დაზღვევის სახეობებიდან გამომდინარე, სხვაობა შემოსავლების აღიარების წესში განპირობებულია სადაზღვევო ფონდის პრინციპულად სხვადასხვა მიდგომით სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევისას.

სიცოცხლის დაზღვევაში სადაზღვევო ფონდის ფორმირების საფუძვლად ითვლება პრინციპი „ყველა იხდის თავისთვის“, ხოლო დაზღვევის სარისკო სახეობებში - „თითოეული იხდის ერთ შემთხვევას“ და გარკვეულ წილს, რომელთა ხარჯზეც სწორედ მთლიანობაში ხდება სადაზღვევო ფონდის ფორმირება. სიცოცხლის დაზღვევისაგან განსხვავებულ სხვა სადაზღვევო ხელშეკრულებებზე სადაზღვევო პრემია (შენატანი) დაირიცხება სრული მოცულობით იმის მიუხედავად, ხდება თუ არა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების გადავადება.

სადაზღვევო კომპანიები წარადგენენ ანგარიშგებას სადაზღვევო ზედამხედველობის ორგანოებში (დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური).

სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკა თავის ასახვას პოულობს ბუღალტრული ბალანსის მუხლების სტრუქტურასა და ჩამონათვალში. ბალანსი შედგება აქტივების, კაპიტალი და რეზერვების, სადაზღვევო რეზერვების და ვალდებულებებისაგან.

სადაზღვევო კომპანიების შემოსავლების კლასიფიკაცია:

- სადაზღვევო პრემიები (შენატანები) დაზღვევის, თანადაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. ამასთანავე, სადაზღვევო პრემიები თანადაზღვევის ხელშეკრულებებზე;
- ანაზღაურებები და ტანტემები გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. ტანტემები (გადამზღვეველის მოგების კომისიები) გადამზღვეველს შეუძლია მიიღოს გა-

დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების მიმდინარეობის შედეგების შესაბამისად. ტანტემის ზომა განისაზღვრება გადაზღვევის ხელშეკრულებაში გადამზღვეველის მოგებიდან მიღებულ პროცენტებში;

- ანაზღაურებები მზღვეველებისაგან თანადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად. დაზღვევის ობიექტი შეიძლება დაზღვეული იყოს ერთი ხელშეკრულებით რამოდენიმე მზღვეველთან. ასეთ ხელშეკრულებებს უწოდებენ თანადაზღვევის ხელშეკრულებებს;
- გადამზღვეველთა მიერ სადაზღვევო გადახდების წილის ანაზღაურების თანხა რისკებზე, რომლებიც გადაეცა გადაზღვევაზე. გადაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადამზღვეველი იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს გადამზღვეველის ხარჯები, რომელიც მან გასწია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზღვევის (ძირითადი) ხელშეკრულების შესაბამისად იმ ნაწილში, რომელიც გადაცემული იქნა გადაზღვევაზე. ეს თანხები, როგორც წესი, სადაზღვევო კომპანიაში შემოდის გადამზღვეველისაგან მის მიერ დაზღვევითათვის წარმოებული სადაზღვევო გადახდების შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, რომელიც შეთანხმებულია დაზღვევის ხელშეკრულებაში;
- სადაზღვევო აგენტის მომსახურების ანაზღაურება. ანაზღაურებები, მიღებული მზღვეველის მიერ სურვეიერისა და საავარიო კომისრის მომსახურებებისათვის. სიურვეიერის მომსახურებები მდგომარეობს დასაზღვევად მიღებული ქონების დათვალიერებაში და სადაზღვევო რისკის შესახებ დასკვნების გაცემაში, ხოლო საავარიო კომისარი არის ექსპერტი, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალების მიზეზებს, ხასიათსა და ზომას.

სხვა შემოსავლები, მიღებული სადაზღვევო ოპერაციების განხორციელების დროს.

სადაზღვევო ოპერაციებზე რეალიზაციის გარეშე შემოსავლებია:

1. წინა საანაგრიშო პერიოდებში წარმოქმნილი სადაზღვევო რეზერვების შემცირების (უკან დაბრუნების) თანხები სადაზღვევო რეზერვებში გადამზღვეველთა წილის ცვლილების გათვალისწინებით. სადაზღვევო კომპანიები საგადასახადო აღრიცხვაში ასახვენ სადაზღვევო რეზერვების ცვლილებას დაზღვევის სახეების მიხედვით. სადაზღვევო გადახდების წარმოებისას, რომლებიც ფიქსირდება როგორც სადაზღვევო ორგანიზაციის აღიარებული გასავლები საანაგრიშო პერიოდში, ხდება სადაზღვევო რეზერვების (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი, გაცხადებული, მაგრამ არარეგულირებული ზარალების რეზერვი) შემცირება გადამზღვეველის წილის გათვალისწინებით.

თუ არ არსებობს ვალდებულება სადაზღვევო გადახდების განხორციელებაზე, გაცხადებული ზარალების რეზერვი დაზღვევის ხელშეკრულებაზე შედის მზღვეველის შემოსავალში.

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი შედის მზღვეველის შემოსავლებში დაზღვევის ვადის ამოწურვის შესაბამისად.

წინა საანაგრიშო პერიოდებში წარმოქმნილი სადაზღვევო რეზერვების შემცირების (უკან დაბრუნების) თანხები ზრდიან სადაზღვევო ორგანიზაციის შემოსავლებს და შედიან რეალიზაციის გარეშე შემოსავლებში;

2. პროცენტების თანხები პრემიების დეპოზე რისკებთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულია გადაზღვევაში.

გადაზღვევის (სავალდებულო) ხელშეკრულების პირობებით ჩვეულებისამებრ გათვალისწინებულია სადაზღვევო პრემიის გადარიცხვა რისკების ერთობლიობის შესაბამისად, რომელიც გადაეცემა გადაზღვევაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ პერიოდ-

დის დასრულებამდე გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად დარიცხული სადაზღვევო პრემია გადამზღვევს ჩათვლება დეპონირებულად (ბოლომდე გადაურიცხავად), რომელზედაც გადამზღვევი არიცხავს შემოსავალს პროცენტების სახით. შემოსავლის დარიცხვა გადამზღვევის მიერ დეპონირებულ თანხაზე წარმოებს დეპონირების ვადის პროპორციულად.

3. შემოსავლები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მზღვეველზე გადასული დამზღვევის (მოგების მიმღების) უფლების რეალიზაციიდან მოთხოვნაზე იმ პირების მიმართ, ვინც პასუხისმგებელია მიყენებულ ზარალზე.

სადაზღვევო კომპანიის ხარჯების კლასიფიკაცია:

ხარჯებს, რომელთა გაღებაც ხდება სადაზღვევო ოპერაციების განხორციელებისას შესაბამისად მიეკუთვნებიან:

- სადაზღვევო გადახდები დაზღვევის, თანადაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებებზე;
- სადაზღვევო პრემიების (შენატანების) თანხები რისკებზე, რომლებიც გადაეცემა გადაზღვევაზე;
- ანაზღაურებები და ტანტემები, გადახდილი გადაზღვევის ხელშეკრულებათა შესაბამისად;
- თანამზღვეველის ანაზღაურება თანადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად;
- სადაზღვევო პრემიების (შენატანების) ნაწილის, ასევე დაზღვევის, თანადაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებებზე გამოსასყიდი თანხების უკან დაბრუნება კანონმდებლობითა და (ან) ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ანაზღაურებებები სადაზღვევო აგენტისა ან/და სადაზღვევო ბროკერის მომსახურებათა გაწევისათვის;
- ხარჯები ორგანიზაციების ან ცალკეული ფიზიკური პირებისათვის მათ მიერ სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე, მათ შორის: აქტუარების და ინკასატორულ მომსახურებაზე;
- სხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან.

ბუღალტრულ აღრიცხვაში მზღვეველის საქმიანობის ფინანსური შედეგები დაზღვევის, თანადაზღვევისა და გადაზღვევის, ასევე სხვა ოპერაციებიდან, აისახება ანგარიშში მოგებისა და ზარალის შესახებ. ანგარიში იყოფა სამ ნაწილად, სადაც ყოველ მათგანში შედარებულია შემოსავლები და გასავლები და გამოვლენილია საბოლოო ფინანსური შედეგი:

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები ძირითადად გრძელვადიანია და მათ აქვთ დაგროვებითი ელემენტი. შემოსავლის დიდი ნაწილი, მიღებული სიცოცხლის დაზღვევის ინვესტიციებიდან, გამოიყენება დამზღვევთა ინტერესებისათვის. კაპიტალდაბანდებებიდან შემოსავლის ნაწილი გამოიყენება სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო თანხის გასაზრდელად და ამიტომ აღნიშნული შემოსავალი შესულია ასევე ანგარიშში „სიცოცხლის დაზღვევა“.

ქონების დაზღვევისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებები მოკლევადიანია. დაზღვევის პერიოდი, ჩვეულებისამებრ, შეადგენს ერთ წელს. სიცოცხლის დაზღვევისაგან განსხვავებით, სადაც დაფიქსირებულია გადახდების თანხა.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური შედეგის ფორმირებისას მხედველობაში მიიღება:

ა. სადაზღვევო რეზერვების ცვლილების შედეგი: თუ სადაზღვევო რეზერვის ზომა საანაგრიშო თარიღის შესაბამისი მდგომარეობით მცირდება, მაშინ სადაზღვევო რეზერვის ცვლილება ითვლება შემოსავლად, როგორც რეზერვის უკან დაბრუნება და ზრდის ფინანსურ შედეგს; თუ სადაზღვევო რეზერვის ზომა საანაგრიშო თარიღის შესაბამისი

მდგომარეობით იზრდება, მაშინ სადაზღვევო რეზერვის ცვლილება ითვლება გასავლად და ამცირებს ფინანსურ შედეგს;

ბ. სადაზღვევო რეზერვებში გადამზღვეველის წილის ცვლილების შედეგი: თუ სადაზღვევო რეზერვში გადამზღვეველის წილის ზომა საანაგრიშო თარიღის მდგომარეობით მცირდება, მაშინ გადამზღვეველის წილის ცვლილება განიხილება როგორც გასავალი და ამცირებს ფინანსურ შედეგს; თუ გადამზღვეველის წილის ზომა საანაგრიშო თარიღის მდგომარეობით იზრდება, მაშინ გადამზღვეველის წილის ცვლილება განიხილება როგორც შემოსავალი და ზრდის ფინანსურ შედეგს.

მზღვეველი ვალდებულია ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურს წარუდგინოს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ მიხედვით. მზღვეველის ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და რეალურად უნდა ასახავდეს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ (02.05.2014);
2. „სადაზღვევო ორგანიზაციების ანგარიშგების წესები“ ნორმატიული აქტი., თბ., 2014
3. შათირიშვილი ჯ.კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე. თბ., 2012

Nato Kakashvili

PhD,

Associate Professor

Accounting of insurance operations, reporting forms and characteristics of taxation of insurance operations

Accounting and management reporting and features of the formation taxation of insurance are determined on the specifics of the operation. The accounts plan structure for insurance companies is similar to the structure of the accounts of the general plan. The reports are located in the sequence, which is consistent with the accounting balance sheet and profit and loss account. The insurance companies' accounting reports include the specifics of the insurance activities related to economic operations of the accounting rules. In addition, the accounting plan provides for the accrual of different rules for insurance premiums for life and non-life insurance contracts.

The difference between the revenue recognition rules, depending on the types of insurance, are fundamentally different for the life and non-life insurance funds.

იამზე ბერიშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

ეკონომიკური ანალიზის მეთოდთა და მისი როლი ეროვნული მეურნეობის განვითარებაში

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეროვნული მეურნეობის მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია მასში შემავალი სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზით. იგი შესაძლებლობას იძლევა, როგორც სუბიექტის საქმიანობამდე დაპროექტების პროცესში, ასევე მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში გამოვლინდეს არსებული ხარვეზები, ნაკლოვანებები, ანუ ფარული რეზერვები, ხოლო ხარვეზების ლიკვიდაციით და რეზერვების ამოქმედებით მიიღწევა ეროვნული მეურნეობის სტაბილური, ხოლო შემდგომ-მაღალი დონე.

სუბიექტის ეკონომიკური ანალიზის ჩატარებისას ხდება საანალიზო მაჩვენებლების შედარება წინა საანგარიშებო პერიოდთან, ან საბაზისო პერიოდთან და მათი შესწავლა, როგორც პერიოდის მიმდინარეობისას, ასევე დინამიკაში. სპეციალური ხერხებით გამოვლინდება საანალიზო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სიდიდეები, რაც შესაძლებლობას იძლევა შევასაოთ სუბიექტის სამეურნეო საქმიანობა, მოვახდინოთ უარყოფითი ფაქტორების გამოყოფა, წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება.

ამრიგად, ღრმა ეკონომიკური ანალიზით შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური დონის ამაღლება, რაც განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე. ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია ფირმის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გამოვლინდეს ის ფარული რეზერვები, რომელთა ამოქმედება განაპირობებს ფირმის სტაბილურ მდგომარეობას, ხოლო შემდგომ მაღალ ეკონომიკურ დონეს.

სინთეზის შებრუნებული მაჩვენებელია ანალიზი, რომელიც ნიშნავს შესასწავლი მოვლენების დაშლას, დანაწევრებას, ანუ ზოგადი საკვლევი მაჩვენებლის დაყოფას კერძო მაჩვენებლებად, რომელთა კვლევის შედეგად ვლინდება ფირმის სამეურნეო საქმიანობაში არსებული ხარვეზები. მაგრამ, უნდა ითქვას ის, რომ შესასწავლი მოვლენების დანაწევრებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მათ შორის არსებული ურთიერთკავშირი.

ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის ეფექტურ საშუალებას, რომლის გამოყენებით შესაძლებელია სამეურნეო საქმიანობის სწორი ფუნქციონირება და შემდგომი სრულყოფა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ანალიზის როლი მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის განვითარებაში. იგი შესაძლებელია განხორციელდეს სამეურნეო ოპერაციების შესრულებამდე, რომელსაც პროგნოზული, ანუ პერსპექტიული ანალიზი ეწოდება. ეკონომიკური ანალიზის ეს სახე შესაძლებლობას იძლევა დაპროექტების პროცესში შესწავლილ იქნეს ეკონომიკური მოვლენები და გამოვლინდეს არასაჭირო დანახარჯები, რომელთა აღმოფხვრა გააუმჯობესებს საკვლევი სუბიექტის ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ანალიზის ჩატარება ფირმის სამეურ-

ნეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელსაც ოპერატიული, ანუ მიმდინარე ანალიზი ეწოდება. ვფიქრობ, მეტად საყურადღებოა ანალიზის ეს სახე, ვინაიდან იგი შესაძლებლობას იძლევა რამდენიმე შესაძლო ვარიანტებიდან შერჩეულ იქნეს საუკეთესო, რომელიც ხელს შეუწყოფს ფირმის საქმიანობაში მაღალი შედეგების მიღებას. და ბოლოს, შემდგომი ანუ რეტროსპექტული ანალიზი, რომელიც ეყრდნობა განვლილი პერიოდის ამსახველ ინფორმაციის შესწავლას და შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილი ხარვეზები გათვალისწინებულ იქნეს მომდევნო საანგარიშგებო წელს.

ეკონომიკური ანალიზი შეიძლება ჩატარდეს საანგარიშგებო პერიოდის ინფორმაციის საფუძველზე, ასევე დინამიკაში – წლების განმავლობაში საბაზისო პერიოდთან შედარებით, რომელიც საშუალებას იძლევა პირველ შემთხვევაში, ფაქტობრივი მდგომარეობა შევადაროთ დაგეგმილთა, ხოლო მეორე შემთხვევაში – წინა წელთან, ან საბაზისო პერიოდთან შედარებით, ანუ ვიყენებთ შედარების ხერხს, რომლის საშუალებით ვლინდება გადახრები გეგმასთან შედარებით, ასევე წინა წელთან, ან საბაზისო პერიოდთან შედარებით.

ეკონომიკური ანალიზის ჩატარებისას აუცილებელია, პირველ ეტაპზე გავეცნოთ საანალიზო სუბიექტს, მოვიპოვოთ ინფორმაცია, დავამუშაოთ, გადავამოწმოთ და შევაფასოთ. მეორე ეტაპზე, მოვახდინოთ საანალიზო მაჩვენებლის შეფასება, მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სიდიდეების განსაზღვრა, გამოყოფა დადებითი და უარყოფითი ფაქტორების, რათა განისაზღვროს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები. მესამე ეტაპზე უნდა შემუშავდეს ღონისძიებები და წინადადებები, რათა დადებითი ფაქტორები განმეორდეს შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში, ხოლო უარყოფითი ფაქტორები აღმოიფხვრას.

საანალიზო ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ხდება სამუშაო ცხრილების, დიაგრამების შედგენა. შედარების ხერხის გამოყენებით დგინდება გადახრები ფაქტობრივ და ბიზნეს გეგმით გათვალისწინებულ შორის.

საანალიზო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრისათვის გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: გვაქვს საანალიზო მაჩვენებელი და მასზე მოქმედი ფაქტორები, ფაქტობრივად და ბიზნეს გეგმით. ფაქტორის გავლენის გაანგარიშებისას პირველი გაანგარიშება ტოლია ყველა ფაქტორთა გეგმური სიდიდეების ნამრავლის, მეორე გაანგარიშებისას – პირველი ფაქტორის გეგმური სიდიდე იცვლება ფაქტობრივით, მიღებულ სიდიდეს აკლდება წინა გაანგარიშებით ამ მიღებული სიდიდე და ვღებულობთ პირველი ფაქტორის გავლენის სიდიდეს. ფაქტორის გავლენა იქნება დადებითი, ან უარყოფითი, იმის და მიხედვით, თუ რა ნიშანი ექნება სხვაობას და ასე შემდეგ გრძელდება გეგმური სიდიდის ფაქტობრივით შეცვლა. ბოლო გაანგარიშებისას გვექნება ყველა ფაქტორის ფაქტიური სიდიდეების ნამრავლი. ფაქტორების გავლენის სიდიდეების აღგებრულმა ჯამმა უნდა მოგვცეს საერთო გადახრა.

ზემოთაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი პირობითი ინფორმაციის გამოყენებით. ვთქვათ, საერთო პროდუქციამ გეგმით შეადგინა 10 000 ლარი, ფაქტობრივად – 15 000 ლარი, მათ შორის სხვაობა ტოლია პლიუს 15 000 ლარის, ანუ პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებულია. საანალიზო მაჩვენებელი დავშალოთ კერძო მაჩვენებლებად. მომუშავეთა რაოდენობამ შეადგინა გეგმით 500 კაცი, ფაქტობრივად 500 კაცი. ერთი მომუშავეს შრომის მწარმოებლურობა ტოლია გეგმით 20 ლარის, ხოლო ფაქტობრივად - 30 ლარის, ანუ გაზრდილია 10 ლარით. აღნიშნული ინფორმაციით პირველი გაანგარიშება ტოლია 10 000 ლარის, მეორე გაანგარიშება – 10 000 ლარის. მეორე გაანგარიშებით მიღებულ სიდიდეს მინუს პირველი გაანგარიშებით მიღებული სიდიდე ნულის ტოლია, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტორის – მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების გავლენას ადგილი არ ქონია. მესამე გაანგარიშებისას გვაქვს ორივე ფაქტორის ფაქტობრივი სიდიდეების ნამრავლი, ანუ 15 000 ლარი. მესამე გაანგარიშებით მიღებულ სიდიდეს აკლდება

წინა გაანგარიშებით მიღებული სიდიდე და გვამღევს ერთი მომუშავეს შრომის მწარმოებლურობის ფაქტორის გავლენას, რომელმაც შეადგინა პლიუს 5 000 ლარი.

ამრიგად, ფაქტორების გავლენის ალგებრული ჯამი გვამღევს საერთო გადახრას, 5 000 ლარს. ირკვევა, რომ საანალიზო ფირმა საერთო პროდუქციის მოცულობის გადაჭარბებით გამოშვება მიაღწია მომუშავეთა მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე.

ჯაჭვური ჩასმის ხერხის ნაირსახეობას წარმოადგენს აბსოლუტური სხვაობის ხერხი, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: გვაქვს საანალიზო მაჩვენებელი და მასზე მოქმედი ფაქტორები, როგორც გეგმით, ასევე ფაქტობრივად და მათ შორის სხვაობა გადახრა. ფაქტორის გავლენის სიდიდის განსაზღვრისას გადახრა მრავლდება წინ მდგომი ფაქტორების ფაქტობრივ სიდიდეზე და შემდგომი ფაქტორების გეგმურ სიდიდეზე. ფაქტორის გავლენის სიდიდე გვექნება იმ ნიშნით რა ნიშანიც ექნება გადახრას. ჩვენი მაგალითის მიხედვით, მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების გავლენა ნულის ტოლია, ხოლო ერთი მომუშავეს მწარმოებლურობის ცვლილების გავლენა - პლიუს 5 000 ლარის, რაც ნიშნავს იმას, რომ მწარმოებლურობის ამალეობამ განაპირობა საერთო პროდუქციის მოცულობის გაზრდა.

ეროვნული მეურნეობის აღმავლობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მასში შემავალი სუბიექტების ღრმა ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფარული რეზერვების გამოვლენის და მათი რეალიზება ხელს უწყობს მაღალი ეკონომიკური დონის მიღწევას.

Iamze Berishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State Univerisy

Lecturer

Methods of Economic Analysis and its role in the national economy development

In a Modern market economy a high level of economy achievement can be obtained by economic analysis of the comprising organizations. It allows to identify the existing gaps and imperfectness, so called discreet reserves, in an initial planning process as well as in implementation or later phases. By eradicating the existing gaps and applying to the reserves the stability of the national economy will be achieved, that will guide to the high level economy later on.

While conducting the economy analysis of the organization the analysis indicator is compared to the pre- accounting or primary period, also they are examined in the process as well as in the dynamics. Specific approaches are used to discover the extents of the factors effecting the analysis indicators. It allows to evaluate economy activity of the organization, to identify negative factors and develop recommendations and new offers.

To sum up, by deep economic analysis it is possible to nurture the level of the national economy that will stipulate improvement of the socio-economic conditions of the country.

დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლის მიზანშეწონილობა საქართველოში

დაბეგვრის პროპორციული სისტემა გულისხმობს გადასახადის გადამხდელისათვის თანაბარ საგადასახადო განაკვეთს, მიუხედავად იმისა თუ რა მოცულობის არის დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო დაბეგვრის პროგრესული სისტემა ითვალისწინებს დასაბეგრ მოცულობას და შესაბამისად დასაბეგრი შემოსავლის ზრდასთან ერთად მატულობს საგადასახადო განაკვეთი.

ისმის კითხვა რატომ ავირჩიე მოცემული პრობლემა საკვლევად? იმიტომ, რომ ჯერ ერთი დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლა მეწარმეთა მხრიდან სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდის საკითხებში სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა და მეორე

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა – საგადასახადო სფეროში საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება. ამდენად, ეს დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა დაბეგვრის პროგრესულ სისტემაზე გადავიდნენ.

დასმული პრობლემის შესწავლა დავიწყეთ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის პრობლემატიკით, რისთვისაც ჩავატარეთ შესაბამისი კვლევა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საწარმოს ტვირთი = (მოგების გადასახადი + ქონების გადასახადი + იმპორტის გადასახადი + საშემოსავლო გადასახადი + აქციზი) / მთლიან შემოსავალთან.

გამოკვლევას დაუქვემდებარეთ საქსტატის ინფორმაციულ ბაზაში არსებული 2011 წლის აქტიურ საწარმოთა 60 ათასი ერთეული. აქედან შერჩევითი დაკვირვების მეთოდის გამოყენებით შევარჩიე 9734 საწარმო. მათ შორის: მსხვილი – 2803, საშუალო 2546 და ცირე 4385. შერჩევა განვახორციელეთ სტრატეგიცირებული ჯგუფების გამოყოფით, ხოლო ჯგუფების შიგნით საწარმოების არჩევა მოვახდინეთ მარტივი შემთხვევითი შერჩევის მიხედვით. კიდევ ერთი დაზუსტების შესახებ, დაკვირვებაში მოხვედრილი სუბიექტებიდან ამოვიღეთ 2158 ინდმეწარმე, იმ მოტივით, რომ ამ ტიპის ინსტიტუციურ ერთეულებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით უკვე განსაზღვრულია გარკვეული შეღავათები ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში. ამდენად გამოკვლევას დაუქვემდებარეთ 7576 საწარმო. აქედან მსხვილი საწარმო იყო 2661, საშუალო 2146 და მცირე 2769. შემოთავაზებული სქემის მიხედვით თითოეულ საწარმოზე გავთვალეთ საგადასახადო ტვირთი და შემდეგი სურათი მივიღეთ.

საწარმოთა ტვირთი საწარმოების ტიპების (სიდიდის) მიხედვით¹

საწარმოთა ტიპები	საწარმოთა რაოდენობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი %-ში
მსხვილი	2661	26,12
საშუალო	2146	29,29
მცირე	2769	29,12
სულ	7576	28,11

როგორც მოტანილი მონაცემები მეტყველებს მთელი საწარმოების მიხედვით საშუალო საგადასახადო ტვირთს 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება მსხვილ საწარმოთა ტვირთი. ეს განსხვავება კიდევ უფრო შესამჩნევია თავად მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის. კერძოდ, საშუალო და მცირე საწარმოებში საგადასახადო ტვირთი 3%-ით მეტი არის მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

არანაკლებ საინტერესო არის საგადასახადო ტვირთის ანალიზი საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მას შემდეგი სახე აქვს:

საწარმოს ტვირთი საქმიანობის სახეების მიხედვით 2011 წ²

სექცია	საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი %-ში
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	31,4
B	თევზჭერა, მეთევზეობა	32,1
C	სამთომომპოვებითი მრეწველობა	40,8
D	დამამუშავებელი მრეწველობა	28,3
E	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის მომარაგება	27,9
F	მშენებლობა	35,3
G	ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი	23,8
H	სასტუმროები და რესტორნები	27,8
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	23,3
K	ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	38,7
L	განათლება	23,0
M	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	22,1
N	კომუნალური მომსახურება	32,3
სულ	გამოკვლევული საწარმოები	28,1

¹ ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

² ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ტვირთი ყველაზე დაბალია ვაჭრობით, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტით დაკავებულ საწარმოებში, ხოლო ყველაზე მაღალი კი სამთომომპოვებითი მრეწველობის საწარმოებში. ტვირთის ანალიზისას ზოგადად ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა. ტვირთი მაღალია საქონელმწარმოებელ დარგებში და დაბალი მომსახურების დარგებში.¹

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთი რამდენადმე განსხვავებულია მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საწარმოების მიხედვით. საწარმოთა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე უფრო დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ (d1) ჯგუფებად. მოცემულ შემთხვევაში საწარმოთა საგადასახადო ტვირთის მიხედვით რანჟირებული მწკრივი უნდა დავყოთ 10 თანაბარ ნაწილად. პირველი დეცილი (d1) ერთობლიობას ყოფს 1/10-9/10-თან შესაბამისად, მეორე დეცილი (d2) 2/10 - 8/10 -თან და ა.შ.

დეცილების გამოანგარიშება მოვახდინოთ იგივენაირად როგორც ანგარიშობენ მედიანას.

კერძოდ,

$$d1 = X_{d1} + i \cdot \frac{(\frac{1}{10} \sum f - S_{d1} - 1)}{fd1}$$

$$d9 = X_{d9} + i \cdot \frac{(\frac{9}{10} \sum f - S_{d9} - 1)}{fd9}$$

ახლა ჩვენი დაკვირვების არეში მყოფი საწარმოები დავყოთ 10 ნაწილად.

ცხრილი N3

საწარმოების განაწილება დეცილურ ჯგუფებად ტვირთის ზომის მიხედვით²

ჯგუფის ნომერი	ტვირთის მინიმუმი	ტვირთის მაქსიმუმი	საწარმოთა რაოდენობა
1	0.028	9.996	867
2	9.996	19.964	1952
3	19.964	29.931	2129
4	29.931	39.899	1137
5	39.899	49.866	601
6	49.866	59.834	363
7	59.834	69.802	241
8	69.802	79.769	116
9	79.769	89.737	89
10	89.737	99.705	81

პირველი დეცილური ჯგუფის ნომერი

$$ND1 = (\sum f) \cdot \frac{1}{10} = \frac{7576}{10} = 757,6$$

¹ აქ და შემდეგ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქონელმწარმოებელი დარგების მიხედვით გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნება ხდება

² ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$D1 = 0,028 + 9,967 \cdot \frac{7576 - 0}{867} = 8,738$$

მეცხრე დეცილური ჯგუფის ნომერი

$$ND9 = (\sum f) \cdot \frac{9}{10} = 6818,4$$

$$D9 = 49866 + 9,967 \cdot \frac{6818,4 - 6,686}{865} = 53,5$$

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოების მინიმალურ 10%-ს აქვს ტვირთის 8,7%, ხოლო უდიდესი ტვირთის მქონე საწარმოების 10%-ს კი ტვირთის 53,5%, რაც 6-ჯერ მეტია უმცირესზე. (საშუალო ტვირთი 28,11%-ია). ამდენად, საგადასახადო ტვირთის დიფერენციაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

არსებითად განსხვავებულია საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება მოსახლეობისათვის. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ საწარმოებისათვის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას გამოვიყენეთ ისეთი მაჩვენებლები, როგორც არის ბრუნვა, მოგება, შრომის ანაზღაურება, შემოსავალი. მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას ტრადიციულად მხედველობაში იღებენ საშემოსავლო გადასახადის და ქონების გადასახადის შეფარდებას მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან. ამრიგად, ზემოაღნიშნული შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

$$მსტ = (მდგ/მფშ) \times 100\%$$

სადაც,

მსტ - მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია;

მდგ - მოსახლეობის დარიცხული გადასახადებია;

მფშ - მოსახლეობის ფულადი შემოსავლები

მოცემული ტრადიციული ფორმულის მრიცხველში შეიტანება საანგარიშო პერიოდის მანძილზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი და ქონების გადასახადი, ხოლო მნიშვნელში მოსახლეობის ფულადი შემოსავლები.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ მოცემული ფორმულის მრიცხველისა და მნიშვნელის კომპონენტები და შევეცადოთ გაათანამედროვეებული სახით წარმოვიდგინოთ ზემოთ მოტანილი ფორმულა. დავიწყოთ საშემოსავლო გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მიღებული შემოსავლის 20%-ით, გარდა იმ მოქალაქეებისა რომელთა შემოსავალი ქვეყანაში მოქმედ საარსებო მინიმუმზე დაბალია. ამ ბოლო კატეგორიის შემოსავლების მქონე ფიზიკური პირები განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. ახლა შევეცადოთ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით, შინამეურნეობებში წარმოების საზღვრების გაფართოებისა და შემოსავლების განაწილების, მოხმარებისა და სიმდიდრის ფაქტორების მხედველობაში მიღებით გავათანამედროვეოთ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის დეფინიცია და შესაბამისად მისი ფორმულა.

რატომ ხდება რომ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები ნაკლებად შეისწავლება თანამედროვე ეკონომიკურ პუბლიკაციებში. იმის გამო, რომ საკითხი მეტად რთულია და მეცნიერები თავს არიდებენ მის ემპირიულ და თეორიულ კვლევებს, თუ პრობლემა იმდენად ნათელია, რომ არ ღირს მისი კვლევისადმი დიდი შრომითი და ფინანსური რესურსების დახარჯვა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, საკითხი მართლაც რთული და ამავე დროს აქტუალურია, მით უფრო, საჭირო ინფორმაციული რესურსების სიმწირის ან საერთოდ არ არსებობის პირობებში.

როგორც ცნობილია, ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ფორმულაში, კერძოდ, მის მრიცხველში შეტანილია ქონების გადასახადი. მოცემული გარემოება ერთგვარ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს მოქალაქეთა იმ კატეგორიაში, ვინც ფლობს საკმაოდ დიდი მოცულობის უძრავ ქონებას. მოცემული გადასახადის განაკვეთიდან გამომდინარე მსოფლიოს ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით მოსახლეობის მაღალმა საგადასახადო ტვირთმა შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს ეკონომიკაზე, თუმცა ეკონომიკისათვის ასევე მიუღებელია დაბალი საგადასახადო ტვირთიც. დაბალმა განაკვეთმა მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე შეიძლება გამოიწვიოს სპეკულაციური საინვესტიციო გარიგებები და უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალური შემოსავლებისა და შესაბამისად, მუნიციპალური პროგრამების შესრულებაში ხელის შეშლა.

მოსახლეობის ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის შეფასება მუდმივ მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხია და მისი გაანგარიშება სასურველია ოფიციალური ორგანოების მიერ ყოველწლიურად მოხდეს. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული შინამეურნეობების შემოსავლების მონაცემებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო გადასახადის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის მახასიათებელი მაჩვენებლების აგება. (იხ. ცხრილი N 4)

ცხრილი N 4

საქართველოს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი 2005-2011 წლებში

მაჩვენებლები	2005	2008	2009	2010	2011
1. მოსახლეობის წლიური შემოსავლები მლნ. ლარი. ¹	4238,4	6536,4	6904,8	7790,4	8533,2
2. საშემოსავლო გადასახადი მლნ. ლარი ²	290,7	1296,3	1119,0	1202,1	1551,1
3. მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი, %	6,8	19,8 ³	16,2	15,4	18,1

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებაში სათანადო სტატისტიკური მასალის უქონლობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო მოსახლეობის ქონების მაჩვენებლებმა, რომელიც ექსპერტული შეფასებით სულ მცირე ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით დაახლოებით 140 ათასი ლარის (78 ათასი აშშ დოლარის იმდროინდელი კურსით) ეკვივალენტურია⁴, რაც ბუნებრივია გაზრდიდა ტვირთის მახასიათებელ მაჩვენებლებს.

ფიზიკური პირების დაბეგვრის პროცესის გაუმჯობესებაში ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯი იყო ახალი მთავრობის გადაწყვეტილება საარსებო მინიმუმის სიდიდეზე (150 ლარი თვეში) ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ მიზნით შემოღებულია დაუბეგრავი მინიმუმი.

¹ www.geostat.ge

² www.mof.ge

³ 2008 წელს 2005 წელთან შედარებით საგადასახადო ტვირთის ასეთი ზრდა განპირობებულია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით - გაუქმდა სოციალური გადასახადი, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 12%-დან 25%-მდე.

⁴ „საქართველოს ეკონომიკა“, თბილისი, „სიახლე“, 2012, გვ. 88

ჩემი აზრით, შემდეგი ნაბიჯი რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფიზიკური პირების დაბეგვრას – ესაა პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღება ე.ი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაიზარდოს ხელფასისა და სხვა სახის შემოსავლების ზრდასთან ერთად. ასეთი პრაქტიკა ამჟამად საქართველოში არ არის დამკვიდრებული და საარსებო მინიმუმის ზემოთ მყოფი მოსახლეობა განურჩევლად ყოველთვიური სახელფასო შემოსავლის სიდიდისა, იხდის მის 20%-ს. აღნიშნული არ მიგვაჩნია სამართლიან ნორმად, რადგან სხვადასხვა შემოსავლის მქონე ადამიანები არ შეიძლება იბეგრებოდნენ თანაბარი საპროცენტო განაკვეთით, რადგან ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ტვირთი და ცხოვრების პირობები მცირე შემოსავლიან ფიზიკურ პირს გაცილებით მძიმე ექნება.

ამჟამად, საშემოსავლო გადასახადი ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მის სტრუქტურაში სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს. მოცემული გადასახადი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის განმსაზღვრელი მაჩვენებელია და ამდენად, იგი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მოცემული გადასახადი ასრულებს როგორც ფისკალურ ფუნქციას, ისე სოციალურ ფუნქციას. მას შეუძლია ასევე შეასრულოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, ეს არის გამანაწილებელი ფუნქცია. თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განმარტებული მოცემული გადასახადის 20-პროცენტიანი განაკვეთი ასეთი ფუნქციის შესრულებას აფერხებს და ვერ უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნას „მდიდრები იხდიან მეტს, ვიდრე ღარიბები“.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოცემული გაანგარიშების ბაზად ითვლება ერთიანი მთლიანი შემოსავალი, რომელიც თავისთავად ითვალისწინებს დაქირავებით მომუშავე პერსონალის ხელფასს, პრემიებს, ხელფასზე დანამატებს და წახალისებებს. მოცემული გადასახადის საგადასახადო ბაზაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა ობიექტების ფლობისა და სარგებლობისათვის სხვადასხვა შედავათები შეაქვთ. ასე მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გადასახადით იბეგრება სახლების ფლობისაგან მიღებული შემოსავლები გადასახადის გადამხდელების მათში ცხოვრებისათვის; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოცემული გადასახადის საგადასახადო ბაზაში შეაქვთ პენსიები; ავსტრალიას, ნორვეგიას, დიდ ბრიტანეთს, ფინეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას კი – უმუშევართათვის გაცემული შემწეობები.

საგადასახადო პოლიტიკის და შესაბამისად ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იცვლება საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთები. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წლამდე მოქმედებდა 14 %-დან 70 %-მდე 25 სხვადასხვა ჯგუფის დასაბეგრი შემოსავალი. შემდეგ ისინი შეიცვალა ორი განაკვეთით 15% და 39,6%-ით. ამჟამად მოქმედებს პროგრესული დაბეგვრის სისტემა, რომლის თანახმად მაღალი შემოსავლის მფლობელები იხდიან მეტ საშემოსავლო გადასახადს შემოსავლის ზრდის მიხედვით. ასეთივე წესია ევროპაში და მიმდინარე წელს განხორციელებულმა ასეთმა ნოვაციებმა ბევრი ცნობილი მსახიობი და სხვა სახელოვანი ადამიანი აიძულა გადასულიყო ისეთ ქვეყნებში სადაც საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით უფრო დაბალია. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მიუხედავად მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის სიმძიმისა, საგადასახადო შემოსავლით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლიდან გამოთიშავენ მოცემულ ქვეყანაში მოქმედი საარსებო მინიმუმის ტოლ თანხას და მას დაუბეგრავ საგადასახადო მინიმუმს უწოდებენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასევე იყენებენ დასაბეგრი ბაზიდან ბავშვების ხარჯებისათვის საჭირო თანხის გამოკლების პრაქტიკას. ზემოთაღნიშნულიდან პირველი უკვე მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, მეორე-არა.

ახლა გავანალიზოთ თუ როგორ გამოიყურება ქვეყანაში დაქირავებით მომუშავეების, მათი დარიცხული ხელფასისა და საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა 2007-2011 წლების მიხედვით.

ცხრილი N5

დაქირავებით მომუშავეები, მათი დარიცხული ხელფასი და საგადასახადო შემოსავლები 2007-2011 წლების მიხედვით¹

მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011
დაქირავებით მომუშავეები ათ.კაცი	625,4	572,4	596,0	618,6	632,0
ყოველთვიური საშუალო ხელფასი, ლარი	368,1	534,9	556,8	597,6	636,0
საშემოსავლო გადასახადი მლნ.ლარი	526,9	1296,3	1119,0	1202,1	1551,1

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს 2007-2011 წლებში დაქირავებით მომუშავეების საშუალოდ ყოველწლიურად 1,60 ათასი კაცით მომატების პირობებში, ყოველთვიური საშუალო ხელფასი იზრდებოდა 1,2-ჯერ, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი 1,3-ჯერ. ხელფასისა და საშემოსავლო გადასახადის ესოდენ სწრაფი ზრდის პირობებში სულ უფრო აქტუალურია დაქირავებით მომუშავე ადამიანების ხელფასის დონის მიხედვით საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო განაკვეთის დიფერენციაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება. ჩვენ მიერ წამოყენებულ იდეას ამტკიცებს, ერთი მხრივ, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხელფასის და მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლები მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ფენების მიხედვით.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის შემოსავლების დეცილურ ჯგუფებად განაწილების მონაცემები მეტყველებენ, 2000 წლიდან მოყოლებული, მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის წილად მოდის მოსახლეობის მთელი შემოსავლების დაახლოებით 35%, ეს მაშინ როდესაც ყველაზე ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს მოსახლეობის მთელი შემოსავლების მხოლოდ 1% უჭირავს. დაახლოებით ასეთივე პროპორციებია შენარჩუნებული საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, რომელსაც მოსახლეობის შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს.

ახლა განვიხილოთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მასალების ანალიზს ეძღვნება. კვლევის მიზანს, როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ფიზიკური პირთა საშემოსავლო გადასახადისა და საერთო შემოსავლების ურთიერთშეფარდებით მიღებული საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის ანალიზი. კერძოდ, დადგენა იმისა, თუ როგორ არის ტვირთი გადანაწილებული ამ ტიპის საგადასახადო გადამხდელთა შორის დეცილური ჯგუფების მიხედვით. ფიზიკური პირების ზემოაღნიშნული გენერალური ერთობლიობა კვლევის დაწყებამდე გავანთავისუფლეთ ისეთი ერთეულებისაგან, რომლებიც ტვირთის ანალიზისას არ ქმნიდნენ რეალურ სურათს და ვისი ტვირთის დონე არ აღემატებოდა 0,0001-ს.

¹ www.geostat.ge

ასეთი ანომალური ერთეულებისაგან გათავისუფლების შემდეგ 75 ათასი შერჩევაში მოხვედრილი 75 ათასი პირიდან კვლევას დავუქვემდებარეთ 49 111 ფიზიკური პირი. თითოეული ფიზიკური პირის მიხედვით გავიანგარიშეთ საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი და ამერიკელი მეცნიერის სტერჯერსის ფორმულის გამოყენებით $h=(X_{max}-X_{min})/n$ მოვახდინეთ ტვირთის კოეფიციენტის მიხედვით საწარმოთა დაჯგუფება 10 ჯგუფის მიხედვით.

ფიზიკურ პირთა გენერალურ ერთობლიობაში ტვირთის მინიმალური კოეფიციენტი იყო 1 ხოლო მაქსიმალური-20. დასაჯგუფებლად სასურველ ჯგუფებთან რაოდენობა-10, ე.ი $n=10$. ზემოთ განხილულ ფორმულაში მნიშვნელობების შეტანით h ანუ ტვირთის მიხედვით ინტერვალის სიდიდე ტოლი იქნება $h = (20-1)/10=1,9$. მოცემული ინტერვალის მიხედვით მოვახდინეთ ფიზიკური პირების დაჯგუფება.

ცხრილი N6

ფიზიკური პირების განაწილება საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის მიხედვით

ჯგუფები ტვირთის კოეფიციენტების მიხედვით	ფიზიკური პირების რაოდენობა
1 - 2,9	25127
2,9 - 4,8	8121
4,8 - 6,7	3414
6,7 - 8,6	1795
8,6 - 10,5	1270
10,5 - 12,4	1005
12,4 -14,3	894
14,3 - 16,2	861
16,2 - 18,1	932
18,1 - 20,0	5692
	სულ 49111

დეცილური ჯგუფების გაანგარიშებისათვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ მოდისა და მედიანის მაჩვენებლები. როგორც ვიცით ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის მოდის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$M_0 = x_0 + i \frac{(f_{M_0} - f_{M_0-1})}{(f_{M_0} - f_{M_0-1}) + (f_{M_0} - f_{M_0+1})}$$

N 6 ცხრილის მონაცემების მოდის ფორმულაში შეტანით მივიღებთ შემდეგს:

$$M_0 = 1+1,9 \frac{(25127-0)}{(25127-0)+(25127-49111)}=2,13$$

ამრიგად, ყველაზე გავრცელებული საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი ფიზიკურ პირებს შორის შეადგენს 2,13.

ახლა გავიანგარიშოთ ტვირთის მედიანური მაჩვენებელი ფორმულით.

¹ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$Me = x_0 + i \frac{\frac{1}{2} \sum f_i - S_{me-1}}{f_{Me}}$$

ახლა გავიანგარიშოთ ტვირთის მედიანური მაჩვენებელი ფორმულით. მოცემულ ფორმულაში N 6 ცხრილის მონაცემების შეტანით მივიღებთ:

$$Me = 1 + 1,9 \frac{\frac{1}{2}(49111-0)}{25127} = 2,85$$

ამრიგად, ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის შუა ნაწილი გადის ფიზიკურ პირებზე ტვირთის კოეფიციენტით - 2,85.

ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის დახასიათებისათვის მოდალურ და მედიანურ მაჩვენებლებთან შედარებით უფრო დეტალურ დახასიათებას გვამღევს ტვირთის დახასიათება დეცილურ ჯგუფებად. განსაკუთრებით საინტერესოა, რა ხდება პირველ და ბოლო ჯგუფებში. ამისთვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ შემოსავლის პირველი დეცილი ფორმულით:

$$D_1 = X_{D_1 \min} + \frac{i \cdot \frac{1}{10} \sum f_1 - S_{D_1-1}}{f_{D_1}}$$

მოცემულ ფორმულაში შევიტანოთ N21 ცხრილის მონაცემები

$$D1 = 1 + 1,9 \frac{(4911 - 0)}{25127} = 1,37$$

ახლა იმავე წესით გავიანგარიშოთ მე-9 დეცილი

$$D_9 = X_{d_9} + \frac{i \cdot \frac{9}{10} \sum f_1 - S_{D_9-1}}{f_{D_9}} = 18,1 + 1,9 \cdot \frac{\left(\frac{9}{10} \cdot 49\,111\right) - 43\,419}{5692} = 18,36$$

ახლა გავიანგარიშოთ ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის კოეფიციენტი

$$K_{konc} = (D9 / d1) = 18,36 / 1,37 = 13,6 \text{ ჯერ}$$

ამრიგად, ყველაზე მაღალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10% 13,6-ჯერ აჭარბებს ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10%-ს.

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებს აქვთ საშუალო დონეზე დაბალი საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი. ამჟამად, ევროკავშირში საშუალოდ საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 38,1%-ს. ეს მაჩვენებელი განსხვავდება

ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, რომელიც იწყება მინიმუმ 10%-ით (ბულგარეთში) და მაქსიმუმ 56,6% ფიქსირდება შვედეთში.

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში, სლოვენისა და კვიპროსის გამოკლებით, ფიქსირდება საშუალოზე დაბალი განაკვეთები, ხოლო მაღალი განაკვეთებით ხასიათდება სკანდინავიის ქვეყნები. ყველაზე დაბალი განაკვეთები აღინიშნება ბულგარეთში, ჩეხეთში, ლიტვასა და რუმინეთში.

ამრიგად, როგორც მოტანილი კვლევებიდან ჩანს, დაბეგვრის პროპორციული სისტემიდან პროგრესულ სისტემაზე გადასვლა მრავალმხრივ სასარგებლოა საქართველოსთვის, იგი ჩვენს ქვეყანას საგადასახადო სისტემას ორგანიზების მხრივ დაახლოვებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემასთან და რაც მთავარია საქართველოს სინამდვილეში დაამკვიდრებს სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპს: „მდიდრები იხდიან მეტს ვიდრე ღარიბები“.

Tamar Kbiladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Appropriateness of transition from proportional taxation system to progressive taxation system in Georgia

Nowadays it is becoming increasingly important inevitability of transition from proportional taxation system to progressive taxation system. Above mentioned is very important condition for ensuring equitability for entrepreneurs in paying taxes for government and for one of the major requirements of the Association Agreement with the European Union - contribution to the harmonization of the legal framework in the field of taxation. Progressive taxation system is functioning in the majority of European Union member states. Analysis of empirical studies about tax burden of enterprises and population in Georgia have shown that there is multiple difference in heaviness and lightness of tax burden. Such differences are particularly observed in decile groups of burden. Equalization of heaviness of burden and transition to progressive system will inculcate fundamental principle of justice: Rich people pay more than poor.

კლიენტების ლოიალობის პროგრამები და შემოსავლების შეფასების საკითხები

*კლიენტების ლოიალობის პროგრამების აღირიცხვის პრაქტიკა მრავალნაირია. მაგ-
რამ მე-13 ინტერპრეტაცია მოითხოვს ასეთი გარიგებების აღირიცხვას როგორც მრავალკომ-
პონენტური გარიგებებისა. პირველადი გაყიდვებით მიღებული ანაზღაურებიდან უნდა
შეფასდეს და აღიარდეს ბონუსური ერთეულები როგორც გადავადებული შემოსავალი იმ
დრომდე, ვიდრე კომპანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებას კლიენტების მიმართ
ბონუსების მიწოდებაზე. მომავალი პერიოდის ამონაგები უნდა შეფასდეს რეალური ღი-
რებულებით.*

მარკეტინგის სტიმულირებისა და საკონკურენტო უპირატესობისათვის ეკონომიკის
ცალკეულ დარგებში ფართოდ გამოიყენება კლიენტების ლოიალობის/წახალისების პროგ-
რამები: ავიაგადაზიდვებში, საცალო ვაჭრობაში, მობილურ კავშირგაბმულობაში, სასტუმ-
როს, ჯანდაცვის და მომსახურების სხვა სფეროებში.

კომპანიები ლოიალობის პროგრამებს იყენებენ კლიენტების სტიმულირებისათვის
შემდგომში საქონლის/მომსახურების შესაძენად. კლიენტების სტიმულირება ხდება სხვა-
დასხვა წამახალისებელი ღონისძიებების შეთავაზებით. ძირითადად წახალისება ხდება
საქონლის/მომსახურების ყიდვა-გაყიდვის დროს მყიდველებისათვის ბონუსის/პრემიის
დარიცხვით (award credits – საკრედიტო პრემიები, წამახალისებელი დარიცხვები). ბონუსი
იზომება სხვადასხვა ერთეულებით („ქულები“, „პირობითი ერთეულები“, „ვამლები“,
„ღიმილები“, „საპაერო მილები“ და სხვა. შემდგომში ტექსტში ბონუსურ ერთეულად
გამოყენებული იქნება გავრცელებული ერთეული – ქულა). ბონუსური ქულები აძლევს
მყიდველებს საშუალებას შემდგომი შესყიდვების დროს ქულები გაცვალონ საქონელზე/
მომსახურებაზე, რომელსაც მიიღებენ უფასოდ ან ფასდაკლებით, პროგრამის პირობების
შესაბამისად.

ლოიალობის პროგრამები ხორციელდება სხვადასხვა ხერხებით და პირობებით: ქუ-
ლების ბონუსებზე გასაცვლელად კლიენტებისაგან მოითხოვება ქულების მინიმალური ან
გარკვეული რაოდენობის დაგროვება; ქულები შეიძლება ვრცელდებოდეს მხოლოდ გან-
საზღვრული სახეობის საქონელზე/მომსახურებაზე; ქულების მოქმედების ვადა დროში
იყოს შეზღუდული ან შეუზღუდავი; ბონუსის დარიცხვა შეიძლება იყოს მიზმიანი ცალკე-
ულ შესყიდვებთან, ან შესყიდვების განსაზღვრულ რაოდენობასთან, ასევე შესყიდვის გან-
ხორციელების პერიოდთან და სხვა.

ლოიალობის პროგრამები კომპანიამ შეიძლება განახორციელოს დამოუკიდებლად
(მაგალითად, სუპერმარკეტების ქსელი COODWILL, აფთიაქები – GPC, AVERSI, PSP, CITY
PHARMA, პარფიუმერიის მაღაზიები – ICI PARIS, VOULEZ-VOUS, ავტომომსახურება –
TEGETA MOTORS) ან მონაწილეობდეს მესამე მხარის მიერ ორგანიზებულ პროგრამებში.
ასე, მრავალი სახის და პროფილის მაღაზიის (მაგალითად, SMART, CHICCO, „ორი
ნაბიჯი“), საწვავით მოვაჭრე კომპანიის (WISSOL, SOCAR), mobiluri kavSirgabmulobis
kompaniis (GEOCELL) და აფთიაქების მიერ გაცემული ქულები ანაზღაურდება მესამე
მხარის მიერ, მაგალითად შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“-ის მიერ გამოშვებული
უნივერსალური დაგროვებადი ბარათით – UNICARD. ზოგიერთ შემთხვევაში იყენებენ

ორივე სქემას. მაგალითად, აფთიაქებს აქვთ კორპორაციული ლოიალობის პროგრამა, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ბარათებს („ზღარბი“, „მტრედი“, „ჩემი ოჯახის ბარათი“ და სხვა) და ასევე მონაწილეობენ შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“-ის პროგრამაში UNICARD-ის ბარათებით. შესაბამისად, ბონუსები გაცივმა კომპანიის საკუთარი და/ან მესამე მხარის საქონლით/მომსახურებით.

კლიენტების წახალისების პროგრამების ოპერაციების აღრიცხვის რეგულირებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტის მიერ (IFRIC) გამოცემულია მე-13 ინტერპრეტაცია „კლიენტების ლოიალობის პროგრამები“ (IFRIC 13 Customer Loyalty Programmes). ინტერპრეტაცია გამოიყენება მხოლოდ იმ ბონუსური ერთეულების მიმართ, რომელიც მყიდველებზე გაცივმა ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების შედეგების მიხედვით და არ გამოიყენება უფასოდ ვაუჩერების გავრცელების ან სხვა მსგავსი ოპერაციების მიმართ, რომელიც არ მოითხოვს პირველადი ყიდვა-გაყიდვის გარიგებებს.

პრაქტიკაში მყიდველებისათვის გაცივულ ბონუსებს განიხილავენ მარკეტინგის ხარჯად, მაშინ როდესაც IFRIC 13 მოითხოვს მათ გამიჯვნას მარკეტინგის ხარჯებისაგან. ინტერპრეტაციის თანახმად ლოიალობის პროგრამებით მყიდველებისათვის პირველადი ყიდვა-გაყიდვების ოპერაციებით მინიჭებული ბონუსური ქულები კომპანიისათვის არის მისი საქმიანობის კომერციული ოპერაციების ნაწილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბონუსური ერთეული არის საქონლის/მომსახურების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დროს მყიდველის მიერ ანაზღაურებული უფლება მომავალში ბონუსის მიღებაზე. წახალისების პროგრამები, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნებისათვის, განხილულ უნდა იქნეს მყიდველის პოზიციიდან, რომელიც ერთდროულად ყიდულობს ორ პოზიციას – საქონელს/მომსახურებას და მომავალ შენაძენზე ფასდაკლების უფლებას¹. ამდენად, ბონუსური/საპრიზო ქულები არის კომერციული ოპერაციის ცალკე იდენტიფიცირებადი ელემენტი.

ინტერპრეტაცია მოითხოვს პირველადი ყიდვა-გაყიდვის (კომერციული ოპერაციის) შედეგად მყიდველებისაგან მიღებული ანაზღაურების დაყოფას ორ კომპონენტად – საქონლის/მომსახურების თანხად და ბონუსურ ერთეულებად. პირველი კომპონენტი უნდა აღიარდეს მიმდინარე პერიოდის ამონაგებად, ხოლო მეორე გადავადებულ ვალდებულებად, რომლის ამონაგებად აღიარება უნდა გადავადდეს იმ დრომდე, ვიდრე კომპანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

ამდენად, ლოიალური პროგრამების განხორციელების დროს ადგილი აქვს კომპონენტურ შემოსავალს, კერძოდ – მიმდინარე პერიოდის ამონაგებს და გადავადებულ შემოსავალს (ბონუსურ ერთეულებს).

ამონაგების აღიარების კრიტერიუმები კომპანიამ უნდა გამოიყენოს ყველა ოპერაციისათვის განცალკევებულად. ხოლო გარკვეულ ვითარებაში სწორი აღრიცხვისათვის საჭიროა მოხდეს მათი მორგება და მისადაგება ინდივიდუალური გარიგების ცალკეულ იდენტიფიცირებად კომპონენტზე. ვინაიდან მყიდველი პირველადი გაყიდვის დროს (შემენის მომენტში) ბონუსური ერთეულებით ვერ სარგებლობს, კომპანიამ პირველადი გაყიდვები კომპონენტებად უნდა გამიჯნოს და გარიგების ცალკეული კომპონენტისათვის გამოიყენოს მისი შესაბამისი აღიარების კრიტერიუმები. ამრიგად, ბონუსური ერთეულების იდენტიფიკაცია უნდა მოხდეს გაყიდული საქონლის/მომსახურებისაგან განცალკევებულად.

კომპონენტური შემოსავალი წარმოქმნის კომპონენტების შეფასების პრობლემებს. პრობლემა მდგომარეობს იმაში თუ როგორ უნდა შეფასდეს მომავალში გასაცემი პოტენციური ბონუსების ვალდებულებები, რომელიც გაცივმა საქონლის/მომსახურების სახით უფასოდ ან ფასდაკლებით.

¹ IFRIC 13 Customer Loyalty Programmes. PricewaterhouseCoopers. p.3.

ამ მიზნით უმნიშვნელოვანესია სწორად განისაზღვროს და დადგინდეს:

- მიღებული ანაზღაურების რა ნაწილი მიეკუთვნება ბონუსურ ერთეულებს, ანუ როგორ უნდა შეფასდეს გადავადებული შემოსავალი;
- როდის უნდა აღიარდეს გადავადებული შემოსავალი ამონაგებად;
- როგორ უნდა შეფასდეს გადავადებული ამონაგები, როდესაც ბონუსი გაიცემა მესამე მხარის მიერ.

როგორც უკვე აღინიშნა, მე-13 ინტერპრეტაციის თანახმად (IFRIC 13) ბონუსები საწარმოს საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯი კი არა, არამედ ის საქონელი/მომსახურებაა, რომელსაც მყიდველს კომპანია მომავალში მიაწოდებს. ინტერპრეტაცია მოითხოვს ბონუსურ ერთეულებზე მისაკუთვნიებული ანაზღაურების შეფასებას რეალური ღირებულებით.

ბონუსური ერთეულები არის განცალკევებადი იდენტიფიცირებადი საქონელი/მომსახურება, რომელიც მყიდველის მიერ ირიბად არის ანაზღაურებული. ამიტომ ბონუსების განაღდებას ვალდებულება ფასს 13-ის – „შეფასება რეალური ღირებულებით“, თანახმად, უნდა შეფასდეს მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების რეალური ღირებულებით. უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში შეფასება უნდა განხორციელდეს შეფასების სხვა მეთოდებით და გასჯის საფუძველზე. მაგალითად, როდესაც ბონუსი გაიცემა მესამე მხარის მიერ და საწარმო უხდის მას ყოველი ბონუსური ქულისათვის, საწარმოს შეუძლია ბონუსური ქულების რეალური ღირებულება შეაფასოს მესამე მხარისათვის გადასახდელი თანხისა და მოგების გონივრული მარჟის ჯამის ოდენობით. ასევე, ბონუსური ქულების რეალური ღირებულებით შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ საქონლის ღირებულება, თუ რისი შემენაა შესაძლებელი ამ ქულებით.

ბონუსური ერთეულის შეფასების მეთოდი უნდა დადგინდეს კომპანიის მენეჯმენტით, როგორც მისი სააღრიცხვო პოლიტიკის ელემენტი. მაგალითად, თუ მენეჯმენტით: 100ფე¹ შენაძენზე გაიცემა 70 ბონუსური ქულა, მაშინ 1ფე შენაძენზე გაიცემა 0.7 ბონუსური ქულა (70 ქულა/100ფე); 1,000 ქულაზე გაითვალისწინება 50ფე გასაყიდი ფასის საქონელი, მაშინ **ერთი ქულის რეალური ღირებულებაა** 0.05ფე (50ფე/1,000 ქულა), ხოლო 100 ქულის – 5ფე. თუ მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 150ფე გაყიდვები, მაშინ გაიცემა 105 ქულა (150*0.7), ხოლო **გაცემული ქულების რეალური ღირებულება** იქნება 5.25ფე [(105/1,000 * 50), ან (105*0.05)].

ამავდროულად, ინტერპრეტაცია იძლევა რეკომენდაციას, რომ ბონუსური ქულების და შესაბამისად, გადავადებული შემოსავლების რეალური ღირებულების განსაზღვრისას ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ იქნეს ბონუსური ქულების ის ნაწილი, რომელიც არასოდეს იქნება განაღებული მყიდველების მიერ.

მყიდველების მიერ არ ხდება ერთდროულად ყველა ბონუსური ქულების გაცვლა საქონელზე/მომსახურებაზე, ხოლო ზოგიერთი მყიდველი საერთოდ არასოდეს არ იყენებს ქულებს. მაგალითად, თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ ქულების განაღდებას პერიოდი სამი წელია და მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ პირველ წელს ქულების მთლიანი მოცულობიდან (105) განაღებული იქნება 85 ქულა, მაშინ ქულების განაღდებას განაკვეთი იქნება 0.81 (85/105), ხოლო **მოსალოდნელი განაღდებას რეალური ღირებულება (გადავადებული შემოსავალი)** იქნება 4.25ფე (5.25ფე * 0.81, ან 5.25ფე * 85/105).

ამონაგების აღიარება უნდა მოხდეს ფაქტობრივად განაღებული ბონუსური ქულებით. მაგალითად, თუ პირველი წლის ბოლომდე განაღებულ იქნა 70 ქულა და ცნობილია, რომ ერთი ქულის რეალური ღირებულებაა 0.05ფე, მაშინ პერიოდის შემოსავლად აღიარდება 3.5ფე [(70 ქულა * 0.05ფე), ან (70/105 * 5.25ფე)]. მეორე წელს განაღ-

¹ ფულადი ერთეული.

დებულ იქნა 10 ქულა, ანუ ორი წლის განმავლობაში ამ დროისათვის სულ განადღებულია 80 ქულა. თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ მენეჯმენტი ვარაუდობს რომ მესამე წელს განადღებული იქნება დარჩენილი 5 ქულა, მაშინ მეორე წლისათვის განადღებული ქულების რეალური ღირებულება არის 4ფე [(80 * 0.05), ან (80/105 * 5ფე)]. შესაბამისად, მეორე წლის ამონაგები იქნება 0.5ფე (4.0 – 3.5).

ვალდებულების შესრულება (ბონუსების გაცემა) შესაძლებელია დამოუკიდებლად ან მესამე მხარის მიერ. როდესაც საწარმო თავად არის ლოიალობის პროგრამის ოპერატორი, ანუ დამოუკიდებლად ახორციელებს პროგრამას, ამონაგების თანხა უნდა აღიარდეს განადღებული ბონუსური ერთეულების რაოდენობის პროპორციულად დარიცხული ერთეულების საერთო რაოდენობაში.

როდესაც პროგრამის ოპერატორი მესამე მხარეა, ანუ ბონუსები გაიცემა მესამე მხარის მიერ, უნდა დადგინდეს თუ ვის სახელზე დებულობს საწარმო ბონუსის ანაზღაურებას მყიდველებისაგან – საკუთარი თუ აგენტის.

როდესაც კომპანია (აგენტი) საქონლის/მომსახურების გაყიდვის დროს მყიდველები-საგან დებულობს ბონუსის ქულების ანაზღაურებას პროგრამის ოპერატორის სახელზე, მას წარმოექმნება ვალდებულება მესამე მხარის მიმართ. მაგალითად, თუ ერთი ქულის ნომინალური ღირებულებაა 1ფე, ყოველ გაცემულ ქულაზე გამყიდველი მესამე მხარეს გადაუხდის 0.98ფე, ხოლო თვითონ გამოიმუშავებს 0.02ფე საკომისიოს. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს აქვს მხოლოდ ერთი ვალდებულება – მესამე მხარისათვის ქულების ანაზღაურების გადახდა და მას არ გააჩნია ვალდებულება მყიდველების წინაშე.

როდესაც მყიდველს აქვს არჩევანის ალტერნატივა – მოსთხოვოს ბონუსური ერთეულების განადღება კომპანიას ან პროგრამის ოპერატორს, კომპანიამ მონაგები უნდა აღიაროს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მყიდველი ოპერატორს მოსთხოვს განადღებას.

ფასს-ის საბჭო (FASB) დიდ ყურადღებას ანიჭებს ამონაგების აღიარების საკითხებს კლიენტებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამიტომ საბჭომ შეიმუშავა ამონაგების აღიარების პრინციპები კლიენტებთან დადებული გარიგებების ანალიზის შესაბამისად. ეს პრინციპები საფუძვლად დაედო ახალ ფასს 15-ს – „ამონაგების აღიარება“ (Revenue Recognition), რომელიც ძალაში შევა 2017 წლიდან. სტანდარტის მიზანია ამონაგების: აღიარებაში არსებული წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების დაძლევა; აღიარების პრინციპების დაზუსტება და მათი მკაფიოდ ჩამოყალიბება; აღიარების ერთიანი მოდელის შექმნა. ახალი ფასს-ი ჩაანაცვლებს ბასს 18, 11, ინტერპრეტაციებს 13,15,18,31.

ლიტერატურა:

1. IFRIC 13 Customer Loyalty Programmes. <http://www.ifrs.org/Current-Projects/IFRIC-Projects/IFRIC-13>.
2. IFRIC 13 Customer Loyalty Programmes. Deloitte. <http://www.iasplus.com/en/standards/ifric/ifric13>.
3. IFRS Newsletter Customer Loyalty Programmes. Deloitte. <http://www.deloitte>.
4. IFRIC 13 Customer Loyalty Programmes. PricewaterhouseCoopers. <http://www.pwc.com/gx/en>.
5. HK(IFRIC) Interpretation 13, Customer loyalty programmes. KPMG. <https://www.kpmg.com>.
6. IFRIC 13 Customer Loyalty Programmes. BDO. <http://www.bdointernational.com>.
7. IFRS 15 Revenue Recognition <http://www.ifrs.org/current-projects/iasb-projects>.

Nadezhda Kvatashidze

Academic Doctor of Economics

Iv. Javakishvili Tbilisi State University

Customer loyalty programs and evaluation of Revenue

Accounting practice for customer loyalty plans has been diverse. But the IFRIC 13 has now clarified that these arrangements should be accounted for as multiple element arrangements. Of the consideration received in respect of the initial sale should be allocated to the award credits and recognized as deferred revenue until the entity fulfils its obligations to deliver awards to customers. The amount of revenue deferred would be measured by reference to the fair value of the award credits.

ლია კოზმანაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

„აუდიტორული ფირმა „აუდიტ-ლოჯიკ“-ის დირექტორი

გადამხდელთა ინტერესები და საგადასახადო სისტემაში არსებული ზოგიერთი პრობლემა

წინამდებარე სტატიაში განხილულია ზოგადად საქართველოს საგადასახადო სისტემაში და კონკრეტულად საქართველოს საგადასახადო კოდექსში არსებული პრობლემებიდან რამდენიმე. ზემოთ აღნიშნული პრობლემები საგადასახადო სისტემაში არსებულ სხვა პრობლემებთან ერთად აფერხებს მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში. ამიტომ, სასურველია, საგადასახადო კოდექსი, ისევე როგორც მთლიანად საგადასახადო სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან. რამდენადაც საგადასახადო სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი.

როგორც ცნობილია, პოსტსაბჭოურ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში საგადასახადო სისტემას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საგადასახადო სისტემას განსაკუთრებული როლი ენიჭება მთლიანად სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის; მხოლოდ სრულყოფილმა და ეფექტურმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და მოქალაქეთა დასაქმებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

საგადასახადო სისტემის ძირითადი დოკუმენტი არის საგადასახადო კოდექსი, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად არეგულირებს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს და სხვა. მიუხედავად „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში საგადასახადო სისტემაში გატარებული რეფორმებისა და უშუალოდ საგადასახადო კოდექსში შეტანილი უამრავი ცვლილებისა, რომლებიც საბოლოო ჯამში უნდა ყოფილიყო მეწარმეობის, ბიზნესისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული, რეალურად ამ რეფორმების გატარებას აღნიშნულ სფეროებზე ფაქტიურად რაიმე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა არ მოუხდენია.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო სისტემის ძირითადი დოკუმენტი – საგადასახადო კოდექსი 2003 წლის შემდეგ ოფიციალურად ორჯერ შეიცვალა: 2005 წლის 1 იანვრისთვის და 2011 წლის 1 იანვრისთვის; 2005 წლის 1 იანვრისთვის ამოქმედებულ კოდექსში 2011 წლის 1 იანვრამდე 66-ჯერ იყო შეტანილი ცვლილება და ზუსტად მაშინ, როდესაც შეტანილი ცვლილებების შედეგად „ყველაზე სრულყოფილი“ სახით უნდა ყოფილიყო იგი და გადამხდელსაც საგადასახადო ტვირთი უნდა შემსუბუქებოდათ (2005 წლის 1 იანვრისთვის ამოქმედებული კოდექსი მასში 2008 წლის 26 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად ითვალისწინებდა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებას ეტაპობრივად – ნაწილობრივ 2011 წლის 1 იანვრიდან და შემდეგ 2012 წლის 1 იანვრიდან), ბევრი არ უფიქრიათ „კანონშემოქმედებს“ და 2011 წლის 1 იანვრიდან სამოქმედოდ შემოიღეს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც მოხდა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირების გადავადება 2014 წლის 1 იანვრამდე. უფრო სწორედ, ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო განაკვეთის შემცირება: 2013 წლის 1 იანვრიდან

2014 წლის 1 იანვრამდე 20% შემცირდებოდა 18%-მდე, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი უნდა გამხდარიყო 15%. თუმცა, საგადასახადო კოდექსში 2012 წლის 20 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით ზემოთ აღნიშნული პუნქტები, რომლებიც საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებას ითვალისწინებდა, საერთოდ ამოიღეს, რითაც სახელმწიფომ, ფაქტობრივად, მოატყუა გადამხდელები.

საზოგადოდ, საქართველოში როგორც 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსი, ასევე 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული და დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსიც ისეა შედგენილი, რომ მუდმივად აძლევდა საშუალებას სახელმწიფოს – საგადასახადო სამსახურს, ნებისმიერ დროს ნებისმიერი გადამხდელისთვის ნებისმიერი ოდენობის გადასახადისა და სანქცია-საურავების თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრებინა. ამასთანავე მტკიცებულების ტვირთი ყოველთვის გადამხდელზე იყო. აღნიშნულ პირობებში, გადამხდელებისგან გადასახდელად დაკისრებული თანხის ამოღების მეთოდები, თავის მხრივ, დაფუძნებული იყო „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპზე. ამ პირობებში ფაქტიურად სახელმწიფოსთვის მთავარი იყო მეწარმეს გადაეხადა გადასახდელად დაკისრებული თანხა, ხოლო შემდეგ გააგრძელებდა ის ფუნქციონირებას თუ არა, ამ საკითხისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება უკვე აღარ ჩანდა საერთოდ.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსი, სრულყოფის მიზნით მასში შეტანილი უამრავი ცვლილებების მიუხედავად, შედგენილია მეწარმეთათვის გაუგებარ ენაზე. ამასთანავე, ბევრი მუხლი იკითხება ორაზროვნად. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ძალიან ხშირად ხდება საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა, ისე, რომ ცვლილება შეტანის მომენტისთანავე შედის ძალაში, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია საახალწლოდ განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ყოველ ახალ წელს ახალ-ახალი არცთუ სასიამოვნო „სიურპრიზებით“ ხვდებოდნენ გადამხდელები. ყოველივე ზემოაღნიშნული კი საბოლოო ჯამში განაპირობებს არასტაბილურ სამეწარმეო გარემოს. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ საგადასახადო კოდექსის თითქმის ყველა მუხლი დამატებით ითვალისწინებს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესის, განაკვეთების, ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოყენებას, რომლებშიც ასევე ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა, რაც აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს სამეწარმეო გარემოზე.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ 2012 წლის ზაფხულში გადამხდელთა მიმართ განხორციელებული კიდევ ერთი „ნოვაცია“, რომელიც შემდეგში გამოიხატა: 11 ივლისს თვის დეკლარაციების ჩაბარების ვადის ამოწურვამდე 4 დღით ადრე გადამხდელთა ბარათებზე დაიდო შეტყობინება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის #228 ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად, გადამხდელებს ევალებოდათ საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში გადასახადის დაკავების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. შეტყობინებაში აღნიშნული იყო ასევე, რომ გამონაკლისის სახით ივნისის თვის განაცემთა შესახებ ინფორმაციაში უნდა ასახულიყო 2012 წლის იანვარ-ივნისის თვის ჩათვლით გაცემული და დაკავებული თანხების ჯამი. იმავე შეტყობინებაში დამატებითი ინფორმაციის სახით მოცემული იყო აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ინფორმაციის სიდიდიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე, დადგენილ ვადაში ანუ 2012 წლის 15 ივლისამდე გადამხდელებს შეეძლოთ გადაეგზავნათ მხოლოდ ივნისის თვეში გაცემული და დაკავებული თანხების შესახებ ინფორმაცია და 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დაეზუსტებინათ ივნისის თვის განაცემთა შესახებ ინფორმაცია და აესახათ ექვსი თვის განმავლობაში გაცემული თანხების ჯამი. საზოგადოდ აღსანიშნავია, რომ „საანგარიშო წლის განაცემთა შესახებ ინფორმაცია“ წლების განმავლობაში წარედგინებოდა საგადასახადო ორგანოს (2005 წლის 1 იანვრისთვის ამოქმედებული კოდექსის

218-ე მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი) [1, გვ. 312]. საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 დღის ვადაში და მას ძირითადად ჰქონდა ის დატვირთვა, რომ წლის განმავლობაში 40000 ლარზე მეტი შემოსავლის მიმღები პირების მიერ ფიზიკური პირის ქონების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შესრულების კონტროლის საშუალებას იძლეოდა. წლის შუა პერიოდში – 2012 წლის 9 ივლისის საქართველოს ფინანსთა მინისტრის #228 ბრძანებით მოთხოვნილი – საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის ყოველთვიური წარდგენით საგადასახადო ორგანოში, სავარაუდოდ წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნულ ინფორმაციაში მოცემულმა მონაცემებმა სხვა „დატვირთვა“ შეიძინა, შესაბამისად, მიზანშეწონილი და სრულიად კანონზომიერი იქნებოდა არჩევნების ლოგიკური დასასრულით ჩატარების შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ფაქტიურად არაკანონიერი ბრძანების გაუქმება და „საანგარიშო წლის განაცემთა შესახებ ინფორმაციის“ წარდგენის ვალდებულების „ძველ ვადებში“ დაბრუნება. მითუმეტეს, რომ ამ ბრძანებამ როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე გადამხდელთა დაჯარიმების კუთხითაც თავისი „მისია“ ბრწყინვალედ შეასრულა და ბრძანების გამოცემის პარალელურად რამდენიმე არასწორი შეტყობინების დადებით ერთდროულად „რამდენიმე კურდღელი დააჭერინა“ მის „შემოქმედებს“, რაც შემდეგში გამოიხატა:

გადამხდელთა დიდი ნაწილი ჩვეულებრივად, ზაფხულში, შეძლებისდაგვარად ცდილობს სამუშაო ადგილიდან გასვლას და შესაბამისად, დეკლარაციას საანგარიშო თვის დამთავრებისთანავე გზავნის, რის შემდეგაც უკეთეს შემთხვევაში მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო უარეს შემთხვევაში (თუ ზაფხულის პერიოდში შევბუღებაში ჰყავს გაშვებული თანამშრომლები ან სეზონური სამუშაოებითაა დაკავებული) ბარათზე საერთოდ აღარ შედის თვეების განმავლობაში (იცის რა, რომ მოქმედი კანონმდებლობით არავითარი საგადასახადო ვალდებულება არ ეკისრება), ან იმ შემთხვევისთვის, თუ გადამხდელს მხოლოდ იანვარ-მაისის თვეებში ჰქონდა გაცემული და დეკლარირებული ხელფასი და იცოდა რომ მომდევნო წლის იანვრის 30 რიცხვამდე ჰქონდა „საანგარიშო წლის განაცემთა შესახებ ინფორმაციის“ წარდგენის ვადა; ზემოთ აღწერილის მსგავსი სიტუაციის მქონე ყველა გადამხდელზე ივლისის 15 რიცხვისთვის გავრცელდა ჯარიმა;

მხოლოდ წინა აზვაცში აღნიშნულით არ შემოფარგლულა „ნოვაციის“ მასშტაბი, გადამხდელთა ბარათებზე 2012 წლის 11 ივლისს დადებული შეტყობინებით 2012 წლის იანვარ-ივნისის თვის ჩათვლით გაცემული და დაკავებული თანხების მიხედვით განაცემთა შესახებ ინფორმაციის დაზუსტებული მონაცემების საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენის ბოლო თარიღად განსაზღვრული იყო 30 სექტემბერი; ამ შეტყობინების დადებიდან 10 დღის შემდეგ შემოსავლების სამსახურის მიერ დაიდო ახალი შეტყობინება, სადაც მოცემული იყო შემდეგი ტექსტი: „თუ თქვენს მიერ, დადგენილ ვადაში (მ/წლის 15 ივლისამდე) წარდგენილ იქნა მხოლოდ ივნისის თვეში გაცემული და დაკავებული თანხების შესახებ მონაცემები, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ჩათვლით უნდა წარადგინოთ ექვსი თვის (იანვარი-ივნისი) განაცემების და დაკავებული თანხების შესახებ ინფორმაცია, ივნისის თვის განგარიშების დაზუსტებული ფორმით“. შემოსავლების სამსახურის მიერ აღნიშნული შინაარსის მქონე შეტყობინების დადება იყო გადამხდელთა შეგნებულად შეცდომაში შეყვანის გზით მათი დაჯარიმების მცდელობა. შემოსავლების სამსახური 11 ივლისს აფრთხილებს გადამხდელებს მ/წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაქვთ დაზუსტებული ფორმის წარდგენის უფლებათა და იგივე შემოსავლების სამსახური იმავე თვის 26 რიცხვში ცვლის დაზუსტებული ფორმის წარდგენის რამდენიმე დღის წინ გამოცხადებულ თარიღს და განმეორებით აფრთხილებს გადამხდელებს 15 აგვისტოს ჩათვლით უნდა წარადგინოთ – მსგავსი მანიპულაციები დამახასიათებელია პოსტსაბჭოური პერი-

ოდის საგადასახადო სისტემისათვის და მიუღებელი და შეუთავსებელია ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობებისა და მისი შესაბამისი საგადასახადო სისტემისათვის.

ქართულ საგადასახადო სინამდვილეში დღემდე არაცივილიზებული ფორმითაა წარმოდგენილი ასევე ფიზიკურ პირთა მიწაზე ქონების გადასახადი. რაც იმაში გამოიხატება, რომ საკითხის „ბუნდოვანობის“ გარდა, ხშირ შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ დეკლარაციით გადასახდელი თანხა იყო და არის ძალიან მცირე, ხოლო დეკლარაციის წარუდგენლობისთვის დაკისრებული ჯარიმა გადასახადთან შედარებით ძალიან დიდია. მით უმეტეს, რომ აღნიშნული გადასახადი დეკლარირების მოთხოვნითურთ ხშირ შემთხვევაში ეხებოდა და ახლაც ეხება სოფლად მცხოვრებ ფიზიკურ პირებსაც, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ გადასახადის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ძველი და ახალი საქართველოს საგადასახადო კოდექსითაც მოთხოვნილია ფიზიკურ პირთა მიერ დაბეგვრის ობიექტზე (ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებულ ან იჯარით ან სხვა ფორმით აღებულ მიწაზე) დეკლარაციის წარდგენა, ხოლო დეკლარაციის წარუდგენლობისთვის იმავე საგადასახადო კოდექსით ჯარიმა 2013 წლის 1 იანვრამდე განსაზღვრული იყო მინიმალურის პრინციპით 200 ლარის ოდენობით, ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან – მინიმალურის პრინციპით 50 ლარის ოდენობით და ეს მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურების მიერ თითოეულ ფიზიკურ პირზე რიცხული დეკლარირებისთვის საჭირო დაბეგვრის ობიექტის შესახებ სრული ინფორმაცია წარედგინებოდა და წარედგინება საგადასახადო ორგანოს. შესაბამისად, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ მისი დეკლარირება. მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხშირ შემთხვევაში დეკლარაციით გადასახდელი თანხა იყო ძალიან მცირე და დეკლარაციის წარუდგენლობისთვის დაკისრებული ჯარიმა რამოდენიმე ათეულჯერ და ზოგჯერ მეტიც აღემატებოდა გადასახადის თანხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შემოღების ნაცვლად საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელთათვის მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე ქონების გადასახადის თანხის შესახებ ცივილიზებული ფორმით საგადასახადო მოთხოვნის გაგზავნა გადასახადის გადახდის მიზნით, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

საგადასახადო სისტემაში ბევრი პრობლემა არსებობს და მათი მოკლე დროში გადაწყვეტა ძნელი იქნება, მაგრამ ის პატარ-პატარა პრობლემები, რომლებიც ზედაპირზე დევს და სერიოზული ჩაღრმავების გარეშეც თვალსაჩინოა, თუმცა ამავე დროს „ობობას ქსელივითაა“ გაბმული და თითქმის ყველა ოჯახს ეხება და რბილად რომ ვთქვათ, „დისკომფორტს“ უქმნის, მარტივად – ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეიძლება გადაიჭრას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ დღეისათვის შესაძლებელია ტექსტში მოყვანილი პრობლემების მარტივად გადაჭრა, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2012 წლის 9 ივლისს გამოცემული '228 ბრძანების – საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შესახებ – გაუქმება, მით უმეტეს, რომ იგივე მონაცემები, რაც ამ „ინფორმაციაში“ იწერება, საგადასახადო ორგანოს ისედაც წარედგინება ყოველთვიურად ჯამური თანხების მიხედვით „გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის“ სახით, იგივე შეიძლება ითქვას ასევე ფიზიკურ პირთა მიწაზე ქონების გადასახადის მიმართაც.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კოდიფიცირებული ტექსტი 2010 წლის 25 იანვრის მდგომარეობით. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „მერმისი-2005“, 2010.

Lia Kozmanashvili

Academic Doctor of Economics

“Audit Logic” Ltd, Director

Taxpayers' interests and some of the problems with the current tax system

The article discusses some of the challenges Georgia Taxation System, and more particularly Georgia Tax code faces. The above mentioned issues together with other challenges existing in Taxation System hinders industry development in the country. It would be efficient if Tax code and the whole Taxation system is constructed in accordance to the European standards. However The Taxation system is a powerful tool to impact country's economy.

ბულალტრული აღრიცხვის ფორმების განვითარების ისტორია

საზოგადოების განვითარების მრავალ საუკუნოვანი დროის განმავლობაში ვითარდებოდა აღრიცხვაც. ჩამოყალიბდა და განვითარდა მისი მრავალი ფორმა. როგორც ისტორიულად ცნობილია, აღრიცხვის თავდაპირველ ფორმას წარმოადგენდა დავთრული ფორმა. ამ ფორმის გამოყენების შედეგად თანდათან განვითარდა მისი მრავალი სახეობა: ვენეციური ანუ ძველი იტალიური, ახალი იტალიური, ე.წ. „ამერიკული“, გერმანული, ფრანგული, ინტეგრალური. აღრიცხვის ფორმებზე გავლენას ახდენდა ეკონომიკური პირობები და გარემოება.

ნატურალური ხასიათის ურთიერთობისას, სასაქონლო-ფულად ურთიერთობას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამიტომ აღრიცხვაც მისი დონისა იყო. შემდგომ როცა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებამ გააფართოვა წარმოება, განავითარა საწარმოო ფულადი ურთიერთობები, წარმოიშვა ნაციონალური ბაზრები და გააფართოვა ვაჭრობა. ყოველივე ამან განაპირობა ორადი ჩაწერის სისტემა და შესაბამისად, ორადი ბულალტერიის წარმოშობა. ორადი ჩაწერის სისტემა თანდათან ჩნდება XII-XV საუკუნეში, ჩრდილოეთ იტალიის ზოგიერთ სავაჭრო ცენტრებში.

ორადი ბულალტერია ლიტერატურულად პირველად გააშუქა იტალიელმა მეცნიერმა ბენედიტო კოტრულმა წიგნში „ვაჭრობა და პატიოსანი ვაჭრობის შესახებ“ (1458 წელი) სტამბური წესით გამოიცა 1573 წელს ვენეციაში.

ორადი ბულალტერიის საკითხში დიდი წვლილი მიუძღვნის ცნობილ იტალიელ მათემატიკოსს ლუკა პაჩოლის შრომას „არითმეტიკის, გეომეტრიის, პროპორციებისა და შეფარდებათა ურთიერთობა, რომელიც გამოიცა ვენეციაში 1494 წელს, მისი 12 ტრაქტატიდან მე-11 ტრაქტატი ეხება „ანგარიშებსა და ჩანაწერებს, სადაც იგი ეხება ანგარიშსწორების პირველ ფორმას – ორადი ბულალტერიის წარმოების ვენეციური ანუ ძველი იტალიური წერის აღწერას.

ამ ფორმის დროს ორადი ჩაწერისათვის გამოიყენებოდა სამი დავთარი: „ერთს ეწოდებოდა მემორიალი, მეორეს – ჟურნალი, მესამეს – რვეული“ (შემდგომ მას მთავარ დავთარს უწოდებენ).

მემორიალი არის შავი სამახსოვრო (დასამახსოვრებელი) წიგნი, რომელშიც წერდა არა მარტო პატრონი, არამედ თუ შეუძლიათ, მისი დამხმარეები, მოსწავლეები და ნოქრები ე.ი ახდენენ შესრულებული ოპერაციების დაწვრილებით აღწერას.

ჟურნალში (რომელიც შენი საიდუმლო დავთარია), შეგიძლია დაწვრილებით ჩაწერო ყოველივე, რასაც შენს საკუთრებად თვლი, უძრავი და მოძრავი ქონების სახით“. იგი განკუთვნილი იყო ქრონოლოგიური ჩაწერისათვის მაკორესპონდენტული ანგარიშებად დაყოფით, რომელიც ცვლიდა პირველად დოცუმენტს.

დავთრული ფორმით აღრიცხვის ლიტერატურული დამუშავება, მისი სტამბური წესით გაფორმება და დავთრებში სამეურნეო ოპერაციების ორადი წერით ასახვა იწყება მე-13-14 საუკუნეების შუა პერიოდიდან.

რვეული (მთავარი დავთარი) მოიცავდა ყველა ანგარიშს, რომელიც გამოიყენებოდა ვაჭრობის ბურალტრულ აღრიცხვაში. ანგარიშებში გამოყავდათ ნაშთები, რომლის საფუძველზეც ადგენდნენ ბალანსს. აღნიშნული ფორმა გაბატონებული იყო XV-XVI საუკუნეებში.

დავთრული ფორმა განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო შემდეგ ინტენსიურად იცვლება იგი ბარათული ფორმით.

აღრიცხვის ფორმების განვითარების შესასწავლად საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პირობები და გარემოება, რომელშიც იქნებოდა და მოქმედებდა აღრიცხვის ესა თუ ის ფორმა.

როგორც ცნობილია, გვიანფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელია ნატურალური ხასიათი. აქ სასაქონლო-ფულად ურთიერთობას მეორე ხარისხოვანი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს, რის გამო, ბუნებრივია აღრიცხვაც წარმოების არსებული დონის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

საწარმო ძალთა შემდგომმა განვითარებამ მომდევნო, შუა საუკუნეების პერიოდში მნიშვნელოვნად გააფართოვა სასაქონლო წარმოება, განავითარა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, რამაც წარმოშვა ნაციონალური ბაზრები და გააფართოვა საშინაო ვაჭრობა. ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა ხმელთაშუა ზღვის ქალაქებისთვის (ვენეცია, გენუა, ფლორენცია და სხვა), სადაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ადრე დაიწყო კაპიტალის დაგროვების პროცესი და ჩაისახა კაპიტალისტური წარმოება.

ვენეციური (ძველი იტალიური) ფორმა გაბატონებული ფორმა იყო მე-15 და მე-16 საუკუნეებში, ხოლო რუსეთში იგი გამოიყენებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე.

კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ, აღრიცხვის წინაშე ახალი მოთხოვნები წამოაყენა, შემოდის უფრო რაციონალური ფორმები. XVII საუკუნის ბოლოს იტალიაში გამოჩნდა უფრო გაუმჯობესებული, ახალი იტალიური ფორმა. ძველისაგან განსხვავებით მასში სინთეზური და ანალიზური ანგარიშები დაყოფილად იქნა წარმოდგენილი, ამით ბულალტერია გახდა უფრო ოპერატიული და მოქნილი.

აღრიცხვის ამ ფორმის დროს გამოიყენებოდა შემდეგი დავთრები: ჟურნალი-ქრონოლოგიური აღრიცხვის ძირითადი დავთარი, მთავარი დავთარი – სინთეზური აღრიცხვის ძირითადი დავთარი, დამხმარე დავთრები (სასაქონლო დავთარი, თამასუქების დავთარი, ანგარიშვალდებული პირების დავთარი, უძრავი და მოძრავი ქონების დავთარი და სხვა). ყოველი ოპერაცია რეგისტრირდებოდა ჟურნალში, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დავთრებში. მთავარ და დამხმარე დავთრებში ჩანაწერებიდან ყოველთვიურად ადგენდნენ სინთეზური და ანალიზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისებს, ახდენდნენ მათ ურთიერთშედარებას და სინთეზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისის მონაცემებს იყენებდნენ სალდოების ბალანსის შესადგენად.

რუსეთში იგი გამოიყენებოდა ოქტომბრის რევოლუციამდე, ხოლო გაუმჯობესებული სახით-ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც. მე-18 საუკუნეში, წარმოების შემდგომი განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა აღრიცხვის სამუშაოთა მოცულობა, გაიზარდა სამეურნეო ოპერაციების ნაირსახეობა, რამაც განაპირობა ქრონოლოგიური აღრიცხვის დიფერენცირება ცალკეულ ჟურნალებში.

ქრონოლოგიური აღრიცხვის ჟურნალი გაიყო ორ რეგისტრად: სალაროს ჟურნალი და მემორიალი.

სალაროს ჟურნალში (სალაროს ანგარიშის ოპერაციების სინთეზური აღრიცხვის რეგისტრი), მაკორესპონდებული ანგარიშების ჩვენებით, ჩაწერა წარმოებდა ყოველდღიურად და პირველადი დოკუმენტების საფუძველზე.

მემორიალში ქრონოლოგიური წესით აისახებოდა დანარჩენი (ყველა სამეურნეო ოპერაცია). აღრიცხვის ამ ფორმამ მიიღო სახელწოდება განვითარებული იტალიური ფორმა, რომელსაც რუსეთში იყენებდნენ მე-19 საუკუნეში.

ზემოთ აღნიშნული ფორმებისგან გერმანული ფორმა იმით განსხვავდება, რომ აქ მოხდა სრულყოფა სამეურნეო ოპერაციების დასაჯგუფებლად სინთეზურ ანგარიშებში ასახვის თვალსაზრისით, რამაც დიდად შეამცირა ჩანაწერთა რიცხვი ან ერთმანეთისაგან მტკიცედ გამოიჯნა სალაროს და მემორიალურ ჟურნალში ჩასაწერი ოპერაციები.

აღნიშნულ რეგისტრებში ჩანაწერებიდან ადგენდნენ ამონაკრებებს, რომლის მონაცემები შეჰქონდათ კრებსით (საერთო) ჟურნალში, ხოლო აქედან თვიური ჯამები გადაჰქონდათ მთავარ დავთარში. ამგვარად, ანგარიშსწორების ამ ფორმისათვის დამახასიათებელი იყო ოპერაციების ყოველდღიური ჩაწერა სალაროს დავთარში, მემორიალში და დამხმარე დავთრებში, ხოლო მთავარ დავთარში გადაჰქონდათ მხოლოდ თვიური ბრუნვები.

ანგარიშსწორების ფრანგული ანუ მრავალდავთარიანი ფორმა თავიდან გამოიყენებოდა მსხვილ ბანკებში, ქრონოლოგიური აღრიცხვა წარმოებდა მრავალ დავთარში, სადაც მთლიანად აისახებოდა ყველა სამეურნეო ოპერაცია.

სპეციალურ ჟურნალებში იწერებოდა სალაროს, წარმოების, საქონლის, ყიდვის და სხვათა ოპერაციების აღსარიცხავად. ჟურნალის ცალკე სვეტებში უჩვენებენ მაკორესპონდენტებულ ანგარიშებს.

ამდენად, ფრანგულმა ფორმამ ვენეციურისაგან განსხვავებით მოახდინა ქრონოლოგიური ჩაწერის დანაწევრება. ამან კი განაპირობა სააღრიცხვო დარგის მუშაკთა შრომის დანაწილება და მათი კვალიფიკაციურობის დიფერენცირება. ასეთი ფორმით აღრიცხვა რუსეთში ცნობილი გახდა მე-19 საუკუნის შუა პერიოდში.

მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა ამერიკული ფორმა. იგი წარმოადგენს ერთჯურნალიან ფორმას და უწოდებენ „ჟურნალმთავრულ“-ს ანუ „ამერიკულ“ ფორმას. ამ ფორმის გამოყენებისას ყველა სამეურნეო ოპერაცია, სინთეზურ აღრიცხვაში, აისახებოდა ჟურნალ-მთავარ დავთარში ქრონოლოგიური აღრიცხვის შეთანაწყობით. თითოეულ სინთეზურ ანგარიშს აქვს ორი ვერტიკალური სვეტი – დებეტისა და კრედიტისათვის. იგი სინქრონული (ე.ი. ერთდროულად სინთეზური და ქრონოლოგიური აღრიცხვის) ფორმის ნიმუშია.

აღრიცხვის ეს ფორმა მემორიალი ორდერული ფორმის ნაირსახეობას წარმოადგენს. ესეც სააღრიცხვო პროცესის ხელით შესრულების დროს გამოიყენებოდა. სინთეზური აღრიცხვა წარმოებს ჟურნალ-მთავარში, ხოლო ანალიზური-უმეტესად დამხმარე დავთარში.

ჟურნალ-მთავარში ერთად არის შეთანწყობილი ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვა, რის გამოც ეს რესტრი ორი ნაწილისაგან შედგება:

ქრონოლოგიური აღრიცხვის ჟურნალი (რეგისტრის მარჯვენა ნაწილი), რომელშიც ყოველი სამეურნეო ოპერაცია (ან ერთგვაროვანი ჯგუფი) რეგისტრირდება რიგითი ნომრის, თარიღის და ბრუნვის თანხით – ქრონოლოგიური წესით.

მთავარი ანგარიშების დავთარი (რეგისტრის მარჯვენა ნაწილი), რომელშიც წარმოებს სამეურნეო ოპერაციების ორადი ასახვა სინთეზურ ანგარიშებში. ყოველ ანგარიშს, მისი მხარეების შესაბამისად, გაჩნია ორი ვერტიკალური სვეტი – დებეტის და კრედიტის.

აღრიცხვის ამ ფორმის დროს სააღრიცხვო – პროცესის ასახვა შემდეგნაირად ხდება: ერთი ან ერთგვაროვანი ჯგუფის პირველადი დოკუმენტის საფუძველზე დგება მემორიალური ორდერი (საჭირო შემთხვევაში პირველად დოკუმენტებში მოცემული სამეურნეო ოპერაციების ერთგვაროვნების მიხედვით დაჯგუფებისათვის ადგენენ ნაკრებს, რომელიც ფორმდება მემორიალური ორდერით). მემორიალური ორდერის თანხები პირველად რეგისტრირდება ჟურნალ-დავთარში (ქრონოლოგიურად და სისტემურად), ხოლო შემდეგ – დამხმარე დავთრებში ან ბარათებში (ანალიზურად). ყო-

ველი სამეურნეო ოპერაციის (ან ერთგვაროვანი ჯგუფის ოპერაციების) თანხა ჟურნალ-მთავარში იწერება სამჯერ მაინც (თუ ოპერაცია მარტივია) – ბრუნვის სვეტში, ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში. თუ სამეურნეო ოპერაცია რთულია, ოპერაციის თანხა, ბრუნვის სვეტში ჩანაწერების პარალელურად, იწერება ერთი ანგარიშის დებეტსა და რამდენიმე ანგარიშის კრედიტში ან პირიქით.

ჟურნალ-მთავრული ფორმა საგრძნობლად ემსგავსება მემორიალური ორდერულ ფორმას, მაგრამ მას აქვს მნიშვნელოვნად განსხვავებული ნიშან-თვისებებიც. ეს უმათვრესად იმაში მდგომარეობს, რომ სარეგისტრაციო ჟურნალი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ რეგისტრს (შეთანწყობილია მთავარი ანგარიშების დავთართან). ასევე, აუცილებელი არ არის მთავარი ანგარიშების მიხედვით ბრუნვათა უწყისის (ბრუნვათა ბალანსის) შედგენა და სხვა.

ჟურნალ-მთავრულ ფორმას გააჩნია როგორც დადებითი მხარეები, ისე ნაკლი. მისი მთავარი დადებითი მხარე ისაა, რომ ერთ რეგისტრშია მოქცეული ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა იქვე გაკავონტროლოდ ჩანაწერების სისრულე და სისწორე, მნიშვნელოვნად გაადვილებულია მთავარი ანგარიშების მიხედვით ნაშთების ბალანსის შედგენა, ვინაიდან გამოყვანილი და შემოწმებულია ჯამობრივი მონაცემები როგორც თვეების მიხედვით, ისე „სულ წლის დასაწყისიდან“, ეს გარემოება განაპირობებს აგრეთვე თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსების თავისდროულად შედგენას, გამორიცხულია მთავარი ანგარიშების მიხედვით ბრუნვათა უწყისის შედგენის საჭიროება.

აღრიცხვის ამ ფორმის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ გამწვანებულია მაკორესპონდებელი ანგარიშის მონახვა: თვით დავთარი ისეა შედგენილი, რომ ყოველ სრულ ფორმას ჩართული აქვს 8 ფურცელი, რომლებშიაც უნდა ვეძებოთ მაკორესპონდებელი ანგარიშები. მით უმეტეს, რომ რაც უფრო ბოლოშია ანგარიშის შიფრი იმდენად მეტი ფურცლების გადაფურცვლაა საჭირო, დავთარს რომ ანგარიშების სარჩევი ჰქონდეს დართული ანგარიშების მონახვა მაინც საკმაო დროს მოითხოვს: ანალიზური აღრიცხვის ცალკე დავთრებში წარმოებაც თავისთავად ამწვანებს ოპერაციების რეგისტრაციას. ასეთ პირობებში უამრავი ჩანაწერების გაკეთება (რასაც აღრიცხვის ეს ფორმა აუცილებლად საჭიროებს) წარმოშობს შეცდომების დაშვებას და ამცირებს მათი მონახვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, უშედეგოდ იხარჯება დიდი რაოდენობის ქაღალდი, ვინაიდან ოპერაციების თანხები შედარებით უმნიშვნელო ადგილს იკავებს, დავთრების გამოყენება გამორიცხავს მანქანური დამუშავების შესაძლებლობას, ხოლო ყოველივე ზემოაღნიშნული იწვევს დროის, გონებრივი შრომის და ფულად-მატერიალური სახსრების უნაყოფოდ ხარჯვას, რის გამო იგი იცვლება უფრო სრულყოფილი (ჟურნალ-ორდერული) ფორმით.

მრავალჟურნალოვან (ფრანგული) ფორმის გაუმჯობესებულ ნაირსახეობას წარმოადგენს ინტეგრალური ფორმა. ამ ფორმის გამოყენებისას ხდება ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვის რეგისტრირების დანაწევრება სინთეზური ანგარიშის მიხედვით. ჟურნალში გახსნილი ანგარიშის დებეტის ბრუნვის ჯამი უნდა ეტოლებოდეს ამავე ოპერაციების ამსახველ სხვა ჟურნალებში გახსნილი ანგარიშების საკრედიტო ბრუნვების ჯამს. საანგარიშებო პერიოდის ბოლოს ადგენენ ყველა ჟურნალის ჯამების ჯუმლს და ახდენენ მათ ურთიერთშედარებას. ეს უპირატესობა საფუძვლად უდევს აღრიცხვის ბარათულ, პირგადაღებით და თანამედროვე ფორმებსაც კი.

მე-19 საუკუნის ბოლოს, მოქმედებაში შედის ანგარიშსწორების ჭადრაკული ფორმა. მას აქვს ჭადრაკის დაფის ფორმა, მთავარი დავთარი დაყოფილია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებად, მათ გადაკვეთის უჯრედში ციფრის ერთდროულად ჩაწერა ნიშნავს მაკორესპონდენტებელ ანგარიშებში ორად ჩაწერის ჰორიზონტა-

ლურ სვეტში ნაჩვენები ანგარიშის დებეტში და ვერტიკალურ სვეტში ნაჩვენები ანგარიშის კრედიტში. ჟურნალური მუხლების კრებსები გადაიზარდა ბალანსში და გადაიქცა დამოუკიდებელ კრებსით ცხრილად (ჰადრაკული საკონტროლო უწყისი).

კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაზე გადასვლამ განაპირობა ბარათულ-პირისგადაღებითი ფორმების შემოღება. აღრიცხვის გაზრდილ მოთხოვნილებამ უარყო მოძველებული ფორმები და უფრო სრულყოფილი ფორმის შემოღება გახდა საჭირო. ამ ფორმების გამოყენების დროს აღრიცხვის რეგისტრად ბარათების გამოყენებით ფართოვდება აღრიცხვის მუშაკთა შრომის დანაწილება, მიიღწევა ჩაწერის თვისდროულობა, ანგარიშების რამდენიმე ნიშნის მიხედვით დაჯგუფება კარტოთეკაში და სხვა. დავთრული ფორმების დროს ჩანაწერთა რამდენჯერმე დუბლირება გამორიცხულია.

პირის გადაღებამ შეაღწია სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის, ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვის წიაღშიც. ერთი ხერხით (პირის გადაღების მეშვეობით) სრულდება ორი და მეტი ჩანაწერი სხვადასხვა რეგისტრში. აღრიცხვის ტექნიკასა და საშუალებებში მომხდარმა ცვლილებებმა წარმოშვა აღრიცხვის ამ ფორმის სახესხვაობანი: ბარათული, პირისგადაღებითი და ბარათულ-პირისგადაღებითი.

აღრიცხვის დღევანდელ პრაქტიკაში ხელით შრომისას უმთავრესად გამოიყენება ჟურნალ-ორდერული ფორმა. ნებადართულია აგრეთვე სხვა ფორმების გამოყენებაც.

აღრიცხვის ჟურნალ-ორდერული ფორმის დროსაც ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციების ჩაწერის საფუძველს წარმოადგენს პირველადი დოკუმენტები. ამასთან ამ ფორმისათვის დამახასიათებელ მთავარ ნიშან-თვისებას წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციების ასახვა თვითური მაგროვებელი ჟურნალ-ორდერებსა და დამხმარე უწყისებში.

სააღრიცხვო პროცესი ჟურნალ-ორდერებსა და დამხმარე უწყისებში აისახება პირველადი დოკუმენტის მიღების თამნიმდევრობის მიხედვით, ოპერაციების ჩატარებისა და დოკუმენტების გაფორმების შესაბამისად. ოპერაციების რეგისტრირება ხდება მემორიალური ორდერის შედგენის გარეშე. თვის განმავლობაში ერთგვაროვანი ოპერაციების ამსახველი დოკუმენტების დიდი რაოდენობით მიღების დროს დოკუმენტის მონაცემების წინასწარი თავმოყრა-დაჯგუფება ხდება დამხმარე უწყისებში.

ამგვარად, აღრიცხვის ჟურნალ-ორდერული ფორმის დროს, სამეურნეო ოპერაციების ქრონოლოგიური და სისტემური ჩაწერა ხორციელდება როგორც ერთიანი სამუშაო პროცესი, რაც გამორიცხავს ქრონოლოგიური აღრიცხვისთვის ცალკე ჟურნალის წარმოების და მემორიალური ორდერების შედგენის საჭიროებას. სწორედ ამიტომ ეწოდება მას „ჟურნალ-ორდერული“, რომ მან გააერთიანა როგორც ჟურნალი, ისე ორდერული აღრიცხვა. ასევე, ჩანაწერების ერთიან სისტემად შეთანწყობის განხორციელებამ (სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ერთმანეთთან შერწყმამ) გამორიცხა დავთრებისა და ბარათების ცალკე გამოყენებისა და ბრუნვათა უწყისების შედგენის საჭიროება. ანალიზური აღრიცხვის ბარათები და დავთრები (და შესაბამისად ანალიზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისები) შეიძლება შემოღებული იქნეს გამონაკლისის სახით – დიდი რაოდენობის პირადი ანგარიშების არსებობისას, ძირითადი საშუალებების ინვენტარული აღრიცხვისათვის და სხვა.

გარდა ძირითადი რეგისტრებისა (ჟურნალ-ორდერები, დამხმარე უწყისები), ზოგიერთი სააღრიცხვო მონაცემების განზოგადების ან დაჯგუფების მიზნით, გამოიყენება აგრეთვე დამხმარე რეგისტრები-სპეციალური დამუშავებითი ცხრილები (გამიფვრის ფურცლები). დამხმარე რეგისტრებში დაჯგუფებულ – დაჯამებული მონაცემები გააქვთ თვითური მაგროვებელ და მაჯგუფებელ უწყისებში, ხოლო რეგისტრებში მონაცემთა დაჯამებისა და ურთიერთშედარების შემდეგ, თვითური ჯამები გადააქვთ შესაბამის ჟურნალ-ორდერებში, იქიდან კი მთავარ დავთარში.

აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერების სინამდვილე დასტურდება შედგენაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით, ხოლო ჟურნალ-ორდერებსა და დამხმარე უწყისებს, როგორც ძირითად რეგისტრებს, ხელს აწერს აგრეთვე მთავარი ბუღალტერი ან მისი რწმუნებული პირი.

დამხმარე უწყისებში ჩაწერა ხდება საწარმოს სამეურნეო საფინანსო საქმიანობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, აგრეთვე კარტალური და წლიური ანგარიშებისათვის მაჩვენებლების მისაღებად საჭირო დაჯგუფებით. მათში შეთანწყობილია სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.

უწყისის ქვემდებარებაში მოცემულია დანახარჯების ანალიზური პოზიცია, ხოლო შემასმენელში – მაკორესპონდენტული სინთეზური ანგარიშები საკრედიტო ნაშთით. თვიური სადებეტო ბრუნვები ჰორიზონტალურად მოცემულია როგორც ანალიზური ანგარიშების მიხედვით, ისე სინთეზურად, ხოლო საკრედიტო ბრუნვები, თითოეული მაკორესპონდენტული ანგარიშების მიხედვით, წარმოდგენილია სინთეზურად. ამ უწყისიდან შესაბამის ჟურნალ-ორდერში გადავა თვიური ბრუნვათა ჯამები.

ამგვარად, ჟურნალ-ორდერებში თავს იყრის ყოველ თვეში შესრულებული ოპერაციები, რომელთა თვიური ჯამები წარმოადგენს თვიური მემორიალური ორდერების სანაცვლო ჩანაწერებს.

თვითოეული ჟურნალ-ორდერი გამოიყენება ერთ ან რამდენიმე ერთგვაროვან ანგარიშში ბუღალტრული ჩანაწერებისათვის. თუ ერთი ჟურნალ-ორდერი განკუთვნილია რამდენიმე ერთგვაროვანი სინთეზური ანგარიშისათვის, ასეთ ჟურნალ-ორდერს გააჩნია სპეციალური განყოფილებები თითოეულ ანგარიშში ოპერაციების ასახვად.

ჟურნალ-ორდერებსა და დამხმარე უწყისებში სამეურნეო ოპერაციების რეგისტრაცია ხდება საკრედიტო ნიშნის მიხედვით ეს ნიშნავს, რომ სამეურნეო ოპერაციები იწერება ამ ანგარიშის კრედიტში, რომლის მიხედვითაც იხსნება ჟურნალ-ორდერი და მაკორესპონდენტული ანგარიშების დებეტში, რომელთა შიფრები და სახელწოდება წინასწარ არის ჩაწერილი სტამბური წესით შესაბამის ჟურნალ-ორდერში. გამონაკლის წარმოდგენის სალაროს, ანარიშწორების ანგარიშის და ბანკთან ანგარიშწორების ოპერაციები, რომლებიც რეგისტრირდება როგორც დებეტთან, ისე კრედიტთან კორესპონდენციაში მყოფ ანგარიშებში. ეს განპირობებულია ფულადი საშუალებების მოძრაობაზე განსაკუთრებული კონტროლის საჭიროებითა და იმით, რომ სალაროსა და ბანკის საბუთების მონაცემები სხვადასხვა ჟურნალ-ორდერებში არ იქნას გაზნული.

იმისათვის, რომ ნათელი და გასაგები გახდეს თუ როგორ აისახება ესა თუ ის სამეურნეო ოპერაცია ჟურნალ ორდერებში, ყველა ოპერაციის დაჯგუფება ხდება არა თარიღების, არამედ სახეების მიხედვით: სალაროს ოპერაციები ჯგუფდება – ცალკე, ანგარიშწორების ანგარიშის ოპერაციები ცალკე, ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშწორების ოპერაციები – ცალკე და ა.შ.

ამგვარად მოცემული მთავარი ანგარიშის (ან ერთგვაროვანი ანგარიშების) საკრედიტო ბრუნვები თავს იყრის ერთ ჟურნალ-ორდერში, ხოლო სადებეტო ბრუნვები – იმ ჟურნალ ორდერში, რომლებშიც იხსნება სადებეტებელი ანგარიშები.

პირველად დოკუმენტებს, რომლებიდანაც ინდივიდუალური ან კრებითი მონაცემები გადაიტანება ჟურნალ-ორდერებსა და დამხმარე უწყისებში, დაესმის რეგისტრისა და ჩანაწერის (ხაზის) ნომერი, ხოლო დოკუმენტებს, რომელთა ჯამობრივი მონაცემები გადაიტანება რეგისტრებში, ჟურნალ-ორდერის ნომერი დაესმის აკინძულ დოკუმენტებზე მიმაგრებულ ცალკე ფურცლებზე. ამით კონტროლდება სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის სისწორე.

ჟურნალ-ორდერების ჯამობრივი მონაცემები თვის ბოლოს გადაიტანება მთავარ დავთარში. მთავარი დავთარი განკუთვნილია ინფორმაციის განზოგადების, ანგარი-

შეზღუდვის ჩანაწერების სისწორის შემოწმებისა და საანგარიშგებო ბალანსის შესადგენად. ამის შესაძლებლობას იძლევა მასში თითოეული ანგარიშის მიხედვით ჩაწერილი დაწყებითი ნაშთები, მიმდინარე ბრუნვები და საბოლოო ნაშთები.

ჩანაწერების ჭადრაკული პრინციპი დამახასიათებელია როგორც სინთეზური, ისე ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებში. შინაარსისა და ფორმის მიხედვით ყველა ჟურნალ-ორდერი შეიძლება დავეყოს სამ ძირითად ჯგუფებად;

პირველი – სალაროს და ბანკის ოპერაციების აღრიცხვისათვის განკუთვნილი ჟურნალ-ორდერი.

მეორე – მიმწოდებელთან და მოიჯარესთან, ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებათა ოპერაციების აღსარიცხად განკუთვნილი ჟურნალ-ორდერები, სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან აღსარიცხავად განკუთვნილი უწყისები და სხვა.

მესამე – საწარმოო ხარჯების აღსარიცხავად განკუთვნილი ჟურნალ-ორდერები და უწყისები.

აღრიცხვის სამუშაოები სრულდება აგრეთვე ავტომატურად ტექნიკის გამოყენებით. აღრიცხვის სამუშაოების შესასრულებლად ავტომატური ტექნიკის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა დაინერგოს აღრიცხვის ავტომატიზებული ფორმები.

დღეისთვის სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება პერსონალური კომპიუტერები. კომპიუტერის გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ე.წ. უქაღალდო ფორმის დროს.

Elguja Konjaria

*LTD Learning University European Academy
Associate Professor*

History of accounting's shapes development

Accounting's shape is usable registrations totality and sequence of records and rules' unity. It means not only numbers of registration, but their structure and connection, also sequence and way of registration.

This or that form of accounting is raised and determine the use of certain ways for developing of accounting process

Concrete forms of accounting are;

- 1 The structure and numbers of usable registration.
- 2 The ways and sequence of registration,
- 3 Connection between registration and compare them during process.

The unity and connection of these elements create certain accounting shape.

The shape of accounting is formed during long time and develop many shapes.

The history of accounting reveal that first form was book form , and using of this for a long time creat different shapes; Venice (Id Italian), New Italian, American , German, French.

Кузина Р. В.

*к. е. н., доцент кафедры бухгалтерского учета и аудита
Одесский национальный экономический университет*

ОСОБЕННОСТИ ВНЕДРЕНИЯ МЕЖДУНАРОДНЫХ СТАНДАРТОВ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ В УКРАИНЕ: ЧЕЛОВЕЧЕСКИЙ ФАКТОР

В статье рассмотрены вопросы развития системы организации базового обучения, профессиональной подготовки и постоянного усовершенствования знаний бухгалтеров и аудиторов в Украине. В Украине принята Стратегия внедрения Международных стандартов финансовой отчетности, которая предусматривает «разработку и внедрение единой национальной программы профессиональной сертификации бухгалтеров для подтверждения ими знаний международных стандартов и обеспечения признания данной программы на национальном и международном уровнях». Однако программа национальной сертификации не разработана до сих пор, несмотря на то, что Украина осуществила переход на МСФО акционерных предприятий в 2012 году. Отправной точкой при обсуждении Концепции национальной сертификации является применение Международных стандартов образования. Компетентным бухгалтером, возможно признать только при наличии трех составляющих: базовая подготовка бухгалтера, получение профессиональной квалификации и постоянное повышение квалификации.

Постановка проблемы

В статье рассмотрены вопросы развития системы организации базового обучения, профессиональной подготовки и постоянного усовершенствования знаний бухгалтеров и аудиторов в Украине. В Украине принята Стратегия внедрения Международных стандартов финансовой отчетности, которая предусматривает «разработку и внедрение единой национальной программы профессиональной сертификации бухгалтеров для подтверждения ими знаний международных стандартов и обеспечения признания данной программы на национальном и международном уровнях». Однако программа национальной сертификации не разработана до сих пор, несмотря на то, что Украина осуществила переход на МСФО акционерных предприятий в 2012 году. Отправной точкой при обсуждении Концепции национальной сертификации является применение Международных стандартов образования. Компетентным, профессиональным бухгалтером, можно признать только при наличии трех составляющих: базовая подготовка бухгалтера, получение профессиональной квалификации и постоянное повышение квалификации.

Анализ публикаций и исследований последних лет

Проблематику профессиональных компетенций бухгалтера в своих работах поднимали украинские ученые: Зубилевич С.Я. (2014), Голов С.Ф. (2009), Жук В.М. (2012), Билоусова И. К. (2009), вопросам реформирования профессионального образования посвящены работы таких авторов: Билуха М.Т., Кирейцев Г.Г., Сопко В.В., Чижевская Л.В и многих других.

Изложение основного материала исследования

Украина с недавних пор встала на путь построения демократии и экономической стабильности. Экономическое развитие страны в значительной степени характеризуется наличием профессионалов в определенной отрасли. Большое количество профессиональных бухгалтеров обуславливает социальную стабильность, сохранность иностранных инвестиций, экономический рост. Курс Украины на евроинтеграцию также обуславливает необходимость изменений во многих сферах экономической деятельности через соответствующую адаптацию законодательства и стандартов деятельности, в том числе и в сфере бухгалтерского учета. Поэтому особую актуальность приобретает вопрос развития системы профессиональной подготовки и

постоянного усовершенствования знаний бухгалтеров и аудиторов. На протяжении многих лет независимости Украины правительством разрабатывались соответствующие мероприятия, которые бы обеспечивали внедрение единой национальной системы профессиональной сертификации бухгалтеров для подтверждения ими наличия соответствующих знаний и бухгалтерской квалификации. Однако на сегодняшний день система национальной сертификации так и не была внедрена.

В последние десятилетия осуществляется глобальный переход на международные стандарты и кодексы. По состоянию на январь 2013 года более 120 стран требуют или разрешают применение МСФО [1, с.24]. В Украине процесс конвергенции осуществлялся путем принятия национальных стандартов бухгалтерского учета, которые в целом близки к международным стандартам. Для компаний, которые листингуют свои акции на биржах предусмотрено прямое использование МСФО для составления финансовой отчетности. Также такие правила предусмотрены для банков, страховых компаний, ломбардов и других организаций общественного значения. Данная тенденция обуславливает серьезные вызовы в плане подготовки кадров по целому ряду аспектов корпоративной отчетности.

Нормативно правовая база

Отправной точкой для определения компетенций бухгалтера являются Международные стандарты образования, разработанных Комитетом по МСО Международной федерации бухгалтеров. Как отмечает в своей статье С. Я. Зубилевич [2, с.9] – современный вариант МСО базируется на понятии профессиональное развитие, которое рассматривается как процесс, что начинает человек, который развивается, а результатом его является развитый профессионал. Иными словами, выпускник, который только вступил в специальность после базового высшего образования – не является по сути профессионалом, он станет таковым только через определенное количество лет напряженного труда, повышения квалификации путем сдачи экзаменов по профессиональной сертификации бухгалтера и дальнейшим подтверждением своих компетенций в течении всей жизни.

Состав пересмотренных Международных стандартов образования следующий:

Концептуальная основа международных документов в сфере образования

МСО 1 «Начальное профессиональное развитие – вступительные требования

МСО 2 «Начальное профессиональное развитие – техническая компетентность»

МСО 3 «Начальное профессиональное развитие – профессиональные навыки»

МСО 4 «Начальное профессиональное развитие – Профессиональные ценности, этика и ставлення?»

МСО 5 «Начальное профессиональное развитие – практический опыт»

МСО 6 «Начальное профессиональное развитие – оценка профессиональной компетентности»

МСО 7 «Непрерывное профессиональное развитие»

МСО 8 «Требования к профессиональному развитию партнеров, ответственных за задания по аудиту финансовой отчетности» – проект [3].

Соответственно в МСО 1-6 содержатся требования к квалификации профессиональных бухгалтеров, МСО 7 закрепляет требования к программам повышения квалификации, МСО 8 описывает требования к квалификации профессиональных аудиторов и дополняет требования к подготовке профессиональных бухгалтеров.

Активное участие в разработке программ сертификации бухгалтеров, обеспечения условий профессионального развития в развитых странах возлагается на профессиональные бухгалтерские организации. Основной задачей такой профессиональной организации является обеспечение соблюдения регулятивных требований членами организации своих членских обязанностей. Выполнение поставленной задачи может осуществляться путем: сертификации членов на право работы профессиональным бухгалтером, контроля за сертифицированными членами, рассмотрения жалоб и реагирования на них, мониторинг качества предоставляемых услуг с правом применения дисциплинарных мер воздействия.

Кроме того, профессиональные организации бухгалтеров обычно требуют от своих членов определенного уровня образования и квалификации. К их числу могут относиться:

- требования к новым членам;
- проведение экзаменов профессионального уровня;
- тестирование на понимание этических норм;
- организация программ профессиональной квалификации;
- проведение обучения и учебная база;
- сертификация членов;
- постоянное повышение квалификации.

Однако в Украине сложилась совершенно другая ситуация.

Вопросами обучения бухгалтеров и аудиторов занимается Министерство образования Украины. Обучение проводится профильными ВУЗами по специальностям: бухгалтерский учет, аудит, внутренний аудит и т.д. Повышение квалификации осуществляется регуляторными органами своих специалистов. В процесс повышения квалификации вовлечены следующие учреждения:

- Национальный банк – повышает квалификацию работников банковской сферы;
- Национальная комиссия по ценным бумагам и фондовому рынку – занимается повышением квалификации бухгалтеров акционерных предприятий;
- Национальная комиссия, которая осуществляет государственное регулирование в сфере рынков финансовых услуг – повышение квалификации бухгалтеров ломбардов, кредитных союзов, инвестфондов и т.д.;
- Государственная фискальная служба Украины – проводит повышение квалификации налоговых инспекторов;
- Ассоциация страховиков – проводит переобучение представителей страховых компаний и т.д.

Из вышеизложенного можно сделать вывод, что регуляторные органы в Украине проводят разрозненное обучение и повышение квалификации своих специалистов. Данный вид повышения квалификации носит формальный характер и содержит коррупционную составляющую. А также необходимо отметить отсутствие влияния на базовое образование и процесс повышения квалификации бухгалтеров, профессиональных бухгалтерских организаций в Украине.

Институциональная составляющая

В последнее время в сфере корпоративной отчетности произошел ряд изменений на национальном и международном уровнях. Данные изменения были вызваны последствиями глобального финансово – экономического кризиса, который отчётливо дал понять, что разработка стандартов сама по себе является недостаточной. Международные стандарты финансовой отчётности являются частью системы финансового регулирования рынков в целом, и на первый план выступает адекватность применения системы сложных финансовых стандартов, а соответственно процесс внедрения зависит от наличия квалифицированных кадров.

Институциональная основа создания кадрового потенциала в области бухгалтерского учета включает множество институтов, как частных, так и государственных. Состав основных институциональных факторов в Украине следующий:

- законодательный орган (парламент);
- Министерство финансов и министерство экономики;
- регулирующие органы в области бухгалтерского учета и аудита (Национальная комиссия по ценным бумагам и фондовому рынку, Национальная комиссия, которая осуществляет государственное регулирование в сфере рынков финансовых услуг; Ассоциация страховиков и другие);
- судебная система;
- фондовые биржи;

- Методологический Совет по бухгалтерскому учету при Министерстве финансов Украины (орган по установлению национальных стандартов);
- бухгалтерские и аудиторские фирмы;
- профессиональные организации бухгалтеров и др.

Необходимо заметить, что профессиональные бухгалтеры – это также основные институциональные игроки.

Ключевым остается вопрос: Любой ли человек, называющий себя бухгалтером, действительно бухгалтер? Положительный ответ на данный вопрос возможен при наличии трех составляющих: базовая подготовка бухгалтера, получение профессиональной квалификации и постоянное повышение квалификации.

Как мы отмечали ранее, применение Международных стандартов образования ограничивается программами по получению профессиональной квалификации бухгалтеров и не затрагивает учебные программы высших учебных заведений. В Украине обучением бухгалтеров занимается множество организаций, как частных, так и государственных. Основная проблема заключается в том, что в большинстве случаев для работы бухгалтером достаточно университетского диплома, а зачастую и сертификата бухгалтерских курсов. По мнению автора, необходимо разграничить понятие «бухгалтер» и «профессиональный бухгалтер» на законодательном уровне и определить набор компетенций определяющий качественный уровень услуг каждого профессионала. В данном вопросе мы совершенно согласны с мнением Зубилевич С.Я в том, что необходимо разработать « карту компетентности для бухгалтера» [2, с.15].

Базовая подготовка бухгалтера

Обратимся к проблематике высшего образования. Для того, чтобы выпускники университетов получили качественное высшее образование в сфере бухгалтерского учета и аудита, основные курсы должны читать профессиональные преподаватели. Основная трудность создания и поддержания определенного уровня системы образования в Украине следующие:

- сложности с наймом и удержанием квалифицированного преподавательского состава, которые связаны с низким уровнем оплаты труда, большой загруженностью преподавателей, большим количеством студентов в академических группах, недостатком времени на исследовательскую работу, отсутствием необходимой материальной и технической поддержки;
- несоответствие учебных программ программам ведущих экономических ВУЗов, связанные с отсутствием программ обмена опытом и недостатком литературы на украинском языке;
- недостаточное знание английского языка преподавателями и студентами не позволяет посещать семинары и другие мероприятия на международном уровне, препятствует программам сотрудничества между университетами и программам обмена;
- отсутствие в программах подготовки бухгалтеров такого предмета как «Профессиональная этика бухгалтера», что мешает формированию единого взгляда на профессиональные ценности в мире;
- формальный процесс повышения квалификации непосредственно преподавателей бухгалтерского учета;
- отсутствие эффективного взаимодействия с общественными организациями, представляющими работодателей и многие другие проблемы.

По мнению автора, инициативы направленные на совершенствование системы высшего образования, должны осуществляться в следующих направлениях: во – первых, **унификации учебных программ** экономических университетов, в которых еще не нашли отражение все международные образовательные стандарты. Ориентиром может служить типовая программа изучения бухгалтерского учета Межправительственной рабочей группы экспертов по международным стандартам учета и отчетности [4] и Международные стандарты образования [3]. Во вторых, налаживание **координации между министерствами образования и профессиональными бухгалтерскими организациями**, во избежание разночтений в сертифи-

кационных требований и преподаваемых на университетском уровне программах. Отсутствие координации является причиной довольно серьезного разрыва между знаниями выпускников ВУЗов и требованиями, предъявляемыми к бухгалтерам в корпоративном секторе.

Получение профессиональной бухгалтерской квалификации

Как отмечалось ранее, в Украине на сегодняшний день отсутствует система национальной профессиональной сертификации бухгалтеров. В период с 2000 по 2014 год было сделано несколько попыток внедрить ряд сертификаций на уровне национальной. В частности – в 1998 году при поддержке проекта USAID в Украине осуществлялась масштабное обучение бухгалтеров международным стандартам учета, осуществлялась грандиозная работа по созданию национальной сертификации Федерацией профессиональных бухгалтеров и аудиторов Украины. [5]

С 2000 года при поддержке проекта USAID в Украине был популяризован проект CAP/CIPA в Украине, который сивелировал работу по внедрению национальной сертификации, т.к. данную сертификацию планировали сделать национальной. Однако с течением времени проект стал коммерческим, и на сегодняшний момент согласно Стратеги внедрения Международных стандартов финансовой отчетности в Украине, предусматривается «разработка и внедрение единой национальной программы профессиональной сертификации бухгалтеров для подтверждения ими знаний международных стандартов и обеспечения признания данной программы на национальном и международном уровнях». Сейчас в Украине присутствуют ряд международных сертификационных программ: ACCA, CIMA, ICFM и другие. В 2014 году была опубликована и презентована Концепция сертификации бухгалтеров в Украине [6]

На мой взгляд, необходимо объединить усилия всех участников данного процесса на базе профессиональной бухгалтерской организации создать четырёхуровневую национальную сертификацию в Украине.

Постоянное повышение квалификации бухгалтеров

Огромную роль в обеспечении качества предоставляемых бухгалтерских услуг имеют регуляторные органы. В Украине, как отмечалось ранее повышение квалификации специалистов, носит формальный характер. Для того чтобы они были в курсе процессов, происходящих в области бухгалтерского учета и отчетности, а также требований к этике и профессионализму, бухгалтерам требуются программы профессиональной подготовки и повышения квалификации. Что касается специалистов по вопросам нефинансовой отчетности, то для них также необходимо разработать программы подготовки и сертификации, особенно

по теме корпоративного управления. Кроме того, руководители, финансовые директора и бухгалтеры должны ежегодно представлять подписанную декларацию о соблюдении кодекса этики, с которым они ознакомились в процессе повышения квалификации. Быстрое и непрерывное изменение международных стандартов требует от специалистов постоянно совершенствовать свои знания. В этой связи программы повышения квалификации должны быть качественными и широко доступными для специалистов по бухгалтерскому учету и других участников цепочки подготовки и представления отчетности. МСО требуют прохождения курсов повышения квалификации для сохранения лицензии/сертификации. В программах повышения квалификации должны отражаться международные изменения и требования. Для профессиональных бухгалтерских организаций это означает необходимость постоянно обновлять свои учебные программы. К сожалению, в Украине возникают проблемы в связи с расходами на повышение квалификации, особенно для представителей небольших фирм. В стране нет прямой зависимости между наличием у бухгалтера профессионального образования, соответствующего сертификата и следования программам постоянного повышения квалификации и уровнем заработной платы. Поэтому вопрос: Любой ли человек, называющий себя бухгалтером, действительно бухгалтер? – остается открытым. Выходом мог бы быть вопрос признания национальной профессиональной сертификации на государственном уровне и соответственно программ постоянного повышения квалификации.

Выводы

1. В Украине обучением бухгалтеров занимается множество организаций, как частных, так и государственных. Основная проблема заключается в том, что в большинстве случаев для работы бухгалтером достаточно университетского диплома, а зачастую и сертификата бухгалтерских курсов. По мнению автора, необходимо разграничить понятие «бухгалтер» и «профессиональный бухгалтер» на законодательном уровне и определить набор компетенций определяющий качественный уровень услуг каждого профессионала.

2. Инициативы направленные на совершенствование системы высшего образования, должны осуществляться в следующих направлениях:

- **унификации учебных программ** экономических университетов, в которых еще не нашли отражение все международные образовательные стандарты;
- налаживание **координации между министерствами образования и профессиональными бухгалтерскими организациями**, во избежание разночтений в сертификационных требованиях и преподаваемых на университетском уровне программах.

3. В части получения профессионального сертификата бухгалтера, необходимо объединить усилия всех участников данного процесса на базе профессиональной бухгалтерской организации создать четырёхуровневую национальную сертификацию в Украине.

4. Признать на государственном уровне систему национальной сертификации бухгалтеров Украины и программ повышения квалификации.

СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ:

1. МСФО в кармане Delloitt *Электронный ресурс: режим доступа: file:///D:/DL/DL_Ru/MSFO%20v%20karmanie%202013.pdf*
2. Зубилевич С.Я. Международные стандарты образования как основа единой национальной программы профессиональной сертификации бухгалтеров //Бухгалтерский учет и аудит- 2014. №5, стр. 8-16
3. Международные стандарты образования. *Электронный ресурс: режим доступа: http://n-auditor.com.ua/ru/component/na_archive/566?view=material*
4. REVISED MODEL ACCOUNTING CURRICULUM *Электронный ресурс: режим доступа: http://unctad.org/en/Docs/c2isar21_en.pdf*
5. Белоусова И. К. "Розвиток бухгалтерської професії як важливий чинник подолання економічної кризи в Україні // Бухгалтерський облік і аудит" – 2009. № 5, стр. 4-12
6. Бондар Н.И, Шигун М. Концепция сертификации бухгалтеров України //Бухгалтерский учет и аудит- 2014. №5, стр. 3-8

Kuzina R.V. PhD

Odessa National Economic University

FEATURES OF IMPLEMENTATION OF INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARDS IN UKRAINE: HUMAN RESOURCES DEVELOPMENT CHALLENGES

The article describes the issues of development of professional accounting education system, professional qualifications and continuing professional development in Ukraine. Ukraine adopted the Strategy of the International Financial Reporting Standards implementation, which provides for "the development and implementation of an integrated national program for professional certification of accountants to confirm their knowledge of international standards and ensure recognition of the program at the national and international levels". However, the national certification program is not developed so far, despite the fact that the transition of joint-stock companies to IFRS has been made in Ukraine in 2012. A starting point at the discussion of Conception of national certification is application of the International standards of education. Competent accountant it is possible to acknowledge only at presence of three constituents: base preparation of accountant, professional qualifications and continuing professional development.

ნინო ლომიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი თეორიული ასპექტები

ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი თეორიული საკითხები, რაც უკავშირდება ანალიზის მეთოდოლოგიას, მეთოდებს, პრაქტიკულ ხერხებს და ანალიზის ჩატარების ტექნოლოგიას. სტატიაში აქცენტი გაკეთებულია ფინანსური ანგარიშგების, როგორც ანალიზის უმთავრესი წყაროს ხარისხიანად მომზადების აუცილებლობაზე, ისევე, როგორც ფინანსური ანგარიშგების გარკვეულ შეზღუდვებზე.

ავტორი ნაშრომში ხაზგასმით მსჯელობს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მნიშვნელობაზე სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით და რეკომენდაციის სახით სთავაზობს კერძო ბიზნესის მფლობელებს დაამკვიდრონ საკუთარ კომპანიებში ფინანსური ანგარიშგების ანალიზის კულტურა.

2014 წლის 27 ივნისი ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია. ამ დღეს ხელი მოეწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლითაც საქართველოს მიეცა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა, თუმცა ამავდროულად იგი ცივილიზებული საზაზრო ეკონომიკის გამოწვევის წინაშეც დადგა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, ერთი მხრივ, ევროპული მხარის ინიციატივაზე ქართულ კომპანიებში ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობასა და, მეორე მხრივ, ქართული საწარმოების ევროპულ ბაზაზე შესვლისა და დამკვიდრების სურვილთან დაკავშირებით. ორივე შემთხვევაში აუცილებელი პირობაა ბიზნესი სრულიად აკმაყოფილებდეს მის მიმართ საერთაშორისო დონეზე წაყენებულ მოთხოვნებს. იგვაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საწარმოთა საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხის მოწესრიგება ქართულ ბიზნეს რეალობაში, რაც პირდაპირ უკავშირდება საწარმოთა მიერ ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და გაანალიზებას. ეს კი საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს მიიღონ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები საწარმოსთან თანამშრომლობის დაწყების თუ გაგრძელების შესახებ.

დღეს აღარავინ დაობს იმასთან დაკავშირებით, რომ ბუღალტრული აღრიცხვა „ბიზნესის ენა“, რომლითაც მყარდება კავშირი საწარმოსა და მის მომხმარებლებს შორის. ამ „ენაზე“ საუბრის ერთადერთ ხელსაწყოს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს, რომელიც პასუხობს მომხმარებელთა კითხვებზე და უზრუნველყოფს მათ მიერ სწორი საკრედიტო, საინვესტიციო და სხვა ფინანსური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. საწარმოს შესახებ ინფორმაციის შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების მიზნობრიობის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს ხუთ კომპონენტს: (1,17)

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) პერიოდის ბოლოსათვის;
2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება (წარმოდგენილი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებით და სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებით);
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;

4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;

5. განმარტებითი შენიშვნები (საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა მნიშვნელოვანი განმარტებითი ინფორმაცია);

ფინანსური ანგარიშგების ცალკეული კომპონენტის ღირებულება ვლინდება მის ანალიზურ მნიშვნელობაში, რომელსაც ჩვენ ასე ვაყალიბებთ:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე (ბალანსი) დაყრდნობით ხდება საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის და ფინანსური მდგრადობის, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში გადახდისუნარიანობის, აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის და ცალკეული მუხლების შესწავლა და გაანალიზება. *ბალანსის ანალიზური მნიშვნელობა ერთი წინადადებით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: რამდენად მყარად დგას ბიზნესი ფეხზე ანუ ფინანსურად რამდენად სტაბილურია საწარმო?!*

პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება იძლევა საშუალებას გაანალიზდეს საწარმოს განგრძობადი და არაგანგრძობადი, ასევე განსაკუთრებული ოპერაციების ფინანსური შედეგები. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ხორციელდება საწარმოს შემოსავლების და ხარჯების ანალიზი და ფასდება მომგებიანობის მაჩვენებლები სხვადასხვა დონეზე. მხედველობაში გვაქვს საერთო და საოპერაციო მოგება-ზარალის, ასევე საგადასახადო და საპროცენტო ხარჯებისა და ცვეთამდელი მოგების და ამასთანავე წმინდა მოგება-ზარალის სიდიდების ცვლილების დინამიკა. სრული შემოსავლის ანგარიშგება სხვა სრული შემოსავლების გაანალიზების საშუალებასაც იძლევა, ისეთის როგორცაა: გადაფასების ნამეტის ცვლილებები, გასაყიდად არსებული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება-ზარალი და ა.შ. *პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების ანალიზი უმთავრესად პასუხობს კითხვაზე: არის თუ არა საწარმო მომგებიანი და რის ხარჯზე ინარჩუნებს ამ მომგებიანობას?!.*

პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება არის საწარმოს საკუთარი კაპიტალის და ბალანსის წარდგენის ორ თარიღს შორის კაპიტალის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების გაანალიზების წყარო. ეს ცვლილებები უკავშირდება ერთი მხრივ საწარმოს შესაკუთრეთა მიერ განხორციელებულ ოპერაციებს და მეორე მხრივ, გაუნაწილებელი მოგების ცვლილებას, რაც საწარმოს რეალური აქტივობის ამსახველი ფინანსური ელემენტია. *პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა მოკლედ შესაძლებელია დავახასიათოთ შემდეგნაირად: რამ გამოიწვია საკუთარი კაპიტალის ცვლილება სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისიდან პერიოდის ბოლომდე და როგორ ტრანსფორმირდა ის?!.*

პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რამდენადაც ის იძლევა ინფორმაციას საწარმოს ყველაზე ლიკვიდური და საჭირო აქტივის, ფულის წარმოქმნის და გამოყენების შესახებ. მართალია, შედარებითი ხასიათის (მინიმუმ ორი წლის მონაცემები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ჩანს ფულადი საშუალებების და მისი ეკვივალენტების ნაშთებს შორის ცვლილებები, თუმცა ბალანსი ვერ ახდენს აღნიშნული ცვლილებების გამომწვევი მიზეზების დადგენას. პერიოდის განმავლობაში ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების ზრდის ან შემცირების შესახებ სრულფასოვან სურათს იძლევა ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს ინფორმაციით საქ-

მიანობის სახეების (საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო) მიხედვით საწარმოში შემოსული და საწარმოდან გასული ფულის შესახებ. *მოცემული ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა დაკავშირებულია კითხვასთან: როგორ, რა გზებით ახდენს საწარმო ფულადი საშუალებების გენერირებას და რა მიმართულებით, რისთვის ხდება საწარმოდან ფულის გასვლა?!*

სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პაკეტის სრულფასოვანი გაანალიზებისთვის აუცილებელი ატრიბუტია. ამ ანგარიშგებაში გადმოცემულია ინფორმაცია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის, ანუ საწარმოში დანერგული სააღრიცხვო პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების შესახებ. ამავე ანგარიშგების ანალიზურ მნიშვნელობაზე ხაზს უსვამს შემდეგი გარემოება: მასში ასახულია ყველა ის დამატებითი ინფორმაცია, რომლის ჩაწერაც ვერ მოხერხდა ზემოთხსენებულ ანგარიშგებაში და რაც ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებელთა მხრიდან სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის. *ძირითადი კითხვა, რომელიც კარგად ასახავს მოცემული ანგარიშგების ანალიზურ მნიშვნელობას მდგომარეობს შემდეგში: რა მოვლენები მოხდა საწარმოში სააღრიცხვო პერიოდების განმავლობაში, რამაც შესაძლებელია დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს შემდგომ საქმიანობაზე და ამავდროულად მიმართულება მისცეს მომხმარებელთა სამოავლო გადაწყვეტილებებს.*

ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადების მიზანი მისი მომხმარებელთათვის მიწოდებაა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით ფორმულირდება ორ ძირითად ჯგუფად: გარე მომხმარებლებად (ინვესტორები, კრედიტორები, მთავრობები და მათი უწყებები, სპეციალისტები ფინანსურ საკითხებში, მომხმარებლები, საზოგადოება) და შიდა მომხმარებლებად (საწარმოს მმართველი რგოლი – მენეჯმენტი, საწარმოს პერსონალი – მომუშავეები). მომხმარებელთა ინტერესები და დამოკიდებულება საწარმოს მიმართ განსხვავებულია, თუმცა ფინანსური ანგარიშგების ანალიზი პროგნოზების გაკეთებაში უპირობოდ აუცილებელია ცალკეული მათგანისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მაღალი ხარისხის ინფორმაციულობას და მომხმარებელთა მხრიდან ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ხელისშეწყობის მიზნით მის ანალიზურ ჭრილში პროდუქტიულობას განაპირობებს ერთი მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი დაშვებების უპირობო გამოყენება და მეორე მხრივ, ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების ზედმიწევნით გათვალისწინება. ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტალურ დაშვებებს წარმოადგენს: *დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.*

დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ჭეშმარიტად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებს, რამდენადაც ხდება სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულად ჩაწერა მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების მიღების ან გადახდის დროს. ამდენად, დარიცხვის მეთოდი ფინანსური ანგარიშგების ანალიზურ ჭრილში განხილვის შემთხვევაშიც უპირატესობით სარგებლობს საკასო მეთოდთან შედარებით. რაც შეეხება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას, ის ითვალისწინებს შემდეგს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ ობიექტურად უნდა შეაფასოს საწარმოს მომავალში საქმიანობის გაგრძელების უნარი და სწორედ ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას ანუ ამ ინფორმაციის მომხმარებელთა მიერ გამოყენებადობის ხარისხს განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების თანახმად შემდეგია:

- **აღქმადობა** – ფინანსურ ანგარიშგებაში გადმოცემული ინფორმაციის ადვილად გაგების უნარი;
- **შესაბამისობა** – ინფორმაციას მაშინ გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იგი გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე იმდენად, რამდენადაც აწვდის მას გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის ინფორმაციას საწარმოს წარსულზე, აწმოსა და მომავალზე;
- **საიმედოობა** – ინფორმაცია საიმედოა, თუ არ შეიცავს არსებით შეცდომებს და არ არის ტენდენციური. ინფორმაციის საიმედოობას თავის მხრივ განსაზღვრავს: ნეიტრალობა, წინდახედულება, შინაარსის ფორმაზე ადმატებულება, სამართლიანი წარდგენა და სისრულე;
- **შესადარისობა** – ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს შესადარისი როგორც საწარმოს შიგნით სააღრიცხვო პერიოდების მიხედვით, ასევე კონკურენტი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებებისთვის. საყურადღებოა, რომ შესადარისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია თანმიმდევრულობის დაცვა, რაც გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობას პერიოდების მიხედვით.

იმის მიუხედავად, რომ ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უზრუნველყოფის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, მას გარკვეული შეზღუდვებიც ახასიათებს, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

- საწარმოს საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედებს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ზოგადი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებიც, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს არ არის გათვალისწინებული;
- ფულადი შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება საწარმოს შესახებ თვისობრივი (ხარისხობრივი) ინფორმაციის ასახვა, როგორცაა კომპანიის იმიჯი, კარგი რეპუტაცია, მენეჯმენტის ინტეგრირებულობა, თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის არსებობა და ა.შ.;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ მასში წარმოადგენილი ფულადი ღირებულებები არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ფულის ღირებულება დროში, ინფლაცია და სხვა ფაქტორები;
- ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების ბაზას ამ აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს. ცვეთა, თავის მხრივ მონაწილეობას იღებს საწარმოს მოგების გაანგარიშებაში. ეს მაჩვენებელი კი კომპანიის რენტაბელობის განმსაზღვრელია. აქტივების თვითღირებულებით და არა საბაზრო ფასით შეფასებამ ბალანსში, შესაძლებელია კომპანიის მომგებიანობა არასწორად წარმოადგინოს;
- საწარმომ წლიდან წლამდე შესაძლებელია შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც გულისხმობს აღრიცხვაში ალტერნატიული მეთოდების გამოყენების დანერგვას (ცვეთის გაანგარიშების, მარაგების შეფასების, უიმედო ვალების ჩამოწერის და სხვა მეთოდები). აღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე და წინა წლების მონაცემების შედარება საანალიზოდ კორექტირების გარეშე აბსოლუტურად გამოუსადეგარია;
- ფინანსური ანგარიშგება მზადდება კონსერვატიზმის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს საწარმოს ფინანსური შედეგების აღიარებისას მოსალოდნე-

ლი ზარალის გათვალისწინებას, მოსალოდნელი მოგებისას კი არა. ამ თვალსაზრისით, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოადგენილი ფინანსური შედეგი შეიძლება ჩაითვალოს არარეალურად;

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მოითხოვს მეტად დაკვირვებულ დამოკიდებულებას, რაც გამოიხატება ანალიზის პროცესში არაერთი ფაქტორის და გარემოების გამოვლენასა და გათვალისწინებაში.

ანალიზი ზოგადად წარმოადგენს კვლევითი აზროვნების ერთ-ერთ მეთოდს. თავად სიტყვა ანტიკური საბერძნეთიდან მომდინარეობს (ანალუსის) და იშიფრება, როგორც: ana – დაშლა-დანაწევრება, ხოლო lysis – პრობლემის გახსნა-ამოხსნა. ამდენად, ანალიზი გულისხმობს კონკრეტული მოვლენის შედეგის სიღრმისეულ შესწავლას ამ მოვლენის ცალკეულ ნაწილებად დაშლის, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის საფუძველზე. ეკონომიკური ხასიათის მოვლენათა შედეგების გაანალიზებას ეკონომიკური ანალიზი ეწოდება. საყურადღებოა, რომ ეკონომიკური ანალიზის მიმართ მე-20 საუკუნემდე განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა. ეკონომიკური ანალიზი არ განიხილებოდა განცალკევებულად, არამედ, ბუღალტრულ აღრიცხვასთან ერთობლიობაში, რომელიც ასევე არ იყო წარმოდგენილი აღრიცხვის ორ სახედ, ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად. მე-20 საუკუნის ბოლოდან საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა კლასიფიკაციამ შიდა და გარე ჯგუფებად აქტუალური გახადა ბუღალტრული აღრიცხვის დაყოფა ფინანსურ აღრიცხვად (ინფორმაციას ამზადებს საწარმოს გარე მომხმარებელთათვის) და მმართველობით აღრიცხვად (ორიენტირებულია შიდა მომხმარებლებზე). სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი ეკონომიკური (კომპლექსური) ანალიზიდან ფინანსური ანგარიშგების ანალიზის გამოყოფას და ცალკე სფეროდ ჩამოყალიბებას.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ცნების ქვეშ ავტორთა შედარებით მცირე ჯგუფი საწარმოს მთლიან ფინანსურ ანალიზს განიხილავს და მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების გაანალიზებით, არამედ მოიცავს საწარმოს საქმიანობის ირგვლივ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური საკითხების, ასევე ბაზრების და კონკურენტების კვლევას და ანალიზს, რაც რეალურად საჭიროებს იმაზე ბევრად მეტ ინფორმაციას, რის შესაძლებლობასაც ფინანსური ანგარიშგების თუნდაც სრულფასოვანი პაკეტი იძლევა. (6,7,11). რაც შეეხება ავტორთა უმრავლესობის ხედვას, ისინი ფინანსური ანგარიშგების ანალიზს განიხილავენ ცალკე ჭრილში, ფინანსური ანალიზის ნაწილად და მის უმთავრეს მიზნად წარმოაჩენენ საწარმოს მიმდინარე წლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლების გამოთვლას, გაანალიზებას და ამის საფუძველზე ახალი ინფორმაციის უზრუნველყოფას, რომელიც გამოყენებული იქნება სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. (8,9,12,13,14)

ჩვენ ვიზიარებთ ავტორთა უმრავლესობის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ფინანსური ანალიზის მხოლოდ ნაწილია (გარე ფინანსური ანალიზია), თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე მიდგომით, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი სცილდება მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების გამოთვლისა და შედარების მასშტაბებს და მოიცავს მომხმარებელთა კითხვების და ინტერესების დაკმაყოფილების საკმაოდ დიდ არეალს. ამ თვალსაზრისით, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და ფინანსური ანალიზი შესაძლებელია ერთ კონტექსტში განიხილებოდეს. ამ საკითხის გადაწყვეტა კი ხდება უშუალოდ, კონკრეტულ სიტუაციაში ანალიზის მიმართ წაყენებული მოთხოვნების და მასშტაბების გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არის პროცესი, რა დროსაც ხდება საწარმოს წარსული საქმიანობის შედეგების გაანალიზება სხვადასხვა მეთოდების და ტექნიკის გამოყენებით და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მართლზომიერი და გონივრული სამომავლო გადაწყვეტილებების შემუშავება. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არის საუკეთესო საშუალება საწარმოსთვის ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ფინანსური მდგომარეობა და გააკეთოს პროგნოზი შემდგომი სტაბილურობის ან პირიქით, მოსალოდნელი გაკოტრების რისკის დადგომის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ობიექტი არის ის, რაზეც უშუალოდ მიმართულია ანალიზი, იქნება ეს საწარმოს სამეურნეო საქმიანობა მთლიანობაში თუ ამ საქმიანობის შეფასების ცალკეული მიმართულებები, როგორცაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, საქმიანი აქტივობა, ლიკვიდობა, ფინანსური სტაბილურობა და ა.შ. რაც შეეხება *ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სუბიექტს* – მსხვილ საწარმოებში, სადაც არსებობს ფინანსური დეპარტამენტი ამ ფუნქციას უნდა ასრულებდნენ აღნიშნულ განყოფილებაში მომუშავე თანამშრომლები (ანალიტიკოსები). რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს, სადაც იშვიათად ვხვდებით ცალკე ფინანსურ სამსახურს, ანგარიშგების ანალიზის უზრუნველყოფა შესაძლებელია შეითავსოს ბუღალტერმა, ან მოხდეს გარე რესურსის გამოყენება (ე.წ. აუტსორსინგი), კადრის დაქირავება სპეციალურად ამ საქმისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ხარისხი და მისი შედეგების საიმედოობა დამოკიდებულია ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიის გამართულობაზე, შერჩეული მეთოდებისა და ხერხების მართლზომიერებასა და მოპოვებული ინფორმაციის კვალიფიციურ დამუშავებაზე. ზოგადად მეთოდოლოგია ანუ მეთოდიკა არის ერთგვარი მიდგომა საკვლევო საკითხისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს. კერძოდ იმას, თუ რა მეთოდები და ხერხები იქნება გამოყენებული მოცემულ კვლევაში და როგორი ტექნიკით დამუშავდება და გაანალიზდება მოპოვებული ინფორმაცია. რაც შეეხება მეთოდებს, წესებს, ხერხებს – ეს ის კონკრეტული საშუალებებია, რომელიც შეირჩევა კვლევის ობიექტის შესასწავლად. ამდენად, მეთოდოლოგია წარმოადგენს თეორიული პრინციპების და წესების ერთობლიობას, ხოლო მეთოდები – მიზნის მიღწევის კონკრეტულ პრაქტიკულ ხერხს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში გამოიყენება ეკონომიკური ანალიზის როგორც არაფორმალიზებული (ლოგიკური, ტრადიციული), ასევე ფორმალიზებული (მათემატიკური) ხერხები. სხვადასხვა ავტორები ტრადიციულ ანალიზურ ხერხებში განიხილავენ შემდეგს: შედარება, დაჯგუფება, აბსოლუტური, საშუალო და შეფარდებითი სიდიდეები, დინამიკური მწკრივები, გრაფიკები, ინდექსები, ჯაჭვური ჩასმის ხერხი, საბალანსო ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ექსპერტული შეფასების წესი და სხვა. მათემატიკურ ხერხებს კი მიაკუთვნებენ: კორელაციური-რეგრესიულ, დისპერსიულ, ფაქტორულ, კლასტერულ ანალიზს. ასევე, წრფივ პროგრამირებას, მათემატიკურ მოდელებს, ალბათობის ისეთ მეთოდებს, როგორცაა: თამაშთა თეორია, გადაწყვეტილებათა ხე და სხვა. (2,3,14,15,16)

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარების ტექნოლოგიისადმი მკაცრად განსაზღვრული ხედვა არ არსებობს. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარების ტექნიკური საკითხი ისევ და ისევ დასახული მიზნებიდან, დასმულ შეკითხვებზე გასაცემი პასუხებიდან და ანალიტიკოსის კვალიფიკაციიდან გამომდინარეობს. ვფიქრობთ, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი უნდა მოიცავდეს შემდეგი ეტაპების განხორციელებას:

- საანალიზო ობიექტის (კვლევის საგნის) განსაზღვრა და იმ დარგის თავისებურებების გაანალიზება, რომელ დარგშიც საქმიანობს კონკრეტული საწარმო;

- გასაანალიზებელი საკითხების მკაფიოდ ჩამოყალიბება და თითოეულ საკითხზე ამომწურავი პასუხის გასაცემად საჭირო საინფორმაციო ბაზის განსაზღვრა;
- ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის (მინიმუმ 3-5 წლის), ასევე, ანალიზისთვის საჭირო სხვა დამატებითი ინფორმაციის (რაზეც ანალიტიკოსს მიუწევდება ხელი) მოპოვება და მათი ხარისხიანობის შეფასება;
- სტანდარტული ფინანსური ანგარიშგებების გარდაქმნა ანალიზისთვის საჭირო და გამოსადეგარ ფორმად. მხედველობაში გვაქვს შესადარისი ფინანსური ანგარიშგებების (Comparative Financial Statements) და პროცენტული მაჩვენებლებით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების (Common-Size Financial Statements) მომზადება;
- ფინანსური ანგარიშგებების ცალკეული მუხლების ცვლილებების განსაზღვრა წლების, ასევე მთლიან სიდიდეებში ხვედრითი წონების მიხედვით და საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ პირველადი შთაბეჭდილების ჩამოყალიბება;
- ფინანსური მაჩვენებლების ჯგუფების და ამ ჯგუფებში შემავალი ცალკეული კოეფიციენტების ნუსხის განსაზღვრა;
- ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლა და პერიოდების მიხედვით დაჯგუფება. შედეგების ცხრილის სახით, ან/და გრაფიკული ფორმით წარმოდგენა;
- მიმდინარე წლის ფინანსური მაჩვენებლების შედარება წინა წლის, საბაზისო, ნორმატიულ, გეგმურ, კონკურენტი საწარმოების, დარგის საშუალო და სარეკომენდაციო ხასიათის ანალოგიურ მაჩვენებლებთან;
- ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და ამ ფაქტორთა გავლენის დადგენა და გაზომვა;
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება და წარმოდგენა;

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი სასურველი პერიოდულობით შეიძლება ჩატარდეს. ამ მხრივ არ არსებობს შეზღუდვა. რაც შეეხება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდებს და ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკულ ხერხებს, ისინი სხვადასხვა ლიტერატურაში მეტნაკლებად კომპლექსურად (სრულფასოვნად) არის წარმოდგენილი. შესაბამისი ქართული და უცხოური წყაროების (2,4,5,8,9,11,14,18) დამუშავების შედეგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები წარმოვადგინოთ შემდეგი კლასიფიკაციით:

- ფინანსური ანგარიშგების დროითი (დინამიკური) ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების ტრენდული (ტენდენციის) ანალიზი;
- ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი;
- ფინანსური კოეფიციენტების (შეფარდებით მაჩვენებელთა) ანალიზი;
- შედარებითი (სივრცითი) ანალიზი;
- მიმდინარე წლის მაჩვენებლების წინა წლებთან შედარების მეთოდი;
- დარგის საშუალო მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი;
- ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდი;
- კონკურენტი საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი;
- სარეკომენდაციო ხასიათის მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი;
- ფაქტორული ანალიზი;

ფინანსური ანგარიშგების დროითი (დინამიკური) ანალიზი

დროითი ანალიზი გულისხმობს საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების, ასევე ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ცალკეული მუხლების დროში ანუ დიმანკაში ცვლილების ანალიზს. დროითი ანალიზი აერთიანებს ჰორიზონტალური და ტრენდული ანალიზის ფორმებს.

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე წლის მაჩვენებლების შედარებას გასული პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან და ცვლილებების წარმოდგენას როგორც ფულად, ასევე პროცენტულ ტერმინებში. ჰორიზონტალური ანალიზის დროს საჭიროა ფინანსური ანგარიშგების სპეციალური ფორმატის შემუშავება, სადაც ცხრილის სახით იქნება წარმოდგენილი რამდენიმე წლის მონაცემები და ამ მონაცემების აბსოლუტური და პროცენტული ცვლილებები დროში. აღნიშნულიდან გამომდინარე ჰორიზონტალური ანალიზი ზოგიერთ ლიტერატურაში მოხსენიებულია შედარებითი ფინანსური ანგარიშგების ანალიზის (Comparative Financial Statements Analysis) სახელწოდებით.

ფინანსური ანგარიშგების ტრენდული (ტენდენციის) ანალიზი ახდენს საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების განვითარების ტენდენციის შეფასებას, რაც მიიღწევა ყოველი წლის მონაცემების შედარებით ერთი რომელიმე საბაზისო წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. გარკვეულწილად, ტრენდული ანალიზი იძლევა ფინანსური პროგნოზირების საშუალებას და ამ თვალსაზრისით ის განიხილება პერსპექტიულ საპროგნოზო ანალიზად. ჰორიზონტალური ანალიზის მსგავსად, ტრენდული ანალიზის ჩატარებაც საჭიროებს ინფორმაციის სპეციალური ფორმით წარმოდგენას, რაც გულისხმობს დინამიკური მწკრივების აგებას. დინამიკური მწკრივის ქვეშ იგულისხმება ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების რიცხვითი მნიშვნელობები განლაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და დროში მომხდარი ცვლილებების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი

ანალიზის ეს მეთოდი გულისხმობს საწარმოს აქტივების და ამ აქტივების მიღების წყაროების, ასევე, შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურის გაანალიზებას. თავად სტრუქტურა ნიშნავს ნაწილის ხვედრით წილს მთელში (2). შესაბამისად, სტრუქტურული ანალიზი ესაა საწარმოს ცალკეული ბუღალტრული მუხლების ხვედრითი წონის დადგენა მთლიან (ჯამურ) სიდიდეებში. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის უზრუნველსაყოფად საჭიროა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტული ფორმატის გარდაქმნა, ისე რომ შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აბსოლუტურ სიდიდეებთან ერთად მათი ხვედრითი წილების წარმოდგენაც. სწორედ ამიტომ, ვერტიკალური ანალიზი ზოგიერთ ლიტერატურაში ცნობილია პროცენტული მაჩვენებლებით წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის (Common-Size Financial Statements Analysis) სახელწოდებით.

ფინანსური კოეფიციენტების (შეფარდებით მაჩვენებელთა) ანალიზი

ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობის და ზოგადად კომპანიის ავკარგიანობის შეფასების თვალსაზრისით. ფინანსური კოეფიციენტი ანალიზის უმთავრესი ინსტრუმენტია, რომელიც როგორც წესი წარმოდგება პროცენტულად ან პროპორციის სახით, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება უკეთესად მისი ინტერპრეტაცია. ავტორები თავიანთ ნაშრომებში ფინანსურ კოეფიციენტებს სხვადასხვაგვარად აჯგუფებენ (4,5,6,7,8,9,11,14,18), თუმცა ყველა მათგანი ეყრდნობა იმ ძირითად კითხვებს, რომელიც საწარმოს მიმართ უზნდებათ ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ფინანსური მაჩვენებლები შესაძლებელია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- საწარმოს ლიკვიდობის (მოკლევადიანი გადახდისუნარიანობის) შეფასების მაჩვენებლები;
- გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლები;
- საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები;
- საქმიანი აქტივობის (აქტივების ეფექტიანად მართვის და უკუგების) მაჩვენებლები;
- მომგებიანობის (რენტაბელობის) განმსაზღვრელი მაჩვენებლები;
- ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები;
- აქციათა საბაზრო შესაძლებლობების და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები;

საყურადღებოა, რომ ფინანსური კოეფიციენტების ანალიზს გარკვეული ნაკლოვანებებიც ახასიათებს, რაც გამოიხატება ერთი მხრივ იმაში, რომ ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდიკა არ განსხვავდება დარგების მიხედვით, მაშინ როდესაც თავად ეს დარგები გარკვეული თავისებურებებით და სპეციფიკით ხასიათდებიან. გარდა ამისა, სხვადასხვა საწარმოები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ეყრდნობიან სტანდარტებით შემოთავაზებულ ძირითად და ალტერნატიულ მეთოდებს. ამ თვალსაზრისით, გაუმართლებელია ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი საწარმოთაშორისი შედარების მეთოდის გამოყენებით. საყურადღებოა ისიც, რომ როგორც წესი, ფინანსური მაჩვენებლების ანალიზისას არ ხდება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გათვალისწინება და მათი გავლენის გაზომვა.

შედარებითი (სივრცითი) ანალიზი

შედარებითი ანალიზის მთავარი არსი ისაა, რომ საწარმოს ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებელი არაფრის მთქმელია ინტერპრეტაციის გარეშე. ინტერპრეტაცია კი გულისხმობს ფინანსური კოეფიციენტისთვის სტატუსის მინიჭებას, რომ ის არის ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, ცუდი ან ძალიან ცუდი მაჩვენებელი. ამის გამოსავლენად უბრალოდ აუცილებელი პირობაა შედარებითი ანალიზის ჩატარება, რაც თავის მხრივ საჭიროებს შედარების სტანდარტების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია განვიხილოთ:

მიმდინარე წლის მაჩვენებლების წინა წლებთან შედარების მეთოდი, რაც გულისხმობს ერთი და იგივე კომპანიის დროის სხვადასხვა პერიოდში დაფიქსირებული ანალოგიური მაჩვენებლების შედარებას;

დარგის საშუალო მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი, რაც გარკვეულწილად უფრო ობიექტურად ახდენს საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასებას დარგში მომუშავე სხვა საწარმოების მაჩვენებლების მის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარების ხარჯზე. ასეთი ანალიზის დროს, საყურადღებოა, რომ სავსებით შესაძლებელია ერთ დარგში მომუშავე ორი კომპანიის იდენტური მაჩვენებლები შედარებისთვის აბსოლუტურად არაგამოსადეგარი აღმოჩნდეს, თუ მაგალითად ერთი კომპანია ვაჭრობით არის დაკავებული, მეორე კი წარმოებით;

ვაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდი, რაც ასევე მნიშვნელოვანია და ავასებს საწარმოს მმართველი და მუშა გუნდის საქმიანობის ხარისხს. არკვევს იქნა თუ არა მიღწეული წინასწარ დაგეგმილი შედეგები;

კონკურენტი საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარების მასშტაბების და დარგში მისი ადგილის შეფასებას;

სარეკომენდაციო ხასიათის მაჩვენებლებთან შედარების მეთოდი ასევე ძალან მნიშვნელოვანია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელთა სარეკომენდაციო დონის

(Benchmark) განსაზღვრა წლების განმავლობაში პერმანენტულ ანალიზს და დაკვირვებას ანუ დროში გამოცდას საჭიროებს;

ფაქტორული ანალიზი

საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშების და შედარებითი ანალიზის ჩატარების შემდეგ დღის წესრიგში დგება მაჩვენებლებს შორის გამოვლენილი გადახრების (ცვლილებების) ანალიზი, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს ამ გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას და შედეგობრივ მაჩვენებლებსა და ფაქტორ-მაჩვენებლებს შორის კავშირის როგორც დადგენას, ასევე გაზომვას. ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შესაძლოა იყოს პირდაპირპროპორციული ან უკუპროპორციული, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ შემთხვევაში ფაქტორების ზრდა იწვევს საანალიზო მაჩვენებლის ზრდას, მეორე შემთხვევაში კი პირიქით, შემცირებას. ანსხვავებენ ფაქტორული ანალიზის შემდეგ ტიპებს:

- ფუნქციური (დეტერმინირებული) და სტოქასტიკური (შემთხვევითი) ფაქტორული ანალიზი;
- პირდაპირი (დედუქციური, კერძოდ ანალიზი) და შებრუნებული (ინდუქციური, სინთეზი) ფაქტორული ანალიზი;
- სტატისტიკური და დინამიკური ფაქტორული ანალიზი;
- რეტროსპექტიული და პერსპექტიული ფაქტორული ანალიზი და სხვა;

ფაქტორული ანალიზის უზრუნველსაყოფად ყველაზე ხშირად გამოიყენება აბსოლუტური სხვაობის და ჯაჭვური ჩასმის ხერხები, როცა შედეგობრივ და ფაქტორ-მაჩვენებლებს შორის არის ფუნქციური კავშირი. სტოქასტიკური კავშირის შემთხვევაში კი, რა დროსაც შეუძლებელია დეტერმინირებული ფაქტორული მოდელის აგება, გამოიყენება ისეთი მათემატიკური მოდელები, როგორცაა: კორელაცია და რეგრესია, ვარიაციის მაჩვენებლები, ალბათობის თეორია და სხვა.

დასკვნის სახით გვინდა ჩამოვყალიბოთ, რომ ბიზნეს-სექტორში ფინანსური ანგარიშგების ანალიზის, როგორც ერთგვარი კულტურის დამკვიდრება რეალური შესაძლებლობაა იმისა, რომ საწარმოებმა დროულად შეაფასონ ფინანსურ სიმძნელებთან დაკავშირებული რისკები და მიიღონ ადეკვატური ზომები გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. ეს საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბიზნესის და მასთან ფინანსურად დაკავშირებული მომხმარებლების ინტერესების, არამედ ზოგადად, საწარმოთა მიერ საზოგადოების წინაშე აღებული სოციალური პასუხისმგებლობის დაცვის თვალსაზრისითაც.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საკუთარი საწარმოების საქმიანობის შეფასებით უპირველეს ყოვლისა თავად ამ საწარმოების მეპატრონეები უნდა დაინტერესდნენ და მოითხოვონ პერიოდული რეპორტიინგი ფინანსური დირექტორებისგან.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის კულტურის დამკვიდრება საწარმოებში უზრუნველყოფს მათთვის სტატუსის ამაღლებას და ამავედროულად საინტერესოს გახდის მათ ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით.

ლიტერატურა და ინტერნეტრესურსი:

1. ნ. კვატაშიძე., ა. ხორავა., ზ. გოგრიჭიანი., ფინანსური ანგარიშგება, გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2011
2. ი.ჭილაძე, ფინანსური ანალიზი, თ. 2011;
3. ე. ცირამუა, ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა-მეთოდიკა. თბ. 2007;

4. ა. ჩეჩელაშვილი, ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში, დისერტაცია, თბ. 2013;
5. ბ. ბოლქვაძე, ბიზნესის ფინანსური ანალიზი (თეორია და პრაქტიკა), თბ. 2007;
6. Financial Statement Analysis, Latin America Training and Development Center, April, 1995;
7. ERICH A. HELFERT, D.B.A. Financial Analysis Tools and Techniques, McGraw-Hill Companies, Inc, 2001;
8. Analysis and Uses of Financial Statements, Delta Publishing Company, 2006;
9. John. J. Wild, Financial Accounting Fundamentals, University of Wisconsin at Madison, 2009 ed;
10. Martin Fridson, Fernando Alvarez, Financial Statement Analysis, A Practitioner's Guide, 2002;
11. Е.В. Броило, АНАЛИЗ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ, Учебное пособие, Санкт-Петербургский государственный лесотехнический университет имени С. М. Кирова, Сыктывкар СЛИ 2012;
12. О.А. Толпегина, АНАЛИЗ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ, Москва 2007;
13. Г.Н. Ронова, Л.А. Ронова, Анализ финансовой отчетности, Учебно-методический комплекс, Москва 2008;
14. Бухарин С.В., Анализ финансовой отчетности, Институт менеджмента, маркетинга и финансов, ВОРОНЕЖ, 2009;
15. Баканов М.И., Мельник М.В., Шеремет А.Д., Теория экономического анализа. Учебник. Финансы и статистика, 2005;
16. Тинякова В.И., Математические методы обработки экспертной информации. Воронеж, 2006;
17. <http://www.iasplus.com/en/standards/ias/ias1>
18. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0--0prompt-10--.%2e-4---4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL1.24&d=HASH01fc188b3c12e5b6d45c666b.2.25#HASH01fc188b3c12e5b6d45c666b.2.25>

Nino Lomidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant-Professor*

The Core Theoretical Aspects of Financial Statement Analysis

The paper deals with the main theoretical issues of financial statement analysis related to the analysis methodology, techniques, practical methods and analysis technology. The article focuses on the importance and necessity of high-quality financial statements as the major source of financial analysis. The article also contains a discussion of the limitations of financial statements.

The author emphasizes the importance of financial statement analysis for the accurate economic decision-making and offers advice to private business' owners to implement reporting and interpretation of financial statements as a culture in order to assess the current financial position of their own companies and avoid any possible financial difficulties.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვის საკითხები

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი შემაღენელი ნაწილია საპენსიო სისტემის რეფორმა, ეს დაკავშირებულია იმ მნიშვნელოვან როლთან, რომელსაც ასრულებს საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სფეროში. იგი ქვეყნის სამთავრობო პროგრამის შემაღენელი ნაწილია და ამდენად პრიორიტეტული და მეტად აქტუალურია.

სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს საპენსიო სისტემის არსებით რეფორმას, რომელიც ამ სისტემის **დაგროვებით** პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, იგი დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კერძო საპენსიო ინსტიტუტები.

რა არის დაგროვებითი პენსია?

დაგროვებითი პენსია არის სისტემა, როდესაც ადამიანები დასაქმების პერიოდში ხელფასიდან და შემოსავლიდან ანარიცხებს (რეზერვს) აკეთებენ კერძო ან სახელმწიფო საინვესტიციო ფონდში. როდესაც მათ დაუდგებათ საპენსიო ასაკი, დაგროვილი თანხა გარკვეული პროცენტული დანამატებით უზრუნდებათ, როგორც პენსია. ანარიცხებს ფონდი ათავსებს მომგებიან აქტივებში, რომელსაც გარკვეული შემოსავალი მოაქვს საინვესტიციო ფონდისთვისაც და იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ფონდში გარკვეული შემოსავლები შეაქვს. პენსიის მოცულობა მთლიანად დამოკიდებულია საპენსიო შენატანის სიდიდესა და საპენსიო ფონდების მიერ განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის წარმატებასა და ფინანსურ მაჩვენებლებზე. ცხადია იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა მზარდია და ფინანსური ბაზრები – განვითარებული, ეს მოდელი (დაგროვებითი პენსია) ამართლებს, რადგან დაბანდებული პენსია მაღალ სარგებელს იძლევა. თუმცა, მეორე მხრივ, იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაცია და რისკები დიდია, შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაგროვილის გაუფასურებას.

დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება ამ სფეროში.

დაგროვებითი პენსია უნდა ეფუძნებოდეს საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, რომელიც არის შეთანხმება, რომლის თანახმად საწარმო უზრუნველყოფს თავის მუშაკთა დახმარებას სამსახურის დამთავრებისთანავე ან სამსახურის შეწყვეტის შემდეგ. ასეთი დახმარებები, ისევე როგორც შენატანები პროგრამაში, შეიძლება განისაზღვროს ან შეფასდეს წინასწარ, პენსიაზე გასვლამდე, რომელიმე დოკუმენტის ან საწარმოში დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე.

ჩვენ მიერ განხილული იქნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით შემოთავაზებული საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების ორი მოდელი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს 26) თანახმად საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები შესაძლებელია არსებობდეს ორი ფორმით, **დადგენილ შენატანიანი** და **დადგენილ გადასახდელიანი პროგრამის** სახით. ამასთანავე შეიძლება ცალკე ფონდის შექმნაც, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსით, ისე მის გარეშე, სადაც გადაირიცხება შენატანები და შემდეგ აღნიშნული ფონდიდან მოხდება საპენსიო დახმარების გადახდა.

დადგენილ შენატანიანი პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, რომლის თანახმად საპენსიო დახმარებისათვის გასაცემი თანხები განისაზღვრება საპენსიო ფონდში შენატანებისა და შემდგომში ამ ფონდიდან განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე.

დამქირავებელი იხდის ფონდში განსაზღვრულ თანხას და სხვა არანაირი ვალდებულება არა აქვს, თუ ფონდს არ ექნება საკმარისი სახსრები პენსიების გაცემის უზრუნველყოფად. საწარმოს მიერ საპენსიო ფონდში გადასახდელი შენატანების სიდიდე განისაზღვრება დაქირავებულთა ხელფასიდან ფიქსირებული პროცენტის სახით.

დადგენილ შენატანიანი საპენსიო პროგრამის მიხედვით მისაღები პენსიის სიდიდე განისაზღვრება საპენსიო ანგარიშზე დაქირავებულის პენსიაზე გასვლის დროისათვის განხორციელებული შენატანებით და ამ შენატანების გამოყენებით მიღებული საინვესტიციო შემოსავლებით.

რაც შეეხება დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას, იგი უფრო რთულია ვიდრე დადგენილ შენატანიანი პროგრამა. საპენსიო დახმარებისათვის გასაცემი თანხები განისაზღვრება ფორმულით, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოში დასაქმებულთა მიერ გამომუშავებული გასამრჯელო და წელთა ნამსახურობა.

ამ პროგრამის არსებითი განსხვავება დადგენილ შენატანიანი პროგრამისაგან ის არის რომ პენსიის სიდიდე განისაზღვრება ბოლო ხელფასიდან და გარანტირებულია დამქირავებლის მიერ. პენსიის სიდიდე არ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ განხორციელებულ შენატანებზე. კომპანია ეწევა მომავალში პენსიების გასაცემად საპენსიო ფონდში გადახდილი ფულადი ნაკადების რისკს და ვალდებულია საპენსიო ფულადი ნაკადების მართვის პროგრამის ზარალიანობის შემთხვევაში აანაზღაუროს სახსრების ნაკლებობა.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამები, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდნენ ისინი გულისხმობს დამოუკიდებელი საპენსიო ფონდის ფორმირებას, რომელშიც შეაქვთ შენატანები და საიდანაც ხდება პენსიების გადახდა. ასეთ ფონდებს შესაძლებელია მართავდნენ პირები, რომლებიც დამოუკიდებლად განკარგავენ ფონდის აქტივებს. ამ პირებს ნდობით აღჭურვილ პირებს უწოდებენ. აღნიშნული პროგრამების უმრავლესობა დაფუძნებულია ოფიციალურ შეთანხმებაზე.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის ზემოთ აღნიშნულ მოდელებს თავისი დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია.

დადგენილ შენატანიან პროგრამაში მისი მონაწილის სამომავლო დახმარების თანხა განისაზღვრება დამქირავებლის (საწარმო, კომპანია) ან მონაწილის, ან ორივე მხარის შენატანებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ფონდში შენატანები შეიძლება განხორციელოს დამქირავებელმაც. ფონდის ფორმირება შეიძლება აგრეთვე ფონდის საქმიანობის შედეგებითა და საინვესტიციო შემოსავლებით. დამქირავებლის ვალდებულება იფარება ფონდში განხორციელებული შენატანებით. მონაწილეები დაინტერესებულნი არიან ფონდის საქმიანობით, რადგან იგი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მათი სამომავლო დახმარებების სიდიდეზე. მონაწილეებს აინტერესებთ შემოსულია თუ არა ფონდში შენატანები და ხორციელდება თუ არა ამ თანხების სათანადო კონტროლი. მამასადაამე, დამქირავებელი დაინტერესებულია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების მომგებიანობით და კანონიერებით. რათა უზრუნველყოს მომავალში გადასახდელი პენსიების სიდიდე.

საწარმოსათვის შენატანები აღიარდება მიმდინარე პერიოდის საოპერაციო ხარჯად და ვალდებულებად, ხოლო განმარტებით შენიშვნებში აისახება: პროგრამის დახასიათება, მიმდინარე პერიოდის ხარჯი, წინასწარ გადახდები ან ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ბასს 26 ის თანახმად, თითოეული საწარმო ვალდებულია პერიოდულად წარადგინოს დადგენილ შენატანთან პროგრამის ანგარიშგება, რომლის მიზანია ინფორმაციის მიწოდება მისი მომხმარებლებისათვის პროგრამისა და მისი ინვესტიციების შედეგების შესახებ. აღნიშნული ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

ა) საანგარიშგებო პერიოდის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და ნებისმიერი ცვლილების შედეგების აღწერას, რომელიც ეხება პროგრამას, მონაწილეებს, ვადებსა და პირობებს;

ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის;

გ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

რაც შეეხება დადგენილ გადასახდელიან პროგრამებს, მათში საპენსიო დახმარებების გადახდა დამოკიდებულია პროგრამის ფინანსურ მდგომარეობასა და მონაწილეთა უნარზე, განახორციელონ შენატანები ამ პროგრამაში, აგრეთვე ინვესტიციების შედეგებსა და პროგრამის საოპერაციო ეფექტიანობაზე.

დადგენილ გადასახდელიან პროგრამებში აუცილებელია პერიოდული კონსულტაციების მიღება აქტუარებისაგან (პიროვნება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ ალბათობების გამოთვლასა და მათ საფუძველზე სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისა და წლიური რენტის გათვლას აწარმოებს), რათა მათ შეაფასონ პროგრამის ფინანსური მდგომარეობა, გადაამოწმონ ვალდებულებები და სამომავლო შენატანების სარეკომენდაციო დონეები.

დადგენილ გადასახდელიანი პროგრამების ანგარიშგების მიზანია, პერიოდულად უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია, დროის გარკვეულ პერიოდში დაგროვილ რესურსებსა და პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებებს შორის თანაფარდობის შესაფასებლად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ანგარიშის წარდგენით, რომელიც მოიცავს:

ა) ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი საქმიანობისა და ნებისმიერი ცვლილების შედეგების შესახებ, რომელიც ეხება პროგრამას, მის შემადგენლობას, ვადებსა და პირობებს;

ბ) ანგარიშგებას საანგარიშგებო პერიოდის ოპერაციებისა და ინვესტიციების შედეგების, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის;

გ) აქტუარებისაგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ჩართული იქნება ანგარიშგებაში ან წარდგენილი იქნება ცალკე ანგარიშგების სახით;

დ) საინვესტიციო პოლიტიკის აღწერას.

საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამით პენსიების გადახდის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამომავლო გადახდების აქტუარული დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება. იგი არის მომუშავის მიერ მიმდინარე და წინა პერიოდებში გაწეული მომსახურების შედეგად წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად მომავალში გადასახდელი თანხების დისკონტირებული ღირებულება, პროგრამის აქტივების ჩათვლით. გაანგარიშება უნდა განახორციელოს კომპანიამ.

Marina Maisuradze

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Issues of Recording and Reporting the Pension Provision Schemes

An enterprise makes payments to the Pension Fund and creates the assets of the Pension Program. These assets belong to the Fund and are used for performance of the Fund's obligation – issuing pensions for those persons secured under the program.

An obligation to the Pension Fund is established on the grounds of actual forecasting, through which the relationships between the Fund and the enterprise are arranged.

დარეჯან მესხიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

ლელია ქადაგიშვილი

*ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საგადასახადო კოდექსის მიხედვით ადმინისტრირების მექანიზმების ანალიზი

ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად გატარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების აკრეფის პროცესს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს, როგორც გადასახადის გადამხდელთა მხრიდან კუთვნილი გადასახადების დადგენილ ვადაში, დადგენილი ოდენობით გადახდასა და მათივე მხრიდან დეკლარირებას, ასევე აღნიშნულ პროცესებზე მონიტორინგსაც, რაც გამოიხატება საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მხრიდან საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელებაში. საგადასახადო ორგანოების მხრიდან საგადასახადო კონტროლის განხორციელების მიზნით საგადასახადო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ: შეამოწმონ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები; გადასახადის გადამხდელისგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან მიიღონ გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე; გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და მეწარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სავაჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ივენტარიზაციით აღრიცხონ საქონლის მარაგები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის, ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების რაოდენობა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო – სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები; გადასახადის გადამხდელი გამოიძახონ საგადასახადო ორგანოში (მის ნაცვლად შეიძლება მივიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია); დამოუკიდებლად განსაზღვროს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანახარჯების შესახებ), ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარმოარგენს საგადასახადო დოკუმენტაციას, ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში; გადასახადის გადამხდელისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციის სახით დაკისრებული თანხა; დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა; მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ

მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საგადასახადო ორგანოებს გადასახადების გადამხდელების შემოწმებისათვის შეუძლიათ განახორციელონ: ა) გასვლითი საგადასახადო შემოწმება, რომელიც მოიცავს გადასახადის გადამხდელის სრულ დოკუმენტალურ რევიზიას; ბ) კამერალური საგადასახადო შემოწმება, რომელიც მოიცავს გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე და დეკლარაციებზე დაყრდნობით ჩატარებულ რევიზიას; გ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და მათი შედარებითობის დადგენა საბუღალტრო-სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან; დ) საკონტროლო შესყიდვის წარმოება.

პრაქტიკაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესის გამოყენება არასწორად იქნა გაგებული. „საგადასახადო კოდექსის ითვალისწინებს (სამივე „საგადასახადო კოდექსის“ რედაქციაში აღნიშნული უცვლელად მეორდება) „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესს“ იმგვარად, რომ თუ გადასახადის გადამხდელი არ ახორციელებს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინდივიდუალურ-სახეობრივ აღრიცხვას, მას შეუძლია გამოიყენოს მათი აღრიცხვის რომელიმე წესი: ა) „FIFO“; ბ) „LIFO“; გ) „საშუალო შეწონილი ფასის მიხედვით“. საგადასახადო კანონმდებლობის ადმინისტრირების არასწორი გაგების მსურველთათვის კი მხოლოდ ერთი ცხადი, რომ გადასახადის გადამხდელმა აუცილებლად უნდა აწარმოოს საქონლის ინდივიდუალურ – რაოდენობრივი აღრიცხვა და თუ ეს უკანასკნელი არ აქვს ნაწარმოები, მაშინვე საგადასახადო ორგანო იყენებს ადმინისტრირების გამკაცრებულ წესებსა და არაა მიიჩნევა გადასახადის გადამხდელის მიერ სხვა სამი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენების უფლებას. დღემდე ზოგ შემთხვევებში, ეს პრაქტიკა ასევე უცვლელად გრძელდება.

როდესაც გადასახადების ადმინისტრირებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ დავავიქსიროთ ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის აქილევსის ქუსლი: „მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს!“ წარმოვიდგინოთ, რა არათანაბარ პირობებშია სასამართლო განხილვის დროს გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო ჩინოვნიკი. თუ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება მხოლოდ სახელმწიფო ბრალმძებელს და ყოველი ეჭვი რომელიც არ დადასტურდება უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, ასევე ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, ჩვენი საგადასახადო ადმინისტრაციული დავის პროცესში პირიქითაა, სიმართლის დასადასტურებლად, მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მან თავად უნდა დაარწმუნოს სასამართლო, რომ მოქმედებდა კანონის შესაბამისად და მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამართალდარღვევას, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ჩინოვნიკების მიერ შეთხზული „ქმნილებების“ საფუძველზე მას ყოველთვის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სტატუსი ენიჭება.

ზემოთქმული იმის დემონსტრირებაა, რომ მიუხედავად საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის არაერთგზის მცდელობისა, დღის წესრიგში კვლავ დგას საგადასახადო ორგანოებისა და საგადასახადო აგენტების გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობის მოწესრიგების აუცილებლობა.

აღსანიშნავია ის ცვლილებები რომლებიც განხორციელდა ბოლო „საგადასახადო კოდექსი“-ს მოქმედების პერიოდში:

- ბოლო კოდექსის მოქმედების სულ რაღაც ერთ წლიანი პერიოდის განმავლობაში შემოიღეს – „პირადი საგადასახადო მრჩეველის“ ინსტიტუტი. მის მოვალეობებში შედის: კანონმდებლობის ცვლილებების თაობაზე გადამხდელის ინფორმირება;

გადამხდელის მიერ საგადასახადო ანგარიშგების დროული განხორციელების ხელშეწყობა; საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრების ორგანიზება; გადამხდელთან ვიზიტების შესაძლებლობა. პირადი საგადასახადო მრჩეველის მომსახურებით უკვე სარგებლობს 130 კომპანია, მათ შორის, 80% მსხვილი გადამხდელია.

- ადმინისტრირების პროცესები სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად არის დაჩქარებული და სრულად, ელექტრონულ – ინფორმაციულ დონეზე მყისიერად კონტროლდება. 2012 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა ელექტრონული სასაქონლო ზედნადების გამოწერის პროგრამა (პროგრამა შევსების თვალსაზრისით წარმოადგენს სირთულეს გადასახადის გადამხდელისთვის, იმით, რომ ის ვეღარ შეძლებს განხორციელებულ ოპერაციაზე მოგვიანებით გამოწეროს, ან წინასწარ გამოწეროს ზედნადები); ამავე წელს შემოღებული იქნა ახალი საკონტროლო-სალარო აპარატები. სასაქონლო ზედნადების გამოწერის პროგრამა და საკონტროლო-სალარო აპარატები აღჭურვილნი არიან GGPRS სისტემით, რომლებიც კონტროლდება შემოსავლების სამსახურის სერვერით და გაყალბების და არადროულად დაფიქსირების შესაძლებლობა ნულს უტოლდება. აღნიშნული ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით საკმაოდ დიდი მიღწევაა, რადგან გვეძლევა საშუალება აღვრიცხოთ ყველა განხორციელებული ოპერაცია, რომელიც სამომავლოდ იქნება ისეთი შემოსავლის წყაროდ იქცეს სახელმწიფოსთვის, რომ ივარაუდოს საგადასახადო განაკვეთების შემცირება.
- არ შეიძლება არ აღინიშნოს რეგოლაციური მიღწევა, რომელიც სწორედ ბოლო საგადასახადო და საბაჟო კოდექსის გაერთიანების შედეგად იქნა ფორმულირებული, კერძოდ, უფრო მეტად გამარტივდა ერთმომღებთან ტვირთების განბაჟება: იმპორტიორი გადის ავტორიზაციას გაფორმების დეპარტამენტში (წინასწარ განცხადებით აცნობებს ტვირთის გაჩერების ადგილს); რისკების გაანალიზების საფუძველზე, გაფორმების დეპარტამენტს უფლება აქვს უარი განუცხადოს იმპორტიორს აღნიშნული მომსახურებით სარგებლობაზე; საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, ტვირთი მიემართება იმპორტიორის მიერ გაცხადებულ ადგილას. ერთმომღებთან ტვირთების განბაჟების დეკლარირება შესაძლებელია სამი გზით: 1. იმპორტიორი საბუთებს წარადგენს გეზ-ში; 2. იმპორტიორი თავად ავსებს დეკლარაციას ASYCUDA-ში; 3. გაფორმების ჯგუფი (დეკლარაციის შემსვენი ოფიცერი და ე.წ. „წითელი დერეფნის“ ოფიცერი) მიემართება იმპორტიორის ოფისში და ადგილზე აფორმებს ტვირთს. ამ მომსახურებით სარგებლობისათვის დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული; წითელ დერეფანში მოხვედრისას, ტვირთის დათვალეირება იმპორტიორის მიერ მითითებულ ადგილზე ხდება; რიგ შემთხვევებში, გაფორმების დეპარტამენტს უფლება აქვს მოითხოვოს ტვირთის წარდგენა გეზ-ში. სამომავლოდ იგეგმება ახალი საბაჟო პორტალებისა და საგადასახადო და საბაჟო სერვის-ცენტრების გახსნა.
- პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განხილვა არ არის საგადასახადო დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური მექანიზმი. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, დაუკმაყოფილებელი საჩივრების რაოდენობა საერთო საჩივრების 69%-ს აღემატება. გარდა ამისა დავის განხილვა შესაძლებელია გაგრძელდეს 60 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს გადამხდელის ქონების დაყადაღება და დამატებითი ხარჯები გარანტიისა და უზრუნველყოფის სხვა საშუალებების წარდგენასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავის განხილვის პირველი ეტაპი, დავის განხილვა შემოსავლების სამსა-

ბურში, აშკარად უშედეგოა გადასახადის გადამხდელისათვის, რადგან შემოსავლების სამსახური თავს არიდებს საკითხის გადაწყვეტას და მას მიანდობს დავების საბჭოს, რაც დაკავშირებულია დამატებით დროისა და ფინანსურ ხარჯებთან. სწორედ ამის გამო ბოლო კოდექსის ფუნქციონირების პერიოდში ჩამოყალიბდა ე.წ. „მედიაციის საბჭო“, რომლის დახმარებითაც გადასახადის გადამხდელი საბჭოსთან ერთად განიხილავს გადამხდელის პოზიციას/მრეტენზიას შემოწმების აქტის პროექტის შესახებ. ამასთანავე, ეს საბჭო საჩივრების დაკმაყოფილების და განხილვის მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

როგორც ვხედავთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით, უბრალო მარეგულირებელი კანონები გაერთიანდა ერთ კოდექსში – „საგადასახადო კოდექსში“, რომელიც ითვალისწინებს, როგორც კონკრეტული გადასახადებისა და სიტუაციების განმარტებებს, ასევე თავად ადმინისტრირების წესებსაც. საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა მიღებული ცვლილებების დახმარებით უფრო იოლი გახდა, კერძოდ გამარტივდა გადასახადის ოდენობის, კუთვნილი გადასახადის დაანგარიშება-დარიცხვა მომხმარებელზე და მიღებული ზედმეტობისა, თუ დავალიანების გაკონტროლება შემოსავლების სამსახურის საიტზე შექმნილი თითოეული გადამხდელის პირადი გვერდის დახმარებით. ახალი სალარო აპარატები საშუალებას იძლევა შემოსავლების სამსახურმა გააკონტროლოს თანხების მიღება მეწარმე სუბიექტის მიერ, რათა არ მოხდეს მიღებული შემოსავლების დაფარვა და მათი გადინება ჩრდილოვან ეკონომიკაში, ეს სერიოზული წინსვლაა, რადგანაც ჩრდილოვანი ეკონომიკა საკმაოდ სერიოზული პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნის შემოსავლების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს გადასახადის გადამხდელის ჯიუტი ბუნება, რომელიც ნაკლებად არის შეჩვეული მაქსიმალურ კონტროლს და ვფიქრობთ ამ კუთხით უფრო მკაცრი და სისტემატური კონტროლია განსახორციელებელი.

თუმცა ეს ყველაფერი საკმარისი არ არის სრულფასოვანი საგადასახადო კანონმდებლობისა და მისი უნიკალური სახელმძღვანელოს – „საგადასახადო კოდექსის“ მისაღწევად. საჭიროა მუდმივი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციისა და დახვეწის კუთხით. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თავისი ბუნებით ერთ-ერთი ყველაზე რთული და დიდი გადასახადი – დამატებული ღირებულების გადასახადი.

Darejan Meskhishvili
Leila Kadagishvili

The analyze of tax code administration mechanism

When properly implementing country's fiscal policy there is a special role for collecting taxes. This process itself consists of paying taxes by taxpayers in the correct date and in the specified amount and also monitoring on the abovementioned processes, which is displayed in implementation of tax control procedures by the tax organ staff.

According to the Georgian legislation and tax organ competence, in order to implement tax control, tax organs have right to:

Tax organs can implement for taxpayer checkups:

- a) Field Audit, which consists of the revision of taxpayer's whole documents;
- b) Desk Audit, which consists of the revision held according to the documents and declarations presented by the taxpayer;

- c) making stock of material supply and comparing with accounting document;
- d) making controlling purchases.

The administration process from the side of country is made maximally fast and at the same time is controlled on the electronic and informational level. We want to say that, beside the trying to improve tax code, there is also the will to regulate the relationships between tax agents, tax organs and taxpayers. It is worth to mark, that we have revolutionary achievement – because of uniting custom and tax codes, now is dramatically easy with customs clearance the load with one recipient.

But all these are not enough to achieve ideal tax law and its unique manual – tax code. It needs constant theoretical and practical work in improving and liberalizing the tax code.

თეა მუნჯიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების სრულყოფის გზები

1. კვლევის ობიექტი

ჩვენი კვლევის ობიექტი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნების სწავლების პრობლემატიკაა. ამჟამად საწარმოებში ძირითადად ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოება ხორციელდება. გამოიყენება სხვადასხვა სახის კომპიუტერული პროგრამები. სქართველოს ბაზარზე ფართო გამოყენება პოვა კომპიუტერულმა პროგრამებმა: 1C, ორისი, ორისმენეჯერი, სუპერფინი, აპექსი, Global Exec და სხვა. ბაზარზე შემოიტანება ახალი, ფაქტობრივად არსებულისგან გარკვეული პარამეტრებით ოდნავ განსხვავებული კომპიუტერული პროგრამები.

დადგა დრო ხელოვნურ ინტელექტში მიღებული შედეგების გამოყენებით შექმნილ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების ინტელექტუალური კომპიუტერული პროგრამა.

როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა ჯერჯერობით, ალბათ უახლოეს მომავალშიც, სიმძიმის ცენტრი ბუღალტერზე – სპეციალისტზე გადადის.

საქართველოს ეკონომიკაში ინდივიდუალური და მცირე საწარმოების ხვედრითი წილი საშუალოდ არსებული საწარმოების 77% – ია. ყველა საწარმოს ხელმძღვანელს უკლებლად ჭირდება მაღალკვალიფიციური ბუღალტერი – ფინანსისტი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ბუღალტრული აღრიცხვის თეორიას, პრაქტიკას, ელექტრონული წარმოების საშუალებებს.

საწარმოთა ხელმძღვანელების მოთხოვა მარტივია – უმაღლესდამთავრებული ეკონომისტი, ბუღალტრული აღრიცხვის პროფილით, სრულყოფილად უნდა ფლობდეს თეორიას და ელექტრული წარმოების პრაქტიკას. აქტუალურია ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით უმაღლეს სასწავლებელში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნების სწავლების მეთოდების სრულყოფა. მიუღებელია სწავლების არსებული მიდგომა, როდესაც სწავლება დრომოჭმული მეთოდით მხოლოდ დაფაზე ახსნით, სტუდენტის მიერ ლექციის ჩაწერით, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ამავე მიდგომით – გამოკითხვით ხორციელდება.

2. პრობლემის ანალიზი

ამჟამად, უმაღლეს სასწავლებლებში, ბაზრის მოთხოვნების „დაკმაყოფილების“ მიზნით შემოიტანება დამატებითი საგანი – კონკრეტული კომპიუტერული პროგრამით ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების სწავლება. იქმნება სიტუაცია: თეორია ცალკე, პრაქტიკა ცალკე. მიმდინარეობს კლასიკური ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. რიგ საგნებში, როგორცაა ზუსტ საბუნებისმეტყველო საგნები ახალი სწრაფად იმარჯვებს, რიგში კი – ძნელად. ასეთი მდგომარეობა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნების სწავლების დარგში.

ბუღალტრული აღრიცხვის საგნის პედაგოგი ფლობს რა ბუღალტრული აღრიცხვის თეორიას, მეთოდებს, ხერხებს, ელექტრონული წარმოების საშუალებების ცოდნას

მეორეხარისხოვნად თვლის. ამის შედეგია, რომ არამართო ასაკოვან და შუა ასაკის მაღალ-კვალიფიციური პედაგოგებს, არამედ ახლადგამოჩვეულ დოქტორებს ეკონომიკაში, რომლებმაც ვიწრო სპეციალობად ბუღალტერია აირჩიეს, ზოგადი წარმოდგენა აქვთ კომპიუტერულ ბუღალტრულ პროგრამებზე და, მით უმეტეს, მათი საშუალებით ბუღალტრული აღრიცხვის შემოქმედებით წარმოებაზე.

ამ ტიპის პედაგოგთა უმრავლესობა თვლის, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოება კომპიუტერის კლავიშებზე თითის დაჭერით შემოიფარგლება და რომ, საკმარისია მონაცემები შეიტანო და დანარჩენს პროგრამა ავტომატურად გააკეთებს.

ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების სწავლებისას კომპიუტერული პროგრამის სწავლების პედაგოგზე ორმაგი დატვირთვა მოდის. მან, ფაქტობრივად უნდა გაიმეოროს, სხვა კუთხით დაანახოს სტუდენტს ნასწავლი საკითხი და აუხსნას, ასწავლოს კომპიუტერული პროგრამით ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოება. როცა ჯგუფში საშუალოდ 30 სტუდენტია (ჩვენს შემთხვევაში ადგილი ქონდა ჯგუფში 60 სტუდენტის არსებობას) ფაქტობრივად დასმული ამოცანის – ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების სწავლა უმრავლესი სტუდენტებისთვის მიუღწეველი ხდება.

ასეთი სწავლების შედეგად მიღებული ცოდნით აღჭურვილ სტუდენტს ექმნება საგნის ცოდნის ილუზია, რომელიც დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის პირველსავე ნაბიჯზე უცრუვდება.

3. გადაწყვეტის გზები

გამოსავალი არც სპეციალიზებული კურსების შექმნაში არც სასწავლო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირებაში არ არის. პრინციპიალურად უნდა შეიცვალოს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნების სწავლების არსებული მეთოდი – სწავლება უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტული ქვეყნის ბაზარზე გავრცელებული აღრიცხვის სფეროში არსებული უახლესი კომპიუტერული პროგრამების სწავლებასთან მჭიდრო კავშირში. იგი თეორიასთან ერთი მთლიანი უნდა იყოს. ამჟამად გავრცელებული პრაქტიკა – ცალკე კომპიუტერული პროგრამების სწავლება მიუღებელი და საზიანოა.


ბუღალტრული აღრიცხვის საგნების უახლესი მეთოდით სწავლების მაგალითზე შეიძლება დაისვას საკითხი ეკონომიკური პროფილის საგნების სწავლების მეთოდების შეცვლის შესახებ უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საგნების სწავლების ჩვენი ხედვა, რომელშიც განსაკუთრებულს ვერ ვხედავთ, შემდეგია /სურ. 1/:

მეცადინეობის ჩატარების ტექნოლოგია ცხადია. როგორც ჩანს მეცადინეობის ჩატარების აუცილებელი პირობებია: აუდიტორიაში ვიდეო პროექტორის, ლოკალური ქსელის ან ინტერნეტის, პედაგოგის, სტუდენტებისთვის კომპიუტერის და სერვერის არსებობა.

სერვერზე განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტების, საგნების, საგნების მიხედვით თეორიული და პრაქტიკული (ამოცანების) მასალის არსებობა წარმოდგენილი ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო ინფორმაციის სახით, ტიპობრივი ამოცანების ამოხსნის მაგალითები და სხვა. კლიენტის (სტუდენტის, პედაგოგის) კომპიუტერზე ინსტალირებულია პროგრამები: პირველი – ცოდნის გამოვლენისა და შეფასების სისტემა „ვიბერ2“, რომლითაც ხორციელდება პედაგოგის მიერ ახსნილი მასალის ათვისება, თვით შემოწმება და მეორე – ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალური პროგრამა, მაგალითად ორისი, Global Exec ან სხვა. ამ პროგრამით ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მეცადინეობის ჩატარების საფუძველია პედაგოგის მიერ თეორიული და პრაქტიკული მასალის ბაზის შექმნა წარმოდგენილი ტესტებისა და ამოცანების სახით.



სურ. 1

კომპიუტერული სისტემით, „კიბერ2“-ით ცოდნის გამოვლენა ორი ნაწილისგან შედგება: თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმებასთან. ამ მიზნით ვიყენებთ ორი სახის ტესტებსა და ამოცანებს – ზოგადად ტესტებს: ღიას და დახურულს. დახურულს ვუწოდებთ ისეთ ტესტებს სადაც მაქსიმუმ 7 სავარაუდო პასუხიდან ამორჩეულ უნდა იქნეს მაქსიმუმ 3 სწორი პასუხი. ღია ტესტი ისეთი ტესტია, სადაც სწორი პასუხი (ები) ჩაწერილ უნდა იქნეს სტუდენტის მიერ. ღია ტესტში (ამოცანებში) პასუხების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

ცოდნის შეფასების თვალსაზრისით შესაძლებელია გაცემული პასუხები შეფასდეს წილობრივად ან სრული შეფასების პრინციპით. ამასთან ღია ტიპის ტესტში სხვადასხვა პასუხი სხვადასხვა ქულით შეიძლება იქნეს შეფასებული.

პასუხი შეიძლება იყოს სიტყვა, რიცხვი, წინადადება წარმოდგენილი: სახელობითი წინადადების სახით ან რიცხვებისა და სიტყვების კომბინაციით. სიტყვების დაწერისას სიტყვები შეიძლება დაწერილ იქნეს სხვადასხვა ბრუნებაში, აგრეთვე – სიტყვის მცდარი ვარიანტები.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ექსპლოატაციაშია „კიბერ2“-ის წინა ვერსია, რომლითაც 170 საგანში ხორციელდება მიმდინარე და ფინალური გამოცდების ჩატარება) დახურულ ტესტების შეფასება წილობრივი არ უნდა იყოს. სწორი პასუხების რაოდენობის მიხედვით სასურველია ტესტების განაწილება პროცენტულად შემდეგი იყოს:

	დასახელება	წილი %
	ტესტები 3 – 7 პასუხიდან ერთი სწორი პასუხით	10%
	ტესტები 5 – 7 პასუხიდან ორი სწორი პასუხით	30%
	ტესტები 6 – 7 პასუხიდან სამი სწორი პასუხით	60%

ღია ტესტების (ამოცანების) შეფასება როგორც წესი წილობრივია. პედაგოგის შეხედულებებისამებრ ამოცანის შეფასება შეიძლება არ იყოს წილობრივი.

ბუღალტრული აღრიცხვის უმრავლეს საგნების სწავლებისას საკმაო ხვედრითი წილი სამეურნეო ოპერაციების ამსახველ ბუღალტრულ გატარებებს უჭირავს. ბუღალტრული გატარების სტანდარტული სტრუქტურაა =<დებეტი><ანგარიშის № ><მნიშვნელობა ><კრედიტი><ანგარიშის № ><მნიშვნელობა>. ამ სტრუქტურაში <ანგარიშის №> მთელი დადებითი რიცხვია, მნიშვნელობა – დადებითი მთელი ან ათობითი რიცხვია. სტრუქტურაში გამოიყენება სიტყვები: დებეტი, კრედიტი ან ამ სიტყვების ჩაწერის ვარიანტები: დ, კ, დებ, კრ და ა.შ. ნებისმიერი ბუღალტრული გატარება ზუსტად აღნიშნული სტრუქტურით უნდა იქნეს დაწერილი. აქ არ შეიძლება სიტყვების გადაადგილება ან სიტყვების გამოტოვება/ჩამატება.

„კიბერ2“-ში გათვალისწინებულია ეს მომენტები და ხორციელდება სტუდენტის მიერ ჩაწერილი პასუხის სემანტიკური ანალიზი და დიაგნოსტიკა. სისტემასთან მუშაობისას სტუდენტმა შეიძლება გამოყენოს საგანზე, ტესტზე პედაგოგის მიერ შედგენილი დახმარება. საგანის დახმარება შეიძლება იყოს ბუღალტრულ ანგარიშგებათა გეგმა, ხოლო ტესტის დახმარება კი – შეიცავს ტიპობრივი ან კონკრეტული ამოცანის ამოსნას და მის ახსნას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრენინგის რეჟიმში მუშაობისას.

პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების საფუძველია პედაგოგის მიერ, საგნის სიღრმისით გათვალისწინებული თემების მიხედვით:

1. შედგენილი დახურული და ღია ტესტები (ამოცანები);
2. საგანზე შედგენილი დახმარება;
3. ტესტზე (ამოცანაზე) შედგენილი დახმარება.

თემების მიხედვით შედგენილი ტესტები შეიძლება რანჟირებულ იქნეს სირთულის მიხედვით. ნებისმიერი ტესტი შეიძლება აღწერილ იქნეს გრაფიკული ან ვიდეო გამოსახულებით.

მეცადინეობის დაწყებამდე პედაგოგი განსაზღვრავს მეცადინეობაზე ასათვისებელ თეორიულ და პრაქტიკულ მასალას, შეარჩევს მათ შესაბამის ტესტებს და მათ დავალების სახით აძლევს სისტემას. მასალის ათვისება ტრენინგის რეჟიმში ხორციელდება. ტრენინგის ხანგრძლივობას პედაგოგი განსაზღვრავს.

ტრენინგის დროს ხორციელდება პედაგოგთან ერთად ტრენინგით გათვალისწინებული ამოცანების განხილვა. ამოცანის ამოხსნის დამატებითი გზების ძიება და სხვა. ტრენინგის დამთავრების შემდეგ პედაგოგის მიერ პრეზენტაციის რეჟიმში ხორციელდება განხილული ტიპობრივი ამოცანის ელექტრონული გატარების სწავლება და კონკრეტული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამით სარგებლობის უნარ ჩვევების ათვისება.

მომდევნო მეცადინეობაზე „კიბერ2“-ით გამოცდის რეჟიმში ხორციელდება ათვისებული თემის/ქვეთემის ათვისების შეფასება, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების პროგრამით – ათვისებული მასალის რეალიზაციის ცოდნის შეფასება.

ტესტების ამორჩევა ალბათურად ხორციელდება. ტრენინგი/გამოცდა შეიძლება დამთავრებულ იქნეს: გამოცდისათვის გამოყოფილი დროის ამოწურვის ან ყველა ტესტზე პასუხის გაცემის ან სტუდენტის მიერ. პროგრამაში გათვალისწინებულია წვევების წერტილები ანუ ტექნიკური ან სხვა მიზეზებით გამოცდის შეწყვეტისას გამოცდის გაგრძელება

ხორციელდება შეწყვეტის ადგილიდან. ტრენინგის/გამოცდის დამთავრებისთანავე სტუდენტს შეუძლია დაათვალიეროს ტრენინგის/გამოცდის მიმდინარეობის ამსახველი ოქმი.

პროგრამა მრავალენოვანია. დაწერილია VB.NET 2010-ზე. მონაცემების ბაზა ორგანიზებულია SQL Server 2008 Windows server 2008-ის პლატფორმაზე.

4. დასკვნა

ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული წარმოების სწავლება თეორიისა და პრაქტიკის სწავლების განუყოფელი ნაწილია. ბუღალტრული აღრიცხვის საგნების სწავლების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს კომპიუტერულ კლასში თეორიის, პრაქტიკის ახსნის, ცოდნის გამოვლენისა და შეფასების პროგრამით გადაცემული მასალის თვით შემოწმებით და სპეციალური პროგრამით ელექტრონული გატარებების უნარ-ჩვევების გამომუშავებით.

ლიტერატურა:

1. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili, Knowledge demonstration and assessment system „Cyber1”, international Journal "Information Technologies & Knowledge" Volume 8, Number 3, 2014, pp. 271-279.
2. Munjishvil T., Munjishvil Z., Nakashidze V. System of knowledge revealing and rating – „Cyber 2”. 9th MIBES ANNUAL INTERNATIONAL CONFERENCE 2014 THESSALONIKI, GREECE, 30/5– 1/6. CD ISBN# 978-960-93-6161-3. pp. 111-121.

Tea Munjishvili

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The skills improve in the study of accounting

Here is discussed the system of rating and revealing of knowledge „Cyber 2”. In the open kind of tests – to recognize the correctness of the task answers is used the different type of analysis, starting from the so cold principle of table relevance finishing with semantic analysis. After acquiring knowledge and students’ self – testing directly with the next teacher, extended studies of material generalization, doing exercises and sums should be accomplished through dialogue. We mainly focus on the software computer system for holding trainings. The article further refers to the computer program of „cybertesting” for exposing knowledge and its estimation system with the help of which the vision of updated education system is achieved.

ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს კონსტიტუციური მანდატისა და ამ ორგანოს საქმიანობის დაგეგმვის ურთიერთკავშირის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საქმიანობის შემოწმების პროცესში ჩემს მიერ შესწავლილ იქნა რა ქვეყნის ამ უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ფუნქციონირების სამართლებრივი სივრცე, ამ ორგანოს კონსტიტუციური მანდატი და ამ მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართება ამ ორგანოს საქმიანობასთან, გამოირკვა, რომ პრაქტიკული საქმიანობის მთელი რიგი ასპექტები შეუსაბამობაშია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ დეკლარირებული პრინციპებთან.

აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი გარემოებებიდან: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს, მანდატი განსაზღვრულია რა საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 97-ე მუხლით, მისი ვალდებულებაა საქართველოს პარლამენტს დადგენილ ვადებსა და შესაბამისი საჭიროებისას წარუდგინოს **დამოუკიდებელი რწმუნება იმის შესახებ, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ხორციელდება მიზნობრივად, კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით**. ამ კონსტიტუციური მანდატიდან გამომდინარე, აღნიშნულ სამსახურს აქვს ვალდებულება ასეთი რწმუნება მიიღოს მხოლოდ მაღალ დონეზე ორგანიზებული, ეფექტიანი და კვალიფიციური აუდიტორული საქმიანობის შედეგად, რომელსაც უნდა ახორციელებდეს მის მიერვე დამოუკიდებლად განსაზღვრული პროგრამის, სამოქმედო გეგმისა და წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმის მიხედვით, მაღალკვალიფიციური აუდიტორების მეშვეობით. ამასთან ვითვალისწინებთ რა იმას, რომ აუდიტორული შემოწმება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი (მოიცავდეს უკლებლივ ყველა მხარჯავი დაწესებულების ერთი და იმავე პერიოდის საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებას), სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც წესი, რისკებზე დაფუძნებულ, შერჩევითი შემოწმებების განხორციელებით უნდა შემოიფარგლებოდეს. ამასთან შერჩევითი აუდიტები უნდა ტარდებოდეს წინასწარ შემუშავებული მოდელით და იმ რაოდენობითა და ისეთ სეგმენტებში, რომ შესაძლებელი გახდეს საჯარო სექტორში ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობის ხარისხისა და ხარჯვის შესაბამისობის შესახებ შესაბამისი ადექვატური დასკვნების მომზადება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი საქართველოს პარლამენტმა, საზოგადოებამ გამოხატოს მაღალი ნდობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ **საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით ხარჯვის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოცემულ დამოუკიდებელ რწმუნებაზე (დასკვნაზე, შეფასებაზე)**.

ზემოაღნიშნული მიზნების, მათი აღსრულებისათვის აუცილებელი მიდგომების განხორციელებისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახური უნდა განსაზღვრავდეს და ეყრდნობოდეს ერთი მხრივ, საბიუჯეტო პრიორიტეტებს, ამის შესაბამისად შერჩეულ აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა (მათ შორის, საქართველოსპარლამენტის) და საზოგადოებრივი აზრის გათ-

ვალისწინებას და, მეორე მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს რისკებზე დაფუძნებულ კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემისათვის მნიშვნელოვანი და მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირებას აუდიტორული საქმიანობის პრაქტიკაში აპრობირებული შესაბამისი აუდიტორული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის განვიტებას ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებლად განსაზღვრულ და გენერალური აუდიტორის მიერ დამტკიცებულ წლის აუდიტორულ შემოწმებათა გეგმაში.

ზემოაღნიშნული კი იმას ნიშნავს, ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოს-სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა გააჩნდეს წლის აუდიტორული შემოწმების გეგმა, რომლის პროექტის შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ ამ სამსახურის აუდიტორული მიმართულების დეპარტამენტები, აუდიტორები, საჯარო ფინანსების ხარჯვის გეგმის შედგენასა და საჯარო თანხების ხარჯვის ანალიზზე მომუშავე ამ სამსახურის ანალიტიკოსები, ანალიტიკოსთა ჯგუფები, რომლებიც შესაბამისი ინფორმაციების, ინფორმაციული ბაზების ანალიზის საფუძველზე უნდა იძლეოდნენ ინფორმაციას საბიუჯეტო თანხების ხარჯვის იმ სფეროებზე, ობიექტებზე, პროგრამებზე, სადაც მაღალია რისკი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად, არაკანონიერად და არაეფექტურად ხარჯვაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აუდიტის განმახორციელებელი დეპარტამენტების მიერ უნდა ხდებოდეს მაღალი სავარაუდო რისკის შემცველი მხარჯავი ობიექტების (მხარჯავი დაწესებულებების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, სახელმწიფო პროგრამების) იდენტიფიცირება, მათი აუდიტორული შემოწმების სახის და მეთოდების, საქმიანობის შესამოწმებელი პერიოდის შერჩევა და წინადადების წარდგენა შერჩეული ობიექტის აუდიტორული შემოწმების გეგმაში გათვალისწინებაზე შემოწმების წამოწყებისა და დამთავრების სავარაუდო ვადების, აუდიტორთა ჯგუფის (მთელი შემადგენლობის) წევრების მითითებით. ამ გეგმის პროექტის არსებითად განხილვის შემდგომ, შერჩეული ობიექტის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წლის აუდიტორულ შემოწმებათა წლის გეგმაში გათვალისწინებისა და გეგმის გენერალური აუდიტორის მიერ დამტკიცების კვალობაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისმა აუდიტორული შემოწმების საქმიანობაზე სპეციალიზებული დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელმა ჯგუფმა უნდა დაიწყონ აუდიტის ობიექტის წინასწარი შესწავლა, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება და მათი ანალიზი, აგრეთვე მოსამზადებელი პერიოდისათვის შესაბამისი აუდიტის სტანდარტით გათვალისწინებული სხვა ქმედებები.

აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობას, მეტწილად, განაპირობებს აუდიტის უშუალოდ პროცესის დაწყებამდე მაღალკვალიფიციური აუდიტორების მხრიდან სამუშაო არეალში მოქცეული მხარჯავი დაწესებულებების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და საჯარო ქონების მართვის პროცესებში შესაძლო რისკების გამოვლენა მონიტორინგის თანამედროვე მეთოდებითა და ფორმებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორების გუნდი უნდა აფასებდეს რისკის გარემოს, მათ შორის უნდა ახდენდეს რისკის იდენტიფიკაციას, რისკის ანალიზს და რისკის გაზომვასაც კი. რისკების იდენტიფიცირებისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეს ჯგუფი ეფექტიანად უნდა იყენებდეს ისეთ მეთოდებს, როგორცაა – წინა პერიოდის მოვლენების ანალიზი; რისკის არსებული მონაცემთა ბაზის ანალიზი; მოვლენათა განვითარების სხვადასხვა პოტენციური სცენარების ანალიზი; შესაბამის მხარჯავ დაწესებულებაში სხვადასხვა სტრუქტურის ან/და პირების მიერ განხორციელებული ფუნქციების სისტემატიზაციისა და სტრუქტურის ანალიზი და სხვა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის ორგანიზების, მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირებისა და აუდიტის ობიექტების შერჩე-

ვისათვის არ იყენებს მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის დეპარტამენტების საქმიანობის შედეგებს. ასეთი დასკვნების მათს საქმიანობაში გათვალისწინება და საჭიროებისამებრ გამოყენება აუდიტის სამსახურისათვის რეკომენდებულია, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობით („სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი), ასევე უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ აღიარებული ლიმაზ დეკლარაციის მიხედვით (ამ დეკლარაციის გამოყენების ვალდებულება აქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით). ამ დოკუმენტების გათვალისწინებით, სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური თამშრომლობდეს აუდიტის ობიექტების შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან და აუცილებლობის შემთხვევაში, ახორციელებდეს ფუნქციების გადანაწილებას.

აუდიტის სამსახური საერთოდ არ მიმართავს **წინასწარი აუდიტის** ფორმას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ფაქტამდე აუდიტორულ შემოწმებას, რომელსაც გააჩნია უპირატესობა აცილებულ იქნას მოსალოდნელი დარღვევები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ იყენებს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით მითვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლიმაზ დეკლარაციის მიხედვით, წინასწარი აუდიტი წარმოადგენს ადმინისტრაციული და ფინანსური საქმიანობის ფაქტამდე შემოწმებას.

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, მისი აუდიტორული საქმიანობის განმახორციელებელი დეპარტამენტების მიერ აუდიტორული საქმიანობის ზემოაღნიშნული ფუნდამენტალური საკითხები იგნორირებულია, რომელიც დადასტურებულია აუდიტის განმახორციელებელი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი 2013 წლის საქმიანობის ანგარიშებით, აგრეთვე იმითაც, რომ თხოვნის მიუხედავად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საპარლამენტო დროებითი კომისიის სამუშაო ჯგუფს ვერ წარუდგინა 2013 და 2014 წელს წამოწყებული აუდიტის ობიექტებზე აუდიტორული შემოწმების დაწყების საფუძვლები, რომელიც ადასტურებს, რომ აუდიტის განმახორციელებელი შესაბამისი დეპარტამენტები წინასწარ არ სწავლობენ აუდიტის ობიექტების საქმიანობას. აღნიშნული კი იმას ადასტურებს, რომ აუდიტის ობიექტის შერჩევა და აუდიტის წამოწყება ხდება გეგმის გარეშე, ქაოტურად და გაუგებარი კრიტერიუმებით, რომელიც მიუღებელია ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქმიანობისათვის.

მენეჯმენტის ამ მნიშვნელოვანი ფუნქციისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, აუდიტორები ობიექტის სპეციფიკისა და საქმიანობის შესწავლას, როგორც ჩანს, ახორციელებენ უშუალოდ აუდიტის ობიექტზე, რომელზეც იხარჯება საკმაოდ დიდი რაოდენობის აუდიტ-დღეები, და, რაც ყველაზე მთავარია, წინასწარ რისკების შესწავლისა და იდენტიფიცირების გარეშე ორგანიზებული აუდიტორული შემოწმებები, იწვევს არაეფექტიან, დროში გაწელილ აუდიტის ანგარიშების შედგენას. ასე, მაგალითად, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის „სამედიცინო დაწესებულებათა ოპტიმიზაციის პროგრამის“ სამედიცინო და სამინისტროს სისტემის რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის“ შესაბამისობის აუდიტი გრძელდებოდა 31 თვის (2 წლისა და 5 თვის) განმავლობაში (დაიწყო 2010 წლის 13 მაისს, ხოლო დამთავრდა 2013 წლის იანვარში).

ასეთი არაორგანიზებულობა საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს ბიუჯეტს, რომლის დასტურად შესწავლილ იქნა მთელ რიგ აუდიტორულ შემოწმებებზე გაწეული ხარჯების (აუდიტორებზე გაწეული წმინდა ხარჯების და საერთო ხარჯების) სიდიდე (ექსპერტული გათვლები), რომლის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მაგალითად: ეკონომიკური საქ-

მიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის 9 აუდიტორი მონაწილეობდა სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებაში. ეს აუდიტორული შემოწმება გრძელდებოდა 9 თვის მანძილზე. მასში მონაწილე აუდიტორებზე გაწეულმა წმინდა ხარჯებმა შეადგინა 150 276 ლარი, ხოლო საერთო ხარჯებმა 690 581 ლარი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსური და შესაბამისობის ანგარიშის შემსრულებელ 7 აუდიტორზე გაწეულმა წმინდა ხარჯებმა შეადგინა 162 766 ლარი, ხოლო საერთო ხარჯებმა 747 975 ლარი; ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის 8 აუდიტორის მიერ განხორციელებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმებისას დასაქმებულ აუდიტორებზე გაწეულმა წმინდა ხარჯებმა შეადგინა 76 848 ლარი, ხოლო საერთო ხარჯებმა 353 150 ლარი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორებზე მართო 2013 წელს (ეს შემოწმება გრძელდება 2014 წელსაც) გაწეულმა წმინდა დანახარჯებმა შეადგინა 94 009 ლარი, ხოლო საერთო ხარჯებმა 432 009 ლარი.

აუდიტორული საქმიანობის არაეფექტიანად ორგანიზებას, გარდა ზემოაღნიშნულისა და იმისა, რომ არაეფექტიანად ხორციელდებოდა საკონსტიტუციო მანდატით გათვალისწინებული საქმიანობა, მათ შორის, აუდიტორული შემოწმებები, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ 2011, 2012, 2013 და 2014 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებული იყო მეტისმეტად ზოგადი ამოცანების მისაღწევად, და ეს მაშინ, როცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 36-ე მუხლის მიხედვით ჰქონდა ვალდებულება მის მიერ შედგენილ საბიუჯეტო განაცხადში აესახა არანაკლებ დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის გათვალისწინებული ასიგნებები და განსახორციელებელი კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები, მოეხდინა დეტალური აღწერა აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, გამოეკვეთა კონკრეტული მიზნები, მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები. ნაცვლად კანონის ამ მოთხოვნისა, ზემოაღნიშნული წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებში ჩადებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განსახორციელებელი ისეთი ზოგადი ხასიათის ამოცანები და ღონისძიებები, რომელთა შესრულების შეფასება და მონიტორინგი, შედეგების გაზომვა პრაქტიკულად შეუძლებელია (შესაძლებელია მხოლოდ მაღალკვალიფიციური, მაღალანაზღაურებადი სპეციალურად შერჩეული ექსპერტების მიერ სპეციალურად ორგანიზებული მასშტაბური კვლევების შედეგად).

მსგავსი დამოკიდებულებით ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიმართ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შეიქმნა აუდიტორული საქმიანობის ორგანიზებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განუსაზღვრელობის პირობები და საქმიანობა მიმდინარეობდა თვითდინების რეჟიმში. შემუშავებული სტრატეგია კი, მისი ზოგადი ხასიათის გამო, არ იძლეოდა დროში გაწერილი გასატარებელი ღონისძიებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აუდიტორების დატვირთვის მაჩვენებლების შესწავლისას დადგენილია, რომ 2013 წელს მთელი წლის განმავლობაში აუდიტორულ შემოწმებებში მონაწილეობა არა აქვს მიღებული 12 აუდიტორს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ფაქტიურად დასაქმებული აუდიტორების 11 %-ს შეადგენს. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მიხედვით წარმოადგენდა აუდიტის განმახორციელებელ დეპარტამენტს, რომელსაც ჰყავდა 15 თანამშრომელი, მათ შორის, 2 წამყვანი აუდიტორი, 4 უფროსი აუდიტორი, 4 აუდიტორი და 3 აუდიტორ ასისტენტი, 2013 წელს არ ერიცხება არცერთი დამთავრებული აუდიტორული შემოწმება. ამ დეპარტამენტს წამოწყებული ჰქონდა 2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი საქართველოს სახალხო დამცვე-

ლის აპარატში. 2011-2012 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ასევე, განაახლა შეწყვეტილი ცენტალური საარჩევნო კომისიის აუდიტორული შემოწმება, რომელიც 2014 წლის 21 მაისისათვის არ ჰქონდა დამთავრებული.

აუდიტის პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით არსებითად ვამახვილებ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტის ობიექტზე აუდიტორული შემოწმების წამოწყება არც თუ ისე იშვიათად ხდება აუდიტის წერილში ამ ობიექტზე მივლინებული აუდიტორების ვინაობის მითითების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ რეკომენდებული სტანდარტების მოთხოვნებს.

აუდიტორული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას არ უწყობს ხელს სახელმწიფო სამსახურის დღემდე მოქმედი რეგლამენტი, რომელიც ძირითადად მოიცავს ფუნქციებისა და ორგანიზების მხოლოდ ნაწილს, ხოლო ვალდებულებები თითქმის იგნორირებულია. ამასთან, გაცილებით მეტ დაკონკრეტებას მოითხოვს გენერალური აუდიტორის მოადგილეთა ფუნქციები და ვალდებულებები ისეთ პირობებში, როცა აუდიტის ანგარიშების, როგორც საკონსტიტუციო მანდატის განხორციელების მთავარი „პროდუქტის“, დამტკიცების ფუნქცია დელეგირებული აქვს აუდიტის განმახორციელებელი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, რეგლამენტი მთლიანობაში შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ მიღებულ რეკომენდაციებთან.

ბ) ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში უნდა განივთებულიყო: ამ ორგანოს საქმიანობის შერჩეული პრიორიტეტები და სტრატეგია, ქვეყნის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონში გათვალისწინებული სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით; აუდიტის პოტენციური თემები და სწორად შერჩეული მხარჯავი უწყებები, რომელიც, როგორც წესი, უნდა დაყრდნობოდა წინა წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების მონაცემებს და რისკებზე პროფესიულად მოპოვებულ ინფორმაციას; ის ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პროცესის სისტემატიზაციისათვის (რესურსების გათვლისათვის, აუდიტის ობიექტის აუდიტორული შემოწმებისათვის აუცილებელი ადეკვატური კვალიფიკაციის აუდიტორების შერჩევისათვის, აუდიტორული ჯგუფების მიერ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებითა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი სახელმძღვანელოებით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების, მათ შორის, ობიექტის აუდიტის გეგმისა და პროგრამის შედგენისათვის, აუდიტის ობიექტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლისათვის), შესრულებისა და უკვე შესწავლილი რისკების ზონის აუდიტის მეთოდებით დაფარვისათვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფისათვის, მხარჯავი უწყებების რისკ-პროფილების ფორმირების პროცესის ხელშეწყობისათვის;

გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აუდიტის 2013 წლის დამტკიცებული გეგმის არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს და შექმნიდა საკმაოდ მნიშვნელოვან საფუძვლებს სამსახურის, მისი მენეჯმენტის, აუდიტორული პროფილის დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და დაგეგმილ შემოწმებებში მონაწილე აუდიტორების საქმიანობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისათვის (თუ აუდიტის 2013 წლის გეგმა დამტკიცდებოდა 2012 წლის დეკემბერში მაინც) და საგრძნობლად შეამცირებდა პოლიტიკური კონიუნქტურის (2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები) გავლენას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორულ საქმიანობაზე.

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად ჩემს მიერ დადგინილია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2013 წელს არ დაუმტკიცებია აუდიტის წლიური გეგმა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობის შემსწავლელმა სამუშაო ჯგუფი იგივე ფაქტი დააფიქსირა 2012 წლის საქმიანობაზე, იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 და 2013 წლებში საქმიანობდა დამტკიცებელი აუდიტის გეგმის გარეშე. ასეთი ქმედებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დარღვეულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-2 თავის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, ეს ფაქტი მიანიშნებს შემდეგზე – აუდიტის საქმიანობის გამახორციელებელ დეპარტამენტებს, მათ აუდიტორებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა:

1. განესაზღვრათ აუდიტორული საქმიანობის რეალური პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც უნდა დაყრდნობოდა, ერთი მხრივ, დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას, მეორე მხრივ, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემისათვის მნიშვნელოვანი და მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირებას;

2. განესაზღვრათ აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის ორგანიზაციული კრიტერიუმები, კერძოდ, მხარჯავი დაწესებულებებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების რისკ-პროფილების ფორმირება, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ, გამოევლინათ, როგორც ცალკეული უწყებების მართვაში არსებული ნაკლოვანებები, ასევე სისტემური ხარვეზები, რომლებიც შესაძლოა სისტემურ დონეზე (მეთოდოლოგიური ასპექტების ან საკანონმდებლო გარემოს დახვეწას) ძალისხმევას საჭიროებდა. რისკ-პროფილის ფორმირება უნდა დაყრდნობოდა, ერთის მხრივ, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის პროცესში ჩატარებულ ანალიტიკურ პროცედურებს და წარსულში ჩატარებული აუდიტების შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, საჯარო ინფორმაციის (მათ შორის დეპუტატების მხრიდან ლეგიტიმური ფორმით, შესაბამისი მოტივებით გამოთქმულ მოსაზრებებს) სხვადასხვა წყაროებს;

3. შესაბამისობაში მოეყვანათ საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამითა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2013 წლის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიასთან, განსახორციელებელ აუდიტორულ შემოწმებათა თემატიკასა და აუდიტის ობიექტებთან;

4. დაეგემათ აუდიტორების საქმიანობა (აუდიტორების დატვირთვა), აღნიშნულით მიეცათ აუდიტორებისათვის საშუალება ჩატარებინათ მოსამზადებელი სამუშაოები უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ დამტკიცებული აუდიტის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტორული საქმიანობის დაუგეგმაობის გამო სახელმწიფო აუდიტის სამსახური არარაციონალურად და არაეფექტიანად იყენებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დასაქმებულ აუდიტორებს; დადგენილია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 12 აუდიტორს (ფაქტიურად დასაქმებული აუდიტორების საერთო კონტიგენტის 11 %-ს) მთელი 2013 წლის განმავლობაში არ მიუღიათ მონაწილეობა არც ერთ ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებაში, რომელიც, გარდა იმისა რომ მათ ასეთ „საქმიანობაზე“ დაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები, იწვევს მათს დეკვალიფიკაციას. სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა აღნიშნულის საპირისპირო ფაქტები - აუდიტორული საქმიანობის დაუგეგმაობის მიზეზით, აგრეთვე აუდიტორების თანამდებობების დაუკომპლექტებლობის, აუდიტორების შერჩევის არასწორი პოლიტიკის განხორციელების შედეგია ალბათ ისიც, რომ 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 52-ზე მეტი აუდიტორი ერთდროულად მონაწილეობდა რამდენიმე (აუდიტის სხვადასხვა სახე-

სა და ობიექტზე, საშუალოდ 5) აუდიტორულ შემოწმებაში (ანუ ჩართული იყო „აუდიტორულ მართონში“), რომელიც, როგორც წესი, არსებით გავლენას ახდენს აუდიტორული შემოწმების ხარისხზე და სათუოს ხდის- ამცირებს ასეთი აუდიტორულ შემოწმების ხარისხს და გამოცემული აუდიტორული დასკვნებისადმი ნდობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მენეჯმენტის მხრიდან აუდიტის წლის გეგმისადმი ასეთი დამოკიდებულება ზიანს აყენებს აუდიტის ეფექტიანობას, არაორგანიზებულს, ქაოტურს და არაეფექტიანს ხდის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს აუდიტორულ საქმიანობას და რაც მთავარია, ქმნის საფუძველს ქვეყნის საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, კანონმდებლობის შესაბამისად და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებელი რწმუნებისადმი ნდობის დაქვეითებისათვის და ტოვებს „ღია კარებს“ პოლიტიკური კონიუნქტურისათვის, შესაბამისად ქმნის საფუძველსა და წინაპირობებს ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს დამოუკიდებლობის ხელყოფისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საქმიანობის შესწავლის შედეგად დადგინდა საკმაოდ მჭიდროა ურთიერთკავშირი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში დაფიქსირებულ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განსახორციელებელ კონკრეტულ ამოცანებს, ამ ამოცანების შესრულებას, უწყების საქმიანობის აუდიტორული საქმიანობის გეგმასა და განხორციელებულ აუდიტორულ შემოწმებათა შედეგებს, მათი შესრულების ხარისხს შორის, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოცემული აუდიტორული დასკვნებისადმი საქართველოს პარლამენტისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა: ა) შეიმუშაოს ინსტრუქცია აუდიტის შედეგების სისტემატიზებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშებისათვის, დანერგოს იგი პრაქტიკაში, რომლითაც გამოირიცხება ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ფლობს ინფორმაციას აუდიტორული შემოწმებებით გამოვლენილი კანონდარღვევების სახეებზე, მასშტაბებზე, მოცვის ხარისხზე და სხვა მაჩვენებლებზე; ბ) ყოველი წლის დასასრულს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგინოს მომავალი წლის სტრატეგიული გეგმა, მათ შორის ჩაშლილი წლების მიხედვით) და აუდიტის საქმიანობის კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებები. ამ დოკუმენტების შედგენისას გაითვალისწინოს შემდეგი: შედგენილ წლის საბიუჯეტო განაცხადში ასახოს არანაკლებ დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის დადასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან განსახორციელებელი კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები, მოეხდინოს მათი დეტალური აღწერა აღნიშნულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, გამოკვეთოს კონკრეტული მიზნები, მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორები. ყოველი წლის დეკემბრის თვეში უზრუნველყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მომდევნო წლის აუდიტორულ შემოწმების გეგმის დამტკიცება. არ დაუშვას აუდიტორული საქმიანობის ორგანიზება მოქმედი კანონმდებლობით და უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ რეკომენდებული პროცედურებით შედგენილი, განხილული და დამტკიცებული გეგმის გარეშე; უზრუნველყოს აუდიტორული შემოწმების ხარისხის შესაბამისობა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების მიერ აღიარებულ პრინციპებთან და აუდიტის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

Murad Narsia

Associate Professor

Georgian National University


About some aspect of the constitutional mandate of the Country's supreme audit body and interconnection of the planning of affairs

The article actuality determines the author's research that shows foreseen interconnection of this body affair planning and execution of the audit checking quality obligation by the constitutional mandate of the State auditor service by trusting the issued audit conclusions.

In the research author shows in 2013 neglecting fact of the audit affair planning as the management main function, also are researched their results and worked out conclusions where such audit affair dependence from the State auditor service management damages audit effectiveness, makes supreme audit body non organized, chaotic and non effective and the main is it decreases trust toward State audit service and opens doors to the political situation. So all this make base to the country's supreme audit body independent infringement. Are drawn recommendations for improvement of the planning.

მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებები მრავალეროვნულ კომპანიებში

მენეჯერული გადაწყვეტილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მმართველობითი საქმიანობის პროდუქტი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესი (იხ. სქემა 1.1), არსებული ალტერნატივებიდან ორგანიზაციისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ღონისძიებათა ერთობლიობა. იგი მოიცავს ისეთ ელემენტებს როგორცაა: პრობლემები, მიზნები, ალტერნატივები და გადაწყვეტილებები. როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღების დროს მენეჯერები ადგენენ პრობლემებსა და გამოვლენილ შესაძლებლობებზე რეაგირებისათვის საჭირო ქმედებათა თანამიმდევრობას. [3, გვ. 191]



წყარო: [6, გვ. 165]

სქემა 1.1 მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების პროცესი

დღესდღეობით მრავალეროვნული კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში სულ უფრო იზრდება თუ მხედველობაში მივიღებთ მათი ფინანსური რესურსების, ადამიანური რესურსების, დასაქმებასა თუ წარმოებული პროდუქციის მოცულობას. გაეროს მონაცემებით 2012 წლისათვის მსოფლიოს მასშტაბით მრავალეროვნული კომპანიების რაოდენობამ თითქმის 80 000-ს მიაღწია თავის 810 000-მდე შვილობილი თუ ფილიალური კომპანიით, 72 მლნ-მდე დაქირავებული ადამიანით და 23 ტრილიონზე მეტი აშშ დოლარის რეალიზებული პროდუქციის ღირებულებით, მაშინ როდესაც, მათი რაოდენობა 1990 წლის მონაცემებით, მხოლოდ 37 000 სათავო კომპანიასა და შვილობილ ფირმას მოიცავდა. [10] ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მრავალეროვნული კომპანიები ძირითადად ბიზნესოპერაციებს ახორციელებენ მრავალფეროვან კულტურულ გარემოში, სადაც კულტურული ფასეულობები სულ უფრო აღრეულია და გაურკვევლობის დონე საკმაოდ მომატებული. შესაბამისად, ასეთ კომპანიებში დაქირავებულ მენეჯერებს ნამ-

დვილად ესაჭიროებათ მართვის განსხვავებული მიდგომებისა და გადაწყვეტილების მიღების ახლებური ხედვების ჩამოყალიბება.

ცნობილია, რომ მენეჯერთა სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი იხარჯება სწორედ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მისი მნიშვნელობა, რაოდენობა და სისწორე კი დიდ წილად განსაზღვრავს ორგანიზაციის მომავალ წარმატებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მრავალეროვნულ კომპანიას, რომელსაც საქმიანობა უწევს განსხვავებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ კულტურული ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ.

ცნობილია გადაწყვეტილების მიღების პროცესისადმი ორი განსხვავებული მიდგომა: **1. ნორმატიული მოდელი;** **2. დესკრიფციული მოდელი.** გადაწყვეტილების მიღების ნორმატიული მოდელის თანახმად, ოპტიმალური გადაწყვეტილების ძებნაში მენეჯერები ხელმძღვანელობენ ლოგიკით და ჯანსაღი აზრით. დესკრიფციული მოდელი კი პირიქით, გვიმტკიცებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ზოგიერთი ქვევითი ასპექტი ზღუდავს მენეჯერის შესაძლებლობას, ყოველთვის ლოგიკით და ჯანსაღი აზრით იხელმძღვანელოს. [2, გვ. 314]

საერთაშორისო მენეჯმენტის თვალსაზრისით, მართვის პროცესზე და ზოგადად ორგანიზაციაზე ზემოხსენებულ სხვა ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებული გავლენა აქვს კონკრეტული ქვეყნის კულტურას. ამ შემთხვევაში ლოგიკურად იბადება შეკითხვა, ხომ არ უნდა შეიცვალოს გადაწყვეტილების მიღების ფილოსოფია და პრაქტიკა ქვეყნების მიხედვით? ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, საერთაშორისო ოპერაციებში მენეჯერული გადაწყვეტილებები მაინც ერთმანეთის მსგავსია, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, დანიელი და ფრანგი მენეჯერები ცდილობენ უცხო ქვეყანაში გამოიყენონ გადაწყვეტილებათა მიღების განსხვავებული მიდგომა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი ადგილობრივი მენეჯერების ჩართვის გარეშე, დამოუკიდებლად ეძებენ უფრო მეტ შესაძლებლობებსა და ალტერნატივებს რათა მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები, თუმცა ამ მიდგომის უარყოფით მხერად შეიძლება მივიჩნოთ საკმაოდ დიდი დროითი დანახარჯი. გერმანიაში მენეჯერები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან პროდუქტიულობაზე და ნაკლებ დროს უთმობენ ქვეშევრდომებს, გარდა ამისა მოცემულ ქვეყანაში მოქმედებს ფორმალური სისტემა სახელწოდებით „კოდეტერმინაცია“, რომლის მიხედვითაც მენეჯერები და დაქვემდებარებული მომუშავეები ვალდებულნი არიან ერთობლივად განიხილონ ძირითადი გადაწყვეტილებები.

მიუხედავად ზემოხსენებული ტენდენციებისა, გადაწყვეტილების მიღების მიმართ მიდგომები შეიძლება განსხვავებული იყოს ქვეყნებისა თუ რეგიონების მიხედვით. როგორც ბოლო დროინდელი კვლევები გვიჩვენებს, ბრიტანული მრავალეროვნული კომპანიების უმრავლესობა ხასიათდება დეცენტრალიზაციის მაღალი დონით. ამის მიზეზად კი შეიძლება ჩაითვალოს მაღალი რგოლის მენეჯერთა ბიზნესის ტექნიკურ დეტალებში მაღალი კომპეტენტურობა. მათგან განსხვავებით იაპონური მრავალეროვნული კომპანიები იყენებენ გადაწყვეტილების მიღების აბსოლუტურად განსხვავებულ მეთოდს, რომელსაც ეწოდება „რინგისი“. მოცემული მიდგომა იაპონიაში თავდაპირველად 1870 წელს საჯარო სექტორში დამკვიდრდა და მისი მიხედვით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მას შემდეგ, რაც კონკრეტული წინადადება თანმიმდევრულად განიხილება მენეჯმენტის იერარქიის თითქმის ყველა დონეზე, თითოეულ ეტაპზე კი გადაწყვეტილება კონსესუსის გზით მიიღება. [5, გვ. 366-367]

ვრუმი და იეტონი განიხილავენ გადაწყვეტილების მიღების სამ ძირითად მიდგომას, ესენია:

1. ცენტრალიზებული გადაწყვეტილებები – როდესაც მენეჯერი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას ქვეშევრდომებთან მცირე განხილვის შემდეგ;

2. **კონსულტაციური გადაწყვეტილებები** – ამ დროს მენეჯერი გადაწყვეტილების მიღებად აქტიურად ცდილობს ინფორმაციის თუ რჩევების მიღებას დაქვემდებარებულებისგან, თუმცა საბოლოოდ მაინც ერთპიროვნულად იღებს მმართველობით გადაწყვეტილებას.

3. **ერთობლივი გადაწყვეტილებები** – ამ შემთხვევაში მენეჯერი მჭიდრო ინტერაქცი-შია დაქვემდებარებულებთან და საბოლოოდ მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილებები.

0 მოცემულ მიდგომებთან ერთად ხსენებული მეცნიერები რატომღაც არ განიხილავენ გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთ, ფართოდ გავრცელებულ დეცენტრალიზებულ მეთოდს, რომელსაც შესაძლოა ჩამოთვლითაგან მესამე მეთოდთან გარკვეული მსაგვსება ჰქონდეს, მაგრამ იგი მაინც ცალკე აუნდა გამოვყოთ, რადგან ის ეფუძნება გარკვეული ფუნქციებისა და გადაწყვეტილებების მიღების დელეგირებას მრავალეროვნული კომპანიების საშუალო და დაბალი რეგოლის მენეჯერებზე.

ზოგადად ორგანიზაციებში მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება დავყოთ **პროგრამირებად და არაპროგრამირებად** გადაწყვეტილებებად. პირველი მათგანი მიმართულია ორგანიზაციული პრობლემების საპასუხოდ და რეგულარულად მეორდება. ხოლო მეორე მენეჯერების მიერ მიიღება სპეციფიკურ სიტუაციაში და უკავშირდება ახალი პრობლემების და შესაძლებლობების წარმოშობას. მსგავსი გადაწყვეტილებები მრავალეროვნულ კომპანიებში ხშირად გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის დროს. მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით კი განასხვავებენ **სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერატიულ** გადაწყვეტილებებს.

საერთაშორისო მენეჯმენტის ჭრილში კი მმართველობითი გადაწყვეტილება ესაა საერთაშორისო მენეჯერის მიერ არჩეული კურსი სხვადასხვა ალტერნატივის გათვალისწინებით, რომელიც მისადაგებული იქნება საერთაშორისო ბაზარზე არსებულ კონიუნქტურასთან. მრავალეროვნულ კომპანიებში მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული გზით. ცხადია, პირველ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება მაღალი რეგოლის მენეჯერების მიერ. მეორე შემთხვევაში კი გადაწყვეტილებას უფრო დაბალი რეგოლის მენეჯერები იღებენ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მრავალეროვნული კომპანიების სათავე ოფისში მიღებული გადაწყვეტილებები დიდად ეხმარება შვილობილ თუ ფილიალ კომპანიებს, რათა შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებზე.

ბოლო წლებში აშშ-ს კერძო კომპანიებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სულ უფრო მეტი კომპანია იყენებს დეცენტრალიზებულ გადაწყვეტილებებს. მოცემული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული კომპანიების უმეტესობა, რომელშიც დასაქმებულია 50-ზე მეტი ადამიანი, სწორედ ასეთ მიდგომას ანიჭებს უპირატესობას (პ. ოსტერმანი, 1994 წ). ასევე აღსანიშნავია, რომ დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების დროს მომუშავეები უფრო მეტად მოტივირებულნი არიან. [9, გვ. 1-2]

ზოგიერთ შემთხვევაში მრავალეროვნული კომპანიების ძირითადი გადაწყვეტილებები ორიენტირებულია ძირითადად ფილიალი საწარმოებიდან ინვესტიციების უკუგებაზე. მაგალითად, Ford Motors-მა ინვესტიციების ეფექტიანი უკუგების მიზნით ინდოეთის ბაზრისათვის შეიმუშავა ე.წ. „პატარა ავტომობილის პროექტი“ და ამისათვის Ford-ის ინჟინრებმა უკვე არსებული Ford Fiesta-ს მოდელის ბაზაზე შექმნეს უფრო იაფი და მარტივი მოდელი Ford Figo. Ford India-ს პრეზიდენტი მაიკლ ბინემმა 2010 წელს Forbes-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ მოცემულმა მოდელმა ინდოეთში ნამდვილი ფურორი მოახდინა და მათი წარმოებიდან პირველ 100 დღეში შეკვეთების რაოდენობამ 25 ათას ცალს გადააჭარბა, რაც ვერ უზრუნველყო მანამდე იმავე მიზნით შექმნილმა ავტომობილის წინა ორმა მოდელმა (Ford Fiesta, Ford Ikon). [1, გვ. 62]

მენეჯერულ გადაწყვეტილებებზე, რა თქმა უნდა, ზემოქმედებს მრავალი ფაქტორი (იხ. ცხრილი 1.1). ამ კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ცენტრალიზებული მართვის მეთოდს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ოპერაციების ეფექ-

ტიანი კოორდინაცია. შესაბამისად, რაც უფრო დიდია მრავალეროვნულ კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, მით უფრო იზრდება ალბათობა იმისა, რომ გადაწყვეტილებებს ისინი ცენტრალიზებული გზით მიიღებენ, რადგან სათავო ოფისს ყოვლთვის სურს, რომ მეტი კონტოლი განახორციელოს საკუთარ ფინანსურ რე-სურსებზე. შესაბამისად, ფილიალის მენეჯერები ვალდებული არიან სათავო ოფისს წა-რუდგინონ დეტალური ფინანსური ანგარიშები. ამ მიმართულებით ორმხრივი ვიზიტები სათავო კომპანიასა და შვილობილ საწარმოს შორის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ზოგჯერ სხვადასხვა ფილიალებში მუდმივად იმყოფებიან სათავო კომპანიის წარმომად-გენლები და ცხადია, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანი და მომგებიანია მრავალეროვნული კომპანიისათვის საერთაშორისო ოპერაციები, მით უფრო მკაცრად აკონტროლებს იგი შვი-ლობილ თუ ფილიალ კომპანიებს. მაგალითად, განვიხილოთ ნავთობპროდუქტების, გაზი-სა, ქიმიკატების მწარმოებელი და გამავრცელებელი უმსხვილესი ჩინური კომპანია (დაახ-ლობთ 100 სახეობის პროდუქტის მწარმოებელი) PetroChina International Co., Ltd (PetroChina International), რომელიც ახორციელებს ხსენებული პროდუქციის გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციას მსოფლიოს მასშტაბით. მისი 80-მდე ფილიალი თუ წარმომადგენლობა 40 სხვადასხვა ქვეყანაშია განთავსებული. PetroChina International-ის აქ-ციები 2000 წლის წარმოდგენილია ნიუ-ორკისა და ჰონკონგის საფონდო ბირჟებზე, ხოლო 2007 წლიდან შანხაის ბირჟაზე. მოცემული მასშტაბების გათვალისწინებით PetroChina-თვის უფრო მეტად ეფექტიანი იქნება გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზებული მეთოდი, რადგან მას ნამდვილად გაუჭირდება ადგილობრივი პირობებისაგან სრულიად განსხვავებულ გარემოში გაფანტული ფილიალების კოორდინირება და კონტროლი.[11]

ცხრილი 1.1

ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშემწყობი ზოგიერთი ფაქტორი

ცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი ფაქტორები	დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი ფაქტორები
<ul style="list-style-type: none"> • მრავალეროვნული კომპანიის დიდი ზომა; • საინვესტიციო კაპიტალის დიდი მოცულობა; • ძლიერი კონკურენტული გარემო; • პროდუქციის მოცულობასა და ერთეულის ფასს შორის თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი; • მაღალი დონის ტექნოლოგიები; • ბრენდის, სახელწოდებისა და პატენტის დიდი მინშვნელობა; • პროდუქციის დივერსიფიკაციის მაღალი დონე; • ჰომოგენური პროდუქციის ხაზი; • მცირე გეოგრაფიული მანძილი სათავო კომპანიასა და შვილობლ საწარმოს შორის; • ქვედანაყოფების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი; • მასპინძელ ქვეყანაში ქვედანაყოფებს შორის შედარებით მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი; • მენეჯერთა დაბალი კომპეტენტურობა; • დიდი საერთაშორისო გამოცდილება. 	<ul style="list-style-type: none"> • მრავალეროვნული კომპანიის მცირე ზომა; • საინვესტიციო კაპიტალის მცირე მოცულობა; • სუსტი კონკურენტული გარემო; • პროდუქციის მოცულობასა და ერთეულის ფასს შორის თანაფარდობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი; • დაბალი დონის ტექნოლოგიები; • ბრენდის, სახელწოდებისა და პატენტის ნაკლები მინშვნელობა; • პროდუქციის დივერსიფიკაციის დაბალი დონე; • არაჰომოგენური პროდუქციის ხაზი; • დიდი გეოგრაფიული მანძილი სათავო კომპანიასა და შვილობილს შორის; • ქვედანაყოფების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი; • მასპინძელ ქვეყანაში ქვედანაყოფებს შორის შედარებით დაბალი დამოუკიდებლობის ხარისხი; • მენეჯერთა მაღალი კომპეტენტურობა; • მწირი საერთაშორისო გამოცდილება.

წყარო: [7, გვ. 341]

მშობლიურ ქვეყანაში კონკურენციის ზრდასთან ერთად მრავალეროვნული კომპანიები სულ უფრო ცდილობენ გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი მენეჯერებისათვის გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილების მინიჭებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს მათი რეაგირების დროს კონკურენტების მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე. საერთაშორისო არენაზე კი პირიქით, საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა, რადგან ამ დროს შესაძლოა მოხდეს მოგების მაჩვენებლების შემცირება, ამიტომ პრევენციის მიზნით სათავო კომპანია ცდილობს განახორციელოს პროდუქციის წარმოებისა და მარკეტინგული ხასიათის გადაწყვეტილებების სტანდარტიზაცია და შეინარჩუნოს მომგებიანობა. ამ დროს უმაღლესი რგოლის მენეჯერები როგორც იღებენ ცენტრალიზებულ გადაწყვეტილებებს.

მრავალეროვნული კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ დიდი რაოდენობის პროდუქციას, მათი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, როგორც წესი, იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე იმ კომპანიებისა, რომლებიც იგივე სახის პროდუქციას აწარმოებენ მცირე მოცულობით. შესაბამისად, პირველი მათგანი ყოველთვის ძირითადად ხასიათდება ცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღებით.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალეროვნული კომპანიები ცდილობენ გადაწყვეტილების მიღების მთელი პროცესი გადაიტანონ სათავო კომპანიებში, რათა უკეთ დაიცვან თავი კონკურენტებისაგან. მოცემული მიდგომა განსაკუთრებით დამახასიათებელია მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი მრავალეროვნული კომპანიებისათვის, მათ რა თქმა უნდა არ სურთ ტექნოლოგიური პროცესები კონტროლდებოდეს ფილიალების დონეზე. ხოლო თუ მრავალეროვნული კომპანიებისათვის ბრენდის სახელწოდებას და პატენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სავარაუდოდ მათ ამ შემთხვევაში ძირითადად ცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროდუქციის დივერსიფიკაციის ზრდა ამალეებს გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციის დონეს, რადგან მრავალეროვნული კომპანიებს მსოფლიო მასშტაბით ყოველთვის არ ჰყავთ დივერსიფიცირებული შეთავაზებების კოორდინირებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი და ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ ფილიალი კომპანიის კომპეტენციებს ეყრდნობიან. შესაბამისად, რაც უფრო დიდ გამოცდილებას იძენს ფილიალი თუ შვილობილი საწარმო ადგილობრივ დონეზე, მით უფრო მცირდება ალაბათობა იმისა, რომ მრავალეროვნული კომპანიები კვლავ გადაწყვეტილებების ცენტრალიზებას მოინდომებს.

ამასთან, გადაწყვეტილების მიღებაზე დიდია პროდუქციის ჰეტეროგენულობის (არაჰომოგენურობის) გავლენაც. როგორც ვიცით, ქვეყნებს შორის არსებობს რიგი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული თუ საკანონმდებლო განსხვავებანი, ამიტომ მრავალეროვნული კომპანიები გადაწყვეტილებების გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ ფილიალებს გადასცემენ, რადგან ისინი უფრო მეტ საჭირო ინფორმაციას ფლობენ მოცემული ქვეყნის შესახებ.

ბოლოს, განვიხილოთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე სათავო კომპანიასა და ფილიალებს შორის გეოგრაფიული დაშორების გავლენა. ამ შემთხვევაში ადვილი მისახვედრია, რომ თუ ფილიალი სათავო კომპანიასთან დაშორებულია დიდი მანძილით, დეცენტრალიზაციის დონე იზრდება და პირიქით. მაგალითად, იაპონურ „Toyota“-ს ნამდვილად გაუჭირდება ცენტრალიზებული გზით მართოს აშშ-ში განთავსებული საწარმოები.

თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში გვხვდება მრავალეროვნული კომპანიების მიერ მიღებული სწორი თუ მცდარი გადაწყვეტილებები. მაგალითად, ცნობილი კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ამერიკული კომპანია Apple, რომელიც 1990-იან წლებში აღმოჩნდა კრიზისის წინაშე და მას უკვე გაკოტრებულ ორგანიზაციად მოიაზრებდნენ, 2008 წელს მისი დამფუძნებლის სტივ ჯობსის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ იგი კვლავ წამყვან კომპანიათა რიგებში დააბრუნა. აღნიშნული გადაწყვეტილებით Apple-მა

გაზარდა პროდუქციის სპექტრი და კომპიუტერების გარდა დაიწყო მუსიკალური ფლეიერების, ყურსასმენების, მობილური ტელეფონებისა და სხვა აქსესუარების წარმოება, რაც საბოლოო ჯამში წარმატებული აღმოჩნდა.

დღესდღეობით Apple-ის მიერ წარმოებული მობილური ტელეფონი (Iphone) გასნაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მასშტაბით და მუსიკალური დანიშნულების პროდუქციის გაყიდვებით აშშ-ში Apple-ი მეორე ადგილზეა Wal-Mart-ის შემდეგ. ასევე, კომპანიის მენეჯმენტის მიერ სწორ გადაწყვეტილებებზე მეტყველებს მისი ბოლო სამი წლის შემოსავლების დინამიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ Apple-ი ყოველწლიურად უფრო მეტ ფინანსურ რესურსს ხარჯავს კვლევისა და განვითარების მიმართულებით. [8, გვ. 213]

მრავალეროვნული კომპანიების ერთ-ერთმა კვლევამ (ს. ბიჩლერი, ნ. ქემბელი, 1996წ), რომელიც ჩატარდა სხვადასხვა ინდუსტრიაში მოღვაწე (ექსპროტენიკის წარმოება, მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, საფინანსო კომპანიები და ა.შ.) იაპონური კომპანიების აშშ-სა და ევროპაში განლაგებულ 119 შვილობილ კომპანიაში, მათში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა კი მერყეობდა 2200-დან 163 000 ადამიანამდე. მოცემულ ფირმებში სხვადასხვა რგოლის მენეჯერთა მასშტაბური გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ევროპასა და აშშ-ში მოქმედ შვილობილ საწარმოებში გადაწყვეტილებების 46% მიიღება იაპონელი მენეჯერების მიერ ცენტრალიზებული წესით, გადაწყვეტილებების 20% დეცენტრალიზებული გზით ადგილობრივი მენეჯერების, ხოლო გადაწყვეტილებათა 35%-ის მიღება ხდება იაპონელი, ევროპელი და ამერიკელი მენეჯერების ერთობლივი მუშაობით. ადგილმდებარეობის თვალსაზრისით გადაწყვეტილებათა 22% მიიღება იაპონიაში, 29% ერთობლივად იაპონიასა და მასპინძელ ქვეყანაში, დანარჩენი 48% კი მასპინძელ ქვეყანაში. საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ მოცემულ რეგიონებში განლაგებულ ფირმებში გადაწყვეტილებები ზოგადად დეცენტრალიზებულია, თუმცა მათი 80% მიიღება ადგილობრივი მენეჯერების ჩართულობის გარეშე. [4, გვ. 1-10-12]

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე 5 მრავალეროვნულ კომპანიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავებულია კვლევის ობიექტთა გადაწყვეტილებების მიღების ფორმები. ამ შემთხვევაში, კომპანიათა უმეტესობა (60%) გადაწყვეტილების მიღების შერეულ ფორმას, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება, როგორც ცენტრალიზებული წესით კომპანიის სათავე ოფისიდან, ისე ადგილობრივად შვილობილი და ფილიალური კომპანიების მიერ დეცენტრალიზებული გზით, ანუ სახეზეა გადაწყვეტილების მიღების ე.წ. „იაპონური-ამერიკული ჰიბრიდული ფორმა“. აგრეთვე გამოიკვეთა ისიც, რომ ბრიტანული და ამერიკული წარმოშობის კომპანიები საკუთარ წარმომადგენლობებს მართავს ცენტრალიზებული მეთოდით, რომელიც განაპირობებს ამ ორი ქვეყნის კულტურათა მსგავსება. [1, გვ. 183]

საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ მრავალეროვნულ კომპანიებში მართვის პროცესზე კიდევ უფრო მეტი ფაქტორი ზემოქმედებს და ბიზნესსივრცეც ადგილობრივი გარემოსაგან მკვეთრად განსხვავდება, შესაბამისად მსგავს ფირმებში დასაქმებული მენეჯერები საკამაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დგებიან, რადგან გადაწყვეტილებების მიღება ასეთ ძნელად პროგნოზირებად გარემოში ბევრად გართულებულია. ამიტომ საერთაშორისო მენეჯერებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ფაქტორების ერთობლიობის სწორი შესაფება, რომლებიც რათქმუნდა გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე [5, გვ. 93] და მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა გადაწყვიტონ რომელ მიდგომას მიანიჭონ უპირატესობა, ცენტრალიზებულს თუ დეცენტრალიზებულს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ფილიალებში დასაქმებულ ადგილობრივ მენეჯერთა მაქსიმალური ჩართულობა, როგორც გადაწყვეტილებთა მიღების ისე ზოგადად მართვის პროცესში, პირველ რიგში იმიტომ, რომ თანამედროვე სოციალური მეცნიერებები

მათ თვლიან ორგანიზაციის თანასწორუფლებიან წევრებად, მეორეც ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ტოპმენეჯერთა დროით დანახარჯს და პერსონალში ახდენს იდეების გენერირების სტიმულირებას და მესამე, ადგილობრივმა მენეჯერებმა უკეთესად იციან საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ კულტურული თავისებურებები, რითაც სწორი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება. გარდა ამისა მხოლოდ ზედა რგოლის მენეჯერები მიუხედავად მათი კვალიფიკაციისა დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ დაინახონ კომპანიის მომავლის რაციონალური სურათი.

ლიტერატურა:

1. ნიჟარაძე დ., მრავალეროვნული კომპანიების მართვის მექანიზმები და განვითარების ტენდენციები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2013
2. საერთაშორისო ბიზნესი, ავტორთა კოლექტივი, რედ. შენგელია თ., თბილისი, 2011
3. ხომერიკი თ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008
4. Beechler S., Stephan j., Pucik V. & Campbell N., Decision Making Localization And Decentralization In Japanese MNCs, Columbia University, 1996
5. David C. Thomas, Mark F. Peterson, Cross-Cultural Management: Essential Concepts Third Edition, SAGE Publications, Inc, 2014
6. Deresky H., International Management: Managing Across Borders and Cultures, International Edition, 7th revised ed edition, Pearson, 2011
7. Luthans F, Jonathan P. Doh, International Management: Culture, Strategy, and Behavior, seventh Edition, McGraw-Hill, 2009
8. Luthans F., Jonathan P. Doh, International Management: Culture, Strategy, and Behavior, 8th Edition, McGraw-Hill, 2012
9. Zabojski J., Centralized and Decentralized Decision Making in Organizations, Journal of Labor Economics, vol. 20, no. 1, Chicago, 2002
10. www.unctad.org
11. <http://www.petrochina.com.cn>

David Nizharadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Professor*

Managerial Decision-Making Characteristics In Multinational Companies

The article deals with the managerial decision-making process in multinational companies, its steps, forms, models, approaches and factors affecting it. The main attention is paid to the cultural peculiarities of different countries through the decision-making process. At the same time, precipitating factors of centralized and decentralized managerial decisions are analyzed. Also, based on various companies (Ford, Petrochina International, Toyota, Apple,) the right managerial decision examples made by managers of multinational companies are presented, their impact on the companies are assessed and the relevant statistics are shown including multinational companies who are operating in Georgia. Finally, the author's opinions about advantages and disadvantages of the specific decision-making methods are expressed.

Проблеммы аудита эффективности слияния и поглощения компаний

Постановка проблемы. В условиях современных тенденций глобализации, объединения стран, расширения границ Евросоюза, развития партнерских отношений между странами, желающими вступить в Ассоциацию с ЕС происходит интеграция не только на уровне стран, но и на уровне компаний и населения. В связи с этим прогнозируются процессы слияния предприятий разных стран и возникает необходимость оценки эффективности таких объединений, которая должна включать реализацию позитивных социальных, экономических и экологических результатов совместной деятельности.

По данным разных компаний, отслеживающих мировой рынок слияний и поглощений (M&A), объем сделок M&A в денежном выражении составил от \$2,3 трлн до \$2,68 трлн. Так, в 2013 г. по данным международной компании Dealogic глобальный рынок M&A вырос на 9% до \$2,68 трлн. При этом было совершено более 37 тыс. сделок M&A. В тоже время по данным исследования Ernst & Young «Обзор рынка M&A за 2013 год» активность на мировом рынке M&A сократилась на 6,2% по сравнению с 2012 годом и составила \$2,3 трлн. По данным Ernst & Young в 2013 году было объявлено о 37 257 сделках. Активность на глобальном рынке M&A в большинстве отраслей снизилась по сравнению с 2012 годом. Незначительно увеличилось количество сделок только в электроэнергетике и ТЭК, а также в сфере недвижимости. Наибольший спад произошел в горнодобывающей и металлургической отраслях (на 27%) и нефтегазовом секторе (на 21%).

Основные результаты 2013 года на украинском рынке слияний и поглощений свидетельствуют о том, что общая сумма сделок по слияниям и поглощениям в Украине составила по разным оценкам от \$4,2 млрд. до \$8 млрд. Средний объем сделки M&A в Украине составил \$23 млн при среднемировом показателе в \$162 млн. Из 14 крупнейших операций M&A, где объектом выступали украинские активы, в десяти случаях покупателем являлась также украинская компания. Крупнейшим сектором по объему сделок M&A в 2013 году стал медиарынок. На втором месте – сектор телекоммуникаций. Также в 2013 году продолжилась консолидация в аграрной отрасли, и заметно выросло количество сделок в банковском секторе¹.

Процессы слияния предприятий важно осуществлять совершив всестороннюю оценку и аудит компании по всем направлениям – от финансовых показателей и стратегий к персоналу, корпоративной культуре и юридических аспектов. Последствия поверхностного аудита и оценки могут обернуться ощутимым подорожанием и усложнением процесса слияния, поэтому разработка эффективной модели аудита слияния предприятий является крайне важной, особенно для стран постсоветского пространства, где аудит находится на стадии становления и практика ведения бизнеса во многом отличается от европейских стандартов.

Основными целями статьи является исследование проблемм аудита, которые возникают в процессе слияния предприятий, который производится с целью обеспечения достижения необходимой эффективности интеграции компаний. В частности, наиболее распространенными причинами неудачных слияний есть завышенная или заниженная оценка эффективности операций слияния и поглощения, неправильно проведенный Due Diligence, конфликт корпоративных культур, что требует решения этих проблемм не только на этапах реализации проекта по интеграции, но и на преварительном этапе аудита.

Результаты. Среди менеджмента и владельцев компаний существует мнение, что можно избавиться от трудностей, изменив стратегию: продать одно подразделение и приобрести другое,

¹ <http://mergers.com.ua/m-and-a-analysis/analysis-of-ukrainian-mergers-market/ukraine-m-and-a-2013>.

поменять свои рынки, освоить другое направление работы; провести реструктуризацию путем выкупа контрольного пакета акций. Но такое мышление отвлекает компании от принципиальных изменений в их реальной деятельности и выдает глубокое презрение к повседневной работе. Компании – не совокупность активов, а люди, сотрудничающие в целях изобретения, изготовления, продажи товаров и предоставления услуг¹, поэтому при принятии решений о целесообразности объединения предпринимательских структур необходимо учитывать не только финансовые выгоды, но также и социальные результаты объединения компаний.

Исследование аудиторской компании Pricewaterhouse Coopers позволили сделать выводы, что успешность процессов слияния предприятий возрастают при:

- осуществлении предварительной финансовой оценки синергетического эффекта от сделки – на 24%;
- оценке репутации (Due Diligence) компании-цели – исследования рыночной среды, оценке рисков, оценке компетентности менеджеров и т.д. – на 14%;
- разработке плана проведения интеграции – на 15%².

Анализ исследований аудиторских фирм о причинах неудачного слияния позволяет выделить две группы факторов. Первая группа неудач связана с ошибочными финансовыми расчетами при предварительном аудите, неправильным стратегическим выбором партнера для слияния, а также недостоверными рыночными оценками. Другая причина неудач, не менее важная, объясняется ошибками процесса проведения интеграции и недостаточным вниманием к проблеме, связанной с человеческими ресурсами объединяющихся компаний.

Таблица 1

ПРИЧИНЫ НЕУДАЧНЫХ СЛИЯНИЙ / ПОГЛОЩЕНИЙ

Исследование	Количество исследованных компаний	Доля неудач, %	Причина провала
McKinsey (1987)	116	77%	Завышенная оценка потенциала рынка / синергий, медленная интеграция после слияния
Mercer Management & Consulting (1995)	150	50%	Неправильно проведенный due diligence, конфликт корпоративных культур, медленная интеграция после слияния
Booz-Allen & Hamilton (1998)	150	66%	Отсутствие стратегии, слабая коммуникация, различные корпоративные культуры
KPMG (1999)	120	53%	Отсутствие оценки синергии, неправильно проведенный due diligence, отсутствие плана интеграции
KPMG 1(2001)	118	31%	Отсутствие хорошо управляемого процесса, отсутствие приоритетов в действиях, отсутствие ясных решений
McKinsey (2005)	92	70%	Завышенная оценка синергии в прибыли и занижена оценка синергии в сокращении издержек недооценка одновременных затрат

Таким образом, можна выделить 3 наибольшие проблемы аудита при слиянии, которые требуют исследования и разработки путей их решения.

¹ Хаммер Майкл, Чампли Джеймс. Реинжиниринг корпорации. Манифест революции в бизнесе/ Москва, «Манн, Иванов и Фербер», 2011, – 276., с.45.

² Галпин Тимоти Дж., Хэндон Марк. Полное руководство по слияниям и поглощениям компаний.- М.: Издательский дом «Вильямс», 2005.

1 проблема – неправильная оценка эффективности операций слияния и поглощения. В аудиторской деятельности используются различные подходы, в основу которых положены разные критерии: так Р. Брейли и С. Майерс как критерий эффективности сделок M&A рекомендуют использовать выгоды, измеряемые показателем чистого приведенного эффекта (NPV), П. Гохан называет данный эффект чистой стоимости поглощения (NAV), А. Г. Грязнова, М. А. Федотова предлагают рассчитывать чистую текущую стоимость эффекта реструктурирования.

Для расчетов эффективности слияния предприятий необходимо осуществить оценку их бизнеса. Классификация подходов к оценке бизнеса включает:

- рыночный подход (сравнение данного предприятия с аналогичными уже проданными капиталовложениями),
- доходный подход (основан на пересчете ожидаемых доходов),
- затратный подход (основанный непосредственно на исчислении стоимости активов предприятия за вычетом обязательств).

Сравнительный анализ подходов и методов оценки эффекта синергии от M&A показывает, что существующие традиционные модели оценки имеют существенные недостатки, влияние которых должно быть учтено при выборе методики расчета эффективности слияния в процессе аудита.

Во-первых, в большинстве моделей оценки эффекта синергии учитываются только выгоды, которые получит покупатель от приобретения компании-цели, но не учитываются расходы, понесенные при осуществлении операции: премия, выплачиваемая на акции компании-цели, дополнительные инвестиции на реструктурирование (модернизация, оплата долгов приобретенной компании, расходы по выведению ее из финансового кризиса) и расходы, понесенные в ходе поглощения (государственная регистрация, оплата услуг консультантов по налоговым и юридическим вопросам и оценки, расходы по проведению операции). Эванс и Бишоп отмечают, что, когда покупатель выплачивает премию акционерам компании-цели, текущая стоимость любых выгод, приносимых соединенным предприятием, должна быть уменьшена на эту премию. Таким образом, чем выше уплаченная премия, тем ниже потенциальные выгоды покупателя. Таким образом, использование в модели оценки эффекта синергии переменных, учитывают расходы по проведению сделок M&A, позволит получить его более достоверную оценку и заблаговременно выявить неперспективные операции (когда с учетом затрат на M & A эффект синергии окажется отрицательным).

Во-вторых, большинство моделей предусматривают расчет одноразового эффекта синергии. Однако результаты синергии проявляются не сразу после объединения, а в течение нескольких лет, поэтому в процессе аудита при оценке эффекта синергии нужно рассматривать денежные потоки за ряд последующих лет, приводя их величину до настоящего момента на основе дисконтирования.

В-третьих, в приведенных моделях оценки исследуются только количественные факторы (рост доходов, снижение затрат), но не учитывают качественные преимущества M&A, значимым из которых является *эффект командной синергии* как результат объединения управленческих способностей менеджеров или профессиональных навыков сотрудников. На практике, большинство сделок M&A, которые признаны неудачными и завершились разделением соединенной компании, оказалась такими вследствие противодействия менеджеров приобретенной компании или невозможности преодоления социально-культурных различий между сотрудниками. Структура и характер операции также серьезно влияют на ее цену и другие условия. Не все M&A осуществляются на добровольных началах, в случае враждебных M&A расходы на реализацию операции могут существенно превысить ее выгоды. Поэтому в процессе аудита целесообразно использовать несколько методик из разных подходов, а результаты сопоставить между собой для конечной оценки предприятия.

2 проблема – неправильно проведенный Due Diligence (англ. – должная добросовестность).

Эта процедура формирования объективного представления об объекте инвестирования, включающая в себя оценку инвестиционных рисков, независимую оценку объекта

инвестирования, всестороннее исследование деятельности компании, комплексную проверку её финансового состояния и положения на рынке. Классическая процедура «Due Diligence» ("дью дилидженс") осуществляется следующими специалистами в три этапа:

1 этап. Осуществляется аудиторами и заключается во всестороннем анализе состояния системы внутреннего контроля, структуры выручки и затрат, степени риска применяемых налоговых схем, анализе основных средств, нематериальных активов, финансовых вложений, дебиторской и кредиторской задолженности, заемных и собственных средств, достоверности отчетности. Отчет о финансовой экспертизе содержит рекомендации по минимизации рисков при переходе права собственности на объект.

2 этап. Оценщики (могут быть структурным подразделением аудиторской фирмы) определяют и составляют отчет, какова цена на рынке на данный объект и на аналогичные предприятия, оценивают риски в зависимости от цели покупки: для использования в существующем направлении, для последующего репрофилирования (полностью или частично), для объединения с имеющимся бизнесом заказчика.

3 этап. Юристы оценивают правовые основы создания и осуществления деятельности организации: учредительные документы, состав акционеров (участников), как проводятся собрания акционеров и как выполняются решения, принятые на собраниях; на чем базируются имущественные и трудовые отношения, как исполняются обязательства по договорам.

По завершении всех трех этапов командной работы, направленной на всестороннюю проверку законности и коммерческой привлекательности планируемой сделки или инвестиционного проекта, на основании предоставленной и обработанной информации, исполнителем процедуры «Due Diligence» генерируется заключение (отчет, рапорт), позволяющее инвесторам сделать выводы и оценить все преимущества и недостатки анализируемого сотрудничества для последующих решений.

Среди проблем, возникающих при проведении процедуры "Due Diligence" в Украине можно выделить следующие:

- 2.1. Отказ продавца представить запрошенную документацию, отсутствие содействия в ее предоставлении. Результатом становится недоговоренность между продавцом и покупателем. Для решения этих проблем рекомендуется обсуждать основные правила «Due Diligence» еще в процессе переговоров между покупателем и продавцом в письме или соглашении о намерениях. В таком письме указывается время, требующееся для проведения «Due Diligence», возможность копирования документов, перечень документов, к которым должен быть организован доступ.
- 2.2. В ходе всего процесса покупателю следует учитывать стресс, который возникает при взаимодействии его персонала с продавцом. Процедура «Due Diligence» нарушает обычный распорядок бизнеса и может быть расценена продавцом как необоснованное подозрение со стороны покупателя. Продавец может опасаться негативных последствий для ведения бизнеса и его будущей продажи другим лицам, если предполагаемая сделка не состоится. Некоторые потенциальные сделки срывались из-за строгостей процедуры «Due Diligence», вызывающей неприязнь у сторон. Очень важно заручиться обязательством продавца содействовать в проведении дью дилидженс и гарантировать доступ к персоналу, документам, служебному помещению. Продавец всегда опасается распространения информации и озабочен сохранением конфиденциальности, поэтому наиболее приемлемым вариантом является заключение отдельного соглашения о конфиденциальности.
- 2.3. Важной проблемой проведения процедуры «Due Diligence» в Украине является также то, что ее очень часто принимают за обычный аудит. Основная разница между этими похожими на первый взгляд процедурами состоит в том, что процедура «Due Diligence» оценивает не только основные средства компании, наличие у нее какого-либо имущества и ликвидности, но и позицию организации на рынке, ее "брендность", перспективы развития, способность приносить реальные доходы.
- 2.4. Также немаловажной проблемой проведения «Due Diligence» в Украине является

высокая затратность всех задействованных ресурсов: финансовых, трудовых, материальных. Пути достижения снижения затрат включают: точное определение областей исследования; накопленный опыт; правильная организация работ.

3 проблема – оценка совместимости корпоративных культур. Конфликт корпоративных культур интегрируемых компаний является еще одним значительным фактором неудачных слияний и поглощений компаний в мире. В связи с этим в процессе аудита объединения предприятий особое внимание следует обратить на особенности социальных отношений внутри компаний и разработать пути их взаимодействия для достижения нужного эффекта от слияния.

Корпоративная культура представляет собой набор ценностей и вытекающих из них норм и правил поведения. Это совокупность моделей поведения, которые приобретены организацией в процессе адаптации к внешней среде и внутренней интеграции, показавшие свою эффективность и разделяемые большинством членов организации. Компонентами корпоративной культуры являются: принятая система лидерства; стили разрешения конфликтов; действующая система коммуникации; положение индивида в организации; особенности гендерных и межнациональных взаимоотношений; принятая символика: лозунги, организационные табу, ритуалы.

При аудите слияния европейских компаний и компаний постсоветских стран важно учитывать, что корпоративная культура сильно отличается. Так, для европейских компаний применима типологизация Дж. Зонненфельда, который выделяет четыре типа культур: «бейсбольная команда», «клубная культура», «академическая культура», «оборонная культура» («крепость»). Каждая из культур имеет разный потенциал для поддержки процесса интеграции компании и по-разному сказывается на результате.

В «бейсбольной команде» ключевые успешные сотрудники считают себя «свободными игроками», за них между работодателями ведется активная конкуренция на рынке рабочей силы. Работников с невысокими личностными и профессиональными показателями быстро увольняют по инициативе работодателей.

«Клубная культура» характеризуется лояльностью, преданностью и сработанностью сотрудников, командной работой. Стабильные и безопасные условия способствуют поощрению роста сотрудников, опыта и должностного преимущества. Карьерный рост происходит медленно и постепенно. От работника ожидают, что на каждом новом уровне он должен постигнуть все тонкости данной работы и овладеть мастерством, поэтому работники имеют широкий профессиональный кругозор.

В компании с «академической культурой» набирают новых молодых сотрудников, которые проявляют интерес к долговременному сотрудничеству и согласны медленно продвигаться по служебной лестнице. В отличие от «клубной культуры», работники здесь редко переходят из одного отдела в другой или из одного направления в другое. Основанием для поощрения и продвижения являются хорошая работа и профессиональное мастерство. Подобная культура ограничивает широкое развитие личности сотрудника и препятствует внутриорганизационной кооперации.

В «оборонной культуре» нет гарантии постоянной работы, нет возможности для профессионального роста, так как компаниям часто приходится подвергаться реструктуризации и сокращать свой персонал, чтобы адаптироваться к новым внешним условиям. Такая культура губительна для работников, но при этом представляет прекрасные возможности для некоторых уверенных в своих силах менеджеров, которые любят принимать вызов.

Для компаний, которые были организованы и управлялись менеджментом постсоветских стран, исследователи выделяют следующие типы современной организационной культуры: «друзья», «семья», культура «начальника».

Тип «друзья» характерен для предприятий, создаваемых в годы перестройки, когда открывались возможности для создания новых структур, для смены сферы деятельности. Пробриться в новой сфере в одиночку было очень трудно, люди чувствовали себя неуверенно, и поэтому они привлекали в свои фирмы друзей и близких. В коммерческой деятельности друзья стремились, прежде всего, сохранить дружбу, но организационные цели рано или поздно входили в противоречие с культурой межличностных отношений и разрушали их, дружба превращалась в соперничество и даже ненависть.

Организация с типом «семья» характеризуется жёсткой иерархией, существуют роли отца и матери, старших и младших сестёр и братьев. Взаимоотношения основаны на чувствах, наблюдается полное отсутствие каких-либо официальных правил. Руководитель уверен, что подчинённые должны понимать его с полуслова, а подчинённые, не получая чётких указаний, пытаются сами почувствовать, чего руководитель от них хочет. Такие взаимоотношения внутри компании приводят к серьёзным ошибкам и потерям для организации. Как правило, при жёсткой статусной иерархии обязанности и функции не распределены. Каждый «старший» может что-то поручать любому «младшему», иметь с ним секреты, а каждый «младший» стремится проявить себя перед «отцом». Каждый здесь делает не то, что он обязан, а то, что ему кажется наиболее важным, исходя из семейных отношений.

Культура «начальника», которая особенно характерна для России, подразумевает, что существует страх перед начальником, руководителем. В то же время все проблемы организации связывают с ошибками вышестоящего руководства. Сотрудники верят, что в других компаниях есть хорошие руководители, которые могли бы всё изменить и сделать лучше. В результате люди на всех уровнях иерархии ругают вышестоящих, при этом ощущая свою реальную беспомощность.

მოგება ზარალის ანგარიშგების შედგენისას, საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შედეგები დამოკიდებულია იმ ფაქტზე კომპანიების გაერთიანება ხდება თუ შერწყმა.

ანგარიშგებაში ასევე წარმოდგენილია უმცირესობის წილი შვილობილი კომპანიის მოგება/ზარალის სახით. ეს მაჩვენებელი გამოიყენება ფინანსური შედეგის დასაკორექტირებულად რათა განსაზღვრული იქნას სუფთა მოგება რომელიც გამომუშავებულია სათაო კომპანიის მიერ.

ანალიზის პროცესში აუცილებელია გამოითვალოს და შეფასდეს შვილობილი საწარმოს ფინანსური შედეგი ჯგუფის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაში.

ორი კომპანიის შერწყმის შედეგად წარმოქმნილი კომპანიის ფასი, ძალიან ხშირად აჭარბებს ამ ორი კომპანიის მთლიან ღირებულებას. შერწყმის შედეგად საწარმოს ექმნება ეკონომია მასშტაბებზე – მცირდება საშუალო ხარჯები წარმოების ზრდის შემთხვევაში. ინფორმაციამ კომპანიების შერწყმის შესახებ უნდა მოახდინოს აქციების ფასის გაზრდა, რადგან ყველა გაერთიანების მიზანია გაერთიანებული კომპანიების მოგების გაზრდა.

ისეთი მაჩვენებელი როგორცაა მოგება აქციაზე მხედველობაში მიიღება შერწყმის დროს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ახლო მომავალში გაზარდოს ეს მაჩვენებელი და გრძელვადიანი ტენდენციის შეფასება არ არის აუცილებელი. გრძელვადიანი ტენდენციის შესაფასებლად კი გამოყენებული უნდა იქნას დისკონტირება.

ბალანსისა და მოგება ზარალის ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი ძირითადი ინფორმაციით როგორცაა დასახელება, რეგისტრაციის ადგილი, საქმიანობის სახე, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, დამფუძნებლის წილი საწარმოში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზისათვის გამოყენებული კოეფიციენტები, გამოვლილი უნდა იქნას მიმდინარე და ისტორიული წლებისათვის. ფინანსური კოეფიციენტები არის მაჩვენებლები რომლებიც გვეხმარება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში.

არსებობს ოთხი ტიპის კოეფიციენტი: ლიკვიდურობის, ლევერეჯი, მომგებიანობის და ეფექტურობის.

- ლიკვიდურობის კოეფიციენტი აფასებს კომპანიის უნარს გადაიხადოს დავალიანებები;
- ლევერეჯი ანუ ვალების კოეფიციენტი ზომავს ვალების ოდენობას რომელიც კომპანიამ აიღო;
- მომგებიანობის კოეფიციენტი აფასებს კომპანიის უნარს მიიღოს შემოსავლები;
- ეფექტურობის კოეფიციენტი კი აფასებს კომპანიის საოპერაციო საქმიანობას.

ანალიზის მეორე ეტაპზე უნდა მოხდეს ბალანსისა და მოგება ზარალის თითოეული ანგარიშის პროცენტულობის გამოთვლა მიმდინარე და წინა წლების მონაცემებზე დარყდნობით, მაგალითად ფულადი სახსრების ანგარიშის პროცენტული წილი უნდა გამოითვალოს მთლიან აქტივებთან მიმართებაში, ხოლო კრედიტორული დავალიანების პროცენტული წილი მთლიანი ვალდებულებებთან მიმართებაში, წმინდა მოგების წილის პროცენტული გაანგარიშება უნდა მოხდეს მთლიან კაპიტალთან, ხოლო საოპერაციო ხარჯების – მოგებასთან. მსგავსი პროცენტული წილების გამოთვლა საშუალებას მისცემს ინფორმაციის მომხმარებლებს აღმოაჩინონ ის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც ქმნიან კომპანიის ფასს და მოგებას.

ნალიზიზ მესამე ეტაპზე უნდა მოხდეს წითელი ადგილების იდენტიფიცირება გამოთვლილ კოეფიციენტებსა და პროცენტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია ის კოეფიციენტები რომელიც გამოხატავენ სუსტ ფინანსურ პოზიციას. მაგალითად მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი თუ არის 1-ზე ნაკლები ეს გვიჩვენებს ლიკვიდურობის პრობლემას და დავალიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტი გვიჩვენებს გადახდისუუნარობის პრობლემას.

რაც შეეხება პროცენტულ შეფასებებს აქ უნდა იქნას განსაზღვრული მაღალი პროცენტული შეფარდების ანგარიშები და განხილულ იქნას თუ რამდენად გონივრულია ასეთი შეფარდება.

ასევე თუ ხდება კოეფიციენტების და პროცენტული მაჩვენებლების გაუარესება წინა პერიოდებთან შედარებით უნდა მოხდეს ამ გაუარესების მიზეზების ანალიზი.

ფინანსური ანგარიშების ცვლილება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ის არ არის საკმარისი ანალიზის ჩასატარებლად. ბალანსი შეიძლება იყოს შედგენილი სხვადასხვა მოთხოვნებზე დაყრდნობით, რომლის ანალიზისათვის საჭიროა კორექტირება განიცადოს ბალანსის მუხლებმა. მაგალითად თუ კაპიტალიზირებადი ხარჯები კომპანიას აღრიცხული აქვს ბალანსზე როგორც აქტივი და შესაბამისად ზრდის კომპანიის ფასს, ეს მუხლი შესაძლოა გადატანილი იქნას მოგება ზარალის ანგარიშებში რათა მიღებული იქნას უფრო ზუსტი ინფორმაცია.

ანალიზის შემდგომ ეტაპზე უნდა მოხდეს კოეფიციენტების და პროცენტული მაჩვენებლების შედარება ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებლებთან. ეს შეიძლება გაკეთდეს საანალიზო კომპანიის მსგავსი კომპანიების ანალიზურ მაჩვენებლებთან შედარებით.

ანალიზის დროს უნდა მოხდეს კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე დართული შენიშვნების მიმოხილვა ვინაიდან კომპანიას შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქონდეს მოცემული. მაგალითად აკუმულირებული მთლიანი შემოსავალი არის ფინანსური ანგარიში რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს სხვადასხვა სახის სარგებელი ან ვალდებულება. ასევე იგი მოიცავს ინფორმაციას აქციებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე, რომელიც არ არის ძირითადი ოპერაციების ნაწილი.

ანალიზის ბოლო ეტაპზე ხდება ანალიზის პროცესში აღმოჩენილი საკითხებიდან მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა: თუ რომელი კოეფიციენტებს და კომპანიის საქმიანობის რა მიმართულებებს უნდა მიექცეს ყურადღება.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ხშირ შემთხვევაში დგება მენეჯმენტ ანგარიში შიდა მოხმარებისთვის.

მსგავსი ანგარიში აუცილებელია რომ მოხდეს ფაქტიურად მიღწეული მონაცემების შედარება დაგეგმილ მონაცემებთან და გამოვლინდეს მენეჯმენტ გადაწყვეტილებების შესრულების დონე. ამასთან დაკავშირებით შემოთავაზებულია რომ ზუსტად იყოს ფორმულირებული საწარმოს საქმიანობის მიზანი და ის მაჩვენებლები, რომელიც დაეხმარება მიზნების გამოხატვაში მენეჯმენტს. ეს ინფორმაცია პირველ რიგში უნდა წარდგენილ იქნას უმაღლეს მენეჯმენტს.

მენეჯმენტ რეპორტი ინფორმაციულობის თვალსაზრისით უნდა იყოს:

- დეტალიზებული (აგრეგირებული) იმ დონეზე რომ მოიცავდეს ყველა საჭირო მაჩვენებლებს, მაგრამ ინფორმაცია არ უნდა იყოს გადაჭარბებული;
- წარდგენილი დადგენილ ვადებში და განსაზღვრული იყოს პერიოდულობა;
- მომზადებული გარკვეულ ფორმატში და იყოს მარტივი და გასაგები უბრალო მომხმარებლისათვის (მმართველობითი ანგარიშის ფორმა უნდა იყოს დამტკიცებული);
- წარდგენილი იმ პირებისათვის რომელიც იღებს კორპორატიულ გადაწყვეტილებებს ამ ანგარიშზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ მენეჯმენტისათვის მომზადებული ძირითადი კონსოლიდირებული ანგარიშები განსხვავდება გამოსაქვეყნებელი ანგარიშებისგან, რადგან არ არის გასუფთავებული ე.წ შიდა ოპერაციებისა და შეცდომებისგან.

დამხმარე მენეჯმენტ ანგარიშები არის ძირითადი ფორმების დანართები რომლებიც იძლევიან აუცილებელ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც არის მენეჯმენტ გადაწყვეტილებების დასაბუთების საფუძველი.

ლიტერატურა:

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 3 „ბიზნესის კონსოლიდაცია“
3. Плотникова Вера Викторовна „Методология анализа консолидированной финансовой отчетности группы предприятий как единого экономического субъекта“ – 2013
4. Волкова Елена Юрьевна „Формирование и анализ консолидированной финансовой отчетности группы компаний”- 2013
5. Горшкова, Наталья Валерьевна – „Теория и методология формирования консолидированной финансовой отчетности в агропродовольственных холдингах” – 2012
6. Петухов, Георгий Николаевич – „Методическое развитие консолидированной финансовой отчетности корпоративных объединений” – 2012
7. <http://www.dissercat.com/content/teoriya-i-metodologiya-formirovaniya-konsolidirovannoi-finansovoi-otchetnosti-v-agroprodovol#ixzz3Bz2ylmRR>
8. <http://www.investopedia.com/terms/c/consolidatedfinancialstatement.asp>
9. http://www.readyratios.com/reference/accounting/consolidated_financial_statement.html
10. http://www.ehow.com/how_8616004_analyze-consolidation-financial-statements.html

Rusudan Sreseli

PhD Candidate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Current issues of methodology analyze of consolidated financial statement

The recent economic developments have prompted companies to create holdings. In Georgian practice the methodology of formation and analyze of the consolidated financial statements is not well developed. The International accounting standards provides only base requirement how the consolidated financial statement should be structured.

The consolidated financial statement is the major source of economic and financial information related to holding. It shows the Group's equity ability to generate revenues and cash funds, which allows companies to increase its net assets.

The main task of the consolidated financial statements analyze is evaluation of financial position of the holding members. It is also possible to predict the future development. The management report prepared based on result of analyze helps management in planning plans for future development and eliminate gaps.

ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღრიცხვის თავისებურებები

აქტივების გაუფასურების შესახებ ინფორმაციის სრულად და დეტალურად წარდგენა ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში, კომპანიამ სტანდარტით რეგლამენტირებული პირობების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს, რაც არ არის მარტივი იმ სირთულეების გამო, რაც უკავშირდება დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებას, ასევე დისკონტირების განაკვეთის შერჩევას სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომების გამოყენებას. ამ საკითხებთან მიმართებაში სტანდარტი არ იძლევა დეტალურ ინსტრუქციებს. ამასთან, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების კომპონენტებიდან, უმეტესობა გარკვეულწილად ემყარება დაშვებებსა და პროგნოზულ გათვლებს. აქედან გამომდინარე, გარკვეულად იზღუდება საწარმოს შესაძლებლობა უზრუნველყოს მომხმარებლებისათვის წარსადგენი ინფორმაციის უტყუარობა და საიმედოობა.

ბასს 36-აქტივების გაუფასურების პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ შრომატევადია. ტესტირება აქტივების გაუფასურებაზე უნდა ჩატარდეს ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის; უნდა დადგინდეს ღირებულების შესაძლო დაკარგვის ნიშნების მქონე აქტივები; მაგრამ, აქტივების შემოწმება შესაძლო გაუფასურებაზე უზრუნველყოფს, რომ კომპანიამ მუდმივად განახორციელოს მმართველობითი ანალიზი, აკონტროლოს აქტივების გამოყენების ეფექტიანობა და მიიღოს დასაბუთებული მმართველობითი და საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რაც ბასს 36-ს უდავო უპირატესობას ანიჭებს.

ფინანსური ანგარიშგების მიზანი და დანიშნულებაა, რომ ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური შედეგების და ფულადი ნაკადების შესახებ მომხმარებელს სამართლიანად წარუდგინოს. სამართლიანი წარდგენა ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების – აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავალის და ხარჯების აღიარებას კეთილსინდისიერად, „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებით“ (შემდეგში „სტრუქტურული საფუძვლები“) განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება ეფუძნება წინდახედულობის პრინციპს. აქტივებთან მიმართებაში აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ დაუშვებელია აქტივების, მოგებისა და შემოსავლების განზრახ შემცირება, ან ხარჯებისა და ვალდებულებების გადიდება (1; 74). იმისათვის რომ განისაზღვროს, თუ რამდენად საიმედოდ არის აქტივები შეფასებული და რამდენადაა დაცული წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნები, საჭიროა დადგინდეს: კონკრეტულად რომელ სიდიდეს უნდა შეუდარდეს აქტივების ღირებულება და სახელდობრ რას უნდა ასახავდეს აქტივების ღირებულება ბალანსში.

ამ მიზნით გავიხსენოთ რა არის საწარმოსათვის აქტივი. „სტრუქტურულ საფუძვლები“ განმარტავს, რომ აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, რომელიც წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგია და რის საფუძვლზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას (1;77). აქედან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ წინდახედულობის პრინციპის მოთხოვნებს, აქტივის ღირებულებამ ბალანსში უნდა ასახოს სწორედ ის ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც კომპანია მომავალში მოელის ამ აქტივისგან.

წინდახედულობის პრინციპის მიზნების რეალიზაციას უზრუნველყოფს **ბასს 36- „აქტივების გაუფასურება“**, რომელიც არეგულირებს აქტივების გაუფასურების საკითხებს. კერძოდ, განიხილავს აქტივების გაუფასურების ინდიკატორების დადგენის მეთოდებს, აქტივების გაუფასურების შედეგების აღრიცხვაში ასახვისა და ანგარიშგებაში აღიარების წესებსა და მიდგომებს. ბასს 36 გამოიყენება შემდეგი ძირითადი საშუალებების მიმართ არამატერიალური აქტივები გუდვილის ჩათვლით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე დანახარჯები და ფინანსური (პორტფელის) ინვესტიციები რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც შვილობილი საწარმო, ასოცირებული საწარმო, ერთობლივი საქმიანობის საწარმო.

ბასს 36-ით რეგულირებული საკითხების მრავალმხრივობისა და სირთულიდან გამომდინარე, შრომაში ძირითადი აქცენტები დაეთმო სამამულო ეკონომიკაში აქტივების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღრიცხვის თავისებურებებს.

აქტივი ითვლება გაუფასურებულია თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მისი ანაზღაურებად ღირებულებას. სტანდარტი განმარტავს, რომ **აქტივის საბალანსო ღირებულება** არის ის თანხა, რომლითაც აქტივი არის ასახული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ხოლო **აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება** კი არის იმ მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მაქსიმალური სიდიდე, რომელიც ამ აქტივიდან კომპანიამ შეიძლება მიიღოს მომავალში. აქტივის ანაზღაურების ღირებულება დამოკიდებულია აქტივის უნარზე დამოუკიდებლად უზრუნველყოს ფულადი სახსრების შემოდინება საწარმოში.

ცალკეული აქტივის ანაზღაურების ღირებულების განსაზღვრა შეიძლება თუ მას შესწევს უნარი უწყვეტი ფუნქციონირების პროცესში სხვა აქტივისგან დამოკიდებლად წარმოქმნას ფულადი ნაკადები. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ აქტივს ეს უნარი არ გააჩნია, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება შესაძლოა განისაზღვროს მხოლოდ აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის (ფსწე).

ფულადი საშუალებების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომლის უწყვეტად გამოყენების შედეგად ხდება ფულადი სახსრების მიღება, რაც მეტწილად დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე (3.322). შესაბამისად, ფულადი საშუალებების წარმომქმნელი ერთეული სტრუქტურულად აქტივების ცალკეულ სახეებს მოიცავს. აუცილებელია პერიოდულად მისი გადასინჯვა და თუ მიზანშეწონილია, დასაშვებია მასში შემავალი აქტივების ჩამონათვალის შეცვლა.

როგორც აღვნიშნეთ, **აქტივის ანაზღაურების ღირებულება** იმ მოსალოდნელი სარგებელის მაქსიმალური სიდიდეა, რომელსაც კომპანია აქტივიდან მოელის მომავალში. აქტივებიდან კონომიკური სარგებელის მიღების ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს:

- აქტივის დანიშნულების მიხედვით გამოყენებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი;
- აქტივის რეალიზაციიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი;

ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც კომპანია მოელის აქტივების დანიშნულების მიხედვით უწყვეტი გამოყენებიდან, **აქტივის გამოყენების ღირებულება ეწოდება. ხოლო**, იმ ეკონომიკურ სარგებელს კი რომელსაც კომპანია აქტივების რეალიზაციიდან მოელის და რომელსაც რეალიზაციის ხარჯები უნდა გამოაკლდეს, ეწოდება **გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება**. სტანდარტის თანახმად, **აქტივის ანაზღაურების ღირებულება** არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი (3.325).

აქტივის გაუფასურების ტესტირებისას ორივე მაჩვენებლის გამოვთლა ყოველთვის არ არის აუცილებელი. ამ მაჩვენებლებიდან თუკი ერთ-ერთის მნიშვნელობა მაინც აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, იმის მიუხედავად, როგორია მეორე მაჩვენებლის სიდიდე, აქტივი არ ჩაითვლება გაუფასურებულად. რადგან ანაზღაურების ღირებულება შეესაბამება ამ მაჩვენებლებს უდიდესს, იგი ყოველთვის მეტი იქნება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე.

განვიხილოთ აქტივების გაუფასურების ტესტირებისა და ანაზღაურების ღირებულების განსაზღვრის სიტუაციები:

სიტუაცია 1:

საბალანსო ღირებულება 350 000 ლარი

გამოყენების ღირებულება 450 000 ლარი

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება – არ გამოითვლება ანაზღაურების ღირებულება 450 000 ლარი

დასკვნა: ანაზღაურების ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას; შესაბამისად, აუცილებლობას არ წარმოადგენს გაგრძელებს ტესტირება აქტივის გაუფასურებაზე; გაუფასურების ზარალი აღიარებას არ ექვემდებარება; გაუფასურების ტესტირების შემდეგ აქტივი ბალანსში აღიარდება ღირებულებით 350 000 ლარი.

სიტუაცია 2:

საბალანსო ღირებულება 350 000 ლარი

გამოყენების ღირებულება 280 000 ლარი

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება – 250 000 ლარი

ანაზღაურების ღირებულება 280 000 ლარი

დასკვნა: აქტივის გამოყენება მეტ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა, ვიდრე მისი რელიზაცია. შესაბამისად, აქტივის ანაზღაურების ღირებულება შეადგენს მათ შორის უდიდესს, ანუ 280 000 ლარს; შესაბამისად, აქტივის ანაზღაურების ღირებულება საბალანსო ღირებულებას ჩამორჩება 70 000 (350000-280000) ლარით; აღიარებას ექვემდებარება გაუფასურების ზარალი 70 000 ლარი; გაუფასურების ტესტირების შემდეგ, აქტივი ბალანსში აღიარდება ღირებულებით 280 000 ლარი.

სიტუაცია 3:

საბალანსო ღირებულება 350 000 ლარი

გამოყენების ღირებულება 280 000 ლარი

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება – 320 000 ლარი

ანაზღაურების ღირებულება 320 000 ლარი

დასკვნა: აქტივის რელიზაცია მეტ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა, ვიდრე მისი გამოყენება. შესაბამისად აქტივის ანაზღაურების ღირებულება შეადგენს მათ შორის უდიდესს – 320 000 ლარს; აქტივის ანაზღაურების ღირებულება საბალანსო ღირებულებას ჩამორჩება 30 000 (350000-320000) ლარით; აღიარებას ექვემდებარება გაუფასურების ზარალი 30 000 ლარი; გაუფასურების ტესტირების შემდეგ აქტივი ბალანსში აღიარდება ღირებულებით 320 000 ლარი.

განხილული სიტუაციებიდან გამომდინარე, სტანდარტით განსაზღვრული წესები საწარმომ სისტემატურად უნდა გაითვალისწინოს, რომ აქტივების საბალანსო ღირებულებამ არ გადაამეტოს მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებად ღირებულებაზე მაღალი შეფასება კი აქტივებს მაშინ აქვს, როცა მისი საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს აქტივების გამოყენებიდან ან გაყიდვიდან მისაღებ თანხას. ამრიგად, აქტივის ანაზღაურების ღირებულების დადგენის მიზნით, აუცილებელია ორი მაჩვენებლის – აქტივის გამოყენების და აქტივის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებების გაანგარიშება.

პირველი მაჩვენებელი-აქტივის **გამოყენების ღირებულება** არის აქტივიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება (3. 322). სტანდარტით, აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპებად (3. 327):

პირველ ეტაპი გულისხმობს აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გასვლის შემთხვევაში, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების სიდიდის დადგენას. ფულადი ნაკადების პროგნოზი დაფუძნებული უნდა იყოს კომპანიის დამტკიცებული ბიუჯეტის მონაცემებზე. ამასთან, გრძელვადიანი პროგნოზი არ უნდა მოიცავდეს იმ ფულად ნაკადებს, რომლის წარმოქმნა მოსალოდნელია მომავალში საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციულ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და სხვა ღონიძიებების კომპლექსურად განხორციელებით ანუ რესტრუქტურისაციით და აქტივის გამოყენების მაჩვენებლების გაუმჯობესებით. ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზი უნდა ითვალისწინებდეს გონივრულ და დასაბუთებულ დაშვებებს. დაშვებების დასაბუთებასტანდარტის აუცილებელი მოთხოვნაა. ამ მიზნით,ერთმანეთს უნდა შეედაროს ფულადი ნაკადების გასული პერიოდის პროგნოზული და ფაქტობრივი მაჩვენებლები. შედარება იძლევა იმის გარანტიას, რომ მიმდინარე ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზი შეესაბამება ამავე პერიოდის ფაქტობრივ შედეგებს. საპროგნოზო გათვლები **უნდა ეფუძნებოდეს დაშვებებს, რომელიც შეესაბამება აქტივების მიმდინარე მდგომარეობას და სასარგებლო მომსახურებისდარჩენილ ვადაში აქტივების გამოყენების ეკონომიკური შეფასებებს.** მომავალი ფულადი ნაკადების საპროგნოზო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს თუ სტანდარტით სხვა რამ არ არის დაშვებული. ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდში ფულადი სახსრების ფორმირებისთვის გათვალისწინებულია **მზარდი კოეფიციენტი.** თუ კომპანია შეარჩევს 5 წელზე ხანგრძლივ საპროგნოზო პერიოდს, მაშინ ხუთი წლის შემდგომ პერიოდში ფულადი ნაკადების გამოთვლისას შენარჩუნებული უნდა იყოს **უცვლელი კოეფიციენტი** ან მათი ფორმირება უნდა მოხდეს **შემცირებადი კოეფიციენტით.** თუმცა სტანდარტი აქაც უშვებს გამონაკლისს კომპანიას აძლევს არჩევანის უფლებას და მომავალი ფულადი ნაკადების განსაზღვრასა და შეფასებაში მათ გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს იმ პირობით, რომ გაანგარიშებებში ჩართული მონაცემები დასაბუთებული იქნება შესაბამის დონეზე.

აქტივების გამოყენებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს:

- ფულად ნაკადებს აქტივების უწყვეტი გამოყენებიდან. იგი წარმოადგენს ფულადი სახსრების შემოდინებას ამონაგების სახით იმ პროდუქციის რეალიზაციიდან, რომელიც დამზადდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულის გამოყენებით; ასევე პროდუქციის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ, აქტივის გაყიდვის, გეგმურ-პროფილაქტიკური რემონტის და ანალოგიური ხარჯების გასაწევად გადინებულ ფულად სახსრებს.
- აქტივების გამოყენებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ჩართული არ უნდა იყოს: ზედნადები ხარჯების და ფინანსური საქმიანობის ფულადი ნაკადები.

მეორე ეტაპზე უნდა განისაზღვროს მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირების შესაბამისი განაკვეთი; აქტივების გამოყენებიდან ფულადი ნაკადების დისკონტირების აუცილებლობას განაპირობებს ფულის ღირებულების დროში განსხვავება. შესაბამისად, დისკონტირების განაკვეთი უნდა ასახავდეს ფულის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას და მოიცავდეს მოცემული აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იგი შეიძლება იყოს სესხის საბაზრო განაკვეთი.

გამოყენების ღირებულების გაანგარიშების მარტივი მაგალითი(000,0 ლარი):

1.წელი 1 2 3 4 5

2.შემოსავალი აქტივიდან – ფულადი ნაკადების შემოდინება 240 260 280 300 320

3. ცვლადი ხარჯი – ფულადი ნაკადების გადინება (120) (130) (140) (150) (160)

4.წმინდა ფულადი ნაკადები 120 130 140 150 160

5.დისკონტირების კოეფიციენტი -განაკვ. 10% 0.91 0.83 0.75 0,68 0.62

6.დისკონტირებული ფულადი ნაკადები 109 108 105 102 99

7.აქტივის გამოყენების ღირებულება(109+108+105+102+99) **523**

ამრიგად, **აქტივის გამოყენების ღირებულების** განსაზღვრისას, ფულადი ნაკადების პროგნოზირება და დისკონტის განაკვეთის შერჩევა მთელი რიგი ურთულესი ამოცანის გადაჭრასთან არის დაკავშირებული. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში ამ პრობლემის გადაწყვეტის საყოველთაოდ მიღებული ან დადგენილი მეთოდები თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს.

მეორე მაჩვენებელი – **გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება** არის თანხა, რომელიც მიიღება დანტერესებულ და საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის რეალიზაციის შედეგად, შემცირებული გაყიდვაზე გაწეული დანახარჯების თანხით (3.322).

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით აუცილებელია აქტივის რეალური ღირებულების დადგენა და რეალიზაციის მოსალოდნელი ხარჯების გაანგარიშება.

ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“ თანახმად, აქტივის რეალური ღირებულება არის თანხა, თავ შეიძლება აქტივი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამლილი ხელის მანძილის პრინციპით“ (2.1109). რეალური ღირებულების განსაზღვრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან დამოუკიდებლები, საქმის მცოდნენი და გარიგების მსურველნი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, რეალური ღირებულება შეიძლება განისაზღვროს აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივის შესყიდვის ბოლო გარიგებაში დაფიქსირებული ფასით; მაგრამ თუ არ არსებობს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და მოცემული აქტივის აქტიური ბაზარი, მაშინ დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება უნდა განსაზღვროს იმავე დარგის ანალოგიური გარიგების შედეგით.

ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ განსაზღვრავს, რომ **აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები წარმოადგენს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით** (3.322). აქტივის რეალიზაციასთან დაკავშირებულია იურიდიული მომსახურების ხარჯები, სხვადასხვა სახის სახელმწიფო მოსაკრებელი, აქტივის მოხსნისა და დემონტაჟის ხარჯები და სხვა პირდაპირი დანახარჯები, რომელიც აქტივის გასაყიდ მდგომარეობამდე მოსაყვანად გაიწევა.

რადგანაც, ბასს 36 ვრცელდება ბასს 16-ის შესაბამისად გადაფასებულ აქტივებზეც, იმის განსაზღვრა გაუფასურებულია თუ არა გადაფასებული აქტივი დამოკიდებულია რეალური ღირებულებით შეფასების მეთოდზე, კერძოდ,

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯები თუ უმნიშვნელოა, გადაფასებული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება უახლოვდება ან მეტია მის რეალურ ღირებულებაზე და ასეთ შემთხვევაში ნაკლებსავარაუდოა, რომ გადაფასებული აქტივი გაუფასურებული იყოს.

მაგრამ, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯები თუ უმნიშვნელო არ არის, მაშინ გადაფასებული აქტივის გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება აუცილებლად ნაკლებია მის რეალურ (გადაფასებულ) ღირებულებაზე, შესაბამისად, გადაფასებული აქტივი გაუფასურებული იქნება. ასეთ შემთხვევაში საწარმომ უნდა განსაზღვროს გაუფასურებულია თუ არა მოცემული აქტივი.

ცალკეული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების მახასიათებლების დადგენის მიზნით ბალანსის შედგენის თარიღისათვის, კომპანიამ

უნდა განახორციელოს ცალკეული აქტივის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სავალდებულო ტესტირება გაუფასურებაზე. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისა და ცალკეული აქტივის გაუფასურებაზე ტესტირება ტარდება ანალოგიურად. კომპანიამ შესაბამის ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა დაადგენოს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნების არსებობა. აქტივების გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად სტანდარტი ეყრდნობა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს.

ინფორმაციის შიდა წყაროებია:

- აქტივის მორალური მოძველების ნიშნების არსებობა;
- აქტივის ფიზიკური დაზიანება ან დანაკარგი;
- მტკიცება იმაზე, რომ აქტივების გამოყენებიდან მიღებული ან მომავალში მისაღები ფინანსური შედეგები მოსალოდნელზე მეტად არის გაუარესებული;
- აქტივების გამოყენების ხასიეთი შეცვლა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ფულადი ნაკადებზე;

ინფორმაციის გარე წყაროებია:

- წლის განმავლობაში აქტივების ექსპლოატაციის ნორმალური პირობების მიუხედავად, მისი ღირებულება შემცირდა იმაზე მნიშვნელოვნად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო (მაგ. ეკონომიკის საერთო ვარდნის პირობებში ქვეყნის ან რეგიონის მიხედვით);
- ტექნიკური, სამართლებრივი, საბაზრო და ეკონომიკური შინაარსის მომხდარი ან მოსალოდნელი არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს აქტივების ღირებულებასა და კომპანია ფუნქციონირების გარემოზე (მაგ. კონკურენტების მიერ ახალი ტექნოლოგიების, თანამედროვე ტექნიკის, ახალი პროდუქციის დაწერვა);
- პერიოდის განმავლობაში არსებითად გაიზარდა პროცენტის საბაზრო განაკვეთი, რომელიც გავლენას ახდენს აქტივის გამოყენების ღირებულების დისკონტირების განაკვეთზე და არსებითად ამცირებს აქტივის ანაზრაურების ღირებულებას;
- კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მის საბაზრო კაპიტალიზაციას.

გაუფასურების ნიშნების არსებობის მიუხედავად, კომპანია ვალდებულია ყოველწლიურად განახორციელოს შემდეგი აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე:

- განუსაზღვრელვადიანი არამატერიალური აქტივები
- გუდვილი
- აქტივები, რომელიც ექსპლოატაციისათვის მზადყოფნაში არ არის.

აქტივების გაუფასურების ნიშნების ჩამონათვალი სტანდარტში ამომწურავი არ არის. გაუფასურების სხვა მახასიათებლების დამოუკიდებელი იდენტიფიცირება შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ჩამოყალიბებულ კანონზომიერებას, რომ გაუფასურების ნიშნების არსებობის პირობებში, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები შემცირების ტენდენციით ხასიეთდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გუდვილის შემოწმება გაუფასურებაზე ტარდება წელიწადში ერთხელ წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ იმ პირობით, რომ ყოველწლიური ტესტირება ჩატარდება ერთი და იმავე თარიღით.

როგორც აღვნიშნეთ, გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მისი ანაზღაურების ღირებულებას (3. 322). აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს ანაზღაურების ღირებულებამდე და აქტივი ბალანსში უნდა აღიარდეს კორექტირებული საბალანსო ღირებულებით, ხოლო გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში დაუყოვნებლივ აღიარ-

დება ხარჯის სახით. მაგრამ გამონაკლისია შემთხვევა, როცა აქტივი სხვა რომელიმე სტანდარტის თანახმად, ასახულია გადაფასებული ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში ცალკეული აქტივის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა გარკვეულ თავისებურებებით ხასიეთდება. გაუფასურების ზარალის აღრიცხვის თავისებურებებჯს იმტერპრეტაციის მიზნით, განვიხილოთ ძირითადი საშუალებების აღიარების შემდგომი შეფასებასადმი ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“-ს მიდგომა.ამ მიზნით, აღნიშნული სტანდარტი განიხილავს ორ მოდელს: თვითღირებულებისა და გადაფასების მოდელს, რომელის გამოიყენებაც სავალდებულოა ძირითადი საშუალებების მთელი ჯგუფისთვის. ამ მოდელებიდან კომპანიამ უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი და სააღრიცხვო პოლიტიკად მიიღოს. თვითღირებულების მოდელის თანახმად, ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება გულისხმობს, რომ აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალების ერთეული უნდა აისახოს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასების მოდელის თანახმად, კი ძირითადი საშუალების ერთეული, რომლის რეალური ღირებულება საიმედოდ არის განსაზღვრული, უნდა აისახოს გადაფასების მომენტისათვის აქტივის რეალური ღირებულების ტოლი გადაფასების თანხით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ბასს 16 სავალდებულოდ მიიჩნევს რეგულარული ხასითის გადაფასების პოლიტიკას, რათა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ძირითადი საშუალებების რეალურ და საბალანსო ღირებულებებში არ იყოს არსებითი განსხვავება. თვითღირებულების მოდელით აღიარებული ცალკეული აქტივის გაუფასურების ზარალი ჩამოიწერება ხარჯებში და აისახება მოგება-ზარალში. ხოლო, გადაფასების მოდელით აღიარებული ცალკეული აქტივის გაუფასურების ზარალი უნდა აღრიცხოს, როგორც მოცემული ძირითადი საშუალების გადაფასების შემცირება, რაც პირდაპირ შეამცირებს საკუთარ კაპიტალს. იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალი აღემატება გადაფასების თანხას, მაშინ მისი დაუფარავი მაწილი ჩამოიწერება ხარჯებში და აისახება მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, კორექტირებას ექვემდებარება მოცემული აქტივის სისტემატურად დასარიცხი ცვეთის თანხა, რათა კორექტირებული საბალანსო ღირებულება შესაბამისად გადანაწილდეს აქტივის მომსახურების დარჩენის პერიოდზე.

მაგალითი: კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულების მოდელით. დანადგარის პირვანდელი ღირებულება 10.000 ლარია; მომსახურების ვადა 5 წელი; ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით- ყოველწიურად 2.000 ლარი; ტესტირება გაუფასურებაზე ჩატარდა მეორე ფინანსური წელის დასრულების თარიღით და ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრა 4. 800 ლარით; გაუფასურების ზარალმა შეადგინა 1.200 (6.000-4.800) ლარი, ხოლო კორექტირებულმა საბალანსო ღირებულებამ კი 4.800 (10.000-6.000-1.200) ლარი. მომსახურების დარჩენილ (3 წელი) პერიოდზე ყოველწიურად დასარიცხი კორექტირებული ცვეთა შეადგენს 1.600 (4.800/3) ლარს. მესამე წელს აქტივის გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა; თვალსაჩინოებისთვის სიტუაციური მაგალითი წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

პერიოდი 1 წელი	2 წელი	3 წელი
საწყისი ღირებულება	10.000	10.000
დაგროვილი ცვეთა	(2.000)	(4.000)
დაგროვილი გაუფასურების ზარალი	0	(1.200)
ნარჩენი ღირებულება	0	0
საბალანსო ღირებულება	8.000	4.800

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების კორექტირებისა და გაუფასურების ზარალის აღრიცხვის წესის შესახებ, ბასს 36 ერთმნიშვნელოვან მითითებას არ იძლევა, განსხვავებით ბასს 16-ისგან, რომელშიც ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგ-

ბის აღრიცხვის საკითხი დეტალურად განიხილება. ჩვენი აზრით, ბასს 36 ამ კუთხით გარკვეულ მინიშნებას იძლევა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების განმარტებაში, სადაც აღნიშნულია, რომ მის გასაანგარიშებლად საჭიროა ორი მაჩვენებლის-დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის შესახებ ინფორმაციის არსებობა. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ:

1. გაუფასურების ზარალის აღრიცხვის წესმა უნდა უზრუნველყოს მისი აკუმულირებული (დაგროვილი) სიდიდის ფორმირება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაუფასურების ზარალის აღრიცხვა განხორციელდეს დამოუკიდებლად, დაგროვილი ცვეთის აღრიცხვის ანალოგიურად;

2. გაუმათლებლია გაუფასურების ზარალის აღრიცხვა დაგროვილი ცვეთის ანგარიშებზე, რადგან „დაგროვილი ცვეთისა“ და „დაგროვილი ზარალის“ მაჩვენებლები განსხვავდებიან როგორც ეკონომიკური შინაარსით, ასევე ფორმირების მეთოდით. შესაბამისად, ვთვლით, რომ გაუფასურების ზარალი, როგორც ძირითადი საშუალებების შეფასების მაკორექტირებელი მაჩვენებელი, აღრიცხოს მუდმივი ანგარიშების 2200 ჯგუფში; გაიხსნას იგივე დასახელების პასიური ანგარიში, რომელზეც მოხდება გაუფასურების ზარალის თანხების დაგროვება ხარჯების და/ან გადაფასების რეზერვის ანგარიშებთან კორესპოდენციით;

3. ჩვენი აზრით დაუშვებელია ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო შეფასების კორექტირება გაუფასურების ზარალი თანხით. ძირითადი საშუალებების შეფასება, რომლითაც ის აღრიცხვაში აისახება (თვითღირებულებისა და გადაფასებული ღირებულების მოდელები) რეგულირებულია ბასს 16-ით; დაგროვილი გაუფასურების ზარალი არის მაჩვენებელი, რომლის ფორმირებაც უნდა აღრიცხოს არა ძირითადი საშუალებების ანგარიშების, არამედ ამ მიზნისათვის გახსნილი ანგარიშის კრედიტში, ვინაიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალით, ბასს 36-ის თანახმად, კორექტირებას ექვემდებარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, რომლითაც ის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში კომპანიამ უნდა შეაფასოს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურების ღირებულება. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალი, ცალკეული აქტივის გაუფასურების ზარალის ანალოგიურად განისაზღვრება. საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით, ზარალი უნდა განაწილდეს ამ ერთეულის მიკუთვნებულ ყველა აქტივზე. განაწილება უნდა განხორციელდეს მკაცრად რეგლამენტირებული თანმიმდევრობით (3. 341):

ა) პირველ რიგში გაუფასურების ზარალი მიეკუთვნება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე /ან ერთეულთა ჯგუფზე/ მიკუთვნებულ გუდვილზე თუ ასეთი არსებობს და მხოლოდ ამის შემდგომ კი

ბ) მოცემული ერთეულის (ერთეულთა ჯგუფის) სხვა აქტივებზე, მასში (ერთეულში) შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად;

სტანდარტის თანახმად, თავდაპირველად მცირდება გუდვილის ღირებულება და როცა მისი ღირებულება ნულამდე ჩამოიწერება, გაუფასურების ზარალის გაუნაწილებელი სიდიდე, პროპორციულად მიეკუთვნება ერთეულში შემავალ დანარჩენ აქტივებს მათი საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით. ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულების პროპორციულმა შემცირებამ, არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ რომელიმე მათგანის კორექტირებული საბალანსო ღირებულება ნაკლები იყოს მისი გამოყენების ღირებულებაზე ან გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებაზე. შესაბამისად, გაუფასურების ზარალი, რომელიც სხვა შემთხვევაში უნდა მიკუთვნებოდა ერთეულში შემავალ აქტივს, მისი საბალანსო ღირებულების კორექტირებისთვის, განაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ყველა აქტივზე.

იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე მიკუთვნებული თითოეული აქტივის ანაზღაურების ღირებულების განსაზღვრა, გაუფასურების ზარალი, სტანდარტის თანახმად, თანაბრად ნაწილდება ერთეულის ყველა აქტივზე.

როგორც აღვნიშნეთ, ყოველი საანგარიშო თარიღით კომპანიამ უნდა განახორციელოს აქტივების შემოწმება გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. მაგრამ შემოწმების პროცესში შეიძლება გამოვლინდეს, რომ გაუფასურების ზარალი, რომელიც გასულ პერიოდში იქნა გამოვლენილი შემცირებულია, ან საერთოდაც აღარ არსებობს. მსგავსი ნიშნების არსებობა დასაშვებია, თუ პერიოდის განმავლობაში ადგილი ქონდა შემდეგ მოვლენებს, კერძოდ:

- მნიშვნელოვნად შეიცვალა, აქტივის საბაზრო ღირებულება;
- შეიცვალა ან უახლოეს მომავალში შეიცვლებს კომპანიის ფუნქციონირების არეალი;
- მნიშვნელოვნად დაეცა პროცენტის საბაზრო განაკვეთები;
- შიდა ანგარიშგების მონაცემებით დასტურდება, რომ აქტივების გამოყენების მიმდინარე და მომავალი შედეგები გაუმჯობესებულია უფრო მეტად, ვიდრე თავდაპირველად მოელოდნენ.

მსგავსი ნიშნების არსებობის პირობებში, კომპანია სტანდარტული წესით განსაზღვრავს აქტივების ანაზღაურების ღირებულებას. შესაბამისად, აქტივის საბალანსო ღირებულება, რომელიც შემცირებული იყო გაუფასურების ზარალით, იზარდება და ანაზღაურებად ღირებულებას უტოლდება. გაუფასურების ზარალის აღდგენის პროცესში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც გაუფასურების ზარალით შემცირებამდე ჰქონდა აქტივს. აღდგენილი გაუფასურების ზარალის აღრიცხვის წესი დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების შეფასების გამოყენებულ მოდელზე. კერძოდ, თუ ძირითადი საშუალებების შეფასება ხორციელდება თვითღირებულების მოდელით, მაშინ გაუფასურების ზარალის აღდგენა აისახება შემოსავალში და აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მაგრამ, თუ შეფასება გადაფასების მოდელით ხორციელდება მაშინ, აღდგენილი გაუფასურების ზარალი უშუალოდ აისახება „გადაფასების რეზერვის“ ანგარიშზე და გამოიწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას. როგორც გაუფასურების ზარალის აღიარების პირობებში, მისი კომპენსაციის (დაბრუნების) შემთხვევაშიც, გადასინჯვას და შესწორებას ექვემდებარება სისტემატურად დასარიცხი ცვეთა. სისტემატურად დასარიცხი ცვეთის თანხა გამოითვლება შემდეგი გაანგარიშებით:

კორექტირებული საბალანსო ღირებულება - ნარჩენი ღირებულება /
აქტივის სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადა.

შესაბამისად, აქტივის კორექტირებული საბალანსო ღირებულება მისი მომსახურების დარჩენის პერიოდზე გადანაწილდება ცვეთის კორექტირებული თანხის შესაბამისად.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების საბალანსო ღირებულების კორექტირების მიზნით, გაუფასურების ზარალის კომპენსაციის თანხა განაწილდება მათი საბალანსო ღირებულების პროპორციულად. **გამონაკლისია გუდვილი, რომლის გაუფასურების ზარალი**

აღდგენას (დაბრუნებას) არ ექვემდებარება. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ასეთი ზარალის აღდგენა და ანგარიშგებაში აღიარება ქმნის არა შემენილი, არამედ შექმნილი გუდვილის შთაბეჭდილებას, რომლის აღიარებასაც კრძალავს ბასს 38 „არამატერიალური აქტივები“.

გაუფასურების ზარალის აღდგენის პროცესში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემადგენლობაში არსებული თი-

თოეული აქტივის აღდგენილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ჰქონდა თითოეულს გაუფასურების ზარალით შემცირებამდე.

ინფორმაციის გახსნა ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში. როგორც უკვე აღნიშნეთ, სტანდარტი იძლევა ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში ინფორმაციის გახსნის წესს.

ბას 36, როგორც სხვა სტანდარტები, ითხოვს ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში ანალიზის ობიექტის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის წარდგენას. გარე მომხმარებლის მიერ ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად არსებითად მნიშვნელოვანია გაუფასურების ზარალის ფაქტის ცოდნა. ინფორმაციის გახსნის გასამარტივებლად სტანდარტით რეკომენდებულია, რომ მონაცემების წარდგენა მოხდეს აქტივების ქვეკლასების ანუ ისეთი ჯგუფების მიხედვით, რომელიც გამოყენებისა და ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით გარკვეულწილად მსგავსია. მნიშვნელოვანია იმ დაშვებების განხილვაც, რომელსაც ემყარება ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებები. დაშვების სახით შეიძლება მივიღოთ კონკრეტული გაანგარიშებითი შეფასებებიც. ამ შემთხვევაში მათი გამოთვლის მეთოდიკა დამუშავებული და წარდგენილი უნდა იყოს სააღრიცხვო პოლიტიკაში, რადგან, როგორც წესი ასეთი გაანგარიშებები ინდივიდუალურია და შესაბამემა კონკრეტული კომპანიის სტრუქტურასა და საქმიანობას. გათვალისწინებული უნდა იყოს **ფასს-ის არსებითობის ზღვარი**, რომელიც სააღრიცხვო პოლიტიკაშია მითითებული (იგი გამოითვლება ინდივიდუალურად, კონკრეტული კომპანიის მიერ და ემყარება ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა წმინდა აქტივები, საერთო ბრუნვა, მთლიანი აქტივები, წმინდა მოგება) და თუ გაანგარიშებული გაუფასურების თანხა ნაკლებია არსებითობის ზღვრულ მაჩვენებელზე, მაშინ კორექტირებების გაკეთება საჭირო აღარ არის და საკმარისია განმარტებებში მიეთითოს რომ ჩატარდა მსგავსი ანალიზი, რამაც მოგვცა დამდგარი(მოცემული, კონკრეტული) შედეგი.

ბასს 36-აქტივების გაუფასურების პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ რთული და შრომატევადია, რაც იმაში მდგომარეობს რომ: ტესტირება აქტივების გაუფასურებაზე უნდა ჩატარდეს ყოველი საანგარიშგები თარიღისათვის /ბალანსის შედგენისას/; აქტივების გაუფასურებაზე ტესტირებისათვის უნდა დადგინდეს ღირებულების შესაძლო დაკარგვის ნიშნების მქონე აქტივები, ამასთან აღრიცხვის ყველა ობიექტი არ განიხილება, როგორც მოსალოდნელ ფულად ნაკადების წარმომქმნელი; მნიშვნელოვანია რომ კომპანიამ უზრუნველყოს გაანგარიშებებში გამოყენებული ინფორმაციის საიმედოობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა; სირთულეების მიუხედავად, აქტივების შემოწმება შესაძლო გაუფასურებაზე უზრუნველყოფს, რომ კომპანიამ მუდმივად განახორციელოს მმართველობითი ანალიზი და აკონტროლოს აქტივების გამოყენების ეფექტიანობა; ობიექტურად შეაფასოს კომპანიის შემდგომი განვითარების პერსპექტივები და მიიღოს დასაბუთებული მმართველობითი და საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რაც ბასს 36 უდავო უპირატესობას ანიჭებს.

ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები Tb., 2009.
2. ბასს 16 ძირითადი საშუალებები. თბ., 2009.
3. ბასს 36. აქტივების გაუფასურება. თბ., 2009.
4. IAS 16 Property, plant and equipment – Subsequent costs examples. <http://www.consultasifrs.com/uk/novedades/1afa34a7f984eeabdbb0a7d494132ee5/August-7-2013-IFRS-Practical-Guide---IAS-16-Property-plant-and-equipment---Subse>

5. Module 17 – Property, Plant and Equipment. IFRS Foundation: Training Material for the IFRS® for SMEs.2009. http://www.ifrs.org/IFRS-for-SMEs/Documents/Module17_version2010_1.pdf
6. Н.В . Генералова МСФО (IAS) 16 Основные средства. www.ipnpu.ru/article.php?idarticle=002712
7. В. Пыльцов МСФО 36 „Обесценение активов“ Детальный анализ /WWW.2z.ru/

Nana Sreseli

Academic Doctor of Economics

Iv. Javakishvili Tbilisi State University

Accounting aspects of fixed asset impairment

Information regarding impairment of assets has to be fully presented in the notes of financial statement, as envisaged by the international accounting standard. This is not easy due to difficulties related to calculation of present value and variety of methods associated to present value.

The accounting standard does not provide detailed instruction. Also the components of the assessment of future cash flows, are based on certain estimates and forecasting calculations.

The company has limited ability to ensure reliability of information required to present.

Testing of assets impairment should be conducted for each reporting period, identified the assets that potentially can be impaired. Examination assets on impairment ensure that company should conduct management analyze, control efficiency of assets and receive documented management and investment decision.

The Development of the German Accounting System from the Perspective of Different Accounting Models

1. Introduction

In recent years there has been a significant change in accounting systems and their embodied primary objectives worldwide. Especially the introduction of International Financial Reporting Standards (IFRS) caused a global shift of accounting systems and a more dominant role of the information function. On the contrary backed by the financial and the legal system as well as the welfare state a stable Accounting system in Germany evolved focusing on creditor protection based on historical cost accounting for assets and liabilities. But due to the fact that Germany's financial system is successively transforming from a bank based to a market based one, the accounting system is changing as well. Since anonymous investors on stock markets require extensive disclosure – in contrary to principal banks which receive their information via memberships in supervisory committees – the information function gets greater relevance. As a consequence, fair value accounting, which is known for being more informative than historical costs accounting, is on the rise in Germany.

This contribution describes the development of the German Accounting System until today starting with the introduction of the Bilanzrichtliniengesetz (BiRiLiG) in 1985, which is a starting point for a series of changes of Germany's Accounting, and ranges in this development within different accounting models: the **creditor protection-orientated accounting model** and the **informative accounting model**. Although countless articles describe the recent evolution of German Accounting, none of them have undertaken a classification of this trend into accounting models. Thus, the first goal of this paper is to fill this research gap. Also, high-level-trends of German accounting will be identified and evidence for those trends will be given.

The paper is outlined as follows: part 2 describes the two pure types of accounting models, part 3 shows the most important changes within the German accounting system from 1985 until today, part 4 intends to convey the development of the German accounting system in the context of a possible shift from a creditor protection-orientated accounting system to an informative accounting system and part 5 summarizes this contribution.

2. Accounting Models

Accounting systems have to fulfill different functions: protection of creditor's property, provision of information relevant for the decision-making process of investors and calculation of financial numbers as assessment basis for dividend payments or tax computations. (for a detailed account on different accounting functions see Baetge, Kirsch, and Thiele (2012)). In particular the protection of creditor's property and the provision of information relevant for the decision-making process of investors are often contradictory accounting goals. While investors want to assess the "true" value of a firm, creditors want to make sure that dividend payouts don't exceed the company's income and thus support a rather low asset valuation instead of a market valuation of assets. We therefore define two pure types of accounting models, which aim to fulfill one goal each: the creditor protection-orientated accounting model which mainly tries to maintain the company's capital and the informative accounting model, which intends to provide information for investors relevant to their decision-making processes (see Figure 1).

	Creditor Protection-orientated Accounting Model	Informative Accounting Model
Objective	Capital Maintenance	Providing information relevant to decision-making for investors
Primary Arithmetic Element	Income Statement with Balance Sheet as a By-product	Balance Sheet with Income Statement as a By-product
Preferred Valuation Method	Historical Cost	Fair Value
Guiding Principle	Reliability	Relevance
Time Perspective	Rather oriented towards the past	Rather future-oriented
Associated Accounting-Approach	Revenue Expense Approach / Dynamic Accounting Theory	Asset-Liability-Approach / Static Accounting Theory

Figure 1: Accounting Models by Comparison (Source: Own Representation)

If one wants to determine a value of an asset, there are mainly two valuation methods: fair value and historical cost accounting. There is basically not a better method, but each method serves an accounting function better than the other. Fair values are highly **relevant** and focus on current market values as a conglomeration of **future** expectations. The relevance of fair value accounting can be verified both theoretically as well as through empirical value relevance studies (Hitz, 2007) As is the case with market values, fair values include the disadvantage that they are often not reliable and have a strong variance. Moreover determination procedures vary and considerable valuation leeways exist (Saliers, 1920). Historical costs on the other hand are highly **reliable** and their values are more persistent. Nevertheless historical costs result from a **past** analysis and leave out possible enhancements in value rendering them highly irrelevant for the value determination of future cash flows. Consequently the decision whether to use Historical costs or fair value needs to cope with the trade-off between relevance and reliability.

Both accounting models can be assigned to diverging accounting approaches: The creditor protection-orientated accounting model is based on the revenue-expense-approach which tries to calculate the exact profit to make sure that dividend payments don't exceed the actual profit obtained. Accordingly the value change of the company's assets and liabilities results as a residual value. The informative accounting model is assignable to the asset-liability-approach favoring exact daily market values as assessment basis for assets and liabilities. The yearly profit within this approach is a by-product from the balance sheet and is ascertained by the net change of assets and liabilities.

3. Accounting in Germany

Accounting in Germany has a long tradition: Already in 1794 the Prussian local law (Preußisches Landrecht) included a mandatory preparation of a balance sheet if trading companies wanted to distribute profits (Busse von Colbe, Crasselt, & Pellens, 2011). At this early stage of German Accounting rules, prudence was a dominant leitmotif, e.g. the prevalent valuation principle

for assets was the lowest-value principle. Before 1985 German Accounting rules were codified in various separate acts for almost two centuries and were stable in their structure and valuation methods. This seems reasonable as the social systems (financial, legal) and the welfare state type determining the accounting system didn't change significantly as well. Until the late 1980's German companies financed themselves predominantly via primary banks characterizing an insider economy as banks are directly involved in companies' activities, e.g. via memberships in supervisory boards (Hammermeister, 2012). Thus accounting rules in Germany constitute a basis for protecting creditor's capital rather than providing information relevant for external investors. Besides the German legal system remain stable: based on a civil law tradition an emphasis is put on strengthening investor's respectively creditor's rights instead of providing investors with a high level of information and trust in a functioning securities market (La Porta et al., 2000). The third social system, the welfare state type, provides further explanatory power for the focus on creditor protection: Germany represents an Institutional welfare state, which fosters the distribution and creditor protection function rather than the information function of Accounting systems (Oehr & Zimmermann, 2012). Considering their increasing capital requirements, German companies are more reliant upon external funding on capital markets since the 1980's. According to this change of the German financial system, the following acts can be partly seen as a reaction to the social system evolution.

Within the last three decades various acts caused an increased level of both disclosure and enforcement in Germany (Meser, Veith, & Zimmermann, forthcoming 2015). These laws had two origins: on the one hand national legislation processes, and on the other hand implementation of EU Directives (Hayn, Waldersee, & Benzel, 2012). The growing importance of capital markets brought forward by EU legislation as well as accounting scandals corresponding to a lack of transparency of German companies embodied the main drivers for the rectification of BiRiLiG in 1985, which is considered to represent the starting point for a fundamental change of the German Accounting system. Its Core component was the creation of the third book of the German Commercial Code (HGB) with detailed accounting rules and codified principles of orderly accounting.

German companies increasingly invested in foreign markets in the last decades and thus required more capital from international capital markets such as American stock exchanges, requiring the publication of financial statements in accordance with US Generally Accepted Accounting Principles (GAAP) by all listed companies. As a result, German companies listed both on German and American stock exchanges had to compile two different financial statements for their group accounts: one conformable to US-GAAP as well as one to German-GAAP. The Kapital auf nahmeerleichterungsgesetz (KapAEG) of 1998 abolished this costly requirement, at least as a transitional arrangement until 2004: the publication of a financial statement according to international accounting rules had an exempting effect; the preparation of two different financial statements for group accounts was no longer required. Nevertheless, companies were forced to disclose further information: since 1998 segment reporting got mandatory as it was already common in most other countries (Luttermann & Großfeld, 2005).

Another act of 1998, the Gesetz zur Kontrolle und Transparenz im Unternehmensbereich (KonTraG) aimed to improve Corporate Governance of German Companies by forcing them to establish an early warning system for risks that are crucial for the company's existence. As a consequence of the KonTraG the Accounting Standards Committee of Germany (ASCG) was founded in 1998. The ASCG is a private organization and represents German interests in international standard setting processes, for example, within the International Accounting Standards Board (IASB) and the European Financial Reporting Advisory Group (EFRAG) (Baetge, Krumnow, & Noelle, 2001). Analyzing the establishment of the ASCG, two circumstances are apparent. For one thing Accounting standards are first developed within a private organization – the German Government has only a supervision function and a veto right – and for another thing the foundation of the ASCG symbolizes a mounting international orientation of German Accounting organizations which had a national focus before.

Most of these acts aimed to strengthen accounting laws to reduce the risk of accounting scandals: The Transparenz- und Publizitätsgesetz (TransPuG) of 2002, for instance, established a higher level of disclosure and adapted some provisions to European practices (Zimmermann &

Werner, 2013). Also in 2002 the Federal Financial Supervisory Authority (BaFin) was founded, whose primary goal is to accompany the increasing level of disclosure with a strong and effective enforcement. Two years later the trend towards internationalization of German Accounting continued with the Bilanzrechtsreformgesetz (BilReG), which implemented EU regulation 1606 of the year 2002 thereby obligating listed Groups to publish their annual financial statements according to IFRS. Non-listed groups on the contrary are also allowed to publish their accounts according to IFRS and are then exempted from the duty to publish accounts according to German-GAAP. Additionally the Bilanzkontrollgesetz (BilKoG) established a two-tier enforcement with the Deutsche Prüfstelle für Rechnungslegung (DPR) as the first tier and BaFin as the second tier in 2004 (Hitz, Ernstberger, & Stich, 2012) which is remarkable as DPR is also a private organization.

Until the Bilanzrechtsmodernisierungsgesetz (BilMoG) of 2009 Germany could have been seen as a country with the pure type of a Creditor Protection-orientated Accounting Model. But BilMoG was a fundamental upheaval in Germany's Accounting history.

More than 26 separate provisions and acts were changed across various areas of law, e.g. Commercial Law, Stock Corporation Act, and Publicity Act (Zimmermann, 2009). Diverse valuation rights of election were abolished, lowest-value principle for assets and highest-value for liabilities were restricted and fair value accounting was stipulated more frequently (for a detailed description of BilMoG see part 4). But BilMoG not only caused significant changes regarding accounting rules, it also lead to greater reporting obligations of market-listed companies concerning their Corporate Governance and Corporate Management (Melcher & Schaiër, 2009).

4. Paradigm Shift of the German Accounting System?

The main goal of BilMoG was the provision of a non-complex alternative to international accounting standards as IFRS at little cost without giving up the previous goal setting of German-GAAP, the provision of a basis for dividends and taxation (Hillmer, 2008). Correspondingly, BilMoG lead to a radical change of the German Accounting system. Various options for assets recognition were abolished, fewer provisions can be established and a higher volume of expenses (for instance self-constructed intangible assets during the development phase) can be capitalized. Besides fair value accounting was more often mandatory or at least allowed as a right of choice and the reversed authoritative principle was nullified (Petersen & Zwierner, 2009).

Equity is defined as residual value of a company's total assets and liabilities. The more expenses can be capitalized, the higher the equity. The real assets of a company though remain unchanged – the only thing changing are the accounting numbers. Especially problematic is the fact that the additional capitalization of expenses (e.g. self-constructed intangible assets during the development phase) leads to a better-looking picture of a company's financial situation – especially their profit and equity numbers – without an actual improvement of their setting. Consequently, the resulting book profits encourage higher dividend payments, the future of a company and also the capital of creditors can be threatened.

The increasing use of fair value accounting leads furthermore to a higher variance of the total volume of assets and thus to another danger for creditor's capital. Hence, an additional protection of creditor's capital needs to be ensured on a single-contract base as legal creditor protection becomes porous and thus is no longer sufficient.

Creditor Protection in Germany – Presence and Perspectives

Due to the fact that creditor protection was organized through legal payout blocks and prudent measurement requirements, exceeding institutional arrangements in favor of creditors didn't seem necessary before the implementation of BilMoG. Notwithstanding creditors are increasingly demanded to use instruments on a single-contract-basis to reduce the risk of credit defaults as BilMoG weakened the creditor protection of German-GAAP. Contractual side agreements (covenants) which are used especially in countries with a low level of creditor protection within accounting rules as the U.S. and Great Britain depict the most prominent instrument to reduce risks (Zimmermann, Werner, &

Kilian, 2011a). In those Anglo-Saxon countries covenants are ever since important (Smith & Warner, 1979). On the contrary, in Germany covenants are increasingly used within credit contracts (Zimmermann, Werner, & Kilian, 2011b). The growing importance of covenants seems reasonable because the institutional creditor protective mechanism are no longer sufficient. As many banks, which haven't used covenants yet, are considering the use of covenants in the future, a further growing importance of covenants in Germany seems likely (Bantleon, Fengler, & Peter, 2009).

Trends of German Accounting

Although changes of Germany's Accounting system described in chapter 3 seem to be vast, seven high-level-trends can be identified (see Figure 2).

Trend	Evidence
Stronger emphasis on information function	E.g., increased use of Fair Value accounting due to BilMoG (2009)
Less embodied creditor protection	E.g., more options to create assets for self-created intangible assets since BilMoG (2009)
Enhanced Enforcement	BaFin (2002), DPR (2004)
Larger Disclosure Requirements	Segment Reporting (1998), TransPuG (2002)
More Transparency	KonTraG (1998), BilMoG (2009)
Privatization	ASCG (1998), DPR (2004)
Internationalization	Representation in international boards by ASCG (1998), IFRS required for listed Groups (2004)

Figure 2: Trends of the German Accounting System (Source: Own Representation)

For various assets BilMoG prescribes market valuation whereas others still have to be valued at historical costs. Therefore, it would be exaggerated to claim the German Accounting transformed in an informative Accounting Model. Nonetheless, a considerable shift from the creditor protection-orientated accounting model towards the informative accounting model is observable and it is reasonable to claim that Germany now possesses a weakened type of the creditor protection-orientated accounting model. As a result, **a stronger emphasis on the information function and weaker creditor protection** of the German Accounting system has developed. The establishment of independent enforcement organizations as DPR and BaFin has **enhanced the German Enforcement**. TransPuG and the mandatory segment reporting provide evidence for **larger disclosure requirements**. Various acts such as KonTraG and BilMoG caused an **increased transparency** of companies and their management activities. The launch of ASCG is remarkable due to two aspects: for one thing it is a **private organization** and takes over some governmental tasks, for another thing it provides evidence for a **growing international orientation** of German Accounting as ASCG represents German interests in various international boards.

Future of the German Accounting System

There are also ongoing discussions whether to introduce IFRS also for Single Accounts of German companies (Winkelmann, 2007). Nevertheless until today no serious efforts were made to implement IFRS for individual financial statements. But especially international firms proclaim the

introduction of IFRS for single accounts for cost reasons as they would thus only need to hire IFRS-experts and reconciliation accounts as well as adjustments to the statement according to IFRS would become obsolete. An introduction of IFRS for single accounts would have far-reaching implications for the provision of creditor protection. As prudence would become at most a secondary objective, covenants would need to fill the gap in that sense that creditor protection is no longer guaranteed by accounting rules.

5. Conclusion

Albeit IFRS are getting more important worldwide, German companies are still required to publish their individual financial statements according to German GAAP. Nevertheless the German Accounting System is gradually changing in response to the changing financial system in Germany. Not least BilMoG caused a significant caesura in the history of German Accounting. While prudence constituted the dominant motto of German Accounting for more than two centuries, Fair Value Accounting is now on the rise in Germany. The decreasing importance of creditor protection and the prudence principle in German GAAP has significant consequences as, for instance, Covenants are employed more frequently.

Seven high-level-trends of the German Accounting system were identified in this paper: stronger emphasis on information function, less embodied creditor protection, enhanced enforcement, larger disclosure requirements, more transparency, privatization and internationalization. The stronger emphasis on the information function combined with a weaker creditor protection signal a paradigm shift of the German Accounting system from the creditor protection-orientated accounting model towards the informative accounting model. As the German-GAAP still includes prudence as a leitmotif and historical costs are still employed, albeit of less importance, it is reasonable to argue that Germany has now a weakened type of the creditor protection-orientated accounting model.

References:

1. Baetge, J., Kirsch, H.-J., & Thiele, S. (2012). *Bilanzen* (Vol. 12). Düsseldorf: IDW-Verlag.
2. Baetge, J., Krumnow, J., & Noelle, J. (2001). Das „Deutsche Rechnungslegungs Standards Committee „(DRSC)–Standortbestimmung und Zukunftsperspektiven der Konzernrechnungslegung. *Der Betrieb*, 54(15), 769-774.
3. Bantleon, U., Fengler, P., & Peter, A. (2009). Einsatz von Covenants im Firmenkundenkreditgeschäft der Volks und Raiffeisenbanken. *Finanz Betrieb*, 11(12), 751-759.
4. Busse von Colbe, W., Crasselt, N., & Pellens, B. H. (2011). *Lexikon des Rechnungswesens: Handbuch der Bilanzierung und Prüfung, der Erlös-, Finanz-, Investitions- und Kostenrechnung*. Berlin u.a.: Oldenbourg Wissenschaftsverlag.
5. Hammermeister, J.-H. (2012). *Der Einfluss von Rechts- und Finanzsystemen auf die Ausgestaltung der Rechnungslegung*. Frankfurt am Main: Lang.
6. Hayn, S., Waldersee, G. G., & Benzel, U. (2012). *HGB und Steuerbilanz im Vergleich: Synoptische Darstellung von Handels- und Steuerbilanzrecht* (Vol. 2). Stuttgart: Schäffer-Poeschel.
7. Hillmer, H.-J. (2008). Globalisierung: Anforderungen an die Rechnungslegung: Bericht zum 62. Deutschen Betriebswirtschafter-Tag am 13./14.10.2008 in Frankfurt/M. *Kapitalmarktorientierte Rechnungslegung*, 5(11), 697-702.
8. Hitz, J.-M. (2007). The Decision Usefulness of Fair Value Accounting – A Theoretical Perspective. *European Accounting Review*, 16(2), 323-362.
9. Hitz, J.-M., Ernstberger, J., & Stich, M. (2012). Enforcement of accounting standards in Europe: capital-market-based evidence for the two-tier mechanism in Germany. *European Accounting Review*, 21(2), 253-281.
10. La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., Shleifer, A., & Vishny, R. (2000). Investor protection and corporate governance. *Journal of Financial Economics*, 58(1/2), 3-27.

11. Luttermann, C., & Großfeld, B. (2005). *Bilanzrecht: die Rechnungslegung in Jahresabschluß und Konzernabschluß nach Handelsrecht und Steuerrecht, Europarecht und IAS/IFRS*. Heidelberg: C.F. Müller.
12. Melcher, W., & Schaier, S. (2009). Zur Umsetzung der HGB-Modernisierung durch das BilMoG: Einführung und Überblick. *Der Betrieb*, 62(23), 4-8.
13. Meser, M., Veith, S., & Zimmermann, J. (forthcoming 2015). Disclosure, Enforcement and Capital Market Properties: A Longitudinal Analysis for Germany. *Schmalenbach Business Review*.
14. Oehr, T.-F., & Zimmermann, J. (2012). Accounting and the welfare state: The missing link. *Critical Perspectives on Accounting*, 23(2), 134-152. doi: <http://dx.doi.org/10.1016/j.cpa.2011.11.010>
15. Petersen, K., & Zwirner, C. (2009). Bilanzrechtsmodernisierungsgesetz verabschiedet: Die zentralen Änderungen. *Zeitschrift für Bilanzierung, Rechnungswesen und Controlling*, 4(2009), 149-151.
16. Saliers, E. A. (1920). Cost, Fair Value, and Depreciation Reserves. *The American Economic Review*, 10(2), 272-282.
17. Smith, C. W., & Warner, J. B. (1979). On financial contracting: An analysis of bond covenants. *Journal of Financial Economics*, 7(2), 117-161.
18. Winkelmann, H.-C. (2007). *IFRS im Einzelabschluss: Auswirkungen auf Maßgeblichkeit und Gläubigerschutz* (Vol. 54). Hamburg: Kovač.
19. Zimmermann, J. (2009). Das neue Bilanzrecht – Mode statt Moderne. *Betriebliche Altersversorgung*, 64(7), 579-586.
20. Zimmermann, J., & Werner, J. R. (2013). *Regulating Capitalism? The Evolution of Transnational Accounting Governance*. Basingstoke: Palgrave Macmillan.
21. Zimmermann, J., Werner, J. R., & Kilian, J.-P. (2011a). Covenants in der Kreditvergabe. *Wirtschaftswissenschaftliches Studium*, 41(1), 3-7.
22. Zimmermann, J., Werner, J. R., & Kilian, J.-P. (2011b). Wie verbreitet sind Covenants? *Die Bank*, 17(7), 20-25.

Sebastian A. Tideman, Jochen Zimmermann

The Development of the German Accounting System from the Perspective of Different Accounting Models

This contribution describes the recent development of the German Accounting system starting with the Bilanzrichtliniengesetz (1985). 7 high-level developments are identified and evidence will be given for these trends. The analysis of the development of Germany's Accounting system proceeds in the mirror of 2 different accounting models: the creditor protection-orientated accounting model and the informative accounting model. We argue that especially the Bilanzrechtsmodernisierungsgesetz of 2009 and the increasing use of fair value accounting indicate a paradigm shift from the creditor protection-orientated accounting model to the informative accounting model. But as historical cost accounting still plays a significant role in German-GAAP we proclaim that Germany obtains a weakened form of the creditor protection-orientated accounting model.

რენტაბელობის ანალიზის ზოგიერთი საკითხი

დაგეგმვის, აღრიცხვისა და ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკაში გაანგარიშების მეთოდისა და ინტერპრეტაციის მიხედვით მომგებიანობის ანუ რენტაბელობის მაჩვენებლებს ყოფენ შემდეგ სამ ჯგუფად [1,210]:

1. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ გაყიდვების რენტაბელობას;
2. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ დანახარჯების რენტაბელობას;
3. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ კაპიტალსა და მისი გარკვეული ნაწილის ეფექტიანობას.

ზემოჩამოთვლილი ჯგუფების მაჩვენებლების და მათზე მოქმედი ფაქტორების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის დადგენა ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზი წარმოადგენს იმ ფაქტორთა კვლევის მეთოდს, რომელთა გავლენა საშუალო მაჩვენებელზე ფუნქციონალური ხასიათისა და გამოისახება კონკრეტული მათემატიკური განტოლების სახით. აღნიშნული ფაქტორული მოდელირება შეიძლება გამოისახოს: ადიტიური, მულტიპლიკატიური, ჯერადი და შერეული (კომბინირებული) მოდელების სახით.

სპეციალურ ლიტერატურაში დომინირებს მოსაზრება რენტაბელობის განმაზოგადებელ და კერძო მაჩვენებელთა გამოყოფის შესახებ, რომლის მიხედვით ზემოაღნიშნული ჯგუფებიდან განმაზოგადებელ მაჩვენებლებლად მიიჩნევენ მესამე ჯგუფში შემავალ მაჩვენებლებს, ხოლო დანარჩენი ორი ჯგუფის მაჩვენებლებს განიხილავენ, როგორც კერძო მაჩვენებლებს [3,114; 2,173].

ბუნებრივია, ყველა მაჩვენებელს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. აღნიშნული ინფორმაციის მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანისა და არარეალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში რენტაბელობის შესახებ მონაცემების ასახვას თან უნდა ახლდეს მაჩვენებლის გაანგარიშების ალგორითმი.

მაგალითად, განმაზოგადებელი მაჩვენებლებიდან აქტივების რენტაბელობა (ROA) და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ცნობილი გამოსახულებებით:

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \text{აქტივების ბრუნვალობა} \times \text{გაყიდვების რენტაბელობა} \quad (1)$$

$$\text{ანუ } \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ამონაგები}}$$

$$\text{საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა} = \text{გაყიდვების რენტაბელობა} \times \text{აქტივების ბრუნვალობა: ფინანსური ლევრიჯი} \quad (2)$$

ანუ

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალის საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ამონაგები}} \times$$

$$\times \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} : \frac{\text{საკუთარი კაპიტალის საშუალო სიდიდე}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

(1) ფორმულიდან კერძო მაჩვენებელი გამოისახება შემდეგნაირად:

$$\text{გაყიდვების რენტაბელობა (ROS)} = \text{აქტივების რენტაბელობა} : \text{აქტივების ბრუნვადობა (3)}$$

ანუ

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} : \frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

რაც შეეხება დანახარჯების რენტაბელობის ზემოთ მოყვანილ რენტაბელობის მაჩვენებლებთან ფუნქციონალურად დასაკავშირებლად, ფორმულებში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი ჩასმები:

$$\text{აქტივების უგულება: საბრუნავი აქტივების ბრუნვადობა} \times \text{საბრუნავი აქტივების ხვედრითი წონა აქტივებში (4)}$$

ანუ

$$\frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{ამონაგები}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}} \times$$

$$\times \frac{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

$$\text{საბრუნავი აქტივების ბრუნვადობა} = \text{სასაქონლო მარაგების ბრუნვადობა} \times$$

$$\text{სასაქონლო მარაგების ხვედრითი წონა საბრუნავ საშუალებებში (5)}$$

ანუ

$$\frac{\text{ამონაგები}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}} =$$

$$= \frac{\text{ამონაგები}}{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}} \times$$

$$\times \frac{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

(5) ფორმულის მაჩვენებლების (4) ფორმულაში ჩასმის შედეგად მიიღება:

$$\text{გაყიდვების რენტაბელობა} = \text{აქტივების რენტაბელობა} : \text{სასაქონლო მარაგების ბრუნვადობა} \times$$

$$\times \text{სასაქონლო მარაგების ხვედრითი წონა საბრუნავ აქტივებში} \times$$

$$\text{საბრუნავი აქტივების ხვედრითი წონა აქტივებში (6)}$$

ანუ

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} \cdot \frac{\text{ამონაგები}}{\text{ამონაგები}} \times \frac{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}}{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

ამრიგად, (4) ფორმულაში გაყიდვების რენტაბელობაზე მოქმედი ფაქტორების როლდენობა (6) ფორმულაში გაზრდილია 2-ჯერ, რაც ფარული რეზერვების გამოვლენის შედარებით სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

გაყიდვების რენტაბელობა შეიძლება გამოვსახოთ დანახარჯების რენტაბელობისა და ამონაგებში დანახარჯების ხვედრითი წონის ნამრავლით (7)
ანუ

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ამონაგები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{დანახარჯები}} \times \frac{\text{დანახარჯები}}{\text{ამონაგები}}$$

(7) ფორმულაში მაჩვენებლების (6) ფორმულაში ჩასმით მიიღება:

აქტივების რენტაბელობა = ხარჯების რენტაბელობა × ხარჯების ხვედრითი წონა ამონაგებში × სასაქონლო მარაგების ბრუნვადობა × სასაქონლო მარაგების ხვედრითი წონა აქტივებში × საბრუნავი აქტივების ხვედრითი წონა აქტივებში (8)

ანუ

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{დანახარჯები}} \times \frac{\text{დანახარჯები}}{\text{ამონაგები}} \times \frac{\text{ამონაგები}}{\text{ამონაგები}} \times \frac{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}}{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}}{\text{სასაქონლო მარაგების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე}} \times \frac{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

(8) ფორმულაში საშედეგო მაჩვენებლის ფორმირებაზე შრომითი რესურსების ეფექტიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების ჩართვით კიდევ უფრო მეტი ფაქტორების ზეგავლენის გაანგარიშება იქნება შესაძლებელი. აღნიშნულის განსახორციელებლად მიზანშეწონილია ხსენებულ ფორმულაში აქტივების უგულების მაჩვენებელი, ნაცვლად ფაქტორთა ნამრავლისა მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით

$$\frac{\text{ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი}} \cdot \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ხელფასის ფონდი}} \cdot \frac{\text{ხელფასის ფონდი}}{\text{ამონაგები}} \cdot \frac{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}{\text{მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი}}$$

ანუ

აქტივების უკუგება = მოგება 1 მომუშავეზე: მოგება 1 ლარ ხელფასზე: ხელფასის ხვედრითი წონა ამონაგებში: 1 მომუშავეს აქტივებით აღჭურვილობა (9)

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი ფორმულის პირველი სამი ფაქტორის თანაფარდობა ასახავს შრომისწარმოებულობას.

ამრიგად, (8) ფორმულაში (9) ფორმულის მაჩვენებელთა ჩასმით ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული ხერხების გამოყენებით გაანგარიშებულ მეტი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გავლენათა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ფუნქციონალურ კავშირში მყოფი რენტაბელობის განმაზოგადებელ და კერძო მაჩვენებელთა კომპლექსურად შეფასება და მართვა.

ლიტერატურა:

1. მ. ჯიქია, რ. ჩეჩელაშვილი, ფ. ბურდული – „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011.
2. მ. ჯიქია – „ფინანსური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011.
3. ა. ჩეჩელაშვილი – „ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მისი სრულყოფის გზები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014.

Malkhaz Partsvania

Teacher at the Accounting and Audits Department at TSU (Tbilisi State University)

Some Issues of Profitability Analysis

In the international practice of financial analysis according to the calculation methodology and interpretation we should distinguish between general and specific data of profitability. Among the profitability data discussed in the paper the existence of the functional link is confirmed by the use of determined factor analysis; the calculation algorithm of the influence of the factors fostering the formation of result data. Stating the connection and inter-stipulation of the presented data; exposure of the hidden reserves of profitability by the traditional ways of analysis serves as the basis for finding the adequate managerial decision.

არამატერიალური აქტივის – ინტელექტუალური კაპიტალის შეფასების სახეები

„ოდესღაც ვვიქრობდი, რომ ორგანიზაციის ფუნქციონირება ექვივალენტური იყო სიმფონიური ორკესტრის ფუნქციონირებისა, თუმცა ახლა სხვაგვარად ვვიქრობ: ეს უფრო მეტად ჯაზს წააგავს, რადგან აქ უფრო მეტია იმპროვიზაცია“

ვანერ ბენისი

რა არის ინტელექტუალური კაპიტალი და როგორ გამოიყენება ან კონვერტირდება ის ბიზნესში ღირებულებისა და მოგების სახით? ინტელექტუალური კაპიტალი არის არამატერიალური, უხილავი რესურსი, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია ქმნის ღირებულებას სხვადასხვა მხრივ. მისი შედეგია ახალი პროდუქტი, ახალი პროცესები თუ ინოვაციური მომსახურება.

ინტელექტუალური კაპიტალი: ცოდნა; გამოცდილება; იდეები; ნოუ-ჰაუ; ტექნოლოგია; მართვის სისტემა; უნარები; ტექნოლოგიები; სავაჭრო ნიშანი და ა.შ.

რაც კომპანიას ამარაგებს ცოდნითა თუ სტრატეგიით. ინტელექტუალური კაპიტალი არის ის, რაც ძირითად განსხვავებას ქმნის. ეს არის იდეები და ნოვაციები, რომელსაც ადამიანის გონება ქმნის და შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს გამოხატული. ინტელექტუალური კაპიტალი გამოიხატება სამუშაოს შესრულების უნარში, ცოდნაში და ორგანიზებაში. ის არის ცოდნის, გამოცდილების, უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ადამიანის და მთლიანად საზოგადოების მრავალმხრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მსგავსად მატერიალური აქტივებისა მასაც შეუძლია მოგების (სარგებლის) მოტანა. მაგრამ **განსაგნებრიობადობას შორის დიდი სხვაობაა. კერძოდ, მატერიალური აქტივი დროის ერთ მომენტში ერთ საქმეში გამოიყენება**, მაგ. თუ მიწის ნაკვეთზე ქარხანას ავაშენებთ, ამ მიწის ნაკვეთზე სხვა ვერაფერს ვერ მოვიყვანთ, ხოლო რაც შეეხება **ინტელექტუალურ კაპიტალს, ის მრავალგამოყენებითობით ხასიათდება**. ასევე განსხვავებას ქმნის შემენვადობა, არცერთ საწარმოს არ შეუძლია უშუალოდ იყიდოს ცოდნისეული კაპიტალი, ის პერსონალთან ერთად მოვა და წავა, გარდა ტექნოლოგიური პროცესებისა, სავაჭრო ნიშნისა და ა.შ რაც გონებითი კაპიტალის ნაწილია.

ბიზნესი ყოველთვის ეყრდნობოდა თავის ინტელექტუალურ რესურსებს მატერიალურთან ერთად რომ მიეღწია მიზნებისთვის და მიეღო მოგება. მისი წარმატება კი გარკვეულწილად დამოკიდებული არის თუ როგორ წარმართავს ის რესურსებს. ანუ, რა თქმა უნდა, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება არ არის თვისობრივად ახალი, მის გამოყოფას მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედში მიაქციეს ყურადღება ისეთმა ეკონომისტებმა, როგორებიცაა: **თომას სტევარტი, ჰიროუკი იტამი, კარლ-ერიკ სვეიბი** და ა.შ. თუმცა დღესაც რჩება საკითხები, რომელშიც საბოლოო შეთანხმებულობა არ არსებობს, მაგალითად როგორ გავზომოთ ინტელექტუალური კაპიტალი? ეს საკითხი აქტუალურია, მაგრამ მასზე საბოლოო კონსენსუსი არ არსებობს.

განვიხილოთ ინტელექტუალური კაპიტალის სტრუქტურა. ის ფუნქციონალურად შეიძლება სამ რგოლად დავყოთ, ესენია:

- ა) **ცოდნისეული კაპიტალი** – მას მიეკუთვნება ის, რასაც ადამიანი სწავლის პროცესში იძენს და რჩება ცოდნის სახით.
- ბ) **ქმედებითი კაპიტალი** – ეს არის ის უნარები, რომლებიც შეიძლება ადამიანმა მიიღოს გამოცდილებით თუ როგორ იმოქმედოს გარკვეულ სიტუაციაში.
- გ) **გონითი კაპიტალი** – ეს ის კაპიტალია, რომელიც რჩება პერსონალისაგან საწარმოში, ანუ ტექნოლოგიური პროცესები, საინფორმაციო, მმართველობითი სისტემები და ა.შ.

ეს დაყოფა დაგვეხმარება შევაფასოთ ინტელექტუალური კაპიტალი, რომელსაც დიდი როლი აკისრია ცოდნის ეკონომიკაში, როგორც სიმდიდრის შემქმნელს.

ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები ნათლად მიაჩნებენ შედარებით ახალი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეიძლება ცოდნის ეკონომიკა ვუწოდოთ. ფაქტია, რომ თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა ადამიანი, რომელიც წარმოადგენს **კაპიტალში გამოხატული ცოდნის დაგროვების სუბიექტს**. ინტელექტუალური კაპიტალი არის მთავარი ბერკეტი ამ გარემო პირობებში, მისი წყალობით იქმნება ინოვაციები, იხვეწება წარმოების პროცესი და, შესაბამისად, მცირდება დანახარჯები. სიმდიდრე უფრო მეტად ხდება ცოდნის პროდუქტი და, თავის მხრივ, ცოდნა ხდება მნიშვნელოვანი საწარმოო ფაქტორი. ახალი ტექნოლოგიები, რა თქმა უნდა, მიმზიდველია მომხმარებლისათვის, ამ სიახლეებს კი ინტელექტუალური კაპიტალი ქმნის. ყველა კომპანია უნდა იყოს დაინტერესებული მისი ინტელექტუალური კაპიტალის ზრდით, კვლევებით, თანამშრომელთა გადამზადებით, მაღალკვალიფიციური პერსონალით, რადგან დღეს ყველაზე მეტად ეს განსაზღვრავს წარმატებას.

წარმატებულია ორგანიზაცია, სადაც ზუსტად ის ადამიანები მუშაობენ, რომელთაც იპოვეს თავისი ადგილი და საქმე, აკეთებენ იმას, რაც საჭიროა და მაშინ, როცა საჭიროა. XXI საუკუნეში შევითხვა „**რა უნდა გაკეთდეს? შეცვალა შევითხვამ „ვინ უნდა გააკეთოს?“. შესაბამისად, წარმატების უმნიშვნელოვანეს გარანტიად ადამიანური ფაქტორი იქცა. ნებისმიერი ორგანიზაციის მიზანია, აღმოჩნდეს კონკურენტებზე თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ. ამ „ნაბიჯის გადადგმა“ კი ადამიანურ რესურსს ძალუძს. ადამიანური რესურსი არის პოტენციალი, რომელიც სწორად მართვის შემთხვევაში გადაიქცევა არამატერიალურ აქტივად. ამასთან, რაც უფრო მაღალია კადრის კომპეტენცია, მით უფრო იზრდება ამ აქტივის ღირებულებაც.**

ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე, კონკურენტუნარიანობის უმთავრეს პრიორიტეტებს განათლება, ცოდნა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, მენეჯმენტული ინოვაციები წარმოადგენენ. აღნიშნულს მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს თუმცა, ცოდნის ეკონომიკის ძირეულად შესწავლა ჯერ კიდევ ბევრ კვლევას მოითხოვს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიო სიმდიდრის 64% ადამიანურ კაპიტალში მდგომარეობს, რომლის დიდ ნაწილს შეადგენს მუშაკთა ცოდნა და ინტელექტუალური შესაძლებლობები. ადამიანისეული რესურსები, მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, მისი უნარი შეადგენს ქვეყნის ძირითად ეროვნულ სიმდიდრეს. ეკონომისტთა დიდი ნაწილი ადამიანს ძირითად კაპიტალად განიხილავს, თუმცა მას კაპიტალთან შედარებით ახასიათებს მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. ეკონომიკის ფილოსოფიის ქართველი მკვლევარის, **გიორგი მალაშვიას აზრით**, „ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია ადამიანისა და კაპიტალის ნიშანთვისებათა ერთგვარ სინთეზს ახდენს, ცდილობს შეიმეცნოს და აჩვენოს ადამიანი-ფაქტორის ფუნქციური როლი ცოდნის, მეცნიერების, ინტელექტუალური საქმიანობის და ადამიანთან დაკავშირებულ

სხვა დანახარჯებთან კონტაქტში.“ დანახარჯები ადამიანზე განსაკუთრებით დოვლათ-შემქმნელ თვისებას იძენს. ამავე დროს, ადამიანის ბუნებრივ ნიჭთან, შემოქმედებით უნართან, მის ცოდნასა და გამოცდილებასთან სინთეზის შედეგად იგი განსაკუთრებული დაბანდება იმითაც, რომ ორმაგ შედეგს იძლევა – ეკონომიკურს და სოციალურს, ამიტომაც გამორჩეულად მაღალეფექტიანია.

გლობალიზაციის პირობებში ყველაზე დიდი შემოსავლები მოაქვს უხილავ კაპიტალს, ინტელექტუალური აქტივების ამუშავების ხარჯზე. ინტელექტუალური რესურსები ძირითადია, რაზეც ქვეყანაში, ბიზნესში, განვითარებისათვის ყურადღების კონცენტრაცია შეიძლება. მსოფლიო ბაზარზე მეცნიერებატევადი პროდუქციის წლიური მოცულობა დღესდღეობით შეადგენს 2.5 ტრილიონ დოლარს. აშშ-ს მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტის მოცულობა წლიურად დაახლოებით 700 მილიარდი დოლარია და ქმნის 15 მლნ. სამუშაო ადგილს. განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მატების 85-90%-ს უზრუნველყოფენ მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებით.

საკმაოდ აქტუალურია ადამიანისეული კაპიტალის შეფასების საკითხი. მეცნიერები ცდილობენ განსაზღვრონ მისი პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლები. ძირითადად გამოიყოფა ორი მეთოდი:

1. ხარჯვითი მეთოდი;
2. სარგებლიანობის მეთოდი;

ადამიანისეული რესურსების შეფასების ხარჯვითი მეთოდის დროს მხედველობაში ვღებულობთ სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, ცოდნის და გამოცდილების შექმნასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სარგებლიანობის მეთოდით კვალიფიციური სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრა ხდება იმ სარგებლის ზომით, რომელსაც იგი მოუტანს ორგანიზაციას.

დამოკიდებულების შესწავლა, კაპიტალდაბანდებების ეკონომიკური მიზანშეწონილობა „ადამიანისეულ ფაქტორში“ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებისთვის იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად. გარი ბეკერმა, რომელმაც სწორედ ამ საკითხების წინა პლანზე წამოწვევისთვის მიიღო ნობელის პრემია 1992 წელს, დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში უზრუნველყოფს მოგებას, როგორც კერძო ბიზნესის, ისე მთელი საზოგადოებისთვის.

ართურ მედისონის კვლევით, განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტი) ზრდას 3-6%-ით.

ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები პირობითად შეიძლება პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დავეყოთ. პირდაპირს მიეკუთვნება: დანახარჯები ადამიანის განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაზე, ხოლო ირიბს – სამედიცინო მომსახურებაზე და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფაზე. **პირდაპირი დაბანდება** ზრდის ადამიანისეული კაპიტალის მოცულობას, ხოლო **ირიბი** – ახანგრძლივებს ამ კაპიტალის ექსპლუატაციის ვადას და აუმჯობესებს მის ქმედუნარიანობას.

განვითარებულ ქვეყნებში აინვესტირებენ განათლებას და არ ითხოვენ ასეთ ინვესტიციებზე მყისიერ უკუგებას იმიტომ, რომ დარწმუნებულნი არიან ასეთი ქმედებების (ინვესტირების) გზით დაკმაყოფილდება ბაზრების მზარდი მოთხოვნილებები – ცოდნის გამო გაუმჯობესებული პროდუქტით. განვითარებულ ქვეყნებში ბაზარი ფიზიკური შრომის ანაზღაურების შემცირების პარალელურად სულ უფრო გულუხვად აჯილდოებს გონებრივ შრომას. ამასთანავე, სულ უფრო მატულობს გონებრივი შრო-

მის მუშაკთა რაოდენობაც. მათ მუშაობაში **ინფორმაცია და ცოდნა საწყისი მასალაცაა და საბოლოო პროდუქტიც.**

რომელი ინდუსტრიაც არ უნდა ავიღოთ, წარმატებას გამჭირახობა განსაზღვრავს და არა კუნთები. მართალია, ფიზიკურ ძალას ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არცთუ გადამწყვეტი. **დეფიციტური რესურსი ინტელექტუალური კაპიტალია.** ამჟამად სიმდიდრეს სიბრძნე ქმნის. ეკონომისტ ჯონათან კენდრიკის გამოკვლევებმა აჩვენა: ბოლო 70 წლის მანძილზე თანაფარდობა არაფიზიკურ და ფიზიკურ აქტივებს შორის 30/70-დან 63/37-მდე შეიცვალა. მომავალში კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს, რესურსს, ხელს ვეღარ შევახებთ.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ სტრატეგიული შესაძლებლობების თვალსაზრისით მენეჯერთა სამი მეოთხედი ადამიანურ რესურსს სამუშაო ძალის წარმადობაზე და ტექნოლოგიებზე მაღლა აყენებს. მენეჯერთა 80% კი მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში ადამიანური რესურსის მოზიდვა და შენარჩუნება მთავარი სტრატეგიული ამოცანა გახდება.

„ტალანტების ბაზარი“ სხვა ბაზრისაგან განსხვავდება. ნიჭიერი ადამიანები უნიკალურები არიან. ეკონომისტებს შეეძლოთ, ამ ბაზრისთვის „არაიდეალური ბაზარი“ ეწოდებინათ. ძალაუფლება კაპიტალის მფლობელებიდან ინტელექტუალური კაპიტალის მაკონტროლებლებზე გადადის. ორგანიზაციები იმათ ხელშია, ვინც ყველზე მეტად დეფიციტურ და მნიშვნელოვან ბაზარს აკონტროლებს.

მოვლენათა ასეთი მსვლელობა საბუღალტრო ბალანსებში არ აისახება. ისინი, უკეთეს შემთხვევაში, თანამედროვე კომპანიების ღირებულების მხოლოდ ერთ მეოთხედს აფიქსირებს. მაგალითად, დღეს ბანკირები კომპანიებს მხოლოდ საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით აღარ აფასებენ. ისინი „არამატერიალურ“ აქტივებს აქცევენ ყურადღებას, და გამოყოფენ ხუთ ფაქტორს:

1. კორპორაციული სტრატეგიის რეალიზაცია;
2. ნდობა ხელმძღვანელობის მიმართ;
3. კორპორაციული სტრატეგიის ხარისხი;
4. ინოვაციებისადმი მიდრეკილება;
5. თანამშრომლების მოზიდვის უნარი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის აქციების კურსზეც ეს ფაქტორები ზემოქმედებს. განსხვავებას კომპანიის საბუღალტრო ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის **„სააქციო კაპიტალში სამეწარმეო დინამიტს“** უწოდებენ. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიების საბაზრო ღირებულება 2.5-ჯერ აღემატება მათ საბუღალტრო ღირებულებას.

ადამიანი კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია და იმისათვის, რომ ამ აქტივებმა ორგანიზაციის წარმატებისათვის მუდამ პროდუქტიულად იმუშაოს საჭიროა მათი მუდმივი მოტივირება და წახალისება.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში დასაქმებული ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა თავს იზვიათად გრძნობს ღირებულად და დაფასებულად. თანამედროვე წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას – კაპიტალად, „ხვდებიან“, რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა დაუშვებლად ძვირი დაუჯდებათ! რადგან, დღევანდელი პროდუქტის ღირებულების მზარდი ნაწილი წარმოადგენს მასშივე, ანუ პროდუქტში, ჩადებული ცოდნის წილს და სულ უფრო მზარდი ხდება ამავე ცოდნის მოცულობა პროდუქტის თვითღირებულებაში.

საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩია, მაგრამ როგორც ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი ძალზე დაბალია,

ფუნდამენტური კვლევების გამოყენებითი ასპექტების წილი, ისედაც მიზერულ და-
ნახარჯთა ფუნდამენტურ კვლევებზე, უკუგება კი 0%-ის ფარგლებშია!.

ინოვაციური პროექტების გარეშე, რომელნიც მკვლევართა გუნდს დააკავშირებენ,
სარისკო ანუ „ვენჩურული“ კაპიტალის განმკარგავ ფინანსისტებთან და მრეწვე-
ლებთან, მდგომარეობა უკეთესობისკენ ეკონომიკაში არ შეიცვლება. ერთი სიტყვით,
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც ფირმის მომავალი განვითარებისათვის,
ასევე ქვეყნის ეკონომიკისათვის, ინოვაციური პროექტების მომზადებას, მეცნიერულ
კვლევათა კომერციალიზაციის პროცესის ინიცირებას და განვითარებას, რაც საშუ-
ალებას მოგვცემს ფუნდამენტური ტიპის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ალგორით-
მების გამოყენებით მეცნიერული მიღწევების – ფულში კონვერტაციისას.

1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის (AAA) ადამიანისეული რესურსე-
ბის ბუღალტრული აღრიცხვის კომიტეტმა განსაზღვრა „ადამიანისეული რესურსების
მონაცემების იდენტიფიკაციის და შეფასების პროცესი“, რომელიც შემდგომ გადაეცემა
როგორც ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს. ამერიკის შრომის ინსტიტუტის აზ-
რით, ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა თავის თავში მოიცავს:
თეორიული საფუძვლების განვითარებას, რომელიც ხსნის ადამიანთა ღირებულების
ბუნებასა და განმსაზღვრელ ფაქტორებს ოფიციალური ორგანიზაციების მხრიდან.
ორგანიზაციისათვის ადამიანთა ღირებულებებისა და ფასეულობათა შეფასების საიმე-
დო და დასაბუთებული მეთოდების შემუშავებას, შეფასების შემოთავაზებული მეთო-
დების ორგანიზაციული უზრუნველყოფის პროექტირებას.

ადამიანების, როგორც აქტივის, რესურსების აღრიცხვა ითვლება მართვის უმნიშ-
ვნელოვანეს და ფასდაუდებელ ინსტრუმენტად. შემთხვევითი არ იყო, როდესაც **ჰენ-
რი ფორდი (1863-1947)** აკრიტიკებდა რა ბუღალტრულ ანგარიშგებას, მიუთითებდა,
რომ „**მასში არ არის მოცემული მთავარი – ადამიანთა დახასიათება, რომლებიც
ფირმისთვის გამოიმუშავენ ფულს**“. გარკვეულ წილად ის მართალი იყო, რადგანაც
ადამიანი – ეს არის სწორედ ყველაზე მთავარი კაპიტალი.

ხოლო ამერიკელი პროფესორი ე.ჯ.ფლამხოლცი ადამიანისეული რესურსების
აღრიცხვაში გამოყოფდა სამ ძირითად ფუნქციას:

1. ინფორმაციულ ფუნქციას,
2. პარადიგმების ფუნქციას,
3. კატალიზატორის ფუნქციას.

ინფორმაციული ფუნქცია – ადამიანისეული რესურსების აღრიცხვა, უზრუნველ-
ყოფს ადმინისტრაციას ორგანიზაციის პერსონალის თვითღირებულებისა და ღირებუ-
ლების შესახებ ინფორმაციით, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის სახეები განისაზღ-
ვრება მოცემული ორგანიზაციის კონკრეტული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ადამიანისეული რესურსების აღრიცხვა უზრუნ-
ველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით არა მარტო მენეჯერებს, ის ეხმარება ასევე ინ-
ვესტორებსაც, რათა მიიღონ ინფორმაცია ორგანიზაციის ადამიანურ აქტივებზე, რო-
გორც მნიშვნელოვან ფაქტორზე.

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ადამიანისეული აქტივების შე-
სახებ ინფორმაციის გაშუქება გავლენას ახდენს ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდე-
ბათა მოცულობაზე. დიდი კომპანიების მიერ მიღებული ფინანსური აღრიცხვის თანა-
მედროვე პრაქტიკის შესაბამისად ადამიანურ რესურსებში განხორციელებული ინვესტი-
ციები განიხილება უფრო მეტად როგორც ხარჯები და არა როგორც აქტივები, რაც
*ვეიკრობ, ამახინჯებს დაბანდებული კაპიტალიდან უკუგების მაჩვენებელს, რადგანაც
კაპიტალზე შემოსავალი გაიანგარიშება როგორც წმინდა მოგების თანაფარდობა აქტი-
ვების სიდიდესთან. ის იცვლება, თუ მნიშვნელში აისახება ადამიანისეული რესურსი.*

შესაბამისად, ინვესტორებს, თუ სურთ თავიანთი გადაწყვეტილება ააგონ დაბანდებული კაპიტალის უკუგების მაჩვენებელზე, უნდა ეცადონ შეიტანონ ცვლილებები ადამიანისეული რესურსების ინვესტიციებში.

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანისეული აქტივების შეფასებებზე, წარმოიქმნება მთელი რიგი პრობლემები: რომელი დანახარჯები აღვრიცხოთ, როგორ მოვახდინოთ მათი ამორტიზაცია და ჩამოწერა? ადამიანისეული რესურსების თვითღირებულების შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ მინიმუმ სამი რეალური კონცეფცია:

1. პირვანდელი ღირებულება ანუ თვითღირებულება,
2. შეცვლილი (გადაფასებული) ფასები (ღირებულება);
3. ალტერნატიული დანახარჯები.

პირველი კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია პირვანდელ ღირებულებაზე, შეიცავს როგორც დადებით ისე უარყოფით მომენტებს. დადებით მომენტებად შეიძლება მივიჩნიოთ – დანახარჯების საზოგადოდ მიღებული ობიექტურობა და შესაბამისობა, როგორც ღირებულების საზომი. უარყოფით მომენტად კი შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული საფუძვლის ტრადიციული სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეფასებასთან, ასევე იმ შეხედულებების შეზღუდულობა, რომელიც დაკავშირებულია დანახარჯების, როგორც ღირებულების ღონისძიების წარმოდგენასთან.

ადამიანისეული რესურსების თვითღირებულების განსაზღვრის მეორე კონცეფცია ითვალისწინებს ფირმის დანახარჯების შეფასებას, მუშაკის შეცვლას სხვა პიროვნებით, რომელიც იგივე თვისებებს ფლობს როგორც მისი წინამორბედი. აქ შეიძლება იყოს განხილული ორი მომენტი: პოზიტიური, რომელიც ითვალისწინებს ვაკანსიის შევსებას და პირადი, რომელიც ითვალისწინებს მმართველის პირად შეხედულებას დაიქირაოს ანალოგიური თვისების მქონე სხვა მუშაკი. ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ ადამიანისეული რესურსების შეძენასა და მის სწავლებაზე გათვალისწინებულ ხარჯებზე, არამედ გათავისუფლების დადებით და უარყოფით მომენტებზე. დადებით მომენტად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ შეცვლილი ღირებულება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ცალკეული მუშაკის დაკავებული თანამდებობა. უარყოფით მომენტად კი მიგვაჩნია მმართველის სუბიექტურობა.

მესამე კონცეფცია ეს არის დანახარჯების ალტერნატიული მცნება. აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად აქტივებს გააჩნიათ ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება მათი ალტერნატიული გამოყენება. ამ შემთხვევაში ადამიანისეული რესურსების ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომელსაც ისინი გამოიმუშავენ დღენ სხვა სამუშაო ადგილას.

პოტენციურად ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა კვლავ რჩება აქტუალურად ისევე, როგორც გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც ამ სფეროში მიმდინარეობდა საკმაო კვლევები და ექსპერიმენტები. ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა შემდგომშიც სასარგებლო იქნება როგორც ფირმის ხელმძღვანელობისთვის, ასევე ინვესტორებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგანაც ფირმაში მომუშავე თითოეული პიროვნება ამ საზოგადოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკა მიემართება წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროსკენ. ამავე დროს ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო რთულდება, რის გამოც ადამიანისეული რესურსების ღირებულება და ფასეულობის შეფასება აუცილებლად უფრო სასარგებლო იქნება მომავალში ვიდრე ახლა.

ბუღალტრულმა აღრიცხვამ განიცადა მრავალი ცვლილება, მას შემდეგ რაც პირველად გაამახვილეს ყურადღება ადამიანისეული რესურსების აღრიცხვის პრობლემებზე. სრულად მოსალოდნელია, რომ დღეს ბუღალტერთა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტი-

კული წრეები, აღნიშნულ საკითხს სხვა რაკუსით ხედავენ, ვიდრე გუმინ და გუმინწინ. ხომ არ მოვიდა ის დრო?! რომ კვლავ გადაისინჯოს და დაიხვეწოს ადამიანისეული რესურსების აღრიცხვა, არა მარტო დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, არამედ იმის გათვალისწინებით თუ რა მოთხოვნებს წაუყენებს ცხოვრება მას მომავალში.

Mukhran Qamadadze

Invited Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Intangible assets -Types of Intellectual Capital Assessment

What is Intellectual Capital and how it is used or converted to business value and profit? Intellectual capital is intangible, invisible resource through which an organization creates value in different ways.

Like tangible assets, intellectual capital can also bring a profit. The difference between them is huge. Intellectual capital may be transformed into other product and can still function while other assets stop functioning after transformation. Intellectual capital can be functionally divided into three intervals, namely – the knowledge capital, capital actions, Mental Capital. This division will help us to evaluate intellectual capital.

In the 21st century, the question of "what should be done?" has been replaced by the question of "who should do?". Scarce resource is called as an intellectual capital. Nowadays, wealth is created by wisdom people. Therefore, in their work information and knowledge is a starting material and final product too.

The power moves from equity holders to holders of intellectual capital. The organization are in the hands of those who control most deficient and important market.

Innovative projects without having to connect to a team of researchers and industrialists risk or venture capital finance manager with the state of the economy has changed for the better

The economy will not be changed for the better without innovative projects which will connect a team of researchers to the team of finance managers in venture capital and industrial risks.

Human resources accounted as an asset is considered to be an important and valuable tool.

Investments in human resources are increasingly considered as a cost and not as assets which, I believe distort the return on capital invested in assets.

The concept of cost-estimating about intellectual capital can be used in at least three real conceptions:

1. First cost or cost-estimating;
2. Changed prices (value);
3. Alternate costs.

To my mind it is already a time to review and develop assets of human recourses. This change is necessary not only for better today but also for the future.

აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

თინათინ ჯოლბორდი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი

მმართველობითი აღრიცხვის მენეჯერული ასპექტები

სტატიაში განიხილება მმართველობითი აღრიცხვის და მმართველობითი გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია, განსაზღვრულია კლასიფიკაციური ჯგუფები, გამოვლენილია ეკონომიკური ეფექტიანობის დამოკიდებულება მმართველობით გადაწყვეტილებებზე, ყურადღება ეთმობა ეფექტიანობის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების ანალიზს. მოცემულია მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის მოდელის შეფასება და გაანალიზებულია წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამალგებაზე მისი გავლენა.

საქართველოში ბიზნესის განვითარებას თან სდევს მისი ინფორმაციული უზრუნველყოფის ბაზის განვითარება ბუღალტრული აღრიცხვის სახით. უკანასკნელ პერიოდში უპირატესობა მიენიჭა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო მოდელის დანერგვას, ხოლო სამმართველო ბუღალტერიას ნაკლები ყურადღება ექცევა. ფინანსური ბუღალტერია ვითარდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, სამმართველო აღრიცხვაში კი არჩევნის თავისუფლებაა, საწარმოს შეუძლია შეიმუშაოს მმართველობითი აღრიცხვის ნებისმიერი მოდელი, რომელიც ადეკვატურად ასახავს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის პროცესებს. ფინანსური აღრიცხვა ფინანსური ინფორმაციით უზრუნველყოფს ინფორმაციის გარე მომხმარებლებს – კრედიტორებს, მომწოდებლებს, საგადასახადო ინსპექციას და სხვებს, სამმართველო აღრიცხვა კი დეტალური ინფორმაციით უზრუნველყოფს თანამშრომლებს, მენეჯერებს, ემსახურება გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ბიზნესის განვითარების პარალელურად პრაქტიკამ მოითხოვა სამმართველო ბუღალტერიის საკითხების სათანადო დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

საქართველოში, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ფედერაციის მიერ გამოშვებული ACCA-ს სახელმძღვანელოები მმართველობით აღრიცხვაში, სადაც განხილულია მმართველობითი აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა. აღნიშნულ ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია სამმართველო აღრიცხვის პრაქტიკულ საკითხებზე, ნაკლებადაა წარმოდგენილი მისი მენეჯერულ ასპექტები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „მმართველობით აღრიცხვას“ „მენეჯერულ აღრიცხვასაც“ უწოდებენ, აშკარაა, რომ მასში უნდა აისახოს მენეჯმენტის საკითხებიც. საქართველოში მენეჯერული აღრიცხვის განვითარება დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან, ჯერ ერთი, ნებისმიერი ცვლილება საწარმოს საქმიანობაში იწვევს თანამშრომელთა რეაქციას და ცვლილებებს მათ ქცევებში. პრაქტიკოსი ბუღალტრები მიჩვეული არიან ძველ დოკუმენტებს და აღრიცხვის ერთიან წესს ქვეყანაში, ამიტომ მათთვის ძნელია ახალ მოდელებთან ადაპტირება. ისინი ნაწილობრივ დღესაც იყენებენ სამმართველო ბუღალტერიაში ძველ მოდელებს, ამიტომ როცა მენეჯერები ცდილობენ შეცვალონ საქმიანობის შეფასების ძველი სისტემა, ისინი წინააღმდეგობას უწევენ ახალ საქმიანობას, მათ ეშინიათ, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება არ მოერგება ახალ სისტემას. ამიტომ მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ თანამშრომლების რეაქცია და მმართველობითი აღრიცხვის ახალი სისტემის შემოტანას თან უნდა ახლდეს ორგანიზაციული ქცევების ანალიზის შეფასების სისტემა.

საქართველოში ამჟამად პრაქტიკოსი ბუღალტრები მეტად რთულ პირობებში მუშაობენ, რადგან ადმინისტრაცია თხოულობს მათგან არა მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო კოდექსის ცოდნას, არამედ სამართლებრივ საკითხებსაც, როგორცაა ხელშეკრულებების დადება და მათზე კონტროლი და სხვა საკითხებს, ამასთან ხშირად მათგან თხოულობენ გადასახადების დამალვას და რეალური ფინანსური შედეგების შეცვლას, რაც კონფლიქტს იწვევს ბუღალტრის ეთიკურ ნორმებსა და ადმინისტრაციის მოთხოვნებს შორის. ბუღალტრები წარმოადგენენ მენეჯერთა გუნდის ნაწილს და ასეთი კონფლიქტები ხშირად მეტად მწვავედება, ან მთავრდება ბუღალტრის კომპრომისით.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საზღვარგარეთ? მიუხედავად იმისა რომ საზღვარგარეთ ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ბოლო პერიოდში მეტად პრიორიტეტული გახდა, ასეთი ეთიკური პრობლემები მათთანაც მოუგვარებელია.

თანამედროვე მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტები ე.ა. ატკინსონი, რ.ს. კაპლანი, ე.მ. მათსუმარა, ს. მარკ იანგი აღნიშნავენ: „ხელისუფლების ღონისძიებები, უზარმაზარი კორპორაციული სერიული დანაშაულობებისა და ჩავარდნების შემდეგ, რაც ქვეყნებოდა ფინანსურ პრესაში 1990 წლის ბოლოს და 2000 წლების დასაწყისში, წარმოადგენს რეაქციას აღნიშნულ ეთიკურ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელიც ხშირად გვხვდება ორგანიზაციებში“.¹ რა რეკომენდაციები აქვთ შემუშავებული ამ შემთხვევებში მეცნიერებს? „მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებმა ზეწოლის შემთხვევაში, როცა მათ აიძულებენ რიცხვებით მანიპულირებას ან არასწორი ინფორმაციის ჩვენებას, უნდა იხელმძღვანელონ საკუთარი და ორგანიზაციის ნორმებით და ღირებულებებით. ორგანიზაციის ფასეულობები მიწოდებული ორგანიზაციის ღირებულებათა სისტემის სახით, როდესაც ადამიანი მისიით მუშაობს, რაც გაცილებით მეტია ვიდრე მისი მოკლევადიანი მუშაობა“.² ამრიგად, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრობლემა გადაუწყვეტელია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებშიც, თუმცა ჩვენგან განსხვავებით ამ ქვეყნებში აქვთ უფრო მოწესრიგებული ქვეყნის დადგენილი ნორმები, როგორცაა ორგანიზაციის მართვის კოდექსი, საზოგადოებრივი კანონები და პროფესიულ ორგანიზაციათა სტანდარტები, ბუღალტრის ეთიკის ნორმები და სხვა. თუმცა მენეჯერების მრავალწლიანი მცდელობა, შეემუშავებინათ ფასეულობათა უნივერსალური სისტემა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ადამიანებს ახასიათებთ ეთიკის სხვადასხვა ნორმები და შეფასების სისტემა.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ახალი მოდელების დანერგვას თან უნდა ახლდეს მენეჯმენტის მექანიზმების გამოყენება პრაქტიკაში. კერძოდ, თუ ადრე მენეჯმენტი აქცენტს აკეთებდა საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, მოგებაზე, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, თანამედროვე ეკონომიკაში არანაკლები ყურადღება ექცევა შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს. საწარმოები ხშირად ვერ აანალიზებენ რომ მათთვის ყველაზე დიდ ფასეულობას წარმოადგენენ შრომითი რესურსები-ადამიანები. საზღვარგარეთ მმართველობითი აღრიცხვის და კონტროლის პროექტირების სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია მენეჯმენტის მოტივაციის ფაქტორს, რომელსაც საფუძვლად უდევს ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების მიერ ინტერესების თანხვედრა სასურველი მიზნის მისაღწევად.

ბიზნესში, როცა თანამშრომლები და ადმინისტრაცია ერთმანეთთან ათანხმებენ მიზნებს, ადმინისტრაციას შეუძლია დაეყრდნოს თანამშრომელთა თვითკონტროლის სისტემას, რომლის დროსაც ისინი არეგულირებენ თავიანთ ქცევას და სამუშაოს ასრულებენ მაღალ დონეზე. მენეჯერები ცდილობენ შექმნან სისტემები, რომლის პირადი კონტროლი

¹ ენტონი ა. ატკინი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმარა, ს. მარკ იანგი. მმართველობითი აღრიცხვა. გამომც. „საქართველოს მაცნე“, 2009, გვ. 19 .

² იქვე.

მათ არ მოუხდებათ, რასაც ეწოდება დიაგნოსტიკის კონტროლის სისტემა. დიდი ხარისხით სტრატეგიული ცვლილებების შემთხვევაში კი გამოიყენება ინტერაქტიული კონტროლის სისტემა, ესაა დიალოგი ყველა მონაწილეს შორის სისტემიდან მიღებული მონაცემების შესახებ და ასევე გატარებულ ზომებთან დაკავშირებით. საქართველოში, მიუხედავად იმისა რომ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება ადმინისტრაციული რესურსების მენეჯმენტი, თანამედროვე საწარმოებში არ ხდება პერსონალის მოტივაცია მაქსიმალური შედეგის მისაღებად, მათ შორის ბუღალტერიც არ აღიქმება განსაკუთრებულ შრომით რესურსად, რომელიც ფაქტიურად მართავს საწარმოს ფინანსურ სისტემას. ამიტომ სამმართველო ბუღალტერიის მენეჯერული ასპექტები უნდა დამუშავდეს ქართული მენეჯმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე. კერძოდ, უნდა შემუშავდეს ორგანიზაციული ქცევის კულტურა საწარმოებში, ეროვნული, რელიგიური და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, ამის საფუძველზე შეიქმნას შრომითი რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელი, რომელიც გაითვალისწინებს მენეჯმენტის საერთაშორისო პრაქტიკას.

ამდენად, სამმართველო ბუღალტერიის მენეჯერული ასპექტების დამუშავება მეტად დროული საქმეა, იგი ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და ეთიკური კონფლიქტების შემცირებას საწარმოებში.

მენეჯერულ ბუღალტერიაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბუღალტრის ეთიკის ნორმების დაცვას და მის შესაბამისობას ორგანიზაციული ღირებულებების სისტემასთან, ეთიკური კონფლიქტების მოგვარებას, მოტივაციის ფაქტორის გაძლიერებას, რაც მოითხოვს მენეჯერული მექანიზმების გონივრულ გამოყენებას და მართვას.

სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ ეფექტიანი მართვის პირობებშია შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, შევეცდებით გავანალიზოთ ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმები და მისი შეფასების თანამედროვე მიდგომები. ასევე განვიხილოთ ეკონომიკური ეფექტიანობის კონცეფციის გამოყენების როლი რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ტერმინი ეფექტიანობა, კომპლექსური ეკონომიკური მაჩვენებელია. ის განისაზღვრება კონკრეტულ სისტემაში მიღებული ეფექტის, ანუ შედეგის შედარებით, მოცემული შედეგის მისაღწევად გაწეულ დანახარჯებთან. ეკონომიკური ეფექტიანობა კომპლექსური მაჩვენებელია, რომლის კვლევის ფუნდამენტური საგანია მაჩვენებელთა სისტემის კლასიფიკაციების დამუშავება. მსგავს ვარიაციულ ბლოკსქემებს, როგორც მაჩვენებელთა კომპლექსს, აქვს განსაკუთრებული ხარისხობრივი დატვირთვა, როგორც სამეურნეო-ეკონომიკური, ისე მმართველობითი ეფექტიანობის კომპლექსური შეფასების საქმეში. ასეთი სქემების შემადგენელი ელემენტებია: ადმინისტრაციული რესურსების მართვის ეფექტიანობა; მმართველობითი აპარატის შრომის ეფექტიანობა; მმართველობითი პროცესის ეფექტიანობა; მართვის სისტემის ეფექტიანობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ერთი სქემიდან მეორეში გადასვლით ეფექტიანობის ერთობრივი ხარისხი იზრდება.

ლოგიკურია, რომ მმართველობითი სისტემის ფუნქციონირების შედეგი არის ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დასახული მიზნების მიღწევა რაციონალური დანახარჯების პირობებში. ნებისმიერ საქმიანობას მოაქვს განსაზღვრული შედეგი ანუ ეფექტი და ასეთ შემთხვევებში, ჩნდება კითხვა: მაგალითად, როგორია, ან არის თუ არა ნორმის ფარგლებში მიღებული ეფექტი? როგორი შედეგით დამთავრდა კონკრეტული ღონისძიება? ცხადია, გაწეული ძალისხმევის შეფასებისკენ ყოველთვის მივსწრაფით, თვითმენეჯმენტშიც და ორგანიზაციულ მენეჯმენტშიც. ამ საკითხს წმინდა ეკონომიკურ კონტექსტში თუ განვიხილავთ, წარმოების გაფართოებასთან და სამრეწველო მასშტაბების ზრდასთან ერთად, მთავარი პრობლემა – მივიღოთ უფრო მეტი უკუგება, ან არანაკლები იმისა, რაც დაიხარჯა, განაპირობებს ეკონომი-

კური ეფექტიანობის კონცეფციის მუდმივ აქტუალობას და მისი მმართველობითი ეფექტიანობის კონცეფციაში გადაზრდას.

რა არის ეფექტი? რა არის ეფექტიანობა? პასუხი ამ კითხვებზე შემდეგში მდგომარეობს: ეფექტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საქმიანობის ან რაიმე მოქმედების შედეგობრივი, აბსოლუტური მაჩვენებელი. ე. ი. ის შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. ეფექტიანობა კი არის შედეგობრივი, მაგრამ შეფარდებითი სიდიდე, რომელიც არის დადებითი სიდიდე. ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შედარებით, მათი საშუალებით მიღებულ შედეგებთან. მმართველობითი გადაწყვეტილებების რეალიზაციით მიღებული დადებითი ეკონომიკური შედეგი (ეფექტი) არის მოგება ეკონომიის საფუძველზე, ხოლო უარყოფითი ეკონომიკური შედეგი კი -ზარალი. ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდის გამოთვლა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

$$(ე) \text{ ეფექტიანობა} = \text{შედეგი (შ)} / \text{დანახარჯები (დ)} * 100\%$$

თუ გამოვიყენებთ მაჩვენებელს, სახით შ/დ, ის ახასიათებს შედეგს რომელიც ერთეულ დანახარჯზეა მიღებული;

თუ გამოვიყენებთ მაჩვენებელს, სახით დ/შ, ის ახასიათებს დანახარჯთა იდეალურ სიდიდეს, რომელიც სჭირდება მიღებულ შედეგის ყოველ ერთეულის უზრუნველყოფას;

მაჩვენებელი შ-დ, ახასიათებს მიღებული შედეგის აბსოლუტურ უპირატესობას დანახარჯზე;

მაჩვენებელი შ-დ/დ, იძლევა ეფექტის ოპტიმალურ სიდიდეს;

მაჩვენებელი შ-დ/შ, ასახავს ეფექტის ხვედრით წილს მიღებული შედეგის ყოველ ერთეულზე.

როგორც, ჩანს ეკონომიკური ეფექტიანობა ეკონომიკური მეცნიერების რთული და მრავალმასშტაბიანი კატეგორიაა. რადგან ის არის საფუძველი სამეურნეო საქმიანობის ამსახველი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების განსაზღვრისა.. სამეურნეო საქმიანობის ზოგადი ეფექტიანობის ანალიზი არის მაღალი დონის მმართველობითი რგოლის პრეროგატივა. აქ მიღებული სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებები, დაკავშირებული ბიზნესის სტრატეგიებთან, პროდუქტის ფასის განსაზღვრასთან, წარმოების, მიწოდებისა და რესურსების შესყიდვების მოცულობების განსაზღვრასთან, ტექნოლოგიებისა და სარესურსო პოტენციალის შეცვლა-განახლებასთან, ადამიანური რესურსების, მოტივაციისა და კონტროლის მეთოდების შემუშავებასთან, პირდაპირ უკავშირდება ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის წარმატებას და ეკონომიკური ეფექტიანობის დონის ზრდას. ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის ძირითადი ამოცანებია: სამეურნეო საქმიანობის შეფასება; მისაღწევი დონის უზრუნველსაყოფად ფაქტორებისა და მიზეზების გამოვლენა; მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადება და დასაბუთება; სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის დონის ასამაღლებელი რეზერვების გამოვლენა, მათ შორის ექსტენსიური და ინტენსიური განვითარების ფაქტორების სწორი პერსპექტივების დასახვა.

კლასიკური მეთოდით მართვის ეფექტიანობა არის შრომის ეკონომიკური ეფექტის შედარება მმართველობითი შრომის დანახარჯთან.

$$მ.ე. (მართვის ეფექტიანობა) = \text{ს.შ(საწარმოს შემოსავლები)} / \text{მ.დ(მმართველობითი დანახარჯები მართვის აპარატის ფუნქციონირებაზე)}$$

მაგალითად, შევაფასოთ მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციის ეფექტიანობა, ისეთი მაჩვენებლის საფუძველზე, როგორცაა დამატებითი მოგება (Δm) და მოგების წლიური ნაზრდი ($\Delta m.წ.$).

1. Δm = ამონაგები, რეალიზაციის მოცულობის ცვლილებიდან – დანახარჯი მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებასა და რეალიზაციაზე;

დამატებითი მოგების წყარო შეიძლება იყოს: ორგანიზაციის სარესურსო რეზერვების რაციონალური გამოყენება, ან პრინციპულად ახალი მმართველობითი გადაწყვეტილებები, მმართველობითი ინოვაციების სახით;

2. მოგების წლიური ნაზრდი ($\Delta m.წ.$):

$$\Delta m.წ. = ((r2 - r1)/r1)*m1 + ((t1 - t2)/100)*r2$$

სადაც: ნიშანი 1-ფუნქციას ნიშნავს მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციამდე;

ნიშანი 2- ფუნქცია მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციის შემდეგ;

ქართულად ფორმულირებული სიმბოლოების დახმარებით, ნიშნავს:

$r1$, $r2$ – პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა მმართველობითი გადაწყვეტილების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ;

$t1$, $t2$ – თვითღირებულება ერთეულ რეალიზებულ პროდუქციაზე, მმართველობითი გადაწყვეტილების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ;

$$t1 = d1/r1 * 100\%$$

$$t2 = d2/r2 * 100\%$$

სადაც: d 1, d 2 – საწარმოო დანახარჯები პროდუქციის წარმოებაზე, მმართველობითი გადაწყვეტილების დანერგვამდე და დანერგვის შემდეგ.

$m1$ – მოგება, მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაციამდე.

თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებში ფართოდ არის გამოყენებული ეფექტიანობის იდენტური ცნებები, რომლებიც თავიანთი არსით ახასიათებენ დასახულ მიზნებთან, შედეგების შესაბამისობის შედარებას, მაგალითად: შედეგიანობა, მიზანმიმართულობა, ეკონომიურობა, რაციონალურობა, მწარმოებლურობა. რაც შეეხება ტერმინს – ეკონომიკური ეფექტურობა, ვფიქრობ, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში არასწორად იმკვიდრებს ადგილს. უფრო მართებული ვერსია არის ეკონომიკური ეფექტიანობა. მმართველობითი ეფექტიანობა არის პროცესებისა და ზემოქმედების საშუალებების ღრმად მმართველობითი ხასიათის მახასიათებელი, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიზნების მიღწევის ხარისხს, ანუ შედეგს ასახავს. არსებობს მეცნიერული შეხედულებები იმის თაობაზე, რომ მიღწეული შედეგების შედარება დასახულ მიზნებთან, არის მიზნობრივი ეფექტი, ხოლო რესურსების შედარება მოცემულ შედეგთან, დანახარჯობრივი (რესურსული) ეფექტი. თუმცა არსებობს სხვა მეცნიერული არგუმენტებიც, რომელთა თანახმადაც გამოყოფენ სამი სახის ეფექტიანობას: 1. მიზნობრივი ეფექტიანობა – მოთხოვნილებით ღირებულებებზე, იდეალებთან და ნორმებთან ორიენტირებული; 2. შედეგობრივი ეფექტიანობა – მიღწეული შედეგის შედარება დასახულ მიზნებთან; 3. ეკონომიკური ეფექტიანობა – საწარმო-მმართველობითი დანახარჯების შედარება მიღწეულ შედეგთან. მაშასადამე, თუ მიზნობრივ, შედეგობრივ და ეკონომიკურ ეფექტიანობებს გამოვსახავთ შემდეგი მაჩვენებლებით: მიზანი/მოთხოვნილება, შედეგი/მიზანი და შედეგი /დანახარჯი, მაშინ ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებელი შეიძლება ასეთი ფორმულით გამოვსახოთ:

$$\text{ეფექტიანობა} = \text{მიზანი/მოთხოვნილება} * \text{შედეგი/მიზანი} * \text{შედეგი/დანახარჯი}$$

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ეფექტიანობის დონის ზრდას „ჯაჭვური კავშირის“ გზით: მიზნობრივი, განაპირობებს შედეგობრივი ეფექტიანობის დონეს, ეს უკანასკნელი კი ეკონომიკური ეფექტიანობის დონეს. თანამედროვეობის ცნობილი მკვლევარის, მაიკლ პორტერის მეცნიერული კონცეფციის მარკეტინგული ასპექტი – ღირებულებათა ჯაჭვის თეორია, ლოგიკურ კავშირშია „ეფექტიანობის ჯაჭვთან“ – მოთხოვნილებები-მიზნები-ამოცანები-რესურსები. როგორც ვხედავთ ეფექტიანობის ზრდა კომპლექსურ მიდგომას სა-

ჭიროებს, რაც ღირებულებათა ჯაჭვს ქმნის. მენეჯმენტი და მისი მმართველობითი ფუნქციების ერთობრიობა როგორცაა: პროგნოზირება, დაგეგმვა, ანალიზი, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი (არ იგულისხმება კლასიკური ვარიანტი), ასევე სამომხმარებლო ღირებულებებზე ორიენტაცია, როგორც ეფექტიანობის ამოსავალი პრინციპი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მთელი საწარმოო რესურსების კომპლექსური გამოყენების თვალსაზრისით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენეჯმენტმა, ახალ ფორმებზე უნდა გადაიყვანოს საწარმოს ეკონომიკა. თუმცა, მართვის სისტემის ეფექტიანობის პრობლემის განსაზღვრის სირთულეს ის განაპირობებს, რომ მართვის ქვესისტემა განუყოფელია ორგანიზაციის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის სისტემისგან, გარდა ამისა მმართველობითი გადაწყვეტილებები სუბიექტურია და დამოკიდებულია მენეჯერთა მმართველობით ბუნებასა და უნარჩვევებზე, რაც საბოლოოდ ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველ ინტეგრირებულ მაჩვენებლებში აისახება, ამიტომ აუცილებელია ისეთ მაჩვენებლების შემოტანა, რომლებიც ასახავენ როგორც ტექნიკურ-ორგანიზაციულ და საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ისე მართვის ეფექტიანობით მიღწეულ შედეგებს, მათ შორის უდიდესი მნიშვნელობისაა მარკეტინგის მენეჯმენტის ფუნქცია. განსაკუთრებით საყურადღებოა მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლების სწორი სტრუქტურითაცა, კერძო და განმაზოგადებელი კრიტერიუმების სწორი ინტეგრაციის პრინციპით ჩართვა სამეურნეო პროცესების ირგვლივ არსებულ რთულ და მრავალმხრივ ინფორმაციულ სისტემაში. მართვის ეფექტიანობის შეფასების მიზნით შეიძლება გამოყენებული იყოს კვლევის სტატისტიკური, ფაქტორული, კორელაციურ-რეგრესიული, ანალიტიკური, მათემატიკური მოდელირების და სხვა მეთოდები.

პროცესული მიდგომის თანახმად მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა ხდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მართვის სრულყოფის მიზნით განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შეფასება და ანალიზი; ერთობრივი სამუშაო ძალით შექმნილი საერთო ეფექტის განსაზღვრა; მართვის სისტემის ეფექტის წილის განსაზღვრა საერთო ეფექტში; ფუნქციონალური ქვეგანყოფილებების საქმიანობის შედეგების განსაზღვრა; ამრიგად მართვის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის პროცესული მიდგომიდან გამომდინარე, უნდა ვიმსჯელოთ ურთიერთდაკავშირებული ეტაპებისგან შემდგარ პროცესზე და შევაფასოთ მიზნების მიღწევის დონე; ეფექტის მიღწევის დონე; საწარმოო რესურსების და საერთო სარესურსო პოტენციალის გამოყენების დონე; მმართველობითი რესურსების გამოყენების დონე. ყოველი მომდევნო ეტაპის შეფასება არის წინა ეტაპის კონკრეტული დონის დასაბუთება, მისი დამატება და დაზუსტება. პირველ ეტაპზე ხდება მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმების გამოვლენა და ეფექტიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა. ეს კრიტერიუმებია: მმართველობითი დანახარჯების ეფექტიანობის მაჩვენებლები; მართვის ეფექტიანობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები; მართვის ეფექტიანობის კერძო მაჩვენებლები; მმართველობითი და საწარმოო რესურსების შესაბამისობის მაჩვენებლები. მაგალითად, მიზნების მიღწევა ხარისხობრივი მაჩვენებელია, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის დონე კი რაოდენობრივი მაჩვენებელი. მმართველობითი ეფექტიანობის შეფასების მეორე ეტაპზე განისაზღვრება მართვაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობა; მესამე ეტაპზე ფასდება საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონე და მართვის ეფექტიანობა.

მართვის სისტემური მიდგომიდან გამომდინარე, მართვა ნებისმიერ დონეზე განიხილება, ერთ მხრივ როგორც იერარქიული ქვესისტემების მომცველი სისტემა და მეორე მხრივ როგორც წარმოებისა და მენეჯმენტის რთული სტრუქტურული წარმონაქმნების ქვესისტემა. მართვის ეფექტიანობის შეფასების მიზნით აუცილებელია მაჩვენებელთა ისეთი სისტემის შემოღება, რომელიც მოიცავს მართვის ყველა დონესა და ასპექტს და ამავე დროს არის ოპტიმალურად კომპაქტური. რეალურ მმართველობით პრაქტიკაში, ცნობი-

ლია, რომ მრავალი ფაქტორი, რომელიც მრავალმხრივი კომბინაციების სახით წარმოიშვე-
ბა ორგანიზაციის კონკრეტულ მმართველობით სისტემაში, როგორც ღია სისტემაში, შე-
დის სინთეზში გარე გარემო ფაქტორებთან და გავლენას ახდენს მართვის ეფექტიანობაზე.
გამომდინარე აქედან აუცილებელია შევისწავლოთ საწარმოს განვითარების ძირითადი
ტენდენციები და ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკური კავში-
რურთიერთობები. მართვის ეფექტიანობის მაჩვენებლებიდან, ფართო ჭრილში თუ გავა-
შუქებთ, კერძო (ძირითადი) მაჩვენებლების რაოდენობა საკმაოდ ბევრია, რამოდენიმე
ათეულიც კი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: პროდუქციის წარმოების მოცულობა
და ზრდის ტენდენცია, ერთეული პროდუქციის თვითღირებულება; რენტაბელობა; მოგე-
ბა, შედარებითი ეკონომიის მაჩვენებლები: ძირითად, საბრუნავ, შრომის ანაზღაურების
ფონდებზე და მატერიალურ დანახარჯებზე (ამორტიზაციის გარეშე); საბრუნავ საშუალე-
ბათა ბრუნვის კოეფიციენტი, კაპიტალურ დაბანდებათა გამოსყიდვა, ფონდტევადობა,
ფონდუკუგება, შესაბამისობა შრომის ასანაზღაურებელ ფონდსა და შრომის მწარმოებლუ-
რობას შორის და სხვა. ასევე, შრომის მწარმოებლურობა; კაპიტალური დაბანდებათა და
წარმოებაში კაპიტალურ დაბანდებათა გამოსყიდვის ვადა. უფრო ვიწრო ჭრილში თუ გან-
ვიხილავთ, ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ადმინისტრაციულ-მმართველობითი
ხარჯების წილი საწარმოს დანახარჯების საერთო მოცულობაში; მმართველობითი პერსო-
ნალის ხვედრითი წილი საწარმოში დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობასთან;
მმართველობითი ნორმა (მართვის აპარატის ერთ მუშაკზე, პერსონალის ფაქტიური რაო-
დენობა), მმართველობითი პერსონალის შემცირება, მმართველობითი ინფორმაციის და-
მუშავების შრომატევადობის ხარისხი, სამუშაო დროის შემცირება უახლესი ტექნოლოგიე-
ბის დანერგვით. განმაზოგადებელ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ: მომხმარებელ-
თა შეკვეთების შესრულების ხარისხი, საბაზრო წილი, შეკვეთების შესრულების სიზუსტე
და დროულობა, დამატებითი მომსახურების შეთავაზება, მომხმარებელთა კმაყოფილების
და შენარჩუნების დონე, ასევე მმართველობითი შრომის ტექნიკური შეიარაღების მაჩვენე-
ბელი, მართვის აპარატის მუშაკთა დენადობა, კადრების კვალიფიკაციის დონე და სხვა.

ამრიგად, ეფექტიანობის სისტემატური და მრავალმხრივი ანალიზი საშუალებას იძ-
ლევა სწრაფად და ხარისხიანად შევაფასოთ სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობა; ზუს-
ტად და დროულად შევაფასოთ მოქმედი ფაქტორების გავლენის ხარისხი მოგების ნორმის
ცვალებადაზღვრაზე; სწორად განვსაზღვროთ საწარმოო დანახარჯთა ოპტიმალური დონე და
სწორი ორიენტირი მივცეთ მათ ცვლილებებს; მოვახდინოთ სწორი საფასო პოლიტიკის
გატარება; მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან
პერიოდებში მოგების მაქსიმიზაციისა და ორგანიზაციული პრობლემების ოპტიმალური
გზების ძიების მიზნით. საბაზრო ეკონომიკის თანმდევნი მწვავე კონკურენციის პირობებ-
ში, აუცილებელია მენეჯერი გარკვეული იყოს სამეურნეო საქმიანობის ამსახველ, მრავალ-
მხრივ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში. იცოდეს მათი გამოთვლის მეთოდოლოგია,
რათა გააანალიზოს შედეგები და დასახოს პრობლემათა გადაჭრის მართებული გზები.
ეკონომიკურ- მმართველობითი ანალიზისთვის ასეთი უნივერსალური საშუალება კი
არის ეკონომიკური ეფექტიანობის კატეგორიის მაჩვენებელთა კომპლესი, რის განხილვა-
საც შეეცადა აღნიშნული სტატია.

ლიტერატურა:

1. ენტონი ა. ატკინი, რობერტ ს. კაპლანი, ელა მეა მათსუმარა, ს. მარკ იანგი. მმართვე-
ლობითი აღრიცხვა. გამომც. „საქართველოს მაცნე“, 2009
2. КОНДРАТЬЕВА, ШУБИНА, Экономика и маркетинг, 2011

3. Котлер Ф. Маркетинг-менджмент: Пер. с англ. СПб.: Питер. 2009
4. Портер М. Международная конкуренция / Пер. с англ, под научн. ред. В.Д. Щетинина. М.; Международные отношения, 2008.
5. Портер М. Конкуренция: Пер. с англ. СПб.: Вильяме, 2000.
6. Васильев ,Порохина .Николаевна ПРАКТИКУМПО ТЕОРИИ УПРАВЛЕНИЯ «Финансы и статистика» 2005
7. Кнышова Е.Н., Панфилова Е.Е. Экономика организации: Учебник. – М.: ФОРУМ: ИНФА-М, 2005.
8. Н.Ф. Мормуль Экономика предприятия: Под редакцией профессора Ю.П. Анискина. МИЭТ, 2006

Aida Qitashvili-Kvachantiradze

Associate Professor

Caucasus International University

Tinatin Jolbordi

Associate Professor

Gori State University

The Managerial Aspect of Management Accounting

The article deals with the classification of Management Accounting and managerial decisions. There is revealed the effect of economic efficiency on managerial decisions. The paper highlights the analysis of efficiency's characteristics and indicators. The article focuses on assessment of efficiency of managerial decisions' model and it's impact on to increase the economic efficiency of production.

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს პროფესორი

„საერთაშორისო ბიზნესის“ მოდულის ხელმძღვანელი

ბიზნესის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში

საქართველოში ბიზნესკულტურა დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროსთან შედარებით ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება. ის სამეწარმეო ტრადიციები, რომლებიც ამ სახის კულტურაში არსებობდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში პოლიტიკური მიზეზების გამო ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი. თანამედროვე სამეწარმეო კულტურა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად აღორძინებას იწყებს მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. ამასთან, ამ კულტურის ყველა ელემენტი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. საქართველოს ბიზნესკულტურის კვლევები ძირითადად ეხება კორპორაციული კულტურის ელემენტებს ეყრდნობა დასავლეთის ეკონომიკური სკოლის თეორიულ მოდელებს. ამასთან, არ არის შესწავლილი ის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოში ბიზნესის დეგრადაციის ხარისხს.

ცნობილია, რომ მეწარმეობისა და ბიზნესის ბუნების ახსნის საფუძვლები უნდა ვეძებოთ რომის სამართალში. ჯერ კიდევ რ. კანტილიონმა შენიშნა, რომ მეწარმე არის ადამიანი რომელიც რაიმე ახალ ქმნის, ამდენად ის იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს ცვალებად გარემოში, ხოლო მოგება მოგება არის სამეწარმეო რისკის გადასახადი [1]. მ. ვებერს მიაჩნდა, რომ სამეწარმეო საქმიანობა ევროპაში იყო მიზანრაციონალური სოციალური საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობდა პროტესტანტული შრომითი ეთიკიდან, სიმდიდრის შრომითი დაგროვება ღმერთის სადიდებლად საფუძვლად დაედო ამ კულტურის მორალურ ღირებულებებს, რამაც მ. ვებერს მიხედვით დანაზღვრა ევროპის ამ ერების ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე [4]. ჯ. შუმპეტერს წერდა, რომ სამეწარმეო საქმიანობის ძირითადი თავისებურება ვლინდება ინოვაციებში. მას მიაჩნდა, რომ სამეწარმეო სტატუსი არამდგრადია და დაკავშირებული წარუმატებლობის რისკთან, რომლის მაკონსერვაციული ფაქტორი ინოვაციებია [2]. მეოცე საუკუნის შუა ნაწილში მეცნიერების ჯ. კეინსის, პ.დრაკერის პარადიგმაში მეწარმე წარმოჩნდა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს მოგების მიღების ნებისმიერი შესაძლებლობა [5]. როდესაც ადამიანს გაუჩნდა საკუთარი კაპიტალის განცდა, მას მოუწია ქონების უსაფრთხოებაზე ფიქრმა, ზუსტად მაშინ გაჩნდა ამ კაპიტალის დაკარგვის ფსიქოლოგიურ-ემოციური განცდა ანუ შიში, როგორც მისი ბუნების თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალება, რადგან სიმდიდრის სიყვარული და მისადმი ლტოლვა, როგორც საკუთარი პიროვნული თავისუფლება ერთ ერთი შემადგენელი (ეკონომიკური თავისუფლება), რაც წარმოადგენს ადამიანის ეგზისტენციალურ საზრისს. ბიზნესის თეორიის ფუძემდებლებს კარგად ესმოდათ ბიზნესმენის არამდგრადი მდგომარეობა საბაზრო სფეროში. ამასთან მათ მიაჩნდათ, რომ წარუმატებლობის ფსიქოლოგიური განცდა ბიზნესთან შეუთავსებელია. მაგალითად პერეტოს მიაჩნდა, რომ „ფრთხილი და რისკის წინაშე ქედმოხრილი ადამიანები ბიზნესმენები არ ხდებიან“. მიუხედავად ამისა მ.ვებერის და ბ.ზომბარტის შრომებში ხაზგასმულია, რომ მეწარმე არის ჩვეულებრივი მშრომელი და არა ავანტიურისტი, რომელიც მოგების ნებისმიერი გზით მიღების მიზნით ექვემდებარება რისკს [4].

ამასთან, მკვლევარების მიერ დადგენილია, რომ ბიზნესისათვის დამახასიათებელია არამდგრადი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისადმი (ხელისუფლების ცვლა, საგადა-

სახადო სისტემის არამდგრადობა, კონკურენცია და სხვა) ანალიტიკურ-პროგნოსტიკული მიდგომა და რაც უფრო მართებულია ეს პროგნოზი, მით უფრო სტაბილურია ბიზნესი.

ქართველ ბიზნესის რეალობაში ამ ფაქტორების კვლევისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მრავალი მეთოდი. ამასთან, უპირატესობა მივანიჭეთ კვლევის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც წარმოდგენილია ცნობილი მეცნიერის ბ. გლეიზერის შრომებში [6]. მეთოდის მიზანია მიუკერძოებელი კონცეფციის ფორმირება, მონაცემთა შეგროვების, მათი ანალიზის და შედეგების განზოგადების საფუძველზე. ამდენად, მონაცემთა შეგროვება და დამუშავება იძლევა ჯერ ჰიფოთეზის ჩამოყალიბების, შემდეგ კი თეორიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მეთოდის მთავარი არსი დაიყვანება მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში ინდივიდის (მეწარმის) ქცევის ახსნაში. კვლევის შედეგად ჩვენ შეგვიძლია ლოგიკური კატეგორიების ჩამოყალიბება, რომლებიც გამოიყენება ბიზნესის სფეროში არსებული რეალობის ასახსნელად.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ბიზნესზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიური ეკონომიკური განვითარების პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს წარმოადგენს ბიზნესის მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ გარემოს ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ამ მხრივ შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია და იწვევს არასტაბილურობის განცდას. ქვეყანაში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა 2004 წლიდან დაიწყო. აღნიშნული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყანადაა აღიარებული. ამჟამად, ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, რჩება პრინციპული ხასიათის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე, გამოწვევად რჩება გადახდისუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

არსებული სირთულეები საერთო ჯამში საქართველოში აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებეფექტიანს ხდის ადგილობრივ ბიზნესს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველოს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით. ამასთან, ბიზნესმენტა შეფასებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეგისტრაცია, არამედ ბიზნესის შენარჩუნება. ბიზმესმენტა აზრით, ქვეყანაში საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები სწრაფად არ გვარდება. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება კომერციული დავების გადაწყვეტის კუთხით. აუცილებელია ამოქმედდეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის (Alternative Dispute Resolution – ADR) – არბიტრაჟების განვითარება, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება და ანგარიშები. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: საკუთრების უფლებების დაცვა – 120-ე ადგილი; დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 92-ე; ანტიმონოპოლიური პოლი-

ტიკის ეფექტიანობა – 138-ე; ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე; ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე.

მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება ასევე ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში (Doing Business 2014), რომლის მიხედვითაც საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, თუმცა, ბიზნესმენთა აზრით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მიმართულებები, სადაც აუცილებელია მდგომარეობა გაუმჯობესება. მაგალითად, გადახდისუუნარობასთან და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს სისუსტეები ასახულია ბიზნესის კეთების ანგარიშში, რომლის მიხედვით საქართველოს შემდეგი პოზიციები უკავია: გადახდისუუნარობის პროცედურები – 88-ე ადგილი; კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე (%) – 33,6%, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო მაჩვენებელი არის 37,1%, ხოლო OECD-ის წევრ ქვეყნებში საშუალოდ – 70.6%.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. ამისთვის აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, ბიზნესის დაცვის თვალსაზრისით სასამართლო სისტემის გამლიერება. დამოუკიდებელი სასამართლო ერთ-ერთი პირობაა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, განსაკუთრებით კი – საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით. მთავრობამ უნდა უზრუნველყოფს ბიზნესინტერესებში არალეგიტიმური ჩარევის დაუშვებლობა.

საქართველოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისა და წარმოებისთვის ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება-წარდგენით, ასევე, ადმინისტრირების გაუმჯობესებით აუცილებელია რეფორმების ეფექტიანი განხორციელება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდა.

ქართველ ბიზნესმენებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ბიზნესის მთელ რიგ სფეროებში (ნავთობპროდუქტების რეალიზაცია, საფთიაქო დასხვა) იგრძნობა კონკურენციის შესუსტება, რამაც წარმოშვა კარტელური გარიგებების მდიდარი ნიადაგი, რომ თავისუფალი კონკურენციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია გააუმჯობესდეს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმები, ამ სფეროში დაინერგოს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის კანონმდებლობამ უზრუნველყოს კარტელური გარიგებების, კონკურენციის შემზღვევით შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების არდაშვება. ამავე დროს, აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვის სიმარტივე. კერძო სექტორის მწარმოებლურობის ამაღლებისთვის ბიზნესის დახურვის სიმარტივეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის აადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად ეფექტიანი სფეროდან უფრო ეფექტიანში და შესაბამისად, ხელს უწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების შემ-

დგომი გამარტივების მიზნით, აუცილებელია ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და აღსრულების მექანიზმების დახვეწა.

ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და, ასევე, ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროით დანახარჯების შემცირება. ამ მიზნით, აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესება, მათ შორის, ელექტრონული ტენდერების სისტემის გაუმჯობესება, ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოება. აღსანიშნავია, რომ საქართველო გაეროს ელმმართველობის (e-governance) ინდექსის მიხედვით 72-ე ადგილზეა.

ბიზნესმენტა აზრით ქვეყანაში არ არის შექმნილი ინოვაციური ეკონომიკის პირობები, რაც განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არაა დამაკმაყოფილებელია, დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი – 118-ე ადგილი; კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) – 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-100 ადგილი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ – 117-ე ადგილი [7].

კვლავინდებურად დაბალია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების დონე კვლავ არაა დამაკმაყოფილებელია. ამის გამო ბიზნესმენტა აზრით ქვეყანაში შეზღუდულია ინტერნეტ-ბიზნესის შესაძლებლობები. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (2013-2014) მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენებთ ქვეყანა 71-ე ადგილია, ხოლო 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობის მიხედვით – 65-ე ადგილზე. ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 65-ე ადგილზეა.

ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური წარმოებისა და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება. ინოვაციის მხარდაჭერისთვის, აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ტექნოპოლისები ფირმა ინკუბატორები) განვითარებასა და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, აუცილებელია წახალისდეს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინება, რომლებიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაზე და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე.

ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების მდგომარეობის ინდექსები საქართველოში

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი	68
გლობალური ინოვაციების ინდექსი	73
	2.70
ახალი ბიზნესის ფორმირება (1000 სულ მოსახლეზე)	2.32
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი	44
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი	65

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ კუთხით, ქვეყანაში არსებობს ორი ძირითადი შემაფერხებელი პრობლემა: პირველი, ქვეყნის ბიზნესი ვერ გამოიმუშავებს ინვესტიციებისთვის საჭირო მოცულობის შიდა რესურსებს და მეორე, არასათანადოდ განვითარებული ფინანსური ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ფინანსური შუამავლობის ეფექტიან განხორციელებას. სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად, ყოველწლიურად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა უნდა შეადგენდეს მშპ-ს 30%-ს. არსებული მდგომარეობით, ქვეყანაში დაზოგვის მთლიანი მოცულობა მშპ-სთან მიმართებით შეადგენს მხოლოდ 2.5%-ს. მთლიანი კაპიტალის ფორმირების და ადგილობრივი დანაზოგების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის დინამიკიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ შიდა დანაზოგების არსებული დონე ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების კომპონენტში 98-ეადგილი უკავია, ხოლო ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობის კომპონენტში – 126-ე ადგილი. საინვესტიციო რესურსის პრობლემას წარმოადგენს არა მარტო სიმცირე, არამედ გრძელვადიანი სასესხო რესურსების ნაკლებობა. აღნიშნული ტიპის ფინანსური რესურსები მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. მოკლევადიანი საფინანსო რესურსი ბიზნესისთვის დამატებითი რისკების შემცველია. ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისთვის, შიდა დანაზოგების სტიმულირებასთან ერთად, საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური კაპიტალის შემოდინება, თავის მხრივ გააიიფებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში. ბაზარზე ეროვნული ვალუტის რესურსის ნაკლებობა აიძულებს მეწარმეებს აიღონ სესხი უცხოური ვალუტით და დაექვემდებარონ სავალუტო რისკს. დოლარიზებული სესხები განსაკუთრებით ძვირია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელსაც არ გააჩნია სავალუტო რისკის მართვის საშუალებები. შესაბამისად, სახელმწიფო, საბაზრო ინსტრუმენტებით წახალისებს ლარიზაციას, რათა გაიზარდოს ლარში გაცემული გრძელვადიანი სესხების და ლარში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მცირე და საშუალო ბიზნესის რისკებს და მათ ხელმისაწვდომობას ფინანსებზე.

ბიზნესზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსური შუამავლების განვითარების დონე. საქართველოში ფინანსური შუამავლებიდან შედარებით განვითარებული მხოლოდ საბანკო სექტორია, რომელიც ბაზარს აწვდის შედარებით დაბალრისკიან კაპიტალს. ეკონომიკის სექტორული დივერსიფიცირებისთვის და კონკურენტული დარგების აღმოსაჩენად

აუცილებელია, არასაბანკო საფინანსო შუამავლობის განვითარება. ფინანსურმა შუამავლობამ ხელი უნდა შეუწყოს გრძელვადიანი კაპიტალის მიწოდებას ეკონომიკისთვის. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო, ასევე, დამწყები ბიზნესისთვის.

საქართველოში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი განუვითარებელი კაპიტალის ბაზრები. საფონდო ბაზრის განუვითარებლობა განპირობებულია მისი ორი ძირითადი ელემენტის – კომპანიათა აქციების და კორპორატიული ობლიგაციების სიმცირით. ეს პრობლემა გამომდინარეობს როგორ ემიტენტების, ისე დანაზოგების მფლობელთა მხრიდან აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდების არამიზიდველობით. ერთის მხრივ, კომპანიები არ იღებენ გადაწყვეტილებას, განათავსონ აქციები ან ობლიგაციები საფონდო ბაზარზე და ფინანსური სახსრებისთვის ძირითადად მიმართავენ კომერციულ ბანკებს. კომპანიათა ამგვარი ქცევის მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებები: ა) საფონდო ბაზარზე შესვლა მოითხოვს გამჭვირვალობის სტანდარტებთან მისადაგებას, რაც ხშირ შემთხვევაში, კომპანიების მხრიდან უკავშირდება როგორც ფინანსურ, ისე დროით დანახარჯებს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ისტორიულად არ ახორციელებდნენ აღრიცხვიანობას საფონდო ბაზრების მიერ მოთხოვნილი სტანდარტების შესაბამისად; ბ) გარიგების ღირებულება საფონდო ბაზარზე მაღალია, რაც მას საბანკო კრედიტთან შედარებით ნაკლებ მიმზიდველს ხდის და გ) საწარმოთა გამოცდილების სიმცირე და მათი საფონდო ბირჟის საქმიანობის მიმართ გაუთვინობიერებულობა ცუდ სასტარტო პირობებში აყენებს საქართველოს საფონდო ბაზარს. მეორეს მხრივ, დანაზოგების მფლობელები არ იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი დანაზოგები დააბანდონ კორპორატიულ აქციებსა და ობლიგაციებში, რადგან: ა) საქართველოში ჩამოყალიბდა ცუდი ისტორიული გამოცდილება კომერციული სექტორის ფასიანი ქაღალდების მიმართ, ბ) კერძო სექტორის გამჭვირვალობის დაბალი სტანდარტები მათ ხელს უშლის კერძო სექტორში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში; გ) არასათანადო ინსტიტუციური ბაზა უმნიშვნელო წილის მფლობელი აქციონერების უფლებების დაცვისთვის; დ) არ არსებობს კომპანიების სტაბილურად განვითარების მოლოდინი; ე) მცირეა არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების რაოდენობა. 2012 წელს, საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანიების კაპიტალიზაცია მშპ-ს 2%-ს შეადგენდა, გარიგებათა მოცულობა კი მშპ-ს 3%-ზე ნაკლები იყო [7].


გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლის ანგარიშის მიხედვით, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ქართული კომპანიების მიერ დასახელებულია, როგორც ბიზნესის წარმოების შემაფერხებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამავე ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოზიდვის დავენჩერულ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის მიხედვით. ასევე, ვენჩერული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსში (2013) საქართველო 118 ქვეყნიდან 72-ეადგილზეა.

საფინანსო შუამავლობის გაუმჯობესების მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ისეთმა ფინანსურმა დაწესებულებებმა, როგორცაა ფინანსური ლიზინგის და სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და სხვა. დღეისათვის ქვეყანაში არსებობს, როგორც სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ამ დაწესებულებებს სრულად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრისაკენ. კერძოდ, სახელმწიფოს განახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება სასამართლოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ლიზინგთან დაკავშირებით. სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც გაამლიერებს ლი-

ზინგის კომპანიების საკუთრების უფლებების. დამწყები და მაღალი რისკის მქონე ბიზნესის დაფინანსებისთვის აუცილებელია ვენჩერული ტიპის დაფინანსების განვითარება. ვენჩერული კაპიტალი მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტების დაფინანსებისთვის. ასეთი ტიპის დაფინანსება ხშირად დაკავშირებულია შედარებით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთთან. შესაბამისად, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კერძო, მოგებაზე ორიენტირებული ვენჩერული ფონდების განვითარებას და შესაბამის ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფას.

დიაგრამა 12

ვენჩერული და კერძო კაპიტალისთვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსი (2013)




ფინანსური სექტორის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს. აღნიშნული ორგანიზაციები ქვეყანაში მრავლად არის წარმოდგენილი, თუმცა, მათი საქმიანობა, ძირითადად ორიენტირებულია სამომხმარებლო სესხების გაცემაზე და არა მცირე და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე.

ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური რესურსების განვითარება და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. ეს მიმართულებებია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა.

სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებებზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ამ პროცესში. 2000-იანი წლების შუა პერიოდში ბიზნეს გარემოს რეფორმებს თან ახლდა ინვესტიციების მატება, თუმცა ეს ზრდა ნაკლებად აისახა მოსახლეობის დასაქმებაზე. უმუშევრობის მაჩვენებელი 2007 წელს 13,3%-დან 2009 წელს 16,9%-მდე გაიზარდა; 2012 წლისთვის ის კვლავ შემცირდა 15,0%-მდე. იმავე პერიოდში (2007-2012) ახალგაზრდობის უმუშევრობა (15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 27,7%-დან 36,9%-მდე გაიზარდა [7]. საქართველოში ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში. ქალაქის ტიპის დასახლებებში უმუშევრობა 28%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სამუშაო ძალას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები.


უმუშევრობის დონე ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით 2007-2013 წლებში



წყარო: საქსტატი

საქართველოში უმუშევრების ორი მესამედი (67,1%) წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სამუშაო ადგილის გარეშეა, რაც უფრო ამცირებს დასაქმების შესაძლებლობებს. მსოფლიო ბანკის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში ხანგრძლივი უმუშევრობის შემდეგ დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.¹ პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. დასაქმებულებს განათლება აქვთ ისეთ სფეროებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ამავე დროს, არასაკმარისია სათანადო პროფესიული განათლების მქონე სამუშაო ძალა იმ ადგილების შესავსებად, რომლებსაც პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება.

უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით (2010)



წყარო: მსოფლიო ბანკი, ოჯახების ბიუჯეტების 2010 წლის მიმოხილვის საფუძველზე

უმუშევრობის მაჩვენებელი განათლების დონის მიხედვით მიუთითებს, რომ განათლების დონე ნაკლებად შეესაბამება ეკონომიკის მოთხოვნებს. განათლების ხარისხის პრობლემაა ზოგადი განათლების სისტემაშიც. 2009 წლის მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA) მიხედვით, საქართველოში მოსწავლეების

¹ საქართველო: უნარების შეუთავსებლობა და უმუშევრობა, შრომის ბაზრის გამოწვევები, მსოფლიო ბანკი, მარტი 2013 წელი, გვ. 2

შეფასება OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. მოსწავლეთა მხოლოდ 38% სცილდება ფუნქციური წერა-კითხვის ზღვარს, ხოლო მათემატიკაში ზღვარზე ან ზღვარს ზემოთაა მოსწავლეთა მხოლოდ 31%-ია. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 105-ე ადგილზეა „საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის“ მიხედვით და 130-ე ადგილზე „კვლევითი და ტრენინგის მომსახურების ხელმისაწვდომობის“ მიხედვით. გამოწვევების წინაშე დგას პროფესიული განათლების სისტემაც. პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამები ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია და ის ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც აკადემიური განათლების თანასწორი ან მიმზიდველი საგანმანათლებლო ალტერნატივა. პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების საშუალებად. პრობლემას წარმოადგენს განათლების დაფინანსების დაბალი დონეც, რომელიც ბოლო წლებში იზრდება, თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მცირე დაფინანსება უარყოფითად აისახება განათლების სფეროში ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გარდა ამისა, პედაგოგებს აქვთ დაბალი ანაზღაურება და ნაკლები მოტივაცია.

ლიტერატურა:

1. Багиев Г. Организация предпринимательства. СПб, М. 2001
2. Шумпетер И. Капитализм социализм и демократия. М. 2007 С 227
3. <http://ka.wikipedia.org/wiki/>
4. Weber, M. distorting works. p. 47
5. Hoy F. Emerjng Business, Emerjng Field: Entrepreneurship and the Family Firm//Entrepreneurship: Theory and Practice # 19 1994 p. 9-12
6. Б. Глеизер, Страусс А. Основы качественного исследования. М. 2002
7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველოს მთავრობა, თბილისი, 2013 წლის ნოემბერი

Teimuraz Shengelia

Full Professor

Head of „International Business” module

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Social-psychological nature and disability causes of Business in Georgia

The present article discusses of the most important problems connected with business. The business culture in Georgia, compared with the Western civilized world, is in the embryo form. The modern entrepreneurship culture starts revival in the end of the 80s of XX century. All the elements of this culture are not studied fundamentally. The researches of business culture of Georgia mostly concern the elements of corporative culture, and are based on the theoretical models of the Western economy. Such an important component has not been studied as the role of acticiphobia in modern Georgian business.

ბიზნესტრენინგების ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტები

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე რთული და მრავალფეროვანი პროცესები ცალკეული ადამიანებისა და ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ტრენინგების გავლას, რომლის მიზანია მიღწეულ იქნეს ცოდნისა და კვალიფიკაციის მუდმივი ზრდა და გარემო ცვლილებებთან სათანადო ადაპტაცია.

ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია განათლებისა და დასაქმების ბაზრის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც არიან მოქალაქეები, რომელთა კომპეტენციაც არ შეესაბამება თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. ამ პირობებში ეფექტიან მექანიზმად გვევლინება ყოველი შრომისუნარიანი ადამიანის პროფესიული განვითარება, რომლის დროსაც სხვადასხვა სატრენინგო კურსის გამოყენებით ხდება გარკვეული ცოდნის შექმნა და სათანადო უნარების გამომუშავება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის აქტუალურობის მიუხედავად, ჩვენს სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში სათანადოდ არ შუქდება საბაზო სასწავლო პროცესის, და კერძოდ, პროფესიული ორიენტაციისა და ბიზნესტრენინგების მართვის ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტები. აქედან გამომდინარე, შევეცდებით, არსებული მდგომარეობის შესწავლა-გაშუქების მეშვეობით გარკვეული წვლილი შევიტანოთ საგანმანათლებლო სფეროს ამ მნიშვნელოვანი მიმართულების მეცნიერული კვლევისა და შესაბამისი პრაქტიკული მიზნების დასახვა-განხორციელების საქმეში

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული და საგანმანათლებლო პრაქტიკაში ქვეყნის მასშტაბით უკვე განხორციელებულია და სამომავლოდაც არის დაგეგმილი სატრენინგო პროექტი – „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“.

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური პროექტი – „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები“, მიზნად ისახავდა საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამუშაო ბაზრისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვას, მათ მოთხოვნილებებზე მორგებული პროფესიული ორიენტაციის, საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და მართვის ადაპტირებული კურსის შემუშავებასა და სწავლებას.

პროექტის ფარგლებში, 2012 წლის ბოლოს, საქართველოს 20 დიდ ქალაქში გაიმართა 2-თვიანი ტრენინგები 14 ათასი ადამიანისათვის, შესაბამისი სერტიფიკატების გადაცემით.

პროექტის მიზნებისათვის კონკურსისა და სათანადო ტრენინგების შედეგად ქვეყნის მასშტაბით შეირჩა 120-ზე მეტი ადამიანი, რომლებსაც მიეცათ ტრენინგის სერტიფიკატი და რომლებმაც სექტემბერ-დეკემბერში უკვე თვითონ ჩაუტარეს ტრენინგები მოსახლეობას.

გამოიცა სპეციალური სახელმძღვანელო – „პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“ [1].

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012 წელს ორგანიზებული პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის პროექტის ფარგლებში მოქმედი ტრენინგის მსმენელებისა და ტრენინგებისათვის. იგი, აგრეთვე, დიდ დახმარებას გაუწევს ბიზნეს-ადმინისტრირების პროფილის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დამწყებ და მოქმედ ბიზნესმენებს, მენეჯერებს და წიგნში განხილული თემატიკით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

სახელმძღვანელოს გამოცემას, ტრენინგების ორგანიზებას და მეთოდურ უზრუნველყოფას უძღვებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერტიფიცირებული ექსპერტები – თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები გიორგი შიხაშვილი და გულნაზ ერქომაიშვილი.

ტრენინგ-კურსი შედგება ორი მოდულისაგან.

I მოდულია „პროფესიული ორიენტაცია“. მოდულის მიზანია მსმენელებმა ისწავლონ, თუ როგორ აღმოაჩინონ და პრაქტიკულად გამოავლინონ საკუთარი ძლიერი მხარეები, როგორ დაგეგმონ თავისი კარიერა, როგორ სრულყონ ის უნარ-ჩვევები, რომელიც მათ დამსაქმებლის წინაშე წარსადგენად სჭირდებათ.

II მოდულია „საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა“. მოდულის მიზანია მსმენელებისათვის თეორიული ცოდნის გადაცემა ბიზნესის დაწყებისა და მართვის სფეროში და ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ შეარჩიონ ბიზნესიდეა და ბიზნესის სახეობა, შეადგინონ ბიზნეს-გეგმა, გაიაზრონ მცირე ბიზნესის მართვისა და მარკეტინგის პრინციპები, ისწავლონ ფინანსების მოძიების გზები, შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უხელმძღვანელონ მის საქმიანობას.

საბაზო ტრენინგის ხანგრძლივობა 27 საათია.

ტრენინგზე განიხილება შემდეგი თემები:

1. წარმატებული კარიერის შექმნა;
2. ბიზნესის საწყისები;
3. საკუთარი ბიზნესის დაფუძნება;
4. მენეჯმენტის საფუძვლები დამწყები ბიზნესმენებისათვის;
5. ფირმის მენეჯმენტი;
6. ფირმის მარკეტინგი;
7. პარტნიორული სახელშეკრულებო ურთიერთობები;
8. ბიზნესგეგმების არსი, დანიშნულება და შედგენის ორგანიზაცია;
9. ტრენინგების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია.

მეცადინეობის პროცესში გამოიყენება პირდაპირი სწავლების (ინტერაქტიური ლექცია), მსმენელის მიერ ლექტორის/ტრენერის როლის მორგების, გამოკითხვის/ურთიერთგამოკითხვის („ინტერვიუ წყვილებში“), პროექტების, გუნდური მუშაობის, კვლევითი, კონკრეტული სიტუაციების განხილვის (Case-study), სავარჯიშოების და სხვა უახლესი დასავლური მეთოდები [2; 3].

კონკრეტულად, ცალკეულ მეცადინეობაზე ხდება:

- ურთიერთგაცნობა, მსმენელთა მისწრაფებების, მიზნებისა და გეგმების განხილვა;
- ტრენინგის მიზნების, შინაარსის, სწავლების მეთოდოლოგიისა და სილაბუსის გაცნობა;
- გამოკითხვა/ურთიერთგამოკითხვა და დისკუსიები განხილულ საკითხებზე;
- კონკრეტული კომედიური სიტუაციის გუნდური წერილობითი ანალიზი, პრეზენტაცია და დისკუსია;
- CV-ის მაგალითების განხილვა;
- სავარჯიშო – „ოფისის მოწყობის პროექტის ბიუჯეტის შედგენა გუნდებში“, პრეზენტაცია და დისკუსია;
- „ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა“ – კონკრეტული სიტუაციის ინდივიდუალური ზეპირი ანალიზი და დისკუსია;
- საანალიზო ტესტების შევსება ბიზნესის გააზრებისა და საკუთარი ბიზნესის დაწყებისათვის და დისკუსია;

- გუნდური მიკროპროექტების შედგენა, პრეზენტაცია და დისკუსია;
- ტესტების შევსება მენეჯერის თვისებებზე და დისკუსია;
- ტესტების შევსება დროის მენეჯმენტში და დისკუსია;
- ბიზნესპროექტების გუნდების შექმნა და საინტერესო ბიზნესიდეების შერჩევა „გონებრივი შტურმის“ მეთოდით (Brainstorming);
- გუნდური ბიზნესპროექტების შედგენა, პრეზენტაცია და დისკუსია.
- მსმენელთა ფინალური ტესტირება და შეფასება.

ტრენერი ახდენს მსმენელთა დასწრების, აქტიურობის და ცოდნის დონის კონტროლს და აღრიცხვა-შეფასებას შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

1. სესიებზე დასწრება – 18 ქულა;
2. აქტიურობა – 32 ქულა;
3. ფინალური ტესტირება – 50 ქულა.

სულ სამივე კომპონენტის მიხედვით – 100 ქულა.

ქვემოთ გადმოვცემთ ტრენინგ-კურსის ერთ-ერთი სესიის სალექციო თემის შემოკლებულ ტექსტს.¹

ამ თემის შესწავლისას გამოიყენება შედეგი მეთოდები: პირდაპირი სწავლება (ინტერაქტიური ლექცია), სავარჯიშოები, ურთიერთგამოკითხვა/დისკუსია; მსმენელის მიერ ლექტორის/ტრენერის როლის მორგება.

ლექციის თემა: „კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები“

ამ თემის შესწავლა დაგეგმარებათ, შეარჩიოთ და აკეთოთ საყვარელი საქმე და იცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებთ. როგორც არ უნდა იყოს თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობა, არასდროს არის ძალზე ადრე ან გვიან – აღმოაჩინოთ თქვენთვის საუკეთესო კარიერა.

1. ვინ ხართ თქვენ?

კითხვა – „ვინ ვარ მე?“ ხშირად ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში, რასაც ბავშვობის ასაკში დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, უკვე 20-30 წლის ასაკში გარკვეულად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გაგვაჩნია მის შესახებ. როდესაც მივალწევთ 40, 50 და 60 წელს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ კითხვას კვლავ ვუსვამთ საკუთარ თავს.

საკუთარი თავის და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ელემენტების აღმოჩენას ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ყოველი ჩვენგანი განსხვავებული ინტენსივობითა და დონით ახერხებს. თუმცა, ეს არის კითხვა, რომელიც საჭიროა ხშირად გავუმეოროთ საკუთარ თავს, რაც კარიერის შესატყვისობის ტესტის შემადგენელი ნაწილია. ხომ მართალია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას 10 წლის მანძილზე უყურადღებოდ არ დატოვებთ? იგივე დამოკიდებულება გვმართებს კარიერის/ცხოვრების სტილით დაკმაყოფილების დონის მიმართ, ვინაიდან ჯანმრთელობა და ცხოვრებისეული ბედნიერება/კარიერული წარმატება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

წლების მანძილზე გავდივართ ზრდისა და განვითარების ეტაპებს. ყოველი ეტაპი წარმოგვიდგენს ახალ სფეროებს, რომლებზე ფოკუსირების საშუალებით განვსაზღვრავთ, თუ როგორი ტიპის ინდივიდები, პიროვნებები, მეგობრები, პარტნიორები, მშობლები ვართ ჩვენ კარიერის დაწყების, კარიერის პიკისა და პენსიაზე გასვლის

¹ თემის სრული ტექსტი იხილეთ წიგნში: პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. სახელმძღვანელო. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი და სხვ. თბ., 2012.

სტადიებში. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მუდმივად ვიზრუნოთ წარმატებული კარიერის მიღწევის გზების დასახვა-განხორციელებისათვის.

სავარჯიშო: ჩაუტარეთ მცირე ანალიზი საკუთარ თავს, დაიწყეთ თითოეული ასპექტის შესწავლით და გაიაზრეთ ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით. გამოიტანეთ ნამუშევარი დისკუსიაზე.

1) რა არის ჩემი ფასეულობები?

ფასეულობები – ეს არის დამოკიდებულება და რწმენა ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი დემონსტრირება ხდება შესაბამისი ქცევების საშუალებით აღნიშნულ ფასეულობებთან მიმართებით. ფასეულობები შეიძლება ატარებდეს უსაფრთხო ან თავგადასავლებისა და რისკის მამიებელ ხასიათს, დამოუკიდებლობის შენარჩუნებით დაწყებული და ურთიერთდამოკიდებულების ხელშეწყობით დამთავრებული. ფასეულობები ძირითად როლს თამაშობენ ჩვენ მიერ სამუშაოს ტიპის, სამუშაო გარემოს, ცხოვრების სტილის შერჩევის საქმეში, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და შესრულებადია.

2) რისი გაკეთება მომწონს?

ეს თქვენი ინტერესებია და ყოველივე ის, რისი გაკეთებაც მოგწონთ, გსიამოვნებთ და გეხერხებათ. გაიხსენეთ ბოლო სამი თვე და ჩამოწერეთ ის, რასაც აკეთებდით ამ პერიოდის მანძილზე და რისი გაკეთებაც სიამოვნებას განიჭებდათ ნამდვილად, გაიაზრეთ და წარმოიდგინეთ ისეთი რამ, რასაც ერთი სული გაქვთ როდის გააკეთებთ ან ნატრობთ იქონიოთ მეტი დრო, რათა ასეთი საქმიანობით დაკავდეთ.

გამორიცხეთ ის სამუშაოები, რომლებიც ნამდვილად არ მოგწონთ – ამით ოპტიმალურად შეამცირებთ გასააზრებელ არეალს.

3) ყველაზე უკეთ რა გამომდის?

ის, რისი გაკეთებაც საუკეთესოდ გამოგდის, სავარაუდოდ, ჩვენი ნიჭია ან უნარები, რომელთა გაკეთება უკეთესად შეგვიძლია. გაიაზრეთ, თუ რა გამოგდით ყველაზე კარგად.

4) სად მინდა ვცხოვრობდე?

ბევრი ადამიანისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი კითხვაა მათი კარიერის/ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ გარკვეულ ადგილებში სხვადასხვა მიზეზის გამო. მოგწონთ სხვადასხვა კულტურის მქონე ადგილებში ცხოვრება? გჭირდებათ გარკვეული კლიმატი ჯანმრთელობის თვალსაზრისით? ფიქრობთ, რომ თქვენი საქმიანობა უფრო მომგებიანი იქნება გარკვეულ ადგილებში ან კლიმატური პირობების გამო? ამჟამად, სად გსურთ იცხოვროთ და რატომ?

5) რა რაოდენობის თანხა მსურს მქონდეს?

კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ფული მთავარი მამომრავებელი ფაქტორია თქვენთვის კარიერის შერჩევისას. ან იმაში უნდა იყოთ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მიერ გაკეთებული საქმის გამორჩეულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და ფული ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. გაიაზრეთ, თუ რა რაოდენობის თანხის გამომუშავება გსურთ ყოველწლიურად. რა რაოდენობის თანხა გსურთ გქონდეთ და რატომ?

2. ღრმად ჩასწვდით საკუთარ თავს, გაიაზრეთ სამუშაო ბაზრის ტენდენციები

თვითშეფასება

იმის დადგენაში, თუ ვინ ხართ და რა გსურთ თქვენ – დიდ სამსახურს გაგიწევთ თვითშეფასება.

თვითშეფასება – ეს არის საკუთარი პიროვნული ღირსებებისა და თვისებების გამოვლენა, რომელიც გეხმარებათ საკუთარი ძლიერი მხარეების დადგენაში.

თვითშეფასებას შეუძლია უზრუნველყოთ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციით თქვენი ფარული ტალანტების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების შესახებ. ინფორმაციის მიღების შედეგად თქვენ შეიტყობთ ბევრ მნიშვნელოვან რამეს მთლიანად საკუთარი თავის შესახებ და აღმოაჩენთ თქვენი საოცნებო კარიერისკენ მიმავალ გზას.

ოცნებები

ოცნებები ინფორმაციის წყაროა. გაიხსენეთ ის ოცნებები, რაც გაგაჩნდათ ახალ-გაზრდობაში და კვლავ ოცნებობთ მათზე. ეს ოცნებები შეიძლება იყოს იმ ელემენტთა ძირითადი გასაღები, რომლებიც განსაზღვრავს იმას, თუ ნამდვილად რას ნიშნავს თქვენთვის შესანიშნავი კარიერა. ოცნებების გადამოწმებასთან ერთად თვალი მოავლეთ თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და განსაზღვრეთ, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ ახლა.

იმის გაანალიზება, თუ რამდენად გაკმაყოფილებთ თქვენი სამსახური, ფინანსური შემოსავალი, ოჯახი და სამეგობრო წრე, ჯანმრთელობა, ორგანიზმი, გონება, სულიერი მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გართობა და რეკრეაცია, თქვენ მოგცემთ უფრო მეტ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გსურთ გქონდეთ მომავალში ნაცვლად იმისა, რაც გაქვთ ახლა.

ეს არის გარკვეულწილად შემდგომი ნაბიჯი ოცნებების ასრულებისათვის წანამდღვრების შესაქმნელად, ასე რომ, გონებაში გადაავლეთ თვალი თქვენს 5 წლის შემდგომ მდგომარეობას. თავი მოუყარეთ თქვენს წარსულ და მომავალ ოცნებებს, შეადარეთ ამჟამინდელ მდგომარეობას, რაც საშუალებას მოგცემთ – დაინახოთ იდეალურ მდგომარეობასა და არსებულ რეალობას შორის არსებული სხვაობა.

პიროვნული თვისებები

თქვენი პიროვნება იმაზე უფრო მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ. იგი თქვენი ყველა თვისებისა და მახასიათებლების საერთო ჯამია. ეს კომპლექსური სისტემა მოიცავს ემოციურ მახასიათებლებს, ტემპერამენტს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ქცევებს, რაც თქვენ განუმეორებელს გხდით.

მოტივაცია

გაქვთ თუ არა წარმოდგენა თქვენი მოტივაციების შესახებ? რა გაძლევთ ენთუზიაზმით დღის დაწყების საფუძველს? ზოგი მოტივაცია ეფუძნება საჭიროებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება, ისეთი როგორცაა ფული. აგრეთვე – ურთიერთობებს, რომლებიც აღიარებულია და დაფასებული და საზოგადოების და სულიერების განვითარებაში შეაქვს წვლილი.

სხვა მოტივაციები უფრო სიღრმისეულია, მაგალითად, რეალურად რას ვაფასებთ ჩვენს კარიერაში:

- ცხოვრების ტიპის შეფასების ოთხი კრიტერიუმი. დაგაფიქრებთ და დაგეხმარებათ განსაზღვროთ პრიორიტეტები თქვენი მოტივაციის ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით: უსაფრთხოება, ურთიერთობები, აღიარება და ანაზღაურება.
- კარიერის ღუზები, რეალური ფასეულობების განსაზღვრა.
- მაგალითად:

1. საკუთარი თავის ექსპერტად ხედვა;
2. სხვათა მართვისა და ხელმძღვანელობის სურვილი;
3. დამოუკიდებლად მუშაობა;
4. მიმდინარე უსაფრთხოებით სარგებლობა;
5. მეწარმედ ყოფნა;
6. მომსახურების უზრუნველყოფა;
7. გამოწვევების მიღება;
8. ცხოვრების სპეციფიკური სტილით სარგებლობა.

ინტერესები

ინტერესების გათვალისწინება ხშირად ბევრს ავიწყდება. ათეული წლების განმავლობაში, ადამიანები ირჩევენ კარიერას მათი ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ, ბევრი პროფესიონალი ვერასოდეს განიცდის სამუშაოსგან მიღებულ სიამოვნებას.

რა თქმა უნდა, სამუშაო, სამუშაოა. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ ანაზღაურება მიიღოთ ისეთი სამუშაოს შესრულებისთვის, რომლის გაკეთებაც სიამოვნებას განიჭებთ, რაც თქვენთვის საყვარელი გასართობი შეიძლება იყოს ან შესაძლოა ყოფილიყო. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ბევრი დასასვენებელი აქტივობა შეიძლება გარდაიქმნას მომგებიან კარიერად.

უნარები

თვითშეფასებას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს თქვენი უნარები. ამ უნარებში შედის ის გამოცდილება, რაც თქვენ შესრულებული სამუშაოებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან მიიღეთ.

ასეთი უნარები ხშირად სამ კატეგორიად იყოფა:

- **გადაცემადი ან ფუნქციური უნარები:** უნარები, რომელთა გადაცემა მარტივია ერთი სამუშაოდან მეორეზე, მაგალითად, ბეჭდვა ან კომპიუტერული პროგრამის ცოდნა;
- **ადაპტირებადი უნარების თვითმართვა:** ქცევითი უნარები, რაც შესრულებული სამუშაოებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შეიძინეთ. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად ახერხებთ დამაბულ გარემოში მუშაობას ან კარგი კომუნიკატორი ბრძანდებით;
- **ტექნიკური ან სამუშაოს შემცველობის უნარები:** უნარები, რომლებიც მიიღეთ სპეციფიკური ტრენინგის გავლის შედეგად, მაგალითად, მასწავლებლის ან ბუღალტრის დიპლომი.

ცხოვრების სტილი

ნათელი წარმოდგენის შექმნა ცხოვრების ისეთი სტილის შესახებ, რომელსაც უპირატესობას ანიჭებთ, მოიცავს იმის აღქმას, თუ რა ოდენობის ფინანსური სახსრები გესაჭიროებათ იმისათვის, რათა უზრუნველყოთ საჭირო ბალანსი კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის. როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სამუშაო საათების შემდეგ ან დასვენების დღეებში? რა არის თქვენთვის თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი – ურთიერთობები, დასვენება, გართობა თუ საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობა? შეფასების მოცემულ არეს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია თქვენი კარიერის არჩევანის გაკეთებისას. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს თქვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს.

იდეალური სამუშაო გარემო

რა ტიპის სამუშაო გარემო მოგწონთ? მაგალითად, მოგწონთ თუ არა მარტო მუშაობა? ვერ იტანთ ოფისზე მიჯაჭვულობას? იქიდან გამომდინარე, თუ როგორ უპასუხებთ მსგავსი ტიპის კითხვებს, შეგიძლიათ განსაზღვროთ კარიერის სფეროები, სადაც თქვენ უფრო კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობთ თავს. ეს, აგრეთვე, დაგეხმარებათ უფრო დაკონკრეტდეთ ისეთი ორგანიზაციის მოძიების პროცესში, რომელიც თქვენთვის კარგი სამუშაოს ცნებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

სამუშაო ბაზრის ტენდენციები

სამუშაო ბაზრის ცვლილებათა ტენდენციების გაცნობიერება დაგეხმარებათ გამოიყენოთ შესაძლებლობები ახლა და მომავალში. აუცილებლად უნდა იყოთ საქმის კურსში, თუ რომელი სამუშაოს ტიპებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე შესაძლებლობაზე ერთად ფიქრობთ და ერთ-ერთი მოთხოვნა ძალზედ მაღალია, შეგიძლიათ დაიწყოთ აღნიშნული ტიპის სამუშაოს განხილვით.

შრომის ბაზარზე საუკეთესო სამუშაოებად ითვლება დაბალი სტრესის, კარგი სამუშაო პირობების და სერიოზული ანაზღაურების მქონე სამსახურები.

ბაზრის ტენდენციების შესწავლით შეგიძლია მივიღოთ ინფორმაცია ისეთი ახალი სამუშაო სფეროების გამოჩენის შესახებ, სადაც აქცენტი კეთდება განათლებასა და ტრენინგზე. ამიტომ, აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა გავხდეთ სასურველი კადრი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

3. მცირე ბიზნესის დაწყება – წარმატებული თვითდასაქმების საწინდარი¹

საკუთარი ბიზნესის დაწყებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება:

- რა ბიზნესს ირჩევთ და რას მოგიტანთ იგი თქვენ? რა პრობლემების ან საკითხების გადაჭრას უზრუნველყოფს იგი სხვებისთვის? რა პროდუქციას ან მომსახურებას მიაწვდით ბაზარს? სად და როგორ იპოვით საკუთარ ადგილს ბაზარზე?
- ვინ არიან თქვენი იდეალური დამკვეთები ან კლიენტები? რა ბაზრებზე აპირებთ ორიენტაციას? იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი ბაზრის დაპყრობას აპირებთ, მაშინ შეეშვით ამ იდეას. ნუ შეეცდებით შეასრულოთ ყველაფერი ყველასთვის.
- როგორ აცნობთ მომხმარებელს საკუთარ საქმიანობას და რას სთავაზობთ მას? კონკრეტულად სად არის თქვენი ბიზნესისთვის გათვლილი ბაზარი? როგორ შედიხართ ბაზარზე და როგორ ქმნით ქსელს, რომელიც ბაზარზე თქვენთვის და თქვენთან ერთად იმუშავებს? რა ტიპის მარკეტინგული ინსტრუმენტები გესაჭიროებათ? გჭირდებათ თუ არა ვებგვერდი?
- რა ტიპის და ოდენობის ფინანსური ინვესტიცია გჭირდებათ ბიზნესის დასაწყებად? როგორ და საიდან იზიდავთ ფინანსებს ბიზნესის დასაწყებად? როგორ იწყებთ ბიზნესს? როგორია თქვენი კრედიტუნარიანობა? როგორ აწარმოებთ ფინანსურ ანგარიშებს? გჭირდებათ თუ არა ბუღალტერი? რა ტიპის ჩანაწერების წარმოება მოგიწევთ? რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებთ?

¹ დამატებით იხ.: 1) Carew R. Discovering Your Perfect Career. Alpha, USA, 2005, 2) Scarborough N. Effective small business management: an entrepreneurial approach. Prentice Hall. Pearson. London, New York, Munich, Melbourne, Delhi, New Jersey, 2011.

- რომელი სამართლებრივი მომენტების გათვალისწინება დაგჭირდებათ თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით? რა მოვალეობები და პასუხისმგებლობა გეკისრებათ თანამშრომლების დაქირავების შემთხვევაში?
- როგორ შეადგენთ ბიზნესგეგმას, რომელშიც უნდა აისახოს პასუხები და ანგარიშები ყველა ზემოჩამოთვლილ კითხვაზე?

სახლის ოფისი

თქვენს ბიზნესში წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია სათანადო დონის სახლის ოფისის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ბიზნესის განვითარებას. ამასთან, სახლში მუშაობის უპირატესობაა ის, რომ თქვენ არ ხართ შეზღუდული და შეგიძლიათ ივარჯიშოთ დილაობით, უყუროთ თქვენთვის საყვარელი პროგრამას შესვენებების დროს და სხვ.

სახლის ოფისი განთავსებული უნდა იყოს განცალკევებულ ადგილზე, სადაც სხვები ვერ შეძლებენ შემოსვლას და მოძრაობას თქვენი ნებართვის გარეშე, თუნდაც დროის გარკვეულ პერიოდში.

სათანადო სივრცის გამონახვის შემდეგ, ოფისში საჭიროა უზრუნველყოთ შემდეგი:

- **კარგი განათება.** ყველაფერს უნდა ხედავდეთ ნათლად და განათებამ უნდა შექმნას გამახალისებელი და არა ძილის მომგვრელი გარემო;
- **ჰაერის კარგი დენადობა.** აუცილებელია ფანჯრიანი ოთახი და კონდიციონერი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ სათანადო ტემპერატურის ჰაერი წლის ნებისმიერ დროს;
- **ავეჯი და სამუშაო ტექნიკა.** უზრუნველყავით თქვენი ოფისი სათანადო ავეჯით (სამუშაო მაგიდა სპეციალური სავარძლით, კომპიუტერის მაგიდა, სკამები კლიენტებისთვის ან სტუმრებისთვის, კარადა და სხვ.) და სამუშაო ტექნიკით (კომპიუტერი, კომბინირებული პრინტერი და სხვ.);
- **საკომუნიკაციო საშუალებები** (ტელეფონი, ინტერნეტი და სხვ.);
- **საკანცელარიო ინვენტარი** (ქაღალდი, საწერ-კალმები, ფანქრები, კალკულატორი, სტეპლერი, სტიკერები, კალენდარი და სხვ.).

სავარჯიშო: „ოფისის მოწყობის პროექტის ბიუჯეტის შედგენა გუნდებში“, პრეზენტაცია და დისკუსია.

მართე საკუთარი თავი

მცირე ბიზნესში წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს საკუთარი თავის მართვის უნარი (თვითმენეჯმენტი). თქვენ, როგორც საკუთარი თავის ხელმძღვანელს, მოგეთხოვებათ:

- **აწარმოეთ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს** მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში;
- **წარმოიდგინეთ, თუ როგორ განახორციელებთ დაგეგმილ ქმედებებს;**
- **შექმენით კვლევისა და განვითარების ჯგუფი.** ესენი შეიძლება იყვნენ ნაცნობები თქვენი ქსელიდან. ეს ჯგუფი შეგიძლიათ გამოიყენოთ მარკეტინგის, იდეების შეფასების, ახალი პროდუქციისა და განფასების კვლევის საკითხებში;
- **შექმენით ანგარიშგების სისტემა.** მოიფიქრეთ და შექმენით სისტემა, რომლის თანახმად ყოველდღე ანგარიშს წარუდგენთ ვინმეს იმის შესახებ, თუ რა გაა-

კეთეთ განვლილი დღის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს ტრენერი, მეგობარი ან პარტნიორი;

- **წახალისეთ საკუთარი თავი.** მაგალითად, რაიმე ღონისძიების, პროექტის დასრულებისას აუცილებლად წახალისეთ საკუთარი თავი;
- **დაარწმუნეთ საკუთარი თავი.** აწარმოეთ ჩანაწერები თქვენი წარმატებების, სწავლებისა და იდეების შესახებ, იმისათვის, რომ გახსოვდეთ რეალურად რამდენად კარგი ხართ, რა გამოგდით კარგად, და მიღებული შედეგების შესახებ. დღის განმავლობაში მშვიდად ყოფნის პერიოდში დაარწმუნებით გაუმეორეთ საკუთარ თავს, თუ ვინ ხართ და ვინ გსურთ გახდეთ;
- **ვარჯიში და ჯანსაღი კვება;**
- **იცნობდეთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს.** აიყვანეთ დამხმარე ისეთი საქმეების შესრულებისთვის, რომლებიც თქვენ კარგად არ გამოგდით. მაგალითად, ასისტენტი, ვებგვერდის დიზაინერი, ბუღალტერი, მარკეტინგის სპეციალისტი და სხვ. ნუ აიძულებთ საკუთარ თავს იყოთ თქვენი საქმიანობის ყველა სფეროს ექსპერტი. იმუშავეთ ძლიერი მხარეების განვითარებაზე;
- **უსმინეთ საკუთარ თავს.** მიაქციეთ ყურადღება საკუთარ ინტუიციას, გრძნობებსა და ფიქრებს. გამოიყენეთ ისინი სახელმძღვანელო პრინციპებად, ფოკუსირება მოახდინეთ იმაზე, თუ რა გსურთ და იმოქმედეთ შესაბამისად;
- **იყავით მუდმივი სწავლების პროცესში.** იმუშავეთ საკუთარი შესაძლებლობების, ცოდნის გაუმჯობესებაზე და ყოველთვის ინფორმირებული იყავით თქვენს სპეციფიკურ დარგში. შეიძინეთ ახალი უნარები, გაიარეთ ტრენინგების კურსები.

მთლიანობაში, ტრენინგის სრული კურსის გავლის შედეგად მსმენელები შეისწავლიან საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებას. აგრეთვე, თუ როგორ შეუსაბამონ საკუთარი შესაძლებლობები კარიერულ მოთხოვნებს. შეძლებენ გაიაზრონ, თუ რა ეფექტს ახდენს მათ კარიერულ შესაძლებლობებზე მოტივაცია, თვითდაჯერებულობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა. ასევე, თუ როგორ მოახდინონ საკუთარი თავის პრეზენტაცია დამსაქმებლის წინაშე, როგორ მოიძიონ სასურველი სამსახური, დაამყარონ კავშირები, შეძლებენ შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოძიებას.

მსმენელები შეძლებენ:

- პრაქტიკული ორიენტაციის კუთხით გაიაზრონ ბიზნესისა და მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- შეარჩიონ ბიზნესიდეა, ბიზნესის სახეობა და შეადგინონ ბიზნესგეგმა;
- გაიაზრონ მცირე ბიზნესის მართვისა და მარკეტინგის პრინციპები;
- ისწავლონ ფინანსების მოძიების გზები;
- შექმნან საკუთარი სამეწარმეო ორგანიზაცია და უხელმძღვანელონ მის საქმიანობას.

მთლიანობაში, სტატიაში გადმოცემული ტრენინგ-კურსის ორგანიზაცია და მეთოდოლოგია აგებულია სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიების საფუძველზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს დასახული მიზნების მიღწევას მაღალ ეფექტიანობას.

პროფესიული ორიენტაციის და ბიზნეს-ტრენინგები ქვეყნის საგანმანათლებლო სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რის გამოც აუცილებელია მათი პრაქტიკული განხორციელება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა დონეზე, მათ შორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

ასეთი მიზნის განხორციელებას, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკითხის ორგანიზაციულ-მეთოდური ასპექტების შესწავლა, მეცნიერული გააზრება და სათანადო პუბლიკაციებში უფრო მომეტებული ასახვა.

ლიტერატურა:

1. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. სახელმძღვანელო. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი და სხვ. თბ., 2012;
2. შიხაშვილი გ. სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადება-პრეზენტაციის მეთოდური ასპექტები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, 2;
3. შიხაშვილი გ. ბიზნეს-ტრენინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, 5;
4. Abrams R. The Owners’s Manual for Small Business. The Planning Shop. Palo Alto. California. 2005.
5. Carew R. Discovering Your Perfect Career. Alpha, USA, 2005;
6. Martensson P., Bild M., Nilsson K. Teaching and Learning at Business Schools. Transforming Business Education. Gower Publishing Limited. Gower House. England. Gower Publishing Company. USA. 2008;
7. O’Rourke J. Effective Communication. DK, London, New York, Munich, Melbourne, Delhi, 2009;
8. Scarborough N. Effective small business management: an entrepreneurial approach. Prentice Hall. Pearson. London, New York, Munich, Melbourne, Delhi, New Jersey, 2011.

Giorgi Shikhashvili

Associate Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Organizational and Methodical Aspects of Business Trainings

Complex and diverse processes taking place in the social life needs from separate people and organisations to be trained in order to achieve continuous growth of knowledge and qualification and adapt with the environmental changes.

Author of this article has introduced project „Professional orientation, starting and managing own business“ which is already implemented in the real training practice throughout country and is going to take place in the future too.

The aim of the project is to rig people living in the regions with the skills that are necessary for labour market, to work out and teach adapted courses in professional orientation, starting own business and management.

Trainings in professional orientation and business is important part of country’s educational strategy. Because of this their practical implementation at all level of socio-economic development including Faculty of Economics and Business at Ivane Javakhishvili Tbilisi State University is necessary.

კაპიტალის ღირებულების ზრდის მახასიათებელი მაჩვენებლები

ბიზნესის განვითარების ძირითადი კონცეფციის – მოგების მაქსიმიზაციის სანაცვლოდ, დღეისათვის შემოდის ახალი კონცეფცია – ღირებულების მაქსიმიზაცია – Value Based Management (VBM). ეს კონცეფცია მეტწილად გამოდის წინა მიდგომის ჩარჩოებიდან და მიმართულია საწარმოს სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად ღირებულების გადიდების უმთავრეს ფაქტორებზე კონცენტრაციის გაძლიერებით. ახალმა მიდგომამ აუცილებელი გახადა ღირებულების შექმნის ისეთი მაჩვენებლების განხილვა, როგორცაა: EP (ეკონომიკური მოგება), EVA (ეკონომიკური დამატებული ღირებულება), MVA (საბაზრო დამატებული ღირებულება), SVA (სააქციო დამატებული ღირებულება) და სხვ.

საწარმოს კაპიტალის ფორმირებისთვის გამოყენებულ საშუალებებს გააჩნია ღირებულება, რაც გარკვეულწილად განისაზღვრება საწარმოს დაფინანსების წყაროების არჩევანის შესაძლებლობებით.


კაპიტალის ღირებულება – არის შემოსავლიანობის მოსალოდნელი ნორმა, რასაც ითხოვს ბაზარი ფინანსური რესურსების მოსაზიდად და რაც აუცილებელია კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ან მთლიანად საწარმოს დასაფინანსებლად.

კაპიტალის ღირებულება წარმოადგენს ალტერნატიულ ღირებულებას, საშუალებათა განთავსების სხვა ალტერნატიულ ვარიანტზე უარის თქმის პირობებში. ამასთან, ამოსავალს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რაციონალური ინვესტორი არასოდეს არ დააბანდებს თავის საშუალებებს კონკრეტულ პროექტში ან ბიზნესში, თუ არსებობს საშუალებათა ინვესტირებისთვის უფრო ხელსაყრელი ალტერნატივა რისკის გაწევის შესადარისობის თვალსაზრისით. კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი უმთავრესი ფაქტორები:

- ინვესტორის შემოსავლიანობის რეალური ნორმა;
- ინფლაცია და მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებების მყიდველობით უნარიანობის ცვლილება;
- რისკი, როგორც ეკონომიკური სარგებლის მიღების გაურკვეველობის მახასიათებელი.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება WACC (Weighted average cost capital) ახასიათებს საწარმოს ყველა ამოქმედებული ფინანსური რესურსის ღირებულებას – საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს, წყაროების მთლიან მოცულობაში მათი ხვედრითი წონის გათვალისწინებით. ამ მაჩვენებლის პრინციპული მნიშვნელობა ისაა, რომ მისი სიდიდე ახასიათებს დაბანდებულ მთლიან კაპიტალზე შემოსავლიანობის მოთხოვნილ ნორმას.

დამატებული ღირებულების შექმნელი ძირითადი ელემენტები



ეკონომიკური მოგება (EP) საერთო მიდგომიდან გამომდინარე (რომელიც ჩადებულია აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებაში) არის სხვაობა გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ საოპერაციო მოგებასა (NOPAT) და მოსათხოვნი მოგებას შორის (მოზიდული კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით). მოცემული მაჩვენებლის გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$EP = A (ROI - WACC)$$

სადაც, A – კომპანიის ან ბიზნეს-სეგმენტის აქტივებია. ფრჩხილების გახსნის შემდეგ ფორმულაში თუ გავითვალისწინებთ, რომ $ROI = NOPAT : A$ მივიღებთ:

$$EP = NOPAT - A \times WACC$$

მაშასადამე, NOPAT-ის მაჩვენებლის სიდიდე თუ ასახავს ფაქტობრივად მიღებულ მოგებას, $A \times WACC$ -ის ნამრავლის სიდიდე ახასიათებს მოგების თანხას, რომელიც კომპანიამ ან ბიზნეს-სეგმენტმა უნდა გამოიმუშაოს ფინანსური რესურსების ერთობლივი ღირებულების ამოქმედების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღებული მოგება საკმარისი უნდა იყოს არა მარტო ნასესხებ კაპიტალზე პროცენტების ასანაზღაურებლად, არამედ მან უნდა დააკმაყოფილოს დაბანდებულ კაპიტალზე მესაკუთრეთა მოლოდინი. ზოგიერთ მეთოდიკაში, ROI-ის ან ROCE-ს მაჩვენებლის არჩევიდან გამომდინარე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური შინაარსით მსგავსი მოდიფიკაცია:

$$EP = IC (ROCE - WACC); \text{ ანუ}$$

$$EP = NOPAT - IC \times WACC,$$

სადაც, IC – ინვესტირებული კაპიტალია.

განსხვავება ამ მაჩვენებლებს შორის დაკავშირებულია კომპანიის მიერ ინვესტირებული კაპიტალის გაანგარიშების მეთოდიკის შერჩევასთან. ფინანსური კოეფიციენტების ტრადიციული ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა მაჩვენებელთა ფაქტობრივ სიდიდეთა დინამიკის შეფასებას, აღნიშნული მიდგომა აგებულია რენტაბელობის ფაქტობრივ და მოსათხოვნი სიდიდეებს შორის შეპირისპირებაზე. მაგალითისათვის განვიხილოთ საანალიზო კომპანიის მონაცემები.

ეკონომიკური მოგების გაანგარიშება

მაჩვენებლები	გასული პერიოდი	საანალიზო პერიოდი	გადახრა (±)
1. ROI, %	16	18	+2
2. WACC, %	20	20	-
3. აქტივები, მლნ. ლარი	100	100	-
4. EP, მლნ. ლარი.	-4	-2	+2

ჩანს, რომ ტრადიციული ანალიზი, რომელიც ორიენტირებულია უშუალოდ რენტაბელობის მაჩვენებელთა გამოყენებაზე, ასახავს სასიკეთო სურათს, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების რენტაბელობის ზრდასთან. ამასთან, ეფექტიანობის შესაფასებლად შემოსავლიანობის მოსათხოვნი ნორმის ცნების გამოყენება (მოცემულ შემთხვევაში იგი შეადგენს 20%-ს) შესაძლებლობას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა სერიოზულ პრობლემაზე: ორივე განხილულ პერიოდში რენტაბელობის ფაქტობრივი დონე ნაკლებია მოსათხოვნი ნორმაზე, რაც ნიშნავს გარკვეული ოდენობის ღირებულების დაკარგვას.

მაგალითად, თუ კომპანიაში შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი შეადგენს 10%-ს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ბიზნესსეგმენტი, რომელშიც ROI-ის (ROCE-ს) სიდიდე აღემატება მოცემულ განაკვეთს (10%-ს), ჩაითვლება დამატებული ღირებულების შემქმნელად; მაშინ როცა ბიზნესსეგმენტი 10%-ს დაბალი შემოსავლიანობით ანგრევს ანუ „შთანთქმავს“ ღირებულებას.

ამ მაჩვენებელს გააჩნია გარკვეული უპირატესობები ბუღალტრული მოგების ტრადიციულ მაჩვენებელთან შედარებით, რამდენადაც შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს შევუპირისპიროთ ფაქტობრივი და მოსათხოვნი მოგება. მოსათხოვნი მოგების სიდიდის დასაბუთების შესაძლებლობა ამაღლებს მის მოქნილობას. ამასთან, გარდაუვალმა სუბიექტურობამ შემოსავლიანობის მოთხოვნის მაჩვენებლის შეფასებაში, შეიძლება შეამციროს მოცემული მაჩვენებლის საიმედოობის ხარისხი.

ეკონომიკური მოგების (EP) მაჩვენებლის ნაკლოვანებების რიცხვს უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მივაკუთვნოთ ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემების გამოყენების პრობლემა მოგებისა და რენტაბელობის გასაანგარიშებლად (ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა გავლენას ახდენს საადრიცხო პოლიტიკა მოგების სიდიდეზე). ამასთან, ბუღალტრული ბალანსის მონაცემები სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას ობიექტურად შევაფასოთ ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე. ამ მიზეზებიდან მთავარია:

- აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად ისტორიული ფასების გამოყენება;
- ინფლაციის დამახინჯებული გავლენა;
- დროითი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა;
- ბუღალტრულ ბალანსში ასახვას ვერ პოულობს კომპანიის გრძელვადიანი განვითარებისთვის ისეთი უმთავრესი ინვესტიციები, როგორცაა: ახალი ბრენდის შექმნა, კომპანიის იმიჯი, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა გუნდის ჩამოყალიბება, გამოცდილების დაგროვება წარმოების ორგანიზაციაში და სხვ.

ეკონომიკური დამატებული ღირებულება (EVA). ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ზემოთ განხილული მაჩვენებლის (ეკონომიკური მოგების) განვითარების შედეგს. იგი შემუშავებულ იქნა საკონსულტაციო ფირმა Stern Stewart and Co-ს მიერ. რიგი ნაკლოვანებები და პრობლემები, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, აღმოიფხვრება EVA-ს მაჩვენებლის გამოყენებით, მასში გარკვეული კორექტივების შეტანის გზით. ყველაზე ზუსტი შეფასე-

ბის მისაღებად მოგებისა და ინვესტირებული კაპიტალის სიდიდეში გათვალისწინებული იყო 150-ზე მეტი კორექტივის შეტანა. მსჯელობა იგივე ფორმულებზე, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური მოგების (EP) გასაანგარიშებლად, მხოლოდ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ EVA-ს სიდიდის გაანგარიშებაში შევა კორექტირებული NOPAT-ის სიდიდე, ასევე ROI-ისა და ROCE-ს მაჩვენებლების კორექტირებული მნიშვნელობები. მაშასადამე,

$$EVA = A \text{ კორექტირებული } \times (ROI \text{ კორექტირებული } - WACC),$$

ანუ

$$EVA = NOPAT \text{ კორექტირებული } - A \text{ კორექტირებული } \times WACC.$$

EVA-ს გაანგარიშებისას კორექტირებული საოპერაციო მოგების სიდიდე, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ბუღალტრული ხარჯებიდან იმ ელემენტების გამორიცხვას, რომლებსაც შეუძლიათ გრძელვადიანი სარგებლის მიღების უზრუნველყოფა. ეს ეხება მარკეტინგის ხარჯებს, პერსონალის მომზადების ხარჯებს, ასევე ხარჯებს, რომლებიც გაიწევა სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და სხვ. ინვესტირებული კაპიტალის კორექტირებული სიდიდე გულისხმობს მის შეფასებას საბაზრო ღირებულებით, დისკრეტული ხასიათის რიგი ხარჯების კაპიტალიზაციას, როგორცაა სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები, რაც შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ არა მარტო ინვესტიციები არსებულ აქტივებში, არამედ მათში მათი პოტენციური ზრდაც.

EVA-ს გამოსათვლელი ფორმულის მე-3 კომპონენტი – კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) უნდა ეყრდნობოდეს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის საბაზრო და არა საბალანსო შეფასებას. მაშასადამე, EP-სა და EVA-ს მაჩვენებლებს შორის ძირითადი განსხვავება მათი გამოანგარიშების ბაზაშია. თუ EP-ს მაჩვენებელი ეყრდნობა ბუღალტრული ანგარიშების მონაცემებს, EVA-ს მაჩვენებელი ეფუძნება ფორმულის შემადგენელი ყოველი ელემენტის კორექტირებულ მონაცემებს. როგორც EP-ს, ასევე EVA-ს მაჩვენებელი ახასიათებს, თუ რა უნარი გააჩნია კომპანიას ან მის ბიზნეს-სეგმენტს ღირებულების შესაქმნელად.

თუ, $EVA > 0$ ეს ნიშნავს დამატებითი ღირებულების შექმნას. როგორც უკვე გავარკვიეთ, ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ინვესტიციის ფაქტობრივი შემოსავლიანობა მაღალია მოთხოვნილ შემოსავლიანობაზე ($ROI > WACC$)

თუ $EVA = 0$, ამ ტოლობას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, როცა $ROI = WACC$. რაც ნიშნავს იმას, რომ დაბანდებიდან უკუგება შეესაბამება შემოსავლიანობის მოთხოვნილ განაკვეთს.

თუ $EVA < 0$, ეს ნიშნავს ღირებულების შთანთქმას, ინვესტიციიდან ფაქტობრივი შემოსავლიანობა ნაკლებია შემოსავლიანობის მოთხოვნილ განაკვეთზე ($ROI < WACC$).

Nino Chavleishvili

PhD Candidate

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Analysis of Value of the Company's Capital

The Weighted Average Value of the Capital (WACC) is calculated by the following formula:

$$WACC = r_e \cdot \left(\frac{E}{V}\right) + r_d \cdot \left(\frac{D}{V}\right) \cdot (1 - t) ,$$

Because the WACC is used as a criterion for assessment of effectiveness of an investment to be received and of a financial decision to be taken, which results can be revealed in future, it is obvious that in such a case, a formulated assessment of value of the capital and of the structure thereof, may give us a unrealistic picture. Therefore, to assess a rationality of the future managerial decisions, it is necessary to use the estimated values of both own and borrowed capital.

When assessing a structure of the capital, the main task of the long-term plan should be relied upon minimization of WACC indicator. With another words, a certain ration of the own and the borrowed capital should be established, which can minimize a value of the company's joint capital. When conducting a long-term strategic analysis, reduction in a value of SWACC is considered as the most essential factor for increasing the value of the company

ანა ჩეჩელაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სს „საქართველოს ბანკი“-ს შვილობილი კომპანიების
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

საწარმოთა ფინანსური პრობლემების გამომწვევი ფაქტორების კლასიფიკაციის საკითხისათვის

საწარმოს ფინანსური პრობლემები შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული. ამ პრობლემების თავიდან აცილება საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორების ერთობლივი გავლენის შესწავლას ითვალისწინებს. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია ამ ფაქტორთა მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია.

სამრეწველო საწარმოთა ფინანსური პრობლემების განხილვას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს, რომლებიც საწარმოთა საქმიანობაში არსებულ შეფერხებებს, პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში არსებულ ხარვეზებს, საბრუნავი სახსრების უკმარისობას და სხვა სახის ნაკლოვანებებს უკავშირდება.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოები ვერ ახორციელებენ ინვესტიციებს, ვერ იღებენ კრედიტებს, ვერ იხდიან გადასახადებს, ამიტომ ეს უკანასკნელი საწარმოების გაკოტრებას, საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების სრულად დაკარგვას და მათი საქმიანობის გაგრძელების მიზანშეუწონლობას იწვევს.

საწარმოს გადახდისუუნარობა შეიძლება სხვადასხვა დროს დადგეს და მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული. გაკოტრება მომენტალურად არ ხდება.

თავდაპირველად იწყება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევები, კერძოდ, პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირება, არახელსაყრელი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტში, კონკურენტებისა და კლიენტურის შედგენილობაში, პრობლემები საწარმოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში. მომდევნო ეტაპზე პრობლემები იქმნება საწარმოს ძირითადი საშუალებებით, ნედლეულით, მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. ადგილი აქვს ნედლეულისა და მასალების არაეფექტურად გამოყენებას, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ამოწურულია საწარმოს ფინანსური პოტენციალი, მკვეთრად ეცემა საწარმოს ფინანსური აქტივობა და ბოლოს იწყება საწარმოს კრიზისი, რომელიც ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის კრიტიკული მნიშვნელობით. კერძოდ, ბაზარზე საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობით, ძირითადი საშუალებების არაეფექტიანი გამოყენებით, მოძველებული ტექნოლოგიებით, ზარალიანობით და გადახდისუუნარობით, ე.ი. საწარმოს უუნარობით შეასრულოს თავისი ფინანსური

ვალდებულებანი ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე¹.

საწარმოს გაკოტრებისაკენ სვლა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდეს და ამ პროცესის ეტაპებიც თავისი ხანგრძლივობით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

¹ Бирман Г., Шмидт С. Экономический анализ инвестиционных проектов. Пер. с англ. М. 2003.

ნებისმიერი საწარმოს ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან ზოგი საწარმოს საქმიანობის მასტიმულირებელ, ზოგი კი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამომწვევ ფაქტორებად გვევლინება. ამ ფაქტორების დაყოფა პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება: **გარე და შიდა** ფაქტორებად.

საწარმოს ფინანსური სიმძნელების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების ამსახველი მაჩვენებლებით LEB და ამ მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციებით, ამგვარად ამ მაჩვენებლებით ხშირად ვერ ვადგენთ ფინანსური სიმძნელების გამომწვევ მიზეზებს. ამ მიზეზების დასადგენად საჭიროა დეტალური ანალიზი.

საწარმოს წარუმატებელი საქმიანობის, მისი ფინანსური პრობლემების პირველსაწყისი, გარეგნული გამოვლინება წარმოადგენს **სიმპტომებს**, რომელიც ყოველთვის არ ახასიათებს წარუმატებლობის მიზეზებს, მაგრამ ეს მიზეზები ამ სიმპტომების მიხედვით დგინდება. საწარმოს წარუმატებლობა მისი გამომწვევი მიზეზებისა და ფაქტორების მიხედვით უნდა შეფასდეს.

წარუმატებლობის **მიზეზი** არის მოვლენა, რომელიც გარკვეული ფაქტორების გავლენის შედეგია. წარუმატებლობის **ფაქტორი** კი არის მოვლენა, დაფიქსირებული მდგომარეობა ან ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს საწარმოს მდგრადობის და დინამიური წონასწორობის დაკარგვას ეკონომიკურ გარემოში.

საწარმოს ფინანსური პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია იმ ფაქტორებისა და მიზეზების გამოვლენა, რომლებმაც შექმნეს ეს პრობლემები. სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ ფაქტორების ანალიზის მეთოდოლოგიის შესახებ და წარმოდგენილია აღნიშნული ფაქტორების განსხვავებული კლასიფიკაცია.

ზოგიერთი ავტორის¹ აზრით საწარმოს ფინანსური პრობლემების გამომწვევი **გარე** ფაქტორებია: **მაკროსფეროს** და **მიკროსფეროს** ფაქტორები. აქედან პირველს მიეკუთვნება: ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, ტექნიკური და გეოგრაფიული პირობები, ხოლო მეორეს: სამეურნეო სუბიექტები, ინსტიტუტები და ეროვნული ბაზრის ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმები: ფულის ბაზარი, მატერიალური რესურსების ბაზარი, შრომის ბაზარი და საქონლის ბაზარი. **შიდა** ფაქტორებს კი მიეკუთვნება საწარმოს ტექნიკური ფუნქციის, ფინანსური მენეჯმენტის, კადრების მართვის, მატერიალ-ტექნიკური უზრუნველყოფის და მარკეტინგის ფუნქციების არადაამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია.

საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების კვლევისადმი სისტემური მიდგომა შიდა და გარე ფაქტორების ერთობლივი გავლენის შესწავლას ითვალისწინებს.

ფაქტორთა ასეთი დაყოფა არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. კერძოდ, იგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით², **გარე, ანუ საწარმოსგან დამოუკიდებელ ფაქტორებს მიეკუთვნება:**

- ეკონომიკური – ქვეყნის კრიზისული მდგომარეობა, წარმოების ტემპების ზოგადი ვარდნა, ინფლაცია, ფინანსური სისტემის არასტაბილურობა, რესურსებზე ფასების ზრდა, ბაზრის კონიუნქტურის ცვლილება, პარტნიორთა გადახ-

¹ Хигинс Роберт С. Финансовый анализ. инструменты для принятия бизнес-решения. 8-е издание. Москва, Санкт-Петербург, Киев, 2008.

² იქვე.

დისუნარობა და გაკოტრება, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, დაბეგვრის მაღალი დონე;

- პოლიტიკური – საზოგადოების პოლიტიკური არასტაბილურობა, სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, გასაღების ბაზრების დაკარგვა, ექსპორტ-იმპორტის პირობების შეცვლა, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, სამეურნეო სამართლის არასრულყოფილი კანონმდებლობა.
- საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების შედეგად სწრაფვა ბაზარზე წილის გაზრდისაკენ, ახალი პროდუქციის ათვისება;
- დემოგრაფიული – მოსახლეობის შემადგენლობა და რიცხოვნება, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა ამა თუ იმ სახის საქონელსა და მომსახურებაზე.

შიდა ანუ საწარმოზე დამოკიდებული ფაქტორებია:

- საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი;
- წარმოების ორგანიზაციის, ტექნიკის და ტექნოლოგიების დაბალი დონე;
- რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემცირება და აქედან გამომდინარე, თვითღირებულების ზრდა, ზარალის წარმოშობა და ა.შ;
- მზა პროდუქციის, დაუმთავრებელი წარმოების, საწარმოო მარაგების დიდი და ძნელად სარეალიზაციო ნაშთების არსებობა, რაც დასაქონლიანებას და ბრუნვადობის შენელებას იწვევს;
- სესხების მოზიდვა არახელსაყრელი პირობებით, რაც ხარჯების ზრდას იწვევს;
- საწარმოს საქმიანობის სწრაფი და არაკონტროლირებადი გაფართოება, რის გამოც იზრდება მარაგები, დანახარჯები, ხოლო დებიტორული დავალიანებები რეალიზაციის მოცულობაზე უფრო სწრაფად იზრდება;
- მართვის ეფექტიანი სისტემის არარსებობა;
- საწარმოს განვითარების სუსტი ფინანსური სტრატეგიის არსებობა.

არც ფაქტორების ასეთი კლასიფიკაციას ვემხრობით, კერძოდ, ფაქტორების ასეთი სახით შიდა ჯგუფურ დაყოფას.

ჩვენი აზრით, **გარე**, ანუ საწარმოსგან დამოუკიდებელი ფაქტორები მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ რამდენადმე განსხვავებული სახით. კერძოდ ეროვნული ბაზრის ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების მექანიზმები: ფულის ბაზარი, მატერიალური რესურსების ბაზარი, შრომის ბაზარი და საქონლის ბაზარი ეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კლასიფიკაციას მიეცეს შემდეგი სახე:

- **ეკონომიკური – მაკროსფეროს ფაქტორები**, როგორცაა წარმოების განვითარების დაბალი დონე ქვეყანაში, ინფლაცია, ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, არასტაბილური ფინანსური სისტემა, საგადასახადო განაკვეთების და უმუშევრობის მაღალი დონე და **მიკროსფეროს ფაქტორები**, კერძოდ, ბაზარზე დიდი ოდენობით არამოთხოვნი საქონლის არსებობა, ბაზრის კონიუნქტურის ცვლილება, პარტნიორთა გადახდისუნარობა და გაკოტრება, მატერიალურ რესურსებზე ფასების ზრდის მაღალი ტემპი.
- **პოლიტიკური** – პოლიტიკური არასტაბილურობა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, გასაღების ბაზრების დაკარგვა, ექსპორტ-იმპორტის პირობების შეცვლა, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, სამეურნეო სამართლის არასრულყოფილი კანონმდებლობა;

- **სოციალური** – მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, მატერიალური კეთილდღეობა, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა მოსახლეობის რიცხოვნება და შემადგენლობა;
- **ტექნიკური** – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაბალი დონე, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, არადაამკმაყოფილებელი საპატენტო დაცვის შედეგად უახლესი ტექნოლოგიების შემენის სტიმულირებაში არსებული ხარვეზები;
- **გეოგრაფიული** – ბუნებრივი პირობების, კლიმატის მკვეთრი ცვლილებების, სტიქიური მოვლენების გავლენა წარმოებული პროდუქციის მარაგსა და საწარმოო პროცესების მიმდინარეობაზე.

რაც შეეხება შიდა, ანუ საწარმოზე დამოკიდებულ ფაქტორებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი კლასიფიკაცია შემდეგი სახით:

საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა – საწარმოო პოტენციალის და ტექნიკური მდგომარეობის დაბალი დონე, განახლების შესაძლებლობების არარსებობა, საწარმოს ძირითადი საშუალებების ფიზიკური და მორალური ცვეთის ზრდა, საწარმოს ტექნოლოგიური ჩამორჩენა, რაც ერთი მხრივ ძველი ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს, მეორე მხრივ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომლის მოქნილობა მოცემულ საწარმოში არ შეესაბამება მოთხოვნის ცვლილებას საქონლის შესაბამისი ჯგუფების მიხედვით;

მენეჯმენტის დონე – საწარმოს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფასთან, მათ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის აგების ნაკლოვანებანი და სხვა სუბიექტური ხასიათის ნაკლოვანებები), რაც არაოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი ხდება;

- **ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა და ფინანსური მენეჯმენტისა და ფინანსური ანალიზის ნაკლოვანებები** – ხარჯების დაუსაბუთებელი ზრდა, საკუთარი საბრუნავი სახსრების მკვეთრი დეფიციტი, ფინანსური რესურსების უკმარისობა, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მკვეთრი ზრდა, საწარმოში ძნელადსარეალიზაციო სასაქონლო მარაგების ზრდა, საკუთარ კაპიტალსა და მოზიდულ კაპიტალს შორის თანაფარდობის მკვეთრი დისპროპორცია. მიმდინარე საქმიანობის ზედმეტი თვითდაფინანსება უარყოფითად მოქმედებს წარმოების მოქნილობასა და საწარმოს განვითარების დინამიკაზე, ამავე დროს მოზიდულ სახსრებზე ზედმეტად დაყრდნობა იწვევს საწარმოს მიმდინარე ვალდებულებების ზრდას და მოგების იმ მიზნებისათვის გამოყენებას, რომელიც უშუალოდ წარმოების განვითარებას არ უკავშირდება. საწარმოს საქმიანობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ნასესხები წყაროების არარაციონალური სტრუქტურა, კერძოდ, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების თანაფარდობა, მოკლევადიანი სესხების სიჭარბე ხელს უწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მიმდინარე არამდგრადობის ზრდას, იწვევს შეფერხებებს წარმოებასა და კაპიტალის ბრუნვაში, გრძელვადიანი სესხების სიჭარბე, განსაკუთრებით საერთო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოზიდული სახსრების გამოყენება საწარმოს ძვირი უჯდება. ამავე დროს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საბრუნავი სახსრების უკმარისობა, რომელიც წარმოების მასშტაბების შემცირებას, წარმოების რიტმულობის დარღვევას, მოკლევადიანი კრედიტების ჭარბ გამოყენებას, მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯების ზრდას და შესაბამისად მოგების შემცირებას იწვევს. ყოველივე ეს შეიძლება აცილებულ იქნეს ფინანსური ანალიზის კვალიფიციური

და დროული ჩატარების შემთხვევაში, რაც ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს;

მარკეტინგის არაეფექტიანობა – მარკეტინგის კვალიფიციური სამსახურის მიერ მომხმარებელთა ქცევის შესწავლა, მიზნობრივი ბაზრის შერჩევა, კონკურენტთა ქცევის შესწავლა, მოთხოვნის პროგნოზირება. ასეთი ინფორმაციის არარსებობისას იზრდება არასწორი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა, რაც ფულად სახსრების დეფიციტის ზრდას იწვევს. პროდუქციის გასაღების არასწორი მართვა და წარმოებულ პროდუქციაზე არასწორი ფასების პოლიტიკა კი რეალიზაციაში შეფერხებებს იწვევს;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარე და შიდა ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედების შედეგს საბოლოოდ საწარმოს სრული გადახდისუუნარობა წარმოადგენს, რაც საწარმოს გაკოტრებით მთავრდება. საწარმოს მიერ ამ ფაქტორების გავლენის შედეგების ლიკვიდაცია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის და ზოგჯერ მისი წარმატებული განვითარების საწინდარია.

ლიტერატურა:

1. ჭილაძე ი., ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2011;
2. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., ეკონომიკური ანალიზი; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2010 წელი;
3. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
4. Бирман Г., Шмидт С. Экономический анализ инвестиционных проектов. Пер. с англ. М. 2003;
5. Хигинс Роберт С. Финансовый анализ. инструменты для принятия бизнес-решения. 8-е издание. Москва, Санкт-Петербург, Киев, 2008;
6. Джей К. Шим и Джоел Г. Сигел., Финансовый менеджмент. Пер. с англ. Филштъ, М. 1996;
7. Жарковская Е.П., Бродский Б.Е., Антикризисное управление. „Омега- Л“, 16-24 с., М. 2004;
8. Юн Г.Б., Таль Г.К., Григорьев В.В., Внешнее управление на несостоятельном предприятии. Учеб. практ. пособие. „ Дело“. 374 с, М. 2003;
9. Eugene F. Brigham. Phillip R. Daves. Intermediate Financial Management. Cengage Learning. 2009.

Ana Chechelashvili

PhD in Economics

Bank of Georgia

Head of Audit Department

The Issues of classification of factors resulting a company's financial problems

Financial problems of the company can be caused by various factors. These problems can be avoided by investigating the external and internal factors, which are the reason of company's failure. This can be reached by classifying these factors reasonably

ბიუჯეტი, გადასახდები, პრობლემები

საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში განსახორციელებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუწვდომელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილიც კი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპი, უნდა გახდეს კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა, ვიანიდან ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას კერძო სექტორი წარმოადგენს.

საქართველოს ძირითადი მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე ქვეყნის განვითარების პერსპექტივები ასე გამოიყურება.

2013 წელს მშპ 26.824.9 მლნ. ლარია, რაც 2.5%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს.

2014 წელს, წინა წელთან შედარებით მშპ-ის ზრდა განისაზღვრა 3.2%-ით და მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურებში უდიდესი წილი უჭირავს, კერძოდ: ვაჭრობას 17.3%, მრეწველობას – 10.7%, სახელმწიფო მმართველობას – 10.1%, სოფლის მეურნეობას – 9.3%, მშენებლობას – 6.7%, ჯანდაცვას და სოციალურ დახმარებას – 5.8%.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გასულ წელს ამ მიმართებით ზრდა შეინიშნებოდა: სოფლის მეურნეობის – 9.8%, დამამუშავებელი მრეწველობის 8.4%, უძრავი ქონების ოპერაციების 7.5%, საფინანსო საქმიანობის – 7.4%, სასტუმროებისა და რესტორნების – 7.2%, ვაჭრობის – 5.1%, ტრანსპორტის – 4.9%, განათლების – 4.6%, სექტორებში.

ოთხი პროცენტით გაიზარდა აირისა და წყლის განაწილების სექტორშიც, თუმცა გასულ წელს ძალზე მძიმე მდგომარეობა გამოვლინდა მშენებლობის სექტორში, სადაც კლებამ ყველაზე მეტი 10.6% შეადგინა.

2014 წლის თებერვალში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 137,6 ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4%-ით მეტია, თუმცა ჯერაც მაინც მცირეა.

თუ დავვერდნობით ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს, 2014 წლის დასაწყისში რეალური მშპ ზრდამ 7,8% შეადგინა, რაც 4,6%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს.

რაც შეეხება ბიუჯეტს, საბიუჯეტო დეფიციტი 2009-2015 წლებში ასეთ სურათს იძლევა: 2009 წ. საბიუჯეტო დეფიციტმა – (9.2%), 2012 წ. – (2.8% 700 მლნ) შეადგინა, თუმცა საბიუჯეტო დეფიციტის მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო შენარჩუნებულია დადებითი ნიშნულით (მშპ-ს 2.4%), რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მიმდინარე შემოსავლები აღემატება მიმდინარე ხარჯებს.

რაც შეეხება საშინაო ვალს, იგი იზრდება 6,6%-ით, ხოლო საგარეო ვალის ზრდა 11,7%-ითაა გათვალისწინებული 2014 წლის სახ. ბიუჯეტში.

საგულისხმოა, რომ საშინაო ვალის ზრდით გათვალისწინებული 600.0 მლნ ლარიდან 200.0 მლნ ლარი გამოყენებული იქნება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით

უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის, ხოლო 400.0 მლნ ლარი ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად.

2014 წ. აღებული იქნება 836.0 მლნ ლარი, ხოლო დაიფარება 869.0 მლნ. ლარი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ გათვალისწინებული არ არის საინვესტიციო კრედიტები, რომლებიც კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად არის გამოყოფილი.

საგულისხმოა ისიც, რომ 2014 წ. დაგეგმილი ვალის აღება არ აჭარბებს სახ. ვალების მომსახურების თანხას.

2008 წ საქართველოს გააჩნდა 4.5-ჯერ, ხოლო 2009-2010 წლებში 2.5-ჯერ მეტი ვალი.

2014 წ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მისაღები 300 მლნ. ლარის ძირითადი ნაწილის დაფარვა გათვალისწინებულია 2014-2018 წლებში.

როგორც ცალკეული მაკრო-ეკონომიკური მონაცემებიდან ჩანს, შემოსავლების უთანაბრობით საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებსაც კი უსწრებს.

მაგალითად, „ჯინის კოეფიციენტი“ (ქვეყანაში შემოსავლების უთანაბრობის საზომი), რომელიც 0-დან ერთამდე მერყეობს და რაც უფრო ახლოს არის 0-თან მით უფრო თანაბარია შემოსავლების განაწილება, ხოლო რაც უფრო ახლოს არის მაჩვენებელი 1-თან, შემოსავლების განაწილებაში მით მეტად უთანასწოროა.

საქართველოში „ჯინის კოეფიციენტი“ 0.42-ია, ეს მიუთითებს, რომ საშუალო ფენა ჯერ კიდევ შორს არის ჩამოყალიბებისაგან, სადაც საშუალო ფენა მეტად მცირეა, საზოგადოება პრაქტიკულად მხოლოდ მდიდრებად და ღარიბებად იყოფა, სამწუხაროდ საქართველო ჯერაც გამოირჩევა დოვლათის უთანასწორო განაწილებაში, რის მიზეზთა შორის ძირითადად მაღალი უმუშევრობა გვესახება. შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ მოქმედებენ ბიზნესები, საიდანაც მიღებული შემოსავლები ძირითადად საზოგადოების მდიდარ ფენებში ნაწილდება.

საზოგადოდ, რაც უფრო დაბალგანვითარებულია ქვეყანა, მით მეტია იქ „ჯინის კოეფიციენტი“ და შემოსავლებს შორის უთანაბრობა.

მაგალითად, ამ მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ნამიბია, სადაც კოეფიციენტი 76.3%-ს, ხოლო ნორვეგიაში 25.8%-ს შეადგენს.

საშუალო ფენაზე დგას განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის 70-80%, ასეთი ფენის არ არსებობა ან მეტისმეტი სიმცირე, შესაძლოა დიდად სარისკო იყოს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უპირველესად სწორედ საშუალო ფენის შექმნისკენ უნდა იყოს მიმართული, ამიტომაც განსაკუთრებული ხელისშეწყობა ესაჭიროება მცირე და საშუალო ბიზნესს.

საქართველოს მშპ-ის ფორმირებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს საგადასახადო კოდექსის დადებითი და უარყოფითი მხარეების ზოგიერთ ასპექტებზეც, კერძოდ დაუყოვნებლივ უნდა იქნას გატარებული ღონისძიებები საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებასა და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით, საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობისათვის დაუყოვნებლივ დასახვეწია საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები, რაც თავის მხრივ, ბიზნესს შეუმცირებს რეგულაციებთან შესაბამისობის ტვირთს, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობის შენარჩუნება და გამჭვირვალობა. ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქ. მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიება კერძოდ, საგადასახადო კოდექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება გათვალისწინებული, რომელიც საქ. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობამ უკვე დაამტკიცა და უახლეს მომავალში ცვლილებათა პაკეტი განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს წარედგინება.

აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტში ყურადღებას იპყრობს ის, რომ დღგ-სგან თავისუფლდება შიდა გადამამუშავებაში მოქცეული საქონლის გადამამუშავებისათვის გაწეული მოხმარება, თუ მეწარმეს ადგილობრივი პროდუქციისათვის საჭირო ნედლეული უცხოეთიდან შემოაქვს, ხოლო საბოლოოდ წარმოებული პროდუქტი ექსპორტით გააქვს, კანონპროექტით დღგ-სგან განთავისუფლდება პროდუქციის წარმოების პროცესი.

ამის გარდა ჩამოიწერება 2005 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში სამეწარმეო საქმიანობა არ გაუგრძელებია.

ასევე ჩამოიწერება 2009 წლის 1-ელ იანვრამდე წარმოშობილ და გადამხდელის მიერ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1-ელ იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა – ოღონდ თვითონ ამ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ძირის დაფარვის პირობით, თუ პირს არ გაუგრძელებია სამეწარმეო საქმიანობა.

ჩამოიწერება საკონტროლო სალარო-აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის ფიზიკური პირისთვის 2013 წლის 1-ელ იანვრამდე დაკისრებული, დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმა.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო დავალიანების გადახდა, გადავადდება მათთვის, ვისთვისაც ეს თანხა 5 ათ. ლარს არ აღემატება.

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, მარტივდება ტურისტული საწარმოს დაბეგრვა.

მაგალითად, შეღავათები დაუწესდება მათ, ვინც საქართველოს კურორტებზე სასტუმროში ნომერს ფლობს და მისი გაქირავების შესაძლებლობა გამარტივებული წესით ექნება.

ამ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, ჩვენს საგადასახადო კოდექსს სრულყოფილებამდე კიდევ ბევრი ძირეული ცვლილება სჭირდება, მეტსაც გატყვით, დაგვიანებულიც კი არის უკვე ეს ცვლილებები.

ამ მიმართულებით თამამი ნაბიჯებიც რომ გადაიდგას, ორი წელიწადი მაინცაა საჭირო, კაბალური საგადასახადო კოდექსის (იმ გაუგებარი ინსტრუქციებით, რომელიც თან ახლავს), ძირეულად შესაცვლელად.

Mikheil Chikviladze

TSU Faculty of Economics and Business

Associated Professor

Budget, Taxation, Problems

The economic reforms of the last year in Georgia failed to bring any result, the goals to be reached in the strategic and program documents regarding significant decrease of poverty and unemployment, are still impracticable. Despite that the high rate of economic growth severally occurred in the last years, its goodness is still inaccessible for the great part of population.

The key principle of economic development of Georgia should be ensuring of freedom of private sector, as the great motive power of economic development is exactly private sector.

In February of 2014, the average living wage was determined as 137.6 GEL which is 4% more in comparison with the previous year, but is still not enough.

According to the data of Ministry of Finance, in the beginning of 2014, real GDP growth was 7.8%, which is 4.6% more in comparison with the same period of the previous year.

As for budget, budget deficit in 2009-2015 is the following: 2009 – budget deficit – (9.2%), in 2012 – 2.8%, 700 mln. GEL). But, despite the budget deficit, it is important that the united budget operation balance is reserved with positive sign (GDP 2.4%), which means that the current incomes of the country exceed the current expenses.

As some macro-economic data shows, Georgia outruns the former soviet countries with its inequality of incomes.

For example, „Gini coefficient” (criterion for incomes’ inequality in a country) which varies from 0-1 and if it is closer to 0, incomes’ distribution is more equal, and if it is closer to 1, incomes’ distribution is more unequal.

Generally, in low developed country „Gini coefficient” and inequality of incomes are higher.

For example, according to this data, the first place in the world is hold by Namibia, where coefficient is 76.3%, and in Norway it is 25.8%.

Hence from the analyze of forming of GDP in Georgia and statistic data of incomes and expenses, some positive and negative aspects of tax Code should be emphasized, in particular, the measure for improvement of tax system and further simplification of administrative procedures should be taken.

Despite these very important amendments, our tax code needs in a lot of principal amendments, even more, these amendments are already belated.

Even if some radical steps are made with this regard, at least 2 years shall be needed for principal change of crushing tax code (with enclosed obscure instructions).

მენეჯერული კონტროლის თანამედროვე ასპექტები

მენეჯერული კონტროლი ორგანიზაციის მართვის განუყოფელი ნაწილია. იგი მიეკუთვნება მართვის იმ ფუნქციებს, რომელიც ხშირად მომუშავეებში უარყოფით ემოციებს აღძრავს, რადგან მათ მუშაობისა და დადგენილი ნორმების შესრულებას უბიძგებს.

მენეჯერული კონტროლი მიმართულია სტანდარტების დადგენისკენ, რომლითაც ორგანიზაცია ფაქტიურად მიღებული შედეგების გაზომვასა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების შეტანას უზრუნველყოფს. მისი ძირითადი ფუნქციებია:

- ❖ კომპანიის განვითარებაზე განუსაზღვრელობის გავლენის შემცირება;
- ❖ მოსალოდნელი კრიზისული სიტუაციების შესახებ წინასწარი გაფრთხილება;
- ❖ წარმატების უზრუნველყოფა.

როგორც არ უნდა იყოს ორგანიზაცია, როგორი ორგანიზაციული კულტურაც არ უნდა გააჩნდეს, კონტროლის გარეშე იწყება ქაოსი. ტექნოლოგიების, კანონების, კონკურენციის პირობებისა და სხვა გარე ფაქტორების ცვლილებებზე რეაგირება ორგანიზაციისგან მუდმივ კონტროლს მოითხოვს, რომელიც თანამედროვე ეტაპზე კონტროლინგის სახელწოდებით გვხვდება. იგი წარმოადგენს მონიტორინგის, შედარებისა და კორექტირების პროცესების ერთობლიობას. ყველა მენეჯერებმა უწყვეტად უნდა აკონტროლოს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები, მაშინაც კი, როცა ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება სიტუაციის დროული შეფასება და იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც ყველაზე სასარგებლო იქნება მოცემულ მომენტში. კონტროლინგი მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის, რადგან იგი არის საშუალება:

- იმის გასაგებად, რამდენად სრულდება ორგანიზაციული მიზნები და თუ არ სრულდება, რატომ;
- რათა თანამშრომლებმა იმუშაონ უფლებამოსილების ფარგლებში. მენეჯერები შიშობენ, რომ თანამშრომლებისთვის უფლებამოსილების მინიჭებისას შესაძლოა პრობლემები წარმოიქმნას, მაგრამ ეფექტური კონტროლის შემთხვევაში მათ საშუალება ეძლევათ მინიმუმამდე დაიყვანონ უფლებამოსილებებთან დაკავშირებული პრობლემები;
- რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციისა და მის ხელთ არსებული რესურსების, აქტივების დაცვას.

კონტროლინგის მიზანია არა შეცდომათა და გადახრათა დაფიქსირება, არამედ მათი თავიდან აცილება. კონტროლის ეფექტიანი სისტემის არსებობა აიძულებს მუშაკებს, შეგნებულად იმოქმედონ და თავიდან აირიდონ შეცდომები. თავის მხრივ, ასეთი მიდგომა, რეალური შედეგების დადგენილ სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით, კონტროლის შესაძლებლობებს ზრდის.

როგორც ცნობილია, კონტროლის სისტემაში მთავარი ელემენტი ადამიანებია. ამიტომ კონტროლის პროცესში ადამიანთა ქცევის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. კომპანიის საქმიანობის სფეროს, ბიზნესის მამულებების და მართვის სტილიდან გა-

მომდინარე, მენეჯერები კონტროლის პროცესის განხორციელების ბიუროკრატიულ და დეცენტრალიზებულ მიდგომებს იყენებენ.

კონტროლის ბიუროკრატიული სისტემის დროს მუშაკთა ქცევა ნორმებით, წესებით, პოლიტიკით მკაცრად განსაზღვრულია. კონტროლი ხელმძღვანელობის მიერ ცენტრალიზებულად, განკარგულებების, ინსტრუქციების შესაბამისად ხორციელდება. მენეჯერები განსაზღვრავენ მინიმალურ ნორმატივებს, რომელთა შესრულება ეფექტიანი მუშაობის გარანტიაა. ნორმატივების შესრულებისთვის მუშაკები იღებენ დამატებით შეღავათებს: ხელფასს, პრემიას, ფულად ჯილდოებს, თანამდებობრივ იერარქიაში დაწინაურებას. ამ სისტემის პირობებში მუშაკები კონტროლის პროცესში არ მონაწილეობენ, ან მათი მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ ამა თუ იმ საკითხზე ხელმძღვანელობისადმი საჩივრების წარდგენაში, რაც მენეჯერებს კონტროლის გაძლიერების ან ფორმების შეცვლისაკენ უბიძგებს. კონტროლის ბიუროკრატიული სისტემის ორგანიზაციული კულტურა ძალიან მკაცრია, ამიტომ არ მიიჩნევენ მენეჯერები მას კონტროლის პრაქტიკულ ინსტრუმენტად. ბიუროკრატიული სისტემის დროს კონტროლი ადამიანების ქცევაზე ძლიერ გავლენას ახდენს. ბევრ ადამიანს მოსწონს ისეთ სისტემაში მუშაობა, სადაც მათ ნათლად იციან მათგან რას მოითხოვენ და რას მიიღებენ დასახული ამოცანის და დავალებების შესრულებით. მაგრამ ამ სისტემას აქვს ერთი უარყოფითი მხარეც. ადამიანებს არ მოსწონთ, რომ მათ ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ ასეთი სისტემისადმი წინააღმდეგობის გრძნობა უჩნდებათ. მომუშავეები ცდილობენ დაემალონ მუდმივ მეთვალყურეებს, რათა ფსიქოლოგიურად განიტვირთონ. ეს განსაკუთრებით მწვავედება მომუშავეებზე ელექტრონული სისტემებით მონიტორინგის პირობებში.

თანამედროვე ეტაპზე კონტროლის განხორციელების ფილოსოფია შეიცვალა და ორგანიზაციების უმეტესობა უპირატესობას დეცენტრალიზებულ მიდგომას ანიჭებს, რომელსაც ბიუროკრატიულ მიდგომასთან შედარებით, სრულიად განსხვავებული პირობები და ფასეულობები აქვს. ნორმების ნაცვლად მენეჯერები აქცენტს აკეთებენ ორგანიზაციის მიზანსა და საერთო ფასეულობებზე. დიდი ყურადღება ექცევა მუშაკთა შერჩევას და სპეციალიზაციას. თავის საქმიანობაში მუშაკები ფასეულობებით ხელმძღვანელობენ, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად. არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია და არ გააჩნია საშუალება მუდმივად აკონტროლოს მუშაკები. ამიტომ ეს სისტემა ემყარება უმთავრესად თვითდისციპლინას და თვითკონტროლს. ეს ორი ასპექტი მომუშავეებს აიძულებს, იმუშაონ ისე, როგორც საჭიროა. უფლებამოსილებათა დელეგირება, ეფექტიანი სპეციალიზაცია, სწავლება შინაგანი სტანდარტების განვითარებას უზრუნველყოფს და თვითკონტროლის საფუძველია.

კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემის პირობებში უფლებამოსილება განაწილებულია მთელ ორგანიზაციაში, რომლის წყაროებია არა მარტო თანამდებობრივი ინსტრუქციები, არამედ ცოდნა და გამოცდილება. ორგანიზაციული სტრუქტურა უმთავრესად აგებულია შრომის ჰორიზონტალურ დანაწილებაზე. პრობლემებზე და სიახლეებზე უმთავრესად მომუშავეთა ჯგუფები მუშაობენ. კონტროლი ატარებს მიმდინარე ხასიათს, თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებულია არა შესასრულებელი ფუნქციები, არამედ შედეგები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული. მენეჯერები მომუშავეებს სთავაზობენ არა მარტო მატერიალურ სარგებელს, არამედ შესაძლებლობასაც, ისწავლონ და აიმაღლონ კვალიფიკაცია. მომუშავეთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს მათ ერთობლივ მუშაობას და პრობლემების გადაწყვეტას. დაჯილდოება ხორციელდება არა მარტო ცალკეული მუშაკების, არამედ მუშაკთა ჯგუფების მუშაობის შედეგების და ორგანიზაციის მიზნის მიღწევის მიხედვით. ყოველი თანამშრომელი მენეჯმენტის

ისეთ საქმიანობებში მონაწილეობს, როგორცაა: მიზნის დასახვა, შრომითი ნორმატივების განსაზღვრა, ხარისხის მართვა, კონტროლის სისტემის შემუშავება. კონტროლის დეცენტრალიზებული სისტემების დროს საქმიანობის კულტურა ორგანიზაციაში ადაპტური ხასიათისაა. მენეჯერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მას ინდივიდუალური, ჯგუფური და ორგანიზაციული მიზნების გაერთიანების მიმართულებით.

წარმატებულ ორგანიზაციებში, ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა კონტროლის დეცენტრალიზებულ მიდგომის ერთ-ერთი სახის ღია – წიგნის მენეჯმენტის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინფორმაციის და მათი ინდივიდუალური შედეგების ყველა თანამშრომლისათვის გაზიარებას. ღია-წიგნის მენეჯმენტი მნიშვნელოვანია, რადგან მომუშავეებს აძლევს საშუალებას თავიანთი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საბოლოო შედეგებში სამუშაოს წილს გაეცნონ და ასევე გაიგონ, რა გავლენა მოახდინა თითოეულმა მომუშავემ ორგანიზაციის ფინანსურ მომავალზე. ღია-წიგნის მენეჯმენტის ძირითადი მიზანია, რომ თითოეულმა თანამშრომელმა იფიქროს და იმოქმედოს ბიზნესის მესაკუთრის მსგავსად. ეს არის ინოვაციური გზა თანამშრომელთა მართვისა და კონტროლის სისტემაში ჩასართავად.

კომპანიების მიერ საკუთარი ბიზნესსაქმიანობის სრულყოფილი შეფასებისთვის მნიშვნელოვანი გახდა შიდა და გარე კონტროლის ფორმების გამოყენება. მაგალითად, ამერიკული კომპანიები ძირითადად ორიენტირებულნი არიან შიდა კონტროლის განხორციელებაზე, აზიური კომპანიები კი – გარე კონტროლის მექანიზმებს იყენებენ.

შიდა კონტროლის პროცესის განხორციელებაში კომპანიის მენეჯმენტი და თანამშრომლები უშუალოდ ჩართულია. მისი მიზანია: საიმედო და ზუსტი ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ეფექტიანი ოპერაციების წარმოება, და კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის მიღწევა კანონმდებლობასთან, საკუთარ შიდა წესებსა და მითითებებთან. შიდა აუდიტი ეხმარება მენეჯმენტსა და მმართველ სტრუქტურებს (დირექტორთა საბჭოს, აუდიტის კომიტეტს და სხვა ორგანოებს) სისტემატიზირებული და თანამიმდევრული მიდგომის გამოყენების შედეგად მათი პასუხისმგებლობების შესრულებაში. შიდა აუდიტი თავისი ფუნქციის გამო არ არის სრულიად დამოუკიდებელი მენეჯმენტისაგან, რადგან შიდა კონტროლის ფუნქცია მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტია. შიდა აუდიტი წარმოადგენს ფინანსური მაჩვენებლების ობიექტური კონტროლის საუკეთესო მექანიზმს. თუმცა მოცემული კუთხით და ობიექტურობის მაღალი ხარისხის გამო კომპანიებში აქტიურად გამოიყენება გარე კონტროლის ფორმა.

კომპანიები ეყრდნობიან გარე აუდიტორის დასკვნას, რომელიც გამოხატავს მიუკერძოებელ მოსაზრებას, თუ რამდენად სანდოა კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები. გარე აუდიტორის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი აუდიტი კომპანიის კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი აქციონერებს, მენეჯერებს, თანამშრომლებსა და ბაზრის მონაწილეებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მიუკერძოებელ დასკვნას აძლევს, და სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგებების სიზუსტეს ადასტურებს. საჯაროდ აღიარებული ფირმის მიერ დამოუკიდებელი აუდიტის განხორციელება, როგორც წესი, ზრდის კომპანიისადმი ნდობას და შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივებს. დამოუკიდებელ აუდიტს გააჩნია გარკვეული თავისებურებები, ესენია:

- მენეჯმენტი ინარჩუნებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის პასუხისმგებლობას;
- გარე აუდიტორი პასუხისმგებელია მენეჯმენტის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ მოსაზრების ფორმირებასა და გამოხატვაზე;
- ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი არ ათავისუფლებს მენეჯმენტს მისი რომელიმე პასუხისმგებლობისგან.

- თუ კომპანია გეგმავს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის მოპოვებას, გარე აუდიტორმა ანგარიში უნდა მოამზადოს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ გამოცემული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ASS) შესაბამისად.¹

კომპანიების საქმიანობის შედეგების გაზომვისათვის გამოიყენება კონტროლის სამი ძირითადი ფორმა:

- ფინანსური კონტროლი;
- ხარისხის კონტროლი;
- ადმინისტრაციული კონტროლი.

ფინანსური კონტროლი ხორციელდება თითოეული ეკონომიკური ერთეულის ფინანსური მაჩვენებლების სტანდარტული ფორმების მიღებითა და ანალიზით. ყურადღება მახვილდება ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა: მომგებიანობის დონე, კაპიტალდაბანდების ეფექტიანობა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფა, ფინანსური მდგომარეობა (გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა) და ასევე: დამატებული ეკონომიკური ღირებულება (EVA), როგორც კორპორაციის ჭეშმარიტი ეკონომიკური მოგების გამოთვლის ერთ-ერთი ფინანსური მეთოდი (წმინდა საოპერაციო შემოსავლებისა (მოგების გადასახადის გადახდის შემდგომ) და ინვესტირებული კაპიტალის ღირებულების სხვაობა); დამატებული საბაზრო ღირებულება (MVA), როგორც კომპანიის ვალდებულებებისა და კაპიტალის საბაზრო ღირებულება; ღირებულებაზე დამყარებული საქმიანობა (ABC), როგორც ორგანიზაციის საოპერაციო ხარჯები, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს განსაზღვრონ რომელი პროდუქტები და ქმედებები ზრდის კომპანიის მოგებას და/ან დანაკარგებს.

ეს ყველაფერი კი მენეჯერებს საშუალებას აძლევს მოახდინონ მონაცემთა გენერირება ბიუჯეტის უფრო რაციონალურად დაგეგმვისათვის, ხარჯების კატეგორიების უკეთესად დაჯგუფებისა და კომპანიის შეუფერხებელი საქმიანობის შენარჩუნებისათვის.

წარმატების მიღწევის მსურველი ფირმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ხარისხს. ფირმათა უმრავლესობა ორგანიზაციის პროდუქციის ხარისხის სისტემატური და უწყვეტი ამაღლებისთვის იყენებენ სხვადასხვა მექანიზმებსა და კონცეფციებს, როგორცაა: ნული დეფექტი (Zero Defects), მალკომ ბოლდრიჯის ხარისხის ეროვნული ჯილდო (Malcolm Baldrige National Quality Award), TQM – ხარისხის ტოტალური მართვა, შეზღუდვების თეორია (Theory of Constraints), ხარისხის მართვის სისტემები (Quality Management Systems – ISO 9000 და სხვა) და ხარისხის უწყვეტი სრულყოფა.

ხარისხის ტოტალური მართვის – TQM პროგრამები ცვალებადია ფირმების მიხედვით და საჭიროებს ადაპტაციას კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. ტოტალურ ხარისხის მენეჯმენტს ყველაზე დიდი გავლენა აქვს წარმოებაზე, რათა პირველ რიგში მოხდეს წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლების ყველა ღონისძიება სწორედ აქეთაა მიმართული, თუმცა წარმოების გარდა იგი ზემოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობის ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა: მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, ადამიანური რესურსები, საინჟინრო საქმიანობა და საინფორმაციო სისტემები.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ზრდის ფონზე გაჩნდა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების საჭიროება. ხარისხის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შედგენასა და პერიოდულ გადახედვას აწარმოებს სტანდარტიზაციის

¹ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, გვ. 201-220.

საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO). მის მიერ შემუშავებული სტანდარტები, რომლებსაც ერთად „ISO 9000:2000“-ს უწოდებენ, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებულია და ემსახურება სერტიფიცირების საფუძვლების შექმნას. მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნესში განუხრელად იზრდება. დღეისათვის ბევრი მწარმოებელი, როგორცაა: General Electric, DuPont, Eastman Kodak, British Telecom, Philips Electronics რეკომენდაციას იძლევიან, ზოგჯერ კი მოითხოვენ კიდევაც, რომ მათ მომწოდებლებს ჰქონდეთ „ISO 9000“-ის სერტიფიკატი. ამასთან, მსოფლიოში მოქმედებს სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანიზაციები ევროკავშირში, სკანდინავიაში, ლათინურ ამერიკაში, არაბეთის რეგიონსა და აფრიკაში. საერთაშორისო სტანდარტიზაციის პრაქტიკა მუშაობის პროცესში ეყრდნობა ისეთი სტანდარტების შემუშავებას, როგორცაა: პროდუქციის გამოცდის ერთიანი მეთოდები, მოთხოვნები მარკირებისადმი, ტერმინოლოგიისადმი და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ასპექტებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ურთიერთგაგება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, მიუხედავად იმისა, თუ სად იწარმოება და მოიხმარება პროდუქცია.

ადმინისტრაციული კონტროლი ხორციელდება ორგანიზაციის ყველა დონეზე და მიზნად ისახავს თანამშრომლების საქმიანობის (მონიტორინგის შესრულება) შეფასებას. ადმინისტრაციული კონტროლი ხორციელდება მუდმივად, როგორც სპეციალური განყოფილებების, ისე ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზაციის მართვის ყველა დონეზე. მოცემული მიდგომით საბოლოოდ ხდება დაქირავებული პირის პოტენციალის შეფასება, მისი განვითარების, სწავლების, დაჯილდოვებისა თუ სამსახურიდან გათავისუფლების პირობები. გამომდინარე აქედან, კომპანიების მიერ პერსონალის საქმიანობის მთვარ ამოცანებს მიეკუთვნება: პერსონალის წახალისების სისტემის ფორმირება; მმართველი რგოლის მიერ პერსონალთან ადეკვატური კავშირების ფორმირება; პერსონალის სუსტი მხარეების აღმოჩენა და მათი დაძლევა შესაბამისი სასწავლო პროგრამების საშუალებით; თავისუფალი, მნიშვნელოვანი და კარგად ინფორმირებული კადრების ფორმირება.¹

პერსონალის საქმიანობის კონტროლის კუთხით სხვადასხვა კომპანიები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ. მაგალითად, იაპონიაში მენეჯერი შეფასებას აძლევს არა ინდივიდის, არამედ მთელი ჯგუფის (განყოფილების) საქმიანობის შედეგებს. იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის მუშაობა არაეფექტური აღმოჩნდება მისი ერთ-ერთი წევრის გამო, იაპონელი მენეჯერი შეეცდება ამ თანამშრომლის ჯგუფისგან განცალკევებას. ამერიკელი მენეჯერები კი პირიქით უპირატესობას ანიჭებენ პერსონალის ინდივიდუალური შეფასების სისტემას, რაც გამომდინარეობს მათი კულტურული სტერეოტიპისგან. კადრების მიმართ ამ ორი მიდგომის შედარებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იაპონური კომპანიები ხასიათდებიან სოციალური ან ჯგუფური ორიენტაციით, ამერიკული კომპანიები კი უფრო ინდივიდუალისტური მიდგომით გამოირჩევიან. ამ კუთხით ჩატარებულმა კვლევებმა პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით, დაქირავებულთა კონტროლის დროს გამოავლინა გარკვეული მსგავსებები იაპონელ და ამერიკელ მენეჯერებს შორის. კერძოდ, ორივე ქვეყნის კომპანიებისთვის საერთო მახასიათებელია ე.წ. „შეფასების ცენტრების“ არსებობა, რომლებიც მმომუშავეთა შემდგომი დაწინაურების მიზნით მაღალი პოტენციალის მქონე დაქირავებულთა იდენტიფიცირებას ახდენენ.

კონტროლის პროცესის განხორციელება იდენტური ყველა კომპანიისთვის ვერ იქნება და თავის მხრივ, თითოეული ორგანიზაციისგან მოითხოვს ორიგინალური მე-

¹ L. Toppo, Dr. Twinkle Prusty, From Performance Appraisal to Performance ManagementIOSR Journal of Business and Management, Volume 3, Issue 5 (Sep,-Oct. 2012), P. 01.

თოდების გამოყენებას. თუმცა არსებობს კონტროლის პროცესთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტები, რომელთა დაცვა აუცილებელია ყველა კომპანიისთვის:

➤ კონტროლის მარტივი მეთოდებით განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ნაკლებ ძალისხმევას და დანახარჯებს მოითხოვენ. ბუნებრივია თუ კონტროლის პროცესში დასაქმებული ადამიანები ვერ აღიქვამენ კონტროლის სისტემას, მაშინ ისინი მას მხარს არ დაუჭერენ და ასეთი კონტროლი ეფექტიანი ვერც იქნება. კონტროლი აუცილებლად უნდა იყოს მოქნილი და შეესაბამებოდეს საქმიანობაში მიმდინარე ცვლილებებს.

➤ კონტროლი, განსაკუთრებით მუდმივი კონტროლი უნდა განხორციელდეს იმ საქმიანობებზე, რომლებიც ორგანიზაციისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან რთულია საქმიანობის ყველა სახეობა რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასდეს ან მიღებული შედეგები გაიზომოს დანახარჯებისა და მიღებული ეფექტის მიხედვით. არის მთელი რიგი საქმიანობები, რომელთა უწყვეტი კონტროლი საჭირო არ არის და შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, თუ გადახრა არ მიაღწევს კრიტიკულ დონეს.

➤ ეფექტიანი კონტროლისთვის საჭიროა შერჩეული კონტროლის სისტემა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს საქმიანობის ხასიათს. სისტემამ ობიექტურად უნდა ასახოს და შეაფასოს ის, რაც ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია. არასათანადოდ შერჩეული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს მთავარ პრობლემებზე საჭირო ინფორმაციის მიღებას.

➤ შესაბამისი კონტროლის სისტემის შერჩევასთან ერთად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და ეფექტიან გამოყენებას, რაც გულისხმობს კონტროლის პროცესის პროგრამულ უზრუნველყოფას, ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებას, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების, მონაცემთა შენახვისა და დამუშავების ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებას. კონტროლის დროს ხდება დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიღება, რომელთა დროული დამუშავება, საჭირო და სასარგებლო ინფორმაციის შერჩევა მენეჯერებს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. ამიტომ კომპანიის წარმატებისთვის აუცილებელია ფართოდ დაინერგოს ოპერაციული და მმართველობის ინფორმაციული სისტემები, რადგან ოპერაციული ინფორმაციული სისტემები (ტრანზაქციების დამუშავების სისტემა, ტექნოლოგიური პროცესების მართვის სისტემა და საოფისე ავტომატიზებული სისტემები) მიმდინარე ოპერაციების და სამმართველო ინფორმაციული სისტემები (ანგარიშების ინფორმაციული სისტემა, გადაწყვეტილებათა მიღების ხელშეწყობის სისტემა, უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელთა მომსახურების ინფორმაციული სისტემა, კოლექტიური მუშაობის პროგრამული საშუალებები) სამმართველო გადაწყვეტილების პროცესის განხორციელებას ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:

1. ჩოხელი ე., ოპერაციული და საწარმოო მენეჯმენტი, თბილისი, გამომცემლობა „სიტყვა“, 2010
2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010
3. L. Toppo, Dr. Twinkle Prusty, From Performance Appraisal to Performance Management IOSR Journal of Business and Management, Volume 3, Issue 5 (Sep,-Oct. 2012)

4. Stephen P. Robbins, Mary Coulter, Management, Twelfth Edition, Pearson, 2014
5. Richard L. Daft., Management., Vanderbilt University, Inc., 2012
6. R. Dan Reid, Nada R. Sanders, Operations Management: An Integrated Approach, 5th Edition, US, 2012
7. Rosemary L., B. Lupton and H. Mathieson, Human Resource Management in an International Context, UK, 2006
8. <http://qualityandproductivityforum.blogspot.com/2012/09/armand-v-feigenbaum.html>

Eka Chokheli

Associate Professor

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Modern Aspects of Managerial Control

Managerial control is an integral part of the organization's management. Managers should continuously monitor current process of organization, otherwise it will not timely assessment the situation and implementation of useful measures for company. Reducing the influence of the uncertainty of the company's development, advance warning of crisis situations, achieve success are performed by the control. The organization must select the most suitable approaches for successful control. Decentralized approach, internal and external methods, financial, quality, administrative forms of control are the important aspects to ensure the effective activities of the company. All companies need to select the original style of the control, but they should follow the common principles, such as: control through simple methods, permanent control of the activities which are strategic importance for the organization, select suitable control system, using the latest information technologies in the form of the Operations and Management Informational Systems.

В.Т. Чая

Доктор экономических наук, профессор

действительный член РАЕН, член Правления НП ААС

председатель Комиссии НП ААС по контролю за качеством аудиторской деятельности

зам. зав. кафедрой учета, анализа и аудита экономического факультета МГУ им. М.В. Ломоносова

Проблемы развития аудиторской деятельности: задачи и некоторые решения

Почему решение конкретных задач развития аудиторской деятельности в России упирается в решение общих вопросов? Каким новым требованиям должен соответствовать аудит завтрашнего дня? Именно эти проблемы и некоторые пути их решения рассматриваются в предлагаемом научно-практическом эссе. В работе рассматривается проблематика отсутствия стройной теории аудита и аудиторской деятельности, а также концептуальных основ их развития.

Разработаны общие блок-схемы матрицы концептуальных основ развития аудиторской деятельности на среднесрочную перспективу и проблем изменения и развития аудиторской деятельности, а также решения некоторых практических задач, стоящих перед аудиторским профессиональным сообществом.

Основной проблемой развития аудиторской деятельности и аудиторской профессии в нашей стране, на наш взгляд является отсутствие стройной теории (теоретических основ аудита), как необходимой предпосылки развития аудиторской деятельности, не только в России, но и в международном контексте.

Если взять любой учебник, учебное пособие или же монографию¹ по аудиту не только отечественного, но и зарубежного издания, то в них мы не найдем раздела, отражающего теорию аудита², в отличии, к слову сказать, от учебников и учебных пособий по бухгалтерскому учету и анализу хозяйственной деятельности, где издание самостоятельных учебников по теории экономического анализа и по теории бухгалтерского учета, является довольно обычным явлением.

Отсутствие теоретических основ аудита, включающих концепцию развития аудиторской деятельности хотя бы на среднесрочную перспективу приводит к тому что и процессы регулирования аудиторской деятельности, и её стандартизации, и в целом нормативно-правового обеспечения, также как и другие вопросы, в частности, профилактики коррупционной составляющей, внешнего и внутреннего контроля качества аудиторской деятельности обеспечиваются в разнорной, не системно, односторонне, путём выхватывания отдельных, наиболее кажущихся проблематичными задачами, при полном исключении комплексного подхода в решении задач развития аудиторской деятельности.

В последние годы, как показывает статистика, речь идет вообще-то не о развитии, а о стагнации процессов аудиторской деятельности как у нас в стране, так и за рубежом, с усилением доминирования на рынке аудиторских услуг представителей так называемой большой четверки, к которой примыкают две, три наших отечественных организации, как правило, являющихся членами международных аудиторских сетей.

В самой нашей деятельности нет каких-либо Концептуальных основ развития аудиторской деятельности в России, хотя бы на среднесрочную перспективу, по аналогии с уже

¹ Некоторое исключение представляет собой монография Р.П. Бульги и М.В. Мельник «Аудит бизнеса: практика и проблемы развития», где достаточно детально рассматриваются исходные парадигмы в эволюции аудита, основанные на теории трансформации систем, и отдельные элементы международной интеграции регулирования аудиторской деятельности.

² Если не относить к ним некоторые традиционные элементы теории любой дисциплины, отражающие сущность, содержание, цели и задачи аудита.

реализованной Концепцией развития бухгалтерского учёта и отчетности в Российской Федерации на среднесрочную перспективу (одобренной приказом Минфина РФ № 180 от 1 июля 2004 г.).

Для сравнения, в этом плане, в системе МСФО присутствуют Концептуальные основы развития международной финансовой отчётности (Framework), разработанные и принятые в начале восьмидесятых годов прошлого столетия, (и кстати не только поэтому), постоянно отстающих от развития самой системы международных стандартов. Как правило, принятие самих стандартов опережает концепцию международных стандартов. Но, тем не менее, эта концепция все-таки представляет собой базовые ориентиры в развитии всей системы международных стандартов финансовой отчетности, в отличие от системы международных стандартов аудита, где когда-то присутствовавшие концептуальные основы, (очень ограничено отражавшие собственно концепцию развития стандартов, они касались в основном градации аудита, сопутствующих ему услуг и прочих услуг) и вовсе исчезли.

Со всей очевидностью встает проблема формирования концептуальных основ развития аудиторской деятельности как в глобальном масштабе, так и в пределах нашей страны.

В этой связи, для начала нашему регулятору, во-первых, неплохо было бы озаботиться принятием (одобрением) концептуальных основ развития аудиторской деятельности на среднесрочную перспективу (по аналогии с упомянутой концепцией по бухгалтерскому учету)

Во-вторых, отечественному и профессиональному сообществу не мешало бы подготовить соответствующие предложения в рамках международной интеграции регулирования аудиторской деятельности.

В-третьих, мы предлагаем матрицу Концептуальных основ развития аудиторской деятельности в России на среднесрочную перспективу в виде следующей схемы (см. рис. 1).

Разработке Концепции развития аудиторской деятельности в России на среднесрочную перспективу должны предшествовать, во-первых, определение хотя бы перечня основных предложений в международные органы интеграции регулирования аудиторской деятельности.

В этот перечень, прежде всего, должны войти вопросы совершенствования глобального мониторинга контроля качества.

деятельности большой четверки. Это и методология инспектирования, и разработки показателей качества аудита и его измерения. Это и актуализация переводов, уточнений и пояснений формулировок международных стандартов аудита. Это и установление систем контроля качества аудита, обеспечивающих достаточную уверенность в том, что аудиторские организации и их персонал действуют в соответствии с профессиональными стандартами и требованиями законодательств и правил регулирования и что подготовленные по аудиторским заданиям заключения уместны и надежны. Это и создание электронных систем раскрытия информации. Это и, в целом, усиление кооперации и координации деятельности регуляторов различных стран – не только США и Евросоюза, но и стран BRICS.

Во-вторых, необходимо заново сформулировать исходную парадигму развития аудиторской деятельности, как в глобальном масштабе, так и в нашей стране.

Для этого необходимо сформировать общую блок-схему проблем изменения и развития аудиторской деятельности на ближайшую перспективу (см. рис. 2).

В этом же контексте придется заново разрабатывать Концепцию реформирования учёта и отчётности в России на среднесрочную перспективу, в результате реализации которой вся система учёта и отчетности в России должна быть приближена к новым требованиям аудиторской деятельности.

Главным вопросом при формировании искомой парадигмы развития аудиторской деятельности является определение предмета и объектов аудита. То ли мы сохраняем традиционное определение аудита, как аудита финансовой отчетности, то ли мы переходим к революционному определению аудита, как аудита бизнеса с расширением объектов и методологий (направлений), с включением таких структурных элементов как: капитал бизнеса (промышленный (вещественный) капитал, финансовый капитал, интеллектуальный капитал (и не только НМА); транзакции бизнеса (бизнес-процессы, текущие и будущие); результаты бизнеса (накопленный финансовый результат – прошлый, отчетный и будущий).



Рис. 1. Общая блок-схема матрицы концептуальных основ развития аудиторской деятельности в России на среднесрочную перспективу.




Рис. 2. Общая блок-схема проблем изменения и развития аудиторской деятельности на ближайшую перспективу

В настоящее время такой подход характерен для консалтинговой деятельности аудиторских фирм, с хорошо подготовленным персоналом, но в объекты собственно аудиторской деятельности в соответствии ФЗ № 307 «Об аудиторской деятельности» бизнес – процессы явно не входят.

Поэтому мы предлагаем промежуточный вариант определения исходной парадигмы (идеи) концепции (концептуальных основ) развития аудиторской деятельности в России на среднесрочную перспективу с сохранением традиционной формулировки аудита как аудита финансовой отчетности, но с законодательным закреплением расширения объектов и направлений аудита, таких как аудит бизнеса (имеются ввиду новые объекты, новые направления

аудита) в сопутствующих аудиту услугах, а не в прочих услугах, как это, определено в настоящее время в действующем законодательстве, с закреплением в прочих услугах самих бизнес процессов и аудита эффективности бизнес-процессов. Такой вариант представляется мягким этапом перехода к новой концепции развития аудиторской деятельности в России. При этом следует одновременно разрабатывать предложения в международные органы регулирования аудиторской деятельности по включению таких новых объектов аудита, как интеллектуальный капитал и будущие результаты бизнеса, а в новые направления аудита – аудит интеллектуального капитала и стратегический аудит. Естественно, что и вся система бухгалтерского, управленческого и налогового учета и отчетности должны быть подтянуты к новым требованиям аудиторской деятельности.

В частности, вся система управленческого учета и бизнес-планирования, как источника информации для аудита бизнеса должна формироваться как система интеграции и гармонизации учётной и рыночной информации с объединением в ней данных о внутренних факторах развития производства и внешней среды, которая в свою очередь включает информацию о клиентах, конкурентах, потенциальных инвесторах, которые имеются в регионе или стране, а так же о заинтересованности зарубежных инвесторов в развитии той или иной отрасли экономики в каждой отдельном регионе.

Таким образом, концепции развития аудиторской деятельности в нашей стране должна сопутствовать адекватная, обновленная концепция развития

учёта и отчётности, в которой должно быть отражено формирование новых информационных массивов и направлений аудита завтрашнего дня, а именно аудита интеллектуального капитала, аудита эффективности бизнес-процессов и стратегического аудита.

Резюмируя всё вышесказанное, следует специально подчеркнуть, что отсутствие стройной концепции развития аудиторской деятельности не только в нашей стране, но и за рубежом, является не теоретической, а сугубо практической проблемой.

Достаточно остановится на таких практических примерах нерешенности задач как, в частности, определение содержания оценок соответствия деятельности саморегулируемых организаций аудиторов по осуществлению внешнего контроля качества работы аудиторских организаций, аудиторов установленным принципам и требованиям, где, на наш взгляд, следует руководствоваться типовой программой оценки деятельности саморегулируемой организации аудиторов по осуществлению внешнего контроля качества работы аудиторских организаций, аудиторов (одобренной Советом по аудиторской деятельности 26 марта 2013г., протокол № 8). То же самое касается совершенствования структуры основных показателей деятельности по осуществлению внешнего контроля качества работы аудиторских организаций, аудиторов, где следует руководствоваться разделом 6 вышеупомянутой типовой программы.

При этом градацию оценок осуществлять следующим образом:

- соблюдает требования Федерального закона от 30.12.2008 г. № 307-ФЗ «Об аудиторской деятельности», стандартов аудиторской деятельности;

- соблюдает требования Федерального закона от 30.12.2008 г. № 307-ФЗ «Об аудиторской деятельности», стандартов аудиторской деятельности, за исключением отдельных несущественных недостатков;

- в целом, соблюдает принципы и процедуры контроля качества аудиторских услуг, за исключением отдельных недостатков требующих устранения.

В разработке рекомендаций по осуществлению внешнего контроля качества работы индивидуальных аудиторов, предлагаем как вариант предварительный макет основ методики контроля качества работы индивидуального аудитора.

При этом макет методических основ анкетирования контроля качества работы индивидуального аудитора приобретает вид:

регистрационные данные индивидуального аудитора.

иная предпринимательская деятельность.

оказание услуг по восстановлению и ведению бухгалтерского учета с одновременным проведением аудиторских проверок.

проведение аудиторских проверок.

осуществление аудиторской деятельности в период отсутствия членства в СРО аудиторов, а также аудиторской деятельности, осуществление которой не предусмотрено выданным аттестатом аудитора.

оказание консультационных услуг.

На сегодняшний день макет основ методики по контролю качества работы индивидуального аудитора апробируется в качестве составной части системы контроля качества специально для индивидуальных аудиторов в НП ААС.

В части взаимодействия саморегулируемых организаций аудиторов и Росфиннадзора по осуществлению внешнего контроля качества работы, предлагаем в Планах проверок Росфиннадзора на предстоящий год расшифровывать принадлежность организации к тому или иному СРО аудиторов, с тем, чтобы СРО аудиторов корректировали свои Планы без ручной выборки.

По вопросу деятельности аудиторов, являющихся работниками нескольких аудиторских организаций, предлагаем ограничить сотрудничество аудиторов не более чем в трех аудиторских организациях, для чего внести соответствующие изменения и дополнения в Федеральный закон №307-ФЗ «Об аудиторской деятельности»

Перечень этих и подобных им «глобальных» задач развития аудиторской деятельности, стоящих перед нами можно было бы продолжить до бесконечности. Именно отсутствие концептуальных основ развития аудиторской деятельности и приводит к измельченности текущих задач аудиторской деятельности и не возможности решения наиболее насущных практических вопросов развития и аудиторской деятельности и аудиторской профессии.

Список литературы:

- 1) Федеральный закон «Об аудиторской деятельности» от 30.12.2008 N 307-ФЗ (принят ГД ФС РФ 24.12.2008) (действующая редакция от 01.01.2013);
- 2) Федеральный закон «О саморегулируемых организациях» (Принят Государственной Думой 16 ноября 2007 года) (Одобен Советом Федерации 23 ноября 2007 года);
- 3) Концепция развития бухгалтерского учета и отчетности в Российской Федерации на среднесрочную перспективу (Одобрена приказом Минфина России от 1 июля 2004 г. № 180);
- 4) План мероприятий Министерства финансов Российской Федерации на 2004 – 2007 годы по реализации Концепции развития бухгалтерского учета и отчетности в Российской Федерации на среднесрочную перспективу (приказ Минфина России от 16 сентября 2004 г. № 263);
- 5) Булыга Р.П., Мельник М.В. Аудит бизнеса. Практика и проблемы развития: монография / под ред. Р.П. Булыги. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2013.;
- 6) Шеремет А.Д., Суйц В.П. Аудит: Учебник – 5-е изд., перераб. и доп. – М.: ИНФРА-М, 2009.;
- 7) Шеремет А.Д. Комплексный анализ хозяйственной деятельности: Учебник для вузов. – Испр. и доп. – М.: ИНФРА-М, 2008.;

- 8) Шеремет А.Д. Теория экономического анализа: Учебник. – 2-е изд., доп. – М.: ИНФРА-М, 2009.,
- 9) Чая В.Т., Чая Г.В. Международные стандарты финансовой отчетности: учебник. – М.: Рид Групп, 2011.

References:

- 1) The Federal Law "On Auditing" from 30.12.2008 N 307-FZ (as adopted by the State Duma on 24.12.2008) (current version from 01.01.2013);
- 2) Federal Law "On the self-regulatory organizations" (Adopted by the State Duma on November 16, 2007) (Approved by the Federation Council on November 23, 2007);
- 3) The concept of the development of accounting and reporting in the Russian Federation in the medium term (Approved by order of the Ministry of Finance of Russia from July 1, 2004 number 180);
- 4) The action plan of the Ministry of Finance of the Russian Federation for 2004 – 2007 to implement the concept of accounting and reporting in the Russian Federation in the medium-term (order of the Ministry of Finance of Russia from September 16, 2004 number 263);
- 5) Bulyha R.P., Miller M. Audit business. Practice and Problems of Development: monograph / ed. R.P. Bulyga. – Moscow: UNITY-DANA, 2013.;
- 6) Sheremet A.D., V.P. Suyts Audit: Tutorial – 5th ed., Rev. and add. – Moscow: INFRA-M, 2009.;
- 7) Sheremet A.D. A comprehensive analysis of economic activity: Textbook for high schools. – Corr. and add. – Moscow: INFRA-M, 2008.;
- 8) Sheremet A.D. Theory of Economic Analysis: A Textbook. – 2nd ed., Ext. – Moscow: INFRA-M, 2009.,
- 9) Chaya V.T., Chaya G.V. International financial reporting standards: a textbook. – M. Reid Group, 2011.

V.T. Chaya

Doctor of Economics

Professor of Moscow State University of name of M.V. Lomonosov

Problems of development of audit activities: problems and some solutions

Why do specific tasks of auditing in Russia rests on the resolution of common issues? How does the new requirements must comply with the audit of tomorrow? It is these problems and some solutions are considered in the proposed theoretical and practical essays. This paper considers the problems of the lack of a coherent theory of audit and audit activities, as well as the conceptual basis for their development.

Developed general block diagram of the conceptual foundations of the matrix of audit activity in the medium term and the problems of change and development of auditing, as well as address some of the practical problems faced by the auditing professional community.

ბასს 12 – მოგების გადასახადი – სადისკუსიო ასპექტები

წინამდებარე შრომაში, კრიტიკულადაა განხილული მოგების გადასახადის დროს წარმოქმნილი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვის არსებული წესი, რომლის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ შესაძლებელია ბასს 12 – მოგების გადასახადინ – ის სრულყოფა და მოგების გადასახადის აღრიცხვის არსებული პრაქტიკის გამარტივება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ნებისმიერი ტიპის საწარმოს წლიური დეკლარაციის ინფორმაციის საფუძველზე, წლის ბოლოს, მოგების გადასახადის დარიცხის მხოლოდ ერთი მარტივი მუხლის შედგენა „მოგების გადასახადის ხარჯის“ (9210) ანგარიშის დებეტსა და „საგადასახადო ვალდებულებების“ (3310) ანგარიშის კრედიტში, არა სააღრიცხვო მოგებიდან დარიცხული მოგების გადასახადის თანხით, არამედ, უშუალოდ, საგადასახადო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხით. შემდეგ, ჩვეულებრივ მოხდება წლის განმელობაში გადახდილი გადასახადის ჩათვლა და ბიუჯეტთან საბოლოო ანგარიშსწორების აღრიცხვა. ამასთან, „გადავადებული საგადასახადო აქტივისა“ და „გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების“ მაჩვენებლები გავლენას არ ახდენენ ბიუჯეტში გადასარიცხ თანხებსა და ფულად ნაკადებზე. აქედან გამომდინარე მათი აღრიცხვა აუცილებლობს არ წარმოადგენს.

შედეგად, გამარტივდება მოგების გადასახადის აღრიცხვა და ბასს 12 – „მოგების გადასახადი“. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილი იქნება რელაური წმინდა მოგება და საწარმოები გათავისუფლებიან ზედმეტი შრომისა და აუდიტორული მომსახურების დანახარჯებისაგან.

მოგების გადასახადის აღრიცხვის საკითხებს არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 12 – „მოგებიდან გადასახადები“. გამომდინარე იქედან, რომ მოგების გადასახადის გაანგარიშების წესებს მოცემული სახელმწიფოს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს, კერძოდ, დასაბეგრი შემოსავლებიდან რომელი სახის ხარჯი გამოიქვითოს ან არ გამოიქვითოს, შედეგად, ერთმანეთისაგან განსხვავდება სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების მაჩვენებლები. ამ განსხვავების გამო წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. წინამდებარი კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვას: აუცილებელია თუ არა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივის აღრიცხვა.

დასახელებული სტანდარტის განსაზღვრებით, სააღრიცხვო მოგება არის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული, საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შემოსავლის ან ზარალის თანხა, საგადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე.

საგადასახადო (ანუ დასაბეგრი) მოგება (ან საგადასახადო ზარალი) არის შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (ან დაბრუნება).

საგადასახადო ხარჯი (საგადასახადო შემოსავალი) არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა. საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე საგადასახადო ხარჯისა და გადავადებული საგადასახადო ხარჯისაგან (ბასს 12, მუხლი 5).

მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) გადასახადის თანხა.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გადასახდელი მოგების გადასახადის თანხა.

გადავადებული საგადასახადო აქტივი არის მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში.

ჩვენი აზრით, ეს განმარტებები არ მიუთითებენ იმაზე, რომ ბიუჯეტიდან რაიმე თანხა უკან ბრუნდება ან პირიქით. ეს ხდება მხოლოდ საწარმოს შიგნით, წელს გადახდილი გადასახდის თანხა, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო ნაკლები (ან მეტი) იქნება მომავალ წლებში. მაგალითად, ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის გავლენით. ანუ იგი არ ეხება რალურ ფულად ნაკადებს. ბიუჯეტიდან დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ სხვაობის თანხა წლის განმავლობაში წინასწარ გადარიცხული მოგების გადასახადსა და წლის ბოლოს, საგადასახადო მოგების საფუძველზე კუთვნილი გადასახადის თანხას შორის.

ცნობილია გადავადებული გადასახადის აღრიცხვის ორი მეთოდი: აღრიცხვა გადავადების მეთოდის ან ვალდებულების მეთოდის მიხედვით, რომელსაც ზოგჯერ მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდს უწოდებენ და მეორეს, ბალანსის ვალდებულების მეთოდს.

ბასს 12 – მოგებიდან გადასახადები – საწარმოებისაგან მეორე მეთოდის გამოყენებას მოითხოვს.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდი ფოკუსირებულია დროით სხვაობებზე, ხოლო ბალანსის ვალდებულების მეთოდი კი დროებით სხვაობებზე.

დროითი სხვაობა არის დასაბეგრ მოგებასა და სააღრიცხვო მოგებას შორის სხვაობა, რომელიც წარმოიშვა ერთ პერიოდში და რომლის უკუგატარება ხდება შემდგომ პერიოდში ან პერიოდებში.

დროებითი სხვაობა წარმოადგენს ბალანსში წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას. **აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის მიეკუთვნება მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას.**

ბასს 12 – ით მოითხოვება განმარტებით შენიშვნებში საწარმოებმა წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

- მოგების გადასახდის განაკვეთის ცვლილების შესახებ, წინა წელთან შედარებით;
- რიცხოვრივი თანაფარდობა საშუალო საგადასახადო განაკვეთსა და გამოყენებულ საგადასახადო განაკვეთს შორის;
- თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან დაკავშირებით გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თანხები;
- აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულებების თანხები;
- მოგება/ზარალში აღიარებული გადავადებული საგადასახადო შემოსავლის ან ზარალის თანხა, თუ ეს არ არის ბალანსში აღიარებული თანხების ცვლილებებიდან;
- შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებით – საგადასახადო ხარჯი, რომელიც უკავშირდება შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას ან ზარალს და შეწყვეტილი სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული მოგების ან ზარალის თანხას;
- გადავადებული საგადასახადო აქტივის თანხა და მისი აღიარების საფუძველი, როდესაც: გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, გადაამეტებს თუ არა მომავალი პერიოდის საგადასახადო მოგების თანხები

მოგების იმ თანხას, რომელიც წარმოიშობა არსებული დროებითი სხვაობების ამოწურვის შედეგად და საწარმოს გააჩნია მიმდინარე ან წინა საანგარიშგებო პერიოდების ზარალი იმ საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც უკავშირდება გადავადებული საგადასახადო აქტივი.

აქ ჩამოთვლილი ყველა მოთხოვნა შრომატევადიცაა და გარკვეულ სირთულეებსაც უკავშირდება. მოგების გადასახადის სიდიდე ფაქტიური საგადასახადო მოგებიდან განისაზღვრება. მაგრამ, წლის ბოლომდე საწარმოს მოგების ფაქტიური სიდიდე ცნობილი არაა. ამიტომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნით, ის სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან მოგების მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის ფაქტიური წლიური გადასახადის მიხედვით.

წლის ბოლოს, როცა ფაქტიური საგადასახადო მოგება უკვე ცნობილია, შესაძლებელი ხდება ბიუჯეტში მოგებიდან გადასახდელი გადასახადის ფაქტიური სიდიდის დადგენაც. როგორც ცნობილია, ბიუჯეტში რეალურად გადასარიცხი მოგების გადასახადის სიდიდე საგადასახადო მოგებიდან გამოითვლება.

განვიხილავთ რამდენიმე წლიან პერიოდს, სადაც მოცემულია სააღრიცხვო და საგადასახადო მოგების მაჩვენებლები და შესაბამისი გადასახადები (იხ. ცხრილი 1).

პირველ ცხრილში მოტანილი მაჩვენებლების მიხედვით, სააღრიცხვო მოგება ხან მეტია საგადასახადო მოგებაზე და ხან ნაკლები. როცა სააღრიცხვო მოგება აღემატება საგადასახადო მოგებას წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. ხოლო, როცა სააღრიცხვო მოგება ნაკლებია საგადასახადო მოგებაზე, წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი.

ამდენად, პირველ ცხრილში გამოთვლილია წმინდა მოგების ორი სახის მაჩვენებელი. ისმება კითხვა: მათგან რომელი შეესაბამება რეალურ ვითარებას ანუ რომელი ასახავს მოგების იმ რეალურ სიდიდეს, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში, რათა გაანაწილოს იგი მესაკუთრეებზე? მაგალითად, პირველ წელს, ჩვეულებრივი აქციის მფლობელებზე დივიდენდის სახით, რეალურად რა ოდენობის მოგება უნდა განაწილდეს: 4675 ლარი თუ 4250 ლარი? (იხ. ცხრილი 1). არცერთი, ვინაიდან ორივე არარეალურია.

ცხრილი 1

მოგებისა და მოგებიდან გადასახადების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	I წელი	II წელი	III წელი	IV წელი
1. სააღრიცხვო (ანუ რეალური) მოგება	5500	5800	7000	8000
1.ა). მოგების გადასახადი 15%	(825)	(870)	(1050)	(1200)
წმინდა მოგება	4675	4930	5950	6800
2. საგადასახადო მოგება	5000	6000	7000	8800
2.ა). მოგების გადასახადი 15%	(750)	(900)	(1050)	(1320)
წმინდა მოგება	4250	5100	5950	7480
- გადავადებული საგადასახადო აქტივი		30	0	120
- გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	75	45	45	75
3. რეალური წმინდა მოგება (1- 2.ა.)	4750	4900	5950	6680

როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება საგადასახადო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა. მაშასადამე, მოტანილი მაგალითის საფუძველზე, საწარმოდან ბიუჯეტში პირველ წელს ფაქტობრივად გადაირიცხება 750 ლარი და არა 825 ლარი. წარმოიშვა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 75 ლარი (825-750), რომელიც ნაჩვენები იქნება ბუღალტრულ ბალანსში. ამდენად, სინამდვილეში საწარმოს განკარგულებაში წმინდა მოგების სახით რჩება სააღრიცხვო მოგებასა და ბიუჯეტში რეალურად გადასარიცხ თანხას შორის სხვაობა 4750 ლარი (5500-750). მეორე წელს, ბიუჯეტში გადაირიცხება 900 ლარი და არა 870 ლარი და ა.შ. ამასთან, ვინაიდან პირველ წელს არსებობდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და მეორე წელს კი გადავადებული საგადასახადო აქტივი 30 ლარი (900 – 870), გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი დარჩება 45 ლარი (75-30). მოტანილი ცხრილიდან აგრეთვე ნათლად სჩანს რომ საწარმოდან ბიუჯეტში გადასარიცხ ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს არც გადავადებული საგადასახადო აქტივი და არც გადავადებული საგადასახადო ვალდებულება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოგების გადასახადი გაიანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან. ხოლო, გადავადებული საგადასახადო აქტივი ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აისახება ბუღალტრულ ბალანსში. ამიტომ, საწარმოს მფლობელების კუთვნილი რეალური წმინდა მოგების სიდიდის საპოვნელად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გამოქვეყნებული წმინდა მოგების მაჩვენებელი უნდა შესწორდეს გადავადებული საგადასახადო ვალდებულების (ან აქტივის) თანხით. ასე მაგალითად, პირველ წელს, წმინდა მოგება სააღრიცხვო მოგებიდან იყო 4675 ლარი. ხოლო გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 75 ლარი (825-750). ამდენად, საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი რეალური წმინდა მოგება არის 4675 ლარისა და 75 ლარის ჯამი. ანუ 4750 ლარი. მეორე წელს, გადავადებული საგადასახადო აქტივი არის 30 ლარი, შესაბამისად, რეალური წმინდა მოგება არის $5800+900=4900$ ლარი და ა.შ. ხოლო, მეოთხე წელს წარმოიშვა გადავადებული საგადასახადო აქტივი 120 ლარი (1320-1200). წმინდა მოგების კორექტირებით მიიღება წმინდა მოგების რეალური მაჩვენებელი 6680 ლარი (6800-120). იგივეა რაც (8000-1320).

აღრიცხვის სტანდარტებით რეკომენდირებული მეთოდიკით, „მოგების გადასახადის ხარჯის (9210)“ ანგარიშის დებეტში აისახება სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა. საგადასახადო მოგების შესაბამისად ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი რეალური ვალდებულება აღირიცხება „მოგების გადასახადზე ვალდებულების“(3310)“ ანგარიშის კრედიტში. წარმოშობილი სხვაობა აღირიცხება ან „გადავადებული საგადასახადო აქტივის (2340)“ ანგარიშის დებეტში ან „გადავადებული საგადასახადო ვალდებულების (4210)“ ანგარიშის კრედიტში.

პირველ ცხრილში მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, არსებული მეთოდიკით, შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლები:

პირველ წელს:

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 8 25 ლარი

კრედიტი – გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (4210) – 75 ლარი

კრედიტი – გადასახდელი მოგების გადასახადი (3310) – 750 ლარი

მეორე წელს:

1. დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 870 ლ

დებეტი – გადავადებული საგადასახადო აქტივი (2340) – 30 ლ

კრედიტი – გადასახდელი მოგების გადასახადი (3310) – 900 ლ

2. დებეტი – გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (4210) – 30 ლ

კრედიტი – გადავადებული საგადასახადო აქტივი (2340) – 30 ლ

მესამე წელს:

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 1050 ლ

კრედიტი – გადასახდელი მოგების გადასახადი (3310) – 1050 ლ

მეოთხე წელი:

1. დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 1200 ლარი

დებეტი – გადავადებული საგადასახდო აქტივი (2340) – 120 ლარი

კრედიტი – გადასახდელი მოგების გადასახადი (3310) – 1320 ლარი

2. დებეტი – გადავადებული საგადასახდო ვალდებულება (4210) – 45 ლ

კრედიტი – გადავადებული საგადასახდო აქტივი – 45 ლ

სტანდარტის მოთხოვნით, საწარმომ ანგარიშგებაში ერთდროულად არ უნდა აჩვენოს ორივე სახის ნაშთი: გადავადებული საგადასახდო აქტივი და გადავადებული ვალდებულება. ამიტომ, ვინაიდან წინა წელს არსებობდა გადავადებული საგადასახდო ვალდებულების ნაშთი 45 ლარი, მეოთხე წელს იგი ჩამოიწერება გადავადებული აქტივის ანგარიშიდან და ამჯერად დარჩება გადავადებული აქტივის ნაშთი 75 ლარი (120-45).

თუკი არ აღირიცხება მათი ურთიერთგადაფარვა, მაშინ, გადავადებული საგადასახდო აქტივისა (2340) და გადავადებული საგადასახდო ვალდებულების (4210) ბუღალტრულ ანგარიშებზე უსასრულოდ დაგროვდება მათი ნაშთები და ბუღალტრულ ბალანსშიც ამ ნაშთების ერთდროული ასახვა უსასრულოდ გაგრძელდება რაც მიზანშეწონილი არ იქნება.

მოტანილი ბუღალტრული გატარებების შედეგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ამჟამად მოქმედი წესით, მოგების მაჩვენებლები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

ცხრილი 2

მოგება/ზარალის ანგარიშგების ფრაგმენტი

I წელი II წელი III წელი IV წელი

სააღრიცხვო მოგება 5 500 5 800 7 000 8 000

მოგების გადასახადის ხარჯი (825) (870) (1050) (1200)

წმინდა მოგება 4 675 4 930 5 950 6 800

აქ მოცემული ინფორმაცია მოგების გადასახადისა და წმინდა მოგების შესახებ ინფორმაციის მომხმარებლისათვის ღირებული არაა, რადგან სინამდვილეს არ შეესაბამება. რეალურია მხოლოდ ის ფულადი ნაკადი, რომელიც საწარმოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ობიექტურად მიედინება. ესაა საგადასახდო მოგებიდან გამოთვლილი მოგების გადასახადის სიდიდე. ამდენად, მოგება ზარალის ანგარიშგების ეს ნაწილი სრულყოფას საჭიროებს.

მამასადამე, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოთა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გამოქვეყნებული წმინდა მოგების მაჩვენებელი არაა მოგების ის ნაწილი, რაც სინამდვილეში რჩება საწარმოთა (მფლობელთა ან აქციონერთა) განკარგულებაში. ეს ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს, თუკი სააღრიცხვო მოგებიდან გამოიქვითება მოგების გადასახადი, რაც საგადასახდო მოგებიდან უნდა გადაიხადოს საწარმომ. ამ მიზნით, აღრიცხვაში მოგების გადასახადის ხარჯის (9210) ანგარიშზე უნდა აღირიცხოს არა სააღრიცხვო მოგებიდან, არამედ საგადასახდო მოგებიდან გამოთვლილი მოგების გადასახადის თანხა. შესაბამისად, საკმარისი იქნება მხოლოდ ერთი მარტივი ბუღალტრული მუხლი:

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი (9210) – 750 ლ
კრედიტი – გადასახადელი მოგების გადასახადი (3310) – 750 ლ

ხოლო, გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღრიცხვა საჭირო აღარ იქნება, რითაც მოგების გადასახადის აღრიცხვა მნიშვნელოვნად გამარტივდება.

ასეთ შემთხვევაში, მოგება /ზარალის ანგარიშგება შემდეგ სახეს მიიღებს (იხ. ცხრილი 3):

ცხრილი 3

მოგება/ზარალის ანგარიშგების ფრაგმენტი
IV წელი
სააღრიცხვო მოგება 8000
მოგების გადასახადის ხარჯი (1320) (საგადასახადო მოგებიდან)

წმინდა მოგება 6680

მართლაც, სწორედ 6680 ლარია წმინდა მოგების ის რეალური თანხა, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში და უნდა განაწილდეს მესაკუთრეებს შორის, შეიქმნას სხვადასხვა რეზერვები, გამოთვლილი იქნას შემოსავალი ერთ აქციაზე და ა.შ.

ამრიგად, აღრიცხვის ამჟამად არსებული მეთოდიკით, კომპანიის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული წმინდა მოგების თანხა არარეალურია. იგი არ არის მოგების ის ნაწილი, რომელიც სინამდვილეში რჩება კომპანიის მესაკუთრეთა განკარგულებაში. ამის მიზეზია ის, რომ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ყოველი წლის საგადასახადო მოგებიდან ხდება და ასეც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, წინა ან მიმდინარე წელს, გადავადებული საგადასახადო აქტივი თუ გადავადებული საგადასახადო ვალდებულება არსებობდა. ამავე მიზეზით ისინი ფულად ნაკადებზე არანაირ გავლენას არ ახდენენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები შეიძლება აღარ აღირიცხოს. საკმარისი იქნება მოგების გადასახადის ხარჯის (9210) ანგარიშის დებეტში აღირიცხოს არა სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა, როგორც ახლა ხდება, არამედ, აღირიცხოს საგადასახადო მოგების საფუძვლეზე დადგენილი გადასახადის თანხა. ამის საფუძველზე, სააღრიცხვო მოგებიდან გამოიქვითება თანხა, რომელიც ფაქტობრივად მიემართება ბიუჯეტში. შედეგად, საწარმოს მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახება რეალური წმინდა მოგება, რომელიც რჩება საწარმოს მესაკუთრეებისა და მმართველების განკარგულებაში, საიდანაც ისინი ელოდებიან დივიდენდებს, პრემიებს და ქმნიან სხვადასხვა რეზერვებს. ამით, თვით მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობაც იზრდება.

ჩვენი რეკომენდაციით, ნებისმიერი ზომისა და ტიპის საწარმოს საგადასახადო დეკლარაციის ინფორმაციის საფუძველზე შეძლება მხოლოდ ერთი ბუღალტრული გატარება მოგების გადასახადის დარიცხვაზე, საიდანაც ჩვეულებრივ მოხდება წლის განმავლობაში გადახდილი გადასახადების ჩათვლა და შემდეგ, საბოლოო ანგარიშსწორება ბიუჯეტთან.

გვიქრობთ, მოგების გადასახადის აღრიცხვის, ჩვენს მიერ გადმოცემული მარტივი სქემის გამოყენება, მოიტანს შემდეგ დადებით შედეგებს:

- მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გადმოცემული იქნება ობიექტური ინფორმაცია საწარმოს რეალური წმინდა მოგების შესახებ;
- აუცილებელი აღარ ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გამოთვლები, რაც მეტად შრომატევადი საქმეა;

- საწარმომ უნდა გამოაქვეყნოს ერთ ჩვეულებრივ აქციაზე საბაზისო და გაზავებული შემოსავლის მაჩვენებლები, რომლებიც ასევე რეალური წმინდა მოგების საფუძველზე უნდა იყოს გამოთვლილი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადის სიდიდის დასადგენად საკმარისია მხოლოდ საგადასახდო მოგების მაჩვენებლის გამოთვლა;
- საწარმოები გათავისუფლდებიან ზედმეტი აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების ფულადი ხარჯებისაგან;
- მნიშვნელოვნად გამარტივდება ბასს 12 – „მოგების გადასახადი“.

Izolda Chiladze

Academic Doctor of Economics

Iv. Javakishvili Tbilisi State University

ISA 12 – Profit taxes – Discussion Aspects

Here are based on practical accounting has been reviewed existed accounting rule of Deferred tax assets and Deferred tax liabilities has risen while the profit tax upon which basis of analysis has been made conclusion that it is possible to simplify the existed practice of profits tax accounting in The Article.

We consider expedient to compose only one simple clause of profits tax charge of profits tax expenses (9210), account debit and tax liability (3310) at the account credit with drawn profits tax amount not from accounted profit but directly from tax profits calculated tax amount. Furthermore we suppose that there no exists necessity of accounting and calculation of „Deferred tax assets” and „Deferred tax liabilities” owing to following circumstances.

As a result, it simplifies the calculating method of profit taxes and ISA 12 – Profit taxes and profit/loss will be presented to the real net profit. The enterprises will exempt from the extra work and audit costs.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სრულყოფის საკითხები საქართველოს საჯარო სექტორში

საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა, დარიცხვის მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას, მნიშვნელოვანია სააღრიცხვო ინფორმაციის სრულყოფისა და მთავრობის ყველა დონეზე ფინანსური მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ინფორმაციის მომხმარებლებისათვის სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშგებისადმი სანდოობის ხარისხის ამაღლების გარანტს.

სწორედ საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის, რეფორმის სრულყოფილად განხორციელების, გარდამავალ პერიოდში მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენებისა და ეტაპობრივად მისი დარიცხვის მეთოდით სრულად ჩანაცვლების საკითხებია განხილული მოცემულ ნაშრომში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სააღრიცხვო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის მიწოდებას ამ ინფორმაციის ყველა მომხმარებლისათვის.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება ხორციელდება როგორც ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით, ასევე, ფინანსური ანგარიშგებისა (ფასს) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით (ასს). ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საკანონმდებლო და რეგულირების პრინციპებთან დაახლოებისა და ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოში საჭირო გახდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995) და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999). ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა მისი ძირითადი მიზანი:

- საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების სფეროების განსაზღვრა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
- ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის შექმნა.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოდ გამოცხადდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენცია განისაზღვრა: საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებისა და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების, მი-

თითებების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება. ხოლო ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების კომპეტენციას განეკუთვნა: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების შემუშავება, ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შემუშავება, ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული სერტიფიცირება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეფორმები განახორციელა და მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკას, რიგი მიზეზების გამო, საჭირო გახდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. 2012 წლის 29 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიიღო საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობები და წესები. ამ კანონის მიღების კვალობაზე, გაუქმდა საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995) და საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999). ასევე, 2013 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია.

აღნიშნული კანონის რეგულაციები შეეხო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მასშტაბს, მოქმედების არიალს. კანონით განისაზღვრა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შედგება სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა აღრიცხვის სისტემის რეფორმირების საკითხი სახელმწიფო სექტორში. დღეისათვის მნიშვნელოვანია, რომ აღრიცხვის სისტემის რეფორმა მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო სექტორში. რეფორმის მიზანია:

- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) გადასვლა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევა 2020 წლისათვის;
- დარიცხვის მეთოდის სრულად ამოქმედება.

საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა, დარიცხვის მეთოდით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევას, მნიშვნელოვანია სააღრიცხვო ინფორმაციის სრულყოფისა და მთავრობის ყველა დონეზე ფინანსური მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს ინფორმაციის მომხმარებლებისათვის (საზოგადოება, ინვესტორები, კრედიტორები და ა.შ.) სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანგარიშგებისადმი სანდოობის ხარისხის ამაღლების გარანტს.

საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის მიზნით, აღრიცხვის რეფორმას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის №701 ბრძანებით სახელმძღვანელოდ მიღებული „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად.

რეფორმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის №38 დადგენილებით შეიქმნა მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო „საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარ-

ტების საბჭო“ და დამტკიცდა საბჭოს დებულება. საბჭოს ევალეზა საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, გარდამავალ პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები დაეფუძნება მოდიფიცირებულ საკასო მეთოდს და ეტაპობრივად მოხდება მისი ჩანაცვლება დარიცხვის მეთოდით. შესაბამისად, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დასაწერგად, საბიუჯეტო ორგანიზაციების სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეულ იქნა საპილოტე ორგანიზაციები და მომზადდა ფინანსური ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ინსტრუქციის პროექტები. პროექტების დახვეწა და საბოლოოდ ნორმატიული აქტის სახით ჩამოყალიბება მოხდა საპილოტე ორგანიზაციების 2010 წლის ბუღალტრული ანგარიშგების საფუძველზე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის #97 ბრძანებით დამტკიცდა „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი“. აღნიშნული წესის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ 2012 წლის წლიური ნაერთი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული და წარმოდგენილი იქნა სახაზინო სამსახურში. ამ ფინანსური ანგარიშგებების ანალიზის საფუძველზე მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ამ მეთოდით მოამზადა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ. ხაზინაში ხდება აღნიშნული ანგარიშგებების ანალიზი და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილი იქნა ცვლილებები, სადაც გათვალისწინებულია ახალი მეთოდოლოგიით ფინანსური ანგარიშგების შედგენის სპეციფიკა.

რეფორმის წარმატებით განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიების სახით, ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად და ამ ფედერაციის (IFAC) პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით, მთარგმნელებისა და ე. წ. „მიმომხილველი კომიტეტის“ მიერ 2013 წელს განხორციელდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ქართულ ენაზე თარგმნა. განხორციელდა საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა გადამზადება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (IPSAS). სახაზინო სამსახურის აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის მიერ პირველ ეტაპზე ჩატარდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესავალი კურსი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელებისათვის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას. შემდგომ ეტაპზე იგეგმება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გაძლიერებული სწავლება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრების გადამზადების მიზნით.

ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვისა და ზოგადად, საჯარო სექტორში არსებული არაფინანსური აქტივების მართვის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2013-2014 წლებში საერთაშორისო ექსპერტის და ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა კვლე-

ვა, რაც ითვალისწინებდა გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების მდგრადი მეთოდის შემუშავებას საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი აქტივების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად.

კვლევის შედეგად მომზადდა ანგარიში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების შესახებ, რაც საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პერსპექტივის გათვალისწინებით, დეტალურად მოიცავს კვლევის პროცესში გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, ასევე, გრძელვადიანი აქტივების აღრიცხვის და ანგარიშგების არსებული მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით ამ აქტივების რეესტრის წარმოებისთვის გასათვალისწინებელ ძირითად მოთხოვნებს და რეკომენდაციებს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

რეფორმის ფარგლებში სახელმწიფო ხაზინაში, ასევე, მიმდინარეობს სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის PFMS დანერგვა, რომლის მიზანია სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის ოპერაციების განხორციელების გამარტივებისა და ოპერატიულობის გაზრდა. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს ფინანსური ოპერაციების წვდომას საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა დაწესებულების მხრიდან, ერთიანი ანგარიშთა სისტემის გამოყენებით, სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ტრანზაქციების და ჩანაწერების ერთიან სისტემაში ინტეგრირებას და მთავრობის აქტივპასივების ბალანსის არსებობას დროის რეალურ რეჟიმში. რეფორმის ფარგლებში საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელდა ხაზინის მთავარი წიგნის შემუშავება. პირველ ეტაპზე დაინერგა შრომის ანაზღაურების მოდული და ამოქმედდა 2013 წლის 1 იანვრიდან. ხაზინის მთავარი წიგნი იქმნება საბიუჯეტო ორგანიზაციების მთავარი წიგნების კონსოლიდირებით. სისტემაში განთავსებულია ასევე, „ალტერნატიული მთავარი წიგნი“, რომელიც ახდენს ხაზინის მთავარი წიგნის მონაცემების დეტალიზაციას ოპერაციების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და სამეურნეო მოვლენის დეტალების მიხედვით; ორგანიზაციის მთავარ წიგნში სამეურნეო მოვლენის აღრიცხვის ბუღალტრული გატარებები შეიძლება მხოლოდ იმ ოპერაციებით, რომელიც სისტემაში განთავსებული ოპერაციების ცნობარშია მითითებული და აღწერილი. მონეტარული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა სისტემაში ავტომატიზირებულია, ხოლო არამონეტარული ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას ორგანიზაცია ახდენს ე. წ. „დამოუკიდებელ მოდულში“ ცნობარის შესაბამისად ოპერაციის დარეგისტრირებით. მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, ასევე ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის საფუძველია:

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელო „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა 2001“ (GFS 2001) და მის საფუძველზე შედგენილი „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“;
- საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელო „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა 2001“ განსაზღვრავს სექტორებისა და ინსტიტუციონალური ერთეულების კონცეფციებს და შემდეგ ამ კონცეფციებს იყენებს სახელმწიფო მმართველობის სექტორისა და საჯარო სექტორის განსაზღვრისათვის: სახელმწიფო მმართველობის სექტორი მოიცავს ყველა ინსტიტუციონალურ ერთეულს, რომელიც უმთავრესად არასაბაზრო საქმიანობითაა დაკავებული, ხოლო საჯარო სექტორი მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორის ყველა ერთეულსა და ყველა საჯარო კორპორაციას. სახელმწიფო მმართველობის სექტორი შედგება სტრუქტურებისგან, რომელთა ძირითად საქმიანობას სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ფუნქციათა შესრულება წარმოადგენს.

სახელმწიფო სექტორის აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში გათვალისწინებულია ინსტიტუციონალური ერთეულის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: კერძოდ, ინსტიტუციონალური ერთეულის შესაძლებლობა საკუთარი სახელით ფლობდეს აქტივებსა და საქონელს, გულისხმობს იმას, რომ მას სხვა ინსტიტუციონალურ ერთეულებთან განხორციელებულ ოპერაციებში შეუძლია, ასევე, საქონელსა და აქტივებზე საკუთრების უფლებათა გაცვლა; ინსტიტუციონალურ ერთეულს შეუძლია მიიღოს ეკონომიკური გადაწყვეტილებები და განხორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, რომლისთვისაც იგი უშუალოდ იღებს პასუხისმგებლობას კანონის წინაშე; ინსტიტუციონალურ ერთეულს შეუძლია საკუთარი სახელით აიღოს ვალდებულებები, მიიღოს სხვა მოვალეობანი ან მომავალი ვალდებულებები და გააფორმოს ხელშეკრულებები. მეთოდოლოგიაში გამოყენებულია ნაკადების და მარაგების GFS 2001-ში მოცემული განმარტებები. საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობა რეგულირდება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს.

„ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია, რომ „სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები“, ასევე, „საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სახელმწიფო სექტორის ცალკეული კატეგორიების დაწესებულებებისთვის დაადგინოს კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენების ვალდებულება, მათი საქმიანობის გათვალისწინებით“. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესი განსაზღვრულია ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“. ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა მომზადებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია ფინანსური ანგარიშგების მიმართ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები. ორგანიზაციებს, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, უფლება აქვთ შეიმუშაონ ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდური მითითებები, შიდა აღრიცხვის წესები და ფორმები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებენ დარგობრივი სამინისტროები, უწყებები, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში – სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის წარმოებისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმებით“. საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის ძირითადად გამოიყენება დარიცხვის მეთოდი. ფულადი გრანტებისა და სხვა ნებაყოფლობითი ტრანსფერების აღრიცხვაში ასახვის დროის დადგენისას დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება. საკასო მეთოდის გამოყენება დასაშვებია საქონლისა და მომსახურების გაყიდვისას, ასევე აქტივების რეალიზაციის დროს, როცა ხდება იმავდროულად ფულადი სახსრების მიღება. ასევე, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით.

ანგარიშთა გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იყო როგორც სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიის (GFSM 2001) და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, ასევე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების შესაბამისი ანგარიშებისა, გამოყენებულია დამატებით სხვა ანგარიშებიც. რაც შეეხება საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრულ ანგარიშგებას, იგი რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (16.04.2008წ. N 364) „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

ანგარიშგების პაკეტი მოიცავს ბუღალტრულ ბალანსს ფორმა #1 და ბალანსის დანართ ფორმებს (6 დანართი). დამტკიცებული ფორმებით ბუღალტრული ანგარიშგება უნდა აწარმოონ სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა ორგანიზაციებმა და ამავე ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS), დარიცხვის მეთოდის სრულად დანერგვამდე, გარდამავალ პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა განხორციელდეს ალტერნატიული მოდელის – მოდიფიცირებული საკასო მეთოდის გამოყენებით. მოდიფიცირებული საკასო მეთოდის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული სისტემის, მიზანია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების თავსებადობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ეკვივალენტურ ანგარიშგებებთან. ამასთან, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგიასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განსაზღვრებებს, კლასიფიკაციებს და მითითებებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა. საბიუჯეტო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ინფორმაციას იმის შესახებ:

- იყო თუ არა რესურსები მოპოვებული და გამოყენებული დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;
- იყო თუ არა რესურსები მოპოვებული და გამოყენებული სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი მოთხოვნების, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ფინანსური შეზღუდვების მიხედვით;
- შეუძლია თუ არა ორგანიზაციას გააგრძელოს მოცემული დონით საქონლისა და მომსახურების მიწოდება, აგრეთვე, განისაზღვროს რესურსების ის მოცულობა, რომელიც უნდა მიეწოდოს ორგანიზაციას მომავალში ისე, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს, კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგებების ანალიზით მიღებული შედეგების მიხედვით უწყვეტად მიმდინარეობს აღრიცხვის და ანგარიშგებების მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სამოქმედო გეგმის მიხედვით ეტაპობრივად დაინერგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS). ამ ეტაპზე განიხილება შემდეგი სტანდარტების დაინერგვის საკითხი, რომელიც ძალაში შევა 2015 წლის 1 იანვრიდან:

სტანდარტი #2 – ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;

სტანდარტი #3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები;

სტანდარტი #4 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები;

სტანდარტი #6 – კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (07.02.1995);
2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (05.02.1999);
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (29.06.2012);
4. ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება სახელმწიფო სექტორში, სახელმწიფო ხაზინის საინფორმაციო მასალები, 2014;

Elena Kharabadze

Full Professor

Head of Chair of Accounting and Auditing Department

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Improvement of Accounting and reporting issues in public sector of Georgia

In order to improve the practice of financial management at every governmental level it is of great importance to introduce International Public Sector Accounting Standards (IPSAS), do accounting and financial reporting so that it ensures correspondence with international standards. It guarantees the high quality of and reliability towards public sector accounting.

The writing at hand focuses on the issues related with the introduction of International Public Sector Accounting Standards, it sheds light upon how the reform is carried out successfully as well as upon the use of modified cash-basis method and its gradual replacement with accrual accounting.

ფინანსური ინფორმაციის არსებითობის დონის განსაზღვრის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

სააღრიცხვო ინფორმაციის არსებითობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება განსაზღვრული შეფასებების გაკეთებისას. ნებისმიერი ხასიათის არსებითი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის გარეშე არ უნდა დარჩეს.

ფინანსური ანგარიშგების მუხლის არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: მუხლის სიდიდე ღირებულებით მაჩვენებელში, მისი ეკონომიკური შინაარსი და ამ ორი ფაქტორის კომბინაცია.

ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული სააღრიცხვო ინფორმაციის არსებითობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება განსაზღვრული შეფასებების გაკეთებისას. არსებითობა (მატერიალურობა) ფინანსური ანგარიშგების მუხლის, ან მუხლების ერთობლიობის ისეთ სიდიდეზე (ან ხარისხზე) მიუთითებს, რომლის წარუდგენლობა, ან დამახინჯებით წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში, გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება სამეურნეო ოპერაციების შესახებ არსებული ძალიან დიდი ინფორმაციის გარკვეული წესით, მათი ხასიათისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით აგრეგირებისა და დაჯგუფების საფუძველზე მზადდება. ამიტომ საჭიროა მათგან არსებითი ინფორმაციის გამოყოფა.

არსებითობის დონის დასაბუთება შორსაა სიზუსტისაგან. კონკრეტულ რეკომენდაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები არ იძლევა, არსებითობის დონის განსაზღვრა განხილულ იქნეს, როგორც კომპანიის ინდივიდუალური ამოცანა, რომელიც დაშვებებისა და განსჯის დროს მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს და აისახება სააღრიცხვო პოლიტიკაში. ფინანსური ამიტომ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ემპირიული მოსაზრებების და ფუძემდებლური პრინციპების გათვალისწინება. თვით ამ ტერმინის არსიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების ღირებულებითი მნიშვნელობა.

არსებითად უნდა ჩაითვალოს ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე მუხლი. ამავე დროს, მუხლის არსებითობა განპირობებულია არა მხოლოდ მისი ღირებულებით, არამედ მისი ხასიათით, ანუ ეკონომიკური შინაარსით. ეს უკანასკნელი კი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა იქნეს გაანალიზებული. ასე რომ, ფინანსური ანგარიშგების მუხლის ანალიზისას მისი **არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: მუხლის სიდიდე ღირებულებით მაჩვენებელში, მისი ეკონომიკური შინაარსი და ამ ორი ფაქტორის კომბინაცია.**

იმის შეფასებისას, შეუძლია თუ არა ინფორმაციის გამოტოვებას ან დაშვებულ უზუსტობას მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, ანუ

არსებითა, თუ არა იგი, საჭიროა მომხმარებელთა მახასიათებლების გაანალიზება.¹ ამ მახასიათებლებში კი იგულისხმება ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა.²

ბასს I-ით, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ აღიარებულია, რომ ბუნებით ერთგვაროვანი მუხლების ყოველი არსებითი კლასი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების და შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.³ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, ინფორმაციის არსებითობის სწრაფად დასადგენად, ფინანსური ანგარიშგების მუხლის ბუნებაც საკმარისია სხვა მონაცემებთან აგრეგირების გარეშე. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე ასახვა უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში არ მოითხოვება, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში ცალკე წარდგენას იმსახურებდეს.

ასე მაგალითად, ახალი სეგმენტის წარდგენამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება სერიოზულად შეცვალოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის დამოკიდებულება საწარმოს შესაძლებლობების პერსპექტივასა და რისკებთან მიმართებაში, მაშინაც კი, როცა შედეგები ძალიან მცირეა.⁴

წმინდა რაოდენობრივ ასპექტში არსებითობა განიხილება აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებელში. ამავე დროს შეფარდებითი მაჩვენებელი უფრო რელევანტურია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი დახასიათებისათვის. მაგალითად, 2 მლნ ლარის ხარჯების შეცდომით აღიარება შეიძლება არაარსებითი იყოს 2 მლრდ ლარის მოგების მქონე კომპანიისათვის, მაგრამ არსებითი იქნება 5 მლნ ლარის მოგების მქონე კომპანიისათვის. საჭიროა ასევე განისაზღვროს, იყო თუ არა შეცდომა განზრახ დაშვებული.

ნებისმიერი ხასიათის არსებითი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის გარეშე არ უნდა დარჩეს. ამავე დროს, ზედმეტად დეტალური და უმნიშვნელო ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებას მისი მომხმარებლებისათვის არააღქმადს ხდის.

მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულებისათვის მიკუთვნებული დანახარჯები შეადგენს 3,000 ათას ლარს. მათ შორისაა თვითღირებულებისათვის გაუმართლებლად მიკუთვნებული 2,900 ლარი. ამ ხარჯების არსებითობის დასადგენად შეიძლება გაკეთდეს სათანადო გაანგარიშებები. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ამ მაჩვენებელთა თანაფარდობა $2,900 / 3,000$ ათასი $* 100 = 0,096\%$. პირველადი შეფასების შედეგად ეს დარღვევა შეიძლება ჩაითვალოს არაარსებითად, ვიდრე დადგინდება თუ რა მოცულობის დოკუმენტების შემოწმებით გამოვლინდა ეს ცდომილება. თუ აუდიტორის მიერ შემოწმებული დოკუმენტები 41,000 ლარის ხარჯების გაწევას ადასტურებს, მაშინ თანაფარდობა $2,900 / 41,000 * 100 = 7,07\%$ -ის ტოლი იქნება. ეს მაჩვენებელი მოცემული სიმრავლისათვის უკვე მნიშვნელოვანია. დანახარჯების მთლიან მოცულობაზე განზოგადებისას კი ცდომილების სიდიდე $3,000$ ათასი $* 7,07 / 100 = 212,000$ ლარს შეადგენს. დარღვევის ეკონომიკური შინაარსით განისაზღვრა, რომ ეს არის ანგარიშვალდებული პირის მიერ თანხის მითვისება, ანუ ეკონომიკური დანაშაული და პასუხისმგებლობა რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით. ამრიგად, იგი მოცულობის მიუხედავადც არსებით ხასიათს იძენს. აღნიშნული ცდომილება წინას-

¹ ბასს I. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. პ. 7, თბ., 2009.

² ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები. პ. 25, თბ., 2009.

³ ბასს I. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა პ. 29, თბ., 2009.

⁴ იქვე.

წარგანზრახვით გამოწვეული კი არა, გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომის შედეგად რომ იყოს, მაინც არსებითად ჩაითვლებოდა მისი მოცულობის გამო. ამრიგად, აქ **არსებითობის განსაზღვრელ ორი ფაქტორის** კომბინაციასთან გვაქვს საქმე.

პრაქტიკული თვალსაზრისით არსებითობა თავისთავად წარმოადგენს, არა მხოლოდ და არა იმდენად ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ დახასიათებას, რამდენადაც „ზღურბლს“, „ზღვარს“, „გადაჭრის წერტილს“ (Cut-off Point), რომლის იქითაც დაშვებული არანაირი შეცდომა, დამახინჯება, გამოტოვება არ შეიძლება საწარმოს მიერ სათანადო შესწორების გარეშე იქნეს დატოვებული. არსებითობის ზღურბლის შესახებ რაიმე **კონკრეტული ციფრი სტანდარტებით განსაზღვრული არ არის.** არსებითობის ზღურბლის დადგენა გონივრული განსჯის საფუძველზე უნდა მოხდეს თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არსებითობა მოიცავს ანალიზის როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ელემენტებს.

ხშირად პრაქტიკაში ბალანსის მუხლების არსებითობის კრიტერიუმში განისაზღვრება პროცენტულად ბალანსის ვალუტის მიმართ, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლებისათვის პროცენტულად საერთო ამონაგების მიმართ. ჩვეულებრივ, მუხლის არსებითობის ასეთი ზღურბლი დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მენეჯმენტზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებითობის დონის დადგენის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რომლის თანახმადაც არსებითად უნდა ჩაითვალოს შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები, თუ მათი ოდენობა დასაბეგრი მოგების 5%-ს, წმინდა მოგების 2-3%-ს ან გაყიდვებიდან ამონაგების 0,5%-ს აღემატება. ბალანსის უტყუარობის შეფასებისას არსებითობის დონედ მოიაზრება მთლიანი აქტივების 0,3-0,5%, ან აქციების საერთო ღირებულების 1%-2%. ამავე დროს, პრაქტიკით შემოთავაზებული ზოგიერთი ემპირიული მოსაზრებებით მოგებაზე ორიენტირებული 2 მლნ დოლარზე მეტი შემოსავლის მქონე საწარმოებისათვის არსებითად ითვლება წმინდა მოგების 5%-იანი, 2 მლნ. დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე საწარმოებისათვის დასაბეგრი მოგების 5-10 %, ან საერთო შემოსავლის 1%-იანი ზღვარი.⁵

განსაკუთრებულ მნიშვნელობას არსებითობის დონის განსაზღვრის პრობლემა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას იძენს, რადგანაც ამ დროს არსებითობის ზღურბლის დადგენა აუცილებელია, როგორც მთლიანად ჯგუფის, ასევე მისი ინდივიდუალური კომპონენტებისათვის (შვილობილი კომპანიებისათვის, ერთობლივი საწარმოებისათვის, ფილიალებისათვის). ცალკეული კომპონენტისათვის განისაზღვრება არსებითობის განსხვავებული დონე, რომელიც ჯგუფის არსებითობის დონეზე დაბალი უნდა იყოს. ამავე დროს ამ კომპონენტების არსებითობის დონე არ შეიძლება შეადგენდეს ჯგუფური არსებითობის მარტივ პროპორციულ ნაწილს და ამ კომპონენტების არსებითობის დონეთა ჯამი შეიძლება უფრო მაღალი იყოს მთლიანად ჯგუფის არსებითობის დონესთან შედარებით.⁶

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულია, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცალკე უნდა იყოს წარდგენილი ინფორმაცია საოპერაციო სეგმენტის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი რაოდენობრივი ზღვრებიდან რომელიმეს:

- თუ მისი ამონაგები შეადგენს ჯგუფის გაერთიანებული ამონაგების 10%-ს და მეტს;

⁵ <http://www.e-economic.co.uk/accountingsystem/glossary/materiality-principle>

⁶ Антон Орлов. Уровень существенности в МСФО. ж. "Актуальная бухгалтерия" 11 апреля 2014

- თუ მისი საანგარიშგებო მოგების ან ზარალის აბსოლუტური თანხა შეადგენს შემდეგი ორი აბსოლუტური სიდიდიდან უდიდესის 10%-ს და მეტს: 1 – მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში მომგებიანი ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო მოგება და 2 – ზარალის მქონე ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო ზარალი;
- თუ მისი აქტივები ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული აქტივების 10% და მეტს შეადგენს.

თუ კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ინფორმაცია რომელიმე სეგმენტის შესახებ ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისათვის სასარგებლოა, მაშინ ის წარდგენილი უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითობის რაოდენობრივი ზღვარის მიუხედავად.⁷

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის არსებითობის დასადგენად, კრიტერიუმების შერჩევასას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მოცულობა;
- კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის განსაკუთრებით საინტერესო მუხლები (მოგება, ამონაგები ან წმინდა აქტივები);
- სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკა, დარგობრივი და ეკონომიკური გარემო, რომელშიც სამეურნეო სუბიექტს უხდება საქმიანობა;
- სამეურნეო სუბიექტის საკუთრების სტრუქტურა და მისი დაფინანსების მექანიზმი;
- კრიტერიუმების შედარებითი ცვალებადობა.

სამეურნეო სუბიექტებმა კონკრეტული გარემოებებისათვის შეიძლება შეარჩიონ შემდეგი მაჩვენებლები, რომელთა მიმართაც დგინდება არსებითობის კრიტერიუმები: მოგება დაბეგვრამდე, მთლიანი ამონაგები, საერთო მოგება და მთლიანი ხარჯები, მთლიანი საკუთარი კაპიტალი, ან წმინდა აქტივების ღირებულება. შერჩეული კრიტერიუმების მიმართ გამოყენებული პროცენტული მაჩვენებელი პროფესიული განსჯის საფუძველზე განისაზღვრება. ამავე დროს, დაბეგვრამდელი მოგების მიმართ უფრო მაღალი პროცენტის სიდიდე უნდა იქნეს გამოყენებული, ვიდრე მთლიანი ამონაგების მიმართ.

მაგალითად, კომერციული სამრეწველო საწარმოებისათვის არსებითობის შესაფერის დონედ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაბეგვრამდელი მოგების 5%, ხოლო არაკომერციული სამეურნეო სუბიექტებისათვის მთლიანი ამონაგების, ან მთლიანი ხარჯების 1%. მცირე საწარმოების შემთხვევაში, როცა მესაკუთრე დაბეგვრამდელი მოგების დიდ ნაწილს ანაზღაურების სახით იღებს, არსებითობის შესაფერის კრიტერიუმად ჩაითვლება: მოგება ანაზღაურებამდე და დაბეგვრამდე. სახელმწიფო სექტორის საწარმოებში კი შესაფერის კრიტერიუმად მიიჩნევა მთლიანი დანახარჯი, წმინდა დანახარჯი, ან აქტივები.⁸

ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი შედგენისას დაშვებული შეცდომების არსებითობა. ზოგჯერ ფინანსური შედეგების გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომა რაოდენობრივად მცირეა, მაგრამ შეუძლია შეცვალოს მომხმარებლის ეკონომიკური გადაწყვეტილება. მაგალითად, საწარმოს შემოსავლებმა შეადგინა – 200,000 ლარი, ხარჯებმა – 198, 000 ლარი, მოგებამ – 2,000 ლარი. გარკვეული დროის შემდეგ დადგინდა ხარჯების 3,000 ლარით შემცირების

⁷ ფასს 8 საოპერაციო სეგმენტები. პ. 12, თბ., 2009.

⁸ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 320 „არსებითობა აუდიტის ჩატარებისა და დაგეგმვის დროს“. პ. გ7, თბ., 2009.

ფაქტი, რამაც შეცვალა ფინანსური შედეგი და მოგების ნაცვლად გამოვლინდა ზარალი 1,000 ლარის ოდენობით (200,000 – 201,000). დაშვებული შეცდომა, ხარჯების 3,000 ლარით შემცირება, რომელიც შემოსავლის 1.5%-ს შეადგენს, მისი მცირე აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდის მიუხედავად, არსებითია, რადგანაც მისმა შესწორებამ მომგებიანი საწარმო ზარალიანად აქცია. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, უარი თქვას ზარალიან საწარმოში ინვესტირებაზე.

ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დადასტურებისას აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- უზუსტობები, მათ შორის გამოტოვებული ინფორმაცია არსებითად მიიჩნევა, თუ გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში გავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებლის მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე;
- არსებითობის საკითხის განსჯა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ხორციელდება და მასზე გავლენას ახდენს უზუსტობის სიდიდე ან ხასიათი, ან ორივე ერთად;
- ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის არსებითი საკითხების განსჯა ეყრდნობა მათი, როგორც გარკვეული ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციას და არ განიხილება უზუსტობების გავლენა კონკრეტულ ინდივიდუალურ მომხმარებლებზე, რომელთა მოთხოვნილებები შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს.⁹

ინფორმაციის არსებითობის დადგენა ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში უნდა მოხდეს, მაგრამ გარკვეული ინფორმაციის წარდგენისათვის ნაკლები დასაშვები არსებითობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი განსაზღვრა კონკრეტული კომპონენტისათვის.

არსებითი უზუსტობების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის მოცულობა და ხასიათი (რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები). ხარისხობრივად არსებითად ჩაითვლება: არსებულ ნაშთებთან და ოპერაციებთან დაკავშირებული თაღლითობები, კანონმდებლობითა და ნორმატივებით რეგულირებული მოვლენებიდან გადახრები, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი მოვლენები.

ლიტერატურა:

1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. თბ., 2009.
2. ბასს 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. თბ., 2009.
3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 320 – არსებითობა აუდიტის ჩატარებისა და დაგეგმვის დროს. თბ., 2009.
4. ახორავა, ნ.კვატაშიძე, ნ.სრესელი, ზ.გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბ., 2014
5. Materiality Concept. <http://accountingexplained.com/financial/principles/materiality>.
6. Materiality Principle – What is the Materiality Principle? <http://www.e-economic.co.uk/accountingsystem/glossary/materiality-principle>
7. С.М.Бычкова, Т.М.Алдарова. Понятие достоверности и существенности в бухгалтерском учете. Аудиторские ведомости. 2007, №1.
8. Антон Орлов. Уровень существенности в МСФО. ж. "Актуальная бухгалтерия" 11 апреля 2014

⁹ ბასს 1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. პ.7, თბ., 2009.

9. <http://www.fbk.ru/publications/columns/9706/>
10. <http://www.e-conomic.co.uk/accountingsystem/glossary/materiality-principle>
11. <http://www.business-case-analysis.com/materiality-concept.html>
12. <http://www.audit-it.ru/articles/account/assets/a8/303341.html>
13. <http://spiffyd.hubpages.com/hub/Accounting-concepts-Materiality>

AnJeli Khorava

Lecturer of Ivane Javakishvili Tbilisi State University

The Theoretical and practical aspects for determining the materiality level of financial information

Materiality is one of the most important features of accounting information, upon which decisions are made. Any kind of material information must be reflected in financial statements.


Materiality of financial statement caption is determined based on either the value or economic substance, or a combination of both of them.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სრულყოფის საკითხები კომერციულ ბანკებში

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასება უადრესად რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მისი საქმიანობის კომპლექსური მახასიათებლის მაჩვენებლებს. ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების რიცხვს მიეკუთვნება: კაპიტალის საკმარისობის, აქტივების ხარისხის, რენტაბელობის, ლიკვიდურობის, რისკის დონის მაჩვენებელი. ყველა ჩამოთვლილ მაჩვენებლებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი სქემით.

სქემა 1.



ბანკის კაპიტალი შეიცავს სახსრებს, რომლებიც შემოიტანეს მფლობელებმა სააქციო კაპიტალიში, რეზერვებში, ფონდებში გაუნაწილებელ მოგებაში.

ბანკის დაარსების ეტაპზე კაპიტალის დანიშნულებაა მატერიალური ბაზის შექმნა, რომელიც სჭირდება საკრედიტო დაწესებულებას თავისი საქმიანობის დაწყები-

სათვის. შემდეგ კი – მისი გაფართოებისა და მოდერნიზაციისათვის. შემდეგში ეს ფუნქცია მეორეხარისხოვნად იქცევა და პირველ რიგზე გამოდის მისი დამცველობითი ფუნქცია (მეანაბრეთა ინტერესების დაცვა, თუ ბანკი ლიკვიდირებული იქნა, შესაძლო დანაკარგების ნეიტრალიზაცია) და მარეგულირებელი ფუნქცია (ბანკის წარმატებული საქმიანობისათვის საბანკო სისტემის საერთო დონის მხარდაჭერა).

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეანაბრეთათვის მაგალითად, (აშშ) კაპიტალის დამცველობით ფუნქციას არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა, როგორც სამამულო მეანაბრებისათვის, რამდენადაც ამერიკული ბანკის შემთხვევაში მათი დეპოზიტები (100 ათას დოლარამდე) დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციების მიერ 100%-იან ანაზღაურებას ექვემდებარებიან.

კაპიტალის სტრუქტურის მეშვეობით, რეგულირების სახელმწიფო ორგანოები აწესებენ და აკონტროლებენ საბანკო საქმიანობის ნორმებს იმ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო დაწესებულების პრაქტიკა არასაფუძვლიანი და საშიშად ესახებათ, უწევენ კორექტირებას.

ბანკის კაპიტალი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განიხილება როგორც ორდონიანი.

პირველადი კაპიტალი შედგება:

- გადახდილი სააქციო კაპიტალისაგან;
- სასწრაფო და არასასწრაფო პრივილეგირებული აქციებისაგან;
- ღია რეზერვებისაგან, რომლებიც დადგენილია საკანონმდებლო წესით და აგრეთვე საემისიო შემოსავლებისაგან;
- წინა წლებში გაუნაწილებელი მოგების ნაშთისაგან;

აქედან გამორიცხულია: კაპიტალის შემადგენლობაში ჩათვლილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც არ გააჩნიათ რეალური შეფასება, მიმდინარე წლის გამოუქვეყნებელი ზარალი.

მეორადი კაპიტალი შეიცავს:

- დაფარულსა და საერთო რეზერვებს (სავალუტო კურსის მერყეობის შემთხვევაში აქტივების, ფასიანი ქაღალდების, გაუთვალისწინებელი ზარალის დროს), ან მომავალში შესაძლებელი აქტივების გაუფასურების შემთხვევაში გადაფასებისათვის. დაფარულში ითვლება მხოლოდ ისეთი რეზერვები, რომლებიც არ ქვეყნდებიან, მაგრამ შეტანილნი არიან მოგების და ზარალის ანგარიშში და განხილულ იყვნენ საბანკო სამეთვალყურეო ორგანოების მიერ;
- უვადო პრივილეგირებული აქციები (გამოსყიდვას დაქვემდებარებული და დაუქვემდებარებელი);
- სუბორდინირებულ ობლიგაციებს, რომლებიც კონვერტირებულნი არიან ჩვეულებრივ აქციებად;
- არასასწრაფო და სასწრაფო სუბორდინირებული ვალდებულებები.

საბანკო სისტემის რეფორმის გატარების დროს, განსაკუთრებით ბოლო წლებში, საქართველოს მარეგულირებელი ორგანოები ორიენტაციას იღებენ ძირითადად, ბაზელის შეთანხმებაში გამოსახულ კაპიტალის ფორმირების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. მისი გაანგარიშება უნდა განხორციელდეს ორი ხერხით (იხ ცხრილი 1)

ანგარიშების შედგენის ინსტრუქციის მიხედვით და მიღებული კაპიტალის ფორმირების წესებს შორის განსხვავება დიდი არა არის და მდგომარეობს შემდეგში:

- სამამულო ბანკებში ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე შექმნილი ღია რეზერვების მაგივრად იმყოფება ფონდები, რომლებიც შექმნილია ასევე წმინდა მოგების ხარჯზე;
- საზღვარგარეთის ბანკებში პირველი დონის კაპიტალი წარმოდგენილია გადახდილი აქციებით, ხოლო ჩვენთან – რეგისტრირებულით;

სქემა 2

კომერციული ბანკის კაპიტალის გაანგარიშების სქემა

კაპიტალის გაანგარიშების სქემა		კაპიტალის გაანგარიშების სქემა	
პირველადი კაპიტალი		ძირითადი კაპიტალი	
1	რეგისტრირებული ჩვეულებრივი აქციები	1	საწესდებო კაპიტალი
2	რეგისტრირებული პრივილეგირებული აქციები	2	ემისიური შემოსავალი
3	რეგისტრირებული ერთობლივი საწესდებო ფონდი	3	უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება
4	ემისიური შემოსავალი	4	საკრედიტო ორგანიზაციების ფონდების ნაწილი
5	კაპიტალის გაანგარიშებისას გათვალისწინებული ფონდები	5	მიმდინარე წლის მოგების ნაწილი
6	სულ: (სტრ1+2+3+4+5)	6	მიმდინარე წელს ჩამოყალიბებული ფონდების ნაწილი
7	გამორიცხულია:	7	ფასიანი ქაღალდების გაუფასურებისათვის ფორმირებული რეზერვების ნაწილი
8	აქციონერებისაგან გამოსყიდული საკუთარი აქციები	8	საწესდებო კაპიტალისა და საკუთარი სახსრების სხვაობა
9	სპეციალური დანიშნულების სხვა ფონდები	9	დამატებითი საკუთარი სახსრები
10	წლის განმავლობაში მოგების მიზნობრივად მიმართვისა და განაწილების შემდეგ მიღებული წმინდა ზარალი	10	სულ: სტრ. 1-9 ჯამი
11	სესხების შესაძლო დანაკარგების გაანგარიშებითი და შექმნილი რეზერვებს შორის სხვაობის ანაზღაურება	11	არამატერიალური აქტივები
12	არამატერიალური აქტივები	12	საკუთარი გამოსყიდული აქციები
13	სულ: (სტრ.7+8+9+10+11)	13	წინა წლების დაუფარავი ზარალი
	პირველადი ერთობლივი კაპიტალი (სტრ.6-12)	14	მიმდინარე წლის ზარალი
		15	ძირითადი კაპიტალი სულ: სტრ. 10-(11+12+13+14)

	მეორადი კაპიტალი		დამატებითი კაპიტალი
14 15	განაწილების შემდეგ წლის წმინდა მოგება	16	ჩატარებული გადაფასების შედეგად ქონების ღირებულების ზრდა
16	ძირითადი საშუალებების გადაფასება	17	სესხებზე შესაძლო დანაკარგების
17	რისკის პიველი ჯგუფის სესხების დანაკარგების რეზერვი	18	რეზერვის ნაწილი
18	სულ: სტრ. (15+16+17)	19	მიმდინარე წელს ჩამოყალიბებული ფონდები (ან მათი ნაწილი)
19	ის ნაწილი, რომელიც შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს კაპიტალში min (14. 18)	20	მიმდინარე წლის და წინა წლების მოგება (ან მათი ნაწილი)
20	ბანკებში და ფინანსური ორგანიზაციებში დაბანდებული ინვესტიციები	21	სუბორდინირებული კაპიტალი
21	კომპანიების ინვესტიციები	22	საწესდებო კაპიტალის ნაწილი, ჩამოყალიბებული ქონების
22	სულ: (სტრ. 19+20)	23	გადაფასების კაპიტალიზაციის შედეგად.
	ბანკის კაპიტალი (სტრ.13+18-21)	24	პრივილეგირებული აქციები.
		25	საწესდებო და საკუთარ კაპიტალს შორის სხვაობა.
		26	წინა წლის მოგება.
		27	დამატებითი კაპიტალი სულ: სტრ. 16-24
		28	მეორე და მეოთხე ჯგუფის სესხების რისკზე შეუქმნელი რეზერვის
		29	სიდიდე.
		30	ფასიან ქალაქებში გაუფასურებისას შენატანების შეუქმნელი რეზერვის
		31	სიდიდე.
		32	ოცდაათ დღეზე მეტით გადავადებული სადებეტო
		33	დავალიანება.
		34	ბანკის შენატანები შვილობილ, დამოუკიდებელი საზოგადოებების და საკრედიტო ორგანიზაციების აქციებში.
			ორგანიზაცია-რეზიდენტების სუბორდინირებული კრედიტები. შუალედური ჯამი სტრ. 15+25-26+30
			ლიმიტს ზევით გაცემული კრედიტები, გარანტიები და თავდებობა.
			საკუთარ წყაროებზე მეტის დახარჯვა მატერიალური აქტივების შესამენად.
			საკუთარი სახსრები (კაპიტალი (31-32-33 სტრ))

- დასავლეთის ბანკების მეორე დონის კაპიტალის შემადგენლობაში შედის ე. წ. დაფარული რეზერვები, რომლებიც თუმცა გამოუქვეყნებლნი არიან, მიუხედავად ამისა აისახებიან მოგებისა და ზარალის ანგარიშზე, და შეუძლიათ ჰქონდეთ ისეთივე ხარისხი, როგორც გამოუქვეყნებულ წმინდა მოგებას, რომელიც სამამულო ბანკებისათვის მეორად კაპიტალს წარმოადგენენ.

რაც შეეხება მეორად კაპიტალს, მისი სტრუქტურა დეტალიზირებულია, ვინაიდან სამამულო ბანკები აქციების გარდა ფასიანი ქაღალდების სხვა სახეობების ემისირებას არ ახდენენ, რეომლებიც მიეკუთვნებიან მეორად კაპიტალს. გარდა ამისა, საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების ბაზელის კომიტეტმა უარყო წინადადება დამატებითი რეზერვების განსაზღვრისას ლატენტური რეზერვების მიკუთვნების შესახებ. ე. ი. ძირითადი საშუალებების გადაფასების პოზიციას არ მიაკუთვნებს მეორად კაპიტალს.

ამ მეთოდის მიხედვით, კაპიტალი იყოფა ძირითადად და დამატებითად. ძირითადი კაპიტალი ძალიან გავს პირველად კაპიტალს, თუმცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მიმდინარე წლის მოგება არ შედის პირველად კაპიტალში. რაც შეეხება დამატებით კაპიტალს ბაზელის შეთანხმების თანახმად მისი ელემენტები შეიძლება იქნენ შეტანილნი კაპიტალის ბაზაში ყველა ქვეყნის ხელისუფლები შეხედულებისამებრ აღრიცხვისა და ზედამხედველობის საერთაშორისო წესების გათვალისწინებით.

განვითარებულ ქვეყნებს შორის მიღწეულია პრინციპული შეთანხმება საბანკო კაპიტალის სიდიდის განსაზღვრის, როგორც საზღვარგარეთის, ასევე სამამულო სპეციალისტებისათვის ბევრი საკითხი მაინც სადაო რჩება. ასე მაგალითად არაერთმნიშვნელოვანია სარეზერვო ფონდის ბანკის კაპიტალში მიკუთვნება (თუმცა მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და მსგავს ფუნქციებს ასრულებენ).

ამ მხრივ სამართლიანია მლ. ჯ. სინკის მტკიცება, რომელსაც მიაჩნია, რომ „არაცერთი ჭკვიანი კრედიტორი არ მიიჩნევა პოტენციური მევალის ცუდი ვალების დასაფარ სარეზერვო ფონდს, როგორც ფირმის კაპიტალის ნაწილს და მეორეხარისხოვან ვალს (უფრო დაბალი სტატუსის ობლიგაციები, რომლებიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მეორე რიგში ანაზღაურდება) არ ჩათვლის სააქციო კაპიტალის ეკვივალენტურად“.¹ ასევე ეხება თვით ბანკების კაპიტალსაც. მათი რეზერვები მხოლოდ გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალის შემადგენელ ელემენტად. მათი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც რჩება გადავადებული სესხების ანაზღაურების შემდეგ და მიმართულია სააქციო კაპიტალის გასაზრდელად, შეიძლება ჩაითვალოს მის რეალურ შემადგენლად.

საერთოდ, ბანკის საკუთარ სახსრებზე რეზერვის გავლენა რთული და მრავალგვარია. მათი ფორმირების მომენტში რეზერვები ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებენ ბანკის კაპიტალის სიდიდეს.

შეფარდებითი მაჩვენებლების სისტემის გამოყენება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობას აფართოებს, კერძოდ, მისი საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლისა.

კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) ცნება თავის მხრივ აკუმულირებას უკეთებს მის ისეთ თვისებებს, როგორიც არის საიმედოობა, ბანკის მდგრადობა, არაკეთილსასურველი ფაქტორებისადმი გამძლეობა, შესაძლებლობა დააღწიოს თავი ზარალიდან მიყენებულ ზიანს, ამასთან, ბანკისათვის საკმარისი კაპიტალის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას უდარებენ მას- შენატანების საერთო თანხას, მთელ აქტივებს, მაღალი რისკის აქტივებს, სესხებს და ინვესტიციებს, დეპოზიტებს თუ სხვა მაჩვენებლებს.

¹ М. Синк, Финансовый менеджмент: Учебное пособие- М. Изд. АО «Консалтбанкир», 1996 г. с. 775.

ყველაზე მეტად მიღებული აზრი, რომ კაპიტალის საკმარისობა პირდაპირ არის დამოკიდებული რისკის ჯამზე და პროფილზე, რომელზედაც მიდის ბანკი თავის საქმიანობაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი კაპიტალის სიდიდეზე სხვადასხვა სახის გავლენის დადგენის ხერხი.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზელში მიღებული შეთანხმებები განიცდიან ბანკის კაპიტალის საკმარისობის შეფასების კომპლექსური მიდგომის ნაკლებობას, ითვალისწინებენ რისკის მხოლოდ ერთ სახეს-საკრედიტოს, წარმოადგენენ წინგადადგმულ ნაბიჯს მსოფლიო ბანკის კაპიტალის მოთხოვნილებებთან მიახლოებისაკენ.

მოცემული მოთხოვნები წაეყენება ერთის მხრივ კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც არ უნდა იყოს არანაკლებ 5 მილიონი ეკიუ და მეორეს მხრივ, მისი შეფასებითი მაჩვენებლების მინიმალური ზღვრის დადგენის გზით.

საკუთარი კაპიტალი

_____ . 100 % > 8%
 აქტივების ჯამობრივი მოცულობა, შეწონილი რისკის გათვალისწინებით

პირველადი კაპიტალი

_____ . 100% > 4 %
 აქტივების ჯამობრივი მოცულობა, შეწონილი რისკის გათვალისწინებით

პირველად და მეორად კაპიტალებს შორის შეფარდება უნდა იყოს 1:1.

კაპიტალის შეფასება რისკის გათვალისწინებით ახალი არ არის, ამ ხერხის განსხვავება წინასაგან მდგომარეობს ბანკის მიერ სარისკო სახის საბალანსო და ბალანსგარეშე საქმიანობისათვის აუცილებელი რეზერვების ფორმირების მოთხოვნების წამოწევაში. ამასთან აქტივების შეფასება მათი რისკის ხარისხის გათვალისწინებით ხორციელდება სტანდარტული ნორმატივების საფუძველზე.

სამწუხაროდ, ამჟამად სამამულო ბანკების კაპიტალის ბაზის საერთო დონე მსოფლიო მნიშვნელობებთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ამასთან, როგორც სამართლიანად თვლიან ზოგიერთი ექსპერტები, სამამულო ბანკებს საეჭვო უტყუარობა ახასიათებთ.

კაპიტალის საკმარისობის ნორმატივი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

$$HL = K / (AP + KPB + KPC - P_{II} - P_k - P_d) \cdot 100\%$$

სადაც, AP – აქტივების ჯამი ბანკის შეწონილი რისკის გათვალისწინებით;

KPB – საკრედიტო რისკის სიდიდის ინსტრუმენტები, რომლებიც ასახულია ბალანსგარეშე ბუღალტრულ ანგარიშებში;

KPC – სწრაფი გარიგებების საკრედიტო რისკის სიდიდე;

P_{II} – ფასიანი ქაღალდების გაუფასურების მიხედვით შექმნილი რეზერვის საერთო სიდიდე;

P_k – სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი, რომელიც შექმნილია სარისკო კატეგორიის სესხებისათვის;

P_d – შექმნილი რეზერვის სიდიდე სხვა დანაკარგებისათვის სწრაფი აქტივების და დებიტორებთან ანგარიშსწორებისათვის;

HL-ის დაშვებული ნორმატივის მინიმალური მნიშვნელობა დგინდება ბანკის კაპიტალის 7%-იან სიდიდესთან დამოკიდებულებით.

კაპიტალის საკმარისი სიდიდის განსაზღვრის საშუალებები, რომლებსაც აწესებენ მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენენ მის საბუღალტრო შეფასებას. მათ

უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ბანკის სავალო ვალდებულებების სიდიდისა და მისი აქტივების შესაბამისობის ოპტიმიზაცია. სააღრიცხვო პროცედურების ნაკლოვანებებს მიეკუთვნება კაპიტალის რეალური მოცულობის სისტემატური შეუფასებლობა.

მეორე მიდგომას წარმოადგენს შეფასების საბაზრო საშუალება, რომლის დროსაც კაპიტალის სიდიდე იზომება როგორც ერთი აქციის ფასი, გამრავლებული მიმოქცევაში მყოფი აქტივების რაოდენობაზე და მისი საკმარისობის მინიმალური დონე დამოკიდებულია ბაზრის პირობებზე და არა იმ შეზღუდვებზე, რომლებსაც აწესებენ საზედამხედველო ორგანოები. თუმცა კაპიტალის შეფასების მეორე საშუალება უფრო ზუსტია, ბანკების აქტივების ფასის განსაზღვრისას წარმოქმნილი პრობლემები, რომლებსაც ბანკები არ წარადგენენ კოტირებისათვის, ის რომ ბაზარი ბევრ ადგილობრივ ბანკებზე არ ახდენს დისციპლინარულ ზემოქმედებას, სამამულო მეანაზრის დაუზღვევი დეპოზიტის დაკარგვის რეალობა აძნელებენ საქართველოს კომერციული ბანკების მიერ მოცემული მეთოდის გამოყენებას. ასვე საზღვარგარეთის ბანკებშიც.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელ მაჩვენებლების შემდეგ ჯგუფს, რომელიც უშუალო კავშირშია მისი კაპიტალის სიდიდესთან, მიეკუთვნება ბანკის აქტივების ხარისხის მაჩვენებლები.

ბანკის საქმიანობა სხვა სახის ბიზნესისაგან შედარებით მეტ რისკს განიცდის, ბანკის აქტივების ხარისხის შეფასების მეტად გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს მათი კლასიფიკაცია მათთვის ჩვეული საკრედიტო რისკის პოზიციიდან გამომდინარე. ანუ მევალებების მიერ აღებული სესხების დაუბრუნებლობის რისკი.

ბაზელის შეთანხმების შესაბამისად აქტივებს აფასებენ მოცემული რისკის გათვალისწინებით კაპიტალის საკმარისი სიდიდის განსაზღვრის მიზნისათვის.

მათი ხარისხის შეფასება ხორციელდება განმაზოგადებელი მაჩვენებლების საფუძველზე.

$$RAA = 0,1A_1 + 0,1A_2 + 0,2A_3 + 0,5A_4 + 1,0A_5$$

სადაც,

RAA – ბანკის ჯამობრივი აქტივებია მათი შეწონილი რისკის ხარისხის გათვალისწინებით;

A₁, A₂, A₃, A₄, A₅ – ხუთი ჯგუფის აქტივებია;

0; 0,1; 0,2; 0,5; 1,0 – საბაზრო და საკრედიტო რისკის ხარისხის შესაბამისი კოეფიციენტებია.

აქტივების კლასიფიკაციის სისტემის გარდა, დასავლეთში იყენებენ სხვასაც, მაგალითად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ბანკის შემოთავაზებული სისტემა აქტივებს ყოფს „კარგებად“, „განსაკუთრებულად“ და „ნეგატიურად რანჟირებულნი“ (შიშის გამომწვევნი, საეჭვონი, წამგებიანნი).

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის განსაზღვრის მეთოდის დამუშავებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ბაზელის შეთანხმების საფუძველში ჩადებული აქტივებისა და მათი შეწონილი სიდიდის გაანგარიშების კლასიფიკაციის პრინციპები.

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის თანახმად, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები რისკის ხარისხისა და შესაძლო გაუფასურების გათვალისწინებით დაყოფილია ოთხ კატეგორიად:

- ა) I კატეგორიის აქტივები, 0% რისკი – რისკის კოეფიციენტი 0;
- ბ) II კატეგორიის აქტივები, 20% რისკი – რისკის კოეფიციენტი 0.2;
- გ) III კატეგორიის აქტივები, 50% რისკი – რისკის კოეფიციენტი 0.5;
- დ) IV კატეგორიის აქტივები, 100% რისკი – რისკის კოეფიციენტი 1.0.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშების აღნიშნული მეთოდიკა დამყარებულია საერთაშორისო მოთხოვნების პრინციპებზე. თუმცა ამ მეთოდიკის ზოგიერთ პოზიცია მთლიანად ვერ ითვალისწინებს ქვეყნის დღევანდელ რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ვინაიდან კომერციული ბანკების აქტივების ხარისხი განისაზღვრება პირველ რიგში ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენლობით, როგორცაა სესხები, საბანკო აქტივების კლასიფიკაცია უნდა შეივსოს სესხების კლასიფიკაციით – უზუნველყოფის ხარისხი (უზრუნველყოფილი სესხი, ნაკლებად უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი) და საკრედიტო რისკის დონე. საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ყველა სესხი მიზანშეწონილია დაიყოს ოთხ ჯგუფად:

- I ჯგუფი – სტანდარტული სესხები (პრაქტიკულად ურისკო);
- II ჯგუფი – არასტანდარტული სესხები (დაუზრუნებლობის ზომიერი დონის რისკი);
- III ჯგუფი – საეჭვო სესხები (დაუზრუნებლობის მაღალი დონის რისკი);
- IV ჯგუფი – უიმედო სესხები (დაზრუნების ალბათობა არ არის).

თუმცა აქტივების კლასიფიცირება მათი დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით ოფიციალურ ანგარიშგებაში განიხილება როგორც მათი ხარისხის შეფასების ძირითადი საშუალება, მოცემული მიდგომა არ შეიძლება იქნეს ერთადერთი, ვინაიდან დაბალი დონის რისკის მქონე აქტივები, რომლებსაც არ მოაქვთ შემოსავალი ან მოაქვთ არასტაბილური შემოსავალი, შეიძლება ჩაითვალოს ხარისხიანად. ამასთან დაკავშირებით, აქტივების ხარისხიანობის *სხვა მაჩვენებელთა რიცხვს საჭიროა მივაკუთვნოთ: მათი შემოსავლიანობა (რენტაბელობა) და ლიკვიდურობა. აქტივების ხარისხი აგრეთვე მდგომარეობს პირდაპირ დამიკვიდებულებაში მათი სტრუქტურის მიზანშეწონილობასთან, ოპერაციების დივერსიფიცირებულობასთან, აქტივების ამა თუ იმ სიდიდის პრობლემური ან არამდგრადობის ნიშნების გამოვლენასთან.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომერციული ბანკის აქტივების ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამობრივი სიდიდე/ბანკის საერთო კაპიტალი;
- ზარალი სესხებიდან/სესხების დავალიანების საშუალო სიდიდე;
- ზარალი სესხებიდან/ საერთო სასესხო დავალიანება;
- ვადაგადაცილებული დავალიანება/გაცემული სესხები;
- რისკისაგან დაცულობის კოეფიციენტი (მოგება ნეტო+რეზერვები ნეტო+ სარეზერვო ფონდი)/ სასესხო დავალიანების ნაშთი;
- პრობლემური კრედიტები/კრედიტების საერთო ჯამი;
- ჩამოწერილი რეზერვები/კრედიტი+იჯარა;
- ზარალის დასაფარავი რეზერვი/დაუფარავი კრედიტები;
- ნორმატიული მაჩვენებლები; ერთ კრედიტორზე რისკი, აქციონერებისა და ინსაიდერების დაკრედიტება;
- განსხვავებული დონის რისკის აქტივების სტრუქტურული შემადგენლობის წილი აქტივების საერთო ჯამში;
- საკრედიტო პორტფელის ხარისხის კოეფიციენტი (სესხებისათვის გაანგარიშებული რეზერვები/ძირითადი ვალის ჯამობრივი სასესხო დავალიანება);
- მსხვილი გარიგებების ხვედრითი წილი (კაპიტალის 25%-ზე მეტი) აქტივების საერთო ჯამში;
- მატერიალური აქტივების ხვედრითი წილი (მიწები, შენობები, აღჭურვილობები) აქტივების საერთო ჯამში;

- მაღალრისკიანი დაბანდებების წილი/ფასიან ქაღალდებში, კაპიტალში მონაწილეობა, ფაქტორინგი, ლიზინგი) აქტივების საერთო ჯამში;
- აქციონერებისათვის გაცემული კრედიტების სიდიდე (ინსაიდერებისათვის) დადგენილი ლიმიტის ზევით;
- საბანკო გარანტიებზე გადაუხდელი თანხები;
- მატერიალური წახალისების ფონდის ანგარიშზე გაცემული სესხების დავალიანება;
- აქტივების რენტაბელობა მთლიანად (მოგება – ნეტო/აქტივები);
- შემოსავლის მომტანი აქტივები/სულ აქტივები – ნეტო (რამდენადაც ყველა შემოსავლიანი აქტივი დაკავშირებულია რისკთან);
- მარჟა, რომელიც კორექტირებულია რისკზე (RAM)=წმინდა პროცენტული შემოსავალი – სესხების დანაკარგები/აქტივები;
- აქტივების ზარალის დასაფარავი რეზერვები/ შემოსავლის არმომტანი აქტივები.

ლიკვიდურობის მაჩვენებლები – მიეკუთვნებიან ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების ჯგუფს, რომლებსაც ზოგიერთი საზღვარგარეთელი ანალიტიკოსი აყენებს პირველ ადგილზე საკრედიტო დაწესებულების საქმიანობისათვის მისი მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით.

ლიკვიდურობა ფასდება ბანკის მიერ აქტივების ან სხვა გადასახდელ საშუალებებში ტრანსფორმირების უნარიანობის თვალსაზრისით, ფულადი სახსრების ნაკლებობის დროს მისგან მოთხოვნილი ვალდებულებების გადასახდელად, აგრეთვე კლიენტების კრედიტების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამისათვის სახსრები გროვდება წინასწარ, აქტივების გაყიდვის და პასივების ყიდვის გზით.

ბანკის ლიკვიდურობის განსაზღვრა, მხოლოდ როგორც ფულადი სახსრების თადარიგი, მათ მოთხოვნილებასთან შესაპირისპირებლად, წარმოადგენს საკმაოდ ვიწრო მიდგომას. როდესაც ლიკვიდურობა განიხილება როგორც „ნაკადი“ მაშინ ითვალისწინებენ ნაკლებად ლიკვიდური აქტივების გადაქცევას მეტად ლიკვიდურად, აგრეთვე დამატებით სახსრებს სესხის სახით და ბანკის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

საზღვარგარეთის ბანკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი ლიკვიდურობის მართვისას პრიორიტეტი მიეცათ პასიურ ოპერაციებს, რამდენადაც ლიკვიდური სახსრების დაგროვება აქტივებში აქვეითებს საბანკო დაწესებულებების დინამიკური განვითარების ტემპს, რომელიც მოითხოვს ფულადი სახსრების განუწყვეტლივ დინებას. ამიტომ მსხვილი ბანკებისათვის ლიკვიდურობის მართვა პასივების მართვის სინონიმიცაა. ჩვენი აზრით, ლიკვიდობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალდონიანი სისტემა, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

- სახელმწიფო საბანკო სისტემის ლიკვიდობა;
- ბანკის ბალანსის ლიკვიდობა;
- ბანკის ლიკვიდობა;
- აქტივების ლიკვიდობა;
- კლიენტების ლიკვიდობა.

ლიკვიდურობის ოპტიმალური დონის შენარჩუნება – რთული ამოცანაა, რომლის შესრულებაც, პრაქტიკულად ყოველთვის შეიძლება მიღწეულ იქნეს ამა თუ იმ ხარისხით, რამდენადაც არსებობს უკუკავშირი ბანკის ლიკვიდურობის დონესა და მის მეორე მახასიათებელ-შემოსავლიანობის დონეს შორის (რამდენადაც მაღალია პირველი, იმდენად დაბალია მეორე და პირიქით). ე. ი. ნაღდ და მათთან გათანაბრებულ სახსრებს, რომელიც საჭიროა ლიკვიდურობის დონის აუცილებელი შენარჩუნებისათვის, არ მოაქვთ შემოსავალი, ან მოაქვთ უმნიშვნელო შემოსავალი.

მაქსიმალური შემოსავლიანობის დონის მისაღებად ლიკვიდურობის საჭირო დონის შენარჩუნების დროს გამოიყენება ცნება **ნეტო_ლიკვიდური პოზიცია (Lt)**, რომელიც აისახება ბანკის სახსრების მოზიდვისა და განთავსების ყველა ოპერაცია.

$$Lt = Lp / (Pd + Dnd + Ps + Pa + Pr) - Ls / (Sr + Sp + Rnd + Rp + Rd)$$

სადაც,

Lt – ნეტო ლიკვიდური პოზიცია;

Lp – ლიკვიდური სახსრების შეთავაზება;

Pd – დეპოზიტების შემოსვლა;

Dnd – დეპოზიტური საბანკო მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი;

Ps – წინათ გაცემული სესხის დაფარვა;

Pa – ბანკის აქტივების გაყიდვა;

Pr – ფულის ბაზარზე სახსრების მოზიდვა;

Ls – ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნა;

Sr – კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების მოხსნა;

Sp – განაცხადი კრედიტის მისაღებად;

Rnd – არადეპოზიტური სახსრების მოზიდვაზე დანახარჯები;

Rp – ბანკის სხვა ოპერაციებზე ხარჯები;

Rd – აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდა.

ბანკის საქმიანობაში და მაშასადამე, მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში გარკვეულ როლს თამაშობენ ამ საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკები. რისკის ქვეშ იგულისხმება გაურკვეველობანი მომავალი ფულის ნაკადის შესახებ, დანაკარგების ალბათობა ან შემოსავლების მიუღებლობა დაგეგმილთან შედარებით, რომელიც გამოხატულია ღირებულებით.

არსებობს უამრავი რაოდენობის საშუალება საბანკო რისკების შეფასებისა და კლასიფიკაციის კრიტერიუმები. ხშირად საკლასიფიკაციო ნიშნად იყენებენ შემდეგს: ტიპი, სახე, მოცულობა, კომერციული ბანკის გავლენის სფერო, საბანკო რისკის წარმოშობის ფაქტორები, ბანკის კლიენტების შემადგენლობა, რისკის ხარისხი, მისი დროში განაწილება, რისკის აღრიცხვის ხასიათი, საბანკო რისკების მართვის შესაძლებლობები და საშუალებები, საბანკო ოპერაციების სპეციფიკა.

საბანკო რისკის თეორიული მრავალსახეობების დროს საკრედიტო დაწესებულებები ყოველდღიურ პრაქტიკაში ხვდებიან მხოლოდ მათ შეზღუდულ ნაერთს. ამიტომაც ყოველმა კონკრეტულმა ბანკმა უნდა თავისთვის დაადგინოს მაჩვენებლების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მის ხელმძღვანელობას უფო ეფექტურად მართოს ძირითადი სარისკო პოზიციები.

Marine Khubua

Associate Professor

Sokhumi State University

Issues of Improvement of Analysis of the Commercial Banks' Financial Status

Article offers discussion of bank's capital as two-level system in compliance with the international requirements, as the instruments for determination of sufficient size of capital set by the regulating authorities and providing their accounting evaluation. Their primary goal is optimization of the proportion between bank's debt liabilities and its assets. Systematic non-evaluation of the capital is regarded as the weakness of the accounting procedures.

In addition, the normative of determining of capital's sufficiency is considered, market means for capital evaluation, where the capital is measured as price per share multiplied by number of shares issued and minimal level of its sufficiency depends on market conditions rather than restrictions imposed by the supervisory bodies. It justifies the other, more precise instrument for capital evaluation, in particular, the problems emerged in the process of determining of the price of bank shares not provided for quotation, the facts that market has no disciplinary impact on many local banks, real possibility of loss of uninsured deposits complicate application of this method by Georgian banks.

საინვესტიციო-სამშენებლო კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები

თემა ეხება სამშენებლო-საინვესტიციო კომპანიებში აღრიცხვის აქტუალურ საკითხებს, განხილულია რისკები, დაკავშირებული ასეთ საქმიანობასთან და დასმულია საკითხი აღრიცხვაში რისკების ასახვის აქტუალობის და მისი გადაჭრის გზების შესახებ.

თანამედროვე ეკონომიკაში ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროდ გვევლინება ფინანსური აღრიცხვა, ინფორმაციის როგორც შიდა ისე გარე მომხმარებლებისთვის.

ფინანსური აღრიცხვის პრიორიტეტული მომხმარებლები არიან ინვესტორები და კრედიტორები. აქედან გამომდინარე აღრიცხვის მეთოდოლოგიაში ივარაუდება, რომ ინვესტორებისა და კრედიტორებისთვის წარდგენილი დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია, შესაბამისი იქნება ინფორმაციის სხვა მომხმარებლების ინტერესებთან.

საერთაშორისო საბუღალტრო პრაქტიკაში საკითხი – ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური რისკების ასახვის აუცილებლობის შესახებ ფართოდ განიხილება, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მას შემდეგ რაც კაპიტალის ბაზრების ზრდამ გავლენა მოახდინა ფინანსური ანგარიშგების ფორმატსა და შინაარსზე.

ზემოთ მითითებულმა პროცესებმა ჩამოაყალიბა ინვესტორთა ახალი საინფორმაციო მოთხოვნილებები. თუ ადრე ინვესტორთათვის, სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო გასული საანგარიშგებო პერიოდის ინფორმაციის ანალიზის შესაძლებლობა, ამჟამად ეს აღარ არის საკმარისი.

მნიშვნელოვანი გახდა, კომპანიის საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების (საპროგნოზო მაჩვენებლების) შეფასების შესაძლებლობა, რაც მათ მისცემთ საშუალებას, მაღალი ხარისხის საიმედოობით შეაფასონ განხორციელებული ინვესტიციის მომავალი.

ფინანსური რესურსების მოზიდვა სამშენებლო-საინვესტიციო საქმიანობის წარმართვისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია

საკონსულტაციო ფირმის KPMG-ის კვლევის თანახმად 2008 წლის კრიზისამდე ინვესტორების როლი სამშენებლო-საინვესტიციო კომპანიებთან მიმართებაში იყო პასიური, რადგან ამონაგები ინვესტიციებიდან იყო დამაკმაყოფილებელი. ინვესტორები არჩევდნენ არ ჩარეულიყვნენ სამშენებლო ფირმების სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამჟამად კი რენტაბელობის შემცირების პირობებში, ინვესტორთათვის აქტუალური გახდა ინფორმაცია მენეჯერული გადაწყვეტილებების და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავება, თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება რათა უზრუნველყოფილ იქნას ბუღალტრული აღრიცხვის ხარისხი სამშენებლო-საინვესტიციო კომპანიებში, ფინანსური შედეგების მქონე რისკების გათვალისწინებით ანგარიშგებაში

აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასმულია ამოცანა – მიმოხილულ იქნას თეორიული საფუძვლები ბუღალტრული ანგარიშგებაში ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაციის ფორმირებისთვის.

დღემდე არ არსებობს ერთიანი მიდგომა რისკის არსის განსაზღვრის შესახებ ბუ-
ღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის, ამასთან ერთად რისკის გაგება განსხვავებუ-
ლია მეცნიერების რიგი დარგების მიხედვით, ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს წარმოად-
გენს რისკის არსის გამჟღავნება ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის

რისკის განსაზღვრება ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ამერიკელმა ეკონომისტმა
Frank Knight-მა მან განასხვავა გაგება ობიექტური ალბათობის (და შეაფასა ის როგორც
აპრიორი ან სტატისტიკური) და სუბიექტური ალბათობის – შეფასებული პერსონა-
ლური გადაწყვეტილებით. პირველი ტიპის ალბათობას მან უწოდა რისკი, ხოლო მე-
ორე შეფასა როგორც განუსაზღვრელობა.

რისკების დასახასიათებლად ეკონომიკაში გამოიყენება ტერმინები "ბიზნეს
რისკი", "ეკონომიკური რისკი."

1. ბიზნეს რისკების – ბიზნესის სტრატეგია რომელიც განისაზღვრება როგორც
შეუსაბამობა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებსა და მიღებული ეკონომიკუ-
რი გადაწყვეტილების მიზანს შორის
2. რისკი – მოსალოდნელი შემოსავლების, ქონების, ფულის დანაკარგების რისკი
3. რისკი – როდესაც გაურკვეველი მოვლენების დადგომა ძალიან სავარაუდოა და
შეიძლება გაიზომოს რაოდენობრივად.
4. კომერციული რისკი – რისკი დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან,
რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალური მოგების მიღებაზე მომხმარებელთა
საჭიროებების დაკმაყოფილების გზით საბაზრო მოთხოვნის შესაბამისად.
5. რისკი – არის შესაძლებლობა არ დადგეს ნებისმიერი მოსალოდნელი მოვლე-
ნა, მოსალოდნელი ღირებულებებიდან ნებისმიერი გადახრის შესაძლებლობა.
6. რისკის ქვეშ იგულისხმება პირის ან ორგანიზაციის მიერ რესურსების, შემო-
სავლების ნაწილის დაკარგვის ალბათობა, ან დამატებითი ხარჯების წარმოშო-
ბა რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის გან-
ხორციელებასთან.
7. რისკი – გაურკვეველობა შესაძლო დანაკარგების თაობაზე, მიზნის მიღწევის
პროცესში.
8. ტერმინი "რისკი" გულისხმობს ნებისმიერ მოვლენას ან ქმედებას, რომელმაც
შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის მიზნებზე და ხელი შეუ-
შალოს მას წარმატებით განახორციელოს თავისი სტრატეგია.
9. რისკი – სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკური სუბიექტების რისკი, რომე-
ლიც დაკავშირებულია გაურკვეველი მოვლენების დამლევასთან, როდესაც არ-
სებობს შესაძლებლობა შეფასდეს სასურველი შედეგების მიღწევის ალბათობა
წარუმატებლობა ან მიზნიდან გადახრა.
10. რისკი განისაზღვრება, როგორც დაგეგმილი მოგებას მიუღებლობის ალბათობა
ან კომპანიის ფინანსური აქტივების გაუფასურება

ზემოთ მოტანილი ანალიზი იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა რომ ეკონო-
მიკური, კერძოდ კი ფინანსური რისკის შინაარსი ვლინდება ეკონომიკური გადაწყვე-
ტილების მიღების პროცესში, ამ გადაწყვეტილებების შედეგების გაურკვეველობის პი-
რობებში, გაურკვეველობა გულისხმობს შედეგის ერთი ან რამოდენიმე ვარიანტის არ-
სებობას, აღნიშნულის გათავისება აიძულებს ადამიანს მიიღოს რამდენიმე ვარიანტი-
დან ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რისკის კრიტერიუმების შეფასების პირობებში.

რისკების ინდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მათი კლასი-
ფიკაცია, რისკები არსებობს:

სისტემური და არასისტემური
მმართველობით და არამმართველობითი
რეგიონალური, ქვეყნის მასშტაბით და ა.შ.

რისკების კლასიფიკაცია

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ მხარე ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს სრულად ან საჭირო ვადებში.

ანგარიშსწორების რისკი – სესხების დაფარვის გადავადების რისკი

საბაზრო რისკი – რისკი დაკავშირებული ბაზრის ფინანსური ინდიკატორების ცვლილებასთან:

ფონდების რისკი – რისკი რომელიც დაკავშირებულია აქციების ბაზარზე ნეგატიურ ცვლილებებთან, მოიცავს აქციების ფასის ცვლილებას, აქციების ინდექსის ცვლილებას

საპროცენტო განაკვეთის რისკი – დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთების უარყოფით ცვლილებებთან, არასტაბილურ საპროცენტო განაკვეთებთან.

გონივრული ლიკვიდურობის რისკი – არის რისკი, რომელიც წარმოიქმნება ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

ოპერატიული კონტროლის რისკი – ეს არის რისკი რომელიც მოიცავს ნაკლოვანებებს მართვის პროცედურებში, კონტროლის ნაკლებობას, ტექნიკის მუშაობაში ხარვეზებს, პერსონალის შეცდომებსა და კვალიფიკაციის ნაკლებობას.

მართვის სისტემების რისკი – ეს არის რისკი დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების მუშაობასთან, კომპიუტერული პროგრამების დამუშავებაში დაშვებული შეცდომები, შეცდომები დაშვებული ფასების განსაზღვრისას, არაადეკვატური მმართველობითი ინფორმაციის არსებობის რისკი, ხარვეზები სატელეკომუნიკაციო არხების მუშაობაში.

ბიზნესის მოცულობის რისკი – რისკი რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნა/მიწოდების დინამიკის ცვლილებასთან, კონკურენციის ცვლილებასთან.

რისკის შეფასებისა და ანალიზის მეთოდები, მოცემული ბუღალტრულ აღრიცხვაში

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას – ძირითადად გამოყოფენ რისკების ანალიზისა და შეფასების ორ მეთოდს: ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს

არსებობს შემთხვევები როდესაც რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევებში ფართოდ გამოიყენება მეთოდები, რომლებიც ფართოდ იყენებს გამოცდილებას და ინტუიციას რაც წარმოადგენს ხარისხობრივ მეთოდს

ანალიზის მეთოდები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

იმიტაციური მოდელირება – თავის თავში გულისხმობს მათემატიკური მოდელის ტესტირებას კომპიუტერების მეშვეობით, იგი გამოიყენება იმ შემთხვევებში როდესაც, როდესაც რეალური ექსპერიმენტების ჩატარება, მაგალითად ეკონომიკურ სისტემებზე, არაგანონივრულია და დაკავშირებულია სერიოზულ დანახარჯებთან.

გადაწყვეტილებების ხე- გამოიყენება ისეთი მოვლენების რისკების განსაზღვრისას რომელთაც გააჩნიათ განვითარების სასრული რაოდენობა, მეთოდი შედეგანია ისეთ სიტუაციებში როდესაც კონკრეტულ მომენტში მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და განსაზღვრავს სამომავლო სცენარებს.

ანალიტიკური მეთოდები, შესაძლებლობას იძლევა მათემატიკური მოდელირების საფუძველზე დადგინდეს ზარალის ალბათობა.

კრედიტ რისკის მოდელი საშუალებას იძლევა შეფასდეს საკრედიტო პორტფელის მაქსიმალური დანაკარგები, დანაკარგების მრუდის ანალიზის საფუძველზე.

ლიტერატურა:

1. International Accounting Standard (IAS) 11: Construction Contracts // <http://eifrs.iasb.org/eifrs/bnstandards/en/ias11.pdf>
2. International Accounting Standard (IAS) 32: Financial Instruments: Disclosure and Presentation
3. International Accounting Standard (IAS) 39: Financial Instruments: Recognition and Measurement // <http://eifrs.iasb.org/eifrs/bnstandards/en/ias39.pdf>
4. Агеева О.А. Развитие бухгалтерского учета и финансовой отчетности //Бухгалтерский учет.- №9.-Изд-во «Бухгалтерский учет».- М., 2005.- С.13-20.
5. Анализ финансовой отчетности. Учеб. пособие. / под ред О.В. Ефимовой, М.В. Мельник,- 2- е изд. испр. и доп. -М.: Из-во Омега-Л, 2006.-408 с.
6. Бернштейн Л. А. Анализ финансовой отчетности: Теория, практика и интерпретация: Пер. с англ./ Научн. Ред. Перевода чл.-корр. РАН И.И. Елисеева. Гл. редактор серии проф. Я.В. Соколов. – М.: Финансы и статистика, 2003 – 624 с.
7. Лапуста М. Г. Риски в предпринимательской деятельности: учеб.пособие для вузов. — М.: ИНФРА-М, 2008. – 368 с.
8. Моделирование экономических процессов: учебник /, Е. Н. Лукаш, В. А. Чахоян, Ю. Н. Черемных, [и др.]

Nana Khinchlashvili

TBA Group Ltd

Senior Consultant

Current issues of quality assurance of Investment and Construction companies' financial statements

Topic is about important issues related to the accounting of the construction and investment companies, The paper discusses the risks related to the construction and investment activities and importance of their reflection in accounting.

მერაბ ჯიქია

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპანიის კაპიტალის ღირებულების ანალიზი

ვინაიდან, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება როგორც კრიტერიუმი მისაღები საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომელთა რეალიზაციის შედეგებიც მომავალში გამოვლინდება, ცხადია, ასეთ შემთხვევაში კაპიტალის ღირებულებისა და მისი სტრუქტურის ჩამოყალიბებულმა შეფასებამ შეიძლება მოგვეცეს არარეალური სურათი. მაშასადამე, იმისთვის, რომ შევასწოთ მომავალი მმართველობითი გადაწყვეტილებების რაციონალურობა, აუცილებელია საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოსალოდნელი მნიშვნელობების გამოყენება.

კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისას გრძელვადიან გეგმაში ძირითადი მიზნობრივი ამოცანა უნდა ეყრდნობოდეს WACC მაჩვენებლის მინიმიზაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსჯელობაა ნასესხები და საკუთარი კაპიტალის ისეთ თანაფარდობაზე, რაც კომპანიის ერთობლივი კაპიტალის ღირებულების მინიმიზებას მოახდენს. გრძელვადიანი სტრატეგიული ანალიზისას WACC მაჩვენებლის სიდიდის შემცირება განიხილება, როგორც კომპანიის ღირებულების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ბოლო ათწლეულში (საქართველოსთვის ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს დროის უფრო მოკლე ინტერვალით) მოხდა არსებითი ცვლილებები კომპანიის განვითარების საბოლოო მიზნების გაგებაში და აქედან გამომდინარე, დასახული მიზნების მიღწევის შეფასების წესებსა და კონკრეტული მაჩვენებლების შერჩევის საკითხებში.

დღეისათვის საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის განვითარების ძირითადი მიზნის – მოგების მაქსიმიზაციის კონცეფციის სანაცვლოდ, შემოდის ღირებულების მაქსიმიზაციის კონცეფცია – Value Based Management (VBM), რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოდის ადრინდელი მიდგომის ჩარჩოებიდან. აღნიშნული კონცეფცია მიმართულია კომპანიის სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე. მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლები, რაც ტრადიციულად განიხილებოდა როგორც ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები, ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ღირებულების შექმნაზე, უფრო სწორად, მის ზრდაზე, რიგი უმთავრესი მიზეზის გამო, რომელთა შორის, პირველ რიგში, შეიძლება გამოვყოთ:

- სააღრცხვო შეფასებებით ვარირების შესაძლებლობა;
- ფულის დროითი ღირებულების ფაქტორის იგნორირება;
- საკუთარი კაპიტალის ღირებულების იგნორირება;
- რისკ-ფაქტორისა და მასთან დაკავშირებით Y დაბანდებულ კაპიტალზე მოსათხოვნი უკუგების განხილვიდან გამორიცხვა.

ახალმა მიდგომამ აუცილებელი გახადა ღირებულების შემქმნელი ისეთი მაჩვენებლების განხილვა, როგორცაა: EP (ეკონომიკური მოგება), EVA (დამატებული ეკონომიკური ღირებულება), MVA (დამატებული საბაზრო ღირებულება), SVA (დამატებული სააქციო ღირებულება) და სხვ.

კაპიტალის ღირებულება – ეს არის შემოსავლიანობის მოსალოდნელი ნორმა, რასაც ითხოვს ბაზარი ფინანსური რესურსების მოსაზიდად და რაც აუცილებელია კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ან მთლიანად საწარმოს დასაფინანსებლად. კაპიტალის ღირებულება წარმოადგენს ალტერნატიულ ღირებულებას, საშუალებათა განთავსების სხვა

ალტერნატიულ ვარიანტზე უარის თქმის შემთხვევაში. ამასთან, ამოსავალს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რაციონალური ინვესტორი არასოდეს არ დაბანდებს თავის საშუალებებს კონკრეტულ პროექტში ან ბიზნესში, თუ არსებობს საშუალებათა ინვესტირებისთვის უფრო ხელსაყრელი ალტერნატივა რისკის გაწევის შესადარისობის თვალსაზრისით. კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი უმთავრესი ფაქტორები:

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება WACC (Weighted average cost capital) ახასიათებს საწარმოს ყველა ამოქმედებული ფინანსური რესურსის ღირებულებას – საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს, წყაროების მთლიან მოცულობაში მათი ხვედრითი წონის გათვალისწინებით. ამ მაჩვენებლის პრინციპული მნიშვნელობა ისაა, რომ მისი სიდიდე ახასიათებს დაბანდებულ მთლიან კაპიტალზე შემოსავლიანობის მოთხოვნილ ნორმას.

კაპიტალის საშუალო შეწონილი მაჩვენებლის (WACC) ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

$$WACC = r_e \cdot \left(\frac{E}{V}\right) + r_d \cdot \left(\frac{D}{V}\right) \cdot (1 - t)$$

სადაც, r_e – საკუთარი (სააქციო) კაპიტალის შემოსავლიანობის მოთხოვნილი განაკვეთია;

E – საკუთარი კაპიტალის სიდიდე;

D – ნასესხები კაპიტალის სიდიდე;

$V=E+D$ – დაფინანსების წყაროების (საკუთარისა და ნასესხების) სიდიდე;

r_d – ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი;

t – მოგების გადასახადის განაკვეთი.

ზოგადად, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება ახასიათებს კაპიტალის დამბანდებლებისთვის კომპენსაციის დონეს, მათ მიერ საშუალებების სხვა მიმართულებით (მოცემული საწარმოს გარდა) არგამოყენების პირობებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქმიანობის დასაფინანსებლად კაპიტალის ცალკეული დამბანდებლის მონაწილეობის ხარისხი შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი, დაფინანსების ცალკეული სახეობის ღირებულება განისაზღვრება მოცემული წყაროს ხვედრითი წონით დაფინანსების მთლიან მოცულობაში.

დავუშვათ, რომ ნასესხები კაპიტალის მოზიდვის განაკვეთი, საგადასახდო ეკონომიის გათვალისწინებით 10%-ის ტოლია, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთია – 14%; თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის შეადგენს: 1: 1, ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი კი 15%-ს.

$$WACC = r_e \cdot \left(\frac{E}{V}\right) + r_d \cdot \left(\frac{D}{V}\right) \cdot (1 - t)$$

$$WACC = 14 \times 0.5 + 10(1 - 0.15) \times 0.5 = 11.3\%$$

მამასადამე, აქტივებში დაბანდებულ კაპიტალზე (ან კონკრეტულ პროექტზე), მინიმალურად აუცილებელმა შემოსავლიანობის დონემ უნდა შეადგინოს 11,3%. ეს შესაძლებლობას იძლევა გადახდილ იქნეს პროცენტი ნასესხებ კაპიტალზე და დაკმაყოფილდეს მესაკუთრეთა მოლოდინი (ჩვენი მაგალითის შემთხვევაში შემოსავლიანობის 14%სიანი განაკვეთი). მაგრამ, თუ დაბანდებულ შემოსავლიანობის დონე ფაქტობრივად 11,3%-ზე ნაკლები იქნება, მაშინ მესაკუთრეები ვერ მიიღებენ შემოსავლიანობის საჭირო 14%-ს.


საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს კაპიტალის განსხვავებული სტრუქტურა თუ როგორ აისახება დამატებით მოზიდული კაპიტალის ღირებულებაზე. აქედან გამომ-

დინარე, სავსებით გასაგებია მათი მისწრაფება კაპიტალის სტრუქტურის ცვლილების გზით შეამცირონ დამატებით მოსაზიდი კაპიტალის ღირებულება. ამასთან, აუცილებელია შემდეგი პრინციპული დებულების გათვალისწინება:

იქიდან გამომდინარე, რომ ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან წყაროდ (პროცენტებზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, გარდა ამისა კრედიტორების რისკი უფრო დაბალია ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპენსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა. იმავედროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოიწვევს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) გადიდებას. აქედან გამომდინარე WACC-ის დამოკიდებულება წყაროების სტრუქტურაზე სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ.

სქემა გვიჩვენებს, რომ დაფინანსების წყაროებში საკუთარ კაპიტალთან შედარებით უფრო იაფფასიანი ნასესხები კაპიტალის ჩართვა, იწვევს WACC-ის შემცირებას. თუმცა, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდებისას შესაბამისად იზრდება დეფლაციის რისკი, რაც თავის მხრივ, ნიშნავს მესაკუთრეთა რისკის ზრდას. შემდგომში ეს გამოიწვევს საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთის გადიდებას, რითაც შეეძლებათ აქციონერებს ბიზნესში ინვესტირებული რისკის კომპენსირება.



ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურის გავლენა მის ღირებულებაზე

მაშასადამე, ნასესხები და საკუთარი კაპიტალის განმსაზღვრელი თანაფარდობისას მიიღწევა წყაროების ოპტიმალური სტრუქტურა, რომლის პირობებში WACC-ის სიდიდე იქნება მინიმალური. ცხადია, ისევე როგორც ნებისმიერი მოდელი, აღნიშნული მიდგომაც დაზუსტებას მოითხოვს კონკრეტული ბიზნესის ფუნქციონირების თავისებურებიდან და კომპანიის წინაშე მდგარი მიზნობრივი ამოცანებიდან გამომდინარე, რომელთა შორისაა

დაფინანსების წყაროების მოზიდვაც. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განსაზღვრისას პრინციპული საკითხებია:

- გაანგარიშებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ბუღალტრული ბალანსის მონაცემებით საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის არსებული სტრუქტურა, თუ კაპიტალის ის სტრუქტურა, რომელიც ექნება საწარმოს დაფინანსების მისაღები ვარიანტის შედეგად;
- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულაში გამოვიყენოთ დაფინანსების ცალკეული ტიპის ღირებულება ჩამოყალიბებული (ისტორიული) შეფასებით, თუ ავიღოთ მათი საბაზრო ღირებულება. აღნიშნული საკითხები წყდება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განსაზღვრის მიზნებისა და ასევე, არსებული ინფორმაციების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. თუ ამოსავალია ის, რომ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება როგორც კრიტერიუმი მისაღები საინვესტიციო და ფინანსური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომელთა რეალიზაციის შედეგებიც მომავალში გამოვლინდება, ცხადია, ასეთ შემთხვევაში კაპიტალის ღირებულებისა და მისი სტრუქტურის ჩამოყალიბებულმა შეფასებამ შეიძლება მოგვცეს არარეალური სურათი. მაშასადამე, იმისთვის, რომ შევაფასოთ მომავალი მმართველობითი გადაწყვეტილებების რაციონალურობა, აუცილებელია საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოსალოდნელი მნიშვნელობების გამოყენება. საანალიზო ვარიანტში დაფინანსების სტრუქტურა თუ შეიცვლება, მაშინ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გაანგარიშებაში უნდა შევიდეს მონაცემები, კორექტირებული მომავალი ცვლილებების გათვალისწინებით.


ნასესხები საშუალებების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ყველა არსებითი ხარჯი, რაც დაკავშირებულია ვალის მიღებასა და მის მომსახურებასთან. ასეთი სახეობის ხარჯად, პირველ რიგში, განიხილავენ პროცენტებს საბანკო კრედიტსა და კომპანიის სესხებზე. ამასთან, მოზიდული ნასესხები საშუალებების ღირებულებაში შეიძლება შევიდეს ისეთი ხარჯები, როგორცაა მაგალითად, საკონსულტაციო და საინფორმაციო ხარჯები, რაც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მისი აუდიტის ჩატარებასთან და სხვ.

ნასესხები კაპიტალის ღირებულებაში კორექტივი შეიტანება მოგების გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით. კორექტივის არსია ის, რომ პროცენტები კრედიტსა და სესხების მომსახურებაზე ამცირებს მოგების გადასახადის საგადასახადო ბაზას. საგადასახადო ეკონომიის ეფექტის საფუძველზე პროცენტებში ნასესხები კაპიტალის რეალური, ნამდვილი ღირებულება იქნება $r_d(1-t)$, სადაც t – მოგების გადასახადის განაკვეთია. რამდენადაც საწარმოები თავიანთი საქმიანობის დაფინანსებისთვის ჩვეულებრივ იყენებენ ნასესხებ საშუალებებს მათი მოზიდვის განსხვავებული პირობებით (საპროცენტო განაკვეთები, მოზიდვის ვადები, სხვა ხარჯები, რაც ადიდებს მოზიდული საშუალებების ღირებულებას), r_d -ს (მოზიდული ნასესხები კაპიტალის განაკვეთი) მაჩვენებლის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიდიდე, რომელიც ახასიათებს (ნასესხები) საშუალებების მოზიდვის საშუალო შეწონილ განაკვეთს.

საკუთარი კაპიტალის ღირებულება (r_e) – არის დაბანდებულ კაპიტალზე მისაღები შემოსავლიანობის ნორმა, მოცემულ ინვესტირებაზე რისკ ფაქტორების გათვალისწინებით. საკუთარი კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიდგომა. პრაქტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა გაანგარიშების მეთოდებმა, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიანი აქტივების შეფასების მოდელების გამოყენებას (capital assets pricing model – CAMP), ასევე კუმულაციური განაკვეთებით გაანგარიშებებმა, რაც ითვალისწინებს დაბანდებულ საშუალებებზე სხვადასხვა რისკ ფაქტორს.

დაფინანსებაზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად იცვლება ერთობლივი კაპიტალის ღირებულება, რაც დაკავშირებულია საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ცვლილებასთან. როგორც ცნობილია, არსებობს ზოგიერთი პირობა, რომელიც ზღუდავს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობებს. საკუთარ კაპიტალთან მიმართებით შემზღუდველ პირობად გვევლინება წმინდა მოგების არსებობა და მისი საკმარისობა, ასევე წმინდა მოგების ის ნაწილი, რომელიც მესაკუთრეთა გადაწყვეტილების თანახმად მიემართება გადახდებზე (გაცემებზე). რეინვესტირებული მოგების უკმარისობის სიტუაციაში საკუთარი საშუალებების ხარჯზე დაფინანსების ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენს ახალი აქციების გამოშვება (დამფუძნებელთა დამატებითი შენატანები). ემისიის პროცედურა, მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევით, თავისთავად იწვევს საკუთარი კაპიტალის ღირებულების ამღლებას, რაც დაკავშირებულია დაფინანსების აღნიშნული წყაროს შერჩევასთან.

ცხადია, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის ზრდის შესაბამისად რისკი იზრდება, ამასთან, კრედიტების მომსახურების საკომპენსაციოდ იზრდება საპროცენტო განაკვეთი ამღლებული რისკისთვის. მაშასადამე, კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულება შეიძლება განვიხილოთ როგორც ფუნქცია დაფინანსების მასშტაბებიდან გამომდინარე. იმისთვის, რომ შევაფასოთ დაფინანსებისთვის მოზიდული ყოველი ლარი რა გავლენას მოახდენს კაპიტალის მთლიან ღირებულებაზე იყენებენ კაპიტალის ზღვრული ფასის ცნებას. დაფინანსებაზე მოთხოვნასა და კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას შორის ურთიერთკავშირი წარმოდგენილია სქემაზე.



კაპიტალის ზღვრული ფასის გრაფიკი

სქემაზე წარმოდგენილია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, რომელიც განისაზღვრება დაფინანსების კონკრეტული მასშტაბებით (მოთხოვნილებებით). ყოველი წერტილი გრაფიკზე შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ დამატებით მოზიდული ფულადი ერთეულის ფასი. გარდატეხის წერტილი გრაფიკზე ადასტურებს კაპიტალის საშუალო შეწონილი ფასის ცვლილებას მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტის ღირებულების ცვლილების საფუძველზე. ყოველივე ზემოაღნიშნული განვიხილოთ კონკრეტული კომპანიის “OMEGA”-ს მაგალითზე, რომელიც მომავალი წლისთვის ადგენს კაპიტალდაბანდებების ბიუჯეტს. კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ წმინდა მოგება მომავალ წელს იქნება 650000 ლარი, ხოლო დივიდენდების გაცემის კოეფიციენტი (წმინდა მოგების ხვედრითი წონა, რომელიც მიმართული იქნება დივიდენდების ასანაზღაურებლად) – 30%. მიმდინარე პერიოდში საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობის განაკვეთი შეადგენს – 16%-ს.

კომპანია “OMEGA”-ს შეუძლია მოიზიდოს ნებისმიერი საშუალებები 200000 ლარამდე 14%-იანი განაკვეთით, მოგების გადასახადის განაკვეთია 15%, ნასესხებ საშუალებებზე 200000 ლარის ზევით განაკვეთი იქნება 15%, ხოლო 300000 ლარზე უფრო ზევით-16%. თუ კომპანია “OMEGA” გამოუშვებს დამატებით ჩვეულებრივ აქციებს, მაშინ მის საკუთარ კაპიტალზე მოსათხოვნი შემოსავლიანობის განაკვეთი აიწევს 19%-მდე. კომპანიას მოცემული მომენტისთვის გააჩნია კაპიტალის შემდეგი სტრუქტურა: ნასესხები საშუალებები – 40% და საკუთარი კაპიტალი – 60%. ვაჩვენოთ დაფინანსებაზე მოთხოვნის ცვლილება, თუ რა გავლენას მოახდენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე (WACC). პირველ რიგში, არსებული მდგომარეობით გავიანგარიშოთ WACC-ის სიდიდე:

$$WACC=16 \times 0,6+14 \times (1-0,15) \times 0,4 =14,4\%.$$

დაფინანსებაზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად გაიზრდება WACC-ის სიდიდეც ნებისმიერი კაპიტალის მოზიდვა 200000 ლარამდე არ შეცვლის WACC-ის სიდიდეს, მაგრამ ნასესხები დაფინანსების მოცულობის გადიდება აღნიშნულ თანხაზე ზევით გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის გადიდებას 14%-დან 15%-მდე შესაბამისად შეიცვლება WACC-ის მაჩვენებელიც:

$$WACC=16 \times 0,6+15 \times (1-0,15) \times 0,4 =14,7\%.$$

ნასესხები კაპიტალის შემდგომი გადიდება (300000 ლარის ზევით), ასევე გამოიწვევს WACC-ის სიდიდის ცვლილებას:

$$WACC=16 \times 0,6+16 \times (1-0,15) \times 0,4 =15\%.$$

აქციების გამოშვების გავლენა ასევე აისახება WACC-ის მაჩვენებელზე:

$$WACC=19 \times 0,6+16 \times (1-0,15) \times 0,4 =16,8\%.$$

შეიძლება შევავსოთ დაფინანსების რა მოცულობის პირობებში მოხდება WACC-ის მაჩვენებლის ცვლილება. პირველ რიგში, განვიხილოთ ტოლობა:

$$D + E = V.$$

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურიდან გამომდინარე (40% – ნასესხები კაპიტალი და 60% – საკუთარი კაპიტალი) შეიძლება შემდეგი ტოლობების დაწერა:

$$D = \frac{2}{3} E$$

$$E = \frac{3}{2} D$$

იმ შემთხვევაში, როდესაც მოზიდული ნასესხები წყაროების მოცულობა გადააჭარბებს 200000 ლარს, მოცემული პირობების მიხედვით, ნასესხები სახსრებით დაფინანსების განაკვეთი გაიზრდება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული გამოიწვევს ერთობლივი დაფინანსების ღირებულების ზრდას. გავიანგარიშოთ ერთობლივი დაფინანსების რა მოცულობის (V_1) პირობებში მოხდება მისი ღირებულების ცვლილება. გაანგარიშებისას დავყვარდნობით კაპიტალის მიზნობრივ სტრუქტურას:

$$D_1 + E_1 = V_1, \text{ ანუ}$$

$$D_1 + \frac{3}{2} D_1 = V_1.$$

$$D_1 = 200\,000 \text{ ათასი ლარი};$$

$$200\,000 + \frac{3}{2} * 200\,000 = V_1;$$

$$V_1 = 500\,000 \text{ ათასი ლარი.}$$

მაშასადამე, სანამ დაფინანსებაზე მოთხოვნა არ გადააჭარბებს 500000 ლარს, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება არ შეიცვლება და იქნება 14,4%. ამის შემდგომ ყოველი ლარის მოზიდვა 14,7% დაჯდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნასესხები კაპიტალის შემდგომი ზრდა (30000 ლარზე ზევით) გამოიწვევს WACC-ის სიდიდის ამალვებას 15%-მდე. ეს მოხდება მაშინ როდესაც ერთობლივი დაფინანსების მოცულობა ტოლი იქნება 750000 ლარის. ჩავატაროთ შესაბამისი გაანგარიშება.

$$D_2 + \frac{3}{2} D_2 = V_2;$$

$$D_2 = 300\,000;$$

$$300\,000 + \frac{3}{2} * 300\,000 = V_2;$$

$$V_2 = 750\,000.$$

და ბოლოს, დაფინანსების მოცულობის ცვლილება საკუთარი კაპიტალის ზრდის ხარჯზე ასევე მოახდენს გავლენას WACC-ის სიდიდეზე. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც საკუთარი კაპიტალის ზრდის წყარო – გაუნაწილებელი მოგება მთლიანად იქნება გამოყენებული. მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ კომპანიაში არსებული სადივიდენდო პოლიტიკის თანახმად, წმინდა მოგების 30% ნაზღაურდება დივიდენდების სახით, შესაბამისად მისი 70% შეიძლება წარიმართოს საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად – რეინვესტირების გზით, მაშინ:

$$E_1 + \frac{2}{3} E_1 = V_3;$$

$$E_1 = 0,7 * 650\,000 = 455\,000;$$

$$V_3 = 455\,000 + 2/3 * 455\,000 = 758\,333.$$

მაშასადამე, დაფინანსების მოცულობისას, როცა ის გადააჭარბებს 758 333 ლარს, WACC-ის სიდიდე ტოლი იქნება 16,8%-ის.

რასაკვირველია, ზემოაღნიშნული გაანგარიშების საფუძველზე მიღებული შედეგები პრაქტიკაში შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს. კერძოდ, წარმოდგენილი გაანგარიშებები ეყრდნობა კაპიტალის მიზნობრივი სტრუქტურის მკაცრ დაცვას, რომლიდანაც სინამდვილეში კომპანიას შეუძლია გამოსვლა. გარდა ამისა, აღნიშნულ გაანგარიშებაში არ იყო გათვალისწინებული ამორტიზაციის თანხა, მაშინ როცა საკუთარი წყაროების ხარჯზე ხელმისაწვდომი დაფინანსების მოცულობა განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის თანხის ჯამობრივი სიდიდით.

კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისას გრძელვადიან გეგმაში ძირითადი მიზნობრივი ამოცანა უნდა ეყრდნობოდეს WACC მაჩვენებლის მინიმიზაციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსჯელობაა ნასესხები და საკუთარი კაპიტალის ისეთ თანაფარდობაზე, რაც კომპანიის ერთობლივი კაპიტალის ღირებულების მინიმიზებას მოახდენს. გრძელვადიანი

სტრატეგიული ანალიზისას WACC მაჩვენებლის სიდიდის შემცირება განიხილება, როგორც კომპანიის ღირებულების გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

კომპანიის კაპიტალის ღირებულების ანალიზი

კაპიტალის საშუალო შეწონილი მაჩვენებლის (WACC) ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

$$WACC = r_e \cdot \left(\frac{E}{V}\right) + r_d \cdot \left(\frac{D}{V}\right) \cdot (1 - t) ,$$

Merab Jikia

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Indicators Characterizing Increase of Value of the Capital

Economic Profit (EP) is a difference between the operational profit gained after payment of taxes (NOPAT) and the requested profit (with taking into consideration a value of the attracted capital). For calculation of this indicator, the following formula is used:

$$EP = A (ROI - WACC)$$

Where: A – is the assets of the company or a business-segment

WACC – is the Weighted Average Value of the Capital

ROI = NOPAT: A

$$EP = NOPAT - A \times WACC$$

The Economic Value Added (EVA) is a result of development of the profit's indicator, however, by a critical difference, that in calculation of EVA, the corrected value of NOPAT, as well as the corrected values of ROI and ROICE are included

Therefore:

$$EVA = A \text{ corrected} \times (ROI \text{ corrected} - WACC),$$

$$\text{I.e. } EVA = NOPAT \text{ corrected} - A \text{ corrected} \times WACC$$

ავტორთა სტილი დაცულია

Authors' original style is left unchanged

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel 995 (32) 225 14 32, 995 (32) 225 27 36
www.press.tsu.edu.ge